ა. ი. ბერძენი

*

ორ ტომად

ა. ი. ბერეზენი

რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი

ტომი პირველი.

სახელგამი
პოლიტლიტერატურის სექტორი
1953

ვ. ი. ლენინი

გერცენის ხსოვნას

ასი წელი გავიდა გერცენის დაბადებიდან. მის ხსოვნას აღნიშნავს მთელი ლიბერალური რუსეთი, თანაც დაკვირვებულად უვლის გვერდს სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს, გულმოდგინედ ფარავს, რით განსხვავდებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი გერცენი ლიბერალისაგან. გერცენს იხსენიებს მემარჯვენე პრესაც, რომელიც ცილისწამებით ირწმუნება გერცენი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ჩამოშორდა რევოლუციასო. ხოლო საზღვარგარეთულ, ლიბერალურ და ნაროდნიკულ, სიტყვებში გერცენის შესახებ ფრაზების მეტი არაფერია.

მუშათა პარტიამ უნდა მოიხსენიოს გერცენი არა ობივატელური ქება-დიდებისათვის, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, იმ მწერლის ნამდვილი ისტორიული ადგილის გასარკვევად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში.

გერცენი ეკუთვნოდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას. თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი «ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, მოჩხუბრები, მათრახისა და ჰარამხანის გმირები» და ყოვლადკეთილი მანილოვები. «და მათ შორის — წერდა გერცენი — ვანვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა,

რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დევგმირები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი».

ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და «განწმინდა» იგი. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს «რევოლუციის ალგებრას». იგი წავიდა ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ, გაჰყვა ფეიერბახის კვალს. პირველი წერილი «წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ», — «ემპირია და იდეალიზმი», — რომელიც დაწერილია 1844 წელს, გვიჩვენებს მოაზროვნეს, რომელიც, ახლაც კი, მთელი თავით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრადიდეალისტზე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

სწორედ ამ «შეჩერებამ» გამოიწვია გერცენის სულიერი კრახი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. გერცენი უკვე წასული იყო რუსეთიდან და ამ რევოლუციას უშუალოდ აკვირდებოდა. იგი მაშინ დემოკრატი, რევოლუციონერი, სოციალისტი იყო. მაგრამ მისი «სოციალიზმი» ეკუთვნოდა 1848 წლის ეპოქაში არსებულ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იმ უამრავ ფორმათა და ნაირსახეობათა რიცხვს, რომლებიც საბოლოოდ ჩაკლეს ივნისის დღეებმა. არსებითად ეს სრულებითაც არ იყო სოციალიზმი, არამედ ყოვლადკეთილი ფრაზა, კეთილი ოცნება, რომლითაც მოსავდა თავის მ ა შ ი ნ დ ე ლ რევოლუციუ-

რობას როგორც ბურჟუაზიული დემოკრატია, ასევე მისი გავლენისაგან გაუთავისუფლებელი პროლეტარიატი.

გერცენის სულიერი კრახი, მისი ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ — ეს იყო კრახი ბურჟუაზიული ილუზიებისა სოციალიზმის მიმართ. გერცენის სულიერი დრამა იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ნაყოფი და ანარეკლი იყო, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უკვე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო. ეს ვერ გაიგეს და არც შეეძლოთ გაეგოთ რუსეთის ლიბერალური ენამრუშობის რაინდებს, რომლებიც ახლა თავიანთ კონტრრევოლუციურობას ფარავენ მაღალფარდოვანი ფრაზებით გერცენის სკეპტიციზმის შესახებ. სკეპტიციზმი ამ რაინდებისა, რომლებმაც უღალატეს რუსეთის 1905 წლის რევოლუციას, რომლებმაც რევოლუციონერის დიად წოდებაზე ფიქრიც კი დაივიწყეს, არის დემოკრატიიდან ლიბერალიზმზე გადასავლის ფორმა, — იმ ლაქიურ, საზიზღარ, ბინძურ და მხეცურ ლიბერალიზმზე, რომელიც ხვრეტდა მუშებს 1848 წელს, რომელიც აღადგენდა დანგრეულ ტახტებს, რომელიც ტაშს უკრავდა ნაპოლეონ III-ეს და რომელსაც სწყევლიდა გერცენი, თუმცა ვერ გაეგო მისი კლასობრივი ბუნება.

გერცენის სკეპტიციზმი — ეს იყო ფორმა «ზეკლასობრივი» ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიებიდან პროლეტარიატის მკაცრ, განუხრელ, უძლეველ კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლისა. ამის დამადასტურებელია: «წერილები ძველი ამხანაგისადმი», ბაკუნინისადმი, რომლებიც დაწერილია გერცენის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1869 წელს. გერცენი კავშირს წყვეტს ანარქისტ ბაკუნინთან. მართალია, კავშირის ამ გაწყვეტაში გერცენი ხედავს ჯერ კიდევ მხოლოდ უთანხმოებას ტაქტიკაში და არა უფსკრულს თავისი კლასის გამარჯვებაში დარწმუნებული პროლეტარის მსოფლმხედველობასა და თავისი ხსნის იმედდაკარგული წვრილი ბურჟუის მსოფლმხედველობას შორის. მართალია,

გერცენი აქაც კვლავ იმეორებს ძველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაზებს, თითქოს სოციალიზმი უნდა გამოდიოდეს «ქადაგებით, რომელიც თანაბრად იქნება მიმართული მუშისა და მეპატრონისადმი, მიწათმოქმედისა და ქალაქელი მდაბიოსადმი». მაგრამ მაინც, ბაკუნინთან კავშირს რომ წყვეტდა, გერცენმა თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ ინტერნაციონალს, იმ ინტერნაციონალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი, — იმ ინტერნაციონალს, რომელიც შეუდგა პროლეტარიატის «ლაშქრის შეკრებას», «მუშათა სამყაროს» გაერთიანებას, რომელიც «ზურგს აქცევს მუქთახორათა სამყაროს»!

გერცენმა, რომელმაც ვერ გაიგო 1848 წლის მთელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული არსი და მარქსამდელი სოციალიზმის ყველა ფორმა, მით უმეტეს ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ბუნება. გერცენი «რუსული» სოციალიზმის, «ნაროდნიკობის» ფუძემდებელია. გერცენი «სოციალიზმს» ხედავდა გლეხების განთავისუფლებაში მიწით, თემურ მიწათმფლობელობაში და «მიწის ფლობის უფლების» გლეხურ იდეაში. თავის სანუკვარ აზრებს ამ თემაზე იგი მრავალგზის ავითარებდა.

ნამდვილად გერცენის ამ მოძღვრებაში, ისევე როგორც მთელ რუსულ ნაროდნიკობაში — თვით ახლანდელი «სოციალისტ-რევოლუციონერების» გახუნებულ ნაროდნიკობამდე— სოციალიზმის ნასახიც არ არის. ეს ისეთივე ყოვლადკეთილი ფრაზაა, ისეთივე კეთილი ოცნებაა, რომელიც მოსავს რუსეთში ბურჟუაზიული გლეხური დემოკრატიის რევოლუციურობას, როგორიც დასავლეთში «1848 წლის სოციალიზმის» სხვადასხვა ფორმა იყო. რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდნენ გლეხები 1861 წელს და რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო ძლიერ გამოეთხრებოდა ძირი მებატონე მემამულეთა ძალაუფლებას, მით უფრო სწრაფად, თავისუფლად და ფართოდ განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში. «მიწის ფლობის უფლებისა» და «მიწის

გათანაბრებითი განაწილების» იდეა სხვა არა არის რა, თუ არ ფორმულირება გლეხების რევოლუციური მისწრაფებისა თანასწორობისაკენ, გლეხებისა, რომლებიც იბრძვიან მემამულეთა ძალაუფლების სრული დამხობისათვის, მემამულური მიწათმფლობელობის სრული მოსპობისათვის.

1905 წლის რევოლუციამ ეს სავსებით დაამტკიცა: ერთი მხრივ, პროლეტარიატი სავსებით დამოუკიდებლად გამოვიდა რევოლუციური ბრძოლის მეთაურად და შექმნა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; მეორე მხრივ, რევოლუციური გლეხები («ტრუდოვიკები» და «გლეხთა კავშირი»), იბრძოდნენ რა მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის ყველა ფორმისათვის თვით «მიწის კერძო საკუთრების მოსპობამდე», იბრძოდნენ სწორედ როგორც მეპატრონენი, როგორც წვრილი მეწარმენი.

ამჟამად კამათი მიწის ფლობის უფლების «სოციალისტურობის» შესახებ და ა. შ. მხოლოდ იმას უწყობს ხელს, რომ დ ა ა ბ ნ ე ლ ო ს და დაფაროს ნამდვილად მნიშვნელოვანი და სერიოზული ისტორიული საკითხი: რუსეთის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზიისა და რევოლუციური გლეხობის ი ნ ტ ე რ ე ს თ ა განსხვავების შესახებ; სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ რევოლუციაში ლიბერალური და დემოკრატიული, «შემთანხმებლური» (მონარქისტული) და რესპუბლიკური ტენდენციის შესახებ. სწორედ ეს საკითხი დააყენა გერცენის «კოლოკოლმა», თუ შევხედავთ საქმის არსს და არა ფრაზებს, — თუ გამოვიკვლევთ კლასობრივ ბრძოლას, როგორც «თეორიათა» და მოძღვრებათა საფუძველს, და არა პირიქით.

გერცენმა შექმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ეს მისი დიდი დამსახურებაა. «პოლიარნაია ზვეზდამ» აღადგინა დეკაბრისტების ტრადიცია. «კოლოკოლი» (1857 — 1867) მედგრად იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის. მონური დუმილი დაირღვა.

მაგრამ გერცენი მემამულეთა, ბატონკაცთა წრეს ეკუთვნოდა. მან რუსეთი დატოვა 1847 წელს, მას არ უნახავს

რევოლუციური ხალხი და არ შეიძლებოდა ჰქონოდა მისდამი რწმენა. აქედანაა მისი ლიბერალური აპელაცია «ზედაფენებისადმი». აქედანაა მისი ურიცხვი მოთაფლული წერილები «კოლოკოლში» ალექსანდრე II ჯალათისადმი, რომლებსაც ახლა ისე ვერ წაიკითხავ, რომ ზიზღი არ მოგგვაროს. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი, რომლებიც რევოლუციონერ-რაზნოჩინცების ახალ თაობას წარმოადგენდნენ, ათასზგის მართალნი იყვნენ, როცა უსაყვედურებდნენ გერცენს ამ გადახვევას დემოკრატიზმიდან ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ, მიუხედავად გერცენის მთელი მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა.

როცა ლიბერალური უხამსობის ერთ-ერთმა უსაზიზღრესმა ტიპმა, კაველინმა, რომელიც წინათ აღტაცებული იყო «კოლოკოლით» სწორედ მისი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ტენდენციებისათვის, კონსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა, თავს დაესხა რევოლუციურ აგიტაციას, გაილაშქრა «ძალადობისა» და მისდამი მოწოდების წინააღმდეგ, შეუდგა მოთმინების ქადაგებას, გერცენმა ამ ლიბერალ ჭკუის კოლოფთან კავშირი გ ა წ ყ ვ ი ტ ა. გერცენი თავს დაესხა მის «მჭლე, უაზრო, მავნე პამფლეტს», დაწერილს იმ მიზნით, რომ მით «ფარულად ეხელმძღვანელა ლიბერალობის ხასიათზე დამდგარ მთავრობას», თავს დაესხა კაველინის «პოლიტიკურ-სენტიმენტალურ სენტენციებს», რომლებიც ხატავდნენ «რუს ხალხს პირუტყვად, მთავრობას კი ჭკვიანად». «კოლოკოლმა» მოათავსა სტატია «საფლავზე წარმოთქმული სიტყვა», სადაც ამათრახებდა «პროფესორებს, რომლებიც ქსოვენ თავიანთი ქედმაღლურ-ნამცეცა უბადრუკი იდეების დამპალ ქსელს, ექს-პროფესორებს, რომლებიც ოდესღაც გულმართლები იყვნენ, შემდეგ კი გაბოროტდნენ, რაკი დაინახეს, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობა ვერ თანაუგრძნობს მათს დაჩიავებულ აზრს». კაველინმა მაშინვე იცნო თავი ამ პორტრეტში.

როცა ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, საზიზღარი ლიბერალი კაველინი წერდა: «დაპატიმრებანი მე აღმაშფოთებელი არა მგონია... რევოლუციურ პარტიას მიაჩნია, რომ მთავრობის დასამხობად ყველა საშუალება კარგია, მთავრობა კი თავს იცავს თავისი საშუალებებითო». ხოლო გერცენი თითქოს ამ კადეტს უპასუხებდა, როცა ჩერნიშევსკის გასამართლების გამო ამბობდა: «აქ კი უბადრუკი ადამიანები, ქონდრის კაცები, ჭიაღუა ადამიანები ამბობენ, რომ არ უნდა ვლანძღავდეთ ავაზაკთა და არამზადათა ამ ხროვას, რომელიც ჩვენ გვმართავსო».

როცა ლიბერალმა ტურგენევმა კერძო წერილი მისწერა ალექსანდრე II-ეს, არწმუნებდა მას თავის უქვეშევრდომილეს გრძნობებში და ორი ოქრო შესწირა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობისას დაჭრილი ჯარისკაცებისათვის, «კოლოკოლი» წერდა «თმაჭაღარა მაგდალინელზე (მამრობითი სქესისა), რომელმაც ხელმწიფეს მისწერა, ძილი აღარა მაქვს და ვიტანჯები იმის გამო, რომ ხელმწიფემ არ იცის, როგორ მოვინანიე ცოდვაო». და ტურგენევმა მაშინვე იცნო თავი.

როცა რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ერთბაშად ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვისათვის, როცა მთელმა «განათლებულმა საზოგადოებამ» ზურგი შეაქცია «კოლოკოლს», გერცენი არ შემდრკალა. იგი განაგრძობდა პოლონეთის თავისუფლების დაცვას და ალექსანდრე II-ის მსახურ დამწყნარებელთა, ჯალათთა, ჩამომხრჩობთა გამათრახებას. გერცენმა იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება. «ჩვენ ვიხსენით რუსის სახელის ღირსება — სწერდა იგი ტურგენევს — და ამისათვის დავისაჯეთ მონური უმრავლესობისაგანო».

როცა მოდიოდა ცნობა, რომ ყმა გლეხმა მემამულე მოკლა საცოლისათვის ნამუსის ახდის ცდის გამოო, გერცენი «კოლოკოლში» დასძენდა ხოლმე: «ძალიან კარგადაც მოქცეულაო!». როცა იუწყებოდნენ, სამხედრო უფროსების თანამდებობას აწესებენ «მშვიდი» «განთავისუფლებისათვისო», გერცენი წერდა: «პირველი ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელიც თავისი რაზმით გლეხებს მიემხრობა, ნაცვლად იმისა, რომ ახრჩობდეს მათ, რომანოვთა ტახტზე დაჯდებაო». როცა პოლ-

ქოვნიკმა რეიტერნმა თავი მოიკლა ვარშავაში (1860 წელს), რომ ჯალათების დამხმარე არ გამხდარიყო, გერცენი წერდა: «თუ დახვრეტაა, უნდა დახვრიტო ის გენერლები, რომლებიც ბრძანებას იძლევიან ესროლონ უიარაღოებსო». როცა ბეზდნაში 50 გლეხი დახოცეს და მათი მეთაური ანტონ პეტროვი სიკვდილით დასაჯეს (1861 წლის 12 აპრილს), გერცენი «კოლოკოლში» წერდა:

«ო, ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდე მოღწევა, რუსეთის მშრომელო და ტანჯულო!.. როგორ გასწავლიდი შეიზიზღო შენი სულიერი მოძღვარნი, რომლებიც დაგიყენეს პეტერბურგის სინოდმა და გერმანელმა მეფემ... შენ გძულს მემამულე, გძულს მოხელე, გეშინია მათი — და სავსებით მართალი ხარ; მაგრამ ჯერ კიდევ გჯერა მეფისა და მღვდელმთავრისა... ნუ გჯერა მათი. მეფე მათთანაა, და ისინი მისი ხალხია. მას ხედავ შენ ახლა, შენ, ბეზდნაში მოკლული პაბუკის მამავ, შენ, პენზაში მოკლული მამის შვილო... შენი მოძღვარნი შენსავით უმეცარნი, შენსავით ღარიბნი არიან... ასეთი იყო სხვა ანტონი (არა ეპისკოპოსი ანტონი, არამედ ბეზდნელი ანტონი), რომელიც ყაზანში შენი გულისათვის აწამეს... შენი წმინდანების სხეულები ორმოცდარვა სასწაულს ვერ მოახდენენ, მათდამი ლოცვა მტკივან კბილებს ვერ განკურნავს; მაგრამ მათმა ცოცხალმა ხსოვნამ შეიძლება მოახდინოს ერთი სასწაული — შენი განთავისუფლება».

აქედან ჩანს, რა საზიზღრად და სულმდაბლად სწამებენ ცილს გერცენს მონურ «ლეგალურ» პრესაში მოკალათებული ჩვენი ლიბერალები, რომლებიც განადიდებენ გერცენის სუსტ მხარეებს და ჩქმალავენ მის ძლიერ მხარეებს. გერცენის ბრალი კი არა, მისი უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში 40-იან წლებში. როცა მან დაინახა იგი 60-ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი — იგი უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა.

აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები

და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და «ნაროდნაია ვოლიას» გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. «მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები» — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას.

აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას; — სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; — სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას. ამ გაკვეთილებით გამდიდრებული, პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ყველა ქვეყნის სოციალისტ მუშებთან თავისუფალი კავშირისაკენ, გასრესს იმ ქვეწარმავალს, მეფის მონარქიას, რომლის წინააღმდეგაც გერცენმა პირველმა აღმართა ბრძოლის დიადი დროშა მასებისადმი მიმართული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი რ უ ს უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ *.

---

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, მე-4 გამოც., გვ. 11 — 19.

დილეტანტიზმი მეცნიერებაში

წერილი პირველი

ჩვენ ვცხოვრობთ ორი სამყაროს მიჯნაზე: ამის გამოა ცხოვრება განსაკუთრებით სამძიმო და საძნელო მოაზროვნე ადამიანთათვის. ძველი შეხედულებანი, ყველა წარსული მსოფლმხედველობა ძირშერყეულია, მაგრამ ისინი ძვირფასია გულისათვის. მრავლისმომცველმა და დიადმა ახალმა შეხედულებებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ნაყოფის გამოღება; პირველი ფოთლები და კვირტები წინასწარმეტყველებენ ძალოვან ყვავილებზე; მაგრამ ეს ყვავილები არ ჩანან, და ისინი უცხოა გულისათვის. ბევრი ადამიანი დარჩა ისე, რომ არც წარსული შეხედულებები გააჩნია და არც ახლანდელი. ზოგიერთმა მექანიკურად აურია ერთმანეთში ძველი და ახალი და კაეშნიან ბინდბუნდში გაეხვია. ზერელე ადამიანები ასეთ შემთხვევაში ყოველდღიურ ფუსფუსს ეძლევიან; გონებით მჭვრეტელი ადამიანები იტანჯებიან: რაც უნდა დაუჯდეთ ეძებენ შერიგებას, იმიტომ რომ ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება შინაგანი განხეთქილებით, ზნეობრივი ყოფის ქვაკუთხედის გარეშე. ამავე დროს საყოველთაო შერიგება აზროვნების სფეროში მსოფლიოს აუწყა მეცნიერებამ. და შერიგებას მოწყურებულნი ორად გაიყვნენ: ერთ ბანაკს არ სჯერა მეცნიერების, არ სურს ხელი მოჰკიდოს მის შესწავლას,

არ სურს გამოარკვიოს, თუ რატომ ლაპარაკობს მეცნიერება ასე, არ სურს იაროს მეცნიერების ძნელი გზით; «ჩვენი მტკივნეული სული, — ამბობენ ისინი, — მოითხოვს ნუგეშისცემას, ხოლო მეცნიერება, როდესაც მას მხურვალედ სთხოვენ პურს, იძლევა ქვას, როდესაც მას ესმის დაფლეთილი გულის კვნესა და გოდება, ესმის მისი ტირილი, მაეედრებელი თანამგრძნობისა,—იგი სთავაზობს ცივ გონებასა და ზოგად ფორმულებს; თავისი ლოგიკური მიუდგომლობით იგი თანაბრად არ აკმაყოფილებს არც პრაქტიკულ ადამიანებს, არც მისტიკოსებს. იგი განზრახ ლაპარაკობს ძნელად გასაგები ენით, რათა სქოლასტიკის ტყეში დამალოს ძირითადი აზრების სიმშრალე—elle n'a pas d'entrailles*. მ ე ო რ ე ბ ა ნ ა კ მ ა კი, სრულიად პირიქით, იპოვა გარეგნული შერიგება და ყველაფრის პასუხი რომელიღაც უკანონო პროცესით, შეითვისა რა მეცნიერების ანბანი ისე, რომ მის ცოცხალ სულს არც კი შეეხო. ესენი იმდენად ზერელენი არიან, რომ მათ ყველაფერი ერთობ იოლი ეჩვენებათ; მათ იციან ყოველი საკითხის გადაწყვეტა; როცა მათ უსმენთ, გგონიათ, რომ მეცნიერებას თითქოს მეტი აღარაფერი დარჩა საკეთებელი; მათ თავისი ყურანი აქვთ, მათ სწამთ ის და იქედან ადგილებს იმოწმებენ როგორც საბოლოო დამამტკიცებელ საბუთებს. ეს მაჰმადიანები მეცნიერებაში[2] დიდ ზიანს აყენებენ მეცნიერების წარმატებას. ჰაინრიხ IV[3] ამბობდა: «განგებამ ოღონდ მეგობრებისაგან დამიფაროს, მტრებს კი თვითონვე გავუმკლავდებიო»; მეცნიერების ასეთი მეგობრები, რომლებიც ზოგიერთს თვით მეცნიერება ჰგონია, ამართლებენ მეცნიერების მტრების სიძულვილს მეცნიერებისადმი; — და მეცნიერება რჩეულთა მცირე რიცხვის ხელში რჩება.

მაგრამ, თუნდაც იგი ერთი კაცის ხელში იყოს, ის მაინც ფაქტია, მაინც უდიდესი მოვლენაა არა შესაძლებლობაში, არამედ სინამდვილეში; მოვლენის უარყოფა არ შეიძლება. ასეთი ფაქტები არასდროს არ ხდება უდროოდ; მეცნიერე-

---

* მას არა აქვს მგრძნობიარობა, გულშემატკივრობა (ფრანგ.). — რ ე დ.

ბისათვის დრო დადგა, მან მიაღწია თავის ჭეშმარიტ ცნებას; ადამიანის სულის წინაშე, რომელსაც გავლილი და გამოცდილი აქვს თვითშემეცნების კიბის ყველა საფეხური, დაიწყო გახსნა ჭეშმარიტებამ მწყობრი მეცნიერებისებური ორგანიზმისა და ამავე დროს ცოცხალი ორგანიზმის სახით. მეცნიერებას მომავალი აქვს და ამ მხრივ საშიში არაფერია. მაგრამ საბრალოა ის თაობა, რომელსაც დღის სრული სინათლე თუ არა, დილის რიჟრაჟი ალბათ მაინც უდგას, მაგრამ იტანჯება სიბნელეში ან თავს ირთობს უბრალო რამეებით იმის გამო, რომ აღმოსავლეთისაკენ ზურგშექცეული დგას. რისთვის არიან განდევნილნი ისინი, რომლებიც ორივე ქვეყნის სიკეთისაგან განილტვიან: იმ წარსული მკვდარი ქვეყნის სიკეთისაგანაც, რომელსაც ისინი გარდასულ ჟამთაგან ზოგჯერ გამოიწვევენ ხოლმე, მაგრამ ის სუდარაში გახვეული ეცხადება მათ, — და დღევანდელი ქვეყნის სიკეთისაგანაც, რომელიც მათთვის არ დაბადებულა?

მასები ფილოსოფიას ახლა ვერ მიიღებენ. ფილოსოფია როგორც მეცნიერება გულისხმობს თვითაზროვნების განვითარების გარკვეულ დონეს, თვითაზროვნებისა, ურომლისოდაც ფილოსოფიის სფეროში ასვლა არ შეიძლება. მასებისათვის სრულიად მიუწვდომელია უსხეულო გონებითი ჭვრეტა; ისინი ღებულობენ იმას, რასაც სხეული აქვს. ხოლო იმისათვის, რომ საყოველთაო შეგნებაში გადავიდეს, თავისი ხელოვნური' ენა დაკარგოს, და იქცეს მოედნისა და ოჯახის კუთვნილებად, ყველასი და თვითეულის მოქმედებისა და თვალთახედვის ცოცხალ საწყისს წყაროდ, — ამისათვის ფილოსოფია ერთობ ახალგაზრდაა, მას ჯერ კიდევ არ შეეძლო ჰქონოდა ასეთი განვითარება ცხოვრებაში, მას ბევრი საქმე აქვს თავის სახლში, აბსტრაქტულ სფეროში; მიუხედავად იმისა, რომ ფორმა გამომუშავებულია, რომ სავსეა ზინაარსი, რომელიც ამ ფორმაში იშლება და ვითარდება, მიუხედავად თავისთვის ნათელი და გამჭვირვალე დიალექტიკური მეთოდისა, მაჰმადიანი ფილოსოფოსების გარდა, არავინ ფიქრობს, რომ მეცნიერებაში ყველაფერი შესრულებულია. მაგრამ მა-

სებისათვის თუ მიუწვდომელია მეცნიერება, მათ შეგნებამდე არც სიცარიელის შემხეთავი მდგომარეობისა და დაძაბული, შმაგი პიეტიზმის ტანჯვანია მისული. მასები არ არიან ჭეშმარიტების მიღმა; მათ იციან იგი ღვთაებრივი ზეშთაგონებით. უბედურ და უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან ის ადამიანები, რომლებიც მოეჭცნენ მასების ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი უბრალოებისა და მეცნიერების გ ო ნ ი ვ რ უ ლ ი უბრალოების შუაში.

ამჯერად, დაე, ნება დაგვერთოს ჩვენ, არ დავარღვიოთ რამდენიმე ხნით მყუდროება კვიეტიზმისაც, რომელშიც ნებივრობენ ფორმალისტები, და მხოლოდ თანამედროვე მეცნიერების მტრებზე ვილაპარაკოთ; ისინი ჩვენ გვესმის დილეტანტებისა და რომანტიკოსების საერთო სახელწოდებით. ფორმალისტები არ იტანჯებიან, ესენი კი ავადმყოფები არიან, — მათ ცხოვრება ეზიზღებათ.

კაცმა რომ თქვას, მტრები მეცნიერებას ევროპაში არც კი ჰყავს, გარდა რაღაც კასტებისა, რომლებიც თავიანთ უკანასკნელ დღეებს უაზრობაში ამთავრებენ და ისინიც კი იმდენად სულელური არიან, რომ მათ არავინ ელაპარაკება. დილეტანტებიც საერთოდ — მეცნიერების მეგობრებია. nos amis les-ennemis*, როგორც ბერანჟე ამბობს, მაგრამ ისინი მტრებია მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისა. ყველა ისინი გრძნობენ წაფილოსოფოსების მოთხოვნილებას, მაგრამ წაფილოსოფოსება, სხვათა შორის, ადვილი და სასიამოვნოა განსაზღვრულ ფარგლებში; ამათ ეკუთვნიან ნაზი და მეოცნებე არსებანი, შეურაცხყოფილნი ჩვენი საუკუნის დადებითი ხასიათით; მათ სწყურიათ თავიანთი სათნო, მაგრამ აუხდენელი ფანტაზიების განხორციელება ყველგან; ისინი მათ განხორციელებას ვერ პოულობენ მეცნიერებაშიც, ამიტომ ზურგს აქცევენ მას და, პირადი სასოებისა და იმედების ვიწრო სფეროთი შემოფარგლულნი, უნაყოფოდ იფიტებიან რაღაცნაირ

* ჩვენი მტერ-მოყვარენი (ფრანგ.). — რ ე დ.

ბურუსიან შორეთში. და, მეორე მხრივ, ამათ ეკუთვნიან პოზიტივიზმის თავგამოდებული თაყვანისმცემლებიც, რომლებმაც წვრილმანების გამოკიდებით დაკარგეს სული და ჯიუტად დგანან განსჯითი თეორიებისა და ანალიტიკური გვამთგამკვეთელობის პოზიციებზე. დაბოლოს, ამ მიმართულების ბრბო შედგება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან გამოსულან და წარმოუდგენიათ, რომ მეცნიერება ადვილი საქმეა (მათი გაგებით), რომ საკმაოა მოისურვო გაგება და გაიგებ, ნამდვილად კი მეცნიერება მათ ვერ შეითვისეს; სწორედ ამიტომ გაბრაზდნენ ისინი მეცნიერებაზე; მათ არ გამოჰყოლია არც განმტკიცებული ნიჭიერება, არც მუდმივი შრომა და არც სურვილი იმისა, რომ რაიმე მსხვერპლი გაიღონ ჭეშმარიტებისათვის. მათ გასინჯეს ნაყოფი ხისა ცნობადისა და ნაღვლიანად იგემეს მისი სიმჟავე და სიდამპლე; ესენი გვანან იმ გულმოწყალე ადამიანებს, რომლებიც ცრემლმორეულნი ლაპარაკობენ მეგობრის მანკიერებათა შესახებ,—და კეთილ ადამიანებს სჯერათ მათი, რადგან ისინი მეგობრები არიან.

დილეტანტების ახლოს თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიან რომანტიკოსები, წარსულის დაგვიანებული წარმომადგენლები, რომლებიც ღრმა მწუხარებით მისტირიან განსვენებულ ქვეყანას, რომელიც მათ მარადიული ეგონათ; მათ არ სურთ საქმე იქონიონ ახალთან ისე, თუ ხელში შუბი არ უჭირავთ; შუა საუკუნეების გადმოცემათა ერთგულნი, ისინი, დონ-კიხოტსა ჰგვანან, და მწუხარებისა და ჭმუნვის სამოსელში გახვეულნი, ადამიანთა დიდ დაცემაზე გოდებენ. ისინი სხვათა შორის, მზად არიან ცნონ მეცნიერება, მაგრამ ამისათვის მოითხოვენ — მეცნიერებამ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიიჩნიოს, რომ დულცინეა ტობოზელი—უპირველესი მზეთუნახავია. დადგა დრო, როცა გატაცებისა და ცრურწმენების გარეშე უნდა ვუყუროთ ადამიანებს; იწყება სრულწლოვანება, და ამიტომ არა მარტო ტკბილი უნდა ითქვას, არამედ მწარეც. ამისათვის საჭიროა ვთქვათ სიტყვა მეცნიერების დილეტანტების წინააღმდეგ იმიტომ, რომ ისინი ცილს სწამებენ მეცნიე-

რებას და იმიტომაც, რომ ისინი საბრალონი არიან; ბოლოს, ყველაზე მეტად საჭიროა ვილაპარაკოთ მათ შესახებ ჩ ვ ე ნ შ ი.

რუსული ხასიათის ერთ-ერთი არსებითი ღირსებაა — საოცარი სიადვილით მიღება და შეთვისება სხვისი შრომის ნაყოფისა. და არა მარტო სიადვილით, არამედ ხელმარჯვედაც: ამაში მდგომარეობს ჩვენი ხასიათის ერთ-ერთი მეტად ჰუმანური მხარე. მაგრამ ეს ღირსება ამასთან ერთად საგრძნობი ნაკლიც არის: ჩვენ იშვიათად შეგვწევს გამძლე და ღრმა შრომის უნარი. ჩვენ მოგვეწონა სხვისი ხელით ნარის გლეჯა; ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ეს ასეც უნდა იყოს, რომ ევროპა სისხლითა და ოფლით ახდენდეს ყოველი ჰეშმარიტებისა და აღმოჩენის გამომუშავებას: მძიმე ორსულობის, ძნელი მშობიარობის და არაქათგამომცლელი ძუძუს წოვების ყველა ტანჯვა მას ჰქონდეს, ბავშვი კი ჩვენ გვყავდეს. ჩვენ მხედველობიდან გაგვეპარა, რომ ბავშვი ნაშვილევი იქნება, რომ ორგანული კავშირი ჩვენსა და მას შორის არ არის... ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ როდესაც ჩვენ მივუახლოვდით თანამედროვე მეცნიერებას, მის შეუპოვრობას უნდა განვეცვიფრებინეთ ჩვენ. ეს მეცნიერება ყველგან ისე გრძნობს თავის თავს, თითქოს შინ იყოს, მხოლოდ იგი აოსად არ იძლევა სამკალს, სადაც დათესილი არ არის; იგი არა მარტო ყოველ მიმღებ ხალხში, არამედ ყოველ პიროვნებაში უნდა გაღვივდეს და აღმოცენდეს. ჩვენ გვინდოდა მიგვეღო შედეგი, დაგვეჭირა იგი ისე, როგორც ბუზს იჭერენ, და როდესაც მუშტს გავშლით, ჩვენ ან თავს ვატყუილებთ იმით, რომ ვფიქრობთ, აბსოლუტური ხელში გვიჭირავსო, ან გულნატკენი ვხედავთ, რომ ხელი ცარიელია. საქმე იმაშია, რომ ეს მეცნიერება არსებობს როგორც მეცნიერება, და მაშინ მას დიადი შედეგი აქვს; ხოლო შედეგი ცალკე სრულიადაც არ არსებობს; ასევე, ცოცხალი ადამიანის თავი სავსეა აზრებით, სანამ ივი მიმაგრებულია ტანზე, ხოლო უტანოდ თავი ცარიელი ფორმაა. ყოველივე ამას გაცილებით მეტად უნდა გაეკვირვებინა და შეურაცხეყო ჩვენებური დილეტანტები, ვიდრე უცხოელი დილეტანტები, რადგან ჩვენში

გაცილებით ნაკლებ არის განვითარებული მეცნიერების ცნება და მისი გზები. ჩვენმა დილეტანტებმა ტირილით დაადასტურეს, რომ ისინი მოტყუვდნენ დასავლეთის ცბიერ მეცნიერებაში, რომ მისი შედეგები ბუნდოვანი და ორეულ-დარეულია, თუმცა არის რიგიანი აზრებიც, რომლებიც ეკუთვნის «ამასა და ამას». ასეთი სიტყვები ჩვენში მავნებელია, იმიტომ რომ არ არსებობს ისეთი სისულელე და დაბავსებულობა, რასაც არ ამბობდნენ განმაცვიფრებელი დაბეჯითებით ჩვენი დილეტანტები, ხოლო მსმენელები მზად არიან ირწმუნონ იმის გამო, რომ ჩვენში არ დადგენილა თვით ყველაზე ზოგადი წარმოდგენებიც კი მეცნიერებაზე; არიან წინასწარი ჭეშმარიტებანი, რომლებიც გერმანიაში, მაგალითად, წინ მიდიან, ჩვენში კი ასეთი ჭეშმარიტებანი არ არსებობენ, ამ ჭეშმარიტებათა შესახებ იქ უკვე აღარავინ ლაპარაკობს; ჩვენში კი ჯერ არავის ულაპარაკნია მათ შესახებ. დასავლეთში ომი თანამედროვე მეცნიერების წინააღმდეგ წარმოადგენს ხალხის სულისკვეთების გარკვეულ ელემენტებს, რომლებიც საუკუნეებით ვითარდებოდნენ და განმტკიცდნენ უდრეკ თვითმყოფობაში; მათ უკან სვლის საშუალებას არ აძლევენ მოგონებები: ასეთები, მაგალითად, გერმანიაში პიეტისტები[4] არიან, წარმოშობილნი პროტესტანტიზმის ცალმხრიობით. როგორი სავალალოც არ უნდა იყოს მათი მდგომარეობა იმის გამო, რომ ისინი თანამედროვე ცხოვრებიდან განიდევნებიან, მაინც არ შეიძლება უარყოფილ იქნას, რომ მათ აქვთ მოქნილობის და თანამიმდევრობის განსაკუთრებული ხასიათი, რითაც ისინი თავგანწირულ ბრძოლას ეწევიან. ჩვენი დილეტანტები, თუკი იღებენ ამ უცხოურ ავადმყოფობას, არ გააჩნიათ რა წინამორბედი ფაქტები, გვაკვირვებენ თავიანთი ზერელობითა და უგუნურებით. მათ არ რცხვენიათ უკან დახევისა, იმიტომ რომ ჯერ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ წინ. ისინი ყოველთვის იყვნენ უქმად მოხეტიალენი მეცნიერების ტაძრის დერეფანში — მათ არ აქვთ თავისი სახლი. და მათ რომ შეეძლოთ აღმოსავლური სიზარმაცის დაძლევა და მეცნიერებისათვის ნამდვილად ყურადღების მიქცევა, მაშინ ისინი

შეურიგდებოდნენ მას. მაგრამ უბედურებაც ამაშია. ჩვენ ვბრაზდებით მეცნიერებაზე სრულწლოვანების დროს ისე, როგორც გრამატიკაზე ვბრაზდებოდით, როდესაც რვა წლისა ვიყავით. სიძნელე, ბუნდოვანება — მთავარი ბრალდებაა; ამას, როგორც არსებითს, ზედ ერთვის სხვა საწინააღმდეგო მოსაზრებანიც: პოეტური, მორალური, პატრიოტული და სანტიმენტალური. გოეთემ უკვე დიდი ხანია თქვა: «როდესაც წიგნის ბუნდოვანებაზე ლაპარაკობენ, საჭიროა ვიკითხოთ, წიგნშია ბუნდოვანობა თუ თავში». საერთოდ მუდამ სიძნელის მოშველიება—ეს არის ზარმაცი კაცის საქმე და შეუფერებელი რამ, რაც შეკამათების ღირსიც არ არის *. მართალია, მეცნიერების შეთვისება უშრომლად შეუძლებელია; მეცნიერებაში არ არსებობს შეძენის სხვა წესი, გარდა ოფლის ღვრისა. ვერც აღტაცებანი, ვერც ფანტაზიები და ვერც მთელი გულით მისწრაფებანი ვერ შეცვლიან შრომას. მაგრამ შრომის გაწევა არ სურთ და თავს ინუგეშებენ იმ აზრით, რომ თანამედროვე მეცნიერება არის დამუშავება მასალებისა, რომ საჭიროა არაადამიანური ჯაფა იმისათვის, რათა ის გავიგოთ, და რომ მალე ციდან ჩამოვარდება ან მიწის ქვეშეთიდან ამოვა სხვა, ა დ ვ ი ლ ი მეცნიერება.

«ძნელია, გაუგებარია!» მაგრამ საიდან იციან ეს? განა მეცნიერების გარეშე შეიძლება იცოდეთ მისი სიძნელის ხარისხი? განა მეცნიერებას არ აქვს ფორმალური საწყისი, რომელიც ადვილია სწორედ იმიტომ, რომ ის საწყისია, რომ ის რაღაც განუვითარებელი ზოგადობაა? მეორე მხრივ, ისინი მართალნი არიან, როდესაც მიუთითებენ — გასაგები არ არისო, უფრო მართალი არიან, ვიდრე თვით ფიქრობენ. თუ ღრმად ჩავსწვდებით, რატომ არის, რომ, მიუხედავად დიდი სურვილისა და მისწრაფებისა ჭეშმარიტებისადმი, ბევრი მეცნიერებას მაინც ვერ ითვისებს, — მაშინ, ჩვენ დავინახავთ, რომ ამის არსებითი, მთავარი და საყოველთაო მიზეზი ერთია:

* ჩვენში, თუ გნებავთ, არის კიდევ უფრო სულელური ბრალდება მეცნიერებაზე: რატომ ხმარობს ის უცნობ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს. მაგრამ ვისთვის უცნობს?.. — ა. გ.

მათ არ ესმით მეცნიერება და არ ესმით ის, თუ რა სურთ მისგან. გვეტყვიან: ვილასთვისაა მეცნიერება, თუ ადამიანებს, რომელთაც უყვართ ის და მიისწრაფვიან მისკენ, არ ესმით ის?! გამოდის, რომ იგი, როგორც ალქიმია, არსებობს მხოლოდ ადეპტებისათვის, რომელთაც აქვთ მისი იეროგლიფური ენის გასაღები? არა; თანამედროვე მეცნიერება შეუძლია გაიგოს ყველამ, ვისაც აქვს ცოცხალი სული, აქვს თავგანწირულება და ვინც მას უბრალოდ უდგება. საქმეც იმაშია, რომ ყველა ეს ვაჟბატონი მას უდგება იკლიკანტურად, «ქვენა აზრებით»; აწარმოებენ მის გამოცდას, უყენებენ მას მოთხოვნებს და თვითონ კი არავითარ მსხვერპლს არ იღებენ მისთვის; და მეცნიერებაც მათთვის — თუნდაც ისინი გველივით ბრძენნი იყვნენ — რჩება უაზრო ფორმალიზმად, ლოგიკურ casse-tête *, რომელიც არავითარ არსს არ შეიცავს.

პირად შეხედულებებზე უარისთქმა ნიშნავს ჭეშმარიტების აღიარებას: სანამ ჩემი პიროვნება ექიშპება ჭეშმარიტებას, ჩემი პიროვნება, აყოლილი მხოლოდ თვითნებობას, ზღუდავს ჭეშმარიტებას, ხრის, ღუნავს და თავის მორჩილს ხდის მას. მათთვის, ვინც პირად შეხედულებებს ინარჩუნებენ, ძვირფასია არა ჭეშმარიტება, არამედ ის, რასაც ისინი ჭეშმარიტებას უწოდებენ. მათ უყვართ არა მეცნიერება, არამედ ბუნდოვანი, გაურკვეველი მისწრაფება მისკენ; ამ მისწრაფებაში ისინი ხალვათად გრძნობენ თავს იმისათვის, რომ იოცნებონ და თავის თავს აამონ. სიბრძნის ამ მაძიებლებმა, თვითეულმა თავის ბილიკზე, ისე დიდად შეაფასეს თავიანთი ღვაწლი, ისე შეიყვარეს თავიანთი ჭკვიანი პიროვნება, რომ არ შეუძლიათ დათმონ იგი. იყო დრო, როდესაც ადამიანს ბევრი რამ ეპატიებოდა იმისათვის, რომ მას ჰქონდა მარტო მისწრაფება, მარტო სიყვარული მეცნიერებისა; ეს დრო წავიდა; ახლა ცოტაა მარტო პლატონური სიყვარული: ჩვენ რეალისტები ვართ; ჩვენ გვესაჭიროება, რომ სიყვარული იქცეს მოქმედებად. რა აიძულებს

* თავსატეხად (ფრანგ.). — რ ე დ.

ადამიანებს, რომ ასე ჯიუტად ჩაებღაუჭონ პირად შეხედულებებს? — ეგოიზმი. ეგოიზმს ეზიზღება საყოველთაო, იგი ადამიანს წყვეტს კაცობრიობას, აყენებს მას განსაკუთრებულ მდგომარეობაში; მისთვის ყველაფერი უცხოა, გარდა თავისი პიროვნებისა. მას ყველგან თან დააქვს თავისი ავთვისებიანი ატმოსფერო, რომელშიც ვერ ატანს ნათელი შუქი ისე, თუ არ დამახინჯდდა. ეგოიზმთან ხელიხელ ჩაკიდებული მიდის ამაყი ქედმაღლობა; მეცნიერების წიგნს თავხედური ქარაფშუტობით გადაშლიან ხოლმე. ჭეშმარიტების პატივისცემა — დიდი სიბრძნის დასაწყისია.

ფილოსოფიის მდგომარეობა მის მოტრფიალეთა მიმართ უოდისეოდ დარჩენილ პენელოპას მდგომარეობაზე უკეთესი როდია: ფილოსოფიას არავინ არ მფარველობს — არც ფორმულები, არც ფიგურები, როგორც მათემატიკას, არც ის მესერი, რომელსაც სპეციალური მეცნიერებანი გარს ავლებენ ხოლმე თავიანთ ბოსტნებს. ფრიად დიდი ყოვლისმომცველობა ფილოსოფიას გარედან ხელმისაწვდომობის სახეს აძლევს. რაც უფრო ყოვლისმომცველია აზრი და რაც უფრო მტკიცეა ის ზოგადობაში, მით უფრო ადვილია იგი ზერელე გაგებისათვის, იმიტომ რომ შინაარსის კერძოობანი მასში განვითარებული არ არის, და იმის გუმანიც კი არა აქვთ, რომ ეს კერძოობანი არსებობენ. როდესაც ნაპირიდან გაჰყურებთ ზღვის სარკისებურ ზედაპირს, შეიძლება გიკვირდეთ მცურავთა სიმხდალე; ტალღათა სიმშვიდე გავიწყებთ მათ სიღრმესა და სიხარბეს, — ისინი ბროლი ან ყინული გგონიათ. მაგრამ მცურავმა იცის, შეიძლება თუ არა ენდოს ამ სიცივესა და სიმშვიდეს. ფილოსოფიაში, ისე როგორც ზღვაში, არ არის არც ყინული და არც ბროლი: ყველაფერი მოძრაობს, მიმდინარეობს, ცოცხლობს, ყოველი წერტილის ქვეშ ერთგვარი სიღრმეა; მასში, როგორც ქურაში, დნება ყოველი მაგარი და გაქვავებული, რაც კი მის უსაწყისო და უსასრულო წრებრუნვაში მოექცევა, და, ისე როგორც ზღვაში, აქაც ზედაპირი სწორი, წყნარი, ნათელი და უსაზღვრო არის, შიგ ცა ეხატება. ამ ოპტიკური ცდუნების გამო,

დილეტანტები მას გაბედულად უდგებიან ისე, რომ არ აქვთ ჭეშმარიტების შიში და კაცობრიობის მემკვიდრეობითი შრომის პატივისცემა, კაცობრიობისა, რომელმაც დაახლოებით სამი ათასი წელი იმუშავა, რათა ახლანდელ განვითარებამდე მოსულიყო. არ კითხულობენ გზებს, გულაგდებულად და ზერელედ სწავლობენ საწყისს, ფიქრობენ, რომ იციან ის; არ კითხულობენ, თუ რა არის მეცნიერება, რა უნდა მოგვცეს მან, ხოლო მოითხოვენ, რომ მეცნიერებამ მათ მისცეს ის, რაც მათ მოეპრიანებათ. ბუნდოვანი წინათგრძნობა ამბობს, რომ ფილოსოფიამ უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი, შეარიგოს, დაამშვიდოს; ამის გამო მისგან მოითხოვენ მათი შეხედულებების, ყოველგვარი ჰიპოთეზების დამამტკიცებელ საბუთებს, ნუგეშს წარუმატებლობის დროს და, ღმერთმა უწყის, რას არ მოითხოვენ. მკაცრი, პათოსისა და პიროვნებებისაგან განმდგარი ხასიათი მეცნიერებისა ანცვიფრებს მათ; ისინი გაოცებულნი არიან. მათ მოლოდინი არ გაუმართლდათ: აიძულებენ იშრომონ და იშრომონ ნამდვილად იქ, სადაც ისინი მოსვენებას ეძებდნენ, მეცნიერება უკვე აღარ მოსწონთ; ისინი იღებენ ცალკეულ შედეგებს, რომელთაც არავითარი აზრი არა აქვთ იმ ფორმით რა ფორმითაც ისინი იღებენ; ისინი ამ შედეგებს სამარცხვინო ბოძზე აკრავენ და მათი სახით მეცნიერებას ამათრახებენ. შეხედეთ, თვითეულს თავისთავი მიაჩნია შემძლებელ მოსამართლედ, რადგან თვითეული დარწმუნებულია თავის ჭკუასა და თავის უპირატესობაში მეცნიერებაზე, თუნდაც მარტო შესავალი ჰქონდეს წაკითხული. «არ არის ქვეყნად ადამიანი, — ამბობს ერთი დიდი მოაზროვნე, — რომელიც ფიქრობდეს, რომ შეიძლება ბაშმაკების კერვა ამ ხელობის შეუსწავლელად, თუმცა ყოველ ადამიანს აქვს ფეხი — ზომა ბაშმაკისა. ფილოსოფია ამ უფლებასაც ვერ ინაწილებს». პირადი შეხედულებები საბოლოო, უაპელაციო სამსჯავროა. მაგრამ საიდან მოდიან ეს შეხედულებები? — მშობლებისაგან, ძიძებისაგან, სკოლისაგან, კეთილი და არა კეთილი ადამიანებისაგან და თავისი შეძლებისადაგვარი ჭკუისაგან. «ყოველ ადამიანს თავისი ჭკუა აქვს, — რა

საქმეა, თუ როგორ ფიქრობენ სხვები». ეს რომ თქვა იმ დროს, როდესაც ლაპარაკია არა ყოველდღიური ცხოვრების ცარიელ შემთხვევითობებზე, არამედ მეცნიერებაზე, — ან გენიოსი უნდა იყო ან შეშლილი. გენიოსები ცოტანი არიან, ეს სენტენცია კი ხშირად მეორდება. სხვათა შორის, თუმცა მე მესმის შესაძლებლობა გენიოსისა, რომელიც წინ უსწრებს თანამედროვეთა გონებას (მაგალითად, კოპერნიკი) იმგვარად, რომ მისგან მომდინარე ჭეშმარიტება ეწინააღმდეგება საერთოდ მიღებულ აზრს, მაგრამ მე არ ვიცი არც ერთი დიდი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, რომ ყველა ადამიანს ჭკუა თავისთვის აქვს, ხოლო თვითონ მასაც თავისთვის: ფილოსოფიისა და მოქალაქეობრიობის მთელი საქმე იმაშია, რომ ყველა თავში ერთი ჭკუა გახსნას. გონებათა ერთიანობაზე ეფუძნება კაცობრიობის მთელი შენობა; ადამიანები მხოლოდ მდაბალ, წვრილმან და წმინდა ცხოველურ სურვილებში ეთიშებიან ერთმანეთს. ამავე დროს საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამგვარ სენტენციებს მართებულად აღიარებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ლაპარაკია ფილოსოფიასა და ესთეტიკაზე. სხვა მეცნიერებათა ობიექტური მნიშვნელობა, თვით ბაშმაკების ხელობისაც კი, დიდი ხანია აღიარებულია. ყველას თავისი ფილოსოფია და თავისი გემოვნება აქვს. კეთილ ადამიანებს ფიქრადაც კი არ მოსდით, რომ ეს ნიშნავს ფილოსოფიისა და ესთეტიკის გადაჭრით უარყოფას. აბა, რა არის მათი არსებობა, თუ ისინი ყოველი გამვლელ-გამომვლელზე არიან დამოკიდებული და ყოველი გამვლელ-გამომვლელის გამო იცვლებიან? მიზეზი ერთია: მეცნიერებისა და ხელოვნების საგანს ვერც თვალი ხედავს, ვერც კბილი იქერს. სული პროტეუსია; იგი ადამიანისათვის ის არის, რაც ადამიანს მასში ესმის და რამდენადაც ესმის; თუ სრულიად არ ესმის— იგი არ არის, მაგრამ არ არის ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს და არა კაცობრიობისათვის, არა თავისთვის. იუმი[5], კითხულობს რა ბიუფონის[6] რომელიღაც ჰიპოთეზას, თავის საუკუნის sui generis* გულუბრიყვლობით ამბობს: «საოცარია,

* თავისებური (ლათ.). — რ ე დ.

მე თითქმის დარწმუნებული ვარ მისი სიტყვების უტყუარობაში, ის კი ლაპარაკობს ისეთ საგნებზე, რომლებსაც ადამიანის თვალი ვერ ხედავს». იუმისათვის, მაშასადამე, სული არსებობდა მხოლოდ თავის განსახიერებაში; ჭეშმარიტების კრიტერიუმი მისთვის — ცხვირი, ყურები, თვალები და პირია. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ იგი უარყოფდა კაუზალობას (მიზეზობრიობას)?

სხვა მეცნიერებანი გაცილებით უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე ფილოსოფიაა; მათ აქვთ საგანი, შეუვალი სივრცეში და არსებული დროში. ბუნებისმეტყველებაში, მაგალითად, არ შეიძლება ისე ინავარდო, როგორც ფილოსოფიაში. ბუნება ხილული კანონის სამეფოა; იგი არ იძლევა თავის თავზე ძალდატანების საშუალებას; ის ისეთ მამხილებელ საბუთებსა და პასუხებს გვიდგენს, რომელთა უარყოფა შეუძლებელია: მათ თვალი ხედავს და ყური ისმენს. ისინი, ვინც მას სწავლობენ, უეჭველად ემორჩილებიან მას, პიროვნება ჩახშობილია და მხოლოდ იმ ჰიპოთეზებში იჩენს თავს, რომლებიც ჩვეულებრივ საქმეს არ ეხება. ამ მხრივ მატერიალისტები მაღლა დგანან და შეიძლება მაგალითად გამოადგნენ მეოცნებეებს — დილეტანტებს: მატერიალისტებმა გაიგეს სული ბუნებაში და გაიგეს მხოლოდ როგორც ბუნება, მაგრამ ბუნების ობიექტურობის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მასში არ არის ჭეშმარიტი შერიგება, ქედი მოიხარეს; ამის გამო გამოჩნდნენ მათ შორის ისეთი ძლიერი ადამიანები, როგორიცაა ბიუფონი, კიუვე, ლაპლასი[7] და სხვ. რომელ თეორიას არ უარყოფს, რომელ პირად შეხედულებას არ შესწირავს ქიმია, თუ ცდა სხვა რამეს უჩვენებს? მას ფიქრადაც არ მოუვა, რომ თუთია შეცდომით მოქმედებს, რომ გვარჯილმჟავა — სისულელეა. ამავე დროს ცდა შემეცნების უღარიბესი საშუალებაა. იგი ფიზიკურ ფაქტს ემორჩილება; ხოლო არავინ არ ცნობს თავს მოვალედ სულისა და გონების ფაქტებს დაემორჩილოს; არ სურთ გაისარჯონ და შეიგნონ ისინი, მათ არ ცნობენ ფაქტებად. ფილოსოფიას უდგებიან თავიანთი პატარა ფილოსოფიით; ამ პატარა საოჯახო და

შინაურ ფილოსოფიაში დაკმაყოფილებულია ყველა ოცნება, ეგოისტური წარმოსახვის ყველა ჟინი. როგორ არ უნდა გაბრაზდნენ, როდესაც ფილოსოფია-მეცნიერებაში ყველა ეს ოცნება ფერმკრთალდება ფილოსოფიის გონიერული რეალიზმის წინაშე. პიროვნება ქრება იდეათა სამეფოში იმ დროს, როდესაც განცხრომისა და თავისთავის სიყვარულის წყურვილი გაიძულებს ყველგან ეძიო თავისთავი და მხოლოდ თავისთავი, როგორც ერთადი, როგორც მხოლოდ მე. მეცნიერებაში დილეტანტები პოულობენ მარტო საყოველთაოს — გონებას, აზრს, უპირატესად საყოველთაოს; მეცნიერებამ გადააბიჯა ინდივიდუალობას, შემთხვევითსა და დროებით პიროვნებებს, მეცნიერებამ ისინი მოიტოვა უკან, ასე რომ ისინი არც მოჩანან მისგან, მეცნიერებაში სრულწლოვანება და თავისუფლება მეფობს; სუსტი ადამიანები, წინასწარ გრძნობენ რა ამ თავისუფლებას, ცახცახებენ; მათ ეშინიათ ფეხის გადადგმა უგამზრდელოდ, ფეხის გადადგმა ისე, თუ გარეშე ძალამ არ შეაგონათ; მეცნიერებაში არავინაა მათი ღვაწლის შემფასებელი, შემქები, დამჯილდოებელი; მათ ეს საშინელ სიცარიელედ ეჩვენებათ, თავბრუ ესხმით, და ისინი განზე დგებიან. ეთიშებიან რა მეცნიერებას, ისინი იწყებენ თავიანთი ბუნდოვანი გრძნობის დამოწმებას, რომელიც, თუმცა არასდროს ნათელი არ ხდება, მაგრამ არც შეიძლება შეცდეს. გრძნობა ინდივიდუალურია: მე ვგრძნობ, მეორე არ გრძნობს,— ორივე მართალი ვართ; დამამტკიცებელი საბუთები საჭირო არ არის, ასეთი საბუთები შეუძლებელიცაა; მართლაც რომ გააჩნდეთ ნაპერწკალი ჭეშმარიტების სიყვარულისა, მაშინ, რა თქმა უნდა, ველარ გაბედავდნენ იგი გრძნობების, ფანტაზიებისა და კაპრიზების კავდიუმის ხეობაში [8] გაეტარებინათ. არა გული, არამედ გონება არის ჭეშმარიტების მსაჯული. ხოლო გონების მსაჯული ვინღა არის?—თვითონ გონება. ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო გადაულახავი სიძნელეა დილეტანტებისათვის; ამის გამოა, რომ, როდესაც ისინი მეცნიერებას ჰკიდებენ ხელს, მეცნიერების გარეშე ეძებენ ისეთ ადგილს, რომლითაც ზომავენ მას; ამას ეკუთვნის ცნობილი

სულელური წესი: ვიდრე აზროვნებას დაიწყებდეთ, უწინ უნდა გამოიკვლიოთ აზროვნების იარაღი რაღაც გარეგანი ანალიზით.

პირველი ნაბიჯისთანავე დილეტანტები აყენებენ დაკითხვის მუხლებს, სურთ წინდაწინ გაიგონ მეცნიერების უძნელესი საკითხები, რათა საწინდარი ჰქონდეთ, — რა არის სული, რა არის აბსოლუტური... და ისიც ისე, რომ განსაზღვრა იყოს მოკლე და ნათელი, ე. ი. მიეცით მთელი მეცნიერების შინაარსი რამდენიმე სენტენციით — აი, ეს იქნებოდა ადვილი მეცნიერება! რას იტყოდნენ იმ კაცზე, რომელიც მათემატიკის შესწავლას დააპირებდა და წინდაწინ მოითხოვდა დიფერენცირებისა და ინტეგრირების ნათელ გადმოცემას, ამასთან გადმოცემას მის საკუთარ ენაზე? სპეციალურ მეცნიერებებში იშვიათად გაიგონებთ ასეთ კითხვებს; შიში, რომ უმეცრება არ შესწამონ, ლაგამს სდებს ადამიანს. ფილოსოფიაში სხვა საქმეა: აქ არავინ მორცხვობს! საგნები ყველა ნაცნობია — ჭკუა, გონება, იდეა და სხვ. ყველას აქვს ჭკუის, გონების კოლოფი და ა რ ა ე რ თ ი, არამედ ბევრი იდეა. მე ჯერ კიდევ აქ დავუშვი შესაძლებლობა ბუნდოვანი ყურმოკრული ამბავისა ფილოსოფიის შედეგებზე, თუმცა შეუძლებელია მიხვდეთ, თუ სახელდობრ რას გულისხმობენ დამკითხველები აბსოლუტურში, სულში და სხვ. მაგრამ უფრო გაბედული დილეტანტები შორს მიდიან: ისინი აყენებენ ისეთ საკითხებს, რომლებზედაც სრულიად არაფერი ითქმის, იმიტომ რომ საკითხი სისულელეს შეიცავს. იმისათვის, რომ დასვათ საქმიანი საკითხი, აუცილებლად საჭიროა რამდენადმე იცნობდეთ საგანს, საჭიროა გქონდეთ თავისებური წინასწარმიმხვედრი განმეორებელობის უნარი. ამავე დროს, როდესაც მეცნიერება დუმს შემეწყნარებლობის გამო, ანდა ცდილობს პასუხის ნაცვლად გვიჩვენოს მოთხოვნილების შეუძლებლობა— მას ბრალად სდებენ უძლურებას და სიტყვის ბანზე აგდებას.

მაგალითისათვის მოვიყვან ერთ საკითხს, რომელსაც სხვადასხვაგვარად, მაგრამ ძალიან ხშირად აყენებენ დილეტანტები: «როგორ გადაიქცა უხილავი შინაგანი ხილულ გარეგანად,

და რა იყო ის გარეგანის არსებობამდე?» მეცნიერება იმიტომ არ არის მოვალე უპასუხოს ამას, რადგან მას არ უთქვამს, რომ ორი მომენტი, რომლებიც არსებობენ როგორც შინაგანი და გარეგანი, შეიძლება გაითიშოს ისე, რომ ერთ მომენტს ჰქონდეს ნამდვილობა უმეორეოდ. აბსტრაქციაში, ცხადია, ჩვენ შეგვიძლია მიზეზი გამოვყოთ მოქმედებისაგან, ძალა გამოვლენისაგან, სუბსტანცია გარეგნულობისაგან, მაგრამ ეს არ სურთ მათ: მათ სურთ გ ა ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ო ნ არსი, გაათავისუფლონ შინაგანი ისე, რომ შეიძლებოდეს მისი დანახვა; მათ სურთ შინაგანის რაღაც საგნობრივი არსებობა, ივიწყებენ, რომ შინაგანის საგნობრივი არსებობა სწორედ გარეგანია; შინაგანი, რომელსაც არა აქვს გარეგანი, უბრალოდ გ ულ გ რ ი ლ ი არარაა.

Nichts ist drinnen, nichts ist draussen:
Denn was innen, das ist aussen. (Goethe) *

ერთი სიტყვით, გარეგანი არის გამოვლენილი შინაგანი, და შინაგანი იმიტომაა შინაგანი, რომ მას აქვს თავისი გარეგანი. შინაგანი უგარეგნოდ რაღაც ფუჭი შესაძლებლობაა, რადგან მას არ შეუძლია გამოვლენა; გარეგანი უშინაგნოდ — უაზრო ფორმაა, რასაც არა აქვს შინაარსი. ასეთი ახსნით დილეტანტები კმაყოფილი არ არიან: მათ აქვთ ის აზრი, რომ შინაგანში ჩამალულია საიდუმლოება, რომელიც გონებისათვის მიუწვდომელია; ამავე დროს კი შინაგანის მთელი არსი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გ ა მ ო ვ ლ ი ნ დ ე ს, — და რისთვის ან ვისთვის იქნებოდა ეს ს ა ი დ უ მ ლ ო ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა? ერთიმეორის განმსაზღვრელი, ერთიმეორის მ ი მ ზ ი დ ე ე ლ ი ორი მომენტის უსასრულო და უსაწყისო დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, შეადგენს ჭეშმარიტების სიცოცხლეს; ამ მარადიულ გადასვლა-გადმოსვლაში, ამ მარადიულ მოძრაობაში, რომელშიც

* არაფერია შიგნით, არაფერია გარეთ, რადგან ის, რაც შიგნითაა არის გარეგანიც (გოეთე). — რ ე დ.

ჩათრეულია ყოველივე არსებული, ცოცხლობს ჭეშმარიტება: ეს არის მისი ჩასუნთქვა. და ამოსუნთქვა, მისი სისტოლა და დიასტოლა. მაგრამ ჭეშმარიტება, ისე როგორც ყოველი ორგანულად ცოცხალი არსება, ცოცხალია მხოლოდ როგორც მთლიანობა; ნაწილებად დაქუცმაცების დროს მას სული ეცლება, და რჩება მკვდარი აბსტრაქციები, რომელთაც ლეშის სუნი უდის. მაგრამ ცოცხალი მოძრაობა, ეს მსოფლიო დიალექტიკური მაჯისცემა, მეტად დიდ წინააღმდეგობას აწყდება დილეტანტების მხრივ. მათ არ შეუძლიათ დაუშვან, რომ წესიერი ჭეშმარიტება შეიძლება გადავიდეს თავის წინააღმდეგობაში ისე, რომ სისულელედ არ იქცეს. ცხადია, მეცნიერების გარეშე შეუძლებელია ნათლად და გარკვევით გადმოცემა შინაგანის მარადიული, შეუმჩნეველი გადასვლის აუცილებლობისა გარეგანში, იმ გაგებით, რომ გარეგანი არის შინაგანი, ხოლო შინაგანი არის გარეგანი. მაგრამ იმის მიზეზი, თუ რატომ აშფოთებთ ფილოსოფიის სწორედ ასეთი დასკვნები, თვალნათლივია. განსჯითმა თეორიებმა ადამიანები იმდენად შეაჩვიეს ანატომიურ ხერხს, რომ მხოლოდ უმოძრაო, მკვდარი, ე. ი. არაჭეშმარიტი მიაჩნიათ ჭეშმარიტებად; ისინი აზრს აიძულებენ გაიყინოს, გაშეშდეს რომელიმე ცალმხრივ განსაზღვრაში, და ფიქრობენ, რომ ამ მკვდარ მდგომარეობაში უფრო ადვილია მისი გარჩევა. ძველად ფიზიოლოგიას ანატომიურ თეატრში სწავლობდნენ: ამიტომ მეცნიერება სიცოცხლის შესახებ ასე დიდად არის ჩამოშორებული მეცნიერებას გვამის შესახებ. როგორც კი ვიღებთ ერთ მომენტს, უჩინარი ძალა საწინააღმდეგოსაკენ გვიტაცებს; ეს არის აზრის პირველი საციცოცხლო აბორგება: სუბსტანცია მიისწრაფვის გამოვლენისაკენ, უსასრულო — დასრულებულისაკენ; ისინი ისე აუცილებელია ერთმანეთისათვის, როგორც მაგნიტის პოლუსები. მაგრამ უნდო და ფრთხილ მცდელებს სურთ გაყონ პოლუსები: უპოლუსებოდ კი მაგნიტი არ არის; მოითხოვენ რა ან ერთს ან მეორეს, და ამისათვის როგორც კი ჩაარჭობენ დანას მთლიანის გასაკვეთად,— ხდება განუყოფელის გათიშვა და რჩება ორი მკვდარი

აბსტრაქცია, სისხლი იყინება, მოძრაობა შეჩერებულია. ერთი ან მეორე ცალ-ცალკე რომ აბსტრაქციებია, — დე ეს იცოდნენ ისე, როგორც მათემატიკოსმა იცის. რომ, როდესაც ის ფართობისაგან ხაზის, ხოლო სხეულისაგან ფართობის განყენებას ახდენს, რეალურია მხოლოდ სხეული, ხაზი და ფართობი კი აბსტრაქციებია*. არა, ეს ადამიანები, რომელთაც არ ესმით გონების ობიექტურობა და უარყოფენ გონების ობიექტურობას, სწორედ აქ მოითხოვენ უკანონო ობიექტურობას. თავიანთი განყენებული წარმოდგენების ნამდვილობას.

აქ უკვე დროა მოვიგონოთ მეცნიერების გაგების მესამე პირობა, რაზედაც უკვე ნათქვამი იყო, — ცოცხალი სული. მხოლოდ ცოცხალი სულით ხდება ცოცხალ ჭეშმარიტებათა გაგება; ცოცხალ სულს არა აქვს შიგნით არც ცარიელი ფორმალიზმი, რაზედაც იგი, როგორც პროკრუსტეს სარეცელზე, ახდენდეს ჭეშმარიტების გადაჭიმვას, არც — უცვლელი გაყინული აზრები, რომელთა უკუგდება არ შეეძლოს. ეს გაყინული აზრები შეადგენენ აქსიომებისა და თეორემების გროვას, რომელიც მათ წინ მიუძღვის, როდესაც ხელს ჰკიდებენ ფილოსოფიას; მათი შემწეობით ადგენენ, ღმერთმა უწყის, რაზედ დაფუძნებულ მზამზარეულ ცნებებსა და განსაზღვრებს, ერთმანეთთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. ცოდნის შეძენა დაწყებულ უნდა იქნას იქიდან, რომ უნდა დავივიწყოთ ყველა ეს გზაკვალაბნეული, მცდარი ცნებები;

---

* საერთოდ, მათემატიკა, მიუხედავად იმისა, რომ მისი საგანი უპირატესად მკვდარი და ფორმალურია, დაშორდა მშრალ ერთს ან მეორეს. რა არის დიფერენციალი? — უსასრულოდ მცირე სიდიდე; მაშასადამე, მას ან აქვს სიდიდე, და ამ შემთხვევაში ეს არის ზღვრული სიდიდე, ან არა აქვს არავითარი სიდიდე, და ამ შემთხვევაში იგი ნულია. მაგრამ ლაიბნიცი და ნიუტონი უფრო ღრმად ჩასწვდნენ საგანს და მიიღეს თანაარსებობა ყოფნისა და არყოფნისა; წარმოშობის საწყისი მოძრაობა, არარაობიდან გადასვლა რაიმეში. უსასრულო-მცირეთა თეორიის შედეგები ცნობილია. შემდეგ მათემატიკა არ შეუშინდა არც უარყოფით სიდიდეებს, არც უთანაზომობას, არც უსასრულოდ დიდსა და არც მოჩვენებითი ფესვებს. ხოლო ყოველივე ეს, რასაკვირველია, ნაცარტუტად „ქცევა ვიწრო განსჯითო ან «ერთი ან მეორეს» წინაშე. — ა. გ.

ამ მცდარ ცნებებს შეცდომაში შევყავართ; ცნობილად მიიჩნევა სწორედ ის, რაც უცნობია; სიკვდილსა და მოსპობას უნდა მივანებოთ მკვდრები, უნდა უარვყოთ ყველა უძრავი მოჩვენება. ცოცხალ სულს სიმპათია აქვს ცოცხლისადმი, რაღაცნაირი ნათელი ხედვა გზას უადვილებს მას; ის ფართქალებს, როდესაც თავის მშობლიურ სფეროში შედის, და მალე ეცნობა მას. ცხადია, მეცნიერებას არა აქვს ისეთი საზეიმო სადარბაზო კარები, როგორიც აქვს რელიგიას. მეცნიერების მისაღწევი გზა, როგორც ჩანს, უნაყოფო ტრამალზე გადის; ეს ზოგიერთს გულს უცრუებს. დანაკლისები ჩანს, შენაძენები არაა; ვიწევთ მაღლა და შეედივართ რაღაც გათხელებული ჰაერის გარემოში, რაღაც უსხეულო აბსტრაქციების სამყაროში, მედიდური ზეიმი მკაცრი სიცივე გვგონია; ყოველი ნაბიჯით სულ უფრო და უფრო შორს ვიჭრებით ამ ჰაეროვან ზღვაში; აქ საშინელი ხალვათობაა, სუნთქვა გვიმძიმს და უსიხარულობა გვიპყრობს, ნაპირები გეშორდებიან, ჰქრებიან,—მათთან ერთად ქრება იმ ოცნებებით მონაბერი ყველა ხატება, რომელთაც გული შეეზარდა; საშინელება მოიცავს სულს: Lasciate ogni speranza voi ch'entrate*. სად უნდა ჩავუშვათ ღუზა? ყველაფერი თხიერდება, კარგავს სიმკკრივეს, ქრება. მაგრამ მალე გაისმის ძლიერი ხმა, რომელიც იულიუს კეისარის მსგავსად იუწყება: «რის გეშინია? შენ მე მატარებ!» ეს კეისარი უსასრულო სულია, რომელიც ადამიანის მკერდში ცოცხლობს; იმ წუთს, როდესაც სასოწარკვეთილება მზად იყო თავის უფლებებში შესულიყო, სული გამოფხიზლდა; სული თავის თავს იცნობს ამ სამყაროში: ეს მისი სამშობლოა, ის სამშობლო, რომლისაკენაც ის მიისწრაფოდა ხმებითაც, ქანდაკებებითაც და საგალობლებითაც, სამშობლო, რომლის გამო იტანჯებოდა, ეს არის Jenseits**, რომლისაკენაც მიილტვოდა ის ვიწრო მკერდიდან; კიდევ

---

* აქ შემომსვლელნო, იმედები დატოვეთ ყველა [9] (იტალიურიდან). — რ ე დ.

** მიღმა მხარე [10] (გერმან.). — რ ე დ.

ერთი ნაბიჯი — და ქვეყანა იწყებს დაბრუნებას, მაგრამ იგი უკვე უცხო აღარ არის: მეცნიერება იძლევა მის ინვესტიტურას[11]. გახუნდნენ ოცნებანი, დამყარებულნი გაღიზიანებულ ფანტაზიაზე, რომლის საშუალებითაც სული მიიღტვოდა ცოდნისაკენ; სამაგიეროდ, სინამდვილე განათლდა, თვალი სიღრმეში იცქირება და ხედავს, რომ არ არის საიდუმლოება, რასაც სფინქსები და ფასკუნჯები ფარავდნენ, ხედავს, რომ შინაგანი არსი მზად არის გაუმჟღავნდეს თამამსა და შემმართებელს. მაგრამ სწორედ ოცნებებს ებღაუჭებიან ყველაზე მეტად დილეტანტები. მათ არ გააჩნიათ საიმისო ძალა, რომ თავგანწირულებით დასძლიონ საწყისები და მივიდნენ იმ მოსაბრუნებელ წერტილამდე, სადაც სკეპტიციზმისა და გაჭირვების ტკივილი იცვლება დამშვიდებულის ცოდნის წინათგრძნობით. მათ იციან, რომ ყველა მათი გაღმერთებული ოცნება, ყველა მათი იდეალი როგორღაც არაჭეშმარიტია, გრძნობენ უხერხულობას, უთავბოლობას, ურიგდებიან ამ უხერხულობას და კიდეც შ ე უ ძ ლ ი ა თ შეეგუონ მას. მაგრამ ადამიანს, ვინც თანამედროვეობამდე ამაღლებულა და ვისაც ცოცხალი სული აქვს, არ შეუძლია დაკმაყოფილდეს მეცნიერების გარეშე. მან გაიარა ღრმა ტანჯვის გზა, სანამ სუბიექტურ შეხედულებათა სიცარიელეში დარწმუნდებოდა, ყველა კარს მიუკაკუნა, რათა აგზნებული სულის მწვავე წყურვილი მოეკლა, მაგრამ ვერსად მიიღო ჭეშმარიტი პასუხი; და სკეპტიციზმით გაწამებული, ცხოვრებისაგან მოტყუებული, იგი მიდის შიშველი, ღატაკი, ეული და ეწაფება მეცნიერებას.

«ნუთუ იგი მორჩილად მოიხრის ქედს სხვისი ავტორიტეტის უღელქვეშ?». მეცნიერება წინდაწინ არაფერს მოითხოვს, მხოლოდ რწმენით მის ვერავითარ საწყისებს ვერ იპოვით, ან რა საწყისები გააჩნია მას, რომელთა წინდაწინ გადმოცემა შეიძლებოდეს? მისი საწყისები — ეს მისი დასასრულია, ეს არის უკანასკნელი სიტყვა, მთელი მოძრაობის შედეგი, იგი აღწევს ამ შედეგებამდე; თვით მათი განვითარება არის უცილობელი მტკიცება. თუ საწყისად პირველ გვერდს ვიგულისხმებთ, ამ გვერდში მეცნიერების ჭეშმარიტება იმიტომ

არ შეიძლება იყოს, რომ იგი პირველი გვერდია, და მთელი განვითარება ჯერ კიდევ წინ არის. მეცნიერება იწყება რომელიღაც ზოგადი დებულებით და არა თავისი profession de foi-ის* გადმოცემით. ის არ ამბობს: «დაუშვი ესა და ეს, ხოლო მე შენ მოგცემ ჭეშმარიტებას, რომელიც დამალული მაქვს, შენ შეგიძლია ჭეშმარიტება მიიღო, თუ მონურად მორჩილი იქნები»; პიროვნების მიმართ იგი მხოლოდ წარმართავს განვითარების შინაგან პროცესს, ინდივიდუალობაზე ნერგავს გვარეობით სრულქმნილს, თანამედროვეობას აზიარებს მას; თვით მეცნიერება ბუნების თავის თავში ღრმად ჩაწვდომის პროცესია და კოსმოსის სრული შეგნების განვითარება თავის თავზე; მეცნიერების წყალობით სამყარო მას შემდეგ, რაც მან განიცადა ბრძოლები უშუალობაში ჩაფლული მატერიალური ყოფისა, ცხოვრებისა — შეიცნობს თავის თავს. მისი ფანტასტიკური აღტაცება სახობრივი ცოდნისა, არისტოტელეს გამოთქმით, იქცევა ფ ხ ი ზ ე ლ ც ო დ ნ ა დ[12]. მაგრამ იმისათვის, რომ ნამდვილად მიეღწიათ სიფხიზლემდე, საჭირო იყო 3000 წლის შრომა. კაცობრიობის სულმა რამდენი სამწუხარო რამ განიცადა, რამდენი იტანჯა, რამდენი ივალალა, რამდენი ცრემლი და სისხლი ღვარა, სანამ აზროვნება ჩამოაცილა ყოველივე დროებითსა და ცალმხრივს და იწყო იმის გაგება, რომ თვითონ არის სამყაროს შეგნებული არსი! საჭირო იყო კაცობრიობას განეცადა ისტორიის დიდებული და უზარმაზარი ეპოპეა, რომ დ ი დ პ ო ე ტ ს, რომელმაც გაუსწრო თავის ეპოქას და წინასწარ განსჭვრიტა ჩვენი ეპოქა, შეძლებოდა ეკითხნა:

Ist nicht der Kern der Natur
Menschen im Herzen? **

რომელ სხვის ავტორიტეტზე ლაპარაკობენ დილეტანტები, სად არის ავტორიტეტის შესაძლებლობა მეცნიერებაში? საქმე

---

* თავისი შეხედულებების, მრწამსის (ფრანგ.). — რ ე დ.

** განა ბუნების მარცვალი ადამიანის გულში არ არის? (გოეთე). — რ ე დ.

იმაშია, რომ მათ მეცნიერება გაეგებათ არა როგორც გონებისა და თვითშემეცნების თანამიმდევრობითი განვითარება, არამედ როგორც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირების მიერ გამოგონილი სხვადასხვაგვარი ცდები, რომელთაც არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვთ ერთმანეთთან. მათ არ შეუძლიათ გაიგონ, რომ ჭეშმარიტება არ არის დამოკიდებული მშრომელთა პიროვნებაზე, რომ მშრომელნი მხოლოდ ორგანოებია განვითარებაში მყოფი ჭეშმარიტებისა; მათ არასგზით არ შეუძლიათ მისწვდნენ ჭეშმარიტების მაღალ ობიექტურ ღირსებას; მათ ყოველთვის ჰგონიათ, რომ ეს სუბიექტური ზრახვები და ახირებანია. მეცნიერებას აქვს თავისი ავტონომია და თავისი გენეზისი; იგი თავისუფალია და ავტორიტეტებზე დამოკიდებული არ არის; იგი განთავისუფლებულია და არ ემორჩილება ავტორიტეტებს. მაგრამ, მართლაც, მას უფლება აქვს მოითხოვოს წინდაწინ იმდენი ნდობა და მორიდება, რომ მას არ უდგებოდნენ დამზადებული სკეპტიკური და მისტიკური საწინააღმდეგო მოსაზრებებით, იმიტომ რომ ეს მოსაზრებებიც ნებაყოფლობით არის მიღებული რწმენით. სად, რომელი უფლებით და რის საფუძველზე ამზადებენ მეცნიერების საწინააღმდეგო მოსაზრებებს მის გარეშე? საიდან არის ეს მაგარი მასა, რომელიც სინათლის შუქს უკუაფენს? ცრურწმენათაგან განწმენდილ სულში მეცნიერებას შეუძლია დაეყრდნოს სულის მოწმობას თავისი ღირსების შესახებ, იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ მას ძალუძს თავის თავში განავითაროს ჭეშმარიტება; ამაზეა დამოკიდებული გაბედულება ცოდნისა, წმიდათა წმიდა შემართება იმისათვის, რომ ჩამოვხადოთ ფარდა იზიდას [13] და ცეცხლოვანი თვალები მივაპყროთ შიშველ ჭეშმარიტებას, თუნდაც ეს დაგვიჯდეს სიცოცხლის ფასად, უკეთეს სასოებათა ფასად.

მაგრამ როგორია ის ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ აღგვითქვამენ საბურველს იქით?.. მართლაც, *როგორია*? იმ ადამიანებმა, რომელთაც მხურვალედ სურდათ ჭეშმარიტება, რომლებიც წუხდნენ და ცრემლს ღვრიდნენ მის გამო, —

ფარულად შეიხედეს საბურველქვეშ და განცვიფრებული დარჩნენ, — ვინ შიშის გამო, ვინ აღშფოთების გამო. საბრალო ჭეშმარიტება! კარგია, რომ ძველი ქვეყნის ადამიანები საბურველს მარმალილოსაგან ძერწავდნენ: მარმარილოს ახდა არ შეიძლებოდა; ადამიანთა თვალები იმდენად გამაგრებული არ იყო, რომ ჭეშმარიტების ნაკვთებისათვის გაეძლო. ანდა იქნებ მათ სურდათ ა რ ა ი ს ჭეშმარიტება? მაგრამ რამდენია ჭეშმარიტება? კეთილმა, განმსჯელმა ადამიანებმა იციან ბ ე ვ რ ი, ძალიან ბევრი ჭეშმარიტება, მაგრამ ე რ თ ი ჭეშმარიტება მათთვის მიუწვდომელია; რომელიღაც ოპტიკური ცდუნების გამო მათ ჭეშმარიტება მახინჯი სახით წარმოუდგებათ და ისიც თვითეულს თავის ყაიდაზე. თუ შევაგროვებთ ბრალდებებს, რომლებიც განუწყვეტლივ გაისმის, როდესაც ლაპარაკია მეცნიერებაზე, ე. ი. ჭეშმარიტებაზე, რომელიც მეღავნდება სწორ ორგანიზმში, მაშინ, — თუ ვიხმართ ასტრონომიის ცნობილ საშუალებას, რასაც იგი მიმართავს იმ მნათობის ჭეშმარიტი ადგილის დასადგენად, რომელსაც სხვადასხვა წერტილიდან უთვალთვალებენ, ე. ი. თუ გამოვიანგარიშებთ მოპირდაპირე კუთხეებს (პარალაქსების თეორია),— შეიძლება გავაკეთოთ სამართლიანი დასკვნა. ერთნი ამბობენ:— ათეიზმი, მეორენი: — პანთეიზმი; ერთნი ამბობენ: — სიძნელე, საშინელ ი სიძნელე, მეორენი: — სიცარიელე, არაფერიც არ არის. მატერიალისტები იღიმებიან მეცნიერების მეოცნებე იდეალიზმის გამო; იდეალისტები მეცნიერების ანალიზში პოულობენ ეშმაკურად დაფარულ მატერიალიზმს. პიეტისტები დარწმუნებული არიან, რომ თანამედროვე მეცნიერება უფრო ურელიგიო არის, ვიდრე ერაზმი, ვოლტერი და ჰოლბახი კომპანიითურთ, და მას ვოლტერიანიზმზე უფრო მავნე მოვლენად თვლიან. არარელიგიური ადამიანები მეცნიერებას ორტოდოქსალურობას უსაყვედურებენ. რაც მთავარია, ყველა უკმაყოფილოა, კვლავ საბურველს მოითხოვენ. ზოგი სინათლემ გააოცა, ზოგი უბრალოებამ, ზოგს შერცხვა ჭეშმარიტების სიშიშვლე, ზოგს მისი ნაკვთები არ მოეწონა, რადგან ამ ნაკვთებში ბევრი რამაა მიწიერი. ყველანი მოტყუვ-

დნენ, ხოლო მოტყუვდნენ იმიტომ, რომ სურდათ არა ჰეშ-მარიტება.

მაგრამ საქმე აღსრულებულია. მოვლენა უკან არ წავა; რაკი ერთხელ უკვე დაიწყო გამომჟღავნება და გვიჩვენა თავისი გასაოცრად მშვენიერი ტანი, ჰეშმარიტება ცრუ მორ-ცხვობის გამო კვლავ აღარ მოიხვევს საბურველს; მან იცის თავისი სიშიშვლის ძალა, დიდება და სილამაზე.

1842, აპრილის 25.

წერილი მეოთხე

რომანტიკოსი-დილეტანტები

მკვდრებს მივანებოთ მკვდართა დამარხვა.

არის საკითხები, რომელთაც უკვე აღარავინ ეხება, არა იმიტომ, რომ თითქოს ისინი გადაწყვეტილი იყოს, არამედ იმიტომ, რომ მობეზრდათ; მოულაპარაკებლად თანხმდებიან მიიჩნიონ ისინი გაუგებრად, დროგადასულად, ინტერესმოკ-ლებულად და დუმან მათ შესახებ. მაგრამ დროდადრო სასარ-გებლოა შევიხედოთ ამ ვითომდა გადაწყვეტილ საქმეთა არქი-ვებში; როდესაც თანმიმდევრობით ვიხედებით უკან, წარსულს ყოველთვის სხვანაირად ვუყურებთ; მასში ყოველთვის ახალ მხარეს ვნახულობთ, მის შეცნობას ყოველთვის ახლად განვლი-ლი გზის მთელ გამოცდილებას ვუმატებთ. რაც უფრო სრუ-ლად შევიგნებთ წარსულს, მით უფრო ნათლად ვარკვევთ თანამედროვეს; რაც უფრო ღრმად ვსწვდებით წარსულის აზრს, მით უფრო ვამჟღავნებთ მომავლის აზრს; ვიხედებით რა უკან, წინ მივაბიჯებთ; დასასრულ, იმისათვისაც სასარ-გებლოა ძველმანების გადაქექვა, რომ გავიგოთ რამდენი მათ-განი დალპა და რამდენი შერჩა ძვლებს.

ერთ-ერთი ასეთი საქმე, რომელიც სასამართლოს ენით რომ ვთქვათ, ჩათვლილია გადაწყვეტილად მოთხოვამდე,— არის საქმე, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც არქივს

გადაეცა,—ეს არის დავა რომანტიზმსა და კლასიციზმს შორის, დავა, რომელიც ასე აღელვებდა გულსა და გონებას ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში (თვით უფრო ახლო დროშიც კი); ამ სამარიდან წამომდგართა დავა მათთან ერთად მეორეჯერ ჩავიდა საფლავში, და დღეს ყველაზე ნაკლებ ლაპარაკობენ რომანტიზმის უფლებებზე და მის ბრძოლაზე კლასიკოსების წინააღმდეგ, თუმცა მის მოურჯულებელ თაყვანისმცემელთაგან და შეურიგებელ მტერთაგან ბევრი ჯერ კიდევ ცოცხალია.

მაგრამ განა დიდი ხანია რაც ეს ხმაურით დაწყებული ბრძოლა გიზგიზებდა მთელი თავისი შვენებით? ასპარეზზე ბევრი ტალანტი იყო გამოსული; საზოგადოებრივი ხმა ცოცხლად და ქმედითად მონაწილეობდა; ამჟამად გაცვეთილი სახელები — «კლასიკოსი, რომანტიკოსი» — მრავალმნიშვნელოვანი იყო,—და უცებ ყველაფერი ჩაჩუმდა; გაქრა ინტერესი. მებრძოლებს გარს რომ ეხვია; მაყურებლები მიხვდნენ, რომ ერთნიც და მეორენიც მკვდრებისთვის იბრძვიან; მკვდრებმა სავსებით დაიმსახურეს აღაპები და მავზოლეუმები, — მათ დაგვიტოვეს მდიდარი მემკვიდრეობა, რასაც ისინი იძენდნენ სისხლნარევი ოფლით, ტანჯვით, მძიმე შრომით, — მაგრამ ბრძოლა მათი გულისთვის უმიზნოა. არ არის ქვეყნად იმაზე უფრო უმადური საქმე, ვიდრე ბრძოლა მიცვალებულთათვის: იპყრობენ ტახტს და ავიწყდებათ, რომ არავინ არის ტახტზე დასასმელი, იმიტომ რომ მეფე მოკვდა. როდესაც მებრძოლებმა დაინახეს, რომ თანაგრძნობა დაკარგეს, — მათი ცეცხლი განელდა. მარტო ჯიუტი და გონებაშეზღუდული ადამიანები დარჩნენ ბრძოლის ველზე იარაღასხმულნი, მსგავსნი ახლანდელი ბონაპარტისტებისა, რომლებიც იცავენ უფლებებს დიადი აჩრდილისას, მაგრამ მაინც აჩრდილისას.

ეს ბრძოლა თითქოს საიქიოდან გამოცხადდა, რომ დასწრებოდა ახალი სამყაროს შესვლას ჭაბუკობაში, გადაეცა მისთვის ბატონობა ორი წინამორბედის სახელით, მამისა და პაპის სახელით, და დაენახა რომ სიცოცხლის სამყაროში მკვდართათვის აღარ არის სამფლობელო. რომანტიზმისა და კლასიციზმის ფაქტიური მოვლინება, ორი განსაკუთრებული

სკოლის სახით, შედეგი იყო აზრთა იმ უცნაური მდგომარეობისა, რაც ამ ოცდაათი წლის წინათ არსებობდა. როდესაც ჩვენი საუკუნის პირველი თხუთმეტი წლის შემდეგ ხალხები დამშვიდდნენ და ცხოვრება ჩვეულებრივს კალაპოტში ჩადგა, მხოლოდ მაშინ დაინახეს, თუ რამდენი რამ იყო დაკარგული და დამსხვრეული, ახლით შეუცვლელ, არსებულ წესრიგთაგან. რევოლუციისა და იმპერატორობის განადგურების პროცესში გონს მოსვლისათვის არ ეცალათ ადამიანებს. გული და გონება აღივსო მოწყენილობითა და სიცარიელით, მონანიებითა და სასოწარკვეთილებით, გაცრუებული იმედებითა და გულგატეხილობით, რწმენის წყურვილითა და სკეპტიციზმით. ამ ეპოქის მომღერალია ბაირონი, პირქუში, სკეპტიკური, უარყოფისა და თანამედროვეობასთან ღრმა გათიშვის პოეტი, დაცემული ანგელოზი, როგორც მას გოეთე უწოდებდა. ყველაზე მეტად იტანჯებოდა საფრანგეთი — გადატრიალების მოვლენათა მთავარი ასპარეზი. რელიგია დაცემას განიცდიდა, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსი გაქრა, ყველა მიმართულება, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებებიც კი, შეურაცხყოფილი იყო რესტავრაციის პირველი წლების ეკლექტიზმით. საფრანგეთი ცდილობდა მოეხსნა აწმყოს მძიმე ტვირთი, ყველგან ეძებდა გამოსავალს და მან პირველმა შეხედა განვლილს სხვა თვალებით. კაცობრიობის მოგონება — თავისებური ზეციური სალხინებელია; მასში წარსული აღსდგება ხოლმე გაცისკროვნებული სულით, რასაც ყოველი ბნელი და მავნე ჩამოსცილდა. როდესაც საფრანგეთმა დაინახა დიადი აჩრდილი სახეცვლილი შუა საუკუნეებისა— ერთიანობის, რწმენის, რაინდული მამაცობისა და მხნეობის წარმტაცი ხასიათით — და დაინახა იგი გაწმენდილი მაშინდელი ცხოვრების ზვიადი თვითნებობისა და უტიფარი უსამართლობისაგან, ყოველმხრივი წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ფორმალურად ასე თუ ისე შერიგებული იყო, — საფრანგეთი, რომელიც აქამდე ყოველივე ფეოდალურს უგულებელყოფდა, ნეორომანტიზმმა გაიტაცა. შატობრიანი, ვალტერ სკოტის რომანები, ნაცნობობა გერმანიასა

და ინგლისთან — ხელს უწყობდა ხელოვნებასა და ცხოვრებაზე გოტიკური თვალსაზრისის გავრცელებას. განსაკუთრებული ამთვისებლობისა და სიმკვირცხლის მეოხებით საფრანგეთი ისე გაიტაცა გოტიზმმა, როგორც ანტიკურმა ქვეყანამ, თუმცა მთელ მის სიღრმეს არ ჩასწვდომია. მაგრამ ყველაფერი როდი დაემორჩილა რომანტიზმს: დადებითი გონების ადამიანები, ადამიანები, რომლებიც მთელ თავიანთ სულიერ საზრდოს იწოვდნენ საბერძნეთისა და რომის უდიდესი ნაწარმოებებიდან, პირდაპირი მემკვიდრენი ლუდოვიკ XIV-ის ეპოქის ლიტერატურისა, ვოლტერის და ენციკლოპედიისა[14], მონაწილენი რევოლუციისა და იმპერატორის ომისა, ცალმხრივნი და ჯიუტნი თავიანთ საწყისებში, — ზიზღით უყურებდნენ ნორჩ თაობას, რომელიც უარყოფდა მათ, მათ მიერვე სამუდამოდ დასჯილ (როგორც ისინი ფიქრობდნენ) ცნებათა სასარგებლოდ. რომანტიზმი, რომელიც საფრანგეთის ახალი თაობის თავში ბობოქრობდა, ძმურად შეხვდა რაინისგაღმელ რომანტიზმს, რომელიც იმჟამად უმაღლეს წერტილამდე ავიდა. გერმანულ ხასიათში ყოველთვის იყო რაღაც მისტიკური, ნაძალადევად აღტაცებული, რასაც მიდრეკილება აქვს სპეკულაციისაკენ და არანაკლები მიდრეკილება — კაბალისტიკისაკენ[15], — ეს არის საუკეთესო ნიადაგი რომანტიზმისათვის, და რომანტიზმმაც არ დააყოვნა, რომ საესებით განვითარებული სახე მიეღო გერმანიაში. რეფორმაციამ ნაადრევად და ცალმხრივად გაათავისუფლა რა გერმანული აზროვნება, მისცა მას პოეტურ-სქოლასტიკური, განსჯითი-მისტიკური მიმართულება. ეს იყო მნიშვნელოვანი გადახრა ჭეშმარიტი გზისგან. ლაიბნიცმა თავის დროზე შენიშნა, რომ გერმანიას გაუძნელდება თავი დააღწიოს ამ მიმართულებას, რომელმაც, — დავუმატებთ ჩვენ, — კვალი დატოვა თვითონ ლაიბნიცის ქმნილებებშიც. არაბუნებრივი კლასიციზმისა და გალომანიის ეპოქას, რამაც დროებით დაფარა ნაციონალური ელემენტები, არ შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა; ამ ლიტერატურამ ვერ პოვა გამოძახილი ხალხში. ღმერთმა უწყის, ვისთვის ლაპარაკობდა და ვის აზრს გამო-

თქვამდა იგი. უფრო ჭეშმარიტი, გაცილებით უფრო ღრმა გავლენა მოახდინა იმ ლიტერატურულმა ეპოქამ, რომელიც ლესინგიდან დაიწყო: ეს კოსმოპოლიტიური და სრულწლოვანი ეპოქა ცდილობდა ნაციონალური ელემენტები საერთოსაკაცობრიო ელემენტებად განევითარებინა; ეს იყო უდიდესი ამოცანა ჰერდერისაც, კანტისაც, შილერისაც და გოეთესიც. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა ხდებოდა ხელოვნებისა და მეცნიერების ასპარეზზე, ეს კი ჩინური კედლით თიშავდა საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებას ინტელექტუალური ცხოვრებისაგან. გერმანიის შიგნით იყო მეორე გერმანია — სწავლულთა და მხატვართა ქვეყანა; მათ ერთმანეთს შორის არავითარი ჭეშმარიტი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. ხალხი ვერ გებულობდა თავის მასწავლებლებს. ხალხი მეტწილად დარჩა იმავე ადგილას, სადაც დასასვენებლად დაჯდა ოცდაათწლიანი ომის [16] შემდეგ. გერმანიის ისტორიას ვესტფალიის ზავიდან ნაპოლეონამდე ერთი ფურცელი აქვს, სწორედ ის ფურცელი, რომელზედაც დაწერილია საქმენი ფრიდრიხ II-სა [17]. ბოლოს, ნაპოლეონმა, დაარტყა რა მაგრად, მიაღწია გერმანული სულის პრაქტიკულ მხარეებს, რაც დავიწყებული იყო მის შემქმნელთა მიერ, და მხოლოდ მაშინ წამოყვეს თავი შიგნით მდუღარე და მიძინებულმა ვნებებმა, და გაისმა რაღაც საზარელი ხმები, აღსავსენი ფანატიზმითა და პირქუში სიყვარულით სამშობლოსადმი. შუა საუკუნეების ფეოდალური თვალსაზრისი, რამდენიმედ შეგუებული ჩვენს უფლებებთან და გამოწყობილი რაინდულ-თეატრალურ ტანსაცმელში, დაეუფლა ადამიანთა გონებას. მისტიციზმი კვლავ შემოვიდა მოდაში; დევნის ველურმა ცეცხლმა გაიელვა მშვიდობიანი გერმანელების თვალებში, და ფაქტიურ-რეფორმაციული ქვეყანა იდეაში დაუბრუნდა კათოლიკურ მსოფლხედველობას. უდიდესი რომანტიკოსი — შლეგელი [18], იმიტომ რომ იგი ლუთერიანელი იყო, მოინათლა კათოლიციზმის მიმდევრად, — ამაში მოჩანს ლოგიკა.

პირველი შემთხვევისათვის ვატერლომ [19] გადაწყვიტა, თუ ვინ უნდა ფლობდეს ასპარეზს: ნაპოლეონი-კლასიკოსი თუ

რომანტიკოსები — ველინგტონი და ბლიუხერი. ფრანგების იმპერატორისა და კორსიკანელის, კლასიკური ცივილიზაციისა და რომანული ევროპის წარმომადგენელის — ნაპოლეონის სახით გერმანელებმა კვლავ დაამარცხეს რომი და კვლავ გამოაცხადეს გოტიკური იდეების ზეიმი. რომანტიზმი ზეიმობდა; კლასიციზმი დევნილი იყო: კლასიციზმთან დაკავშირებული იყო ისეთი მოგონებები, რომელთა დავიწყება სურდათ, ხოლო რომანტიზმმა გამონახა დავიწყებული, რომლის მოგონება სურდათ. რომანტიზმი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, კლასიციზმი დუმდა; რომანტიზმი ყველაფერს ებრძოდა ქვეყნად, როგორც დონ-კიხოტი, კლასიციზმი იჯდა რომის სენატორის მშვიდი სიდარბაისლით. მაგრამ იგი არ იყო მკვდარი, როგორც რომის ის სენატორები, რომლებიც გალებმა მკვდრებად მიიჩნიეს; კლასიციზმის რიგებში იყვნენ გამოჩენილი ადამიანები; ყველა ეს ბენტამები, ლივინგსტონები, ტენარები, დე კანდოლები, ბერცელები, ლაპლასები და სეები [10] არ ჰგვანდნენ დამარცხებულებს, და ბერანჟეს [11] მხიარული სიმღერები გაისმოდა კლასიკოსების ბანაკში. მათ წყევლა-კრულვას აყრიდნენ რომანტიკოსები, მაგრამ კლასიკოსები დუმილით უპასუხებდნენ ხან ორთქლის გემებით, ხან რკინიგზებით, ხან მეცნიერების აბლად დამუშავებული მთელი რიგი დარგებით, როგორიცაა გეოგნოზია, პოლიტიკური ეკონომია, შედარებითი ანატომია, — ხან მთელი რიგი მანქანებით, რომლებითაც ისინი ადამიანს უმსუბუქებდნენ მძიმე სამუშაოებს. რომანტიკოსები აგდებულად უყურებდნენ ამ შრომებს, ყოველი საშუალებით ამცირებდნენ ყოველგვარ პრაქტიკულ საქმიანობას, შეჩვენების დაღს ხედავდნენ საუკუნის მატერიალურ მიმართულებაში, და იმის გამო, რომ თავის სამრეკლოდან იცქირებოდნენ, მათ ვერ შეამჩნიეს მთელი პოეზია ინდუსტრიალური მოღვაწეობისა, რაც ასე გრანდიოზულად ვითარდებოდა, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში.

სანამ კლასიციზმი და რომანტიზმი ერთამანეთს ებრძოდა, აქცევდა რა სამყაროს ერთი — ანტიკურ ფორმად, მეორე კი — რაინდობად, — ამ დროს სულ უფრო და უფრო

იზრდებოდა რაღაც ძლიერი, ძალოვანი; ამ ძალოვანმა გაიარა მათ შორის, და მათ ვერ იცნეს მბრძანებელი თავისი მეფური შეხედულებით; იგი ერთი მკლავით კლასიკოსებს დაეყრდნო, მეორეთი — რომანტიკოსებს და მათზე მაღლა დადგა, — როგორც «ძალაუფლების მპყრობელი»; მან ცნო ერთნიც და მეორენიც და ორთავე უარყო; ეს იყო ჩვენი თანამედროვე სამყაროს შინაგანი სიცოცხლე, ცოცხალი ფსიქეა[22]. მისთვის, კათოლიციზმისა და რეფორმაციის გააფთრებული ბრძოლის ჭექა-ქუხილში დაბადებულისათვის, ჭაბუკობაში შესულისათვის იმ დროს, როდესაც მეორე ბრძოლის მეხთატეხა გაისმოდა, — სხვათა ტანსაცმელი არ ვარგოდა; მას თავისი საკუთარი სამოსელი ჰქონდა გამომუშავებული. ვერც კლასიციზმი და ვერც რომანტიზმი დიდხანს ვერ ამჩნევდნენ ამ მესამე ძალაუფლების არსებობას. თავდაპირველად ერთმაც და მეორემაც იგი თავის თანამონაწილედ მიიჩნია (ასე, მაგალითად, რომანტიზმი ოცნებობდა, ვალტერ სკოტზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ მის რიგებშია გოეთე, შილერი, ბაირონი). ბოლოს, კლასიციზმმაც და რომანტიზმმაც აღიარა, რომ მათ შორის რაღაც სხვა არის, რომელიც შორს არის იმისაგან, რომ მათ დაეხმაროს; ერთმანეთზე წაკიდებულნი, ისინი ახალ მიმართულებას ეძგერნენ. მაშინ გადაწყდა მათი ბედი.

მეოცნებე რომანტიზმმა შეიძულა ახალი მიმართულება მისი რეალიზმის გამო.

თითებით მოფათურე კლასიციზმმა შეიზიზღა იგი მისი იდეალიზმის გამო!

ძველი ქვეყნის გადმოცემათა ერთგული კლასიკოსები ამპარტავნული რჯულშემწყნარებლობითა და გამქირდავი ღიმილით უყურებდნენ იდეოლოგებს, და ცდებითა და სპეციალური საგნებით მეტისმეტად გართულნი იშვიათად გამოდიოდნენ ასპარეზზე. მართალი რომ ვთქვათ, ისინი არ უნდა ჩაითვალონ ჩვენი საუკუნის მტრებად. ესენი მეტწილად ცხოვრების პრაქტიკული ინტერესებისა და უტილიტარიზმის ადამიანები არიან. ახალმა მიმართულებამ სულ-

ახლახან დაიწყო გამოსვლა სკოლიდან; ამიტომ მისი საქმიანობა ეჩვენებოდათ ცხოვრებაში გამოუყენებელ და განუვითარებელ მოვლენად, — ისინი უარყოფდნენ მას, როგორც არასაჭიროს. რომანტიკოსები, ესოდენ ერთგულნი ფეოდალიზმის გადმოცემათა, ველურ შეუწყნარებლობას იჩენდნენ და ასპარეზიდან არ გადიოდნენ; ეს იყო ბრძოლა სამკვდროსასიცოცხლო, გააფთრებული და გაბოროტებული; ისინი მზად იყვნენ აღეგზნოთ კოცონები და ინკვიზიცია შემოეღოთ დავის დასამთავრებლად; მწარე შეგნება იმისა, რომ მათ აღარ უსმენენ, რომ მათი საქმე წაგებულია, — აღვივებდა დევნის ძირგადგმულ სულისკვეთებას, და რომანტიკოსები აქამდე ვერ დამშვიდდნენ. ყოველივე ამასთან ერთად კი, ყოველი დღე, ყოველი საათი სულ უფრო ნათლად და ნათლად გვიჩვენებს, რომ კაცობრიობას აღარ სურს არც კლასიკოსები და არც რომანტიკოსები, — მას სურს ადამიანები, თანამედროვე ადამიანები, სხვებს კი უყურებს, როგორც მასკარადზე მოსულ სტუმრებს, თან იცის, რომ როდესაც საკახშმოდ წავლენ, ნიღბებს მოიხსნიან, და უცხო, მახინჯი ნაკვთების შიგნით გამოჩნდება ნაცნობი, მშობლიური ნაკვთები. თუმცა არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არ ვახშმობენ იმიტომ, რომ არ სურთ ნიღბები მოიხსნან; მაგრამ უკვე აღარ არიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც შენიღბული ადამიანების ეშინოდეთ. მათ შორის წარმოშობილი ბრძოლა დამღუპველი იყო ორივე მხარისათვის; გამომჟღავნდა კლასიციზმის უსაფუძვლობა და რომანტიზმის შეუძლებლობა; რამდენად უფრო ადრე გაეცნენ მათ, იმდენად ნათლად გამოჩნდა მათი არაბუნებრივი, ანაქრონიკული გამოცხადება, და იმ ეპოქის საუკეთესო ადამიანებს არ მიუღიათ მონაწილეობა უკანმხედვართა ომში, მიუხედავად იმ ხმაურისა, რაც მათ ატეხეს. ისე კი იყო დრო, როდესაც კლასიციზმი და რომანტიზმი ცოცხალი, ჰეშმარიტი, მშვენიერი, აუცილებელი და ღრმად ადამიანური იყო. ყოველივე ეს იყო... «სარგებლობა მოიტანა თუ ზიანი პაპობამ?» — ჰკითხა გულუბრყვილო ლას-კაზმა[28] ნაპოლეონს. «მე არ ვიცი რა გითხრათ, — უპასუხა გადამდგარმა

იმპერატორმა: — იგი თავის დროზე სასარგებლო და აუცილებელი იყო, ხოლო სხვა დროს საზიანო». ასეთია ბედი ყოველივესი, რაც დროში გამოვლინდება. კლასიციზმი და რომანტიზმი ეკუთვნის ორ უდიდეს წარსულს; რა მონდომებითაც უნდა ცდილობდნენ მათს მკვდრეთით აღდგენას, ისინი მაინც დარჩებიან აჩრდილებად იმ მიცვალებულთა, რომელთაც ადგილი არა აქვთ თანამედროვე მსოფლიოში. კლასიციზმი ეკუთვნის ძველ მსოფლიოს, ისე როგორც რომანტიზმი — შუა საუკუნეებს. განსაკუთრებული სამფლობელო აწმყოში მათ არ შეიძლება ჰქონდეთ, რადგან აწმყო სრულიადაც არ ჰგავს არც ანტიკურ მსოფლიოს და არც შუა-საუკუნეებს. ამის დასამტკიცებლად საკმაოა ერთი თვალის გადავლებით გავეცნოთ ამ ეპოქებს.

ბერძნულ-რომაული სამყარო უპირატესად რეალისტური იყო; მას უყვარდა ბუნება და პატივს სცემდა მას, იგი ბუნებასთან ერთად ცხოვრობდა, მას უმაღლეს სიკეთედ მიაჩნდა არსებობა; კოსმოსი მისთვის იყო ჰეშმარიტება, რომლის საზღვრებს იქით იგი ვერაფერს ხედავდა, და კოსმოსი მისთვის კმაროდა სწორედ იმიტომ, რომ მოთხოვნილებანი შეზღუდული იყო. ბუნებისაგან და ბუნების საშუალებით აღწევდა ძველი მსოფლიო სულამდე და ამის გამო ვერ მიაღწია ერთიან სულამდე. ბუნება არის სწორედ იდეის არსებობა მრავალნაირობაში. ძველი მსოფლიოს ადამიანთა გაგებით ერთიანობა იყო აუცილებლობა, ბედისწერა, იდუმალი, სამყაროს მპყრობელი ძალა, რაც გარდუვალი იყო მიწისთვისაც და ოლიმპისთვისაც; ასე ემორჩილება ბუნება აუცილებელ კანონებს, რომელთა გასაღები მ ა ს შ ი ა, მ ა გ რ ა მ ა რ ა მ ი ს თ ვ ი ს. ბერძნების კოსმოგონია იწყება ქაოსით და ვითარდება ღმერთების ოლიმპიურ ფედერაციამდე, რაც ზევსის დიქტატურას ემორჩილება; ვერ მივიდნენ რა ერთიანობამდე, ისინი, რესპუბლიკელები, ხალისით შეჩერდნენ მსოფლიოს ამ რესპუბლიკურ მმართველობაზე. ანთროპომორფიზმმა ღმერთები ძალიან მიუახლოვა ადამიანებს. მაღალი ესთეტიკური გრძნობით დაჯილდოებული ბერძენი

მშვენივრად მისწვდა გარეგანის გამომსახველობას, ფორმის საიდუმლოებას; ღვთაებრივი მისთვის არსებობდა ადამიანური სილამაზით შემოსილი; ამ სილამაზეში აღმერთებდა იგი ბუნებას, და ამ სილამაზის იქით იგი არ მიდიოდა. ამ ბუნებასთან გაერთიანებულ ცხოვრებაში იყო წარმტაცი მშვენიერება და არსებობის სიადვილე. ადამიანები კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით. არც ერთ დროს არ ყოფილა ასე მხატვრულად შეთანასწორებული ადამიანის სულის ელემენტები. სულის შემდგომი განვითარება იყო აუცილებელი ნაბიჯი წინ, მაგრამ ეს განვითარება არ შეიძლებოდა სხვაფრივ, თუ არა ხორცის, ტანის, ფორმის ანგარიშზე: ეს განვითარება იყო უფრო მაღალი, მაგრამ მას მსხვერპლად უნდა შეეწირა ანტიკური გრაცია. ანტიკურ მსოფლიოს აყვავებულ ეპოქაში ადამიანთა ცხოვრება უდარდელი და ნათელი იყო, როგორც ბუნების ცხოვრება. გაურკვეველი კაეშანი, მტანჯველი ჩაღრმავება თავის თავში და ავადმყოფური ეგოიზმი მათთვის არ არსებობდა. ისინი იტანჯებოდნენ რეალური მიზეზების გამო, ცრემლს ღვრიდნენ ნამდვილი დანაკლისის გამო. ინდივიდუუმის პიროვნება იკარგებოდა მოქალაქეში, ხოლო მოქალაქე იყო ორგანო, ატომი, მეორე, წმიდათა წმიდა, გაღმერთებული პიროვნებისა — ქალაქის პიროვნებისა. დაჰკანკალებდნენ არა თავის «მეს», არამედ ათინის, სპარტასა და რომის «მეს»: ასეთი იყო ბერძნულ-რომაული სამყაროს ფართო, თავისუფალი თვალთახედვა, რაც ადამიანურად მშვენიერი იყო თავის ფარგლებში. მას ადგილი უნდა დაეთმო სხვა თვალთახედვისათვის, იმიტომ რომ ის შეზღუდული იყო. ანტიკურმა მსოფლიომ გარეგანი შინაგანს გაუტოლა; ეს ასეც არის ბუნებაში, მაგრამ ასე არ არის ჭეშმარიტებაში — აქ სული გაბატონებულია ფორმაზე. ბერძნები ფიქრობდნენ, რომ მათ გამოძერწეს ყველაფერი, რაც ადამიანის სულშია; მაგრამ მასში დარჩა უამრავი მიძინებული, ჯერ კიდევ განუვითარებელი მოთხოვნილებანი, რომელთა მიმართ საპრეთელი უძლურია; მათ საყოველთაოთი შთანთქეს პიროვნება, ქალა-

ქით — მოქალაქე, მოქალაქით — ადამიანი, მაგრამ პიროვნებას თავისი ხელშეუვალი უფლებები ჰქონდა, და, მიგების კანონის თანახმად, დამთავრდა მით, რომ რომის იმპერატორთა ინდივიდუალურმა, შემთხვევითმა პიროვნებამ შთანთქა ქალაქთა ქალაქი. ნერონებისა და კლავდიუსების[24] აპოთეოზი[25] და მათი დესპოტიზმი იყო ელინური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი საწყისის ირონიული უარყოფა თვით ამ სამყაროში. მაშინ დადგა მისი სიკვდილისა და სხვა სამყაროს დაბადების ჟამი. მაგრამ ელინურ-რომაული ცხოვრების ნაყოფი არ შეიძლებოდა დაღუპულიყო და არც უნდა დაღუპულიყო კაცობრიობისათვის. იგი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში გაუღვიეებლად ცოცხლობდა ნიადაგში იმისათვის, რომ გერმანულ სამყაროს თავისი აზრის განმტკიცების დრო ჰქონოდა და შეეძინა ამ ნაყოფის გამოყენების უნარი. დროის ამ შუალედში აყვავდა და დაჭკნა რომანტიზმი თავისი უდიდესი ჰეშმარიტებითა და თავისი უდიდესი ცალმხრიობით.

რომანტიკული თვალთახედვა არ უნდა იქნას მიჩნეული არც საყოველთაო-ქრისტიანულ და არც წმინდა-ქრისტიანულ შეხედულებად: იგი თითქმის მხოლოდ და მხოლოდ კათოლიციზმის კუთვნილებაა, მასში, როგორც ყოველივე კათოლიკურში, შედუღდა ორი საწყისი: ერთი, სახარებიდან გადმოღებული, მეორე — ხალხური, დროებითი, ყველაზე მეტად გერმანული. გერმანელ ხალხთა ბუნდოვანი, მჭვრეტელობისა და მისტიციზმისაკენ მიდრეკილი ფანტაზია, რომელმაც მიიღო და გადაამუშავა რა ქრისტიანობა, გაიშალა მთელ თავის უსაზღვრო ხასიათში; მაგრამ ამასთან ერთად მან რელიგიას მისცა ნაციონალური ფერი, და ქრისტიანობას შეეძლო მიეცა მეტი, ვიდრე რომანტიზმს შეეძლო მიეღო; ისიც კი, რაც მის მიერ მიღებულ იქნა, მიღებულია ცალმხრივად, და როდესაც განვითარდა — განვითარდა დანარჩენი მხარეების ანგარიშზე. სული, რომელიც გოტიკური ტაძრების კამარებიდან ცისკენ მიისწრაფოდა, ანტიკური სულის სრულიად საწინააღმდეგო რამ იყო. რომანტიზმის საფუ-

ძველი არის სპირიტუალიზმი, ტრანსცენდენტობა. სული და მატერია მისთვის არა ჰარმონიულ განვითარებაშია, არამედ ბრძოლაში, დისონანსში. ბუნება ცრუა, არაჭეშმარიტი; ყოველი ბუნებრივი უკუგდებულია. ადამიანის სულიერი სუბსტანცია «წითლდებოდა იმის გამო, რომ სხეული ჩრდილს აყენებს»*. ცხოვრებამ, შეიცნო რა თავის თავი გაორებით, დაიწყო წამება შინაგანი განხეთქილების გამო; იგი შერიგებას ეძებდა ერთ-ერთი საწყისის უარყოფით. შეიცნო რა თავისი უსასრულობა და თავისი უპირატესობა ბუნებაზე, ადამიანს სურდა უგულებელეყო ბუნება, და ინდივიდუალობამ, რომელიც ანტიკურ სამყაროში დაკარგული იყო, განუსაზღვრელი უფლებები მიიღო; გამომჟღავნდა სულის სიმდიდრენი, რომელთა არსებობა იმ სამყაროს ფიქრადაც არ მოსდიოდა. ხელოვნების მიზანი გახდა არა სილამაზე, არამედ ზეშთაგონება. მონადიმე ოლიმპის ხმამაღალი სიცილი შეწყდა; დღე-დღეზე მოელოდნენ დაქცევას ქვეყნისას, რომლის მარადისობა კლასიკური თვალთახედვის დოგმატი იყო. ყოველივე ეს ერთად რაღაც დიდებულ'ია და ნაღვლიანს ასხურებდა მოქმედებასა და აზრს; მაგრამ ამ ნაღველში იყო დაუძლეველი მშვენიერება ბუნდოვანი, გაურკვეველი, მუსიკალური მისწრაფებებისა და სასოებისა, რაც ადამიანის სულის სანუკვარ სიმებს აჟღერებდა. რომანტიზმი მშვენიერი ვარდი იყო, ჯვარცმის ძირში აღმოცენებული; ეს ვარდი ჯვარცმას ირგვლივ ეხვეოდა, მაგრამ მისი ფესვები, ისე როგორც ყოველი მცენარის ფესვები, მიწიდან საზრდოობდნენ. ამის გაგება რომანტიზმს არ სურდა; ეს მისთვის მისი დამდაბლების, მისი უღირსობის საბუთი იყო, — იგი ცდილობდა უარეყო თავისი ფესვები. რომანტიზმი განუწყვეტლივ ტიროდა, ადამიანის მკერდი ვიწრო არისო, და ვერასდროს ვერ შეძლო გამოთხოვებოდა თავის გრძნობებს, თავის გულს; მას განუწყვეტლივ მიჰქონდა თავისთავი მსხვერპლად და ამ მსხვერპლისათვის უსასრულო ჯილდოს მო-

* დანტე, «აღსვლა სამოთხეში». — ა. გ.

ითხოვდა; რომანტიზმი აღმერთებდა სუბიექტურობას, შეაჩვენებდა მას, და სწორედ ეს, ვითომდა შერიგებული საწყისების ბრძოლა აძლევდა მას ფიცხსა და მეტად წარმტაც ხასიათს. თუ ჩვენ დავივიწყებთ შუა საუკუნეების იმ ბრწყინვალე სახეს, როგორიც ჩვენ იგი რომანტიკულმა სკოლამ ჩაგვინერგა, ამ საუკუნეებში დავინახავთ ყველაზე საშინელ წინააღმდეგობებს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად იყვნენ შერიგებული, ნამდვილად კი გამძვინვარებული გლეჯდნენ ერთმანეთს. სწამდათ რა ცოდვათა ღვთაებრივი მონანიება, იმავე დროს აღიარებდნენ: თანამედროვე ქვეყანა და ადამიანი ღვთის უშუალო რისხვის ქვეშ იმყოფებაო. თავის პიროვნებას უსასრულო თავისუფლების უფლებებს მიაწერდნენ და ცხოვრების ყველა ადამიანურ პირობებს უსპობდნენ მთელ წოდებებს; მათი თვითგანკიცხვა ეგოიზმი იყო, მათი ლოცვა — ანგარებიანი თხოვნა, მათი მეპრძოლები ბერები იყვნენ, მათი მღვდელმთავრები — ხეზედართმთავრები; ქალები, ვისაც ისინი აღმერთებდნენ, პატიმრებივით ჰყავდათ; უცოდველ განცხრომათა დათმენა და აღვირახსნილი გარყვნილებისათვის თავის მიცემა, ბრმა მორჩილება და უსაზღვრო თვითნებობა. ლაპარაკი იყო მხოლოდ სულზე, ხორცის დათრგუნვაზე, ყოველივე მიწიერის უკუგდებაზე, — და ამავე დროს ისე აღვირახსნილად ვნებები არც ერთ ეპოქაში არ ბობოქრობდნენ, ცხოვრება არასდროს არ ყოფილა ასე დაპირისპირებული შეხედულებებსა და სიტყვებთან; ასეთ ცხოვრებასთან სინდისის შერიკება ხდებოდა ფორმალიზმით, სხვადასხვა ხრიკებით და თვითცდუნებით (მაგალითად, მით, რომ ყიდულობდნენ ინდულგენციას). ეს იყო ხანა აშკარა და უტიფარი სიცრუისა. საერო ხელისუფლება პაპას ღვთისგან დაყენებულ მოძღვრად ცნობდა, ფორმალურად თავს იმცირებდა მის წინაშე, მაგრამ ამავე დროს მთელი ძალ-ღონით ვნებდა მას, თანაც გამუდმებით იმეორებდა, პაპის მორჩილი ვარო. პაპი, მონა უფლისა მონათა, თვინიერი მოძღვარი, სულიერი მამა, სიმდიდრესა და მატერიალურ ძალებს იხვეჭდა. ასეთ ცხოვრებაში იყო რაღაც გიჟური და

ბოდვითი. კაცობრიობას არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო ამ არაბუნებრივ-დაძაბულ მდგომარეობაში. აუღიარებელმა, უკუგდებულმა, ჭეშმარიტმა ცხოვრებამ იწყო თავისი უფლებების წამოყენება; ძალიანაც ცდილობდნენ ზურგი შეექციათ მისთვის, უსაზღვრო შორეთისაკენ მიისწრაფოდნენ, მაგრამ ცხოვრების ხმა მაინც ძლიერი და მშობლიური იყო ადამიანისათვის; გული და გონება გამოეხმაურა ამ ხმას. მალე მას შეუერთდა მეორე ძლიერი ხმა; კლასიკური სამყარო მკვდრეთით აღსდგა. რომანული ხალხები, რომლებშიც არასდროს არ იღუპებოდა რომაული ხასიათი, აღფრთოვანებით ჩაეჭიდნენ პაპისეულ მემკვიდრეობას. ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში თავი იჩინა მოძრაობამ, რომელიც შუა საუკუნეების სულისკვეთების სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა იყო. გამომჟღავნდა მისწრაფება, — რადაც უნდა დამჯდარიყო განდგომოდნენ წარსულს: სურვილი დაიბადა ესუნთქათ თავისუფლად, ეცხოვრათ ნამდვილად. გერმანია სათავეში ჩაუდგა რეფორმას და მან ამაყად დააწერა რა თავის დროშას «გამოკვლევის უფლება», სინამდვილეში შორს იყო იმისაგან, რომ ნამდვილად ეცნო ეს უფლება. გერმანიამ მთელი თავისი ძალები კათოლიციზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ წარმართა; შეგნებული, დადებითი მიზანი ამ ბრძოლაში არ ყოფილა. გერმანიამ უდროოდ გაუსწრო წინ რომანული ხალხების კლასიციზმს, და შემდეგში სწორედ ამის გამო გაუსწრეს წინ მას ისევ. უარყოფდა რა კათოლიციზმს, გერმანია წყვეტდა იმ უკანასკნელ ძაფს, რითაც მიწასთან იყო მიმაგრებული. კათოლიკურ რიტუალს ზეცა ჩამოჰქონდა დედამიწაზე, ცარიელი პროტესტანტული ეკლესია კი მხოლოდ ზეცაზე მიუთითებდა. საკმაოა მოვიგონოთ იდუმალობისაკენ მიდრეკილი ხასიათი გერმანელებისა, რომ გავიგოთ რეფორმაციის ძლიერი გავლენა მათზე. სქოლასტიკური მისტიციზმი, რაც ადამიანს ხელს აღებინებს ყოველგვარ რეალიზმზე, მისტიციზმი, დამყარებული ტექსტების ანბანურ ცრუ განმარტებებზე ათეული სხვადასხვა აზრით, ერთთა — ცივი უგუნურება, საშინელი თანამიმდევრობით დამუშავებული, და მეორეთა ფანტასტიკური ბოდვა, დაუოკებელი და მძიმე, —

აი მიმართულება, რომელსაც დაადგნენ გერმანელები რეფორმაციის შემდეგ.

მთელი ამ მოძრაობის ორომტრიალში ახალი სამყარო «იბადებოდა»; მისი სუნთქვა ყველგან იგრძნობოდა. რომში აგებულ პეტრეს ტაძრით კაცობრიობამ ზეიმით უარყო გოტიკური არქიტექტურა. ბრამანტსა[26] და ბუონაროტს[27] უფრო სურდათ de la renaissance-ს* არაწმინდა სტილი, ვიდრე პირქუში ოჟივი[28]. ეს სავსებით გასაგებია, გოტიზმი ისტორიისაგან განყენებული ესთეტიკური თვალსაზრისით, უეჭველად გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე აღორძინების სტილი, როკოკო და სხვები, რომლებიც წარმოადგენენ გადასვლას გოტიზმიდან ანტიკური ხუროთმოძღვრების ჭეშმარიტ რესტავრაციაზე. მაგრამ გოტიზმს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული შუა საუკუნეების კათოლიციზმთან, გრიგოლ VII-ის კათოლიციზმთან, რაინდობასა და ფეოდალურ დაწესებულებებთან, — არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ცხოვრების ახლად განვითარებული მოთხოვნილებანი. ახალი ქვეყანა სხვანაირ სხეულს მოითხოვდა, მას ესაჭიროებოდა უფრო ნათელი ფორმა, არა მარტო ისეთი, რომელიც მ ი ი ს წ რ ა ფ ვ ი ს, არამედ ისეთი, რომელიც ა ტ კ ბ ო ბ ს, არა მარტო ისეთი, რომელიც ლოდად აწვება სულს თავისი სიდიადით, არამედ ისეთი, რომელიც ჰარმონიით ამშვიდებს. მიმართეს ძველ მსოფლიოს; იგრძნობოდა სიმპათია მისი ხელოვნებისადმი; სურდათ შეეთვისებინათ მისი ხუროთმოძღვრება, ნათელი, სპეტაკი, როგორც შუბლი ჭაბუკისა, ჰარმონიული, «როგორც გაქვავებული მუსიკა». მაგრამ ბევრი რამ იყო განცდილი რომისა და საბერძნეთის შემდეგ, და სულში ღრმად ჩაჭრილი გამოცდილება ამავე დროს ამბობდა, რომ არც ბერძნების პერიპტერი[29], არც რომაული როტონდა[30], არ გამოხატავს ახალი საუკუნის მთელ იდეას. მაშინ ააგეს «პანთეონი პართენონზე» **, და გამოუცდელებმა,

* აღორძინება, აღდგენა, რენესანსი (ფრანგ.). — რ ე დ.

** გამოთქმა მუსიკის შესახებ ეკუთვნის შელინგს; «პანთეონი პართენონზე» — თქვა ვ. ჰიუგომ პეტრეს ტაძარზე. — ბ. ბ.

რომელთაც ეშინოდათ სწორი ხაზისა, ანტიკური სისადავე დაამახინჯეს პილიასტრებით [31], შეზნექილი ხაზებით და შეერილებით; ეს გადატრიალება ხუროთმოძღვრებაში ხელოვნებისათვის უკანგადადგმული ნაბიჯი იყო, ხოლო კაკობრიობისათვის კი წინგადადგმული ნაბიჯი. მისი დროულობა მთელმა ევროპამ დაამტკიცა; ყველა მდიდარმა ქალაქმა ააგო თავისი პეტრეს ტაძარი. გოტიკური ეკლესიების შენება დაუმთავრებლად დატოვეს იმისათვის, რომ აღორძინების სტილის ეკლესიები აეგოთ. მარტო გერმანია, რომელიც უმთავრესად გოტიკური ქვეყანაა. დარჩა ერთგული თავისი ხუროთმოძღვრებისა, მაგრამ გერმანია ცოტას აშენებდა ამ ეპოქაში, ღრმა ჭრილობები და გამოფიტულობა ბევრის შენების საშუალებას არ აძლევდა მას. ასეთი საყოველთაო ფაქტების წინააღმდეგ არაფერი ითქმის; საჭიროა ვეცადოთ მათ გაგებას; კაკობრიობა უხეშად არ ცდება მთელ ეპოქებში. ახალი სტილის ტაძარი მოწმობს შუა საუკუნეების დამთავრებას, შუა საუკუნეების თვალთახედვის დამთავრებას. პეტრეს ტაძრის შემდეგ შეუძლებელი გახდა გოტიკური არქიტექტურა: იგი გარდასულ არქიტექტურად, ანაქრონიზმად იქცა.

თავის მხრივ ხდებოდა პლასტიკურ ხელოვნებათა გათავისუფლება. გოტიკური ეკლესია სხვა მოთხოვნებს უყენებდა ფერწერას, ვიდრე პეტრეს ტაძარი. ბიზანტიზმი გოტიკური ფერწერის ერთ-ერთ არსებით მომენტს გამოხატავს. მდგომარეობისა და კოლორიტის არაბუნებრიობა, პირქუში სიდიადე, რაც ყოველგვარი მიწიერის უარყოფას მოასწავებს, სილამაზისა და სინატიფის განზრახ უგულებელყოფა, — ყოველივე ეს შეადგენს მიწიერი სილამაზის ასკეტურ უარყოფას; სახე — არაა სურათი: ეს არის სუსტი მონახაზი, სუსტი მინიშნება. მაგრამ იტალიელთა მხატვრულ ბუნებას არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო სიმბოლისტური ხელოვნების ფარგლებში; იგი სულ უფრო და უფრო ავითარებდა ამ ხელოვნებას და თავის მხრივ ლეონ X-ის [32] დროსათვის გარ-

დამქმნელი ხელოვნებიდან უკვე გადავიდა წმინდა მხატვრულ სფეროში. dei divini maestri*, დიადმა, მარადიულმა ტიპებმა მიჭიერი ხორციელობის სილამაზის სამოსელში გახვიეს ზეციური; მათი იდეალია — იდეალი სახეცვლილი ადამიანისა, მაგრამ მაინც ადამიანისა. რაფაელის მადონები წარმოადგენენ ქალწულებრივ-ქალური ფორმის აპოთეოზს, მაგრამ მისი მადონები სუპრანატურალური, განყენებული არსებანი კი არ არიან, არამედ გარდაქმნილი ქალწულებია. ფერწერა, რომელიც უმაღლეს იდეალამდე ავიდა, კვლავ მტკიცედ დადგა მიწაზე, მან არ მიატოვა მიწა. ბიზანტიურმა ფუნჯმა ხელი აიღო ანტიური ქვეყნის ადამიანური, მიწიერი სილამაზის იდეალზე. იტალიური ფერწერა ავითარებდა ბიზანტიურ ფერწერას, მაგრამ თავისი განვითარების უმაღლეს მომენტში მან უარყო ბიზანტიზმი და, როგორც ჩანს, სილამაზის იმავე ანტიკურ იდეალს დაუბრუნდა; მაგრამ გადადგმული იყო უდიდესი ნაბიჯი: ახალი იდეალის თვალებში სულ სხვა სიღრმე, სხვა აზრი გამოკრთოდა, ვიდრე ბერძნულ ქანდაკებათა ღ ი ა, მ ა გ რ ა მ ბ რ მ ა თ ვ ა ლ ე ბ შ ი. იტალიურმა ფუნჯმა დაუბრუნა რა ხელოვნებას სიცოცხლე, მას ღვთის სიტყვით განვითარებული სულის მთელი სიღრმე მიანიჭა.

პოეზიაში თავისი გადატრიალება ხდებოდა. რაინდობა პოეზიაში კარგავს თავის მჭვრეტელობითს ქედმაღლობას და ფეოდალურ სიამაყეს. არიოსტო[33] თამაშითა და ღიმილიფ მოგვითხრობს თავის ორლანდზე; სერვანტესი ბოროტი ირონიით ატყობინებს ქვეყნიერებას მის უძლურებასა და უდროობას; ბოკაჩიო ფარდას ხდის კათოლიკური მონარქიის ცხოვრებას; რაბლე კიდევ უფრო შორს მიდის ფრანგის მამაცური შეუპოვრობით. პროტესტანტული სამყარო იძლევა შექსპირს. შექსპირი — ეს ორი სამყაროს ადამიანია. იგი ხურავს ხელოვნების რომანტიკულ ეპოქის კარებს და აღებს ახალი ეპოქის კარებს. ადამიანური სუბიექტურობის გენიალური

---

* ღვთაებრივი ოსტატების (ლათინ. და იტალ.). — რ ე დ.

გახსნა მთელი სიღრმით, მთელი სისავსით, მთელი ვნებიანობით და უსასრულობით, გაბედული კვალდაკვალ დადევნება ცხოვრებისადმი მის უიდუმალეს კუნჭულებამდე და ნაპოვნის მხილება არ შეადგენს რომანტიზმს, არამედ მის ფარგლებს იქით გადადის. რომანტიზმის მთავარი ხასიათი გამოიხატება იმით, რომ იგი გულით მიისწრაფვის სადღაც და ეს მისწრაფება აუცილებლად ნაღვლიანია, იმიტომ რომ «იქ არასოდეს არ იქნება აქ». რომანტიზმი მუდამ იქითკენ მიისწრაფვის, რომ დატოვოს მკერდი; მკერდში მისთვის არ არსებობს შერიგება. შექსპირისათვის ადამიანის მკერდი მთელი სამყაროა, რომლის კოსმოლოგიას იგი ფართოდ ხატავს ძლიერი და გენიალური ფუნჯით. საფრანგეთსა და იტალიაში ამ დროს იზრდებოდა და ძლიერდებოდა ცრუ კლასიციზმი. პალადიუსი თავის თხზულებაში, არქიტექტურის შესახებ, ზიზღით ლაპარაკობს გოტიზმზე; ანტიკური მწერლებისადმი სუსტი და უფერული მიბაძვა უფრო დიდად ფასდებოდა, ვიდრე პოეზიითა და სიღრმით გამსჭვალული სიმღერები ალეგენდები შუა საუკუნეებისა. ანტიკური იზიდავდა თავისი ადამიანურობით, თავისი შერიგებით ცხოვრებასა და სილამაზეში. ანტიკურის საშუალებით ხდებოდა ახლის გამომუშავება. მეცნიერებაში*, და თვით პოლიტიკაშიც კი, თავს იჩენს იგივე სულისკვეთება.

ამავე დროს კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ბრძოლა გრძელდებოდა. კათოლიციზმი განახლდა, გაახალგაზრდავდა ამ ბრძოლაში, პროტესტანტიზმი ვაჟკაცდებოდა და მაგრდებოდა; მაგრამ ახალი სამყარო საკუთრივ არც ერთს ეკუთვნოდა და არც მეორეს. ამ გადახლართული ბრძოლის დასაწყისში იყო ერთი სწავლული, რომელმაც უარი თქვა პირდაპირ მიმხრობოდა ერთს ან მეორე მხარეს. იგი ამბობდა, რაკი ჰუმანიორას[24] მივსდევ, არ მსურს ჩაეე-

* მეცნიერებაში მომხდარი გადატრიალების შესახებ განზრახული გვაქვს ვილაპარაკოთ განსაკუთრებულ სტატიაში, ამიტომ არას ვამბობთ აქ. სხვათა შორის, საკმაოა დავასახელოთ ბეკონი, დეკარტი და სპინოზა. — ა. გ.

რიო პაპისა და ლუთერის ბრძოლაშიო. ეს სწავლული ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი[35] იყო, სწორედ ის კაცი, რომელმაც ღიმილით დაწერა რაღაც de libero et servo arbitrio*, რის გამოც მრისხანებით აცახცახებულმა ლუთერმა თქვა: «თუ ვინმემ დამჭრა მე სწორედ გულში, ეს მხოლოდ ერზამმა და არა პაპის დამცველებმა». ერზამის მეოხებით, ახალი ჰუმანური სამყაროს აზრი ხან კლასიკურ და ხან რომანტიკულ სამყაროში ცხადდებოდა; რეფორმაციამ ამ აზრს უშველებელი ძალა შემატა, მაგრამ იგი პირველ შემთხვევისთანავე კლასიკოსებთან გადავიდა. აქედან ნათლად შეიძლებოდა გაეგოთ, — მაგრამ ვერ გაიგეს, — რომ ახალი აზრისათვის განსაზღვრებანი — კლასიკოსები, რომანტიკოსები — დამახასიათებელი და არსებითი არ არის, რომ ეს ახალი აზრი არც ერთია და არც მეორე, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ერთიც არის და მეორეც, მაგრამ არა როგორც მექანიკური ნარევი, არამედ როგორც ქიმიური პროდუქტი, რომელმაც თავის თავში მოსპო შემადგენელი ნაწილების თვისებები, როგორც შედეგი სპობს მიზეზებს მით, რომ გაა ქ მ ე დ ი ა ნ ებ ს ა მ მ ი ზ ე ზ ებ ს, როგორც სილოგიზმი სპობს თავის თავში წანამძღვრებს. ვის არ უნახავს ბავშვები, რომლებიც საოცრად ჰგვანან დედასა და მამას, მაგრამ სრულიად არ ჰგვანან ერთმანეთს. ასეთი ბავშვი იყო ახალი საუკუნე: მასში იყო და არის რომანტიკული მეოცნებობის და კლასიკური პლასტიციზმის ელემენტები; მაგრამ ისინი მასში განცალკევებული კი არ არიან, არამედ განუყრელად არიან შერწყმული მის ორგანიზმში, მის ნაკვთებში.

რომანტიზმსა და კლასიციზმს ახალ სამყაროში უნდა ენახათ თავისი კუბო, და არა მარტო კუბო, — მასში უნდა ეპოვათ თავისი უკვდავებაც. კვდება მხოლოდ ცალმხრივი, ყალბი და დროებითი, მაგრამ მათში იყო ჭეშმარიტებაც — მარადიული, ზოგადსაკაცობრიო; ეს ჭეშმარიტება არ შეიძლება მოკვდეს, იგი შედის მაიორატში ადამიანთა მოდგმის

* თავისუფალ და მონურ მსჯელობაზე (ლათ.). — რ ე დ.

უფროსად. მარადიული ელემენტები, კლასიკური და რომანტიკული, ყოველგვარი ძალდატანებითი საშუალებების გარეშე ცოცხლობენ; ისინი ეკუთვნიან დროში ადამიანის სულის განვითარების ორ ჭეშმარიტ და აუცილებელ მომენტს; ისინი შეადგენენ ორ ფაზას, ორ თვალთახედვას, სხვადასხვა ხნისას და შედარებით-ჭეშმარიტს. ყოველი ჩვენგანი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, — ან კლასიკოსია ან რომანტიკოსი, ყოველ შემთხვევაში, იყო ან ერთი ან მეორე. ჭაბუკობა, პირველი სიყვარულის ხანა და ცხოვრების უცოდინარობა რომანტიზმისათვის განაწყობს ადამიანს; რომანტიზმი ამ დროს კეთილმოქმედია: იგი სულს წმენდს და აკეთილშობილებს, მასში ცხოველურობასა და უხეშ სურვილებს სპობს: სული განიბანება, ფრთებს შლის ამ ნათელ და უმანკო ოცნებათა ზღვაში, თავის თავის ამ აღვლენით უზენაეს ქვეყნად, სული დათრგუნავს ყოველივე შემთხვევითს, დროებითს, ყოველდღიურობას. ადამიანები, რომლებიც დაჯილდოებული არიან უფრო მეტად ნათელი გონებით, ვიდრე მგრძნობიარე გულით, — სულის შინაგანი აღნაგობით კლასიკოსები არიან, ისე როგორც ადამიანები, — უფრო მეტად მკვრეტელნი, ნაზნი და მოთენთილნი, ვიდრე მოაზროვნენი, — უმალ რომანტიკოსები არიან, ვიდრე კლასიკოსები. მაგრამ აქედან განსაკუთრებული სკოლების არსებობამდე მეტად დიდი მანძილია.

შილერი და გოეთე წარმოადგენენ უდიდეს მაგალითს. თუ როგორ უნდა იქნას მიღებული ჩვენს საუკუნეში რომანტიკული და კლასიკური ელემენტები. რასაკვირველია, შილერს გოეთეზე მეტი სიმპათია ჰქონდა რომანტიკულისაკენ, მაგრამ მთავარი მისი სიმპათია მიმართული იყო თანამედროვეობისაკენ, და მისი უკანასკნელი, ყველაზე უფრო დასრულებული ნაწარმოებნი წმინდა ჰუმანური არიან (თუ ამ სახელწოდებას დავუშვებთ), ვიდრე რომანტიკული. და განა შილერისათვის იყო რაიმე უცხო კლასიკურ სამყაროში, — შილერისათვის, რომელიც თარგმნიდა რასინს, სოფოკლეს და ვირგილიუსს?[36] ან განა გოეთესათვის იყო რაიმე მიუწვდომე-

ლი რომანტიზმის ულრმეს საიდუმლოებებში? ამ გიგანტებში ერთმანეთის საწინააღმდეგო და ერთმანეთთან მებრძოლი მიმართულებები გენიის ცეცხლით შეერთდნენ ისეთ თვალთახედვად, რომელიც თავისი სისრულით განცვიფრებას იწვევს. მაგრამ პარტიების ადამიანები თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ. კაცობრიობა სრულწლოვანების ისეთ ეპოქაში შეიყვანდა, რომ პირდაპირ სასაცილო გახდა ცდა იმისა, რომ დაეპრუნებინათ იგი კლასიციზმისაკენ ან რომანტიზმისაკენ. და, ამავე დროს, ჩვენ მოწამენი ვიყავით იმისა, თუ ნაპოლეონის შემდეგ როგორ წარმოიშვა ნეორომანტიზმის ძლიერი სკოლა. ეს მოვლენა არ იყო მოკლებული თავის დასაკანონებელ საკმაო მიზეზებს. გერმანული მეცნიერებისა და გერმანული ხელოვნების მიმართულება სულ უფრო და უფრო საყოველთაო, კოსმოპოლიტური ხდებოდა. ამ საყოველთაობას მსხვერპლად ეწირებოდა ცხოველმყოფელობა. გერმანელთა მოდუნებული ეროვნულობა თავს არ იჩენდა ნაპოლეონის ეპოქამდე; ამ ეპოქაში კი ნაციონალური გრძნობებით აღფრთოვანებული გერმანია გამოფხიზლდა; გოეთეს მსოფლიო სიმღერები ნაკლებად ეთანხმებოდნენ სისხლში დანთებულ ცეცხლს. რაც პატრიოტიზმმა მოიმოქმედა გერმანიაში, იგივე გააკეთა აპატიამ საფრანგეთში, და მათი ხელებით გაიღო კარების ორივე ნახევარი რომანტიზმისათვის. გულგრილობისა და დაეჭვების სულშემხუთავი გრძნობა და ხალხის სიამაყის მგზნებარე გრძნობა სულს განსაკუთრებით განაწყობდა რწმენითა და ნაციონალური თანაგრძნობით აღსავსე ხელოვნებისათვის. მაგრამ, ვინაიდან ის გრძნობები, რომლებმაც ნეორომანტიზმი გამოიწვიეს, დროებითი იყო, ადვილად შეიძლებოდა წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ რა ბედი მოელოდა ნეორომანტიზმს, — საკმაო იყო XIX საუკუნის ხასიათში ჩახედვა, რომ გაეგოთ შეუძლებლობა ხანგრძლივი გატაცებისა რომანტიზმით.

მართლაც, XIX საუკუნის თვითმყოფი ხასიათი მის პირველსავე წლებში გამოჩნდა. იგი ნაპოლეონის ეპოქის სრული განვითარებით დაიწყო; მას შეეგება გოეთესა და შილერის

სიმღერები, კანტისა და ფიხტეს ძლიერი აზრი. უკანასკნელი ათი წლის მოვლენათა ხსოვნით აღსავსეს, წინაგრძნობებითა და კითხვებით აღსავსეს, მას არ შეეძლო ეხუმრა ისე, როგორც მის წინამორბედს. ამ ეპოქის ტრაგიკული ბედი შილერმა მოგვაგონა იავნანაში, რომელიც მან უმღერა მას.

Das Jahrundert ist in Sturm geschieden.
Und das neue oeffnet sich mit Mord *.

საუკუნეთა გაქვავებული შენობები ინგრეოდნენ; უყურებდნენ რა იენისა და ვაგრამის [37] ველებს, დაეჭვდნენ გარდასულის სიმტკიცეში და არსებულის ნამდვილობასა და ურყეობაში. პარიზის «მონიტერში» ერთხელ გამოცხადებული იყო, რომ გერმანიის კავშირმა შეწყვიტა არსებობაო. გოეთემ ეს ფრანგული გაზეთიდან გაიგო. რამდენ სკეპტიკურ აზრებს, რამდენ კრიტიკას აღვიძებდა მარადიულად მიჩნეულ ტაძართა ნანგრევები. და ნუთუ მთელ ამ remue-ménage-ს ** მიზნად ჰქონდა რომანტიზმისაკენ დაბრუნება? არა! იმ დროს, როდესაც ერთი ხანიდან მეორეში გადადიოდნენ, აზრის ადამიანები ესწრებოდნენ უდიდეს დრამას; ტყუილუბრალოდ როდი დაშორდნენ ისინი ერთმანეთს ღრმა და საზეიმო ფიქრით: ამ ფიქრის ნაყოფი განვითარდა მთელი განვლილი აზროვნების ხეზე.

პირველი სახელი, რომელმაც დაიქუხა ევროპაში და რომელსაც წარმოთქვამდნენ ნაპოლეონის სახელის გვერდით, იყო უდიდესი მოაზროვნის სახელი. საწყისთა გააფთრებული ბრძოლის, სისხლისმღვრელი შუღლისა და ველურ განხეთქილებათა ეპოქაში შთაგონებულმა მოაზროვნემ ფილოსოფიის საფუძვლად გამოაცხადა დაპირისპირებულთა შერიგება. იგი თავიდან არ იშორებდა მტრულად წაკიდებულ ძალებს; მან მათ ბრძოლაში შეიცნო ცხოვრებისა და განვითარების პროცესი. იგი ბრძოლაში ხედავდა ბრძოლის მომხსნელ

---

* წარსული საუკუნე დაიღუპა ქარიშხალში, ხოლო ახალი იწყება მკვლელობით. — რ ე დ.

** ორომტრიალს, ალიაქოთს (ფრანგ.). — რ ე დ.

უმაღლეს იგივეობას. ეს აზრი, რომელიც ჩვენი ეპოქის ღრმა შინაარს შეიცავს, როგორც კი შეიგნო და გამოთქვა მოაზროვნე-პოეტმა, მაშინვე მწყობრ, მკაცრ, მეცნიერულ ფორმაში განავითარა და გამოხატა იგი სპეკულატურად, დიალექტიკურად მოაზროვნემ. 1812 წლის მაისში, იმ დროს, როდესაც დრეზდენში ნაპოლეონის გარშემო ირეოდნენ მეფეები და გვირგვინოსნები, ნიურნბერგის რომელიღაც სტამბაში იბეჭდებოდა ჰეგელის «ლოგიკა»; მას ყურადღება არ მიაქციეს, იმიტომ რომ ყველა კითხულობდა იმ დროსვე დაბეჭდილ «განცხადებას პოლონეთის მეორე ომის შესახებ». მაგრამ იკი გაღვივების სტადიაში იყო. ამ, ძნელი ენით დაწერილ და, ვგონებ, მხოლოდ სკოლისათვის გათვალისწინებულ რამდენიმე ნაბეჭდ თაბახში ჩადებული იყო მთელი განვლილი აზროვნების ნაყოფი, ვეებერთელა, ძლიერი მუხის თესლი. არ შეიძლებოდა არ აღმოჩენილიყო მისი განვითარების პირობები: საკმაო იყო გაეგოთ და გაეხსნათ ფრჩხილები, როგორც მათემატიკოსები ამბობენ ხოლმე, და ხე ცნობადისა და ცხოვრებისა შეიმოსებოდა მოშრიალე მწვანე ფოთლებით, დაიხუნძებოდა წვნიანი და ნოყიერი ნაყოფით, ირგვლივ მოჰფენდა გამაგრილებელ ჩრდილს. გაგებულ იქნა და გამოვლინდა ის, რაც შილერის დრამების მოხდენილ სახეებში ფეთქავდა, ის, რაც გოეთეს სიმღერებიდან მოჩქეფდა. ჭეშმარიტებამ, თითქოს ერთგვარი უბიწოებისა და მორცხვობის გრძნობის გამო, სქოლასტიკის მოსასხამი ჩამოიფარა და იგი რჩებოდა მარტო მეცნიერების განყენებულ სფეროში, მაგრამ ამ მოსასხამს, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაიცვითა და გახუნდა, არ შეუძლია დაფაროს ის: ჭეშმარიტება სხივოსანია — მისთვის საკმარისია ერთი ჭუჭრუტანა, რომ მთელი მინდორი გაანათოს.

საუკეთესო გონების ადამიანები უთანაგრძნობდნენ ახალ მეცნიერებას, მაგრამ უმეტესობას არ ესმოდა იგი; ვითარდებოდა რა ფსევდორომანტიზმი, იმავე დროს, იგი თავის რიგებში იტყუებდა ახალგაზრდებსა და დილეტანტებს. მხცოვანი გოეთე წუხდა, როდესაც შეჰყურებდა სხვა

მხარეზე გადახრილ თაობას. იგი ხედავდა, თუ როგორ აფასებდნენ მასში არა იმას, რაც ღირსეული იყო, თუ როგორ ესმოდათ მასში არა ის, რასაც ამბობდა. გოეთე, უმთავრესად, რეალისტი იყო, ისე როგორც ნაპოლეონი, როგორც მთელი ჩვენი ეპოქა; რომანტიკოსებს არა აქვთ რეალურის გაგების ორგანო. ბაირონი ლანძღვა-გინებით იხსენიებდა ცრუ ამხანაგებს, მაგრამ უმეტესობა რომანტიზმის მხარეზე იყო; სამკაულებში, ტანსაცმელებში აღსდგა შუა საუკუნეების გემოვნება, რაც ესოდენ დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა თანამედროვეობის დადებით ხასიათსა და მოთხოვნილებებს. ქალის ტანსაცმელის სახელოებმა, მამაკაცის თმის დავარცხნილობამ, — ყველაფერმა რომანტიკული გავლენა განიცადა. ისე როგორც კლასიკოსებისათვის ტრაგედია ტრაგედია არ იყო, თუ მასში არ იყვნენ ბერძენი ან რომაელი გმირები; ისე როგორც კლასიკოსები სვამდნენ ბურგონის მშვენიერ ღვინოს, მაგრამ გამუდმებით უმღეროდნენ ფალერნის საძაგელ ღვინოს, ასევე რომანტიზმის პოეზიამ აუცილებელ პირობად მიიჩნია რაინდული სამოსელი; რომანტიკოსებს არ გააჩნიათ ისეთი პოემა, სადაც სისხლი არ იღვრებოდეს, სადაც მიამიტი პაჟები და მეოცნებე გრაფინიები არ იყვნენ, სადაც ჩონჩხები და გვამები, აღტაცებულობა და ბოდვა არ იყოს. ფალერნის ღვინის ადგილი პლატონურმა სიყვარულმა დაიკავა; პოეტ-რომანტიკოსებს უყვართ რეალურად, ადამიანურად, მაგრამ უფლიან მხოლოდ პლატონურ ვნებას. გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთის დასწრებაზე ასაჩუქრებდნენ კაცობრიობას რომანტიკულ ნაწარმოებებით: ჰიუგო და ვერნერი[38], — პოეტი, რომელმაც თავი მოიგიჟიანა, და გიჟი, რომელმაც თავი პოეტად მიიჩნია, — დგანან რომანტიკული ბროკენის[39] მწვერვალზე, როგორც ორი ძლიერი წარმომადგენელი. მათ შორის გამოჩნდნენ ჭეშმარიტად წარმტაცი ტალანტები, როგორიცაა ნოვალისი, ტიკი, ულანდი[40] და სხვები, მაგრამ მათ დიდ ზიანს აყენებდა მიმდევართა კოჰორტა. ამ პორტრეტისტებმა იმდენად დაამახინჯეს რომანტიკული პოეზიის ნაკეთები, იმდენი იმღერეს თავის მისწრა-

ფებებსა და სიყვარულზე, რომ კარგი რომანტიკოსების კითხვაც კი მოსაწყენი და შეუძლებელი გახდა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი გამვრცელებელი სრულიადაც არ იყო რომანტიკოსი, — მე ვლაპარაკობ ვალტერ სკოტზე: მისი თვალთახედვა მისი სამშობლოს საყოფაცხოვრებო პრაქტიკული თვალთახედვაა. ეპოქის ცხოვრების ასახვა არ ნიშნავს მისი ცალმხრიობის მიღებას.

ასე თუ ისე, რომანტიზმი ზეიმობდა. ფიქრობდა რა, რომ მარადიულად იარსებებდა. იგი ამაყად იწყებდა გაბაასებას ახალ მეცნიერებასთან, და მეცნიერებაც ხშირად ყალბად ჰბაძავდა მის ენას; რომანტიზმი მოწყალებით უყურებდა მეცნიერებას, რაღაცნაირ რომანტიკულ ფილოსოფიას იწყებდა, მაგრამ არასდროს არ მიდიოდა იქამდე, რომ ნათლად ეთქვა, რაშია საქმე. ფილოსოფოსები და რომანტიკოსები ერთ და იმავე სიტყვებში გულისხმობდნენ სხვადასხვა რამეს და განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ. სრული კომიზმი იყო, როცა ხანგრძლივი შრომის შემდეგ ერთნიცა და მეორენიც მიხვდნენ, რომ მათ ერთმანეთისა არა გაეგებათ რა. ამ უცოდველ საქმიანობაში, სიმღერების ტრაბადურების ყაიდაზე[41] თხზვაში, ბალადებისათვის რაინდების შესახებ არსებული გადმოცემებისა და ქრონიკების ვანგარიკაში, მოთენთილ ლტოლვაში და უცნობი ქალწულისადმი მტანჯველ სიყვარულში... დრო მიდიოდა და რაინდენიმე წელი გავიდა. გოეთე მოკვდა, ბაირონი მოკვდა, ჰეგელი მოკვდა, შელინგი მ ო ხ უ ც დ ა. თითქოს სწორედ ახლა უნდა ემეფნა რომანტიზმს. მაგრამ მასების სწორეა ტაქტმა სხვანაირად გადაწყვიტა: მასები უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში უკვე აღარ თანაუგრძნობდნენ რომანტიკოსებს და რომანტიკოსები, როგორც სპარტანელები ლეონიდთან[42] ერთად, ზურგიდან შემოვლილი აღმოჩნდნენ. მათ სპარტანელების მაგალითის მიხედვით, თავიანთ თავს განუმზადეს გმირული, მაგრამ უსარგებლო სიკვდილი. რამ მიიქცია საერთო ყურადღება, რატომ დარჩნენ რომანტიკოსები ყურადღების გარეშე — ეს სხვა საკითხია, რაზედაც განზრახვა არა გვაქვს ახლა ვუპასუხოთ, დავკმაყოფილდებით ფაქტით. ვინ

ლაპარაკობს ახლა რომანტიკოსებზე, ვინ აქცევს მათ ყურადღებას, ვინ იცნობს მათ? მათ გაიგეს გულგრილობის საშინელი სიცივე და ისინი ახლა დგანან მწუხარე და ფერმკრთალნი, პირზე კი საუკუნისადმი შავბნელი წყევლის სიტყვები აკერიათ; ისინი ხედავენ, თუ როგორ ინგრევა ის კოშკები, სადაც მათი საყვარელი მსოფლმხედველობა ბინადრობდა, ხედავენ, თუ როგორ აოხრებს ახალი თაობა გზადაგზა ამ ნანგრევებს, როგორ არ აქცევს ყურადღებას მათ, ცრემლთა მღვრელებს; ისინი ძრწოლით ისმენენ თანამედროვე ცხოვრების მხიარულ სიმღერას, რომელიც მათ სიმღერად არ იქცა, და კბილთა ღრჭენით შეჰყურებენ მოფუსფუსე საუკუნეს, რომელიც გართულია მატერიალური გაუმჯობესებით, საზოგადოებრივი საკითხებით და მეცნიერებით. და ამ მჩქეფარე, კეთილს, სურნელებით მსუნთქავ ცხოვრებაში ზოგჯერ საზარია შეხვედრა ამ მიცვალებულებთან, რომლებიც საყვედურს ამბობენ, გაბოროტებული არიან და არ უწყიან, რომ ისინი მოკვდნენ!. ღმერთმა განუსვენოს მათ: კარგი არ არის, როდესაც მკვდრები ცოცხლებში გაერევიან.

Werden sie nicht schaden,
So werden sie schrecken *.

1842, მაისის 9.

წერილი მესამე

დილეტანტები და სწავლულთა ამქარი

ისეთთა... welche alle Töne einer Musik mit durchgehört haben, an deren Sinn aber das Eine, die Harmonie dieser Töne nicht gekommen ist... — როგორც ჰეგელმა თქვა (Gesch. der. Phil.)**.

კაცობრიობის ხანგრძლივი ცხოვრების ყველა ხანაში შენიშნულია ორი ურთიერთმოპირისპირე მოძრაობა: ერთის განვითარება პირობებს უქმნის მეორეს აღმოცენებას, მასთან

* თუ ზიანს ვერ მოიტანენ, შეაკაშინებენ მაინც (გერმან.). — რ ე დ.

** ისეთთა... — რომლებმაც მოისმინეს მუსიკალური ნაწარმოების ყველა ბგერა, მაგრამ გრძნობით ვერ შეითვისეს ერთი რამ — ამ ბგერათა ჰარმონია («ფილოსოფიის ისტორია»). — რ ე დ.

ერთად — ბრძოლასა და პირველის დანგრევას. ისტორიული ცხოვრების რომელ სავანეშიც უნდა ჩავიხედოთ, — ჩვენ დავინახავთ ამ პროცესს, და ამასთანავე ისეთ პროცესს, რომელიც მეორდება მთელი რიგი მეტაფსიქოზით[13]. ერთი საწყისის შედეგად, ის პირები, რომელთაც ურთიერთშორის რაიმე საერთო კავშირი აქვთ, ისწრაფვიან განზე გადგნენ, განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩადგნენ და ხელთ იგდონ მონოპოლია. მეორე საწყისის შედეგად, მასები მიისწრაფვიან შთანთქან ზღუდეშემოვლებულნი, მიითვისონ მათი შრომის ნაყოფი, გათქვიფონ ისინი თავიანთ შორის, მოსპონ მონოპოლია. ყოველ ქვეყანაში, ყოველ ეპოქაში და ყოველ დარგში მონოპოლიებისა და მასების ბრძოლა სხვადასხვანაირად გამოიხატება, მაგრამ ამქრები და კასტები განუწყვეტლივ იქმნებიან, მასები განუწყვეტლივ უთხრიან მათ ძირს და, რაც ყველაზე უცნაურია, მასა, რომელიც გუშინ ამქარს გმობდა, დღეს თვითონ იქცევა ამქრად, და ხვალ ერთი საფეხურით უფრო მაღლა მდგარი მასა, თავის მხრივ, შთანთქავს და დაამარცხებს პირველს. ეს პოლარობა — კაცობრიობის ცხოველმყოფელი განვითარების ერთ-ერთი მოვლენაა, მაჯისცემის მსგავსი მოვლენა, იმ განსხვავებით, რომ ყოველი მაჯისცემით კაცობრიობა ნაბიჯს დგამს წინ. განყენებული აზრი ხორციელდება ამქარში; ამ აზრის ირგვლივ და ამ აზრისათვის თავშეყრილი ადამიანების ჯგუფი ამ აზრის განვითარების აუცილებელი ორგანიზმია; მაგრამ, როგორც კი ეს აზრი ამქარში თავის დავაჟკაცებას მიაღწევს, ამქარი მისთვის მავნებელი ხდება; აზრს ესაჭიროება ჰაერის შესუნთქვა და ქვეყნის დანახვა, როგორც ეს ჩანასახს ესაჭიროება დედის საშოში ცხრათვიანი განვითარების შემდეგ; მას უფრო ფართო წრე ესაჭიროება. ამავე დროს კასტის ადამიანებიც, ესოდენ სასარკებლონი თავისი აზრისათვის მისი საწყისი განვითარებისას, თავიანთ მნიშვნელობას კარგავენ, იყინებიან, ჩერდებიან, წინ არ მიდიან, ფიცხად ჰკრავენ ხელს ახალს, ეშინიათ ხელიდან არ გაუსხლტეთ ოქროს საწმისი[14], სურთ თავისთვის შეინარჩუნონ აზრი. ეს

შეუძლებელია, აზრის ბუნება სხივოსანი და საყოველთაოა; მას განზოგადება სწყურია, იგი ყველა ჭუჭრუტანიდან ამოხეთქს, თითებს შორის იპარება. აზრის ჭეშმარიტი განხორციელება არა კასტაშია, არამედ კაცობრიობაში; მას არ შეუძლია ამქრის ვიწრო წრით შემოიფარგლოს; აზრმა არ იცის მეუღლეობის ერთგულება: იგი ყველას ჩაეკონება; მხოლოდ იმისთვის არ არსებობს იგი, ვისაც სურს ეგოისტურად ფლობდეს მას. ამქარი ირღვევა იმდენად, რამდენადაც მასები სწვდებიან აზრს და სიმპათიით ეპყრობიან მას; დასანანებელი არაფერია, — ამქარმა თავისი საქმე გააკეთა. ჩამოცილების მიზანი აუცილებლად არის ერთობა, თანაზიარობა. ადამიანები გამოდიან სახლიდან იმისათვის, რომ დაბრუნდნენ ახალი შენაძენებით: სამუდამოდ სახლს მხოლოდ მაწანწალები ტოვებენ. ასეთია კასტების გზა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ pour la bonne bouche* ამქარი კაცობრიობისა მოიცავს ყოველივე სხვას. ეს მალე არ იქნება. ჯერ ადამიანი მზად არის მიიღოს ყოველგვარი წოდება, ოღონდ ადამიანის წოდებას ვერ შეეჩვია.

თანამედროვე მეცნიერება სიმწიფის იმ ასაკში შესვლას იწყებს, როდესაც თავის თავის გამომეღავნება, თავის თავის ყველასათვის მიცემა მოთხოვნილებად იქცევა. მეცნიერებისათვის მოსაწყენი და ვიწროა აუდიტორიები და კონფერენცდარბაზები; იგი მიიწევს თავისუფალი ცხოვრებისაკენ, მას სურს ჰქონდეს ნამდვილი ხმა ცხოვრების ნამდვილ სფეროში. მიუხედავად ასეთი მიმართულებისა, მეცნიერებას მხოლოდ სურვილი აქვს ამისა და მას, სანამ იგი სწავლულთა კასტის ხელში იმყოფება, არ შეუძლია ცოცხალ ელემენტად შევიდეს პრაქტიკული სფეროების სწრაფ ნიაღვარში, მხოლოდ ცხოვრების ადამიანებს შეუძლიათ ჩანერგონ ის ცხოვრებაში. დიადი საქმე დაიწყო; იგი ნელა მიმდინარეობს; მეცნიერება ამთავრებს ზოგი რამის დამუშავებას განყენებულობათა სფეროში, იმ სფეროში, რომელიც მეცნიერებისა-

* უკანასკნელად, ბოლოს (ფრანგ.) — რ ე დ.

თვის ისევე აუცილებელია, როგორც აუცილებელია იქედან გამოსვლა. მასებისათვის მეცნიერება უნდა დაიბადოს არა ბავშვად, არამედ სრული აღჭურვილობით, როგორც პალადა[45]. მანამდე, ვიდრე იგი შემოგვთავაზებს თავის ნაყოფს, მან თავის თავში უნდა შეასრულოს ის, რისთვისაც მოწოდებული იყო თავის სფეროში და შეიგნოს, რომ შეასრულა ყოველივე, მეცნიერება ახლოა ასეთ მდგომარეობასთან, მაგრამ ადამიანები დღემდე მეცნიერებას უნდობლად უყურებენ და ეს უნდობლობა მშვენიერია: სწორი, მაგრამ ბუნდოვანი გრძნობა არწმუნებს მათ, რომ მეცნიერებაში უნდა იყოს უდიდესი საკითხების გადაწყვეტა, ამავე დროს კი მათ თვალწინ სწავლულები მეტწილად გართული არიან წვრილმანებით, ფუჭი დისპუტებით, ცხოვრებისაგან დაშორებული საკითხებით, და ზურგს აქცევენ საერთო-საკაცობრიო ინტერესებს; ადამიანები წინათგრძნობენ, რომ მეცნიერება ყველას საკუთრებაა და ამავე დროს კი ხედავენ, რომ მასთან მისასვლელი გზა არ არის, რომ იგი უცნაური და ძნელად გასაგები ენით ლაპარაკობს. ადამიანები ზურგს აქცევენ მეცნიერებას, ისე როგორც სწავლულები ადამიანებს. ცხადია, ბრალი უნდა ვეძიოთ არა მეცნიერებაში და არა ადამიანებში, არამედ მათ შორის. იმისათვის, რომ ჩვეულებრივ ადამიანებამდე მიაღწიოს, მეცნიერების სხივმა ისეთი სქელი ნისლი და ჭაობის ანაორთქლი უნდა გაიაროს, რომ ადამიანებამდე აღწევს უკვე შეფერადებული, ისეთი, რომ თავის თავს აღარც კი ჰგავს; ადამიანები კი სწორედ ამ შეცვლილი სხივის მიხედვით მსჯელობენ მეცნიერებაზე. პირველი ნაბიჯი მეცნიერების განთავისუფლებისაკენ არის დაბრკოლებათა შეგნება, ცრუ მეგობრების მხილება, ისეთი მეგობრებისა, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ აქამდე შეიძლება მეცნიერების სქოლასტიკური არტახებით შებოჭვა და, რომ იგი, ცოცხალი მეცნიერება, ეგვიპტურ მუმიასავით იქნება გაწოლილი. ის ბურუსით მოცული გარემო, რომელიც გარს ეკვრის მეცნიერებას, სულ სავსეა მისი მეგობრებით, მაგრამ ეს მეგობრები — მისი უსაშიშროესი მტრები არიან. ისინი ცხოვრობენ,

როგორც ჭოტები პალადის ტაძრის სახურავქვეშ და თავს ასაღებენ ბატონ-პატრონად იმ დროს, როდესაც ისინი ნამდვილად მუშაკები ან უქმად მოხეტიალენი არიან. მათ დაიმსახურეს ყველა ის კიცხვა და გმობა, ყველა ის საყვედური, რასაც მეცნიერებას ეუბნებიან. ex officio* სწავლულთა ზერელე დილეტანტიზმი და ხელოსნური სპეციალობა მეცნიერების ის ორი ნაპირია, რაც ამ ნილოსს ხელს უშლის გადავიდეს და გამანოყიერებელი წყლით დატბოროს ველ-მინდვრები. დილეტანტიზმზე ჩვენ ამასწინათ ვლაპარაკობდით [46], მაგრამ სრულიად ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიგონოთ აქ იგი, როგორც სპეციალიზმის სრულიად მოპირდაპირე მოვლენა. დაპირისპირება ზოგჯერ მსგავსებაზე უკეთ გვიხსნის საგანს.

დილეტანტიზმი არის მეცნიერებისადმი სიყვარული, დაკავშირებული მეცნიერების გაგების სრულ უქონლობასთან; დილეტანტიზმი ცოდნის ზღვისადმი სიყვარულში განიბნევა და არ შეუძლია თავი მოუყაროს გულისყურს; იგი კმაყოფილია იმით, რომ უყვარს, და ვერაფერს აღწევს, არაფრისთვის არ ზრუნავს, არც სამაგიერო სიყვარულისათვის; ეს არის პლატონური, რომანტიკული ვნება მეცნიერებისადმი, ეს არის მეცნიერების ისეთი სიყვარული, რისგანაც ბავშვები არ ჩნდებიან. დილეტანტები აღფრთოვანებით ლაპარაკობენ მეცნიერების სისუსტესა და სიმაღლეზე, არად აგდებენ ზოგიერთ სიტყვებს, ასეთი სიტყვების წარმოთქმა მიაჩნიათ ბრბოს საქმედ, მაგრამ საშინლად ეშინიათ კითხვების და მოღალატურად ყიდიან მეცნიერებას, როგორც კი სხვები ლოგიკით დაუწყებენ მათ შევიწროებას. დილეტანტები წინასიტყვაობის, თავფურცლის ადამიანები არიან, ისეთი ადამიანები, რომლებიც ქოთნის ირგვლივ ტრიალებენ იმ დროს, როცა სხვები ჭამენ. მახსოვს, ჟერნოვიკი ასწავლიდა ინგლისის მეფეს ვიოლინოზე დაკვრას. მეფე დილეტანტი იყო, ე. ი. მუსიკა უყვარდა, ხოლო დაკვრა არ იცოდა. ერთხელ იგი შეეკითხა ჟერნოვიკს, ვიოლინოზე დამკვრელთა რომელ თან-

---

* თანამდებობით, სამსახურით (ლათინ.). — რ ე დ.

რიგს მაკუთვნებ მეო.—«მეორე თანრიგს», — უპასუხა მსახიობმა. — «კიდევ ვის აკუთვნებთ თქვენ ამ თანრიგს?» — «ბევრს, ხელმწიფეო; ვიოლინოზე დაკვრის მხრივ მე საერთოდ ადამიანთა მოდგმას ვყოფ სამ თანრიგად: პირველს, ყველაზე დიდ თანრიგს, ეკუთვნიან ის ადამიანები, რომელთაც არ იციან ვიოლინოზე დაკვრა; მეორეს, აგრეთვე საკმაოდ მრავალრიცხოვანს, ეკუთვნიან ადამიანები, — ისეთები კი არა, რომლებმაც დაკვრა იციან, არამედ ისეთები, რომელთაც უყვართ წამდაუწუმ ვიოლინოზე დაკვრა; მესამე თანრიგი მეტად ღარიბია: ამ თანრიგს ეკუთვნის რამდენიმე კაცი, რომლებმაც იციან მუსიკა და ზოგჯერ მშვენივრად უკრავენ ვიოლინოზე. თქვენი უდიდებულესობა, ცხადია, პირველი თანრიგიდან უკვე გადავიდა მეორე თანრიგში». არ ვიცი, კმაყოფილი დარჩა თუ არა მეფე ამ პასუხით, მაგრამ დილეტანტიზმის შესახებ ამაზე უკეთესად არაფრის თქმა არ შეიძლება, და ჟერნოვიკმა საუცხოოდ შენიშნა, რომ სწორედ მეორე თანრიგი წამდაუწუმ უკრავს; დილეტანტებს ავადმყოფობა ემართებათ, ჭარბი სატრფიალო ვნების გამო სიგიჟე მოსდით. დილეტანტიზმი ახალი საქმე არ არის. ნერონი იყო მუსიკის დილეტანტი[47], ჰენრიხ VIII[48] — თეოლოგიის დილეტანტი. დილეტანტები თავიანთი ეპოქის გარეგნულ შესახედაობას იღებენ. XVIII საუკუნეში ისინი მხიარული იყვნენ, ხმაურობდნენ და esprit fort-ად * იწოდებოდნენ; XIX საუკუნეში დილეტანტს ნაღვლიანი და გამოუცნობი ფიქრი აქვს; მას უყვარს მეცნიერება, მაგრამ ი ც ი ს მისი ვერაგობა; იგი ცოტათი მისტიკოსია და კითხულობს შვედენბორგს[49], მაგრამ აგრეთვე ცოტათი სკეპტიკოსიცაა და ხანდახან ბაირონშიც ჩაიხედავს; ის ხშირად იმეორებს ჰამლეტს: «არა, ჩემო ჰორაციო, ბევრი რამ არის ქვეყნად, რაც სწავლულებს არ გაეგებათ», ხოლო თავისთვის ფიქრობს, რომ ყველაფერი გაეგება ამ ქვეყნად. ბოლოს, დილეტანტი მოკვდაეთაგან

---

* სიტყვასიტყვით: ძლიერი გონება; თავისუფალი მოაზროვნე (ფრანგ.). — რ ე დ.

ყველაზე უფრო უვნებელი და ყველაზე უფრო უსარგებლო არსებაა; იგი მშვიდად ატარებს თავის ცხოვრებას ყველა საუკუნის ბრძენებთან საუბარში და აბუჩად იგდებს მატერიალურ საქმიანობას; ვინ უწყის, თუ რაზე საუბრობენ ისინი! ის თვით დილეტანტებისთვისაც არ არის ჯერ ნათელი, მაგრამ, ჩანს, მათთვის როგორღაც კარგია ბინდბუნდში ყოფნა.

დილეტანტების სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს სწავლულთა კასტა (die Fachgelehrten*), კასტა ისეთ ადამიანთა, რომლებიც სწავლულები არიან მოწოდებით, დიპლომითა და საკუთარი ღირსების გრძნობით. ამ კასტის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ ის კასტაა; მეორე ნაკლი არის სპეციალიზმი, რაშიც ჩვეულებრივ გადაკარგული არიან სწავლულები. იმისათვის, რომ ერთბაშად გამოვხატოთ სწავლულთა კასტის დამოკიდებულება მეცნიერებისადმი, მოვიგონოთ ის, რომ სწავლულთა ასეთი კასტა უფრო მეტად, ვიდრე სადმე, განვითარდა ჩინეთში. ბევრი ჩინეთს თვლის სვებედნიერ პატრიარქალურ სამეფოდ; ეს შესაძლოა; სწავლულები იქ უამრავია: სამსახურში მყოფ სწავლულთა უპირატესობა მათთან ოდითგანვეა ცნობილი, მაგრამ მეცნიერების ნასახი მაინც არ არის იქ... «დიახ! მათ თავისი მეცნიერება აქვთო!». ამის წინააღმდეგ არ ვიდავებთ ჩვენ, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ იმ მეცნიერებაზე, რომელიც ეკუთვნის კაცობრიობას და არა ჩინეთს, არა იაპონიას და არა სხვა სწავლულ სახელმწიფოებს. ჩვენში პატარა ბიჭებს მეცნიერების შესასწავლად აყენებენ მჭედლებთან, დურგლებთან; უნდა ვიფიქროთ, რომ მათაც აქვთ თ ა ვ ი ს ი მეცნიერება. თუმცა, ჭეშმარიტ მეცნიერებასაც ჰქონდა ისეთი ასაკი, როდესაც სწავლულთა კასტა, როგორც კასტა, აუცილებელი იყო მისთვის, — მოუმწიფებლობის პერიოდში, როდესაც მეცნიერება უკუგდებული იყო, როდესაც მისი უფლებები აღიარებული არ იყო და თვითონაც ავტორიტეტებს ემორჩილებოდა. მაგრამ ის დრო წავიდა. ასე, მაგალითად, შუა საუ-

* სპეციალისტები (გერმ.). — რ ე დ.

ჟუნეებში, სწავლულთა კასტებს, ცოდნის ადამიანებს, უხეში და ველური წარმოდგენებით გარემოცულთ, თვით XVII საუკუნემდეც კი, შემონახული ჰქონდათ ძველი მსოფლიოს წმიდათა წმიდა მემკვიდრეობაც, წარსულ ღვაწლთა მოგონებებიც და ეპოქის აზრიც; ისინი მუშაობდნენ ჩუმად, ეშინოდათ დევნისა, შევიწროებისა, და შემდეგ დიდებამ გააცისკროვნა მათი მალული შრომა. სწავლულები მაშინ მეცნიერებას ინახავდნენ როგორც საიდუმლოებას და მასზე ლაპარაკობდნენ ხალხისთვის გაუგებარი ენით, განზრახ მალავდნენ თავიანთ აზრს, რადგან ეშინოდათ უხეში უმეცრებისა. მაშინ სიმამაცე იყო, თუ კაცი მეცნიერების ლევიტთა[50] რიცხვს ეკუთვნოდა; მაშინ მეცნიერის წოდებას ადამიანი უფრო ხშირად კოცონზე აჰყავდა, ვიდრე აკადემიაში შეჰყავდა. მაგრამ ისინი კოცონზე ჭეშმარიტებით აგზნებულნი ადიოდნენ. ჯორდანო ბრუნო[51] მეცნიერი იყო, გალილეიც[52] აგრეთვე მეცნიერი იყო. მაშინ მეცნიერნი როგორც წოდება თავის დროს ეკუთვნოდნენ; მაშინ აუდიტორიებში იმ საუკუნის უდიდეს საკითხებზე მსჯელობდნენ; მათი საქმიანობის არე ვრცელი იყო; და პირველად გონების ამომავალი სხივებით მეცნიერნი ბრწყინდებოდნენ, როგორც მაღალი მუხები, ამაყნი და ძლიერნი. მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: მეცნიერებას არავინ დევნის, საზოგადოებრივი შეგნება ამაღლდა მეცნიერების პატივსაცემად, ამაღლდა იქამდე, რომ მას სურს იგი, და სამართლიანად იწყო მან პროტესტის გაცხადება სწავლულთა მონოპოლიის წინააღმდეგ; მაგრამ თავგამოდებულ კასტას სურს სინათლე შეინარჩუნოს, იგი ბარბაროსული ტერმინოლოგიის სქოლასტიკურ ტყეს, მძიმე და მიუკარებელ ენას გარშემოახვევს მეცნიერებას. ასე მებოსტნეები რგავენ თავიანთი კვლების ირგვლივ ეკლიან მცენარეებს, რომ იმ თავხედს, ვინც გადაცოცებას განიზრახავს, ათჯერ ეჩხვლიტოს ეკალი და ნაფლეთებად ექცეს ტანსაცმელი. ყოველივე ამაოა! ცოდნის არისტოკრატიის დრო წავიდა. წიგნების ბეჭდვის გამოგონებას, ყველა სხვა ხელშემწყობ მიზეზთა გარდა, გადამწყვეტი ლახვარი უნდა ჩაეცა ცოდნის კარჩა-

კეტილობისათვის, ყველასათვის უნდა გაეხსნა გზა ცოდნისაკენ. ბოლოს, იმის უკანასკნელი შესაძლებლობა, რომ მეცნიერება ამქარში ჩაემწყვდიათ, დაფუძნებული იყო წმინდა თეორიული მხარეების დამუშავებაზე, რაც ყველგან როდი იყო მიუწვდომელი პროფანებისათვის. მაგრამ თანამედროვე მეცნიერებას, თეორიულ განყენებულობათა გარდა სხვა პრეტენზიებიც აქვს: იგი თითქოს ივიწყებს რა თავის ღირსებას, სურს თავისი ტახტიდან ცხოვრებაში ჩავიდეს. სწავლულნი მას ვერ შეაჩერებენ. ეს ექვს გარეშეა.

ჩვენი დროის სწავლულთა კასტა შეიქმნა რეფორმაციის შემდეგ და ყველაზე მეტად რეფორმაციულ სამყაროში. შუა საუკუნეებსა და კათოლიკურ სამყაროში არსებული სწავლულთა კორპორაციები ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ; ისინი არ უნდა ავურიოთ სწავლულთა იმ ახალ კასტაში, რომელიც გერმანიაში აღმოცენდა უკანასკნელ საუკუნეებში. მართალია, სწავლულთა ძველი კასტა ადამიანთა გონებას თავისი ავტორიტეტის უღელს ადგამდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ჯერ ერთი, იმ დროის ადამიანთა გონებრივი მდგომარეობა და, მეორეც ის, რომ სწავლულთა ქედიც იყო გადატყავებული მძიმე უღლისაგან. მთელ რეფორმაციულ განათლებაში იყო რაღაც დაუმთავრებლობა; არ ყოფნიდათ გმირობა მისულიყვნენ უკანასკნელ შედეგამდე, არ ყოფნიდათ ლოგიკის გმირობა; ხშირად ხმამაღლა იწყებდნენ, მაგრამ მხდლურად უარს ამბობდნენ ბუნებრივ შედეგებზე; ხშირად შენობას ანგრევდნენ და ნაგავსა და დამტვრეულ აგურებს უფრთხილდებოდნენ; ხშირად არც ის შეეძლოთ, რომ კეთილმსახურულად პატივი ეცათ არსებულისათვის და არც ის, რომ გაბედულად უარეყოთ იგი, რეფორმაციის აზრი როგორღაც ნაადრევად ამოქმედდა, ამის გამო იგი ჩამორჩა, და მას გვერდი აუარეს. რეფორმაციულ სამყაროში წარმოშობილ სწავლულთა კასტას არასდროს არ ჰქონდა არც იმის ძალა, რომ თავის თავში ზუსტად ჩაკეტილი და მტკიცე კორპორაცია შეედგინა, რომელსაც ეცოდინებოდა თავისი საზღვრები, და არც საიმისო ძალა

გააჩნდა, რომ მასებში გაშლილიყო. მას არასდროს არ გააჩნდა არც იმის ენერგია, რომ საქმეთა დადებით წესრიგს მიმხრობოდა, და არც იმისა, რომ წინაღდგომოდა ამ წესრიგს; ამის გამო მას ყოველი მხრიდან ალმაცერად დაუწყეს ყურება, როგორც უცხო რამეს, ამის გამო თვითონ მან დაიწყო გაქცევა ცოცხალი საკითხებიდან და მთელი გულისყურის მიპყრობა მკვდარ საკითხებზე. ძაფი, რომელიც კასტას საზოგადოებასთან აკავშირებდა, უნდა დასუსტებულიყო, ხოლო ამის პირდაპირი შედეგი, ურთიერთგაუგებრობა, ურთიერთ გულგრილობა უნდა ყოფილიყო. რაღაც პოეტურმა ხილვამ მიუთითა სიტყვა ჰ უ მ ა ნ ი ო რ ა ზ ე — ამ მშვენიერ, წინასწარმეტყველურ სიტყვაზე; მაგრამ სწავლულთა ჰუმანიორაში არაფერი იყო ადამიანური. ეს სიტყვა მიაკუთვნეს განსაკუთრებით ფილოლოგიას, თითქოს ამაში ირონია მონაწილეობდა, თითქოს ისინი ხვდებოდნენ, რომ ძველი მსოფლიო მათზე უფრო ადამიანური იყო. პედანტიზმი, გათიშვა ცხოვრებასთან, დაკნინებული მოქმედებები, რომელთა ტიპი არის მელედა [53], — რაღაც მოჩვენებითი შრომა, შრომა შემქცევი, არსებითად კი ფუჭი; შემდეგ ხელოვნური სისტემები, გამოუყენებელი თეორიები, პრაქტიკის უცოდინარობა და ქედმაღალი თვითკმაყოფილება — აი პირობები, რომლებშიც განვითარდა ამქრული სწავლულობის ყვითელფოთლიანი ხე. სწავლულებმა მოუტანეს თავის სარგებლობა მეცნიერებას; ამ სარგებლობის დავიწყება უმადურობა იქნებოდა; მაგრამ ეს სარგებლობა მოუტანეს სრულიადაც არა იმიტომ, რომ ისინი კასტის შედგენისაკენ მიისწრაფოდნენ: პირიქით, მხოლოდ ინდივიდუალური შრომა იყო ქეშმარიტად სასარგებლო. კათოლიკური მეცნიერების შემდეგ, ახალი მეცნიერება, დაბადებული უარყოფისა და ბრძოლის ვითარებაში, მოითხოვდა სხვა საფუძვლებს, უფრო დადებითსა და ფაქტიურს, მაგრამ მას არ გააჩნდა მასალა, არ გააჩნდა მარაგი, გამოკვლეული მოვლენები და დაკვირვებები; ფაქტების ლაშქარი არასაკმაო იყო. სწავლულებმა პატარა ნაკვეთებად დაიტაცეს მეცნიერების ველი და ამ ველზე გაიფანტნენ, — მათ წილად ხვდათ

de défricher le terrain* მძიმე საქმე, და ამ მუშაობაში, რაც მათ მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს, მათ დაკარგეს ფართო თვალთახედვა და ხელოსნებად იქცნენ, თუმცა კვლავ იმ აზრს ადგნენ, რომ ისინი წინასწარმეტყველები იყვნენ. მათ დაღვრილ ოფლზე, მთელი თაობების მომქანცველ შრომაზე აღმოცენდა ჟეშმარიტი მეცნიერება; მაგრამ მუშაკებმა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ყველაზე ნაკლებ ისარგებლეს თავისი შრომის შედეგებით.

რომანული და გერმანული ხასიათების დაპირისპირებულობას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სწავლულთა ახლად წარმოშობილ წოდებაზე. ფრანგი სწავლულები უფრო მეტად დამკვირვებლები და მატერიალისტები გახდნენ, გერმანელი სწავლულები კი — უფრო მეტად სქოლასტიკოსები და ფორმალისტები; პირველნი უფრო მეტად მისდევენ ბუნებისმეტყველებას, მეცნიერების გამოყენებითს მხარეს, და ამავე დროს ისინი საუცხოო მათემატიკოსები არიან; მეორენი მისდევენ ფილოლოგიას, მეცნიერების ყოველ ისეთ დარგს, რომელთაც გამოყენებითი მნიშვნელობა არ აქვთ. და ამავე დროს ისინი ნაცადი თეოლოგები არიან. ერთნი მეცნიერებაში ხედავენ პრაქტიკულ სარგებლობას, მეორენი — პოეტურ უსარგებლობას. ფრანგები უფრო სპეციალისტები არიან და მათ შორის უფრო ნაკლებად არის კასტა; გერმანელები — პირიქით. სწავლულები გერმანიაში ეგვიპტელ ქურუმთა კასტას ჰგვანან: ისინი შეადგენენ განსაკუთრებულ ხალხს, რომლის ხელშია საზოგადოებრივი აღზრდის, საზოგადოებრივი აზროვნების, მკურნალობის, სწავლებისა და სხვათა საქმე. კეთილ გერმანელებს ისღა დარჩენოდათ, რომ ესვათ, ეჭამათ და subir** მკურნალობა, სწავლება და აზროვნება იმათ მხრივ, რომლებსაც ამის უფლება ჰქონდათ დიპლომის მიხედვით. საფრანგეთში სწავლულები პირველ რიგში არ დგანან და, მაშასადამე, მათ ისეთი გავლენა არ აქვთ, როგორიც გერმანიაში აქვთ სწავლულებს. საფრანგეთ-

* ყამირის გატეხვის (ფრანგ.). — რ ე დ.

** მოეთმინათ, აეტანათ (ფრანგ.). — რ ე დ.

ში ისინი მეტ-ნაკლებად პრაქტიკული გაუმჯობესებისაკენ ისწრაფვიან, — ეს არის ვეებერთელა გასასვლელი ცხოვრებაში. თუ მათ სამართლიანად უფრო მეტი შეიძლება ვუსაყვედურით სპეციალობის გამო, ვიდრე გერმანელებს, ყოველ შემთხვევაში, უსარგებლობა მაინც არ შეიძლება ვუსაყვედურით. სწორედ საფრანგეთი დგას მეცნიერების პოპულარიზაციის სათავეში. რა მოხერხებულად იცოდა მან ამ ერთი საუკუნის წინ თავისი თვალსაზრისის (როგორიც უნდა ყოფილიყო ის) თანადროულ-ხალხური, ყველასათვის მისაწვდომი, სიცოცხლით გამსჭვალული ფორმით გამოხატვა! ფრანგი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მარტო განყენებულ სფეროში: მას ესაჭიროება სასტუმროც, მოედანიც, ბერნაჟეს სიმღერებიც და გაზეთის ფურცელიც, — შიში ნუ გაქვთ, ფრანგი კასტაში დიდხანს არ დარჩება.

სრულიად არ არიან ასეთები ამქრის გერმანელი სწავლულნი. მათი მთავარი, განმსხვავებელი ნიშანია ის, რომ სანგრით იყვნენ გამიჯნული ცხოვრებისაგან: ესენი არიან შუა საუკუნეების განდეგილნი, რომელთაც თავისი სამყარო, თავისი ინტერესები და თავისი ჩვეულებები აქვთ. თეოლოგია, ძველი მწერლები, ებრაული ენა, რომელიმე ხელნაწერის ბუნდოვანი ფრაზების ახსნა, კავშირმოკლებული ცდები და საერთო მიზანს მოკლებული დაკვირვებები — აი, მათი საგანი; როდესაც მათ სინამდვილესთან უხდებათ საქმის დაჭერა, მათ სურთ სინამდვილე თავიანთ კატეგორიებს დაუმორჩილონ, და ამიტომ მეტად სასაცილო სიმახინჯენი გამოსდით. სწავლულთა აკადემიური სამყარო გერმანიაში განსაკუთრებულ სახელმწიფოს შეადგენს, რომელსაც გერმანიასთან საქმე არა აქვს. სიმართლე რომ ვთქვათ, ოცდაათწლიანი ომის შემდეგ სკოლას შეეძლო ცოტა რამ გადმოეღო ცხოვრებისაგან, ომი ორმხრივია. ბოგინობდნენ, რა სქოლასტიკური საგნების დაუსრულებელ შესწავლაში, ისეთი ფენა შემოიევლეს გარს სწავლულებმა, რომელიც მათ მკვეთრად მიჯნავდა სხვა ადამიანთაგან. ცხოვრება აკადემიის კედლებს შიგნით ნელა და მოსაწყენად რომ იფურჩქნებოდა, თავისაკენ არ

იზიდავდა; თავის ფილისტერულობით ცხოვრება ისევე აუტანელად მოსაწყენი იყო, როგორც სწავლულობა თავისით. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებას მოწყვეტილი იყვნენ, ამ სწავლულებმა, რომელთაც ახსოვდათ, თუ რა ძლიერი ხმა ჰქონდათ შუა საუკუნეებში უნივერსიტეტებსა და დოქტორებს, როდესაც მათ უღრმესი მნიშვნელობის საკითხებით მიმართავდნენ, — მოისურვეს უაპელაციო სამსჯავროთი გადაეჭრათ ყველა სციენტური[54] და მხატვრული დავა. ისინი, რომლებმაც გამოკვლევის საყოველთაო უფლების გულისათვის ძირი გამოუთხარეს კათოლიკურ სულიერ მოძღვართა კასტას, ამეღავნებდნენ თავის საერო მოძღვართა კასტის შედგენის განზრახვას. მაგრამ, რაკი ისინი მოკლებულნი იყვნენ, ერთი მხრივ, კათოლიკური პროპაგანდისტების ენერგიას, და მეორე მხრივ, — მასების უმეცრებას, მათ ვერ შეძლეს თავისი ამქრის შექმნა. ადამიანების მწყემსთა ახალი კასტა არ შედგა; ადამიანთა მწყემსობა უფრო ძნელი გახდა: ადამიანები მეცნიერულ საქმეთა ოსტატებს უყურებენ როგორც თავის თანასწორთ, როგორც ადამიანებს და ამასთანავე ისეთ ადამიანებს, რომლებიც ვერ მივიდნენ სრულ ცხოვრებამდე და მრავალთაგან ერთი სავანით კმაყოფილდებიან.

მეცნიერება გაშლილი სუფრაა ყველასთვის და თვითეულისთვის, ოღონდ მადა იყოს, ოღონდ განვითარდეს ციური მანანის მოთხოვნილება. მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ, ცოდნისაკენ, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს ცხოვრების კერძო მოხმარებას; ამასთანავე თანაბრად შეიძლება იყოთ ქიმიკოსი, მედიცინის მცოდნე, მსახიობი, ვაჭარი. არასგზით არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპეციალურად სწავლულს ჰქონდეს დიდი უფლებები ჭეშმარიტებაზე; მას მხოლოდ მეტი მიდრეკილება აქვს მისკენ. იმ კაცს, რომელიც რომელიმე განსაკუთრებულ საგანზე მონოტონურ და ცალმხრივ მუშაობაში ატარებს თავის სიცოცხლეს, რატომ უნდა ჰქონდეს უფრო ნათელი თვალსაზრისი, უფრო ღრმა აზრი, ვიდრე მეორეს, რომელიც თვით მოვლენებით არის გამობრძმედილი, რომელიც ადამიანებს ათასგვარ შე-

ჯახებათა ვითარებაში შეხვედრია? ამქრის სწავლული პირიქით, თავისი საგნის გარეშე არაფერს ხელს არ მოჰკიდებს,— და თუ მოჰკიდებს, მოჰკიდებს მხოლოდ მარცხენა ხელს. ამქრის სწავლული საჭირო არ არის არც ერთ ცოცხალ საკითხში. იგი ყველაზე ნაკლებ გრძნობს მეცნიერების უდიდეს მნიშვნელობას; თავისი კერძო საგნის გამო მან არ იცის მეცნიერება, ის მხოლოდ თავის საგანს თვლის მეცნიერებად. სწავლულებმა თავისი უკიდურესი ცალმხრივი განვითარების გამო საზოგადოებაში დაიკავეს მცოხნელ ცხოველთა მეორე კუჭის ადგილი; ამ კუჭში არასდროს არ ჩადის ახალი საჭმელი,—ჩადის მხოლოდ დანაღეჭი, რასაც ცოხნიან მხოლოდ იმიტომ, რომ ცოხნა სიამოვნებთ. მასები მოქმედებენ, სისხლსა და ოფლს ღვრიან, სწავლულები კი შემდეგ მოდიან, რომ მომხდარ ამბებზე იმსჯელონ. პოეტები და მხატვრები ქმნიან, მასები აღტაცებულნი არიან მათი ქმნილებებით, სწავლულები კი კომენტარიებს, გრამატიკულსა და ყოველგვარ გარჩევებს წერენ. ყოველივე ამას თავისი სარგებლობა მოაქვს, მაგრამ უსამართლობა იმაშია, რომ ისინი უფლებით თავის თავს თვლიან ჩვენზე მთელი თავით მაღლა მდგომებად, პალადის ქურუმებად, პალადის საყვარლებად, კიდევ უარესი—მის ქმრებად. მეორე მხრივ, კიდევ უფრო უცნაური იქნებოდა, თუ მათ ეტყოდნენ, რომ სწავლულებს არ შეუძლიათ იცოდნენ ჭეშმარიტება, რომ ისინი ჭეშმარიტების გარეშე დგანან. სული, რომელიც ადამიანს ანიჭებს სწრაფვას ჭეშმარიტებისაკენ, არ გამორიცხავს არავის. ყველა სწავლული როდი ეკუთვნის ამქრის სწავლულთ; ბევრი ჭეშმარიტი სწავლული სძლევს შეზღუდულობას და განათლებული* ადამიანი ხდება, ამქრიდან გადადის კაცობრიობაში. უიმედო ამქროსნები—მტკიცე და თავზე ხელაღებული სპეციალისტები და სქოლასტიკოსები არიან, რომლებზედაც მიუთითებდა ჟან-პოლი[53], როდესაც ამბობდა:

* იგულისხმება, რომ სიტყვა განათლებული ნახმარია მისი ჭეშმარიტი აზრით და არა იმ აზრით, როგორითაც მას ხმარობს, მაგალითად გოროდნიჩის ცოლი «რევიზორში». — ა. ბ.

«მალე მზარეულის ხელოვნება განვითარდება იქამდე, რომ მას, ვინც კალმახს წვავს, არ ეცოდინება ჭანარის შეწვა». აი ეს ჭანარისა და კალმახის მზარეულები შეადგენენ სწავლულთა კასტის მასას, რომელშიც იქმნება ყოველგვარი ლექსიკონები, ცხრილები, დაკვირვებები და ყოველივე ის, რაც მოითხოვს ხანგრძლივ მოთმინებასა და მკვდარ სულს. მათი განვითარება ადამიანებად ძნელია; ისინი სწავლულობის ცალმხრივი მიმართულების უკიდურესობას წარმოადგენენ; გარდა იმისა, რომ ისინი მოკვდებიან თავიანთ ცალმხრიობაში, ისინი მორებივით ყრიან ყოველგვარი დიადი გაუმჯობესების გზაზე, არა იმიტომ, რომ არ სურდეთ გაუმჯობესება, არ სურდეთ მეცნიერება, არამედ იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ იმ გაუმჯობესებას ცნობენ, რომელიც შეიქმნა მათი რიტუალისა და ფორმის დაცვით ან რომელიც თვით მათ დაამუშავეს. მათ ერთი მეთოდი აქვთ — ანატომიური მეთოდი: იმისათვის, რომ გაიგონ ორგანიზმი, ისინი ახდენენ აუტოპსიას * [56]. ვინ მოკლა ლაიბნიცის მოძღვრება და ვინ მისცა მას სკოლური გვამის სახე, თუ არა პროზექტორის სწავლულებმა? ვინ ცდილობდა ჰეგელის ცოცხალი, ყოვლისმომცველი მოძღვრება გადაექცია სქოლასტიკურ, უსიცოცხლო და საზარელ ჩონჩხად? — ბერლინელი პროფესორები [57].

საბერძნეთში, რომელსაც შეეძლო ინდივიდუალობათა განვითარება ერთგვარ მხატვრულ დამთავრებულობამდე და მაღალ ადამიანურ სავსეობამდე, აყვავების ხანებში ნაკლებად იყვნენ სწავლულები ჩვენი გაგებით: მისი მოაზროვნენი, მისი ისტორიკოსები, მისი პოეტები, უწინარეს ყოვლისა, მოქალაქეები, ცხოვრების ადამიანები, საზოგადოებრივი საბჭოს, მოედნის, სამხედრო ბანაკის ადამიანები იყვნენ; ამის გამო მოხდა მათი მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი პიროვნებების — სოკრატეს, პლატონის, ესქილეს, ქსენოფანტეს [58] და სხვათა ასე ჰარმონიული, თავის აკორდით მშვენიერი და მრავალმხრივი განვითარება. ხოლო ჩვენი სწავ-

---

* Autopsie — განკვეთა (ფრანგ.). — რ ე დ.

ლულები? რამდენი პროფესორი დამშვიდებით კითხულობდა გერმანიაში თავის სქოლასტიკურ ბოდვას ნაპოლეონის დრამის დროს და დამშვიდებული ეძებდა რუკაზე აუერშტეტს[59] და ვაგრამს იმ ცნობისმოყვარე უსულგულობით, რომლითაც მეორე რუკაზე ისინი, კითხულობდნენ რა ჰომეროსს, ოდისეის გზას აღნიშნავდნენ. მარტო შთაგონებულმა ფიხტემ თქვა ხმამაღლა: სამშობლო განსაცდელშიაო, და დროებით ხელი გაუშვა წიგნს[60]. ხოლო გოეთემ... — წაიკითხეთ მისი იმდროინდელი მიმოწერა! რასაკვირველია, გოეთე მიუწვდომლად მაღლა დგას სკოლურ ცალმხრიობაზე: ჩვენ აქამდე ღრმა განცვიფრებით ვდგევართ მისი მრისხანე და დიდებული აჩრდილის წინაშე, ვდგევართ ისეთივე განცვიფრებით, როგორითაც ვჩერდებით ლუკაზორის[61] ობელისკის წინაშე — რომელიღაც სხვა ეპოქის უდიდესი ძეგლის წინაშე, უდიდესისა, მაგრამ გარდასულის*, არა ჩვენი ეპოქისა! სწავლული** იმდენად გაეთიშა თანამედროვეობას, იმდენად დაჭკნა და გახმა, რომ თითქმის არაადამიანური ძალ-ღონის დაძაბვა არის საჭირო, რომ იგი ცოცხალ რგოლად შევიდეს ცოცხალ ჯაჭვში. განათლებულ კაცს არავითარი ადამიანური თავისთვის უცხო რამედ არ მიაჩნია: იგი უთანაგრძნობს ყოველივე გარშემოარსებულს; სწავლულისათვის კი პირიქით: მისთვის ყოველივე ადამიანური უცხოა, გარდა მის მიერ არჩეულ საგნისა, რანაირი შეზღუდულიც არ უნდა იყოს ეს საგანი თავისთავად. განათლებული კაცი აზროვნობს თავისუფალი გულისწადილით, ადამიანური ბუნების კეთილშობილებით,

---

* არ მახსოვს რომელიღაც ბროშურაში, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა გერმანიაში, ნათქვამი იყო: «1832 წელს, იმ შესანიშნავ წელს, როდესაც მოკვდა ჩვენი დიდი ლიტერატურის უკანასკნელი მოჰიკანი». — დიახ! — ბ. გ.

** საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ ვთქვა, რომ საქმე შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ამ ქრის სწავლულებს და რომ ყოველივე თქმული სამართლიანია მხოლოდ ანტითეტური მნიშვნელობით; ჭეშმარიტი მეცნიერი ყოველთვის ადამიანი იქნება, და კაცობრიობა ყოველთვის პატივისცემით მოეპყრობა მას. — ბ. გ.

და მისი აზრი ნათელი და თავისუფალია; სწავლული აზროვნობს მოვალეობის გამო, მიცემული აღთქმის გამო, და ამიტომ მის აზრში არის რაღაც ხელოსნური, მისი აზრი ყოველთვის ავტორიტეტის ჩრდილს ეფარება. სწავლულს მასშიც აქვს წილი; სწავლული მოვალეა ჭკვიანი იყოს, განათლებულ კაცს კი უფლება არა აქვს სულელი იყოს რაიმეში. განათლებულმა კაცმა შეიძლება იცოდეს ან არ იცოდეს ლათინური ენა, სწავლულმა კი უნდა იცოდეს ლათინური ენა... ნუ გეცინებათ ამ შენიშვნაზე: მე აქაც ვხედავ კასტის გაქვავებული სულის კვალს. არსებობს უდიდესი პოემები, უდიდესი ქმნილებები, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ, — მარადიული სიმღერები, რომლებსაც საუკუნეები უანდერძებენ საუკუნეებს; არ მოიპოვება ცოტად თუ ბევრად განათლებული ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს, არ წაეკითხოს და არ განეცადოს ისინი; ამქრის სწავლულს კი ალბათ არ წაუკითხავს ისინი, თუ ისინი პირდაპირ მის საგანს არ ეხებიან. რად უნდა ქიმიკოსს «ჰამლეტი?» რად უნდა ფიზიკოსს «დონ-ჟუანი?» არის კიდევ უფრო უცნაური მოვლენა, რაც განსაკუთრებით ხშირია გერმანელ სწავლულთა შორის: მათგან ზოგიერთს ყველაფერი აქვს წაკითხული და ყველაფერს კითხულობს, მაგრამ წაკითხულიდან ესმით მხოლოდ ის, რაც მათ დარგს შეეხება, ყოველივე დანარჩენში ისინი გვანცვიფრებენ უამრავი ფაქტების ცოდნისა და უაღრესად სრულყოფილი სიჩლუნგის შერწყმით, ისეთი სიჩლუნგისა, რაც ზოგჯერ პატარა ბავშვის მიამიტობას მოგვაგონებს; «მათ მოისმინეს ყველა ბგერა, მაგრამ ჰარმონია არ გაუგონიათ», როგორც ეპიგრაფშია ნათქვამი. ამქრული სწავლულობის ხარისხი გადაჭრით განისაზღვრება მეხსიერებით და შრომისმოყვარეობით: ვისაც ერთი საგნის შესახებ ახსოვს სრულიად არასაჭირო ცნობების ყველაზე მეტი მარაგი, ვისაც მკერდში არ უცემს გული და არ უდუღს გრძნობა, რაც მოითხოვს არა წიგნურ დაკმაყოფილებას, არამედ რაღაც უფრო ნამდვილს; ვისაც ჰქონდა მოთმინება ოცი წლის განმავლობაში ეზეპირნა კერძოობანი და შემთხვევითობანი,

რომლებიც ერთ საგანს ეხებოდნენ, — ის ყველაზე უფრო დიდი სწავლულია. ეჭვი არ არის, რომ ის ბატონკაცი, რომელიც თავად პოტიომკინთან მიიყვანეს და რომელმაც ზეპირად იცოდა კალენდარი, სწავლული იყო; და კიდევ მეტი: თვითონ გამოიგონა თავისი მეცნიერება. სწავლულები შრომობენ, წერენ მხოლოდ სწავლულთათვის; საზოგადოებისათვის, მასებისათვის წერენ განათლებული ადამიანები; იმ მწერალთა დიდი ნაწილი, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს, რომლებმაც შესძრეს და წინ წასწიეს მასები, სწავლულთ არ ეკუთვნოდათ: ბაირონი, ვალტერ სკოტი, რუსო. თუ სწავლულთაგან რომელიმე გიგანტი გაარღვევს ამქრის კედლებს და გაიჭრება ცხოვრებაში, სწავლულები უარყოფენ მას როგორც უძღებ შვილს, როგორც რენეგატს. კოპერნიკს ვერ აპატიეს გენიალობა, კოლუმბს დასცინოდნენ, ჰეგელს უმეცრებას სწამებდნენ. სწავლულები წერენ საშინელი გაჭირვებით; მხოლოდ ერთი შრომაა უფრო გამტანჯველი: ეს არის მათი doctes écrits* კითხვა, თუმცა ასეთ შრომას არც არავინ ეწევა; სწავლულთა საზოგადოებანი, აკადემია და ბიბლიოთეკები ყიდულობენ მათ დიდტანიან წიგნებს; ხანდახან ის, ვისაც სჭირდება, ჩაიხედავს შიგ რაიმე ცნობისათვის, მაგრამ თავიდან ბოლომდე მათ არავინ არასოდეს არ კითხულობს. რომელიმე აკადემიის სწავლულთა კრებული ემგვანებოდა ჩვენს მებუკეთა მუსიკას, სადაც ყოველი მუსიკოსი სულ ერთ ყაიდაზე უბერავს და მთელ სიცოცხლეში ერთდაიმავე ხმას გამოსცემს, რომ ამ სწავლულთა კრებულს ჰყოლოდა კაპელმეისტერი და ensembli** (სწორედ ensemble-ში მდგომარეობს მეცნიერებაც). ისინი ჰგვანან მებუკეებს, რომლებიც ერთმანეთს შორის დაობენ თვითეული თავისი ჰანგის უპირატესობაზე და ამის დასამტკიცებლად ფილტვების

---

* ჰეგელი სადღაც ლაპარაკობს იმ გიგანტურ შრომაზე, რაც საჭიროა იმისათვის, რომ წაკითხულ იქნას რომელიღაც ჯერმანული მეცნიერული წიგნი, და თან უმატებს, მისი დაწერა ნამდვილად უფრო ადვილი იქნებოდაო. — ა. ბ. Doctes écrits — მეცნიერული წერილნი (ფრანგ.). — რ ე დ.

** Ensemble — ანსამბლი, ერთობლიობა (ფრანგ.). — რ ე დ.

მთელი ძალით უბერავენ. მათ აზრადაც არ მოსდით, რომ მუსიკა მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც ყველა ხმა შთაინთქმება და მოისპობა ერთს ყოვლისმომცველ ჰარმონიაში.

სწავლულთა განსხვავება დილეტანტებისაგან ფრიად მკაფიოა. დილეტანტებს უყვართ მეცნიერება, მაგრამ არ მუშაობენ მასზე; ისინი იფანტებიან მეცნიერების ზემოთ არსებულ ლაჟვარდში, რაც სწორედ ისევე არარაა, როგორც მიწიერი ატმოსფეროს ლაჟვარდი. სწავლულთათვის მეცნიერება არის საბატონო ბეგარის მინდორი; ისინი მოწოდებული არიან ამ მინდორზე დაამუშაონ მითითებული ზოლი: აფხვიერებენ ბელტებს, აკეთებენ სხვადასხვა წვრილმან საქმეებს და სრულიადაც არ რჩებათ თავისუფალი დრო იმისათვის, რომ თვალი მოავლონ მთელ მინდორს. დილეტანტები ტელესკოპში იცქირებიან: ამიტომ მხოლოდ იმ საგნებს ხედავენ, რომლებიც, ბევრი რომ არ ვთქვათ, ისე შორს არიან, როგორც მთვარე დედამიწისაგან, — ხოლო მიწიერსა და მახლობელს ვერაფერს ხედავენ. სწავლულები მიკროსკოპში იცქირებიან და ამიტომ არ შეუძლიათ დიდი რამეების დანახვა; იმისათვის, რომ მათ შეძლონ რაიმეს შემჩნევა, საჭიროა ეს რაიმე ადამიანის თვალისათვის შეუმჩნეველი იყოს; მათთვის არსებობს არა ანკარა ნაკადული, არამედ წვეთი, აღსავსე ჰომეოპათიური სიბილწით. დილეტანტები ტკბებიან მეცნიერებით ისე, როგორც ჩვენ ვტკბებით სატურნით — კეთილშობილ დისტანციაზე, და ვკმაყოფილდებით იმის ცოდნით, რომ იგი ანათებს და მას აქვს რკალი. სწავლულები ისე ახლო მივიდნენ მეცნიერების ტაძართან, რომ ტაძარს ვეღარ ხედავენ და ვერაფერს ხედავენ, გარდა იმ აგურისა, რომელსაც მათი ცხვირი მიებჯინა. დილეტანტები ტურისტები არიან მეცნიერების დარგებში და, როგორც საერთოდ ტურისტმა, დილეტანტებმაც იმ ქვეყნების შესახებ, რომლებშიც ისინი იყვნენ, იციან საერთო შენიშვნები და ყოველგვარი ჩმახი, საგაზეთო ცილისწამება, მაღალი წრეების ჭორები და სასახლის ინტრიგები. სწავლულე-

ბი საფაბრიკო მუშაკები არიან და, როგორც საერთოდ მუშაკები, მოკლებული არიან გონების გახსნილობას, რაც მათ ხელს არ უშლის იმაში, რომ თავისი საქმის ჩინებული ოსტატები იყვნენ; უამისოდ ისინი არაფრად ვარგნან. ყოველი დილეტანტი მისდეკს ყოველივე scibile* და გარდა ამისა, იმას, რის ცოდნაც შეუძლებელია, ე. ი. მისტიციზმს, მაგნეტიზმს, ფიზიოგნომიკას, ჰომეოპათიას, ჰიდროპათიას და სხვ. სწავლული, პირიქით, მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარს რომელიმე სპეციალური მეცნიერების ერთ თავს, ერთ შტოს და, გარდა იმისა, არაფერი იცის და არც სურს იცოდეს. ასეთ შრომას ზოგჯერ მოაქვს სარგებლობა მით, რომ ფაქტებს აწვდის ჭეშმარიტ მეცნიერებას. დილეტანტებს კი, თავისთავად იგულისხმება, არავისთვის და არაფრისთვის სარგებლობა არ მოაქვთ. ბევრნი ფიქრობენ, რომ თავგანწირულება, რასაც მეცნიერები იჩენენ მით, რომ თავისი მეცნიერების სასარგებლოდ ეწევიან კაბინეტურ ცხოვრებას, მოსაწყენ შრომას, ერთფეროვანსა და მომქანცველს, — უდიდეს მადლობას იმსახურებს საზოგადოების მხრივ. მე მგონია, ყოველი შრომის ჯილდო თვით შრომასა და მოღვაწეობაშია. მაგრამ ამ სფეროს არ შევეხებით, მოგითხრობთ მხოლოდ ერთ ძველ ანეგდოტს.

ვიღაც კეთილმა ფრანგმა ცვილისაგან გააკეთა პარიზის ერთი უბნის განსაცვიფრებლად მკაფიო მოდელი. როდესაც თავისი მრავალწლიანი შრომა დაამთავრა, მან იგი ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკის კონვენტს მიართვა. კონვენტი, როგორც ცნობილია, მკაცრი და ორიგინალური ზნისა იყო. თავდაპირველად იგი მას დუმილით შეხვდა: ამ ცვილის უბნის გარეშეც მას საკმაოდ ბევრი საქმე ჰქონდა საკეთებელი — რამდენიმე არმიის ჩამოყალიბება, დამშეული პარიზელების გამოკვება, კოალიციისაგან თავდაცვა... ბოლოს, მან მოდელისათვისაც მოიცალა და გადაწყვიტა: «ესა და ეს მოქალაქე, რომლის ნაწარმოები არ შეიძლება არ იქნეს

* იმას, რაც შეცნობადია (იტალ.). — რ ე დ.

მიჩნეული დამთავრებულად, ჩასმულ იქნას საპყრობილეში ექვსი თვით იმისათვის, რომ იგი უსარგებლო საქმეს ეწეოდა, როდესაც სამშობლო განსაცდელში იყო». ერთი მხრივ, კონვენტ• მართალია, მაგრამ კონვენტის მთელი უბედურება იმაშია, რომ იგი ყოველ საქმეს ერთი მხრიდან უყურებდა, და ისიც არასასიამოვნო მხრიდან. მას აზრადაც არ მოსვლია, რომ კაცი, რომელსაც შეეძლო ხალისით ეძერწნა ცვილი მთელი წლების განმავლობაში, — და მერე ასეთი წლების განმავლობაში, — არ შეიძლებოდა სადმე გამოყენებული ყოფილიყო სხვანაირად. მე მგონია, ასეთი ადამიანები არც უნდა დაისაჯონ და არც უნდა დაჯილდოვდნენ. მეცნიერების სპეციალისტები ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან: მათ არც გინება და არც ქება; მათი საქმიანობა, უეჭველად, არც-უარესია და, ცხადია, არც უკეთესი არც ერთ ადამიანურ ყოველდღიურ საქმიანობაზე. უცნაური უსამართლობა იმაში მდგომარეობს, რომ სწავლულები მიაჩნიათ უბრალო მოქალაქეებზე მაღლა მდგომ ადამიანებად, მათ ყოველგვარი საზოგადოებრივი ჭაპანწყვეტისაგან ათავისუფლებენ, — იმიტომ რომ ისინი სწავლულები არიან; — ისინი კი მოხარული არიან ისხდნენ ხალათმოსხმულნი და ყველა ზრუნვა და შრომა სხვებს დაუთმონ. იმის გამო, რომ კაცს აქვს მონომანიური მიდრეკილება ქვებისადმი ან მედლებისადმი, ნიჟარებისადმი ან ბერძნული ენისადმი, მისი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენების საკმაო მიზეზი არ არსებობს. ამავე დროს საზოგადოების მიერ განებივრებული სწავლულები თითქმის ტროგლოდიტურ-ველურ მდგომარეობამდე მივიდნენ. და ახლა ყველამ იცის, რომ არ არის არც ერთი ისეთი საქმე. რომელიც შეიძლება სწავლულს მიენდოს: ეს მარად უმწიფარი კაცია კაცთა შორის; იგი მხოლოდ თავის ლაბორატორიასა და მუზეუმში არ არის სასაცილო. სწავლული იმ პირველ ნიშანსაც კი კარგავს, რაც ადამიანს ცხოველისაგან ანსხვავებს, — კარგავს საზოგადოებრივობას; იგი მორცხვობს, მას ეშინია ადამიანების; იგი გადაეჩვია ცოცხალ სიტყვას; იგი ცახცახებს საშიშროების წინაშე; მას არ შეუძლია ტანთ ჩაიც-

ვას ხეირიანად; მასში არის რაღაც უბადრუკი და ველური. სწავლული — ეს არის სხვანაირი ჰოტენტოტი ისე, როგორც ხლესტაკოვი იყო ვითომ გენერალი. ასეთია ის დაღი, რომელსაც ნემეზიდა[62] ასვამს იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობენ გამოვიდნენ კაცობრიობიდან, და ამის უფლება კი არა აქვთ. ისინი კი მოითხოვენ, რომ ჩვენ ვცნოთ მათი უპირატესობა ჩვენზე; რაღაც მადლობას მოითხოვენ კაცობრიობისაგან, ჰგონიათ, რომ ისინი კაცობრიობის ავანგარდს შეადგენენ! არასოდეს! სწავლულნი, არიან მოხელეები, იდეის მსახურნი, მეცნიერების ბიუროკრატები, მისი გადამწერლები, მაგიდის უფროსები, რეგისტრატორები. მოხელეები არ ეკუთვნიან არისტოკრატიას, და სწავლულებს არ შეუძლიათ ჩათვალონ თავი კაცობრიობის პირველი ფალანგის ადამიანებად, ფალანგისა, რომელსაც ეფინება ამომავალი იდეიის პირველი სხივები და რომელიც პირველი ეჯახება ქარიშხალს. ამ ფალანგაში შეიძლება იყოს სწავლულიც ისევე, როგორც შეიძლება იყოს მეომარიც, მსახიობიც, ქალიც და ვაჭარიც. მაგრამ მათი არჩევა ხდება არა წოდების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, რომ მათს შუბლზე დაინახეს ღვთაებრივი ნაპერწკალის კვალი: ისინი ეკუთვნიან არა სწავლულთა წოდებას, არამედ უბრალო განათლებულ ადამიანთა იმ წრეს, რომელიც განვითარდა იქამდე, რომ ცხოვლად შეიგნო კაცობრიობისა და თანამედროვეობის ცნება. ეს წრე, რომელიც მეტად თუ ნაკლებად ვრცელია იმის მიხედვით, თუ განათლების რა დონეზე დგას ქვეყანა, — არის ძალ-ღონით სავსე ცოცხალი გარემო, მშვენიერი ყვავილი, რომელშიც სხვადასხვა ძარღვებით შედის ყველა ძნელად გამომუშავებული წვენი და იქცევა დიდებულ გვირგვინად. მასში აწმყო, გადადის რა მომავალში, მთელი სილამაზითა და კეთილსურნელებით იფურჩქნება იმისათვის, რომ დატკბეს დღევანდელობით. მაგრამ წინასწარ აღვკვეთავთ გაუგებრობას, — ეს არისტოკრატია სრულიადაც არ არის ჩაკეტილი: მას თებესავით ასი ფართო ჭიშკარი აქვს, რომელიც მუდამ ღიაა და მუდამ თავისკენ მოუხმობს ადამიანებს.

ამ ჭიშკრებში შესვლა ყველას შეუძლია, მაგრამ მათში შესვლა უფრო ძნელია სწავლულისათვის, ვიდრე ყველა სხვისთვის. სწავლულს ხელს უშლის მისი დიპლომი: დიპლომი განვითარების დიდი დაბრკოლებაა; დიპლომი მოწმობს, რომ საქმე გათავებულია, consommatum est*, დიპლომის მატარებელმა თავის თავში უკვე დაამთავრა მეცნიერება. ჟან-პოლი «ლევანში» ამბობს: «როდესაც ბავშვმა მართალი არ თქვა, უთხარით მას, რომ იგი ცუდად მოიქცა, უთხარით, რომ მან ტყუილი თქვა, მაგრამ არ უწოდოთ მ ა ტ ყ უ ა რ ა; იგი, ბოლოს, დაიჯერებს, რომ მართლაც მატყუარაა». ეს შენიშვნა ძლიერ უხდება აქ: დიპლომს რომ მიიღებს, ადამიანს მართლა ჰგონია, რომ მან იცის მეცნიერება, მაშინ, როცა დიპლომს ნამდვილად მხოლოდ სამოქალაქო მნიშვნელობა აქვს; მაგრამ დიპლომის მატარებელს ჰგონია, რომ იგი ადამიანთა მოდგმისაგან გამოყოფილია; ის უდიპლომო ადამიანებს უყურებს, როგორც პროფანებს. დიპლომი, ვით ებრაული წინადაცვეთა, ადამიანებს ორ კაცობრიობად ყოფს. ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დიპლომი მიიღო, მას მიიჩნევს ან სკოლიდან განთავისუფლების აქტად, საგზურად ცხოვრებაში, — და მაშინ დიპლომს არც ზიანი მოაქვს და არც სარგებლობა, ანდა იგი ამპარტავნული შეგნებით გამოეყოფა ადამიანებს, დიპლომს მიიჩნევს litterarum ** რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლებად და სამოღვაწეოდ მის სქოლასტიკურ ფორუმისაკენ გასწევს. სწავლულთა რესპუბლიკა ყველაზე უარესია ოდესმე არსებულ რესპუბლიკათა შორის; აქედან გამონაკლისს არ წარმოადგენს პარაგვაის იმდროინდელი რესპუბლიკაც, როდესაც მას მართავდა ს წ ა ვ ლ უ ლ ი დ ო ქ ტ ო რ ი ფრანსია. ცხოვრებაში გამოსულ ახალგაზრდა კაცს ხვდება თაობების მანძილზე დალექილი და გაქვავებული ზნე-ჩვეულებანი; მას ითრევენ უსასრულო და სრულიად უსარგებლო კამათში; საწყალი ახალგაზრდა კაცი ძალ-

* დამთავრებულია (ლათ.). — რ ე დ.

** მწერლობის, მეცნიერების (ლათ.). — რ ე დ.

ლონისაგან იცლება, კასტის ხელოვნური ცხოვრების ფერხულში ებმება და ნელ-ნელა ივიწყებს ყველა ცოცხალ ინტერესს, ეთხოვება ადამიანებს და თანამედროვეობას; ამასთან ერთად იგი ამაღლებულ ცხოვრებას სქოლასტიკის სფეროში გრძნობს, ეჩვევა კასტის მაღალფარდოვანი და მძიმე ენით ლაპარაკსა და წერას, ყურადღების ღირსად თვლის მხოლოდ იმ მოვლენებს, რომლებიც მოხდა 800 წლის წინ და რომლებიც უარყოფილ იქნა ლათინურ ენაზე და აღიარებულ იქნა ბერძნულ ენაზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია: ეს ქორწინების პირველი თვეა, მალე მას დაეუფლება ცალმხრივი განსაკუთრებულობა (idèe fixe-ს* მსგავსი, შერყეულებს რომ ემართებათ). იგი იწყებს სპეციალისტობას, ხდება ხელოსანი; მეცნიერება მისთვის კარგავს თავის საზეიმო ხასიათს; მსახურისათვის არ არსებობს დიდი ადამიანი, — და ამრიგად ანქრის სწავლულიც მზად არის!

მაგრამ შეუძლია მეცნიერებას სპეციალური საქმიანობის გარეშე იარსებოს? განა ენციკლოპედიური ზერელობა, ყველაფერს რომ ეპოტინება, სწორედ დილეტანტიზმის ნაკლი არ არის? ცხადია, არ შეუძლია, მაგრამ აი, რაშია საქმე.

მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმია, რითაც ჭეშმარიტება ვითარდება. ჭეშმარიტი მეთოდი ერთია: საკუთრივ ეს არის მეცნიერების ორგანული პლასტიკის პროცესი; ფორმა, სისტემა წინასწარ განსაზღვრულია თვით მისი ცნების არსში; ფორმა და სისტემა ვითარდება მათი განხორციელების პირობებისა და შესაძლებლობების დამთხვევათა მიხედვით. სრული სისტემა არის მეცნიერების **სულის** დანაწევრება და განვითარება იქამდე, რომ სული იქცეს სხეულად და სხეული იქცეს სულად. მათი ერთიანობა ქმედითიანდება მეთოდში. ცნობათა ვერავითარი ჯამი ვერ შეადგენს მეცნიერებას მანამ, სანამ ეს ჯამი არ შეისხამს ცოცხალ ხორცს ერთი ცოცხალი ცენტრის ირგვლივ, ე. ი. სანამ არ მივა იმის გაგებამდე, რომ ის მეცნიერების სხეულია. ვერავითარი ბრწყინ-

---

* აკვიატებული იდეა (ფრანგ.). — რ ე დ.

ვალე ზოგადობა, თავის მხრივ, ვერ შეადგენს სრულს, მეცნიერულ ცოდნას, თუ მას, განყენებულობათა გამყინავ სფეროში მოქცეულს, არა აქვს ძალა განსახიერდეს, გვარიდან სახედ გაიშალოს, საყოველთაობიდან პიროვნულში გამომჟღავნდეს; თუ ინდუვიდუალიზაციის აუცილებლობა, თუ მოვლენათა და მოქმედებათა სამყაროში გადასვლა მის შინაგან მოთხოვნილებაში არაა ჩამარხული, რომლის დამორჩილება მას არ შეუძლია. ყოველივე ცოცხალი ჭეშმარიტია და ცოცხალი მხოლოდ როგორც მთლიანი, როგორც შინაგანი და გარეგანი, როგორც თანაარსებულნი, ზოგადი და ერთეული ცხოვრება აკავშირებს ამ მომენტებს; ცხოვრება არის პროცესი მათი მუდმივი გადასვლისა ერთიმეორეში. მეცნიერების ცალმხრივი გაგება არღვევს განუყრელს, ე. ი. კლავს ცოცხალს. დილეტანტიზმი და ფორმალიზმი განყენებულ ზოგადობაში რჩება; ამიტომ მათ ნამდვილი ცოდნა არ გააჩნიათ, მათ მხოლოდ ლანდები აქვთ. ისინი ადვილად განინთხევიან იმიტომ, რომ ირგვლივ სიცარიელეა; ტვირთის შესამსუბუქებლად მათ სურდათ სიცოცხლე გამოეყოთ ცოცხალისაგან; ტვირთი მართლაც მსუბუქი გახდა, იმიტომ რომ ასეთი განყენებულობა ა რ ა ფ ე რ ი ა. ხოლო ეს არაფერი ყველა ჯურის დილეტანტების საყვარელი გარემოა; ისინი ამ არაფერში ხედავენ უნაპირო ოკეანეს და კმაყოფილი არიან მით, რომ ოცნებისა და ფანტაზიისათვის ფართო ასპარეზი გააჩნიათ.

მაგრამ თუ სიცოცხლის გამოყოფა ცოცხალი ორგანიზმისაგან და ამავე დროს მისი შენარჩუნება თვალნათლივ მოწმობს აზრის რაღაც უგნურებას, სპეციალიზმის შეცდომაც, ცხადია, ამაზე უკეთესი არაა. სპეციალიზმს არ სურს იცოდეს ზოგადი, იგი ზოგადობამდე არასოდეს არ ადის; იგი თვითმყოფობად მიიჩნევს ყოველივე წილადსა და კერძოობას, მათს თვითმყოფობას ებღაუჭება; სპეციალიზმს შეუძლია მივიდეს კატალოგამდე, ყოველგვარ სუბსუმაციამდე[63], მაგრამ ვერასოდეს ვერ მივა მათს შინაგან აზრამდე, მათს ცნებამდე, ვერ მივა ჭეშმარიტებამდე, იმიტომ რომ ჭეშმარიტებაში

ყველა კერძოობა უნდა დაიღუპოს; ეს გზა ჰგავს ადამიანის შინაგანი თვისებების განსაზღვრას კალოშებისა და ღილების მიხედვით. სპეციალისტის მთელი ყურადღება მიქცეულია კერძო მხარეებზე; იგი ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო და უფრო იხლართება; კერძოობანი კიდევ უფრო დანაწევრებული და უმნიშვნელო ხდება; დაყოფას საზღვარი არა აქვს; შემთხვევითობათა ბნელი ქაოსი უთვალთვალებს მას ახლოს და მიაქანებს ყოფიერების იმ მ ი ყ რ უ ე ბ უ ლ ი კუთხის ჭაობიან წუმპეში, რომელსაც სინათლე არ ხვდება; ეს არის მ ი ს ი უნაპირო ზღვა, სრულიად საწინააღმდეგო დილეტანტური ზღვისა. ზოგადი, აზრი, იდეა — საწყისი, — საიდანაც მომდინარეობს ყველა კერძოობა,—არიადნას [61] ერთადერთი ძაფია, რომელიც სპეციალისტებს ეკარგებათ; ისინი ამ ძაფს წვრილმანების გამო მხედველობიდან უშვებენ; საშინელ საშიშროებას ხედავენ. ფაქტები, მოვლენები, სახეცვლილებები, შემთხვევები ყოველი მხრიდან ავიწროებენ; ისინი ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ შიშს განიცდიან იმის გამო, რომ გზა ებნევათ ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ ათასგვარ რამეებში; ისინი იმდენად პოზიტიურნი არიან, რომ არ შეუძლიათ, ისე როგორც ეს დილენტატებს ეხერხებათ, თავი ინუგეშონ რაიმე ზოგადი მოსაზრებით, და სასოწარკვეთილნი, კარგავენ რა მეცნიერების ერთიანსა და დიად მიზანს მისწრაფების საზღვრად სახავენ Orientierung-ს *. ო ლ ო ნ დ გზა გაიგნონ, ოღონდ თავით არ ჩაეფლონ ფაქტების სილაში, ყოველი მხრიდან რომ თავზე აცვივათ. გზის გაგნების სურვილს ისინი მიჰყავს ხელოვნური სისტემებისა და თეორიების. ხელოვნური კლასიფიკაციებისა და ყოველგვარი კონსტრუქციების გამოგონებამდე, რომელთა შესახებ წ ი ნ ა ს წ ა რ ი ც ი ა ნ, რომ ისინი ჭეშმარიტი არაა. ასეთი თეორიების შესწავლა ძნელია, რადგან ისინი არაბუნებრივია, და სწორედ ეს თეორიები შეადგენენ იმ გადაულახავ სიმაგრეებს, რომელთა კედლებს იქით სხედან სწავლულები თავისი ჭკუით. ეს

---

* Orientierung — ორიენტირება, ვითარებაში გარკვევა (გერმ.). — რ ე დ.

თეორიები არის მეცნიერების ხორცმეტები, მეცნიერებაზე გადაკრული ლიბრი; ეს ლიბრი და ხორცმეტები თავის დროზე უნდა მოიკვეთოს, რომ მეცნიერებას თვალი აეხილოს; მაგრამ ისინი სწავლულთა სიამაყესა და დიდებას შეადგენენ. უკანასკნელ დროს არ ყოფილა არც ერთი ცნობილი მედიცინის მცოდნე, არც ერთი ფიზიკოსი და არც ერთი ქიმიკოსი, რომელსაც თავისი თეორია არ გამოეგონოს: ბრუსე და ჰეი-ლუსაკი, ტენარი და რასპაილი[65] და tutti quanti*. მაგრამ რამდენადაც კეთილსინიდისიერია სწავლული, იმდენად ნაკლებად შეუძლია თვითონ მას დაკმაყოფილდეს ამგვარი თეორიებით; როგორც კი მიიღებს იგი რომელიმე თეორიას იმისათვის, რომ ფაქტები ერთმანეთს დაუკავშიროს, წამსვე წააწყდება ისეთ ფაქტს, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ყალიბში არ თავსდება; საჭიროა მისთვის გამოგონილ იქნას განყოფილება, ახალი წესი, ახალი ჰიპოთეზა ხოლო ეს ახალი ჰიპოთეზა ძველს ეწინააღმდეგება, — და რაც უფრო ღრმად შედის ტყეში, მით უფრო მეტი ხეები ხვდება. სწავლულმა თავის დარგში ყველა თეორია უნდა იცოდეს და ამავე დროს არ დაივიწყოს, რომ ყველა ეს თეორია მონაჩმახია (როგორც შენიშნავენ ხოლმე ფიზიკისა და ქიმიის ყველა ფრანგულ სახელმძღვანელოში). რაკი მთელ დროს წარსული შეცდომების სასარგებლო შესწავლას ანდომებს, მას არ რჩება წუთი, რომ გადაიხედოს თავის დარგს იქით, და კიდევ უფრო ნაკლები საშუალება აქვს იმისა, რომ ამაღლდეს იმ ჭეშმარიტი მეცნიერების სფერომდე, რომელიც მოიცავს ყველა კერძო საგანს, როგოოც თავის შტოებს. მაგრამ სწავლულთ არც სწამთ ეს სფერო; ისინი მოაზროვნეებს ირონიული ღიმილით უყურებენ, ისე როგორც ნაპოლეონი იდეოლოგებს უყურებდა. სწავლულები პოზიტიური ცდებისა და დაკვირვებების ადამიანები არიან. მაგრამ ამავე დროს მათ არც პოზიტიურობა და არც მატერიალიზმი ხელს არ უშლის იმაში, რომ უმთავრესად იდეალისტები იყვნენ. ხელოვნური

---

* და სხვები (იტალ.). — რ ე დ.

მეთოდები, ხელოვნური სისტემები და სუბიექტური თეორიები განა იდეალიზმის უკიდურესობა არ არის? როგორაღაც უნდა თვლიდეს კაცი თავის თავს მხოლოდ ფაქტებზე მომუშავე ადამიანად. გონების შინაგანი მოთხოვნილება მას მაინც მიაქანებს აზრის სუფოოსაკენ, იდეისაკენ, ზოგადისაკენ; ჯიუტი ურჩობით სპეციალისტები მხოლოდ იმას იგებენ, რომ, ნაცვლად ამაღლების სწორი გზისა, ისინი დაბორიალობენ უცნაურ გარემოში, რომლის ფსკერი ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტებია, ხოლო თავანი ერთმანეთთან დაუკავშირებელი თეორიული ოცნებანი. ისინი ადიან ზოგადობამდე თავისებურად და არ სურთ შეეშვან არც ერთ კერძოობას, ხოლო ზოგადობის სფეროში ჩრჩილისაგან დაღრღნილი არაფერი არ შედის: მეცნიერებაში მხოლოდ მარადიული, გვარეობითი და აუცილებელი არის აღიარებული და გაცისკროვნებული მეცნიერებითვე. ეჭვს გარეშეა, რომ ფაქტიურად სამყარო, მეცნიერების საფუძველს შეადგენს; მეცნიერება, რომელიც ბუნებაზე, ფაქტებზე არაა დაყრდნობილი, სწორედ დილეტანტების ბუნდოვანი მეცნიერებაა. მაგრამ, მეორე მხრივ, in crudo* ფაქტები, ყოფიერების მთელი შემთხვევითობების მიხედვით აღებულნი, უძლური არიან მეცნიერებაში შუქმფენი გონების წინაშე. მეცნიერებაში ხდება აღდგენა ბუნებისა, მისი განთავისუფლება შემთხვევითობის ძალაუფლებისაგან და იმ გარეშე გავლენებისაგან, რომელიც ავიწროებს ბუნებას ყოფიერებაში; მეცნიერებაში ხდება ბუნების გასხივოსნება თავისი ლოგიკური აუცილებლობის სიწმინდით; ახშობს რა შემთხვევითობას, მეცნიერება ყოფიერებას არიგებს იდეასთან, მთელი სიწმინდით აღადგენს ბუნებრივს, წვდება არსებობის (des Daseins**) ნაკლოვანებას და ასწორებს მას როგორც ძალაუფლების მქონე. ბუნებას, ასე ვთქვათ, სწყუროდა თავისი განთავისუფლება შემთხვევითი ყოფიერების ბორკილებისაგან, და გონებამ ეს მეცნიერებაში

---

* ნედლი (ლათ.). — რ ე დ.

** უშუალოდ არსებული (გერმ.). — რ ე დ.

შეასრულა. განყენებული მეტაფიზიკის ადამიანები თავიანთი ცის სივრციდან უნდა დაეშვან ფიზიკაში (ამ სიტყვის ფრიად ფართო მნიშვნელობით), და ფიზიკაშივე უნდა ამაღლდნენ მიწის მქექავი სპეციალისტები. ამ სახით მიღებულ მეცნიერებაში არ არის არც თეორიული ოცნებანი, არც ფაქტიური შემთხვევითობანი: მასშია თავის თავისა და ბუნების მკვრეტელი გონება.

უმთავრესი, რაც სწავლულთა მეცნიერებას ძნელსა და დაბნეულს ხდის, ეს არის მეტაფიზიკური ბოდვები და უამრავი სპეციალობანი, რომელთა შესწავლას ეწირება მთელი სიცოცხლე და რომელთა სქოლასტიკური სახე ბეკრს უცრუებს გულს. მაგრამ ჭეშმარიტ მეცნიერებაში აუცილებლად ქრება ერთიც და მეორეც, და რჩება მწყობრი ორგანიზმი, გონივრული და ამის გამო უბრალოდ გასაგები. მეცნიერება ახლა ჩვენს თვალწინ აღწევს თავის თავის გაგებას ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, არც ჩვენ მოგვივიდოდა თავში აზრად ამაზე გველაპარაკნა. ყოველთვის და მარად იქნება მეცნიერების ცალკეული დარგების ტექნიკური ნაწილი, რომელიც საესებით სამართლიანად სპეციალისტების ხელში დარჩება, მაგრამ საქმე ამ ნაწილში როდია. მეცნიერება, თავისი უმაღლესი მნიშვნელობით, ხელმისაწვდომი გახდება ადამიანებისათვის, და მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი მოითხოვოს ხმის უფლება ცხოვრების ყველა საქმეში. არ არის ისეთი აზრი, რომლის გამოთქმა არ შეიძლებოდეს უბრალოდ და ნათლად, განსაკუთრებით მის დიალექტიკურ განვითარებაში. ბუალო "მართალია:

> Tout ce que l'on concoit bien s'annonce clairement
> Et les mots, pour le dire, arrivent aisément*.

---

* ყოველივე, რაც კარგად არის მოფიქრებული ნათლად გამოითქმება, და სიტყვები გამოსახატავად ადვილად მოდიან (ფრანგ.). — რ ე დ.

ჩვენ ვიღიმებით, რადგან ახლა წინასწარ ვხედავთ სწავლულთა სასაცილო მდგომარეობას, როდესაც ისინი კარგად გაიგებენ თანამედროვე მეცნიერებას; მეცნიერების ჭეშმარიტი შედეგები იმდენად უბრალო და ნათელია, რომ სწავლულები შერცხვენილნი აღმოჩნდებიან. «როგორ! ნუთუ ჩვენ მთელ სიცოცხლეში თავს ვიმტვრევდით და ვწვალობდით, ხოლო საკითხი თურმე ასე უბრალოდ წყდება?» ახლა მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ რამდენადმე პატივისცემით მოეპყრან მეცნიერებას, იმიტომ რომ საჭიროა კაცს ერთგვარი ძალა გაეჩნდეს, რათა გაიგოს, თუ რამდენად უბრალოა მეცნიერება, და საჭიროა ერთგვარი დახელოვნება, რომ იცნოს ნათელი ჭეშმარიტება სქოლასტიკური გამოთქმების გარსში, ხოლო ისინი ვერც კი მიხვედრილან მეცნიერების უბრალოებას. მაგრამ თუ ჭეშმარიტი მეცნიერება მართლა ასე უბრალოა, მაშინ რატომ ლაპარაკობდნენ მისი დიდი წარმომადგენლები, მაგალითად, ჰეგელი, ასევე ძნელი ენით? ჰეგელიც, მიუხედავად თავისი გენიის მთელი ძლიერებისა და სიდიადისა, ადამიანი იყო; იმ ეპოქაში, რომელიც დამტვრეული ენით ლაპარაკობდა, ჰეგელს თავისი აზრების მარტივად გამოთქმა პანიკურ შიშს გვრიდა ისევე, როგორც ეშინოდა მას თავისი საწყისების უკანასკნელ შედეგამდე მისულიყო; მას არ ყოფნიდა გმირობა თანამიმდევრობისა და თავგანწირულებისა, რომ რადაც უნდა დამჯდარიყო, მიეღო ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება— მთელი თავისი სიფართოვით. უდიდესი ადამიანები თავიანთი საწყისების ცხადი შედეგის წინაშე ჩერდებოდნენ; ზოგიერთნი, შიშით შეპყრობილნი, უკან იხევდნენ და ნაცვლად იმისა, რომ სიცხადე და მკაფიობა ეძებნათ, თავიანთ აზრებს აბუნდოვანებდნენ. ჰეგელი ხედავდა, რომ ბევრი რამ, რაც საერთოდ მიღებული იყო, მსხვერპლად უნდა შეწირულიყო: მას ენანებოდა შემუსვრა ბევრ რამეთა; მაგრამ, მეორე მხრივ, მას არ შეეძლო არ გამოეთქვა ის, რის გამოსათქმელადაც იყო მოწოდებული. ჰეგელს ხშირად, საწყისი რომ გამოჰყავს, ეშინია ყველა მისი შედეგი აღიაროს და ეძებს არა უბრალო, ბუნებრივ და თავისთავად გამომდინარე

შედეგს, არამედ ისეთს, რომელიც შეხმატკბილებული იქნება არსებულთან; განვითარება რთულდება, სიცხადე ქრება და ბუნდოვანება იჭერს მის ადგილს. ამას დავუმატებთ სკოლის ენით ლაპარაკის ცუდ ჩვეულებას, რაც მას უნებლიეთ უნდა შეეთვისებინა, რადგან მთელ თავის სიცოცხლეში გერმანელ სწავლულებთან უხდებოდა ლაპარაკი. მაგრამ მისი ძლიერი გენია აქაც თავს იჩენს მთელი თავისი კოლოსალური სიდიადით. დახლართული პერიოდების გვერდით უცბად ერთი სიტყვა, როგორც ელვა, გაანათებს უსაზღვრო სივრცეს ირგვლივ, და თქვენი სული კიდევ თრთის ამ სიტყვის მეხთატეხისაგან და მოწიწებით შეჰყურებთ მის მთქმელს. ჩვენ საყვედურს როდი ვეუბნებით უდიდეს მოაზროვნეს! არავის არ შეუძლია დადგეს ისე მაღლა თავის საუკუნეზე, რომ სრულიად გამოვიდეს მისგან; და, თუ თანამედროვე თაობა იწყებს უფრო უბრალოდ ლაპარაკს და ხელი მისი უფრო გაბედულად ხსნის იზიდას უკანასკნელ ფარდებს, — ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ მას წინ მიუძღოდა ჰეგელის თვალსაზრისი, რომ მისთვის დამარცხებული იქნა ეს თვალსაზრისი. ახლანდელი დროის ადამიანი მთაზე დგას და ერთბაშად ხედავს ვრცელ არეს, მაგრამ მას, ვისაც გზა აჰყავდა მთაზე, ეს არე ერთბაშად არ ეშლებოდა თვალწინ. ჰეგელი მთაზე პირველი ავიდა, თვალწინ გადაეშალა უსაზღვრო სივრცე და ამან დათრგუნა იგი; მან დაიწყო თავისი მთის ძებნა, მისი მთა არ მოჩანდა მწვერვალიდან; იგი შეშინდა; მისი მთა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყველა მის განცდასთან, ყველა მოგონებასთან და მისი ცხოვრების ბედის ტრიალთან; მას სურდა შეენარჩუნებინა თავისი მთა. ნორჩ თაობას, რომელიც ადვილად ამაღლდა გენიალური მოაზროვნის ძლიერ მხრებზე, უკვე აღარა აქვს მთისადმი არც ის სიყვარული და არც ის პატივისცემა: მისთვის იგი წ ა რ ს უ ლ ი ა.

როდესაც ნორჩი თაობა დავაჟკაცდება, როცა იგი სიმაღლეს შეეჩვევა, მიმოიხედავს, იქ თავს იგრძნობს როგორც საკუთარ სახლში, აღარ გააკვირვებს ფართო, უსაზღვრო არე

და თავისი ნებისყოფა, ერთი სიტყვით, როდესაც შეეჩვევა მთის მწვერვალს, მაშინ მისი ჭეშმარიტება, მისი მეცნიერება გამოითქმის უბრალოდ, ყველასავის გასაგებად. ეს უთუოდ იქნება!

1842 წ., ნოემბერი.

წერილი მეოთხე

ბუდიზმი მეცნიერებაში

— თავისი სულის დამღუპველი იპოვის მას.
— რწმენა უსაქმოდ მკვდარია.

ჩვენ წინათ ვთქვით, რომ მეცნიერებამ გამოაცხადა საყოველთაო შერიგება აზროვნების სფეროში, და ისინი, რომელთაც შერიგება სწყუროდათ, ორად გაიყვნენ: ერთმა უარყო მეცნიერების შერიგება ისე, რომ არც კი განუხილავს იგი, მეორე მხარემ მიიღო ის ზერელედ და ანბანურად; თავისთავად იგულისხმება, რომ იყვნენ და არიან ისეთებიც, რომლებმაც ჭეშმარიტად გაიგეს მეცნიერება, — ესენი შეადგენენ მეცნიერების მაკედონურ ფალანგას[67], რომლის შესახებაც ჩვენ განზრახვა არ გვქონდა გველაპარაკა ამ წერილების რიგში. შემდეგ ჩვენ შევეცადეთ შეგვეხედა შეურიგებლებისათვის, და დავინახეთ, რომ ავადმყოფი და წამხდარი მხედველობა მათ მეტწილად საშუალებას არ აძლევს იცქირონ იქით, საითაც საჭიროა, დაინახონ ისე, როგორც ხდება, გაიგონ ისე, როგორც არის თქმული; მხედველობის ორგანოებში არსებული პირადი ნაკლი მათ გადააქვთ დასანახავ ობიექტზე. თვალის ავადმყოფურობა ყოველთვის არ მოწმობს მის სისუსტეს; ზოგჯერ ამ ავადმყოფურობას არაჩვეულებრივად დიდი ძალა უერთდება, მაგრამ ისეთი ძალა,

რომელიც თავის ბუნებრივ დანიშნულებას აცდენილა. ახლა მივმართოთ შ ე რ ი გ ე ბ უ ლ ე ბ ს. მათ შორის არიან არასაიმედო ადამიანები, რომლებმაც იარაღი პირველი გასროლისთანავე დაყარეს, რომლებმაც ყველა პირობა სასოწარკვეთილების მომგვრელი თავგანწირულებით და საეჭვო უყოყმანობით მიიღეს. ჩვენ მათ ვუწოდეთ მაჰმადიანები მეცნიერებაში, მაგრამ არ დავუტოვებთ მათ ამ სახელწოდებას, რაც ხალიფატისა და ალგამბრის[68] ჭრელ და ცხოველ სურათებს მოგვაგონებს; გაცილებით უფრო სწორი იქნება მათ ვუწოდოთ ბუდისტები მეცნიერებაში*. შევეცდებით ჩვენი აზრი მათ შესახებ გამოვთქვათ რაც შეიძლება ნათლად, საკუბრო ენის უბრალო საშუალებებით.

მეცნიერებამ არა მარტო გამოაცხადა, არამედ კიდევაც შეასრულა თავისი სიტყვა: მან მართლაც მიაღწია შერიგებას თავის ს ფ ე რ ო შ ი. იგი იმ მარადიულ შუალობად მოგვევლინა, რომელიც შეგნებით, აზრით მოხსნის ხოლმე დაპირისპირებულთ, არიგებს მათ მათი ერთიანობის გამომჟღავნებით, არიგებს მათ თავის თავში და თავის თავთან, შეიგნებს რა თავის თავს ურთიერთშორის მებრძოლ საწყისთა სიმართლედ. უგუნური მოთხოვნა იქნებოდა, რომ მეცნიერებისთვის დაგვეკისრებინა რაიმეს შესრულება თავის სფეროს მიღმა. მეცნიერების სფერო არის საყოველთაო, აზრი, გონება, როგორც თ ვ ი თ შ ე მ მ ე ც ნ ე ბ ე ლ ი ს უ ლ ი; ამ სფეროში მეცნიერებამ თავისი მოწოდების მთავარი ნაწილი შეასრულა; დანარჩენში შეიძლება სრული იმედი ვიქონიოთ. მეცნიერებამ გაიგო, შეიცნო, განავითარა გონების ჭეშმარიტება როგორც სინამდვილის წინამდებარე: მან სამყაროს აზრი გაათავისუფლა სამყაროს მოვლენებისაგან, ყოველი არსებული გაათავისუფლა შემთხვევი-

---

* ბუდისტებს არსებობა მიაჩნიათ ნამდვილ ბოროტებად, რადგან ყოველი არსებული აჩრდილია. უზენაესი ყოფიერება მათთვის უსასრულო სივრცის სიცარიელეა. გადადიან რა ხარისხიდან ხარისხში, ისინი არარსებობის უმაღლეს საბოლოო ნეტარებას აღწევენ, რომელშიც სრულ თავისუფლებას ხედავენ (კლაპროტი [69]). რა ნათესაური მსგავსებაა! — ბ. ბ.

თობისაგან, ყოველივე მაგარი და უძრავი დაშალა, ბნელი გამჭირვალედ აქცია, სინათლე შეიტანა წყვდიადში, მარადიული გახსნა დროებითში, დაუსრულებელი, — დასრულებულში და ცნო მათი აუცილებელი არსებობა; ბოლოს, მეცნიერებამ დაანგრია ჩინური კედელი, რომელიც უცილობელ ჭეშმარიტებას ყოფდა ადამიანისაგან, და მის ნანგრევებზე გონების თვითკანონიერების დროშა აღმართა. მით, რომ ადამიანის ყურადღებას გრძნობადი უცილობლობის უბრალო მოვლენებზე აჩერებს და მასთან პირად გონივრულ მსჯელობას იწყებს, მეცნიერება ადამიანში ავითარებს გვარეობითს იდეას, ზოგად გონებას, პიროვნულობისაგან განთავისუფლებულს. მეცნიერება თავიდანვე მოითხოვს პიროვნების მიტანას მსხვერპლად, გულის შეწირვას ზვარაკად, — ეს მისი conditio sine qua non* არის. და რა საზარიც უნდა გვეჩვენებოდეს ეს, მეცნიერება მაინც მართალია: მეცნიერებას აქვს ერთი სფერო ზოგადობისა, აზრისა. გონებამ არ იცის ეს პიროვნება; მან იცის მხოლოდ პიროვნებათა აუცილებლობა საერთოდ; გონება, როგორც უმაღლესი სამართლიანობა, პირუთვნელია. მეცნიერებისათვის მოშოდებულმა ადამიანმა მსხვერპლად უნდა შესწიროს თავისი პიროვნულობა, უნდა გაიგოს პიროვნულობა არა ჭეშმარიტ, არამედ შემთხვევით რამედ, დაამხოს იგი ყველა კერძო შეხედულებებითურთ და ისე შევიდეს მეცნიერების ტაძარში. ეს გამოცდა ზოგთათვის ძლიერ ძნელია, ზოგთათვის ძლიერ ადვილი. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ მიუწვდომელია დილეტანტებისათვის მეცნიერება იმის გამო, რომ მათსა და მეცნიერებას შუა დგას მათი პიროვნება. ისინი აცახცახებული ხელებით ებღაუჭებიან მეცნიერებას და ახლოს არ მიდიან მის სწრაფ ნიაღვართან, რადგან ეშინიათ, რომ ტალღათა სწრაფი მოძრაობა გაიტაცებს და დაახრჩობს მათ; და თუ მაინც მიდიან მასთან, თავის გადარჩენაზე ზრუნვა მათ საშუალებას არ აძლევს რაიმე დაინახონ. ასეთ ადამიანებს მეცნიერება ვერ გაუხსნის თავის

* აუცილებელი პირობა (ლათ.). — რ ე დ.

საგანძურს იმიტომ, რომ თვითონ ისინი ვერ უხსნიან მეცნიერებას თავის გულს. მეცნიერება მოითხოვს ადამიანს მთლიანად, ქვენა აზრების გარეშე, ადამიანს, რომელიც მზად არის ყველაფერი მისცეს მას და ჯილდოდ მიიღოს ფხიზელი ცოდნის მძიმე ჯვარი. ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია გული გაუხსნას რაიმეს, საცოდავია; მას არა მარტო მეცნიერება უკეტავს თავისი ტაძრის კარებს; მას არ შეუძლია იყოს არც ღრმად რელიგიური ადამიანი, არც ჭეშმარიტი მხატვარი და არც მამაცი მოქალაქე; იგი ვერ ეღირსება ვერც მეგობრის ღრმა სიმპათიას და ვერც საპასუხო სიყვარულის ცეცხლოვან შემოხედვას. სიყვარული და მეგობრობა ურთიერთ გამოძახილია; ისინი იმდენს აძლევენ, რამდენსაც იღებენ. ზნეობრივი სამყაროს ამ ძუნწებისა და ეგოისტების საწინააღმდეგოდ არიან ბედოვლათები და მფლანგველები, რომლებიც არაფრად აგდებენ არც თავის თავს და არც თავიანთ ავლადიდებას; ისინი სიხარულით გარბიან თვითმოსპობისაკენ საყოველთაოში და პირველ სიტყვისთანავე ხელს იღებენ თავის შეხედულებებზე და თავის პიროვნებაზეც, როგორც ჭუჭყიან საცვალზე. მაგრამ სასძლო, რომელსაც ისინი ეძებდნენ, თავნება ქალია. მას იმიტომ არ სურს მიიღოს ამ ადამიანების სული, რომ ესენი ადვილად აძლევენ სულს და უკან დაბრუნებას არ მოითხოვენ; პირიქით, კმაყოფილნიც არიან, რომ თავიდან მოიშორეს ის. სასძლო მართალია: კარგი რამ არის პიროვნება, რომელსაც ფანჯრიდან აგდებენ! მაგრამ როგორ მოიქცნენ? დაღუპე შენი პიროვნება, იქ კი — შეინარჩუნე შენი პიროვნება,—ახალი კაბალისტიკის ლოგომახიაა! [70]

პიროვნება დაიღუპა მეცნიერებაში, მაგრამ ხომ არ აქვს პიროვნებას, ზოგადობის სფეროში მოწოდების გარდა, სხვა მოწოდება, და თუ ის მოწოდება პირადია, მაშინ მისი შთანთქმა მეცნიერებას არ შეუძლია, სწორედ იმიტომ, რომ მეცნიერება აქარწყლებს პიროვნულს მით, რომ აზოგადებს მას. პიროვნების დაღუპვის პროცესი მეცნიერებაში არის უშუალო-ბუნებრივად შეგნებული, თავისუფალ-გონივრული პიროვ-

ნების დადგინების პროცესი; პიროვნება შეჩერებულია იმისათვის, რომ ახლად დაიბადოს. აკი პარაბოლაც დაიღუპა პარაბოლის განტოლებაში, და ციფრიც დაიღუპა ფორმულაში. ალგებრა მათემატიკის ლოგიკაა; მისი ალგორიტმი წარმოადგენს საყოველთაო კანონებს, შედეგსა და თვით მოძრაობას გვარეობით მარადიულ, უპიროვნო სახეში. მაგრამ პარაბოლა მხოლოდ მიიმალა განტოლებაში, და ისე არ მომკვდარა მასში, როგორც ციფრი არ მომკვდარა ფორმულაში. ნამდვილად არსებული შედეგის მისაღებად ხდება ანბანის შეცვლა ციფრით, ფორმულა ღებულობს ცოცხალი განსაკუთრებულობის სახეს, გადადის ისევ იმ მოვლენათა სამყაროში, საიდანაც გამოვიდა, მოძრაობს და პრაქტიკული შედეგით მთავრდება; ასე რომ, თავის მხრივ, არ სპობს ფორმულას. გამოანგარიშებამ იგი შეასრულა პრაქტიკული გაქმედიანებით და, კვლავინდებურად მშვიდი, იგი საყოველთაობის სფეროში მეფობს. მაგალითები ფორმალური მეცნიერებიდან ყოველთვის ხელს უწყობს გაგებას, ოღონდ თუ არ დავივიწყებთ, რომ სპეკულატური მეცნიერება მარტო ფორმალური როდია; მისი ფორმულა თვით შინაარსაც ამოსწურავს.

ამრიგად, მეცნიერებაში ჩანთქმული პიროვნება უკუმოუქცევლად არ დაღუპულა: მან უნდა გაიაროს ეს დაღუპვა, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ დაღუპვა შეუძლებელია. საჭიროა პიროვნებამ უარყოს თავის თავი, რომ იქცეს ჭეშმარიტების ჭურჭლად, რომ თავის თავით არ შეავიწროვოს ჭეშმარიტება, მიიღოს ჭეშმარიტება ყველა შედეგითურთ და ამ შედეგთა შორის აღმოაჩინოს თავისი უცილობელი უფლება თვითმყოფობის დაბრუნებისა. სიკვდილი ბუნებრივ უშუალობაში ნიშნავს აღდგომას სულში და არა დაღუპვას უსასრულო არარაობაში, როგორც ბუდისტები იღუპებიან. ეს თავის თავზე გამარჯვება შესაძლებელი და ნამდვილია, როდესაც არის ბრძოლა; სულის ზრდა ძნელია, ისე როგორც ძნელია სხეულის ზრდა. ჩვენი ხდება ის, რაც ჩვენს მიერ ტანჯვით არის მოპოვებული და რაც ჩვენს მიერ არის

გამომუშავებული, რაც მუქთად ჩაგვივარდა ხელში, მისი ფასი ჩვენ არ ვიცით. ქაღალდის მოთამაშენი ფულებს ბღუჯაბღუჯად ფანტავენ. განა ღირდა აბრამის გამოცდა, თუ მას ისაკის მოკვლა არაფრად უღირდა.

ჯანსაღი, ძლიერი პიროვნება უბრძოლველად არ ნებდება მეცნიერებას; იგი მუქთად ნაბიჯს არ დასთმობს; ძლიერ პიროვნებას ეჯავრება თავის თავის მსხვერპლად შეწირვის მოთხოვნა, მაგრამ დაუძლეველი ძალა იზიდავს მას ჭეშმარიტებისაკენ; ყოველი დარტყმით ადამიანი გრძნობს, რომ მას ებრძვის ძლიერი რაღაც, რომლის წინააღმდეგ ძალა არ ყოფნის: კვნესით, გოდებით აძლევს იგი ნაჭერ-ნაჭერ ყოველივეს, რაც გააჩნია, — გულსაც და სულსაც. ასე, მაგალითად, როდესაც ოდისეი იღუპებოდა ტალღებში და კლდეებს ებღაუჭებოდა, სანამ თავს გადირჩენდა, მან თავისი სისხლით შეღება ეს ტალღები და თავისი ხორცის ნაფლეთები დატოვა შიგ. გამარჯვებული ულმობელია, იგი ყველაფერს მოითხოვს, და დამარცხებულიც ყველაფერს აძლევს; მაგრამ გამარჯვებული ნამდვილად არ აიღებს: რად უნდა მას ადამიანისეული? ადამიანს უნდა მიეცა, მაგრამ მას როდი უნდა აეღო. ფორმალისტებისათვის, რომლებიც მუდამ განყენებულობათა სამყაროში იმყოფებიან, პიროვნების დათმობა არაფერს ნიშნავს; ამიტომაც ასეთი დათმობით ისინი ვერაფერს იძენენ; ისინი ივიწყებენ ცხოვრებასა და მოქმედებას: მათი ლირიზმი და მგზნებარება კმაყოფილდება განყენებული გაგებით, ამიტომ მათ დიდი შრომა და ტანჯვა არ სჭირდებათ იმისათვის, რომ თავისი პირადი სიკეთე მსხვერპლად გაიღონ. ისაკის მოკვლა მათ არაფრად უღირთ. ფორმალისტები მეცნიერებას სწ ა ვ ლ ო ბ ე ნ როგორც რაღაც გარეგნულს: რამდენადმე მათ შეუძლიათ შეითვისონ მისი ჩონჩხი, მისი გამოთქმები და ეგონოთ, რომ მისი ცხოველმყოფელი სული შეითვისეს. მეცნიერება უნდა განიცადო, რომ ფორმალურად არ შეითვისო იგი. ვინც ფეხი მოიტეხა, მან ყოველ ექიმზე უფრო უკეთესად და მტკიცედ იცის, თუ რა ტკივილებია მოტეხის დროს. სულის ფენომენოლოგიის [71] განცდა ტანჯვით, გულის

მხურვალე სისხლისაგან დაცლა, მწარე ცრემლებად დაღვრა, სკეპტიციზმისაგან დამშლევება, სინანული, სიყვარული, დიდი სიყვარული ჭეშმარიტებისა და მისთვის ყველაფრის მიძღვნა,— ასეთია მეცნიერებაში აღზრდის ლირიკული პოემა. მეცნიერება საშინელ მტარვალად და ისეთ სულად იქცევა, რომლის განდევნა არ შეიძლება არავითარი შელოცვებით, იმიტომ რომ ადამიანმა ის საკუთარი მკერდიდან გამოიხმო და მას დასამალი აღარსად აქვს. აქ საჭიროა კაცი გამოეთხოვოს იმ სასიამოვნო აზრს, რომ დღის გარკვეულ საათში კეთილგონიერულად შეიქცევს თავს ფილოსოფოსებთან საუბრით გონების განვითარებისა და მეხსიერების შემკობისათვის. საშინელი საკითხები არ შორდებიან: საითაც კი შებრუნდება უბედური, ისინი მის წინ აღიმართებიან, ვითარცა დანიელის ცეცხლოვანი ასოებით დაწერილნი, და სადღაც სიღრმისაკენ ეწევიან; მას კი ღონე არ შესწევს წინაღუდგეს უფსკრულის მომჯადოებელ ძალას, უფსკრულისა, რომელიც თავისკენ იზიდავს ადამიანს თავისი გამოუცნობი საშიშროებით. გველი არიგებს ბანქოს; თამაში, რომელიც ცივად იწყება გაცვეთილი ლოგიკური დებულებებით მალე გაფთრებულ შეჯიბრებად იქცევა; ყველა სანუკვარი ოცნება, წმიდათა წმიდა და ნაზი სასოებანი, ოლიმპი და აიდი[72], მომავლის იმედი, ნდობა აწმყოსადმი, წარსულის კურთხევა — ყველაფერი თანმიმდევრობით ბანქოში იდება, და იგი, ნელ-ნელა შლის რა ბანქოს, გაუღიმებლად, უირონიოდ და გულგრილად იმეორებს ცივი ბაგეთი: «გაჭრილია». კიდევ რას ჩავიდეს? ყველაფერი წაგებულია; ისღა დარჩა, რომ თავის თავს ჩავიდეს; მობანქოვე თავის თავს ჩადის, და ამ წუთიდან თამაში იცვლება. ვაი მას, ვინც უკანასკნელ თალიამდე არ ითამაშა, ვინც წაგებაზე შეჩერდა: მას ან მტანჯველი ეჭვების სიმძიმე გასრესს, მხურვალე რწმენის წყურვილით გაწამებულს, ან წაგებას მოგებად მიიჩნევს და თვითკმაყოფილებით შეურიგდება თავის დასახიჩრებას; პირველი არის გზა ზნეობრივი თვითკმაყოფილებისაკენ, მეორე — უსულგულო ათეიზმისაკენ. პიროვნება, რომელსაც იმდენი ენერგია ჰქონდა, რომ

შეძლო თავის თავი ბანქოში წაეგო, — უეჭველად დასდებს თავს მეცნიერებისათვის, მაგრამ მეცნიერებას უკვე აღარ შეუძლია შთანთქას ასეთი პიროვნება, და თვით ასეთი პიროვნებაც თავისთავად არ შეიძლება მოისპოს ზოგადში, — იქ მეტად ვრცელი არეა. სულის დამღუპველი კვლავ ი პ ო ვ ი ს მ ა ს.

ვინც ასე ტანჯვით მივიდა მეცნიერებამდე, მან ის შეითვისა არა მარტო როგორც ჩონჩხი ჭეშმარიტებისა, არამედ როგორც ცოცხალი ჭეშმარიტება, თავის ცოცხალ ორგანიზმში რომ მჟღავნდება; ასეთი კაცი ჭეშმარიტებაში ისეა როგორც თავის სახლში; მას უკვე აღარ უკვირს არც თავისი თავისუფლება და არც ჭეშმარიტების სინათლე; მაგრამ მას ეცოტავება ჭეშმარიტებასთან შერიგება; მას ეცოტავება მშვიდი ჭვრეტისა და ხილვის ნეტარება; მას სურს ცხოვრების სიტკბოებათა და ტანჯვათა სავსეობა, მას სურს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რადგან მხოლოდ მოქმედებას შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ადამიანი. მოქმედება არის თვით პიროვნება. როდესაც დანტე შევიდა ნათელ სფეროში, სადაც არ არის არც ტირილი, არც ამოოხვრა, როდესაც მან დაინახა სამოთხის უხორცო მცხოვრებნი, მას შერცხვა თავის სხეულის ჩრდილისა, მისთვის, მიწიერისათვის — არ იყვნენ მეგობრები, ეს ნათელი, ჰაეროვანი არსებანი, და იგი დაეყრდნო უსახლკარო განდევნილის კვერთხს და კვლავ დაუბრუნდა ჩვენს სააქაოს; მაგრამ ახლა იგი უკვე აღარ დაკარგავს ბილიკებს, არ დაეცემა შუა გზაზე დაქანცულობისა და დაუძლურების გამო. იგი გასცდა თავისი ქმნადობის პერიოდს, ტანჯვით გაიარა ეს პერიოდი; იგი დახეტიალობდა ცხოვრებაში და ჯოჯოხეთის ტანჯვით გაიარა თავისი გზა; იგი გრძნობას კარგავდა კვნესა-გოდებისაგან და ფართოდ ახელდა მღვრიე, შეშინებულ თვალებს, ვედრებით ითხოვდა მცირეოდენ ნუგეშს, რის ნაცვლად კვლავ გოდება, e nuovi tormenti, e nuovi tormentati *. მაგრამ იგი მ ი ვ ი დ ა ლიუციფერამდე, და მაშინ ნათელი

* კვლავ ახალი წამებანი და ახალი წამებულნი (იტალ.). — რ ე დ.

სალხინებელის გზით ავიდა უსხეულო ცხოვრების მარადიული ნეტარების სფეროში, შეიცნო, რომ არის სამყარო, რომელშიც ბედნიერია ადამიანი, განდგომილი მიწისაგან, — და დაუბრუნდა ცხოვრებას, ზიდა მისი ჯვარი.

მეცნიერების ბუდისტები, რომლებიც ასე თუ ისე ავიდნენ ზოგადობის სფეროში, არ გამოდიან ამ სფეროდან. მათ ქუდი რომ შეუგდოთ, ვერ შეიტყუებთ სინამდვილისა და ცხოვრების სამყაროში. ვინ ეტყვის მათ, რომ ის ვრცელი ტაძარი, რომელშიც გასაკეთებელი არაფერია, მაგრამ იქ ყოფნა საპატიოა, — გასცვალონ ჩვენს ცხოვრებაზე, სადაც ბობოქარი ვნებათაღელვანი სუფევს, სადაც საჭიროა იმუშაოთ და ზოგჯერ დაიღუპოთ კიდეც. ერთი წყება სხეულებისა, რომელთაც ხვედრითი წონა აქვთ, წყალზე უფრო მძიმე არიან და იძირებიან; ჩალა და ნაფოტები მედიდურად დასცურავენ ზედაპირზე. ფორმალისტებმა პოვეს შერიგება მეცნიერებაში, მაგრამ ცრუ შერიგება; ისინი უფრო მეტად შეურიგდნენ, ვიდრე მეცნიერებას შეეძლო შერიგება; მათ ვერ გაიგეს, **როგორ** არის შესრულებული შერიგება მეცნიერებაში; შესულნი სუსტი მხედველობით, ღარიბნი სურვილებით, ისინი განცვიფრებული დარჩნენ სინათლითა და კმაყოფილების სიუხვით. მათ მეცნიერება ისევე უსაფუძვლოდ მოეწონათ, როგორც ის არ მოეწონათ დილეტანტებს. მათ წარმოიდგინეს. რომ საკმაოა **იცოდეთ** შერიგება, ხოლო მისი განხორციელება მოქმედებით საჭირო არ არის. განუდგნენ ქვეყანას და განიხილეს რა იგი უარყოფითი თვალსაზრისით, მათ აღარ მოესურვათ კვლავ დაბრუნებოდნენ მას; მათ მოეჩვენათ, საკმარისია იცოდეთ, რომ ქინაქინა კურნავს ციებ-ცხელებას, რათა განიკურნოთ მისგან; მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ადამიანისათვის მეცნიერება მომენტია, რომლის ორივე მხარეზე ცხოვრებაა: ერთი მხრიდან, ბუნებრივი-უშუალო ცხოვრება, რომელიც მეცნიერებისაკენ ისწრაფვის, ხოლო მეორე მხრიდან — მეცნიერებისაგან გამომდინარე შეგნებულ-თავისუფალი ცხოვრება; მათ ვერ გაიგეს, რომ მეცნიერება გულია, რომელშიც შედის ვენების

შავი სისხლი არა იმისათვის, რომ იქ დარჩეს, არამედ იმისათვის, რომ შეუერთდეს ჰაერის ცეცხლოვან საწყისს და გაიღვაროს სხეულში ვარდისფერ არტერიალურ სისხლად. ფორმალისტებმა იფიქრეს, რომ მიადგნენ ნავსაყუდელს იმ დროს, როდესაც ნამდვილად ზღვაში უნდა შეცურებულიყვნენ; მათ ხელები გულზე დაიკრიფეს, როდესაც გაიგეს, რაშია საქმე, ე. ი. როდესაც თანამიმდევრობა მათ ხელების ამოძრავებას უკარნახებდა. ცოდნამ მათ გადაუხადა ცხოვრების საფასური, და მათ ცხოვრება უკვე აღარ უნდათ: მათ გაიგეს, რომ მეცნიერება თავის თავის მიზანია, და წარმოიდგინეს, რომ მეცნიერება ადამიანის ერთადერთი მიზანია. მეცნიერების შერიგება ახლად დაწყებული ბრძოლაა, რომელიც შერიგებას პრაქტიკულ სფეროებში აღწევს; მეცნიერების შერიგება აზროვნებაში ხდება, მაგრამ «ადამიანი არა მარტო მოაზროვნე, არამედ მოქმედი არსებაცაა»*. მეცნიერების შერიგება საყოველთაო და უარყოფითია,— ამიტომ მეცნიერებას პიროვნება არ ესაჭიროება; დადებითი შერიგება შეიძლება მხოლოდ თავისუფალ, გონივრულ და შეგნებულ მოქმედებაში. იმ სფეროებში, რომლებშიც პიროვნებამ შეინარჩუნა იმის აუცილებლობა, რომ ის გამოვლინდეს ადამიანის მოქმედებაში,— მაგალითად, რელიგიში, — ხდება არა მარტო ამაღლება პიროვნებათა, არამედ დასვლაც პიროვნებებამდე, მათი შენახვა-შენარჩუნება; მასში რწმენა უსაქმოდ, მკვდრად არის მიჩნეული, სიყვარული ყველაფერზე მაღლაა დაყენებული. განყენებული აზრი ყოველივე დროებითის მიმართ სასიკვდილო განაჩენის განუწყვეტელი გამოცხადებაა, უმართებულოსა და დახავსებულის სიკვდილით დასჯაა — მარადიულისა და გარდუვალის გულისათვის, — ამის გამოა, რომ მეცნიერება ყოველ წუთს უარყოფს არსებულის მოჩვენებითს ურყეობას. შეგნებული სიყვარულის მოქმედება შემოქმედებითია. სიყვა-

---

* ეს თქვა გოეთემ. ჰეგელი «პროპედევტიკაში» (ტომი XVIII, § 63) ამბობს: «სიტყვა ჯერ კიდევ არ არის მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ზ ე მ ა ღ ლ ა დ გ ა ს». და გერმანელებს, მაშასადამე, ესმოდათ ეს. — ა. გ.

რული საყოველთაო პატიებაა, იგი შემწყალებელია, იგი მკერდზე იხუტებს დროებითს იმის გამო, რომ მასზე აღბეჭდილია მარადიულის კვალი. მაგრამ წმინდა განყენებულობებს არსებობის შესაძლებლობა არა აქვთ; დაპირისპირებული პოულობს ადგილს, იგი თავის მტრის სახლში შეიპარება და ვითარდება იქ; მეცნიერების უარყოფა პირველი გამოვლენიდანვე თავის საშოში ატარებს დადებითს. ეს დაფარული დადებითობა სიყვარულით თავისუფლდება, იგი ყოველმხრით მიედინება როგორც სითბოს წყარო, განუწყვეტლივ ისწრაფვის იპოვოს განხორციელების პირობები, საყოველთაო უარყოფის სფეროდან თავისუფალი მოქმედების სფეროში გადასვლის პირობები; როდესაც მეცნიერება უმაღლეს წერტილს აღწევს, იგი ბუნებრივად გადადის თავის საზღვრებს იქით. მეცნიერებაში აზროვნება და ყოფიერება შერიგებულია; მაგრამ ზავის პირობები შექმნილია აზრის მიერ, — სრული მშვიდობიანობა კი მოქმედებაშია. «მოქმედება არის თეორიისა და პრაქტიკის ცოცხალი ერთიანობა», — თქვა ორი ათას წელზე მეტი ხნის წინათ ძველი მსოფლიოს უდიდესმა მოაზროვნემ*. მოქმედებაში გონება და გული შეაინთქა ქმედიანობით, მათ მოვლენათა სამყაროში განახორციელეს შესაძლებლობაში მყოფი. ქვეყნიერება, ისტორია — განა მარადიული მოქმედება არაა? განყენებული გონების მოქმედება — აზროვნებაა, რაც პიროვნებას სპობს; ადამიანი უსასრულოა ამ მოქმედებაში, მაგრამ იგი თავის თავს კარგავს; ადამიანი აზრშია მარადიული, მ ა გ რ ა მ ი ს ა რ ი ს — ა რ ა ი ს. განყენებული გულის მოქმედება კი — კერძო საქციელია, რასაც შესაძლებლობა არა აქვს ზოგადობაში გაიშალოს; გულში არ კარგავს ადამიანი თავის თავს, მაგრამ წარმავალია. გონიერულ, ზნეობრივად-თავისუფალ და მგზნებარე-ენერგიულ მოქმედებაში ადამიანი თავისი პიროვნების ნამდვილობას აღწევს და უკვდავყოფს თავის თავს მოვლენათა სამყაროში. ასეთ

---

* არისტოტელემ. — ა. გ.

მოქმედებაში ადამიანი მარადიულია დროებითობაში, უსასრულოა დასრულებულში, წარმომადგენელია გვარისა და თავის თავისა *, ცოცხალი და შეგნებული ორგანოა თავისი ეპოქისა.

ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ გამოვთქვით, შორს არის იმისაგან, რომ შეცნობილი იყოს. თანამედროვე კაცობრიობის უძლიერესმა და უდიდესმა წარმომადგენლებმა აზრი და მოქმედება სხვადასხვანაირად და ცალმხრივად გაიგეს. დინჯმა, ღრმად მგრძნობიარე და გონებით მჭვრეტელმა გერმანიამ ადამიანი განსაზღვრა როგორც აზროვნება, მეცნიერება მიზნად აღიარა და ზნეობრივი თავისუფლება გაიგო როგორც მხოლოდ შინაგანი საწყისი. გერმანიას არასდროს არ ჰქონდა პრაქტიკული მოღვაწეობის სრულად განვითარებული აზრის შეგნება; აზოგადებდა რა ყოველ საკითხს, იგი ცხოვრებიდან გადადიოდა განყენებულ სფეროში და ამთავრებდა მით, რომ საკითხებს ცალმხრივად წყვეტდა. საკონაროლა [73], მიჰყვა რჯ რომანული ხალხების ცხოვრების ინსტინქტს, პოლიტიკური პარტიის მეთაური გახდა **. გერმანელმა რეფორმატორებმა, რომლებმაც ნახევარ გერმანიაში მოსპეს კათოლიციზმი, თეოლოგიისა და სქოლასტიკური კამათის სფეროს თავი ვერ დააღწიეს, საფრანგეთის ახალი ისტორიის ფაზებს გერმანიაში იმეორებდნენ მეცნიერებისა და ნაწილობრივ ხელოვნების დარგში. გერმანულ სამყაროს საწინააღმდეგო მიმართულებაც აქვს თვით თავის თავში, ისევე განყენებული და ცალმხრივი. ინგლისი დაჯილდოებულია ცხოვრებისა და მოღვაწეობის უდიდესი აზრით, მაგრამ მისი ყოველი მოქმედება არის კერძო; საერთო-საკაცობრიო

---

* ამ გამოთქმებზე გაიცინებენ ჩვენი ხუმარები; ნუ ვიქნებით ასე მხდალნი,—დაე გაიცინონ ხუმარებმა, სწორედ ამიტომ არიან ისინი ხუმარები [71]. სიცილი მათვის ჯილდოა იმის ასანაზღაურებლად, რომ არაფერი გაეგებათ; კაცთმოყვარეობის გულისათვის უნდა დავუთმოთ მათ ასეთი იაფი რევანში. — ა. გ.

** «რომანულ ხალხებს გერმანელებზე უფრო მკვეთრი ხასიათი აქვთ; ისინი თავიანთ გარკვეულ მიზნებს მეტისმეტი სიმტკიცით, მოფიქრებულობით და მოხერხებულობით ასრულებენ». «Philosophie der Geschichte» p. 422, Tome IX. — ა. გ. [72].

ბრიტანელისათვის იქცევა ნაციონალურად; ყოველ-მომცველი საკითხი იქ ადგილობრივი საკითხი ხდება. ინგლისი ზღვით არის გამიჯნული კაცობრიობისაგან და იგი, ამაყი თავისი კარჩაკეტილობით, გულს არ უხსნის მატერიკის ინტერესებს. ბრიტანელი არასდროს ხელს არ იღებს თავის პიროვნებაზე; მან იცის თავისი უდიდესი დამსახურება, იცის ის ხელშეუვალი სიდიადე, პატივისცემის ის შარავანდედი, რითაც მან შემოსა სწორედ პიროვნების იდეა. იტალიის მიძინებულ ხალხებს და ასპარეზზე ახლად გამომავალ ესპანელებს, არ განუცხადებიათ არავითარი უფლება იმ სარბიელზე, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ.

რჩება ორი ხალხი, რომელთაც უნებლიეთ ვაპყრობთ თვალს, — ერთი მხრით, საფრანგეთი — ყველაზე ბედნიერად მდებარე, იმ ევროპული სამყაროს მიმართ, რომელიც მასში იყრის თავს, — საფრანგეთი, რომანტიზმის კიდეს რომ ეყრდნობა და გერმანიზმის ყველა სახეობას ეხება, დაწყებული ინგლისიდან, ბელგიიდან და გათავებული რაინის ახლომდებარე ქვეყნებით; თვითონ რომანულ-გერმანული საფრანგეთი თითქოს მოწოდებულია იმისათვის, რომ შეარიგოს ხმელთაშუა ზღვის ხალხების განყენებული პრაქტიკულობა რაინისგაღმელ განყენებულ გონებითმკვრეტელობასთან, მზიური იტალიის პოეტური განცხრომა — ნისლოვანი კუნძულის ინდუსტრიულ ფუსფუსთან. აქამდე საფრანგეთსა და გერმანიას სრულიად არ გაეგებოდათ ერთიმეორე; სხვადასხვა რამ აღელვებდათ, სხვადასხვა რამ იზიდავდა მათ, ერთი და იგივე საგნები სხვადასხვა ენით გამოითქმოდა; სულ ახლახან გაიგეს მათ ერთმანეთი: ისინი ერთმანეთს გააცნო ნაპოლეონმა და იმის შემდეგ, როდესაც ისინი ერთმანეთს ეწვივნენ, როდესაც თოფის წამლის კვამლის გაქრობასთან ერთად მინელდა ვნებათაღელვანი, მათ მოწიწებით მისცეს სალამი ერთმანეთს და ცნეს ერთმანეთი, მაგრამ ჭეშმარიტი ერთობა არ არის. გერმანიის მეცნიერება ჯიუტად დგას და არ აპირებს რაინის გადაცურვას; ფრანგის სწრაფი გონება წინ უსწრებს დიალექტიკურ განვითარებას, შუაგულიდან

ამოგლეჯს რომელიმე აზრს და ეშურება მის განხორციელებას. მომავალმა უნდა გადაწყვიტოს: რამდენად შეუძლია საფრანგეთს იყოს მეცნიერებისა და ცხოვრების შერიგების ორგანო; თუმცა შეცდომა არ უნდა დავუშვათ და, საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული დაპირისპირება ძალიან მკვეთრად არ უნდა მივიჩნიოთ; ეს დაპირისპირება ხშირად სრულიად გარეგნულია. საფრანგეთი თავის გზით მივიდა იმ დასკვნებამდე, რომლებიც ძლიერ ახლოსაა გერმანული მეცნიერების დასკვნებთან, მაგრამ საფრანგეთს არ ეხერხება მათი გადატანა მეცნიერების საყოველთაო ენაზე ისე, როგორც გერმანიას არ ეხერხება ცხოვრების ენით გაიმეოროს ლოგიკა. და, გარდა ამისა, გერმანული მეცნიერება ოდითგანვე იყენებდა საფრანგეთს. დეკარტზე რომ არაფერი ვთქვათ, ენციკლოპედისტების გავლენა ძალიან ძლიერი იყო; გერმანული მეცნიერება ვერასდროს ვერ მიაღწევდა თავის სიმწიფეს, ხელთ რომ არ ჰქონოდა ის ფაქტიური სიუხვე, რაც ყველა დარგში დამუშავებული იყო საფრანგეთში. მეორე მხრივ, შესაძლოა, აქ გაიხსნება ჩვენი დიადი მოწოდება, რომ ჩვენი ჩრდილოეთური უზალთუნი ჩავაგდოთ საკაცობრიო შეგნების საგანძურში. შესაძლოა, ჩვენ, რომლებმაც ცოტა ვიცხოვრეთ წარსულში, ვიქნებით მეცნიერებისა და ცხოვრების, სიტყვისა და საქმის ნამდვილი ერთიანობის წარმომადგენლები. ისტორიაში დაგვიანებით მოსულებს კურკები კი არ ერგებათ, არამედ მწიფე ნაყოფი. მართლაც, ჩვენს ხასიათში არის რაღაც ისეთი, რაც ფრანგების საუკეთესო მხარეს აერთიანებს გერმანელების საუკეთესო მხარესთან, ჩვენ გაცილებით უკეთ შეგვწევს მეცნიერული აზროვნების უნარი, ვიდრე ფრანგებს, და ჩვენთვის გადაჭრით შეუძლებელია გერმანელთა მეშჩანურ-ფილისტერული ცხოვრება; ჩვენში არის რაღაც gentlemanlike*, რაც სწორედ არა აქვთ გერმანელებს, და ჩვენს შუბლზე მოჩანს დიდებული კვალი აზრისა, რაც როგორღაც თავმოყრილად არ არის აღბეჭდილი ფრანგის შუბლზე.

---

* ჯენტლმენობის მსგავსი (ინგლ.). — რ ე დ.

მაგრამ ნუ შევიპრებით მომავალში და დავბრუნდეთ უკან. გერმანიის ფილოსოფოსებმა როგორღაც განსჭვრიტეს, რომ ადამიანის მიზანია მოქმედება და არა მეცნიერება. ხშირად ეს იყო გენიალური წინასწარმეტყველური არათანმიმდევრობა, რაც ძალად იჭრებოდა გულცივ და მკაცრ ლოგიკურ სისტემებში. თვით ჰეგელმა უფრო მიუთითა, ვიდრე განავითარა აზრი მოქმედებაზე. ეს მისი ეპოქის საქმე არ იყო, — ეს იყო საქმე იმ ეპოქისა, რომელიც მან წარმოშვა. ჰეგელი, გადაგვიშლის რა სულის სფეროს, ლაპარაკობს ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე და ივიწყებს პრაქტიკულ საქმიანობას, რაც ჩაქსოვილია ისტორიის ყველა მოვლენაში. მაგრამ გერმანიის რამდენიმე მოაზროვნე, რომელთა დამამთავრებელი მწვერვალი ჰეგელია, ნამდვილ ფორმალისტებს არ უნდა გავუთანაბროთ. მათ არ ჰქონდათ სხვა მოთხოვნილება, გარდა ცოდნის მოთხოვნილებისა, მაგრამ ეს მოთხოვნა დროული იყო; მათ მუყაითად დაამუშავეს კაცობრიობისათვის მეცნიერების გზა; მათთვის შერიგება მეცნიერებაში ჯილდო იყო; მათ თავისი ისტორიული ადგილის მიხედვით ჰქონდათ იმის უფლება, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ საყოველთაოში. ისინი მოწოდებულნი იყვნენ დაემოწმებინათ ქვეყნისათვის აღსრულების პროცესში ზეყოფი თვითშემეცნება და ეჩვენებინათ გზა მისკენ: ამაში მდგომარეობდა მათი ღვაწლი, ჩვენ სრულიადაც არა ვართ იმ მდგომარეობაში: ჩვენთვის ცხოვრება განყენებულ-ზოგადობის სფეროში — უდროვოა, პირადი ჟინია. ყოველი აღმავალი სფერო იჩემებს განსაკუთრებული ბატონობის უფლებას და უცილობელ მნიშვნელობას: ამის რწმენა წარმატების უმთავრესი პირობაა; მაგრამ შემდგომი განვითარება დროში აუცილებლად გადადის მოჩვენებითს-უცილობელ სფეროში, და გადასვლის ეს აუცილებლობა გაცილებით მეტი სამართლიანობით შეიძლება გვეჩვენოს უცილობელი. ჰეგელმა ფრიად ღრმააზროვნად თქვა: «შეცნობა იმისა, რაც არის — ფილოსოფიის ამოცანაა, რადგან ის რაც არის — გონებაა. როგორც ყოველი პიროვნება თავის დროის ნაწარმოებია, ისე ფილოსოფიაც არის აზრებში ათვისებული ეპოქა;

სისულელეა იმის წარმოდგენა, რომ თითქოს რომელიმე ფილოსოფია თავისი თანამედროვე სამყაროს საზღვრებს სცილდებოდა» *. რეფორმაციული სამყაროს ამოცანა იყო შეეცნო, მაგრამ შეცნობით არ იზღუდება ნებისყოფა. ფილოსოფოსებს დაავიწყდათ დადებითი საქმიანობა. ამაში არ იყო უბედურება. პრაქტიკული სფეროები სრულიადაც არ არიან უენონი; მათ აღიმაღლეს ხმა, როდესაც დრო დადგა. ეს დრო კი მალე დადგა: ახლა კაცობრიობა თითქოს რკინიგზით მიჰქროდეს წინ. წლები — საუკუნეებია. ათი წელი ძლივს გავიდა ხელოვნებისა და მეცნიერების უდიდესი წარმომადგენლების — გოეთესა და ჰეგელის სიკვდილის შემდეგ, რომ თვით შელინგმა[76], ახალი მიმართულებით გატაცებულმა, სულ სხვა მოთხოვნების წამოყენება იწყო, ვიდრე ის მოთხოვნები იყო, რომლებითაც იგი პირველად გამოჩნდა და შეუდგა მეცნიერების ქადაგებას XIX საუკუნის დამდეგს. შელინგის რენეგატობა ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვანი და მრავალისმეტყველი მოვლენაა. შელინგი უფრო მეტად პოეტურ ქვრეტას ფლობს, ვიდრე დიალექტიკას, და სწორედ, როგორც Vates **, იგი შეშინდა საყოველთაობის ოკეანით, რომელიც გონებრივი მოღვაწეობის მთელ მდინარებას შთანთქმას უქადდა; იგი ვერ შეეწყო თავისი საწყისების შედეგებს, აბიტომ უკან დაიხია და თანამედროვეობიდან გავიდა, მიუთითა რა მტკივნეულ ადგილზე. მთელს გერმანულ ატმოსფეროში ცხოვრებისა და მეცნიერების შესახებ ახალი საკითხები ტრიალებენ,—ეს თვალნათლივი ფაქტია ჟურნალისტიკაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, წიგნებში. მეცნიერებაში დავიწყებულმა პიროვნებამ მოითხოვა თავისი უფლებები, მოითხოვა ენებებით მთრთოლვარე ცხოვრება, რომელიც მხოლოდ შემოქმედებითი და თავისუფალი საქმიანობით კმაყოფილდება. აზროვნების სფეროში მომხდარი უარყოფის შემ-

---

* «Philosophie des Rechts», Vorrede. კურსივით დაბეჭდილი ხაზგასმულია ტექსტში.— ა. გ. «სამართლის ფილოსოფია», წინასიტყვაობა (გერმ).— რ ე დ.

** წინასწარმეტყველი, განმმარტებელი (ლათინ.). — რ ე დ.

დეგ, პიროვნებამ მოისურვა უარყოფა სხვა სფეროებში: პიროვნების აუცილებლობა გამომზეურდა. ადამიანი მოითხოვს პიროვნებას, ხოლო მეცნიერება, რომელმაც ყველაფერი წაიღო, ცნობს ამ უფლებას; იგი პირადულს არ აკავებს, იგი გზას ულოცავს მას ცხოვრებაში, თავისუფალი მოქმედების ცხოვრებაში — აბსოლუტური უპიროვნობის გულისათვის.

დიახ, მეცნიერება არის უპიროვნობის სამეფო, დამშვიდებული ვნებათაგან, მოსვენებული უდიდეს თვითშემეცნებაში, გაცისკროვნებული გონების ყოვლისგამსჭვალავი შუქით, — იდეათა სამეფო, არა მკვდარი; არა გაყინული, როგორც ცხედარი, არამედ მშვიდი თვით თავის მოძრაობაში, როგორც ოკეანე. მეცნიერებაში არის კრებული ოლიმპელთა და არა ადამიანები; არის მატერები[77], რომლებთანაც დადიოდა ფაუსტი. მეცნიერებაში ჭეშმარიტება გახვეულია არა ნივთიერ სხეულში, არამედ ლოგიკურ ორგანიზმში და იგი ცოცხალია დიალექტიკური განვითარების არქიტექტონიკით და არა დროებითი ყოფიერების ეპოპეით; მასში კანონი — აზრია, ამოხეთქილი და გადარჩენილი არსებობის ქარიშხალთაგან, გარეგანთა და შემთხვევითთა აღშფოთებებისაგან; მასში გაისმის ციურ სფეროთა სიმფონია და მის ყოველ ბგერას თავის თავში აქვს მარადისობა, იმიტომ რომ მასში იყო აუცილებლობა, იმიტომ რომ დროებითის შემთხვევითი კვნესა ასე მაღლა ვერ ადის. ჩვენ ვეთანხმებით ფორმალისტებს: მეცნიერება ცხოვრებაზე მაღალია, მაგრამ ეს სიმაღლე მოწმობს მის ცალმხრიობას; კონკრეტულად ჭეშმარიტი არ შეიძლება იყოს ცხოვრებაზე მაღალი ან დაბალი, ის უნდა იყოს თვით მის შუაგულში, როგორც გული ორგანიზმის შუაგულში. იმის გამო, რომ მეცნიერება ცხოვრებაზე მაღალია, მისი სფერო განყენებულია, მისი სავსეობა სავსე არ არის. ცოცხალი მთლიანობა შედგება არა ზოგადობისაგან, რომელმაც მოხსნა კერძო, არამედ ზოგადისა და კერძოსაგან, რომლებიც ურთიერთისაკენ მიისწრაფვიან და ერთმანეთს სწყდებიან; მთლიანობა არ არის არც ერთ მომენტში, რადგან ყველა მომენტი მთლიანობისაა; რა-

თვითმყოფი და ამომწურავიც უნდა გვეჩვენებოდეს ზოგიერთი განსაზღვრება, ისინი მაინც დნებიან ცხოვრების ცეცხლისაგან და, კარგავენ რა თავის ცალმხრიობას, ერთვიან ფართო, ყოვლისშთანმთქავ მდინარეს... გონებამ არსებული გაარკვია თავისთვის მეცნიერებაში, ანგარიში გაუსწორა წარსულსა და აწმყოს, — მაგრამ მომავალი უნდა განხორციელდეს არა მარტო საყოველთაობის სფეროში. სიმართლე რომ ვთქვათ, საყოველთაობაში მომავალი არც არის, იმიტომ რომ იგი წინასწარ გაგებულია როგორც გარდუვალი ლოგიკური შედეგი, მაგრამ ასეთი განხორციელება ღარიბია თავისი განყენებულობით; აზრმა ხორცი უნდა შეისხას, იგი უნდა ჩამოვიდეს ცხოვრების ორომტრიალში, გაიშალოს დროული ყოფიერების მთელი შვენებითა და სილამაზით, ურომლისოდაც არ არის ცოცხალი, მგზნებარე და წარმტაცი მოქმედება.

Warum bin ich vergänglich, o Zeus? so fragte die Schönheit,
Macht'ich doch, sagte der Gott, nur das Vergängliche schön.
Goethe *.

მეცნიერებამ შეიცნო არა მარტო საკუთარი არსებობის კანონიერება, არამედ მან თავის თავიც შეიცნო სამყაროს კანონად; გადათარგმნა რა სამყაროს აზრი, მეცნიერებამ ზურგი შეაქცია მას როგორც არსებულს. გააქარწყლა იგი თავისი უარყოფით, რომლის სუნთქვის წინააღმდეგ უძლურია ყოველივე ფაქტიური. მეცნიერება ანგრევს დადებით-არსებულის სფეროში და ქმნის ლოგიკის სფეროში, — ასეთია მისი მოწოდება. მაგრამ ადამიანი მოწოდებულია არა მარტო ლოგიკისათვის, არამედ აგრეთვე სოციალურ-ისტორიული, ზნეობრივ-თავისუფალი და დადებით-ქმედითი ქვეყნისათვის; ადამიანს აქვს არა მარტო უარმყოფელი გაგების ნიჭი, არამედ აქვს ნებისყოფაც, რასაც შეიძლება ეუწოდოთ დადებითი გონება, შეჰოქმედი გონება; ადამიანს არ შეუძ-

* რადა ვარ, ზევსო, მე წარმავალი? — ეკითხებოდა ზევსს სილამაზე. — მე მშვენიერად მხოლოდ წარმავალი შევქმენი, — ეტყოდა ღმერთი. — გ ო ე თ ე

ლია უარი თქვას იმ ადამიანურ მოქმედებაში მონაწილეობაზე, რაც მის ირგვლივ ხდება; იგი უნდა მოქმედებდეს თავის ადგილას, თავის დროს, — ამაშია მისი მსოფლიო მოწოდება. ეს მისი conditio sine qua non. პიროვნება, რომელიც გამოდის მეცნიერებიდან, აღარ ეკუთვნის არც მხოლოდ პირად ცხოვრებას და არც მხოლოდ ზოგადობის სფეროს; მასში შეხამებულია კერძო და საერთო სამოქალაქო პირის ერთადობაში. მეცნიერებაში შერიგებულს ცხოვრებაში შერიგება სწყურია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ზნეობრივი ნებისყოფის შემოქმედებითი გაქმედიანება ყველა პრაქტიკულ სფეროში.

ბუდისტების დანაშაული იმაშია, რომ ისინი არ გრძნობენ ცხოვრებაში ამ გამოსვლის — იდეიის ნამდვილი განხორციელების მოთხოვნილებას. მეცნიერების შერიგებას ისინი თვლიან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ შერიგებად, არა მოქმედების საბაბად, არამედ შესრულებულ და ჩაკეტილ კმაყოფილებად. იქ კი — წიგნის ყდას იქით ყველაფერი წყალსა და მეწყერს წაუღია. ისინი ყველაფერს აიტანენ ზოგადობის სიცარიელის გულისათვის. ინდოელი ბუდისტები ცდილობენ ყ ო ფ ი ერ ე ბ ი ს ფ ა ს ა დ იყიდონ თავისუფლება ბუდაში. ბუდა მათთვის სწორედ განყენებული უსასრულობაა, არარაობაა. მეცნიერებამ ადამიანს სამყარო დაუმორჩილა, უფრო მეტად დაუმორჩილა ისტორია, მაგრამ არა იმისათვის, რომ ადამიანს შეეძლოს დასვენება. თავის განყენებულობაში შეჩერებულ ზოგადობას ყოველთვის მივყევართ მოღვაწეობის ძილისეული მოსპობისაკენ. — ასეთია ინდური კვიეტიზმი [78]. მოვლენათა გრანიტის სამყაროს უარყოფის ცეცხლოვანი შადრევანი სცემს, და მას ძალა არ შესწევს წინაღუდგეს ამ შადრევანს და გამდნარ ნიაღვრად ეშვება მეცნიერების ოკეანეში. მაგრამ ადამიანმა უნდა გადასცუროს ოკეანე იმისათვის, რომ კვლავ დაიწყოს მოქმედება სხვა ქვეყანაში, აღთქმულ ატლანტიდაში [79]. დაიწყოს არა ინსტინქტით, არა გარეშე წაბიძგებებით, არა მჭუნვარე ბორგვით, არა ბუნდოვანი წინაგრძობით, არამედ სრული ზნეობრივი თა-

ვისუფლებით. ადამიანს არ შეუძლია შეურიგდეს, სანამ ყოველივე გარშემო არსებული მასთან არაა შეთანხმებული. ფორმალისტები იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ზღვაში შეცურეს, მის ზედაპირზე ქანაობენ, არსაით არ მიცურავენ და იმით ამთავრებენ, რომ ყოველი მხრიდან ყინული ედებათ და ამას ვერ ამჩნევენ; გარეგნულად ეს მათთვის იგივე გამჭვირვალე და მოძრაობაში მყოფი ტალღებია, მაგრამ ნამდვილად ეს ყინულია, რასაც მოძრაობის მოხაზულობა მოუპარავს. ცოცხალი ნაკადი ჩაკვდა, სტალაქტიტად იქცა, ყველაფერი გაიყინა. ფორმალისტებმა თვითონაც ყინულის ხასიათი მიიღეს და მეცნიერებას საშინელი ზიანი მიაყენეს მით, რომ მისი ენით ლაპარაკობენ და თავიანთ ულმობელ განაჩენებს გამოთქვამენ, რომლებშიც იგრძნობა პოლარული სუსხი; მათი სიტყვის მთელი ბრწყინვალება ყინულის ბრწყინვალებაა, წყლიანი, მკვდარი, რაზედაც მზის სხივი ციალებს, მაგრამ არ ათბობს, რაც მოსპობას ამჯობინებს სითბოს მიღებას. მსმენელები შეძრწუნდნენ, როდესაც შენიშნეს, რომ სიყვარული არ გააჩნიათ ფორმალიზმის ბერლინელი და სხვა კორიფეების — ახალი მეცნიერების ამ თალმუდისტების უდიდეს ნაწილს. მათ მარტო ანბანი, მარტო სიტყვები აიღეს და მით ჩაახშვეს ყოველგვარი გულშემატკივრობა, ყოველგვარი თბილი თანაგრძნობა. ისინი განზრახ, ძალ-ღონის დაძაბვით ავიდნენ ყოველივე ადამიანურისადმი გულგრილი დამოკიდებულების წერტილამდე და ამ წერტილს ისინი ჰეშმარიტ სიმაღლედ თვლიან: მათ ყოველთვის არ უნდა დავუჯეროთ, რომ თითქოს ისინი უგულონი არიან, — ისინი ხშირად თავს გვიჩვენებენ ასეთ ადამიანებად (ახალი სახის captatio benevolentiae *). ფორმალურ გადაწყვეტას ისინი ყოველთვის და ყველგან ნამდვილ გადაწყვეტად თვლიან. მათ ეგონათ, რომ პიროვნება — ცუდი ჩვეულებაა, რასაც დროა თავი დავანებოთ; ისინი ქადაგებდნენ შერიგებას თანამედროვე ცხოვრების ყველა ბნელ

* პირმოთნეობა, მლიქვნელობა (ლათ.). — რ ე დ.

მხარესთან, უწოდებდნენ რა ყოველივე შემთხვევითს, ყოველ-
დღიურს, დრომოჭმულს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც
ქუჩაში შეგხვდებათ, ნამდვილს და, მაშასადამე, ისეთს,
რასაც აქვს უფლება აღიარებულ იქნას. ასე გაიგეს მათ
უდიდესი აზრი, «რომ ყოველი ნამდვილი გონივრულია».
ისინი ყოველგვარ კეთილშობილ მისწრაფებას ნათლავდნენ
Schönseeligkeit -ად*, რადგან მათ ვერ შეითვისეს ის აზრი,
რომელსაც სდებდა ამ სიტყვაში მათი მასწავლებელი **. ამ
შედეგებს თუ მივუმატებთ მაღალფარდოვან და სულელურ
ენას, შეზღუდულობის ქედმაღლობას, მაშინ სამართლიანად
პატივი უნდა ვცეთ საზოგადოების სწორ ტაქტს, რომელიც
უნდობლად უყურებს მეცნიერების ამ მანჭიებს. ჰეგელი, სადაც
კი შეეძლო, ითხოვდა, იხვეწებოდა, ფორმალიზმის გეშინოდე-
თო ***, ამტკიცებდა, თვით უაღრესად ჭეშმარიტი განსაზღვრა
უკიდურესობამდე მიყვანილი და სიტყვასიტყვით გაგებული
უბედურებამდე მიგვიყვანსო, ბოლოს, წყრებოდა კიდეც,
მაგრამ მაინც საქმეს არაფერი შველოდა, მათ სწორედ ჰე-
გელის ფრაზები გაცვითეს მეტისმეტად, სწორედ ჰეგელი
გაიგეს მათ ანბანურად. მათ არ შეუძლიათ შეეჩვიონ ჭეშ-
მარიტების მარადიულ მოძრაობას, არ შეუძლიათ ერთხელ
და სამუდამოდ აღიარონ, რომ ყოველი დებულების უარყო-
ფა ხდება უფრო მაღალის სასარგებლოდ და რომ მხოლოდ
ამ დებულებათა მემკვიდრეობით თანმიმდევრობაში, მათს
ბრძოლაში და მათს მოხსნაში მიიკვლევს გზას ცოცხალი
ჭეშმარიტება, რომ ყოველივე ეს ჭეშმარიტების გველის
პერანგია, რომელსაც ის იცვლის და სულ უფრო და უფ-
რო თავისუფალი გამოდის. მათ (მიუხედავად იმისა,

---

* სულმშვენიერობად (გერმან.). — რ ე დ.

** «არის უფრო სრული სამყარო სინამდვილით, სამყარო, რომელ-
საც გვაწვდის სინამდვილის შემეცნება, ვიდრე სასოწარკვეთილი შეგნება
იმისა, რომ დროებითი ცუდია და არადამაკმაყოფილებელი, მაგრამ საჭი-
როა მასთან შერიგება, რადგან იგი არ შეიძლება უკეთესი იყოს». «Philosophie des Rechts». — ა. გ.

*** მაგალითად, «ფენომენოლოგიის» მთელ წინასიტყვაობაში. — ა. გ.

რომ რაღაც ამის მსგავსზე ლაპარაკობენ) არ შეუძლიათ შეეჩვიონ იმას, რომ მეცნიერების განვითარებაში დასაყრდენი არაფერია, რომ ხსნა მხოლოდ სწრაფ და გაქანებულ მოძრაობაშია. ისინი ებღაუჭებიან ყოველ მომენტს, როგორც ჭეშმარიტებას; რომელიმე ცალმხრივ განსაზღვრას საგნის მთელ განსაზღვრად მიიჩნევენ; მათ ესაჭიროებათ სენტენციები, მზამზარეული წესები; სადგურამდე რომ მიაღწევენ, ისინი, სასაცილო მიმნდობელნი, ყოველთვის ფიქრობენ, რომ აბსოლუტურ მიზანს მიაღწიეს, და დასასვენებლად ეწყობიან. ისინი ზუსტად მისდევენ ტექსტს და ამიტომ არ შეუძლიათ შეითვისონ ის. იმის გაგება, რაც თქმულა და რაც დაწერილა, ცოტაა: საჭიროა გაიგოთ ის, რაც თვალებში კრთის, რაც სტრიქონებს შორის სუფევს; საჭიროა ისე შეითვისოთ წიგნი, რომ გასცილდეთ მის ფარგლებს. ასე გაეგება მეცნიერება მას, ვინც ცოცხლობს; გაგება წინა არსებული ერთგვარობის გამომჟღავნებაა. მეცნიერება ცოცხალს ცოცხლად გადაეცემა. ფორმალისტს — ფორმალურად. შეხედეთ ფაუსტს და მის ფამულუსს: ფაუსტისათვის მეცნიერება — «ყოფნა-არყოფნის» სასიცოცხლო საკითხია; მას შეუძლია დაცემა განიცადოს, სასოწარკვეთილებას მიეცეს, შეცდეს, ყოველგვარი განცხრომა ეძიოს, მაგრამ მისი ბუნება მაინც ღრმად იჭრება გარეგნობის ქერქის შიგნით, მისი სიცრუე უფრო მეტ ჭეშმარიტებას შეიცავს, ვიდრე ვაგნერის [80] ბრტყელი და შეუცდომელი სიმართლე. ის, რაც ფაუსტისათვის ძნელია, ვაგნერისათვის ადვილია. ვაგნერს უკვირს, როგორ არ ესმის ფაუსტს უბრალო რამეები. კაცს დიდი ჭკუა უნდა ჰქონდეს, რომ ზოგიერთი რამ ვერ გაიგოს. ვაგნერს მეცნიერება არ აწვალებს, პირიქით, — ანუკეშებს, ამშვიდებს, ჭმუნვას უქარვებს სიხარულით. თავისი სიმშვიდე მან სპილენძის გროშებით იყიდა იმიტომ, რომ, მართალი რომ ვთქვათ, ის არც არასდროს წუხდა. სადაც ის ერთიანობას, შერიგებას, გადაწყვეტას ხედავდა და იღიმებოდა, იქ ფაუსტი გათიშვას, სიძულვილს, გართულებულ საკითხს ხედავდა და იტანჯებოდა.

ყოველი დამწყები გაივლის ფორმალიზმს, ეს ქმნადობის ერთ-ერთი მომენტია,—მაგრამ ცოცხალი სულის მქონე მას გაივლის, ფორმალისტური კი მასში რჩება; ერთისათვის ფორმალიზმი საფეხურია, მეორისათვის — მიზანი. ასე, მაგალითად, ბუნება, მიაღწევს რა თავის სრულყოფას ადამიანში, ჩერდება ყოველ ცდაზე, უკვდავყოფს რა მას გვარით, რომელიც მუდამ მოწმობს განვლილ მომენტს. ეს მომენტი გვარისათვის ყოფიერების უმაღლესი და ერთიანი ფორმაა. მაგრამ არც ბუნებას და არც მეცნიერებას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ისე, თუ არ მივლენ მათ ცნებაში მოთავსებულ უკანასკნელ შედეგებამდე. ბუნება გადასცილდა თავის თავს ადამიანში, ანუ ფეხი დაადგა თავის საკუთარ მკერდს. ახლა მეცნიერება ამავე სანახაობას წარმოადგენს; მან თავის უმაღლეს მოწოდებას მიაღწია; იგი გახდა ყოვლისმანათობელი მზე, ფაქტის გონება და, მაშასადამე, ფაქტის გამართლება. მაგრამ იგი არ შეჩერდა, არ ჩამოჯდა დასასვენებლად თავისი სიდიადის ტახტზე, ის გასცდა თავის უმაღლეს წერტილს და მიუთითებს თავის თავისგან გამომავალ გზას პრაქტიკულ ცხოვრებაში, რადგან შეგნებული აქვს, რომ მეცნიერებაში მთელი ადამიანური სული არ არის ამოწურული, თუმცა მთლიანად გაგებულია. ცხოვრებაში ამ ჩაძირვით მეცნიერება არ დაკარგავს თავის ტახტს; ამ სფეროებში ერთხელ დამარცხებული სამუდამოდ დამარცხებულია; მაგრამ ადამიანიც არ დაკარგავს მეცნიერებაში ცხოვრების დანარჩენ სავანეებს. მართლმორწმუნე ბუდისტები თვით მეცნიერებაზე მეტად არიან მეცნიერების მომხრე: მათ გადაწყვიტეს მოკვდნენ, მაგრამ დაიცვან მეცნიერების ერთმპყრობელური ბატონობა ცხოვრებაზე. «მეცნიერება არის მეცნიერება, და მისი ერთადერთი გზა აბსტრაქციაა» — ეს არის მათი ყურანის ტაეპი [81]. ისინი ყველაფერს მყვირალა სიტყვებით პასუხობენ, და ნაცვლად იმისა, რომ მართლაც ამოავსონ ის უფსკრული, რაც აბსტრაქციულ სფეროებს სინამდვილის სფეროებისაგან ყოფს, ამოავსონ წინააღმდეგობა ცხოვრებასა და აზროვნებაში,— ამ უფსკრულსა და წინააღმ-

დეგობას ფარავენ ხელოვნური დიალექტიკური ღვლარჭნილობის მსუბუქი ქსოვილით. ყოველივე არსებულის მოთავსება ფორმალიზმის სარეცელზე ძნელი არ არის მისთვის, ვინც არსებულის არავითარ პროტესტს ყურს არ უგდებს. პროფანებს ზოგჯერ უკვირთ, თუ თვით უცნაური ფაქტები და არაჩვეულებრივი მოვლენებიც კი როგორ ემორჩილებიან საერთო კანონებს ფორმალისტების ხელში. უკვირთ და ამავე დროს გრძნობენ, რომ აქ რაღაც ოინი — გასაოცარი ოინია გაკეთებული. მაგრამ ეს ოინი მისთვის არის უსიამოვნო, ვინც კეთილსინდისიერ და საქმიან პასუხს ეძებს. ფორმალისტების გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ისინი თავისი ოინებით პირველყოვლისა თავის თავს ატყუებენ. ვოლტერი მოგვითხრობს, თუ როგორ არწმუნებდა ექიმი თვალხილულს, რომ ის ბრმა არის, და უმტკიცებდა, რომ მისი თვალხილულობის არაგონივრული ფაქტი ოდნავადაც არ ეწინააღმდეგება მის, ექიმის, დასკვნას და, რომ იგი მას მაინც ბრმად თვლის. ასე ელაპარაკებოდნენ ახალი ბუდისტები გერმანელებს იქამდე, სანამ გერმანელები, მიუხედავად თავიანთი მშვიდი და კეთილი ბუნებისა, მიხვდებოდნენ, თუ რაშია საქმე. საქმე კი იმაშია, რომ ფაქტები მათ სრულიადაც არ ემორჩილებიან. ისინი, როგორც ჩინეთის იმპერატორი, თავის თავს მთელი დედამიწის მპყრობელებად თვლიან, მაგრამ ეს მთელ დედამიწას, ჩინეთის გამოკლებით, ხელს არ უშლის იმაში, რომ სრულიადაც არ იყოს დამოკიდებული ჩინეთის იმპერატორზე.

დილეტანტებს, რომლებიც მეცნიერების გარეშე იმყოფებიან, შეუძლიათ ზოგჯერ გონს მოვიდნენ და მართლაც მოჰკიდონ ხელი მეცნიერებას, ყოველ შემთხვევაში, შეუძლიათ ეჭვი იქონიონ, რომ მათში მოხდება ასეთი გადატრიალება. ამ მხრივ ფორმალისტებზე ეჭვის მიტანა შეუძლებელია: ისინი დაკმაყოფილდნენ, დამშვიდებული არიან, ამას იქით წასვლა აღარ შეუძლიათ; მათ არ იციან და არც შეუძლიათ წარმოიდგინონ, რა არის ამას იქით წასვლა. მათი განუკურნებლად უიმედო მდგომარეობა ამ მეტისმეტ კმაყოფილებაშია; ისინი ყველაფერს შეურიგდნენ; მათი თვალები

სიმშვიდეს გამოხატავენ, რამდენადმე შუშისებურ სიმშვიდეს, მაგრამ ისეთს, რასაც შიგნიდან აღელვება არ მოელის; მათ ისლა დარჩათ, რომ მხართეძოზე წამოწვნენ და განცხრომას მიეცნენ, სხვა ყველაფერი გაკეთებულია ან თავისთავად გაკეთდება. მათთვის გასაკვირია, რისთვის ფუსფუსებენ და იღწვიან ადამიანები, როდესაც ყველაფერი ახსნილი და შემეცნებული არის და კაცობრიობამ მიაღწია ყოფიერების **ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ** ფორმას *, რაც ცხადად არის დამტკიცებული მით, რომ თანამედროვე ფილოსოფია არის აბსოლუტური ფილოსოფია, ხოლო მეცნიერება ყოველთვის წარმოადგენს ეპოქის იგივეობას, მაგრამ როგორც ეპოქის შედეგი, ე. ი. ყოფიერებაში შესრულების შემდეგ, მათთვის ასეთი დამტკიცება ურყევია. ფაქტებით მათ ვერ შეაშფოთებთ — ისინი უგულებელყოფენ ფაქტებს. შეეკითხეთ მათ, რატომ არის რომ ყოფიერების ამ აბსოლუტური ფორმის დროს მანჩესტერსა და ბირმინგჰემში მუშები შიმშილით იხოცებიან ან იმდენად იკვებებიან, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ ძალა არ დაკარგონ. ისინი იტყვიან, რომ ეს შემთხვევითობაა. კითხეთ მათ, როგორ აკერებენ სიტყვა აბსოლუტურს განვითარებაში მყოფ მოვლენებს, იმ სფეროებს, რომლებიც თავიანთი წინმიმავალი მოძრაობით ამტკიცებენ თავიანთ არაა-აბსოლუტურობას. «დიახ, ასეა ნათქვამი ამა და ამ პარაგრაფში». მათთვის ესეც დამამტკიცებელი საბუთია, ხოლო რა აზრით არის ნახმარი სიტყვა ამ პარაგრაფებში, ამაზე თავს არ იწუხებენ. ფორმალისტების თვალის ახელა ძნელია; ისინი, როგორც ბუდისტები, უსასრულობაში მოსპობას გადაჭრით თვლიან თავისუფლებად და მიზნად, და რაც უფრო მაღლა ადიან განყენებულობათა გაყინულ სფეროებში და სწყდებიან ყოველივე ცოცხალს, მით უფრო მშვიდად გრძნობენ თავს. ასე, ეგოისტები ერთგვარ მშვიდ ბედნიერებას ანიჭებენ თავიანთ თავს მით, რომ თავის გულში ყველა ადამიანურ

* ეს მოკრძალებული ამბავი როდია, იგი ნათქვამია ბაიერჰოფერის «ფილოსოფიის ისტორიაში». («Die Idee und Geschichte der Philosophie» von Bayerhoffer, Leipzig 1838. უკანასკნელი თავი). — ა. გ.

გრძნობას ახშობენ, თავიდან იშორებენ ყოველივე უსიამოვნოსა და საწყენს, მაგრამ ეგოიზმისათვის, ისე როგორც ფორმალიზმისათვის, კაცი უნდა დაიბადოს. ყველას შეუძლია პირი აარიდოს ტანჯვის სურათებს, მაგრამ ყველა ვერ შეწყვეტს გმინვას ამის გამო. აი რას ამბობს ფორმალიზმზე ჰეგელი*, რომლის ფირმით საღდება ჩვენი დროის ფორმალისტების ყველა სისულელე, ისე როგორც ფარინის ფირმის სახელით იყიდება ყველა ოდეკოლონი, რომელიც კი მზადდება ჩვენი პლანეტის ყველა ადგილას: «დღეს მთავარი სიძნელე მდგომარეობს არა იმაში, რომ პიროვნება გაწმენდილ იქნას გრძნობადი უშუალობისაგან და განვითარებულ იქნას იგი მოაზროვნე არსებად, არამედ უფრო საწინააღმდეგო რამეში, იმაში, რომ საყოველთაო გაქმედიანებულ იქნას გაქვავებული და განსაზღვრული აზრების მოხსნის გზით. მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია დენადი გახადოთ გაქვავებული აზრები, ვიდრე გრძნობადი საგნობრიობა. ფორმალიზმი განყენებულ საყოველთაობას მიიჩნევს უცილობელად; იგი გვარწმუნებს, რომ განყენებული საყოველთაობით დაუკმაყოფილებლობა ამტკიცებს უცილობელ თვალსაზრისამდე ამაღლებისა და მის სიმაღლეზე გაჩერების უუნარობას. იგი ყველაფერს მიაწერს ზოგად იდეას მის უნამდვილო ფორმაში და სპეკულატურობად მიიჩნევს ყველაფრის ჩაგდებასა და ჩაყრას ამ საშინელი სიცარიელის უფსკრულში. რაიმე არსის განხილვა უცილობელში იქამდე მიდის, რომ მასში ყველაფერი ერთგვარია, და, ამრიგად, უცილობელი იქცევა ღამედ, რომელშიც ყველა ძროხა შავია. თუ ოდესღაც ადამიანებს აღმაშფოთებლად მოეჩვენათ უცილობლის მიღება სუბსტანციად, ამ ზიზღის საფუძვლის წილი იმ ინსტინქტუალურ განჭვრეტაშიც იყო, რომ სუბსტანციაში თვითშემეცნება დაკარგულია და არა შენახული; შებრუნებული თვალთახედვა, რომელიც აზროვნებას აჩერებს, როგორც აზროვნებას, როგორც საყოველთაოს, როგორც ასეთს, — კვლავ გულ-

* «Phenomenologie», Vorrede. — ა. ბ.

გრილი, უძრავი სუბსტანციონალობაა. მაშინაც კი, თუ აზროვნება სუბსტანციის ყოფიერებას თავის თავთან აერთებს და უშუალო ჭვრეტას (das Anschauen) სწვდება როგორც აზროვნებას, აქაც ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ხომ არ ვარდება ეს გონებითი მჭვრეტელობა ზარმაც ერთფეროვნებაში და სინამდვილე ხომ არ წარმოდგება უნამდვილობის სახით». სამართლის ფილოსოფიაში ჰეგელი ამბობს: «თვითშემეცნებასა და სინამდვილეს შორის ყველაზე ხშირად დგება განყენებულობა, რომელიც ცნებაში არ განთავისუფლებულა». როდესაც ამასა და ამის მსგავს ადგილებს კითხულობთ განცვიფრებით იკითხავთ, როგორ არის რომ კეთილი ადამიანები მთელ თავიანთ სიცოცხლეში კითხულობენ ჰეგელს. მაგრამ მაინც არ ესმით იგი? კაცი კითხულობს წიგნს, მაგრამ იგებს იმას, რაც მის თავშია. ეს იცოდა ჩინეთის იმ იმპერატორმა, რომელიც მათემატიკას სწავლობდა მისიონერთან და ყოველი გაკვეთილის შემდეგ მადლობას ეუბნებოდა იმისათვის, რომ მან, მასწავლებელმა, მ ო ა გ ო ნ ა დავიწყებული ჭეშმარიტებანი, რომლებიც არ შეიძლებოდა არ ცოდნოდა მას, იმპერატორს, რაკი იგი იყო par métier*, ყოვლისმცოდნე შვილი ზეცისა. მ ა რ თ ლ აც ასეა. კითხულობენ ჰეგელს და მხ ო ლ ოდ იმას ხვდებიან, რასაც იგი მოგაგონებს, ხვდებიან იმას, რაც განუვითარებლად წინ უსწრებდა კითხვას. კაცმა რომ თქვას, წიგნის საქმე ბებია ქალის საქმეა: ხელი შეუწყოს, გაადვილოს მშობიარობა, ხოლო რა დაიბადება, — ამისათვის ბებია ქალი პასუხს არ აგებს.

თუმცა არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს თვითონ ჰეგელი ბევრჯერ არ ვარდებოდა გ ე რ მ ა ნ უ ლ ავადმყოფობაში, რაც მდგომარეობს მსოფლიო ისტორიის უკანასკნელი მიზნის ცოდნაში. მან ეს საკ ადლაც პირდაპირ თქვა**. მესამე წერილში ჩვენ ვთქვით, რომ ჰეგელი ხშირად არათანამიმდევარია

---

* პროფესიით, თანამდებობით (ფრანგ.). — რ ე დ.

** როგორც მახსოვს, «ფილოსოფიის ისტორიაში». — ა. ბ.

თავისი საწყისების მიმართ. არავის შეუძლია დადგეს თავის დროზე მაღლა. ჰეგელის სახით მეცნიერებას ჰყავდა უდიდესი წარმომადგენელი; მიიყვანა რა მეცნიერება უკიდურეს წერტილამდე, მან მის ძლიერებას, როგორც განსაკუთრებულს, — შესაძლოა, უნებურადაც, — მძლავრი ლახვარი ჩასცა, რადგან ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ნაბიჯი პრაქტიკულ სფეროებში. მას პირადად ცოდნა აკმაყოფილებდა, და ამიტომ მან არ გადადგა ეს ნაბიჯი. გერმანულ-რეფორმაციული სამყაროსათვის მეცნიერება იყო ის, რაც ელინური სამყაროსათვის იყო ხელოვნება. მაგრამ არც ხელოვნებასა და არც მეცნიერებას თავის განკერძოებულობაში არ შეეძლო მოეცა დამშვიდება და ყველა მოთხოვნილების პასუხი. ხელოვნებამ წარმოადგინა, მეცნიერებამ გაიგო. ახალი საუკუნე მოითხოვს, რომ გაგება მოვლენათა ნამდვილ სამყაროში მოხდეს. ჰეგელის გენიალური ბუნება განუწყვეტლივ ამსხვრევდა ხუნდებს, რასაც მას ადებდა დროის სულისკვეთება, აღზრდა, ჩვეულება, ცხოვრების წესი და პროფესორის წოდება. შეხედეთ, როგორ დიდებულად ავითარებს იგი სამართლის ფილოსოფიას: ჩვენ განზრახული გვაქვს მივუთითოთ არა ფრაზებზე, არა გამოთქმებზე, არამედ ნამდვილ შინაგან აზრზე, წიგნის სულზე.

განყენებული სამართლის სფეროს გადაწყვეტა და მოხსნა ზნეობრიობის სამყაროთი ხდება, ნორმების სამეფოთი, თავისთვის გასხივოსნებული სამართლით. მაგრამ ჰეგელი ამით არ ამთავრებს, იგი სამართლის იდეიის სიმაღლიდან ეშვება მსოფლიო ისტორიის ნიაღვარში, ისტორიის ოკეანეში. ხდება სამართლის მეცნიერების დამთავრება, დაგვირგვინება, იგი გამოდის თავის თავიდან. პიროვნების განვითარების პროცესიც იგივეა. ბუნებრივი უშუალობისაგან გამომუშავებული ბუნდოვანი ინდივიდუალობანი ნისლად ადიან საყოველთაობის სფეროში, და იდეიის მზით გასხივოსნებულნი საყოველთაობის უსასრულო ლაჟვარდში დაინთქმებიან; მაგრამ ისინი არ ისპობიან მასში; მიიღებენ რა თავის თავში საყოველთაოს, ისინი ეშვებიან კეთილისმყოფელ წვიმად, წმინდა

კრისტალურ წვეთებად უწინდელ მიწაზე. მთელი სიდიადე დაბრუნებული პიროვნებისა მდგომარეობს იმაში, რომ მან შემოინახა ორივე სამყარო, რომ იგი გვარია და ამასთანავე განუყოფელი, რომ იგი ი ქ ცა ი მ ა დ, რადაც დაიბადა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იმად, რისთვისაც დაიბადა: ორივე სამ-ყაროს შეგნებულ კავშირად, რომ იგი მისწვდა თავის საყო-ველთაობას და შემოინახა ერთეული. ამგვარად განვითარე-ბული პიროვნება თვით მცოდნეობას მიიჩნევს უ მ აღ ლ ე ს ი რ ი გ ი ს. უშუალობად და არა ბედის აღსრულებად. დაბრუ-ნება იმდენადვე აუცილებელი დიალექტიკური მოძრაობაა, რამდენადაც ზეასვლა. საყოველთაობაში დარჩენა არის უძ-რაობა, ე. ი. სიკვდილი; იდეიის სიცოცხლე არის «ვაკხური თრობა, რაშიაც ყველაფერი გატაცებულია, რაშიაც არის განუწყვეტელი წარმოშობა და მოსპობა, რაც არასდროს არ ჩერდება და რაც მშვიდია მხოლოდ ამ მოძრაობაში». ერთ-ხელ კიდევ, საყოველთაო არ არის სრული ჭეშმარიტება, არა-მედ ჭეშმარიტების ერთი ფაზაა, რომელშიც კერძო დათხოვ-ნილია, ხოლო გადასვლის პროცესი უკვე შესრულებულია. საყო-ველთაო წარმოადგენს დრომდე ან დროის შემდეგ არსებულ უძრაობას, მაგრამ იდეას არ შეუძლია უძრაობაში ყოფნა: იდეა თავისთავად გამოდის საყოველთაობის სფეროდან ცხოვრებაში.

სრული trio, შეწყობილი და დიდებული, ელერს მხო-ლოდ მსოფლიო ისტორიაში, მხოლოდ მასში ცოცხლობს იდეა სრული სიცოცხლით; მსოფლიო ისტორიის გარეშე არიან განყენებულობანი, რომლებიც ისწრაფვიან სისრულისა-კენ და რომელთაც სწყურიათ ერთმანეთი. უშუალობა და აზრი — ორი უარყოფაა, რომელთა გადაწყვეტა ხდება ისტო-რიის მოქმედებაში. ერთიანი იმისათვის გაითიშა წინააღმ-დეგობად, რომ შეერთდეს ისტორიაში. ბუნება და ლოგიკა მოხსნილი და განხორციელებულია ისტორიის მიერ. ბუნე-ბაში ყველაფერი კერძოა, ინდივიდუალურია, ცალ-ცალკე არსებულია, რაც ძლივს არის მოცული ნივთიერი კავშირით; ბუნებაში იდეა არსებობს ხორციელად, შეუგნებლად; იდეა ბუნებაში ემორჩილება აუცილებლობის კანონს და ბნელ

მიდრეკილებებს, რომლებიც არ არის მოხსნილი თავისუფალი შეგნებით, მეცნიერებაში სრულიად პირუკუ ხდება: იდეა არსებობს ლოგიკურ ორგანიზმში, ყოველივე კერძო ჩაბმობილია, ყველაფერი გამსჭვალულია ცნობიერების შუქით; ფ ა რ უ ლ ი აზრი, რაც აღელვებს ბუნებას და რასაც მოძრაობაში მოჰყავს იგი, თავისუფლდება რა ფიზიკური ყოფიერების განვითარებით ფიზიკური ყოფიერებისაგან, მეცნიერების აშკარა აზრად იქცევა. რა სრულიც უნდა იყოს მეცნიერება, მისი სისრულე მაინც განყენებულია, მისი მდგომარეობა ბუნების მიმართ უარყოფითია; მეცნიერებამ ეს იცოდა დეკარტეს დროიდან, დეკარტესი, რომელმაც ნათლად დაუპირისპირა აზროვნება ფაქტს, სული — ბუნებას. ბუნება და მეცნიერება ორი ჩაზნექილი სარკეა, რომლებიც მარად ერთმანეთს ასახავენ; ბუნებისა და ლოგიკის დამთავრებულ სამყაროთა შორის გადაკვეთისა და თავმოყრის წერტილს—ფოკუსს შეადგენს ადამიანის პიროვნება. ბუნება, თავს იყრის რა ყოველ წერტილში, ღრმავდება რა უფრო და უფრო, ამთავრებს ადამიანური მ ე-თი; ადამიანურ მ ე-ში მან მიაღწია თავის მიზანს. ადამიანის პიროვნება, უპირისპირდება რა ბუნებას, ებრძვის რა ბუნებრივ უშუალობას, ავლენს და ავითარებს თავის თავში გვარეობითს, მარადიულს, საყოველთაოს, გონებას. ამ განვითარების შესრულება არის მიზანი მეცნიერებისა.

1/ კაცობრიობის მთელ წარსულ ცხოვრებას, შეგნებულად თუ შეუგნებლად, იდეალად ჰქონდა მისწრაფება, რომ გონივრული თვითშემეცნებისათვის მიეღწია და ადამიანური ნებისყოფა ღვთაებრივ ნებისყოფამდე აემაღლებია; ყველა დროში კაცობრიობა მიისწრაფოდა ზნეობრივად კეთილმყოფელი და თავისუფალი მოქმედებისაკენ. ასეთი მოქმედება ისტორიაში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეთი მოქმედების წინამორბედი უნდა ყოფილიყო მეცნიერება; ცოდნის გარეშე, სრული შეგნების გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტად თავისუფალი მოქმედება, მაგრამ კაცობრიობის წარსულ ცხოვრებაში სრული შეგნება

არ ყოფილა. მეცნიერებას მივყევართ ამ შეგნებამდე და ამით იგი ამართლებს ისტორიას, მაგრამ ამასთან ერთად მეცნიერება ზურგს აქცევს ისტორიას; ჭეშმარიტი მოქმედება თავისი გამართლებისათვის არ მოითხოვს წინდასწრებულ მოვლენას: ისტორია მისთვის ნიადაგია, უშუალობაა; ყოველივე წინყოფილი აუცილებელია გენეტიკურად, მაგრამ თვითმყოფადობა და თვითგაკანონიერება მომავალს იმდენადვე ექნება თავის თავში, რამდენადაც ისტორიაში. მომავალი წარსულთან ისეთსავე მიმართებაში იქნება როგორც სრულწლოვანი შვილი მამასთან; იმისათვის, რომ დაიბადოს, იმისათვის, რომ ადამიანი გახდეს, მას ესაჭიროება აღმზრდელი, ესაჭიროება მამა; მაგრამ, როდესაც ადამიანი გახდება, კავშირი მამასთან იცვლება,— ხდება უფრო მაღალი, სიყვარულით უფრო სავსე და უფრო თავისუფალი. ლესინგმა კაცობრიობის განვითარებას აღზრდა უწოდა,— გამოთქმა არასწორია, თუ მას ავიღებთ როგორც უცილობელს, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში ეს გამოთქმა მოსწრებულია. მართლაც, კაცობრიობას აქამდე ახასიათებს არასრულწლოვანების აშკარა ნიშნები; ხდება მისი ნელ-ნელა აღზრდა შეგნებაში. ამ პედაგოგიის ერთიანობა ზერელე თვალისათვის იკარგება მშვენებებსა და მრავალფეროვნებაში, შემოქმედების ბრწყინვალებაში, ფორმათა და ძალთა სიჭარბეში, როგორც ჩანს, არასაჭირო წინააღმდეგობრივ ფორმათა და ძალთა სიჭარბეში. მაგრამ ასეთია ბუნებრივის, არაცნობიერის ცნობიერებისაკენ, თვითდაუფლებისაკენ განვითარების ინსტინქტუალური გზა. მივმართოთ ბუნებას: გაურკვეველი თავისთვის, წამებული და გატანჯული ამ გაურკვევლობით, ბუნება ისწრაფვის მისთვის უცნობი მიზნისაკენ, მაგრამ ისეთი მიზნისაკენ, რომელიც ამავე დროს მისი მღელვარების მიზეზიც არის, — ბუნება უამრავი ფორმებით იღწვის იმისათვის, რომ მივიდეს ცნობიერებამდე, აქმედიანებს ყველა შესაძლებლობას, ეხლება იქით-აქეთ, იკრება ყველა კარში და უთვალავ ვარიაციებს ქმნის ერთ თემაზე. ამაშია ცხოვრების პოეზია, ამაში გამოიხატება შინაგანი სიმდიდრე. განვითარების

ყოველი საფეხური ბუნებაში ამავე დროს მიზანიცაა, შეფარდებითი ჭეშმარიტებაა, იგი რგოლია ჯაჭვში, მაგრამ რგოლი დასრულებული თავისთვის. ბუნებას იზიდავს გამოუცნობი, მას მიაქანებს დიადი კაეშანი და იგი მაღლდება ფორმიდან ფორმაში; მაგრამ, გადადის რა უმაღლესში, იგი ჯიუტად რჩება უწინდელ ფორმაში და მას უკანასკნელ უკიდურესობამდე ავითარებს, თითქოს მთელი ხსნა ამ ფორმაში იყოს. და მართლაც, მიღწეული ფორმა — უდიდესი გამარჯვება, ზეიმი და სიხარულია; იგი ყოველთვის იმაზე უმაღლესია, რაც არის. ბუნება მისგან იშლება ყოველი მხრით*. ამის გამო იყო, რომ ამაოდ ცდილობდნენ გაეჭიმათ ბუნების ყველა ნაწარმოები ერთ მკვდარ სწორხაზობრიობაში: მას არ აქვს სწორი ნუსხა ხარისხების შესახებ. ბუნების ნაწარმოებნი არ შეადგენენ ერთ კიბეს; არა, ისინი წარმოადგენენ კიბესაც და იმასაც, რაც კიბეზე ადის; ყოველი საფეხური — ამავე დროს საშუალებაც არის; მიზანიც და მიზეზიც. Idemque rerum naturae opus et rerum ipsa natura**, როგორც პლინიუსმა [82] თქვა.

კაცობრიობის ისტორია ბუნების ისტორიის გაგრძელებაა; მრავალსახეობა, სხვადასხვაგვარობა, რაც ისტორიაში გვხვდება, გასაოცარია: სფერო უფრო ვრცელი გახდა, საკითხი — უფრო მაღალი, საშუალებები — უფრო უხვი, დაფარული აზრი — უფრო ნათელი, — როგორ არ უნდა გართულდეს გზები? განვითარება ყოველი ნაბიჯით უფრო ღრმა და მასთან ერთად უფრო რთული ხდება; ყველაზე მარტივია ქვა, რომელიც მშვიდად ისვენებს დაწყებითს საფეხურებზე. სადაც შეგნება იწყება, იქ ზნეობრივი თავისუფლებაც იწყება; ყოველი პიროვნება თავისებურად აქმედიანებს მოწოდებას და თავისი ინდივიდუალობის დაღს ტოვებს მოვლენებზე. ხალხები — მსოფლიო დრამის ეს კოლოსალური მოქმედი პირები — მთე-

---

* ბიუფონის უდიდესი აზრი: «La nature ne fait jamais un pas qui ne soit en tout sens». — ა. გ. ბუნება არასდროს არ დგამს სავსებით შეუგნებელ ნაბიჯს. (ფრანგ.). — რ ე დ.

** ნივთთა ბუნების შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა და თვით ნივთთა ბ უ ნ ე ბ ა ერთი და იგივეა (ლათ.). — რ ე დ.

ლი კაცობრიობის საქმეს ასრულებენ ისე, როგორც თავის საქმეს და მით მოქმედებებს მხატვრულ დასრულებულობასა და სასიცოცხლო სავსეობას აძლევენ. ხალხები რაღაც საცოდავი რამ იქნებოდნენ, რომ ისინი თავის ცხოვრებას თვლიდნენ მხოლოდ ერთ საფეხურად უცნობი მომავლისაკენ. ისინი მებარგულებს ემსგავსებოდნენ, რომელთა ხვედრია მხოლოდ ტვირთის სიმძიმე და გზის სიძნელე, ოქროს საწმისი კი, რომელიც მათ მიაქვთ, — სხვებისა არის. როგორც უკვე შევნიშნეთ, ბუნება ისე არ ექცევა თავის არაცნობიერ შვილებს; მით უმეტეს ცნობიერების სფეროში არ შეიძლება იყოს ისეთი საფეხური, რომელსაც არ ექნება თავისი საკუთარი დაკმაყოფილება. მაგრამ კაცობრიობის სულს, რომელიც თავის სიღრმეში ატარებს ურყევ მიზანს, სრული განვითარების მარადიულ მისწრაფებას, არ შეეძლო დამშვიდებულიყო არც ერთ წარსულ ფორმაში; ამაშია მისი ტრანსცენდენციის, მისი ზღვარგადასული სუბიექტურობის (übergreifende Subjectivität) საიდუმლოება. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ წარსულ ფორმათაგან ყოველ ფორმას ჰქონდა კაცობრიობის სულის შინაარსი, და სულს არ ჰქონია სხვა ფორმა, გარდა იმ ფორმისა, რომლის საზღვარს ის გადავიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გაიზარდა ამ ფორმამდე, იყო ამ ფორმად და კიდეც გაასწრო მას. სულის მოქმედების ისტორია, ასე ვთქვათ, მისი პიროვნებაა, რადგან «ის არის ის, რასაც აკეთებს» *, მისწრაფება უეჭველი შერიგებისაკენ, განხორციელება ყოველივესი, რაც სულშია, განთავისუფლება ბუნებრივი და ხელოვნური ბორკილებისაგან. ყოველ ნაბიჯს ისტორიაში, რომელიც ნთქავს და ახორციელებს თავისი დროის მთელ სულს, თავისი სავსეობა აქვს, — ერთი სიტყვით, აქვს თავისი პიროვნება, რომელიც სიცოცხლით დუღს.

ხალხები, გრძნობდნენ რა მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის მოწოდებას, გაიგონებდნენ თუ არა მაუწყებელ ხმას, რომ მათი ჟამი დადგა, იმსჭვალებოდნენ

* «Philosophie des Rechts». — ». g.

შთაგონების ცეცხლით, ორმაგი სიცოცხლით აღიგზნებოდნენ და ისეთ ძალებს გამოამჟღავნებდნენ, რომელთა არსებობას მათში ვერავინ იფიქრებდა და რომელთაც თვითონაც ვერ ამჩნევდნენ; ტრამალები და ტყეები სოფლებით იფარებოდა, მეცნიერება და ხელოვნება იფურჩქნებოდა, გიგანტური შრომა და ღვაწლი სრულდებოდა, რათა მომავალი იდეისათვის ქარვასლები მოემზადებინათ, ეს იდეა კი, დიდებული ნაკადი, სულ უფრო და უფრო შორს მიედინებოდა და სულ უფრო და უფრო მეტ სივრცეს იპყრობდა. მაგრამ ეს ქარვასლები იდეის გარეგანი სასტუმროები კი არაა, არამედ მისი ხორცი, ურომლისოდაც იდეას არ შეეძლო განხორციელებულიყო, მისი დედის საშო, რომელმაც მიიღო წარსული მომავლისათვის, მაგრამ აგრეთვე ცოცხალიც თავისი სიცოცხლით; ისტორიული განვითარების ყოველ ფაზას თავის თავში ჰქონდა მიზანი და, მაშასადამე, ჯილდო და დაკმაყოფილება. ბერძნული სამყაროსათვის მისი მოწოდება უცილობელი იყო; თავისი სამყაროს ფარგლებს იქით იგი ვერაფერს ხედავდა და არც შეეძლო დაენახა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მომავალი. მომავალი შესაძლებლობაა და არა სინამდვილე: იგი საკუთრივ, არც არის. ყოველი ეპოქის იდეალი თვით იგივე ეპოქაა, გაწმენდილი შემთხვევითობისაგან. სახეცვალებული ჭვრეტა აწმყოსი. იგულისხმება, რამდენადაც ყოვლისმომცველი და სავსეა აწმყო, იმდენად ზოგად-მსოფლიური და ჭეშმარიტია მისი იდეალი. ასეთია ჩვენი ეპოქა. ხალხებმა, რომლებიც კაცობრიობის ბედის აღსრულებათა მოწამენი იყვნენ, არ იცოდნენ ის აკორდი, რომელიც მათ ხმებს ერთიან სიმფონიად შეაკავშირებდა; ძველი მსოფლიოს ნანგრევებზე ავგუსტინმა გამოაცხადა უდიდესი აზრი ღვთის სასუფევლის შესახებ, რომლის აგებისაკენ მიდის კაცობრიობა, და შორს აჩვენა საზეიმო შაბათი დამშვიდებისა. ეს იყო ისტორიის ფილოსოფიის პოეტურ-რელიგიური საწყისი; ეს საწყისი, როგორც ჩანს, არსებობდა ქრისტიანობაში, მაგრამ დიდხანს არ ესმოდათ ის; ერთ საუკუნეზე მეტი არაა, რაც კაცობრიობა ჩაფიქრდა და მართლაც

შეუდგა თავისი ცხოვრების ანგარიშის მოთხოვნას, რადგან განსჭვრიტა, რომ ტყუილუბრალოდ არ მიედინება მისი ცხოვრება და რომ მის ბიოგრაფიას ღრმა და ერთიანი ყოველისდამაკავშირებელი აზრი აქვს. ამ სრულწლოვანი საკითხით კაცობრიობამ აღნიშნა, რომ აღზრდა მთავრდება. მეცნიერებამ იკისრა პასუხის გაცემა ამ საკითხზე; გამოთქვა თუ არა მეცნიერებამ თავისი პასუხი, ადამიანებს დაებადათ მეცნიერებიდან გამოსვლის მოთხოვნილება, — სრულწლოვანების მეორე ნიშანი. მაგრამ იმისათვის, რომ თავისი ხელით გააღოს კარები, მეცნიერებამ მთელი სისრულით უნდა აღასრულოს თავისი მოწოდება, სანამ თუნდაც ერთი მაგარი წერტილი რჩება დაუპყრობელი თვითშემეცნების მიერ, მანამ გარეგანი გასწევს წინააღმდეგობას. უძრავი ვარსკვლავების რიცხვი სულ უფრო და უფრო კლებულობს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არის. აღზრდა გულისხმობს არსებულის გარეშე მდებარე მზამზარეულ ჭეშმარიტებას; იმ წუთიდან, როგორც კი ადამიანი გაიგებს ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება მას მკერდში ექნება, და მაშინ აღზრდის საქმე ამოწურულია, დაიწყება შეგნებული მოქმედების საქმე. მეცნიერების ტაძრის კარიბჭეებიდან კაცობრიობა გამოვა ამაყად თავაწეული, შთაგონებული შეგნებით: omnia sua secum portans* ღვთის სასუფევლის შემოქმედებითი შექმნისათვის. მეცნიერების შერიგებამ მცოდნეობით მოხსნა წინააღმდეგობანი. შერიგება ცხოვრებაში მოხსნის წინააღმდეგობებს ნეტარებით**. შერიგება ცხოვრებაში ედემის უცხო ხის ნაყოფია: ის ადამს სისხლიანი ოფლით, მძიმე შრომით უნდა დაემსახურებინა, და მან დაიმსახურა ის.

მაგრამ როგორ იქნება ეს? მაინც როგორ ეკუთვნის იგი მომავალს? ჩვენ შეგვიძლია წინასწარ გავიგოთ მომავალი,

---

* არსება, რომელსაც ყოველივე თავისი თან დააქვს (ლათ.). — რ ე დ.

** აქ უნებლიეთ მოგვაგონდება სპინოზას დიდებული აზრი: «Beatitudo non est virtutis praemium, sed ipsa virtus» — ». გ. — ბედნიერება არის არა სიმამაცისთვის მიღებულ ჯილდოში, არამედ თვით სიმამაცეში (ლათ.).— რ ე დ.

იმიტომ რომ ჩვენ ვართ წანამძღვარნი, რომლებზედაც დაეფუძნება მომავლის სილოგიზმი, მაგრამ ზოგადი, განყენებული სახით. როდესაც დრო დადგება, მოვლენათა ელვა-ქუხილი დაფლეთს ღრუბლებს, დაბრკოლებებს გადაბუგავს, და მომავალი, როგორც პალადა, სრული აღჭურვილობით დაიბადება. მაგრამ რწმენა მომავლისა — ჩვენი უკეთილშობილესი უფლებაა, ჩვენი ხელშეუვალი სიკეთეა; გვწამს რა მომავალი, გული სავსე გვაქვს სიყვარულით აწმყოსადმი.

და ეს რწმენა მომავლისა მძიმე წუთებში გვიხსნის ჩვენ სასოწარკვეთილებისაგან, და ეს სიყვარული აწმყოსადმი იცოცხლებს კეთილი მოქმედებებით.

23 მარტი, 1843.

ა. ი. გერცენი
1845 წ.

გრავიურა ხეზე ლითოგრაფიიდან
შესრულებული კ. ა. გორბუნოვის მიერ

წერილები ბუნების შესწავლის შესახებ[83]

ბუნება ბაიადერაა, რომელიც გონების თვალს ეკლინება. გონება მას უსაყვედურებს უსირცხვობას, რომლითაც იგი შიშვლდება და მკვრეტელის თვალს ნებდება; მაგრამ თავს ორმ გამოაჩენს, ბაიადერი წავა, იმიტომ რომ იგი ნახეს. და მკვრეტელიც წავა, იმიტომ რომ ბაიადერი ნახა.

Colebrooke. Sank-hia,
Philos. of the Hindous..

...Doch der Götter Jüngling hebet
Aus der Flamme sich empor,
Und in seinen Armen schwebet
Die Geliebte mit hervor.

Göthe. Bayadere*.

წერილი პირველი

ემპირია და იდეალიზმი

დიდება ცერერას, პომონას[84] და მათ ნათესავებს! როგორც იქნა, თქვენთან არა ვარ, საყვარელო მეგობრებო! — მე მარტო ვარ სოფლად. საშინლად მსურდა ყველასაგან მოშორებით დამესვენა... არ შეიძლება ითქვას, რომ ქმნილებანი, რომლებსაც ახლა ხოტბა შევასხი, ძალიან თავაზიანად დამხვედროდნენ: წვიმა დღედაღამ ასხამს, ქარი დარაბებსა გლეჯს, ოთახიდან ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება, და, — სწორედ უცნაურია! — ყოველივე ამის მიუხედავად გამოვცოცხლდი, გამოვკეთდი, უფრო ლაღად ამოვისუნთქე, ვპოვე,

---

* მაგრამ ღმერთი შეირხევა,
მყის გააპობს ცეცხლის ზოლებს,
ხელებს მოჰხვევს ბედკრულ ასულს
და სივრცეში გააქროლებს.
გ ო ე თ ე. ღმერთი და ბაიადერა.
(თარგმანი ხ. ვარდოშვილისა). — რ ე დ.

რისთვისაც წამოველ. საღამოჟამს აივანზე გავდივარ, არაფერი უშლის ხელს თვალთახედვას: ვსუნთქავ ტყისა და მდელოს სურნელებით გაჟღენთილ, გრილ — მაცოცხლებელ ჰაერს, ყურს ვუგდებ მუხნარის შრიალს, — და გულს მოეშვება, უფრო კეთილშობილურად, უფრო ხალისიანად ვგრძნობ თავს. ირგვლივ გამეფებული რაღაც უმანკო სიჩუმე გამშვიდებს, შემარიგებლად მოქმედებს... ასე მგონია, აქედან წლობით არ წავალ... წინასწარ ვგრძნობ, რომ ჩემი იდილიური ნაბიჯი თქვენ არ მოგეწონებათ: «კაცი განდგომილად არ უნდა ცხოვრობდეს, ეს ეგოიზმია, გაქცევაა, ეს გაცვეთილი ფრაზებია დამთხვეული ჟენეველისა[85], რომელსაც თანადროული ქალაქური ცხოვრება ხელოვნურ რამედ მიაჩნდა, თითქოს ისტორიული სამყაროს ფორმები ისევე ბუნებრივი არ იყოს, როგორც ფიზიკური სამყაროს ფორმები». ჯერ ერთი, რაც შეეხება გაქცევას, — სამარცხვინოა გაქცევა მეომრისათვის ომის დროს, ხოლო როცა კეთილად სუფევს მტკიცე მშვიდობა, რატომ არ უნდა იცხოვროს ერთ ხანს შვებულებაში? მეორეც, რაც შეეხება რუსოს, არ შემიძლია უთუოდ სიცრუედ მივიჩნიო ის, რასაც იგი თავის თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების ხელოვნურობაზე ლაპარაკობს: ხელოვნურობად გვეჩვენება უხერხული, ნაძალადევი, დახავსებული; რუსო მიხვდა, რომ მისი გარემომცველი სამყარო მართებული ვერ არის; მაგრამ იგი მოუთმენელი, აღშფოთებული, შეურაცხყოფილი, ვერ მიხვდა, რომ დაძველებული ცივილიზაციის ტაძარს ორი კარი აქვს. სულის შეხუთვის შიშით იგი შესასვლელ კარს ეცა, და დაუძლურდა, მის წინააღმდეგ მსრბოლ ნაკადს რომ ებრძოდა. მან ვერ მოისაზრა, რომ პირველყოფილი ველურობის აღდგენა უფრო ხელოვნურია, ვიდრე ჭკუადაცლილი ცივილიზაცია. მე, მართლაც, მგონია, რომ ჩვენი ცხოვრების ნირი, მეტადრე დიდ ქალაქებში — ლონდონში თუ ბერლინში, სულ ერთია, — არც თუ ისე ბუნებრივია; ალბათ, იგი ბევრი მხრივ შეიცვლება, — კაცობრიობას პირობა არ დაუდვია, რომ იგი მუდამ ისე იცხოვრებს, როგორც ახლა ცხოვრობს; განვითარების პროცესში მყოფი ცხოვრებისათვის არაფერია

ბელშეუხები. ვიცი, რომ ისტორიული სამყაროს ფორმები ისევე ბუნებრივია, როგორც ფიზიკური სამყაროს ფორმები! მაგრამ [illegible] თვით ბუნებაში, — ამ მარადიულ აწმყოში, რომლისათვის უცხოა სინანული და იმედი, — ცოცხალი, როცა ვითარდება, განუწყვეტლივ უარყოფს განვლილ ფორმას, ამხილებს იმ ორგანიზმის არაბუნებრიობას, რომელიც მას გუშინ სავსებით აკმაყოფილებდა. გაიხსენეთ მწერების გადაქცევა — პეპლისა და ჭუპრის მარადი მაგალითი! როცა აწმყო მხოლოდ განვლილს ეყრდნობა, იგი ცუდად არის დაყრდნობილი. პეტრე პირველმა საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ წარსული, რომელსაც მთელი ქვეყანა გამოხატავს, უმწეოა აწმყოს და მერმისის გულისათვის მოქმედი ერთი კაცის ნებისყოფის წინააღმდეგ. ცხოვრება არა ცნობს მრავალი წლის ხანდაზმულობის იურიდიულ ირონიას; სრულიად პირიქით, ხანდაზმულობა ბუნების თვალსაზრისით მხოლოდ ერთ უფლებას იძლევა — სიკვდილის უფლებას.

ხომ ხედავთ რეზონიორობის გუნებაზე ვარ... ეს სოფლური far niente-ს* გავლენაა. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ქალაქურ ცხოვრებას! მე არც ვფიქრობდი მასზე ბაასს; აჯობებს, რაკი, საბედნიეროდ, დრო მაქვს, დავიწყო ოდესღაც შეპირებული წერილები ბუნებისმეტყველების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ხომ გახსოვთ, სტუდენტობის ხანის ჩვენი დაუსრულებელი დავა, რომელშიც ჩვეულებრივ ორი განყენებული თვალსაზრისით ვისწრაფოდით გაგვეგო ცხოვრების მოვლენები და ვერასოდეს ვერ ვაღწევდით არა თუ საქმიან შედეგს, არამედ იმასაც კი, რომ სავსებით გაგვეგო ერთმანეთი? ესე ეკიდება ბუნებას ფილოსოფია, თავის მხრივ, და ბუნებისმეტყველება, თავის მხრივ, — ორივე აცხადებს ახირებულ პრეტენზიას, რომ ყოველი მათგანი ფლობს მთელ ჭეშმარიტებას თუ არა, მისკენ მიმავალ ერთადერთ უტყუარ გზას მაინც. ერთი მათგანი

* უსაქმურობის (იტალ.). — რ ე დ.

რაღაც მიუწვდომელი სიმაღლიდან წინასწარმეტყველებდა საიდუმლოებას, მეორე თავმდაბლად ემორჩილებოდა ცდას და ამაზე შორს არ მიდიოდა; ისინი ერთიმეორისადმი სიძულვილს გრძნობდნენ, ურთიერთ უნდობლობაში გაიზარდნენ; ბევრი ცრუ რწმენა დამკვიდრდა ერთისა და მეორეს მხრივ; იმდენი მწარე სიტყვა ითქვა, რომ, დიდი სურვილის მიუხედავად, ისინი დღემდე ვერ შერიგებულან. ფილოსოფია და ბუნებისმეტყველება ერთმანეთს აფრთხობენ აჩრდილებითა და ზმანებებით, რომლებიც, მართლაც, შიშს და სასოწარკვეთილებას გვგვრიან. განა დიდი ხანია რაც ფილოსოფია აღარ ირწმუნება, რომ მას შეუძლია რაღაც თილისმით გამოიწვიოს ყოფიერებისაგან განდგომილი არსი, — საყოველთაო, უკერძოოდ არსებული, უსასრულო, სასრულის წინამორბედი, და სხვ.? დადებით მეცნიერებებს თავისი პატარა ზმანებანი აქვთ: ესაა ძალები, მოქმედებისაგან განყენებულნი, თვისებანი, თვით საგნად მიჩნეულნი, და საერთოდ სხვადასხვა კერპნი, შექმნილნი ყოველგვარი ცნებისაგან, რომელიც ჯერ კიდევ გაუგებარია, exempli gratia* — სასიცოცხლო ძალა, ეთერი, სითბომბადი, ელექტრული მატერია და სხვ. ყველაფერი მოიმოქმედეს, რათა ერთიმეორე ვერ გაეგოთ, და მათ ამას საკუთარი მიაღწიეს. ამავე დროს ცხადი ხდებოდა, რომ ფილოსოფია უბუნებისმეტყველებოდ ისევე შეუძლებელია, როგორც ბუნებისმეტყველება უფილოსოფიოდ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, გადავხედოთ ფიზიკურ მეცნიერებათა თანამედროვე მდგომარეობას. ეს მდგომარეობა მეტად ბრწყინვალედ წარმოგვიდგება, რაზედაც ძლივს ბედავდნენ ეოცნებათ გასული საუკუნის დამლევს, ის განხორციელებულია ან ხორციელდება ჩვენს თვალწინ. ორგანული ქიმია, გეოლოგია, პალეონტოლოგია, შედარებითი ანატომია პატარა კვირტებიდან ჩვენს საუკუნეში ვეებერთელა ტოტებად გაიშალნენ, მათ გამოიღეს ისეთი ნაყოფი, რომელმაც ყველაზე თამამ იმედებს გადააჭარბა. გარ-

* მაგალითად (ლათ.). — რ ე დ.

დასული სამყარო, მეცნიერების მძლავრი ხმის მორჩილი, საფლავიდან დგება იმ გადატრიალებათა დასადასტურებლად, რომელნიც თან ახლდნენ დედამიწის ზედაპირის განვითარებას; ნიადაგი, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ, — ეს საფლავის ფიცარი გარდასული სიცოცხლისა, — თითქოს გამქვირვალე ხდება; ქვის აკლდამები გაიხსნა; კლდეთა შინაგანობამ ვერ იხსნა ის, რასაც იგი ინახავდა. ეს ცოტაა, ნახევრად დაფერფლილ, ნახევრად გაქვავებულ ჩონჩხებს კვლავ ხორცი ესხმის. პალეონტოლოგია ისწრაფვის * გახსნას გეოლოგიური ეპოქებისა და მათი მთელი ორგანული მოსახლეობის ურთიერთმიმართება. მაშინ ყოველივე, რაც ოდესღაც ცოცხალი იყო, აღსდგება ადამიანის შეგნებაში, თავს დააღწევს უკვალოდ დავიწყების სავალალო ხვედრს, და ის, რისი ძვალიც დაიფერფლა, რისი ფენომენალური ყოფიერებაც სავსებით წარიხოცა, გაცოცხლდება მეცნიერების ნათელ სავანეში, — დროებითის მოსვენებისა და გამარადისების ამ სავანეში. მეორე მხრივ, მეცნიერებამ ხილვადი საზღვრის გადაღმა აღმოაჩინა უხილავ წვრილმანთა მთელი სამყარონი; მის წინაშე გაიშალა ის monde des détails **, რომლის შესაძლებლობაზე ოცნებობდა გენერალი ბონაპარტე, როცა კაიროში ესაუბრებოდა მონჟსა და ჟოფრუა სენტ-ილერს *** [86]. ბუნების მკვლევარი, მიკროსკოპით აღჭურვილი, უკანასკნელ საზღვრამდე მისდევს სიცოცხლეს, თვალყურს ადევნებს მის იდუმალ მუშაობას. ფიზიოლოგი სიცოცხლის ამ მიჯნაზე ქიმიკოსს შეხვდა; სიცოცხლის საკითხი უფრო გარკვეული გახდა, უკეთ იქნა დასმული; ქიმიამ გვაიძულა არა მარტო ფორმებსა და მათს სახეცვლილებებს ვუცქიროთ, — მან ლაბორატორიაში გვასწავლა გამოვკითხოთ ორგანულ სხეულებს მათი საიდუმლოებანი.

---

* გაიხსენეთ აგასისის [87] შრომები ამონათხარ თევზებზე და ორბინიის [88] შრომები ლოკოკინებსა და სხვა საწყისებზე. — ა. ბ.

** წვრილმანთა სამყარო (ფრანგ.). — რ ე დ.

*** «Notions de Philos. naturelle» par Geoffroy St.-Hilaire, Paris 1838. — ა. ბ.

თეორიულ წარმატებათა გარდა, ფიზიკურ მეცნიერებათა წარმატებებს ცნობილი დამამტკიცებელი საბუთები გააჩნიათ კაბინეტებისა და აკადემიების გარეთ; მათ მექანიკასთან ერთად ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯს გარშემოავლეს აღმოჩენები და ხელშემწყობი საშუალებანი. ისინი მანქანებით, უყურადღებოდ და ფუჭად გაბნეული ძალების გამოყენებით, რთულ და ძნელ წარმოებათა გამარტივებით, მითითებით, რომ შესაძლებელია იმაზე მეტი ძალ-ღონე არ დაიხარჯოს, რამდენიც მიზნის მისაღწევად არის საჭირო, — მონაწილეობენ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საკითხის გადაჭრაში: ისინი გვაწვდიან საშუალებებს ადამიანის ხელი გავათავისუფლოთ განუწყვეტელი მძიმე მუშაობისაგან.

თითქოს, ამის შემდეგ ბუნებისმეტყველებას ისღა დარჩენოდა, რომ ეზეიმნა თავისი გამარჯვებანი და, დიადი საქმის შესრულების სამართლიანი შეგნებით გამსჭვალულს, ეშრომნა და დამშვიდებით დალოდებოდა მომავალ წარმატებებს; ნამდვილად კი მთლად ასე როდია. დაკვირვებული თვალისთვის დიდი დაძაბვა არ არის საჭირო, რომ რაღაცა უხერხულობა დაინახოს ბუნებისმეტყველების ყველა დარგში; მათ რაღაც აკლიათ, რაღაც, რაც არ შეიძლება ფაქტების სიუხვით შეიცვალოს; მათ მიერ გახსნილ ჭეშმარიტებებში არის ხარვეზი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თვითეულ დარგს მუდამ ძივყავართ იმ მძიმე შეგნებამდე, რომ ბუნებაში არის რაღაც მოუხელებელი, გაუგებარი, რომ მათ, თავიანთი საგნის მრავალმხრივი შესწავლის მიუხედავად, ეს საგანი თითქმის გაიგეს, მაგრამ არა სავსებით, და სწორედ ამაში, რაღაც ისეთში, რაც გვაკლია და ხელიდან მუდამ გვისხლტება, ისახება ის ახსნა, რომელმაც აზრად უნდა გადააქციოს და, მაშასადამე, ადამიანს შეათვისებინოს ბუნების ურჩი უცხოობა. ნათქვამის შეგნება შეიპარა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თვით გადმოცემაში; წარმატებათა და აღმოჩენათა შორის ხშირად შეხვდებით ნაღვლიან ჩივილს; ცოდნის გადიდება, რომელსაც არავითარი საზღვარი არა აქვს, რომელიც გაპირობებულია გარედან შემთხვევითი აღ-

მოჩენებით, იღბლიანი ცდებით, ზოგჯერ იმდენად კი არ ახარებს გონებას, რამდენადაც აწუხებს. არსებული და უნებლიეთ აღიარებული უცხოობა საგნისა, უცხოობა, რომელიც დაჟინებით არ გვემორჩილება, ადამიანს აზრაზე და ამაუ ფლებ ზიდავს განუწყვეტელი ბრძოლისაკენ, დაუფლებისაკენ, რაც მას არ ძალუძს განახორციელოს და რაზედაც არც შეუძლია ხელი აიღოს. ეს არის ხმა მღაღადებელი გონებისა, რომელსაც არ შეუძლია შუა გზაზე შეჩერდეს, — ხმა თვითონ natura rerum-ისა*, რომელიც ისწრაფვის სავსებით გაშუქდეს ადამიანის აზროვნებაში. ალბათ, შეგიმჩნევიათ, თუ რა აჩქარებით გვაფრთხილებენ ბუნებისმკვლევარნი, რომ მათი შეხედულებები ზღვარდებულია, თითქოს ეშინიათ გაიგონონ კითხვები, რომლებზედაც მათ არ შეუძლიათ პასუხი გასცენ, მაგრამ ასეთი საზღვრები უსაფუძვლოა; ეს საზღვრები, პირადი ნება-სურვილით დაწესებულნი, ისევე ეუცხოება საგანს, როგორც საკუთრების უფლებით შემოვლებული ღობე ეუცხოება მინდორს. ამქარი ნატურალისტები ხმამაღლა და გაბედულად ამბობენ: ჩვენ არაფერი გვესაქმება გონების ყველაზე ბუნებრივ და კანონიერ მოთხოვნებთან, ადამიანი ხელს არ უნდა ჰკიდებდეს იმას, რის გადაწყვეტაც არ შეიძლებაო**. ეს გამბედაობა მეტწილად საეჭვოა: იგი ან გონებაშეზღუდულობისაგან წარმოდგება, ან სიზარმაცისაგან; თუმცაღა, ზოგიერთებისათვის იგი უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს, — ესაა ცრუ ნუგეში, რითაც ადამიანს სურს თავისი საკუთარი თვალი აარიდოს ბოროტებას, რომელიც გაუსწორებლად ითვლება. საუბედუროდ, არ შეიძლება ამგვარ საკითხებს კისერზე ქვები მოაბა, გადაყარო ისინი წყალში და შემდეგ დაივიწყო; ისინი, ვით სინდისის საყვედური, ან ბანკოს აჩრდილი[89], ხელს გვიშლიან დავტკბეთ ცდების, აღმოჩენების ლხინით, ჭეშმარიტ და

---

* საგანთა ბუნებისა (ლათ.). — რ ე დ.

** ვისთვის არ შეიძლება? როდის? რატომ? სად არის კრიტერიუმი? — ნაპოლეონს ორთქლმავალი გემები შეუძლებლად მიაჩნდა... ა. ბ.

საუცხოო დამსახურებათა შეგნებით, ვინაიდან მოგვაგონებენ, რომ სრული წარმატება არ არის, რომ საგანი დაძლეული არაა... მართლაც, ნუთუ შეიძლება დავმშვიდდეთ ცოდნის შეუძლებლობის დაშვებით? აქ მეცნიერების ადამიანს ისევე არ ძალუძს შეჩერდეს და დაივიწყოს, როგორც ძუნწ მომხვეჭელს — იცოდეს მის ეზოში ჩამარხული განძის არსებობა და არ ეძიოს იგი. არც ერთ დიდ ბუნებისმკვლევართაგანს არ შეეძლო გულდამშვიდებით არად ჩაეგდო თავისი მეცნიერების ეს უსრულობა, იდუმალი ignotum* სტანჯავდა მათ; ისინი საგნის მოუხელებლობას მარტო ფაქტიური ცნობების ნაკლებობას მიაწერდნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, გარდა ამ ნაკლისა, ყველაზე მეტად მათ ხელს უშლის ლოგიკური ფორმების გაუბედავი და შეუცნობელი ხმარება. ბუნებისმკვლევართ არასგზით არ სურთ გაარკვიონ ცოდნის მიმართება საგანთან, აზროვნებისა — ყოფიერებასთან, ადამიანისა — ბუნებასთან; ისინი აზროვნებად გულისხმობენ უნარს — დაშალონ მოცემული მოვლენა და შემდეგ შეაჯერონ, წესრიგში მოიყვანონ და განალაგონ ნაპოვნი და მათთვის მოცემული; მათთვის გონება სრულიადაც არაა ჭეშმარიტების კრიტერიუმი, არამედ გრძნობადი უტყუარობა, რომელიც მათ სჯერათ; მათ აზროვნება წმინდა პირადულ, საგნისათვის სრულიად გარეშე მოქმედებად წარმოუდგენიათ. ისინი უგულვებელყოფენ ფორმას, მეთოდს, იმიტომ რომ ისინი მათ სქოლასტიკური განსაზღვრებით იცნობენ. მათ ისე ეშინიათ მოძღვრების სისტემატიკისა, რომ მატერიალიზმიც კი არ უნდათ როგორც მოძღვრება; მათ სურთ თავიანთ საგანს მასზე დაკვირვებისას სავსებით ემპირიულად, პასიურად მოეკიდონ; თავისთავად იგულისხმება, რომ მოაზროვნე არსებისათვის ეს ისევე შეუძლებელია, როგორც ორგანიზმისათვის საჭმლის გარდაუქმნელად მიღება. მათ ვითომდა ემპირიზმს მაინც მივყავართ აზროვნებასთან, მაგრამ ისეთ აზროვნებასთან, რომელშიც მეთოდი თვითნებური და პირადუ-

* უცნობელი (ლათ.). — რ ე დ.

ლია. უცნაურია, — ყოველმა ფიზიოლოგმა ძალიან კარგად იცის ფორმისა და მისი განვითარების დიდი მნიშვნელობა, იცის, რომ შინაარსი მხოლოდ გარკვეული ფორმისას ცოცხლდება მწყობრ ორგანიზმად, და არც ერთ მათგანს აზრად არ მოსელია, რომ მეთოდი მეცნიერებაში სრულიადაც არ არის პირადი გემოვნების ან რაიმე გარეგნული მოხერხებულობის საქმე, რომ იგი, თავის ფორმალურ მნიშვნელობათა გარდა, არის თვითონ შინაარსის განვითარება, — ჰეშმარიტების ემბრიოლოგია, თუ გნებავთ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ამ უცნაურ სილოგიზმს მათთვის ამაოდ არ ჩაუვლია. იდეალისტები განუწყვეტლივ აგინებდნენ ემპირიკოსებს, ქელავდნენ მათ მოძღვრებას თავიანთი უსხეულო ფეხებით, მაგრამ მათ საკითხი ერთი ნაბიჯითაც კი არ წაუწევიათ წინ. იდეალიზმს საკუთრივ ბუნებისმეტყველებისათვის არაფერი არ გაუკეთებია... ნება მომეცით დავთქვა! მან დაამუშავა, დაამზადა უსასრულო ფორმა ფაქტობრივი მეცნიერების უსასრულო შინაარსისათვის, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ გამოუყენებია იგი. ეს მომავლის საქმეა... ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ სავსებით განვლილზე თუ არა, ყოველ შემთხვევაში — წარმავალ მომენტზე. იდეალიზმი ყოველთვის შეიცავდა რაღაცას, აუტანლად თავხედურს: ადამიანი, რომელიც დარწმუნებულა, რომ ბუნება ჩმახია, რომ ყოველივე დროებითი მისი ყურადღების ღირსი არ არის, ხდება ამაყი, თავისი ცალმხრიობით ულმობელი, და მისთვის სრულიად მიუწვდომელია ჰეშმარიტება. იდეალიზმი ქედმაღლურად ფიქრობდა, საკმარისია მან რაიმე აბუჩადამგდები ფრაზა თქვას ემპირიის შესახებ, — და ეს უკანასკნელი მტვრად გადაიქცევა. ძალაბუნებოვანი მეტაფიზიკოსები შეცდნენ: მათ ვერ გაიგეს, რომ ემპირიას საფუძვლად უდევს ფართო საწყისი, რომელსაც ძნელად შეარყევს იდეალიზმი. ემპირიკოსებმა გაიგეს, რომ საგნის არსებობა ხუმრობა როდია; რომ გრძნობებისა და საგნის ურთიერთმოქმედება ცთომილება არ არის; რომ ჩვენი გარემომცველი საგნები არ შეიძლება ჰეშმარიტნი არ იყვნენ უკვე იმიტომ, რომ

ისინი არსებობენ; ისინი ნდობით მიუბრუნდნენ იმას, რაც არის, ნაცვლად იმის ძიებისა, რაც უნდა იყოს, მაგრამ რაც, უცნაური ამბავია, არსად არ არის! მათ ბავშვური უბრალოებით მიიღეს სამყარო და გრძნობები და მოუწოდებდნენ ადამიანებს ჩამოსულიყვნენ ნისლოვანი ღრუბლებიდან, სადაც მეტაფიზიკოსები სქოლასტიკურ აბდაუბდას დასტრიალებდნენ; ისინი მოუწოდებდნენ მათ არსებულისა და ნამდვილისაკენ; ემპირიკოსებმა გაიხსენეს, რომ ადამიანს აქვს ხუთი გრძნობა, რომლებზედაც დაფუძნებულია მისი პირველი დამოკიდებულება ბუნებასთან, და თავიანთი მსოფლმხედველობით გამოხატეს გრძნობადი ჭვრეტის — აზრის აუცილებელი, ერთადერთი წინამორბედის პირველი ელემენტები. უემპირიოდ არ არის მეცნიერება, ისევე როგორც იგი არ არის ცალმხრივ ემპირიზმშიც. ცდა და გონებითი ჭვრეტა ერთი და იგივე ცოდნის ორი აუცილებელი, ჭეშმარიტი, ნამდვილი საფეხურია; სპეკულაცია მეტი არაფერია, თუ არა უმაღლესი, განვითარებული ემპირია; დაპირდაპირებით, განმხოლოებით და განყენებულად აღებულნი, ისინი ისევე ვერ მიგვიყვანენ საქმემდე, როგორც ანალიზი უსინთეზოდ ან სინთეზი უანალიზოდ. ემპირია, თუ სწორად განვითარდა, უეჭველად უნდა გადავიდეს სპეკულაციაში, და მხოლოდ ის გონებითი ჭვრეტა არ იქნება ფუჭი იდეალიზმი, რომელიც ცდას ეფუძნება. ცდა ცოდნის საქმეში ქრონოლოგიურად პირველია, მაგრამ მას თავისი საზღვრები აქვს, რომელთა იქით იგი ან გადაცდება გზას ან გონებითს ჭვრეტაში გადადის. ეს ორი მაგდებურგული ნახევარსფეროა, რომელნიც ერთიმეორეს ეძებენ და რომელთაც, შეხვედრის შემდეგ, ცხენების საშუალებითაც ვერ მოგლეჯ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნათქვამის სიმართლე საკმაოდ მარტივია, იგი შორსაა იმისაგან, რომ შეცნობილი იყოს: ანტაგონიზმი ემპირიასა და სპეკულაციას შორის, ბუნებისმეტყველებასა და ფილოსოფიას შორის გრძელდება. ეს რომ გავიგოთ, უნდა გავიხსენოთ ის დრო, როცა ბუნებისმეტყველება ფილოსოფიას ჩამოშორდა: ეს იყო მეცნიერე-

ბათა აღორძინების საზეიმო და დიად ეპოქაში, როცა გაახალ-
გაზრდავებულმა ადამიანმა კვლავ იგრძნო მხურვალე სისხლ-
ძარღვებში და იწყო თავისი აზრით განსჯა და შესწავლა
ყოველივე იმისა, რაც მას გარს ეხვია. გულისწყრომით შეხე-
და მაშინ დადებითი, პრაქტიკული გონების მქონე ყველა
ადამიანმა სქოლასტიკას; მათ, როგორც ეს ყოველთვის ხდე-
ბა გადატრიალებათა დროს, დაივიწყეს მთელი მისი დამსა-
ხურება და ახსოვდათ მხოლოდ ის მძიმე უღელი, რასაც იგი
აზრს ადებდა, ახსოვდათ, თუ იგი, მოსპობილი, მორჩილი,
ავტორიტეტქვეშ მოქცეული, როგორ იყო გართული ფუჭი
ფორმალური ინტერესებით, და სიძულვილით უკუაგდეს იგი.
აჯანყება არისტოტელეს წინააღმდეგ ახალი აზროვნების
თვითმყოფობის დასაწყისი იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ
საშუალო საუკუნეთა არისტოტელე იყო არა ნამდვილი არის-
ტოტელე, არამედ კათოლიკურ ყაიდაზე გადაკეთებული; ეს
იყო ტონზურიანი[90] არისტოტელე. იგი, კანონიზებული წარ-
მართი, ერთნაირად უარყვეს დეკარტმა და ბეკონმა. შეხე-
დეთ, თუ რა ფიცხი უგულებელყოფით ლაპარაკობენ სკო-
ლურ მეტაფიზიკოსებზე XVIII საუკუნის ქიმიკოსები და რა
სიხარულით აცხადებენ ცდის, დაკვირვების, ემპირიის უფ-
ლებებს, თუ როგორ არაფერს არ ცნობენ ისინი გრძნობადი
უცილობლობის გარეშე, როგორ აძრწუნებს მათ ყოველივე,
რაც კი სქოლასტიკურ ბორკილებს მოგვაგონებს. მათ მსუ-
ბუქად და ლაღად იგრძნეს თავი, რადგან ისინი იმ მიწაზე
დადგნენ, რომელზე დგომაც ადამიანს უწერია; მათ მოძებ-
ნეს გარეგანი დასაყრდენი წერტილი, ამოსავალი წერტილი;
ისინი თავგამოდებით იცავდნენ მას და გაემართნენ თავიანთი
გზით, საძნელო, ქვიშიანი გზით; მათ არ ეშინოდათ შრომი-
სა, — მათი მეცადინეობის უეჭველი რეალობა წარიტაცებდა
მათ; მოვლენებით დაულეველად მდიდარი ბუნება დიდხანს
აკმაყოფილებდა მათ ხარბ ცოდნისმოყვარეობას; მაგრამ,
თავისთავად იგულისხმება, ნატურალისტები გარდუვალად
უნდა მისულიყვნენ თავიანთი მსოფლმხედველობის საზღვრე-
ბამდე, იმიტომ რომ მათი მსოფლმხედველობა ვიწრო იყო,

და, მართლაც, მივიდნენ ამ საზღვრებამდე; მაგრამ სქოლასტიკის შიშმა სძლია: ისინი არ გამოდიან მათ მიერვე ნებაყოფლობით შეკრული რკალიდან. ფილოსოფიისათვის უფრო ადვილი იყო ლოგიკის ჭეშმარიტ და ნამდვილ საფუძვლებამდე მისულიყო, ვიდრე თავისი რეპუტაცია გამოესწორებინა. თუმცაღა, რეპუტაციის ეს აღდგენა მას სავსებით მხოლოდ ჩვენს დროში შეუძლია, — სქოლასტიკური საფუარი მხოლოდ ახლა იწყებს მისგან გამოფიტვას. იდეალიზმი სხვა არაფერია, თუ არა პროტესტანტული სამყაროს სქოლასტიკა. იგი ცალმხრიობაში არასოდეს არ ჩამოუვარდებოდა ემპირიას; მას არასოდეს არ უნდოდა გაეგო იგი, და, როცა გაიგო, უნებლიეთ მედიდურად გაუწოდა მას ხელი, შეინდო იგი, ზავის პირობა უკარნახა, მაშინ როცა ემპირიას არასოდეს არ უფიქრია პატიება ეთხოვა მისთვის. სრულიად უეჭველია, რომ გონებითი ჭვრეტა და ემპირია ერთნაირად დამნაშავენი არიან ურთიერთ გაუგებლობაში, და ახლა საქმე ის კი არ არის, რომ გავამართლოთ ერთი მხარე მეორეს ხარჯზე, არამედ ის, რომ ავხსნათ, თუ როგორ მოხვდნენ ისინი მენენიუს აგრიპას[91] ცნობილი იგავის ბრძოლაში და ცხადვყოთ, რომ ეს არის განვლილი ფაქტი, რომელიც კუბოსა და ისტორიას ეკუთვნის, რომ ამ ბრძოლის განგრძობა ორივე მხარისათვის მავნე და უაზროა. ფილოსოფიაც და ბუნებისმეტყველებაც გაიზარდნენ თავიანთი დროებითი ანტაგონიზმისაგან, მათ ხელთ აქვთ ყველა საშუალება გაიგონ, საიდან წარმოდგა ეს ანტაგონიზმი და რაში მდგომარეობდა მისი ისტორიული აუცილებლობა, — მხოლოდ მტრობის მემკვიდრეობითს გრძნობას ძალუძს ხავსმოდებულ და უბადრუკ ურთიერთ ბრალდებებს გააძლებინოს. საჭიროა რათა მათ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ერთმანეთს აუხსნან საქმის ვითარება, ერთხელ და სამუდამოდ გაიგონ თავიანთი ურთიერთობა და თავი დააღწიონ ანტაგონიზმს: ყოველი განკერძოება ხამძიმოა, იგი ადგილს არ უტოვებს თავისუფალ განვითარებას. მაგრამ ამ ახსნისათვის აუცილებელია, რათა ფილოსოფიამ თავი გაანებოს თავის უხეშ პრეტენზიას — უეჭველი ბა-

ტონობისა და სამუდამო უცოდველობის პრეტენზიას. ფილოსოფიას მეცნიერებაში სამართლიანად, ნამდვილად ეკუთვნის ცენტრალური ადგილი, რომელიც მას საკუთარი შეუძლია გამოიყენოს, როცა ხელს აიღებს მის მოთხოვნაზე, როცა გულახდილად დასძლევს თავის დუალიზმს, იდეალიზმს, მეტაფიზიკურ განყენებულობას, როცა მისი სრულასაკოვანი ენა გადაეჩვევა გაუბედაობას სიტყვების წინაშე, ძრწოლას გონებითი დასკვნის წინაშე; მისი ძალა მაშინ უფრო მეტად იქნება აღიარებული, ვიდრე იგი ნამდვილად იქნება აღიარებული; წინააღმდეგ შემთხვევაში, რამდენიც გნებავთ, გამოაცხადეთ თავი აბსოლუტურად,— არავინ დაიჯერებს, და კერძო მეცნიერებანი თავიანთ ფედერალურ ცნებათა მქონენი დარჩებიან*. ფილოსოფია ავითარებს ბუნებასა და ცნობიერებას a priori**, და ამაშია მისი შემოქმედებითი ძალა; მაგრამ ბუნება და ისტორია სწორედ იმით არიან დიადნი, რომ მათ ეს a priori არ სჭირდებათ: ისინი თვითონ წარმოადგენენ ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც a posteriori *** ავითარებს ლოგიკას. რა შენჩემობაა აქ? მეცნიერება ერთია: ორი მეცნიერება არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ორი სამყარო; დასაბამიდან მეცნიერებებს ადარებდნენ დატოტვილ ხეს; მსგავსება მეტისმეტად უტყუარია: ხის ყოველ ტოტს, ყოველ კვირტსაც კი თავისი შეფარდებითი თვითმყოფობა აქვს, ისინი შეიძლება ცალკეულ მცენარეებად მივიჩნიოთ; მაგრამ მათი ერთობლიობა ეკუთვნის ერთ მთელს, ამ მ ც ე ნ ა რ ე თ ა ცოცხალ მ ც ე ნ ა რ ე ს — ხეს; მოაცილეთ ტოტები — დარჩება მკვდარი კუნძი, მოაცილეთ ღერო — დაიშლებიან ტოტები. ცოდნის ყველა დარგს აქვს თვითმყოფობა, განმარტოებულობა, მაგრამ მათში უეჭველად შესულია რაღაც მოცემული, წანამძღვარი, არა მათ მიერ დაკანონებული; ისინი,

* ისტორიაში ყველაფერი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ აბსოლუტურია; შეუფარდებლად აბსოლუტური ლოგიკური განყენებაა, რომელიც ლოგიკის ფარგლებს იქით მაშინვე შეფარდებითი ხდება. — ა. გ.

** ცდისაგან დამოუკიდებლად (ლათ.). — რ ე დ.

*** ცდის საფუძველზე (ლათ.). — რ ე დ.

ნამდვილი რომ ითქვას, წარმოადგენენ ერთი არსების კუთვნილ ორგანოებს; მოაშორეთ ორგანო ორგანიზმს, და იგი აღარ იქნება სიცოცხლის მატარებელი, მკვდარ საგნად გადაიქცევა, და, თავის მხრივ, ორგანიზმიც, ორგანოებს მოკლებული, დასახიჩრებულ გვამად, ნაწილაკების გროვად იქცევა. სიცოცხლე არის მრავალსხვაობის მუდმივი ერთიანობა, მთელისა და ნაწილების ერთიანობა; როცა მათ შორის კავშირი დარღვეულია, როცა დამაკავშირებელი და შემნახველი ერთიანობა დარღვეულია, მაშინ ყოველი წერტილი იწყებს თავის პროცესს: იწყება სიკვდილი და გვამის ხრწნა, ნაწილების სრული განთავისუფლება. კიდევ შედარება. კერძო მეცნიერებანი შეადგენენ პლანეტების სამყაროს, რომელსაც ცენტრი აქვს; იგი მიკუთვნებულია ამ ცენტრს და მისგან იღებს სინათლეს; მაგრამ, ამას რომ ვამბობთ, ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ სინათლე ორი მომენტის საქმეა და არა ერთისა; უპლანეტებოდ მზე არ იქნებოდა. აი ეს ორგანული თანაფარდობა ფაქტობრივ მეცნიერებებსა და ფილოსოფიას შორის არ არის ზოგიერთი ეპოქის ცნობიერებაში, და მაშინ ფილოსოფია აბსტრაქციებში ეფლობა, ხოლო დადებითი მეცნიერებანი ფაქტების გროვაში იძირებიან. ასეთმა შეზღუდულობამ ადრე თუ გვიან გამოსავალი უნდა პოვოს: ემპირიას აღარ შეეშინდება აზრისა: აზრი, თავის მხრივ, არ გაექცევა მოვლენათა სამყაროს უძრავ უცხოობას; მხოლოდ მაშინ დაიძლევა სავსებით გარეთ არსებული საგანი, ვინაიდან ვერც განყენებული მეტაფიზიკა მოერევა მას და ვერც კერძო მეცნიერებანი: მხოლოდ ემპირიაზე გაზრდილი სპეკულატური ფილოსოფია არის ის საშინელი ბრძმედი, რომლის ცეცხლს ვერაფერი ვერ გაუძლებს. კერძო მეცნიერებანი სასრულნი არიან, ისინი შეზღუდულნი არიან ორი წანამძღვრით: საგნით, რომელიც მტკიცედ დგას მეთვალყურის გარეშე, და მეთვალყურის პიროვნებით, რომელიც პირდაპირ უპირისპირდება საგანს. ფილოსოფია ლოგიკით მოხსნის პიროვნებასა და საგანს, მაგრამ, ამავე დროს, ინარჩუნებს მათ. ფილოსოფია კერძო ნეცნიერებათა ერთიანო-

ბაა; ისინი შეერთვიან მას, მის საზრდოს წარმოადგენენ. ახალ ხანას ეკუთვნის შეხედულება, რომელიც ფილოსოფიას მეცნიერებათაგან გამოყოფილად თვლის; ეს შეხედულება დუალიზმის მომაკვდინებელი ნაყოფია; ეს მისი დანის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა განაკვეთია. ძველ სამყაროში უკანონო ბრძოლა ფილოსოფიასა და კერძო მეცნიერებათა შორის სულაც არ ყოფილა; იგი ხელიხელჩაკიდებული გამოვიდა იონიიდან და თავის აპოთეოზს არისტოტელეში* მიაღწია. დუალიზმი, რომელიც სქოლასტიკის დიდებას შეადგენდა, შეიცავდა, როგორც თავის აუცილებელ შედეგს, განყენებულ იდეალიზმად და განყენებულ ემპირიად გათიშვას; იგი თავის ულმობელ დანას ავლებდა უაღრესად განუყრელში, გვარეობასა და განუყოფელს შორის, სიცოცხლესა და ცოცხალს შორის, აზროვნებასა და მოაზროვნეთა შორის; და მას არც ერთ, არც მეორე მხარეს არაფერი რჩებოდა ან, კიდევ უარესი, რჩებოდა ლანდები, რომლებსაც სინამდვილედ მიიჩნევდნენ. ფილოსოფია, რომელიც კერძო მეცნიერებებს, ემპირიას არ ეყრდნობა, ლანდია, მეტაფიზიკაა, იდეალიზმია. ემპირია, რომელიც ფილოსოფიისაგან განმარტოებულა,— არის კრებული, ლექსიკონი, ინვენტარი ან, თუ ეს ასე არ არის, იგი თავის თავს ღალატობს. ჩვენ ამას ახლა დავინახავთ.

ფაქტი, რომელიც პირველი შეხედვითვე თვალში გვეცემა ფიზიკურ მეცნიერებებში, ის არის, რომ ბუნებისმკვლეელარნი მხოლოდ ამბობენ, ემპირიას არ ვცილდებითო, ნამდვილად კი თითქმის არასოდეს არ რჩებიან მასში; ისინი სცილდებიან ცდისეული ცოდნის საზღვრებს ისე, რომ ანგარიშს არ აძლევენ თავიანთ თავს, თუ რას შვრებიან; მეცნიერებათა საქმეში არაცნობიერად სვლა შეუძლებელია გზიდან აუცდენლად; იმისათვის, რომ მართლაც გადალახო რომელიმე ლოგიკური მომენტის საზღვრები, საჭიროა იმის გაგება მაინც, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს ამოწურული

* სოკრატი ფიზიკურ მეცნიერებათ როგორღაც ჩვენი ფილოლოგების მსგავსად უყურებდა; მაგრამ ეს დროებითი უთანხმოება იყო. — ა. გ.

ფორმის შეზღუდულობა; ქვეყნად ისე არაფერი ჰრევს ცნებებს, როგორც არაცნობიერი გადასვლა ერთი მომენტიდან მეორეში. სანამ ბუნებისმეტყველება ნამდვილად რჩება ემპირიის ფარგლებში, იგი ჩინებულად ასახავს ბუნებას, იგი არსებულს, კერძოს, ფენომენალურს საყოველთაო ენაზე სთარგმნის; ეს არის მეცნიერების უძრავი ქონების დაწვრილებითი და აუცილებელი კადასტრი, ეს არის მასალა, რომელსაც შემდგომი განვითარების უნარი შესწევს, თუმცა ამ განვითარებას შეიძლება მეტად დიდხანს არ ექნეს ადგილი; ასეთი ემპირიის ფარგლებში დარჩენა მართლაც ძნელია, თითქმის შეუძლებელია; ამისათვის საჭიროა უდიდესი თავშეკავებულობა, უდიდესი თავგანწირულება, კიუვეს გენიოსობა ან რომელიმე ბეცი სპეციალისტის სიჩლუნგე. ბუნებისმკვლევართ, რომელნიც ასე ხმამაღლა და განუწყვეტლივ აქებენ ცდას, აღწერილობითი ნაწილი, არსებითად, მალე მობეზრდებათ. მათ აშკარად არ სურთ მხოლოდ კეთილსინდისიერი ნუსხის ამარა დარჩნენ; ისინი გრძნობენ, რომ ეს მეცნიერება არ არის, ისწრაფვიან გარეთ აზროვნება ცდის საქმეში, აზრით გააშუქონ ის, რაც მასში ბნელია, და აქ ისინი ჩვეულებრივ იბნევიან და იფლობიან ცუდად გაგებულ კატეგორიებში, განუსჯელად მიდიან, თავს ანგარიშს არ აძლევენ საკუთარ მოქმედებაში, შიშობენ ხელიდან გაუშვან გრძნობადი უტყუარობით მოცემული საგანი და ვერ ამჩნევენ, რომ ეს საგანი ერთ დიდი ხანია გამოიცვალა; შიშობენ დაენდონ აზროვნებას და, დიალექტიკური მოძრაობის ნაკადით უნებლიეთ გატაცებულნი, საგანს მის დაპირისპირებულ განსაზღვრებად შლიან და განცალკევებულ საწყისთა შეერთების შესაძლებლობას კარგავენ. ემპირიიდან გამოსვლის მისწრაფება სავსებით ბუნებრივია, — განაპირება ადამიანის სულს ეზიზღება. ბუნებასთან წმინდა-ემპირიული დამოკიდებულება ცხოველს აქვს, სამაგიეროდ ცხოველი მხოლოდ პრაქტიკულად ეკიდება გარემომცველ სამყაროს; იგი არ კმაყოფილდება ბუნების ნაწარმოებთა პასიური მზერით და სჭამს მათ ან განშორდება. ადამიანი გრძნობს დაუძლეველ მოთხოვნილებას — ცდიდან

ცოდნით მოცემულის სრულყოფილ ათვისებამდე ავიდეს; წინაა
ღმდეგ შემთხვევაში ეს მოცემული მას აწუხებს, საჭირ
ხდება მისი ა ტ ა ნ ა (Subir), რაც შეუთავსებელია სულ
თავისუფლებასთან. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლოგიკის
და ფილოსოფიის ყოვლად მოურჯულებელმა მტრებმა ვერ
შეძლეს თავი დაეცვათ თეორიულ ოცნებათაგან. რომელ ნიც
უაზრობით ზოგჯერ არ ჩამოუვარდებიან ყველაზე ტრანსცენ-
დენტალურ იდეალიზმს. განა ქიმიკოსებს არა ჰქონდათ თა-
ვიანთი «quinta essentia»*, თავიანთი «მსოფლიო აირი»,
წარმოშობის თავიანთი თეორიები, ლითონების თავიანთი
თეორია, ფლოგისტონის თავიანთი თეორია და სხვა? საქმე
ის არის, რომ ადამიანი თეორიულ ოცნებათა სამყაროში
უფრო იმყოფება თავისთან, ვიდრე ფაქტების მრავალსხვა-
ობის სფეროში. მასალების შეგროვება, მათი გარჩევა და შეს-
წავლა უაღრესად მნიშვნელოვანია; მაგრამ აზრის მიერ გადა-
უმუშავებელი ცნობების გროვა გონებას ვერ აკმაყოფილებს.
ფაქტები და ცნობები წარმოებული გამოძიების აუცილებელ
დოკუმენტებს წარმოადგენენ, მაგრამ მსჯავრი და განაჩენი
ჯერ კიდევ წინ არის; იგი დოკუმენტებს დაეყრდნობა, მაგრამ
თ ა ვ ი ს ა ს იტყვის. ფაქტები მხოლოდ გროვაა ერთგვაროვანი
მასალისა და არა ცოცხალი ზრდა, რაც უნდა სრული
იყოს ნაწილების ჯამი. ემპირიკოსები, რომლებსაც ეს ინს-
ტინქტურად ესმით, განსჯითი აბსტრაქციებისაკენ გადადიან
და მათი საშუალებით ფიქრობენ ნაწილების მიხედვით ჩას-
წვდნენ მთელს; ამრიგად, ისინი კარგავენ ნამდვილად არსე-
ბულ საგანს, რაკი მას მხოლოდ გონებაში არსებული აბსტრაქ-
ციებით ცვლიან. რომ ისინი გულწრფელად ენდობოდნენ აზრო-
ვნებას, ის მათ ცალმხრიობიდან გამოიყვანდა იმავე დიალექ-
ტიკური აუცილებლობით, რომელმაც აიძულა ისინი უშუალო
ყოფიერებიდან განსჯითს გაშუამავლებაზე გადასულიყვნენ;

---

* კვინტ-ესენცია (ლათ.)— ძირითადი არსი, სიტყვასიტყვით — მეხუთე
არსი, რომელსაც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში დანარჩენ ოთხ ელემენტს —
წყალს, მიწას, ცეცხლსა და ჰაერს უპირისპირებდნენ. — რ ე დ.

იკი მათ მიიყვანდა ასეთი ცოდნის სასრულობის შეგნებამდე, იმის შეგნებამდე, რომ უაზრობაა შეჩერდე მიზეზთა და მოქმედებათა გამოუვალ წრებრუნვაში, რომელშიც თვითეული მიზეზი მოქმედებაა და თვითეული მოქმედება მიზეზია, შეჩერდე ფორმისა და შინაარსის ძალის და გამოვლინების არსისა და ყოფიერების უცნაური გათიშვის სფეროში. მაგრამ ისინი აზროვნებას არ'ენდობიან; უფრო მეტი: რაკი ხედავენ განსჯითი მოძრაობის გზით ჭეშმარიტების მიღწევის წარუმართებელ ცდებს, ისინი უფრო მხედრდებიან ყოველგვარი აზროვნების წინააღმდეგ; ნანობენ, რომ დრო დაკარგეს ემპირიული სფეროს გარეთ. მაგრამ რისთვისღა მიმართავენ ისინი ლოგიკურ მოქმედებას, რაკი მის აზრში თავის თავს ანგარიშს არ აძლევენ? მათ წარმოუდგენიათ, რომ თუ ისინი ემპირიიდან ახსნაზე გადადიან, მაშინ მთელი საგანი მათთან ხელუხლებელი და დაცული რჩება; მაშინ როცა განყენებულ კატეგორიებს ძალა არ შესწევთ წარმოგვიდგინოს საგანი ისე, როგორც იგი არის, განსჯა, როგორც გალვანური ჭურვი ან სრულებით არ მოქმედებს ან თავისი მოქმედებით ორ დაპირისპირებად შლის, — მისი რომელი შედეგიც უნდა აიღოთ. იგი ცალმხრივია, იგი შემადგენელი ნაწილია. განსჯითი მოძრაობის ამ ნისლოვან გარემოში შედიან ემპირიკოსები და უფრო შორს არ მიდიან, — ამავე დროს კი ეს გარემო ჭეშმარიტია მხოლოდ როგორც გადასასვლელი, როგორც გზა, რომლის მიზანია განვლილ იქნეს იგი; განსჯითი მეცნიერების აზრი რომ გაეგოთ, მაშინ მოჩვენებითი ზღუდე ცდასა და გონებითს ჭვრეტას შორის თავისთავად მოისპობოდა; ახლა კი ემპირია ფილოსოფიას და ფილოსოფია ემპირიას ამ გარემოში უცქერიან და ერთმანეთს დამახინჯებულს ხედავენ; ემპირია, წაკვეთილ და არანამდვილ განსჯითს ჭეშმარიტებას რომ ხედავს, ფიქრობს, რომ ეს თვით აზროვნების ბრალია; ფილოსოფია მასვე ცდისეული ცოდნის შედეგად თვლის. რეფლექსიაზე შეჩერება უარესია, ვიდრე ემპირიაზე შეჩერება: ყოველივე უაზრო, ყოველივე საეჭვო, რასაც ფიზიკურ მეცნიერებებში შეხვდებით, სწორედ

ვარეგნული მოფიქრებისა და ახსნითი თეორიებისაგან წარმოდგება*.

ნატურალისტებს, რომლებიც განსჯითს მოძრაობამდე მივიდნენ, წარმოუდგენიათ, რომ ანალიზი, ანალოგია და, ბოლოს, ინდუქცია, როგორც ორივეს შემდგომი განვითარება, — ერთადერთი საშუალებებია საგნის გაგებისა ისე, რომ იგი დატოვო ხელუხლებელი, როგორც იყო; მაგრამ სწორედ ეს არ არის საჭირო და შეუძლებელიცაა. ჯერ ერთი, ანალიზი ქვას ქვაზე არ ტოვებს მოცემულ საგანში და ყოველთვის იმით გაათავებს, რომ ემპირიით მოცემულს განყენებულ ზოგადობაზე დაიყვანს; ანალიზი მართალია: იგი თავის საქმეს აკეთებს; მართალი არ არის ის, ვინც ანალიზს იყენებს მისი მოქმედების მხედველობაში მიუღებლად და მასზე ჩერდება. მეორეც, სურვილი — დატოვო საგანი ისე, როგორც არის, გაიგო ის

* უფლებას ვიტოვებ შემდეგში გიჩვენოთ დადებით მეცნიერებათა თეორიული უაზრობის რამდენიმე განსაცვიფრებელი ნიმუში; ახლა მხოლოდ მიგითითებთ ფიზიკის ყველა არსებულ კურსზე: ბიოს, ლამეს, გეილიუსაკის, დეპრეს, პულიეს და სხვათა და სხვათა. ქიმია უფროა საქმით გართული, მისი საგანი უფრო კონკრეტულია, უფრო ემპირიულია; მაგრამ ფიზიკა უფრო განყენებულია თავისი საკითხებით და ამიტომ ჰიპოთეზური ახსნითი თეორიების ზეიმს წარმოადგენს (ე. ი. ისეთი თეორიებისა, რომელთა შესახებ წინდაწინ იციან, რომ ისინი აბდაუბდაა). თავიდანვე ფიზიკაში იღუპება ემპირიული საგანი; გვევლინება მხოლოდ ზოგადი თვისებანი: მატერია, ძალა; შემდეგ შემოაქვთ რაღაც გარეშე აგენტები: ელექტრობა, მაგნეტიზმი და სხვ., საცოდავი სითბოც კი სცადეს თბოუნარაში განესახიერებინათ, — ბუნების ბერძნული ანთროპომორფიზმი, ოღონდ მშრალი, უშნო. მერე სინათლის თეორია? სინათლის ორი მოპირისპირე თეორია, ორივე უკუგდებული, ორივე აღიარებული, რადგან არის მოვლენები, რომლებიც აიხსნება ერთი თეორიით, ხოლო სხვა მოვლენები — მეორე თეორიით! და როგორ გინდა, რომ არ განსაზღვრავდნენ მას: იგი სითხეც არის, ძალაც, უწონოც! რატომ არის იგი სითხე, როცა უწონოა, — მერე ასეთი მჩატე სითხე? რატომ გრანიტი არ მივიჩნიოთ უმძიმეს სითხედ? მერე რა უბადრუკი განსაზღვრაა უწონობისა! სინათლეს, გარდა ამისა, არც სუნი აქვს? ძალა — აქაც არ არის საქმე უკეთ. რატომ არ უნდა ითქვას: სინათლე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა ძალაზე ყველაფერი შეიძლება დავიყვანოთ როგორც მოვლენათა საკმაო მიზეზზე. რატომ ბგერას არავინ არ თვლის არც სითხედ და არც ძალად

ისე, რომ აზრში არ გადაწყვიტო,—არათუ ალოგიზმია, არამედ პირდაპირ სისულელეცაა? კერძოდ საგანი, მოვლენა, ხელუხლებელი რჩება, თუ კაცი არ ფიქრობს მასზე და მხოლოდ უყურებს მას, როცა იგი მისდამი ინდიფერენტულია; როდესაც ადამიანი საგანს ასახელებს, ამით მას კერძოობათა სფეროში უკვე აღარ ტოვებს, არამედ ზოგადობაში აჰყავს. მაშ როგორ გავიგოთ მოვლენათა აზრი, თუ იგი ლოგიკურ პროცესში არ ჩავაბით (თუ მას ჩვენგან არაფერი მივუმატეთ, როგორც ჩვეულებრივ იტყვიან?) ლოგიკური პროცესი ადამიანის შემეცნების ერთადერთი საყოველთაო საშუალებაა; ბუნება თვითონ არ შეიცავს თავის აზრს, — ამაშია მისი განმასხვავებელი ხასიათი; სწორედ აზროვნება შეავსებს, ავითარებს მას, ბუნება მხოლოდ არსებობაა და თავის თავს, ასე ვთქვათ, გამოეყოფა ადამიანის ცნობიერებაში, რათა გაიგოს თავისი ყოფიერება; აზროვნება უცხო რამეს კი არ უმატებს, არამედ განაგრძობს ა უ ც ი ლ ებ ელ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს, ურომლისოდ სამყარო არაა სრული,—სწორედ იმ განვითარებას, რომელიც იწყება სტიქიური ბრძოლით, ქიმიური თვისებით და თავდება ადამიანის თავის თვითშემეცნებელი ტვინით. სურთ გონება გადააქციონ პასიურ

(თუმცა გასენდი კიდეც ლაპარაკობდა ბგერის ატომებზე). რატომ სხეულის ნაკვეთებს არავინ უწოდებს მის უწონო ფორმას? ამაზე გვიპასუხებენ, ფორმა სხეულის დამახასიათებელიაო, ბგერა კი ჰაერის შერხევა არისო. მაგრამ განა ვინმეს უნახავს მთელი საზოგადოება imponderabilium სხეულთა გარეშე, ისე — თავისთავად? — «ყოველივე ეს ხომ მხოლოდ დროებით განსაზღვრანია იმისათვის, რომ როგორმე არ დავიბნეთ; ამ თეორიებს თვითონაც არ ვაკუთვნებთ დიდ მნიშვნელობასო». ძალიან კარგი, მაგრამ როდისმე ხომ საჭიროა სერიოზულადაც გავარკვიოთ მოვლენათა აზრი; სულ ხუმრობა არ შეიძლება; თუ უსაფუძვლო ჰიპოთეზებს პრაქტიკული სარგებლობისათვის მივიღებთ, ბოლოს, სრულიად აგვებნევა გზა-კვალი. ამ მეთოდს საშინელი ვნება მოაქვს მოსწავლეებისათვის, რამდენადაც იგი ცნებათა ნაცვლად ს ი ტ ყ ვ ე ბ ს აწვდის მათ, და ყალბი დაკმაყოფილებით კლავს, მათში კითხვას. «რა არის ელექტრობა» — უწონო სითხე. ხომ მართალია, სჯობდა მოსწავლეს მიეგო: — «არ ვიცი»?. — ა. გ. Imponderabilium — უწონო; ponderare — აწონვა (ლათ.). — რ ე დ.

მიმღებად, თავისებურ სარკედ, რომელიც მოცემულს არეკ-
ლავდა შეუცვლელად, ე. ი. მოელი მისი შემთხვევითობით,
შეუთვისებლად, — ჩლუნგად, უაზროდ; ხოლო მოცემული,
დროსა და სივრცეში არსებული, სურთ ქმედით საწყისად
გადააქციონ, — ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ბუნებრივ წეს-
რიგს. ამიტომაცაა, რომ იგი, მართლაც, არასოდეს არ ხერხ-
დება: წარმოუდგენიათ, თავით ვივლითო და ფეხებით კი
დადიან. საგნის გარეგნულად ახსნა იმის აღიარებას ნიშნავს,
რომ მისი გაგება არ შეიძლება; მსგავსობით საგნის ახსნა
ზოგჯერ სასარგებლოა, მაგრამ მეტწილად უბადრუკი საშუ-
ალებაა; არავინ მიმართავს ანალოგიას, თუ შეუძლია თავისი
აზრი ნათლად და მარტივად გამოთქვას. ტყუილად კი არ
ამბობენ ფრანგები: comparaison n'est pas raison*. მართლაც,
მკაცრი ლოგიკური თვალსაზრისით არც საგანს, არც მის
ცნებას არაფერი ესაქმებათ, ჰგვანან ისინი რაიმეს თუ არა:
აქედანაო და ორი საგანი ერთმანეთს ჰგავს ცნობილი მხა-
რეებით, ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაო უფლება დავასკვნათ
უცნობი მხარეების მსგავსება. რა უხეშ შეცდომებში ვარდე-
ბოდა, მაგალითად, გეოლოგია, როცა მას სურდა ალპის
მთების შესწავლით მიღებული ფაქტები განეზოგადებინა
სხვა ზოლების მიმართ; როცა ზოგადი კანონი ცნობილია,
თქვენ მას კერძო შემთხვევაში ეძებთ არა მარტო სხვა მოვ-
ლენებთან ანალოგიით, არამედ ლოგიკური აუცილებლობით.
ხშირად ანალოგია ერთ ემპირიულ წარმოდგენას მეორით
გამოდევნის; ამას უბრალოდ თვალების ახვევა ეწოდება.
თქვენ მოელით, მაგალითად, იმის ახსნას, თუ როგორ გა-
დასცემს თქვენი სულის მოძრაობას საერთო მგრძნობელო-
ბითი უნარი ნერვს, ნერვი — კუნთებს, თქვენ კი, ცნების ნაცვ-
ლად, გაჩრიან მუსიკოსის სახეს, მხატვრის ფანტაზიის გადამ-
ცემი დაჟიმული სიმების სახეს; უბრალო საკითხი რთულდება;
ეს მსგავსი ისევ სხვა მსგავს რაიმეზე შეგვიძლია დავიყვანოთ,
და პირვანდელი საგანი სავსებით ჩაიკარგება მსგავსებაში:
ეს სწორედ ის მეთოდია, რომლითაც ადამიანის პორტრეტი

* შედარება დასაბუთება არ არის (ფრანგ.). — რ ე დ.

მთელი რიგი მსგავსი ასლებით ხილის გამოსახულებაზე დაიყვანება. ამასვე განეკუთვნება ვითომდა მეტი სიცხადისათვის ძალით მოთრეული წარმოდგენანი: «თუ წარმოვიდგენთ, რომ სინათლის სხივი შედგება ეთერის უსასრულოდ მცირე ბურთულებისაგან, რომლებიც ერთმანეთს ეხებიან...» რისთვისღა უნდა წარმოვიდგინო, რომ მზის სინათლე მეცემა ისე, როგორც ბავშვები კვერცხებს აგორებენ, როცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასე არ არის? ფიზიკურ მეცნიერებებში ჩვეულებად მიღებულია დაუშვან ამგვარი ჰიპოთეზები, ე. ი. პირობითი სიცრუე ახსნისათვის; მაგრამ სიცრუე ახსნის გარეთ არა რჩება (თორემ იგი სულაც არ იქნებოდა საჭირო), არამედ მასში იჭრება, და ჭეშმარიტების ნაცვლად გამოდის რაღაც ნარევი ემპირიული სიმართლისა და ლოგიკური სიცრუისა; ეს სიცრუე ადრე თუ გვიან აშკარავდება და, სამართლიანად, ეჭვს შეგვატანიებს მასთან შედუღებულ ჭეშმარიტებაში; ქიმია და ფიზიკა ცნობენ ატომებს — ოცი წლის წინათ ატომები ყველა ქიმიური გამოკვლევის საფუძველს შეადგენდნენ. მათ რომ ცნობენ, ჩვეულებრივ პირველსავე გვერდზე გაფრთხილებენ, რომ ბუნებისმკვლევარებს, ნამდვილი რომ ითქვას, არაფერი ესაქმებათ, მართლაც შედგება სხეულები უაღრესად განუყოფადი, უხილავი, მაგრამ თვისებების, მოცულობისა და წონის მქონე ჟიჟმატებისაგან თუ არა,— რომ მათ იღებენ ისე, სიადვილისათვის, მოხერხებულობისათვის. ასეთი ზანტი მიღებით მათ თვითონვე დასცეს თავიანთი თეორია; ისინი დამნაშავენი არიან, რომ წინანდელი ფილოსოფია ღვარძლიანი გააფთრებით ესხმოდა თავს ატომიზმს; იგი განიხილავდა მას იმ უბადრუკი სახით, რომლითაც ატომიზმს გადმოსცემდნენ ფიზიკისა და ქიმიის კურსების შესავალში[92]. ძველი ატომისტები სრულიადაც არ ემასხრებოდნენ ატომებს; ისინი გამოდიოდნენ თუმცა ცალმხრივი, მაგრამ საერთო განვითარებაში აუცილებელი თვალსაზრისიდან და მწყობრად, თანმიმდევრულად მივიდნენ ატომიზმამდე; ატომი მათ დაუპირისპირეს ელეატურ შეხედულებას, რომელიც მთელ არსებულს აბსტრაქციებში აქცევდა;

ატომებში ისინი ხედავდნენ ნივთიერების საყოველთაო შუაგულს, მის უსასრულო ინდივიდუალიზაციას, ასე ვთქვათ, თვითეული წერტილის თავისთვის ყოფნას. ეს ბუნების გაგების ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი, არსებითი მომენტია; ბუნების ცნება აუცილებლად შეიცავს თვითეული ნაწილის ამ დანაწევრადობასა და მთლიანობას, ისევე როგორც უწყვეტობასა და ერთიანობას; თავისთავად იგულისხმება, რომ ატომიზმი არ ამოსწურავს ბუნების ცნებას (და ამაში იგი ჰგავს დინამიზმს); მასში იკარგება საყოველთაო ერთიანობა; დინამიზმში ნაწილები წარიშლებიან და იღუპებიან; ამოცანა ის არის, ყველა ეს თავისად არსებული ნაპერწკალი ერთ ალად შევაერთოთ ისე, რომ მათ შედარებითი თვითმყოფობა არ წავართვათ. დინამიზმი და ატომიზმი ჩვენს ერაში შემოსვლისას, ზეიმით, ძალოვანად მოგვეევლინენ სპინოზას ყოვლისშთანმთქმელ არსში და ლაიბნიცის მონადოლოგიაში. ეს არის აღორძინებული აზრის ორი დიადი მიჯნა, ჰერკულესის ორი სვეტი, აღმართული არა იმისათვის, რომ შემდგომი წინსვლა არ შეიძლებოდეს, არამედ იმისათვის, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელი იყოს. ჩვენ შემთხვევა გვექნება შემდეგ წერილებში ვილაპარაკოთ მონადოლოგიაზე, გასენდის ატომებზე, — მაგრამ თქვენ აქედანაც უკვე ხედავთ, რომ ატომიზმი მოაზროვნეთათვის ხუმრობა როდი იყო, რომ ატომები მათთვის აზრს, ჭეშმარიტებას წარმოადგენდა; ატომიზმი შეადგენდა ლეკიპეს, დემოკრიტეს და სხვათა შეხედულებას, რწმენას. ფიზიკოსები კი პირველ სიტყვიდანვე თანხმდებიან, რომ მათი თეორია, იქნებ, ჩმახია, მაგრამ შემამსუბუქებელი ჩმახი. მაშ, რატომღა ღალატობენ ისინი ატომებს და თანხმდებიან, რომ, იქნებ, ნივთიერება ატომებისაგან არ შედგებაო? სიზარმაცისა და გულგრილობის იმავე საუცხოო საფუძველზე, რომლითაც იღებენ ყოველგვარ ვარაუდს! გულახდილად რომ ვთქვათ, ამას „შეიძლება ეწოდოს ცინიზმი მეცნიერებაში. პულიე ამბობს: «შესაძლოა, ვულკანებმა როდისმე ამოტყორცნონ ისეთი სხეულები, რომლებშიც ატომები დასანახი იქნება».

რა ცნებას უკავშირებს პულიე ამის შემდეგ სიტყვა «ატომს»? ამავე დროს კი მათ გვერდით ფიზიკის მფარველი და კეთილისმყოფელი, მათემატიკა, ასე ლოგიკურად, ასე ნათლად გვიჩვენებს ამგვარ აბსტრაქციათა შეცნობილ, რაციონალურ გაგებას. მათემატიკა ამბობს, რომ ხაზი არის გარკვეული რიგით განლაგებული წერტილების უსასრულო რაოდენობა; ის ცნობს სივრცის უსასრულო გაყოფადობის შესაძლებლობას; მაგრამ მას ესმის, რასაც ამბობს; მას ესმის გაყოფადობის არა ნამდვილობა, არამედ განყენებული შესაძლებლობა; უფრო მეტი, მას ამასთან ერთად ესმის უთუოდ განფენილობაც და ისიც, რომ ნამდვილი ფორმა სტერეომეტრიულია; იგი აზრით და მის მიერ შეცნობილ ფარგლებში იღებს წერტილს, ხაზს, ფართობს. ამიტომაც არც ერთი მათემატიკოსი არ ელის აეროლიტს, რომელშიც წერტილები შესამჩნევი იქნებოდა ან ზედაპირი სხეულს მოძვრებოდა. ამიტომაც მათემატიკოსი არასოდეს არ მოახდენს უსასრულო გაყოფის ცდებს, არ დაიწყებს არც ქარსის ფხრეწას, არც მელნის ჩაწვეთებას კასრ წყალში და შემდეგ ბავშვების დაფრთხობას იმის გაანგარიშებით, თუ მელნის რა წილია ამ ერთ წვეთ წყალში. მან იცის: უსასრულო გაყოფადობა რომ ფაქტიურად შესაძლებელი იყოს, იგი უსასრულო არ იქნებოდა. სრულიად უეჭველია, მათემატიკა აზროვნებაში შეუდარებლად უფრო შორს წავიდა ფიზიკასთან შედარებით; მარტო უსასრულოდ მცირეთა თეორიაც ამტკიცებს ამას; მიუხედავად მთელი მეცადინეობისა, იგი ლოგიკასთან სიახლოეს ვერ წარიშლიდა; თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ (ისე, როგორც ამას მათემატიკოსები შვრებიან), რომ მას, პითაგორეედან დაწყებული, უპირატესად ფილოსოფოსები ავითარებდნენ: დეკარტემ, ლაიბნიცმა და კანტმაც კი გააცოცხლეს იგი, და, რა თქმა უნდა, ლაიბნიცი შემთხვევით არ მისულა მონადოლოგიიდან დიფერენციალებამდე... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

ნატურალისტები მზად არიან მოახდინონ ცდები, იშრომონ, იმოგზაურონ, ხიფათში ჩააგდონ თავიანთი სიცოცხლე,

შაგრამ მათ არ სურთ თავი შეიწუხონ და იფიქრონ, იმსჯელონ თავიანთ მეცნიერებაზე. აზრის წინაშე შიშის მიზეზი ჩვენ უკვე ვნახეთ; ფილოსოფიის განყენებულობას და მუდმივ მზადყოფნას — გადაეშვას სქოლასტიკურ მისტიციზმში ან ფუჭ მეტაფიზიკაში, მის მოჩვენებითს კარჩაკეტილობას, მის კმაყოფილებას, რომელიც არც ბუნებას საჭიროებს და არც ცდას, არც ისტორიას, უნდა ჩამოეშორებინა ის ადამიანები, ვინც ბუნებისმეტყველებისთვის დასდო თავი. მაგრამ რადგან ყოველგვარი ცალმხრიობა ნაყოფთან ერთად ღვარძლსაც წარმოშობს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი უნდა დასჯილიყვნენ თავიანთი თვალთახედვის შეზღუდულობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს თვალთახედვა მოპირდაპირე მხარის შეზღუდულობით იყო შეპირობებული. აზროვნებისადმი მინდობის შიში და უაზროვნებოდ ცოდნის შეუძლებლობა დაეტყო მათ თეორიებს: ისინი პირადულნი, მერყეენი, არადამაკმაყოფილებელნი არიან; ყოველი ახალი აღმოჩენა მათ დანგრევას უქადის; ისინი კი არ ვითარდებიან, არამედ ახლებით იცვლებიან. რაკი ნატურალისტები ყოველ თეორიას თვლიან პირადულ, საგნისადმი გარეგნულ საქმედ, კერძოობათა მოხერხებულ განლაგებად, ისინი ამით კარს უხსნიან მომაკვდინებელ სკეპტიციზმს, ზოგჯერ კი — გასაოცარ უაზრობასაც. მაგალითად, ჰომეოპატიის მოვლენა თავისთავად გასაკვირველი არ არის: ყველა ხანაში და ცოდნის ყველა დარგში იყო ახალ მოძღვრებათა უცნაური ცდები, რომლებიც უეჭველად შეიცავენ პატარა ჭეშმარიტებას ვეებერთელა სიცრუეში; კიდევ არ არის გასაკვირი, რომ მანდილოსნებსა და პარადოქსული გონების ადამიანებს მოეწონათ მარცვლებით მკურნალობა: მათ სწორედ იმიტომ იწამეს ჰომეოპატია, რომ იგი სრულიად დაუჯერებელია. მაგრამ როგორ უნდა აიხსნას ის განხეთქილება, რომელმაც ათი წლის წინათ მეცნიერი ექიმები მოიცვა? აწყობდნენ ჰომეოპატიურ სამკურნალოებს, სცემდნენ ჟურნალებს, წიგნების კატალოგებში იყო განსაკუთრებული რუბრიკა «Homeopatische Arzneikunde»*

* ჰომეოპატიური ფარმაცევტიკა (გერმ.). — რ ე დ.

მიზეზი ერთია: მედიცინა, ისევე როგორც ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება, დაკვირვებათა მასალების მთელი სიმდიდრის მიუხედავად, არ მიდის განვითარების იმ ბოლომდე, რომელსაც მოწყურებულია ადამიანი, როგორც ჭეშმარიტების ცხოველმყოფელ საწყისს და რომელსაც შეუძლია მხოლოდ მისი დაკმაყოფილება. ბუნებისმკვლევარნი და მედიკოსები ყოველთვის იმაზე მიგვითითებენ, რომ მათ ჯერ კიდევ არ სცალიათ თეორიისათვის, ყველა ფაქტი არა აქვთ დაგროვილი, ყველა ცდა არა აქვთ ჩატარებული და სხვ. იქნებ. შეგროვილი მასალები მართლაც არასაკმარისი იყო, უეჭველად ასეც არის, მაგრამ ლაპარაკი,—ფაქტები უამრავია, რამდენიც უნდა აგროვო ისინი, სულ ერთია. ბოლომდე მაინც ვერ მიხვალო,—ხელს არ უშლის იმას, რომ საკითხი ჯეროვნად დავაყენოთ, გავავითაროთ ნამდვილი მოთხოვნები, ჭეშმარიტი ცნებანი აზროვნებისა და ყოფიერების ურთიერთობის შესახებ *.

ფაქტების დაგროვება და აზრში ჩაღრმავება სრულიადაც: არ ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. ყოველივე ცოცხალი: განვითარებისას ორი მიმართულებით იზრდება: იგი მატულობს მოცულობით და ამავე დროს კონცენტრირდება; გარეგნულად განვითარება არის შიგნით განვითარება: ბავშვი: სხეულით იზრდება და ჭკვიანდება; ორივე განვითარება: აუცილებელია ერთიმეორისათვის და მხოლოდ ცალმხრივი გადაძლევისას ახშობს ერთმანეთს, მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმია, რომლის საშუალებითაც საგანთა არსი, ადამიანში რომ გამოიყოფა, სრულყოფილ თვითშემეცნებამდე ვითარდება; მასაც იგივე ორი ზრდა ახასიათებს: გარედან მატება დაკვირვებით, ფაქტებით, ცდებით—ეს მისი კვებაა,

* თუმცა ალექსანდრე მაკედონელი ყოველგვარ ცხოველს უგზავნიდა არისტოტელეს, მაგრამ იგი, ალბათ, ნაკლებ იცნობდა მათ. ვიდრე ლამარკი, რასაც მისთვის ხელი არ შეუშლია გაეყო ცხოველები Schorophora და Namatophora, ეს კი ემთხვევა ლამარკის Vertebrata-ს და Avertebrata-ს. — ა. ბ. Vertebrata და Avertebrata — ხერხემლიანნი და უხერხემლონი (ლათ.). — რ ე დ.

ურომლისოდაც იგი ვერ იცოცხლებდა; მაგრამ გარედან შენაძენი უნდა გადამუშავდეს შინაგანი საწყისით, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია სიცოცხლე და აზრი მისცეს ცნობათა კრისტალიზებად გროვას. ფაქტობრივი მატება, ლექადი ხსნარის მსგავსად, განუწყვეტლივ იზრდება, ნელ-ნელა, მარცვალ-მარცვალ აგროვებს შრეებს, არაფერს წინათ მოხვედრილს არ კარგავს, ყოველთვის მზად არის მიიღოს ახალი, მაგრამ მისთვის მიღების გარდა არაფერს აკეთებს; ეს არის უსასრულო წარმატების განვითარება, სწორხაზოვანი უსაზღვრო, აპატიური მოძრაობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს კლავს და აძლიერებს წყურვილს, რადგან წვრილნაენების წყებათა იქით გადაიშლება ახალი წყებანი, და ა. შ.; მხოლოდ ამ გზით არ შეიძლება სრული და ჭეშმარიტი ცოდნის მიღწევა, — ეს კი ფაქტობრივ მეცნიერებათა ერთადერთი გზაა. გონება, თუ ნორმალურად მოქმედებს, თვითშემეცნებას ავითარებს; იგი, ცნობებით გამდიდრებული, თავის თავში აღმოაჩენს იმ იდეალურ შუაგულს, რომელსაც ყველაფერი განეკუთვნება, იმ უსასრულო ფორმას, რომელიც ყოველივე შეძენილს მოიხმარს პლასტიკური თვითშესრულებისათვის, იმ ცხოველმყოფელ მონადას, რომელიც თავისი ძლიერებით თავის ირგვლივ შემოივლებს უმიზნო ემპირიული განვითარების წრფივსა და უსასრულო გზას და აძლევს მას ნიშანს არა გარეთ, არამედ თავის შიგნით; იქ, და მხოლოდ იქ გადაეშლება ადამიანს არსებულის ჭეშმარიტება, და ეს ჭეშმარიტებაა თვითონ იგი როგორც გონება, როგორც განვითარებადი აზროვნება, რომელსაც ყოველი მხრიდან ერთვის ემპირიული ცნებები იმისათვის, რომ თავისი საწყისი და თავისი უკანასკნელი სიტყვა იპოვნოს. ეს გონება, ეს ნამდვილი ჭეშმარიტება, ეს განვითარებადი თვითშემეცნება, — უწოდეთ მას ფილოსოფია, ლოგიკა, მეცნიერება ან უბრალოდ ადამიანის აზროვნება, სპეკულატური ემპირია, ან როგორც გნებავთ, — განუწყვეტლივ გადააქცევს მოცემულ ემპირიულს ცხად, ნათელ აზრად, გახსნის ყოველივე არსებულის იდეას და ამგვარად ითვისებს მას. ადამიანს გაგები-

ათვის არ გააჩნია სხვა კატეგორიები, გარდა გონების კატეგორიებისა; კერძო მეცნიერებანი, ლოგიკას რომ მტროობენ. მისივე იარაღით იბრძვიან, ფორმალური ლოგიკის შეცდომებსაც კი ითვისებენ *.

—საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უცნაური მდგომარეობა აზროვნების მიმართ დიდხანა ვერ გაგრძელდება: ისინი იმდენად მდიდრდებიან ფაქტებით, რომ უნებურად მათი თვალთახედვა უფრო და უფრო ნათელი ხდება. მათ, ბოლოს, გარდუვალად უნდა გადაწყვიტონ აშკარად და სერიოზულად აზროვნების და ყოფიერების, ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის ურთიერთობის საკითხი და ხმამაღლა თქვან, შესაძლებელია თუ შეუძლებელი ჭეშმარიტების ცოდნა, აღიარონ: ადამიანის თაკი ისეა მოწყობილი, რომ მას მხოლოდ ელანდება ჭეშმარიტება, ეჩვენება ასეთად, რომ მას არ შეუძლია სავსებით იცოდეს ან მხოლოდ სუბიექტურად იცის, რომ, მაშასადამე, ადამიანური ცოდნა რაღაც მოდგმის სიგიჟეა, და მაშინ სექსტ-ემპირიკოსთან ერთად ხელები გულზე უნდა დაიკრიფონ და გულცივი ღიმილით თქვან: «რა მიქარვაა ყოველივე ეს!» — ანდა შეიგნონ ასეთი შეხედულების მთელი მიუღებლობა, შეიგნონ, რომ ადამიანური გაგება ბუნების გარეთ როდია, არამედ ის ბუნების მიერ თავისი თავის გაგებაა. რომ ადამიანის გონება მართლაც ერთიანი ჭეშმარიტი გონებაა, ისე, როგორც ბუნებაში ყოველივე ჭეშმარიტია და ნაჭდევილი სხვადასხვა ხარისხით, და, რომ, ბოლოს, აზროვნების კანონები შეცნობილი კანონებია, რომ, მაშასადამე, აზრი სრულიადაც არ ავიწროებს ყოფიერებას, არამედ ათავისუფლებს მას; რომ ადამიანი იმიტომ კი არ აღმოაჩენს ყველაფერში თავის გონებას, რომ გონიერია და თავის გონებას ყველგან შეიტანს ხოლმე, არამედ, პირიქით, გონიერია იმიტომ, რომ ყველაფერი გონივრულია; ეს თუ

* ასე, განყენებული ძალები, მიზეზები, პოლარიზაცია, განზიდვა და მიზიდვა, — ყოველივე ეს ფიზიკაში გადავიდა ლოგიკიდან, მათემატიკიდან, და, იგულისხმება, რომ ყოველივე ამან, უკრიტიკოდ და უკავშიროდ აღებულმა, თავისი ნამდვილი აზრი დაკარგა. — ა. ბ.

შეიგნეთ, მაშინ უნდა უკუაგდოთ უაზრო ანტაგონიზმი ფილოსოფიასთან. ჩვენ ვთქვით, რომ ფაქტობრივ მეცნიერებათ სრული უფლება ჰქონდათ ზურგი შეექციათ წინანდელი ფილოსოფიისათვის; მაგრამ ეს ცალმხრივი ფაზა, რომლის ისტორიული აზრი მეტად მნიშვნელოვანია, თუ მას მთლად არ გაუვლია, ყოველ შემთხვევაში, აშკარად «სულთმობრძავია». ფილოსოფია, რომელსაც უნარი არ შესწევდა ეცნო და გაეგო ემპირია, უარესიც, — უნარი შესწევდა უმისოდ გაეძლო, ყინულივით ცივი, არაადამიანურად სასტიკი იყო; მის მიერ აღმოჩენილი კანონები ისე ფართონი იყვნენ, რომ ყოველივე კერძო მათგან გამოდევნილი იყო; იგი დუალიზმს თავს ვერ აღწევდა, და, ბოლოს, თავის გამოსავალს მიაღწია: თვითონ გაუწოდა ხელი ემპირიას, ხოლო დუალიზმი თავმდაბლად შორდება ასპარეზს რომანტიკული იდეალიზმის სახით, როგორც უბადრუკი, უმწეო, ფსიცოცხლო მოვლენა, რომელიც სხვისი სისხლით საზრდოობს. ეს სკოლა რეფორმაციული სქოლასტიკის უკანასკნელი წარმომადგენელია; იგი ამაოდ ცდიწევს სხვა რაღაცისაკენ, მიუწვდომელისაკენ, არარსებულისაკენ, მშვენიერი უსხეულო ქალწულებისაკენ, უხელოდ, მხურვალედ მოხვევისაკენ, უგულმკერდო გრძნობებისაკენ... მასზე მალე იტყვიან, როგორც კოზლოვის შეშლილზე:

ელოდა, ელოდა,
ვერ მოესწრო და მოკვდა!

მოაზროვნეები და ნატურალისტები იწყებენ იმის შეგნებას, რომ ნათ უერთმანეთოდ გამოსავალი არა აქვთ. ისინი ხშირად, თავისდაუცოდნელად, ერთიმეორეს ხვდებიან თავიანთ მთავარ საფუძვლებში, ჩერდებიან ერთსა და იმავე საკითხებზე: რაღა უშლის მათ ხელს ერთმანეთს გააგებინონ თავიანთი აზრი? სიზარმაცე, მზაზარეული ცნებანი, ცრურწმენანი, რომელნიც თაობიდან თაობაში გადადიან და ერთნაირად ძლიერნი არიან ორივე მხრით. ცრურწმენანი დიდი ჯაჭვია, რომელიც ადამიანს აკავებს გაქვავებულ ცნებათა გარკვეულ-

შეზღუდულ წრეში; ყური მათ შეეჩვია, თვალი მათზე შეჩერდა,— უაზრობაც ხანდაზმულობის უფლებებით სარგებლობს და საყოველთაოდ მიღებულ ჭეშარიტებად იქცევა». განა ღირს მისი გარჩევა? უფრო მოსვენებით გრძნობ თავს, როცა უფიქრელად, განუხილველად იმეორებ მემკვიდრეობით მიღებულ მსჯელობას, იქნებ, თავის დროზე შედარებით მართებულს, მაგრამ უკვე დახავსებულს, რომელსაც თავისი ჭეშმარიტება მოუჭამია. ამქრის მეცნიერნი და ფილოსოფოსნი იძენენ ცნებათა განსაზღვრულ ჯამს, განსაზღვრულ რუტინას, რომელსაც თავს ვერ აღწევენ. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს რწმენით ილებენ ისინი ძირითად საწყისებს და უკვე აღარასოდეს არ ფიქრობენ მათ შესახებ: დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მორჩნენ, რომ ეს ანაბანაა, რომლისთვისაც ყურადღების მიქცევა სასაცილოა და საჭირო არ არის. თაობიდან თაობაში გადადის სქოლასტიკური განსაზღვრანი, გაყოფანი, ტერმინები და აბნევენ დამწყების წმინდა და პირდაპირს აზრს, დიდი ხნით, — ხშირად სამუდამოდ,— უსპობენ მას შესაძლებლობას თავი დააღწიოს მათ. ნუ ფიქრობთ, რომ მხოლოდ გონებაშეზღუდული ადამიანები უხდიან ხარკს თავიანთი კასტის ცრურწმენებს, — სრულიადაც არა! როცა გოეთემ აღმოაჩინა, ასწერა, დახატა ადამიანის ყბათაშორისი ძვალი, სახელგანთქმულმა კამპერმა უთხრა მას: «ყოველივე ეს ჩინებულია, მაგრამ os intermaxillare* ხომ არ არსებობს ადამიანის ყბაში». ამის თხრობისას გოეთემ ვერ მოითმინა და დასძინა **: «იქნებ, ახალგაზრდულ ქედმაღლობად მიიჩნიონ, როცა ხელთუსხმელი მოწაფე ბედავს შეედავოს თავისი საქმის ცნობილ ოსტატს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი მის წინააღმდეგ მართალია; მაგრამ მრავალი წლის გამოცდილებამ მასწავლა საქმეს სხვანაირად ვუყურებდე. მუდმივ განმეორებული ფრაზები ქვავდებიან გონებაში, ბოლოს, უძრავ რწმენად იქცევიან, და მ ხ ე დ ვ ე-

---

* ყბათაშორისი ძვალი (ლათ.). — რ ე დ.

** «Göthe's Werke», t. XXXVI, Zur Osteologie etc.—ა. ბ.

ლობის ორგანოები ჩლუნგდებიან... არის ხოლმე მაგალითები, რომ თავის ხელობაში (Handwerk) საუცხოო ადამიანები ზოგჯერ რამდენადმე გადაუხვევდნენ თელილ ნაკვალევს, მაგრამ მთავარ გზას ისინი არასოდეს არ ტოვებენ; მათ ეშინიათ ახალი გზებისა; რაც უნდა იყოს, უფრო საიმედოდ მიაჩნიათ ძველს გაჰყვნენ». «ახალი ადამიანი», ამბობს იგი სხვა ადგილას, «მოუსყიდველია; მის საღ თვალს ერთბაშად შეუძლია დაინახოს ის, რასაც შეჩვეული თვალი უკვე ვერ ხედავს». ჩვეულებისა და დიდი ხნიდან მიღებულისადმი თავის თავის დამორჩილების გარდა, ნატურალისტებს აჩერებს, აკავებს ახირებული გაგება პირადი უფლებისა მეცნიერებაში: ისინი ჭეშმარიტებას იგონებენ ისე, როგორც ჭურვს. ჟოფრუა სენტ-ილერი, გენიალური ადამიანი, ყოველ ეტაპს გარეშეა, სხვებზე ნათლად გრძნობდა მოთხოვნილებას, რომ ბუნებისმეტყველება უფრო მტკიცე საფუძვლებს დაყრდნობოდა; იგი ეტანებოდა მომწესრიგებელ იდეას, საყოველთაო ტიპს, ერთიანობას ბუნების ქმნილებათა მრავალსხვაობაში და სხვ. მაგრამ, დაიხსომეთ, მას ყოველივე ეს უნდოდა გაეკეთებინა კაცობრიობის გვარეობითი აზროვნების გარეშე; ის ფიქრობდა, რომ ყოველივე ამას თვითონ იგონებდა, მოითხოვდა აღმოჩენის პრივილეგიას. მის მსგავსად, ყოველი მოაზროვნე ბუნებისმეტყველი თავად იგონებს საწყისს, საფუძვლად იღებს რამდენიმე აზრს, რომლებიც მას განსაკუთრებით მოსწონს, ატარებს მათ მთელ წიგნში, — და თეორიაც მზად არის. ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის სრული მოწყვეტილობა ხშირად მთელი წლების განმავლობაში აიძულებს ადამიანებს იშრომონ იმისათვის, რომ დაახლოებით აღმოაჩინონ კანონი, რომელიც სხვა სფეროში დიდი ხანია ცნობილია, გადაჭრან ეტვი, რომელიც დიდი ხანია გადაჭრილია: შრომას და ძალ-ღონეს ხარჯავენ იმისათვის, რომ ხელმეორედ აღმოაჩინონ ამერიკა, — იმისათვის, რომ ბილიკი გაიყვანონ იქ, სადაც რკინიგზა გადის. აი ნაყოფი მეცნიერებათა ამ დაქუცმაცებულობისა, ფეოდალიზმისა, რომელიც მიწის ყოველ ზოლს სანგარს შემოაელებს და შიგ თავის

ფულს ჭრის. ფილოსოფოსი არაფრად აგდებს ფაქტებს, ყოყოჩობს პრაქტიკული ინტერესების უცოდნელობით და, როგორც დაიწყებს თავისი საყოველთაო კანონებიდან კერძოობისაკენ... სინამდვილისკენ ჩამოსვლას, იბნევა; ემპირიკოსი — პირიქით.

მაგრამ ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან უკვე გაისმის სიტყვა შ ე რ ი გ ე ბ ა; იგი ტყუილად როდი გაისმოდა: ნისლი იფანტება. ამ დაზავების მთავარი მოვლენების მოთხრობა შემდეგი წერილების საგანი იქნება; ახლა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ზოგადად.

XVIII საუკუნის დამლევისათვის კაბინეტების სიჩუმეში, მოაზროვნეთა თავში ისეთივე მრისხანე და ძლიერი გადატრიალება მზადდებოდა, როგორიც პოლიტიკურ სფეროში. ადამიანთა სულიერი განწყობილება საშინელი იყო: ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა — საზოგადოებრივი ყოფა, კეთილისა და ბოროტის ცნებანი, ნდობა ბუნებისადმი, ადამიანისადმი, რწმენისადმი და — ნუგეშის ნაცვლად კრიტიკული ფილოსოფია და სკეპტიკური ემპირიზმი ჩაკვიდრდებოდა. ორი ურწმენობა, ორი სკეპტიციზმი, — და ნანგრევები ირგვლივ. კრიტიკულმა ფილოსოფიამ საშინელი ლახვარი ჩასცა იდეალიზმს; რამდენს იბრძოდა მის წინააღმდეგ ემპირიზმი, იდეალიზმმა მაინც გაუძლო. მაგრამ მისი წრიდან გამოვიდა ადამიანი, რომელმაც მაგარი დარტყმით კუბოს პირას დააყენა იგი. დიდი იყო ეს ადამიანი თავისი ულმობელი, მოუსყიდავი ლოგიკით; მისი განხეთქილება დოგმატიზმთან ღრმა, მოფიქრებული იყო; იგი მარტო ჭეშმარიტებას ეძებდა და არაფერს არ ერიდებოდა. მან აღმართა ეს საშინელი კავდიუმის ხეობის ვიწრო ყელები, რომლებიც ანტინომიებად იწოდება, და გულგრილად გაატარა მათ ქვეშ ადამიანის აზრის უწმინდესი ავლადიდება. იდეალიზმის მთლად გამოცოცხლება კანტის შემდეგ შეუძლებელი იყო, — თუ არა რაიმე კერძო, ანორმალურ მოვლენებში. ყველაფერმა ქედი მოიხარა მისი გენიალური ძლიერების წინაშე. მაგრამ ეს თვალსაზრისი მძიმეა; ძლიერი იყო ფიხტეს სტოიკური მკერდი, მაგრამ იმანაც ვერ შეძლო მისი

ატანა. უეჭველი ცოდნის შეუძლებლობა გაუვალ ზღვარს ავლებდა ადამიანსა და ჭეშმარიტებას შორის. ასეთი თვალსაზრისისაგან შეიძლება ჭკუაზე შეიშალო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდე. ჰერდერი და იაკობი ცდილობდნენ ეხსნათ კანტის მიერ მოხდენილი მსხვრევისაგან მათთვის სანუკვარი, ძვირფასი იდეები, მაგრამ გრძნობა ცუდი დასაყრდენია ლოგიკურ ბრძოლაში; ბოლოს, გამოჩნდა ანდამატის მკერდი, რომელმაც დამშვიდებით და უხმაუროდ დაუპირისპირა კრიტიკულ ფილოსოფიას თავისი ღრმა რეალიზმი, — ეს იყო გოეთე. იგი უაღრესად დაჯილდოებული იყო საგნებზე პირდაპირ შეხედვის უნარით. იცოდა რა ეს, — ყველაფერს თავისი თვალით უცქერდა; იგი არ იყო სკოლური ფილოსოფოსი, ამქრული მეცნიერი, იგი მოაზროვნე მხატვარი იყო; პირველად მასში აღდგა ადამიანის ნამდვილად ჭეშმარიტი დამოკიდებულება გარემომცველ სამყაროსთან; მან თვითონ დიადი მაგალითი მისცა ბუნებისმეტყველებს. ყოველგვარი გაჭიანურებული მზადების გარეშე იგი ერთბაშად გადაეშვება in medias res*; აქ იგი ემპირიკოსია, დამკვირვებელია; მაგრამ შეხედეთ, თუ როგორ იზრდება, ვითარდება მოცემული საგნის ცნება მისი დაკვირვებიდან, როგორ გაიშლება ეს ცნება, თავის ყოფიერებაზე დაყრდნობილი, და როგორ არის გახსნილი, ბოლოს, ყოვლისმომცველი ღრმა აზრი. წაიკითხეთ «Metamorphose der Pflanzen» **, წაიკითხეთ მისი ოსტეოლოგიური სტატიები და მაშინვე დაინახავთ, თუ რა არის ბუნების რეალური, ჭეშმარიტი გაგება. რა არის სპეკულატური ემპირია***. მისთვის აზრი და ბუნება არეს aus einem Guss: «Oben die Geister und unten der Stein»****, მისთვის ბუნება სიცოცხლეა, იგივე სიცოცხლე, რომელიც მასში დუღს, და ამიტომ იგი გასაგებია

---

* თვით საქმის არსში (ლათ.). — რ ე დ.

** «მცენარეთა გადაქცევა» (ლათ.). — რ ე დ.

*** მეორე წერილს ვურთავ გოეთეს პატარა სტატიას, დაწერილს 1 8 7 0 წ ე ლ ს. — ა. გ.

**** რაღაც მთლიანისაგან, ერთიანისაგან არის ჩამოსხმული: «ზემოთ სულები, ქვემოთ — ქვა». — რ ე დ.

მისთვის, უფრო მეტიც, იგი ჟღერს მასში და თვითონ მოგვითხრობს თავის საიდუმლოებას. გოეთეს ფეხდაფეხ, განყენებული მეცნიერების წრიდან გაისმა ხმა, რომელიც ჭეშმარიტებას განსაზღვრავდა ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობით; იგი ფილოსოფიას მიმართავდა ბუნებისაკენ როგორც აუცილებელი შეცხებისაკენ, როგორც თავისი სარკისაკენ. საზეიმო იყო სანახაობა კაცობრიობისა, რომელიც მიწას უბრუნდებოდა თავის მოწინავე ადამიანთა სახით, — პოეტი-მოაზროვნის და მოაზროვნე-პოეტის სახით, რომელნიც თავს აყრდნობდნენ საერთო დედის მშობლიურ მკერდს. ეს ერთბაშად იყო უძღები შვილის დაბრუნებაც და ორმოდან მეტაფიზიკოსის დახსნაც.

შელინგმა, როგორც ვირგილიუსმა დანტეს, მხოლოდ გზა გვიჩვენა, მაგრამ მხოლოდ გენია უჩვენებს ასე და ასეთი თითით. შელინგი ეკუთვნის იმ დიდ და მხატვრულ პიროვნებებს, რომლებიც უშუალოდ, ინსტინქტურად, შთაგონებით ეუფლებიან ჭეშმარიტებას. მასში ყოველთვის იყო რაღაც მონათესავე პლატონისა და იაკობ ბოემისა. ცოდნის ეს პროცესი გენიის საიდუმლოებაა და არა მეცნიერებისა; მას არ შეუძლია გადმოსცეს ეს საიდუმლოება, ისე როგორც მხატვარს არ შეუძლია გადმოსცეს შემოქმედების აქტი; მაგრამ, ემყარება რა ადამიანის ადრინდელ თანაგრძნობას ჭეშმარიტებისადმი, მისი შთაგონებული ენა მოგვიწოდებს ჭეშმარიტებისა და გაგებისაკენ. შელინგი მეცნიერების vates-ია*. გოეთეს თავის თავი ისეთად ჰყავდა შეცნობილი, როგორიც იყო; იგი შილერისადმი წერილებში ამბობს, რომ მას არავითარი ნიჭი არა აქვს მეცნიერულად განავითაროს თავისი აზრები; იგი საქმით გვასწავლის; იგი უაღრესად პრაქტიკულია; მას შეუძლია ზოგადის დაუკარგავად წვრილმანებს ჩასწვდეს. შელინგი, პირიქით, თავს თვლიდა, უპირატესად, ფილოსოფიური სპეკულატური ბუნების ადამიანად და ამიტომ ცდილობდა თავისი ცოცხალი თანაგრძნობა და წინა-

* წინასწარმეტყველი (ლათინ.). — რ ე დ.

სწარცოდნა სქოლასტიკური ფორმით ჩაეხშო; მან თავის თავში დასძლია იდეალიზმი არა საქმით, არამედ სიტყვით. მისი არაპრაქტიკული, არარეალური ბუნება ყველაზე ნათლად იქიდან ჩანს, რომ, მას, უპირატესად ბუნების ფილოსოფიით გართულს, არასოდეს არ მიუყვია ხელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა რომელიმე დარგის დადებითი შესწავლისათვის. დიდია მისი ერუდიცია, მაგრამ მან იცის ბუნებისმეტყველების ენციკლოპედია, იგი გენიალური დილეტანტია. გოეთე, მაგალითად, სპეციალისტია, როცა ეს საჭიროა, — მოწაფეა ანატომიურ თეატრში, დამკვირვებელია, მხატველია: ის მუშაობდა, ცდებს ახდენდა, წლობით პრაქტიკულად სწავლობდა ოსტეოლოგიას; მან იცოდა, რომ სპეციალობის გარეშე ზოგად თეორიას ყოველთვის იდეალიზმის სუნი გადაკრავს; რომ საკუთარი შეხედულება ბუნებისმეტყველებაში იგივეა, რაც წყაროების კითხვა ისტორიაში; ამიტომაა, რომ იგი უეცრივ, ერთბაშად აღმოაჩენს მთელ სამყაროს, თავისი საგნის სრულიად ახალ მხარეს. ემპირიკოსებს არასოდეს არ უარუყვიათ გოეთე: ყველა მისი დიადი აზრი მიღებული და დაფასებულია* მათ მიერ; ხოლო შელინგი, რომელიც მათ ფილოსოფიის ხელს უწვდიდა, ვერ გაიგეს და არა ცნეს ნატურალისტებმა. შელინგის მიმდევრებმა, მისი მოძღვრების ფორმალური მხარე აიღეს; აზრს კი, რომელიც მის ნაწერებში გამოკრთის, ისინი ვერ ჩასწვდნენ; მათ უნარი არ შესწევდათ ალის გიზგიზა ჭავლად გაეღვიებინათ ღრმა ჭვრეტის ნაპერწკლები, რაც მას ყველგან ჰქონდა გაბნეული. არა, მისი შეხედულებიდან მათ ააგეს რაღაც უცნაური მეტაფიზიკურ-სანტიმენტალური შენობა; სქოლასტიკური სიმშრალე მათთან შეხამებული იყო წმინდა გერმანულ გემიუტლიხკაიტთან[91]. ის კი არა, რომ მათ შელინგის პრინციპების მიხედვით

---

* მაგალითად, მისი აზრი იმის შესახებ, რომ თავისქალა ხერხემალთა განვითარებაა; მისი გადაქცევა მცენარის ნაწილების os intermaxillare და ოსტეოლოგიური ნასიათის ასობით შენიშვნა. იხ. ეოფრუა სენტ-ილერთან, დე-კანდოლთან და სხვ. — ა. ბ.

მეცნიერულად ან სისტემატურად გადმოეცათ ბუნების ფილოსოფია: მათ აიღეს ორი-სამი ფორმულა, მშრალი და განყენებული, და ამით ზომავდნენ ყველა მოვლენას, მთელ სამყაროს. ეს ფორმულები თითქოს სამხედრო საკრებულოთა საზომი იყო: ვინც უნდა ასულიყო მასზე, ჯარისკაცად გამოვიდოდა. იმ ნატურფილოსოფოსებმაც კი, რომლებმაც ბევრი სარგებლობა მოუტანეს თავიანთი მეცნიერების ფაქტობრივ ნაწილს, თავი ვერ დააღწიეს ვერც ფორმალიზმსა და ვერც სანტიმეტალობას. აიღეთ, მაგალითად, კ ა რ უ ს ი: მან უამრავი სარგებლობა მოუტანა ფიზიოლოგიას, მაგრამ რას წერს იგი, თავის ზოგად შეხედულებების გადმოცემისას, თავის შესავალ ნაწილებში? რა ლაყბობაა, რა აზრებია! ნანობ, რომ საქმიანი კაცი ასე იტეხს სახელს. მათ შორის ყველაზე მაღლა დგას ოკენი, მაგრამ არც იგი შეიძლება სავსებით გამოვაცალკევოთ. ოკენის ბუნებაში უხერხულობა და სივიწროვეა და, გარდა ამისა, მასში არანაკლები დოგმატიზმია, ვიდრე სხვებში; ჩანს ფართო და მრავლისმომცველია აზრი, მაგრამ ოკენის ბრალიც სწორედ ის არის, რომ ბუნება ჩანს როგორც აზრი: ბუნებას იგი თითქოს იმისთვის იყენებს, რომ აზრი დაადასტუროს. ოკენის ბუნებისმეტყველება მოგვევლინა გერმანული პრეტენზიით, რომ იგი უთუო მნიშვნელობის მქონეა და საბოლოო არქიტექნიკას წარმოადგენს. გაიხსენეთ ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული შენიშვნა, რომ იდეალიზმი მიუწვდომელი ხდება ყველაფრისათვის, გარდა თავისი idèe fixe*-სი. იგი იმდენად პატივს არ სცემს ფაქტობრივ სამყაროს, რომ მის შესიტყვებას დაემორჩილოს.

V არ მახსოვს, სად და როდის წავიკითხე ედგარ კინეს რომელიღაც სტატია გერმანული ფილოსოფიის შესახებ; სტატია არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი შეიცავს გერმანული ფილოსოფიის საუცხოო შედარებას საფრანგეთის რევოლუციასთან. კანტი—მირაბო, ფიხტე — რობესპიერი, ხოლო შელინგი—ნაპოლეონი; საერთოდ, ეს შედარება მოკლებული არ

* აკციატებული აზრი (ფრანგ.). — რ ე დ.

არის ერთგვარ სისწორეს: თვითონაც მზად ვარ შელინგი ნაპოლეონს შევადარო, ოღონდ ედგარ კინეს საპირდაპიროდ: ვერც ნაპოლეონის იმპერიამ გაძლო და ვერც შელინგის ფილოსოფიამ — და ეს ერთი მიზეზით: არც ერთი და არც მეორე არ იყო საესებით ორგანიზებული, არც ერთს არ გააჩნდა სიმტკიცე არც იმისა, რომ წინანდელი ცალმხრიობანი ჩამოეშორებინა, არც იმისა, რომ უკიდურეს შედეგამდე ევლო. ნაპოლეონი და შელინგი მოევლინენ მსოფლიოს, რათა დაპირისპირებათა შერიგება და მათი ახალი მდგომარეობით მოხსნა გამოეცხადებინათ. ამ ახალი მდგომარეობის გულისათვის იცნეს ბონაპარტი იმპერატორად; ზარბაზნის კვამლმა ხელი ვერ შეუშალა, ბოლოს და ბოლოს, დაენახათ, რომ ნაპოლეონი სულით წარსულის ადამიანი დარჩა. ისტორიული მასკარადი à la Charlemagne[94], რომლითაც ნაპოლეონი ასე შეუფერებლად შეიმოსა, თავისი ჰერცოგ-ჯარისკაცებით გარშემორტყმული, intermedia buffa* იყო, რასაც ვატერლოო მოჰყვა ნამდვილი ჰერცოგის მეთაურობით. შელინგიც თავის სფეროში ნაპოლეონივით იქცეოდა; ეგი აზროვნებისა და ყოფიერების შერიგებას გვპირდებოდა, მაგრამ, თუმცა გამოაცხადა მოპირდაპირე მიმართულებათა შერიგება უმაღლეს ერთიანობაში, მაინც იდეალისტი დარჩა იმ დროს, როცა ოკენი ბუნებაზე შელინგისეულ გამგებლობას აწესებდა, და «იზიდა»[95] — ნატურფილოსოფიის «მონიტერი» ხმამაღლა გვამცნობდა თავის გამარჯვებას. შელინგი იაკობ ბოემედ იმოსებოდა და თავის მიმართ რეაქციას აპირებდა, რათა, სხვათა შორის, არ გამომტყდარიყო, რომ მას გვერდი აუარეს. შელინგი გამოვიდა ყირამალა დაყენებული ბოემე, ისევე, როგორც ნაპოლეონი ყირამალა დაყენებული კარლოს დიდი გამოდგა. ეს ყველაზე ცუდია, რაც კი შესაძლოა, რადგან მეტისმეტად სასაცილოა. იაკობ ბოემე, მისტიკური ჭვრეტით აღსავსე, ყოველ მხარეს ღრმა ფილოსოფიური თვალთახედვასთან ბიდის. და თუ მისი ენა მძიმეა და სქოლასტიკურ-მისტიკურ

* კომიკური დივერტისმენტი (იტალ.). — რ ე დ.

ტერმინოლოგიაში მოქცეული, მით უფრო გასაკვირია მისი გენიალობა, რომ ამ უხერხული ენით მან შეძლო გამოეთქვა თავისი აზრის დიადი შინაარსი; მას XVI საუკუნის დასაწყისში მცხოვრებს, სიმტკიცე შესწევდა ანაბანაზე არ შეჩერებულიყო, შესწევდა მამაცობა მიეღო მთელი იმ საუკუნის მხდალი სინდისისათვის საშიშარი კონსეკვენციები *; მისტიციზმი არა თუ არ ახშობდა მის ძლიერ გონებას, არამედ ფრთებს ასხამდა. შელინგმა, სავსებით პირიქით, მოახდინა ცდა— ღრმა მეცნიერებისმაგვარ თვალთახედვიდან ჩამოშვებულიყო მისტიკურ სომნამბულიზმამდე, — აზრი იეროგლიფში მოექცია. ამის შედეგი მეტად სავალალო იყო: ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანებმაც და არამორწმუნე ადამიანებმაც უარყვეს იგი და მას პატარა ელბა[96] დაუთმეს ბერლინის უნივერსიტეტში. ოკენი მარტოდ შერჩა «იზიდას». ბუნებისმეტყველებთან უშედეგო ბრძოლამ, ფაქტებით შესიტყვების მათმა არასასიამოვნო მანერამ იგი თავისნება გახადა, გაამძვინვარა, იგი უხალისოდ ელაპარაკება უცხოელებს თავის სისტემაზე; მან უკან მოიტოვა ამ სისტემის სრული დიდების ეპოქა, და, იქნებ, ახლა ჩუმად ამზადებს რაიმეს... იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი, ყოველ შემთხვევაში, არ შეეცდება ლექსად დაწეროს ზოოლოგია, როგორც, კინაღამ, მოისაზრა ეს შელინგმა თავისი თეორიისათვის. ბუნებისმეტყველებაში ყველა წარმატება ნატურფილოსოფიისაგან დამოუკიდებლივ ხორციელდებოდა. ემპირიკოსები არ ენდობოდნენ ნატურფილოსოფიას, მათ აფრთხობდა მისი მძიმე ენა, მისი ზოგადი შეხედულებანი, მისი პრაქტიკული განწყობილება, მისი აღტაცებული სანტიმეტალობა. კიუვიე პარიზის მეცნიერებათა აკადემიას აფრთხილებდა რაინისიქითური თეორიებისაგან; კუზენი თავისი ლექციებით კიდევ უფრო რადიკალურ გაფრთხილებას იძლეოდა საფრანგეთში იდეალიზმის გავრცელების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ფრანგები დაჯილდოებულნი არიან ისეთი უტყუარი შეხედულებით საგნებზე,

* დასკვნები (ვერმან.). — რ ე დ.

რომ მათ გზა-კვალს ვერ აუბნევ. ისინი მალე გაიგებენ გერმანულ მეცნიერებას. დარწმუნებული იყავით: ფრანგების სიჩლუნგე კი არ არის მიზეზი, რომ გერმანული მეცნიერება რაინს ვერ სცილდებოდა.

ბუნებადმცოდნეობის მეცნიერული გადმოცემის პირველ მაგალითს ჰეგელის «ენციკლოპედია» წარმოადგენს. მისი მკაცრი, მტკიცედ გატარებული მსოფლმხედველობა თითქმის შელინგის თანადროულია (იგი ბუნების ფილოსოფიას პირველად კითხულობდა 1804 წ. იენაში); ჰეგელით თავდება მოაზროვნეთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც დეკარტეთი და სპინოზათი დაიწყო. ჰეგელმა გვიჩვენა საზღვარი, რომლის იქით გერმანული მეცნიერება ვერ წავა; მისი მოძღვრება აშკარად შეიცავს გამოსავალს არა მარტო ამ მოძღვრებიდან, არამედ საერთოდ დუალიზმიდან და მეტაფიზიკიდან. ეს იყო უკანასკნელი, ყველაზე ძლიერი გაქანება წმინდა აზროვნებისა, იმდენად ჟეშმარიტების ერთგული და რეალიზმით აღსავსე, რომ, საკუთარი თავის წინააღმდეგ, იგი განუწყვეტლივ და ყველგან გარდატყდებოდა ნამდვილ აზროვნებად. ენციკლოპედიის მკაცრი ნაკვთები, გრანიტის საფეხურები არ ზღუდავენ შინაარსს, ისე როგორც ხომალდის ქიმი ხელს არ უშლის თვალს ჩაეშვას ზღვის უსასრულობაში. მართალია, ლოგიკა ჰეგელთან ინარჩუნებს თავის პრეტენზიას — ჰქონდეს ხელუხლებელი ძალაუფლება სხვა სფეროების მიმართ, წარმოადგენდეს ერთიან, ყველაფრისათვის საკმაო სისრულეს; იგი თითქოს ივიწყებს: ლოგიკა სწორედ იმიტომ არ არის სიცოცხლით სავსე, რომ მან იგი დასძლია თავისში, რომ იგი გ ა ნ ე ყ ე ნ ა დროებითს; იგი განყენებულია, მასში მხოლოდ მარადიული შევიდა; იგი განყენებულია, იმიტომ რომ აბსოლუტურია; იგი ყოფიერების ცოდნაა, მაგრამ არა ყოფიერება; იგი ყოფიერებაზე მაღლა დგას. და ამაშია მისი ცალმხრიობა. ბუნებისათვის ცოდნა რომ საკმარისი იყოს, — როგორც ეს ზოგჯერ ჰეგელს წამოცდება ხოლმე, — მაშინ იგი, თვითშემეცნებას რომ მიაღწევდა, თავის ყოფიერებას მოხსნიდა, უგულებელყოფდა მას; მაგრამ მისთვის ყოფიერება ისე ძვირფასია, როგორც

ცოდნა: მას უყვარს სიცოცხლე, ხოლო სიცოცხლე მხოლოდ დროებითის ვაკხურ ორომტრიალში შეიძლება; საყოველთაოს სფეროში სიცოცხლის ხმაური და ჩქაფუნი დადუმდა; კაცობრიობის გენია ამ დაპირისპირებულთა შორის ქანაობს; მას, როგორც ხარონს, განუწყვეტლივ გადავყავართ დროებითი ცისქვეშეთიდან მარადიულ სამყაროში; ეს გადასვლა, ეს ქანაობა ისტორიაა, და ნამდვილად მთელი საქმე ამ ისტორიაშია და არა იმაში, რომ იმ მხარეს გადავიდეთ და წმინდა აზროვნების განყენებულ და საყოველთაო სფეროებში ვიცხოვროთ. არა მარტო თვითონ ჰეგელს ესმოდა ეს, არამედ ლაიბნიციც, საუკუნე-ნახევრის წინათ ამბობდა, რომ დროებითი, სასრული ყოფიერების გარეშე მონადა უსასრულობად მიმოიბნევა თვითგანსაზღვრის, თავის შენარჩუნების სრული შეუძლებლობისას: ჰეგელი მთელი ლოგიკით აღწევს იმის გახსნას, რომ უთუო არის ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობის დადასტურება; მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მივა, იმავე ჰეგელს, იხევ—როგორც ლაიბნიცს, ყოველივე დროებითი, ყოველივე არსებული მსხვერპლად მიაქვს აზრისა და სულისათვის; იდეალიზმი, რომლითაც იგი აღზრდილი იყო, რომელიც მან დედის რძესთან ერთად შეიწოვა, მას მის მიერვე დაგმობილ ცალმხრიობაში აგდებს, და იგი ცდილობს სულით, ლოგიკით ჩაახშოს ბუნება; მზად არის მოჩვენებად ჩათვალოს ყოველი მისი კერძო ნაწარმოები, ქედმაღლურად დაჭურებს ყოველ მოვლენას.

ჰეგელი იწყებს განყენებული სფეროებით, რათა კონკრეტულამდე მივიდეს; მაგრამ განყენებული სფეროები გულისხმობენ კონკრეტულს, რომლისაგანაც ისინი განყენებულნი არიან. იგი ავითარებს განუპირობებელ იდეას და, თვითშემეცნებამდე რომ განავითარებს, აიძულებს მას დროებით ყოფიერებად გაიშალოს; მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე ზედმეტი გახდა, რადგან მისგან დამოუკიდებლივ განხორციელებულია ის საქმე, რომლისათვისაც განკუთვნილი იყო დროებითი. ჰეგელმა გამოააშკარავა, რომ ბუნება, ცხოვრება ლოგიკის კანონების თანახმად ვითარდება; მან ფაზობრივ გამოიკვლია

ეს პარალელიზმი, — და ეს უკვე შელინგის ზოგადი შენიშვნები როდია, რაფსოდიული, დაუკავშირებელი, არამედ მთელი სისტემაა, მწყობრი, ღრმააზროვანი, სპილენძზე ამოჭრილი, სადაც თვითეულ დანარტყამზე გიგანტური ძალა აღიბეჭდა. მაგრამ ჰეგელს ბუნება და ისტორია უნდოდა როგორც გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ი ლ ო გ ი კ ა, და არა ლოგიკა როგორც ბუნებისა და ისტორიის განყენებული გონივრულობა. აი მიზეზები იმისა, თუ რატომ დარჩა ემპირიკული მეცნიერება ჰეგელის ენციკლოპედიისადმი ისევე გულცივად ყრუ, როგორც შელინგის დისერტაციებისადმი. არ შეიძლება უარვყოთ ღრმა აზრი და სწორი შეხედულება ამ უბადრუკი ემპირიკოსებისა, რომლებსაც ასე გულზვიადად დასცინოდა იდეალიზმი. ემპირია იყო აშკარა პროტესტაცია, ხმამაღალი გალაშქრება იდეალიზმის წინააღმდეგ, — ასეთიც დარჩა: რაც უნდა გაეკეთებინა იდეალიზმს, — ემპირია უკუაგდებდა. ემპირიას ერთი ნაბიჯიც არ დაუთმია *. როდესაც შელინგი თავის ფილოსოფიას ქადაგებდა, ფილოსოფოსთა მეტი ნაწილი ფიქრობდა, რომ დადგა დრო, როცა აზროვნების მეცნიერება დადებით მეცნიერებებს უნდა შეეხამოსო; ემპირიკოსები დუმდნენ. ჰეგელის ფილოსოფიამ ეს შერიგება მოახდინა ლოგიკაში. საფუძვლად მიიღო ეს შერიგება და განავითარა სულისა და ბუნების ყველა სამკვიდრებელში, — ლოგიკას დაუმორჩილა ისინი, — ემპირიზმი დუმილს განაგრძობდა. იგი ხედავდა, რომ სქოლასტიკის მამაპაპეული ცოდვა ჯერ კიდევ არ არის მთლიანად წაშლილი. უეჭველია, ჰეგელმა აზროვნება იმ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მის შემდეგ შეუძლებელია ნაბიჯი გადადგა, თუ იდეალიზმი სრულიად არ მოიტოვე უკან; მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადადგმულა, და ემპირიზმი გულგრილად ელის მას; სამაგიეროდ, თუ ამ დროს ეღირსა დადგომა, მაშინ ნახეთ, რა ახალი სიცოცხლე დაუვლის ადამიანის ცოდნის ყველა განყენებულ სფეროს! ემპირიზმი

* განა საჭიროა გავიმეოროთ, რომ ემპირიზმი თავის უკიდურესობაში უაზროა, რომ მისი ოთხზე ხოხვა ისევე სასაცილოა, როგორც იდეალიზმის ღამურასავით ფრენა; ერთი უკიდურესობა ყოველთვის ასეთსავე უკიდურესობას იწვევს მოპირდაპირე მხრიდან. — ა. გ.

სპილოსავით ნელა მიაბიჯებს წინ, სამაგიეროდ უკვე მაგრად ადგამს ფეხს.

სასაცილოა ბრალი დავდოთ არა მარტო ჰეგელს, არამედ შელინგსაც იმის გამო, ასე ბევრი რომ გააკეთეთ, რატომ კიდევ უფრო მეტი არ გააკეთეთო; ეს ისტორიული უმადურობა იქნებოდა. მაინც არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ როგორც შელინგი არ მისულა თავისი შეხედულების არც ერთ უტყუარ შედეგამდე, ისე ჰეგელიც არ მისულა implicite r * თავისი საწყისების ყველა აშკარა და პირდაპირ შედეგამდე, — მასში ყველა ეს შედეგი წინაარსებობს, — ყოველივე, რაც ჰეგელის შემდეგ გაკეთდა მხოლოდ იმის განვითარებაში მდგომარეობს, რაც მას განვითარებული არ აქვს. ჰეგელს ესმოდა აზროვნების ნამდვილი დამოკიდებულება ყოფიერებასთან, ~~მაგრამ გაგება არ ნიშნავს ძველზე ხელის აღებას~~: ეს ძველი რჩება ზნეში, ენაში, ჩვეულებაში. განყენებათა გზით იგი მიხვდა თავის განყენებულობას და ამ გაგებით დაკმაყოფილდა. არავინ, ვინც ეგვიპტელთა ტყვეობაში დაიბადა, არ შესულა აღთქმულ ქვეყანაში, იმიტომ რომ მათ სისხლში რაღაც მონური რჩებოდა: ჰეგელი თავისი გენიით, თავისი აზრის ძლიერებით თრგუნავდა ეგვიპტურ ელემენტს, და იგი მას ცუდ ჩვეულებადღა შერჩა; შელინგი კი ამ ელემენტმა დათრგუნა. გოეთე არ თრგუნავდა და არ ყოფილა დათრგუნვილი!

მაგრამ დროა გავათავო ჩემი გრძელი უსტარი.

გულახდილად ვაღიარებ, რომ, როცა თქვენდამი წერას ვიწყებდი, წარმოდგენილი არ მქონდა საკითხის მთელი სიძნელე, ძალ-ღონისა და ცოდნის მთელი სიმცირე, მთელი პასუხისმგებლობა მისი გაშუქებისათვის. როცა დავიწყე, ნათლად დავინახე, რომ არ ძალმიძს მოფიქრებული შევასრულო; მაგრამ მაინც კალამს ხელიდან არ ვუშვებ. თუ იმას ვერ გავაკეთებ, რაც მსურს, — იმით მაინც ვიქნები კმაყოფილი,

---

* ნაფულისხმევი, პოტენციალური. (ლათინ.). — რ ე დ.

თუ შეეძლებ ავღძრა ცნობისმოყვარეობა — ნათლად და დალაგებულად შეიტყოთ ის, რასაც მე რაფსოდიულად და ღარიბულად მოგითხრობთ. სარგებლობა ამგვარი Vorstudien *-ისა, როგორც ეს წერილებია, მხოლოდ მოსამზადებელი ხასიათისაა; იგი ზოგადად გვაცნობს თანამედროვე მეცნიერების მთავარ საკითხებს, თავიდან გვაცილებს ცრუ და მცდარ აზრებს, ხავსმოდებულ ცრურწმენებს და უფრო მისაწვდომს ხდის მეცნიერებას. მეცნიერება ძნელი ჩანს არა იმიტომ, რომ იგი მართლაც ძნელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ მიაღწევ მის სიმარტივეს, თუ არ გაარღვიე იმ მზამზარეულ ცნებათა წყვდიადი, რომელნიც ხელს გვიშლიან პირდაპირ დანახვას. დაე იმან, ვინც მეცნიერების ტაძარში შედის, წინდაწინ იცოდეს, რომ დაჟანგულ და უვარგის იარაღთა მთელი არსენალი, რაც ჩვენ სქოლასტიკისაგან მემკვიდრეობით გვერგო, გამოუსადეგარია, რომ საჭიროა დავთმოთ მეცნიერების გარეშე შედგენილი შეხედულებანი, რომ, თუ არ უკუაგდეთ ყველა ნ ა ხ ე ვ ა რ ს ი ც რ უ ე, რითაც უკეთ გაგებისათვის მოსავენ ნ ა ხ ე ვ ა რ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ებ ს, ისე არ შეიძლება შევიდეთ მეცნიერებაში, არ შეიძლება მივაღწიოთ მთელ ჭეშმარიტებას.

რაც შეეხება მთავარ საფუძვლებს, ეს საფუძვლები ჩემი არ არის: ისინი ეკუთვნიან თანამედროვე შეხედულებას მეცნიერებაზე და იმ ძლიერ ორგანოებს, რომლებიც ამ შეხედულებას აცხადებენ. ჩემია მხოლოდ გადმოცემა და კეთილი ნება. როგორც მახსოვს, ერთი პრინცი, ემიგრანტი, როცა მიტავაში სათუთუნეებსა და ბეჭდებს არიგებდა, რაც მისთვის ეკატერინე დედოფალს გამოეგზავნა, დასძენდა: «De ma part ce n'est que le mouvement du bras et la bonne volonté» **— და მე მის სიტყვებს ვიმეორებ ***.

---

* წინასწარი შესწავლა (გერმან.). — რ ე დ.

** «ჩემის მხრით აქ მხოლოდ ხელის მოძრაობა და კეთილი ნება» (ფრანგ.). — რ ე დ.

*** ეგებ, არც თუ მთლად ზედმეტი იყოს მკითხველთა ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ სიტყვები: «იდეალიზმი», «მეტაფიზიკა»,

მეცნიერება და ბუნება აზროვნების ფენომენოლოგიაა

დავიწყოთ ab ovo*. საამისოდ საკმაოზე მეტი მიზეზები მოიპოვება; ნება მოვეცით ავღნიშნო ეს მიზეზები. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ მეცნიერების განვითარების რა ლოგიკურ მომენტს ხვდება ბუნებისმეტყველება თანადროულობაში, საკმარისი არ არის მოკლედ მოვიხსენიოთ რამდენიმე ყველაზე მკვეთრი, ყველაზე უკიდურესი დებულება, რამდენიმე საწყისი, რომლებამდეც მივიდა თანამედროვე მეცნიერება, რამდენიმე დასკვნა, რომლებშიც იგი თავმოყრილია. უფრო

«განყენება», «თეორია» გაგებული იყო ამ უკიდურესი მნიშვნელობით, სადაც ისინი ყალბია, განსაკუთრებულია. ეს სიტყვები რომ გავიგოთ უფრო ზოგადი, არაისტორიული განსაზღვრიდან აღებული აზრით, მათ რომ იდეალური განსაზღვრანი მივაკეროთ, სხვა გამოვა; მაგრამ მაშინ გთხოვთ გაიხსენოთ, რომ მე მათ ამ აზრით არ ვიღებ; ჩემთვის ეს სიტყვები ცალმხრივი მიმართულების ლოზუნგებია, დროშებია, რომლებიც მაშინვე მიგვითითებენ მტკივნეულ ადგილზე. იგულისხმება, რომ არისტოტელე ამ აზრით არ ხმარობდა სიტყვა «მეტაფიზიკას» [97]; ყოველ ადამიანს, ორმელიც ბუნებას უყურებს არა როგორც სურსათ-სანოვაგეს, არამედ როგორც რაღაც შეცნობადს, შეიძლება მეტაფიზიკოსი ვუწოდოთ, ისევე როგორც ყოველ მოაზროვნეს — იდეალისტი. მე ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი მეთქვა, — თუ რა ფარგლებში ვიღებ ამ სიტყვებს. თუ ისინი არ მოსწონთ, დაე მკითხველმა სხვებით შეცვალოს — Le fond de la chose იგივე რჩება, — მე კი სწორედ ამასთან მაქვს საქმე. კიდევ ერთი შენიშვნა: ჰეგელის შეხედულება მიღებული არ არის და უცნობია დადებით მეცნიერებებში; მის მეთოდს არა გვგონია იცნობდნენ საფრანგეთში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰეგელიზმს დიდი გავლენა ჰქონდა ბუნებისმეტყველებაზე, — გავლენა, რომლის წყარო ნატურალისტებს ვერ გაუგიათ, მაგრამ რომელიც აშკარად ეტყობა ლიბიხსაც, ბურდახსაც, რასპაილსაც და ბევრ სხვას, თუმცა მათი მეტი ნაწილი, ალბათ, უკუაგდებს ჩვენს ნათქვამს. მათ თვითონაც არ იციან, თუ როგორ შეითვისეს გარემოდან ის მიმართულება, რომლითაც მიჰყავთ მეცნიერება. შევეცდები ერთ-ერთ შემდეგს წერილში დავამტკიცო აქ ნათქვამი. — ა. გ. Le fond de la chose — საქმის არსი (ფრანგ.). — რ ე დ.

* თავიდანვე (ლათ.). — რ ე დ.

ძეტად ვერაფერი ვნებდა და ვნებს ფილოსოფიას, როგორც ნასესხები, დაუკავშირებელი შედეგები, ფორმალურად მიღებულნი, აზრს მოკლებულნი და თვითნებური განმარტებით განმეორებულნი. სიტყვები იმდენად ვერ შეიწოვენ აზრის მთელ შინაარსს, მიღწევის მთელ მსვლელობას, რომ შეკუმშული საბოლოო დანასკვის სახით თავს მოახვიონ ყველას თავისი ჭეშმარიტი და უტყუარი აზრი. მას უნდა მიაღწიო; განვითარების პროცესი მოხსნილია, საბოლოო დასკვნაშია დაფარული; მასში გამოითქმის მხოლოდ ის, რაც მთავარია; ეს ბოლოს მოთავსებული თავისებური სათაურია; იგი, მთელი ორგანიზმისგან გასხვისებული, უსარგებლოა ან მავნე. რა სასარგებლოა ადამიანისათვის, ვინც ალგებრა არ იცის, რომელიმე ხაზის განტოლება, მიუხედავად იმისა, რომ ამ განტოლებაში ყველაფერი არის: მისი კანონიც, აგებულებაც და ყველა შესაძლო შემთხვევაც. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმისთვის არსებობს, ვინც იცის, თუ საერთოდ როგორ დგება განტოლებანი, — ერთი სიტყვით, იმ ადამიანისათვის, რომელმაც იცის ფორმულაში დაფარული გზა, რომელსაც თვითეული ნიშანი მოაგონებს ცნებათა გარკვეულ წესრიგს: ზოგად ფორმულაში მოცემულია მთელი ჭეშმარიტება; მაგრამ ზოგადი ფორმულა არ არის ის ორგანიკა, რომელშიც ჭეშმარიტება თავისუფლად ვითარდება. სრულიად პირუკუ; იგი იკუმშება მასში, თავს იყრის მასში. მარცვალი მცენარის ამგვარსავე თავმოყრას წარმოადგენს: მარცვალს არავინ თვლის მცენარედ, არავინ ჯდება მუხის რკოს ჩრდილში, თუმცა ეს რკო უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე მთელი მუხა, — შეიცავს მთელ რიგ გარდასულ და მთელ რიგ მომავალ მუხებს. არის შემთხვევა, როცა შეიძლება გამოიყენო შედეგები მათი აზრის განუმარტავად, — სახელდობრ, როცა წინუძღვის უეჭველობა, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში იგულისხმება ერთი და იგივე ცნება, რომ არის საყოველთაოდ მიღებული, წანამძღვარი რამ, რაც ერთმანეთთან აკავშირებს მოსაუბრესა და მსმენელს; გარდამავალ ეპოქებში ასეთი უეჭველობა შეიძლება გქონდეს მხოლოდ მაშინ, თუ ახლობელ

შეგობრებს ესაუბრები. მეცნიერების სახელით მოსაუბრეს უფრო ხშირად ჰგონია, რომ მთელი პროცესი, რომელიც მისთვის აშკარად არის დაფარული ფორმალურ გამოთქმაში, მსმენელისათვის ცნობილია და მიდის წინ, მაშინ როცა თვითეულში მიდის წინ ან პირადი მოსაზრება ან ცრურწმენა, და გამოთქმული სიტყვა მასში აღვიძებს არა გონებითს თვითმომქმედებას, არამედ სწორედ ამ დამყაყებულ და დახავსებულ ცრურწმენებს. ამიტომ გთხოვთ არ დამძრახოთ იმის გამო, რომ მეცნიერების განსაზღვრით და მისი განვითარების ზოგადი მიმოხილვით ვიწყებ.

მეცნიერების საქმეა ყოველივე არსებულის გააზრება. აზროვნება ისწრაფვის გაიგოს, შეითვისოს გარეთ არსებული საგანი და პირველი მიდგომისთანავე იწყებს იმის უარყოფას, რაც მას ხდის გარეშედ, სხვად, აზრისადმი დაპირისპირებულად, ე. ი. უარყოფს საგნის უშუალობას, განაზოგადებს მას და უკვე ეპყრობა მას როგორც საყოველთაოს: ცდილობს გაიგოს იგი როგორც ასეთი. საგნის გაგება იმას ნიშნავს, რომ გახსნა მისი შინაარსის აუცილებლობა, გაამართლო მისი ყოფიერება, მისი განვითარება; ის, რაც გაგებულია როგორც აუცილებელი და გონივრული, ჩვენთვის უცხო არ არის: იგი საგნის ნათელ აზრად გადაქცეულა; შეცნობილი და გაგებული აზრი ჩვენ გვეკუთვნის და ჩვენ მიერ შეიცნობა, იმიტომ რომ იგი გონივრულია და ადამიანიც გონიერია, გონება კი ერთია*. არაგონივრული გაუგებარია ჩვენთვის, მაგრამ გარჯაც არ ღირს, რომ იგი გავიგოთ: იგი აუცილებლად არაარსებითი, არაჭეშმარიტი აღმოჩნდება; იგი ისეთი გვეევლინება (სკო-

* რამდენიმე გონება ისეთი უაზრობაა, რომლის არათუ გაგება, არამედ წარმოდგენაც არ შეუძლია ადამიანურ წარმოსახვას. თუ ჩვენ, მაგალითად, ორ გონებას ვცნობთ, მაშინ ერთისათვის ჭეშმარიტი მეორისათვის სიცრუე იქნება — წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სხვადასხვანი არ არიან; ამასთან ერთად ორივე გონებას უფლება აქვს თვითეულმა თავისი ჭეშმარიტება მიიჩნიოს ჭეშმარიტებად, და ეს უფლება ჩვენ მიერ აღიარებულია ორი გონების აღიარებით; თუ ჩვენ ვიტყვით, რომ მარტო ერთს ესმის ჭეშმარიტება, მაშინ მეორე გონება უგუნურება იქნება და არა გონება. სხვადასხვა ჭეშმარიტების ახლობელი ორი სხვადასხვა გონება იმ და-

ლური ენით რომ ვილაპარაკოთ), რის დამტკიცებაც არ შეიძლება, რადგან დამტკიცებაც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ გახსნა საგნის აუცილებლობა, რომელიც მის გონივრულობას მიგვითითებს; რაც გონივრულია, ის აღიარებულია ადამიანის მიერ; სხვა კრიტერიუმს ადამიანი არ ეძებს; გონებით გამართლება უკანასკნელი უაპელაციო ინსტანციაა. თავისთავად იგულისხმება, რომ საგნის აზრი მხოლოდ და მხოლოდ მოაზროვნის პირადი კუთვნილება არ არის: მას კი არ შეუტანია იგი სინამდვილეში, იგი მხოლოდ შეცნობილია მის მიერ: იგი წინაარსებობდა, როგორც ფარული გონება, საგნის უშუალო ყოფიერებაში, როგორც მისი დროსა და სივრცეში გ ა მ ო მ ე ღ ა ვ ნ ე ბ უ ლ ი უფლება არსებობისა, როგორც ნამდვილად ფაქტობრივ შესრულებული კანონი, რომელიც მოწმობს თავის განუყრელ ერთიანობას ყოფიერებასთან. აზროვნება ათავისუფლებს დროსა და სივრცეში არსებულ აზრს ცნობიერების ისეთ გარემოში, რომელიც მას უფრო შეეფერება; აზროვნება, ასე ვთქვათ, აღვიძებს მას თვლემისაგან, რომელსაც იგი, ხორცშესხმული, მარტო ყოფიერებით არსებული, ჯ ე რ კ ი დ ე ვ მოუცავს. საგნის აზრი საგანში კი არ თავისუფლდება: იგი თავისუფლდება როკორც უსხეულო, განზოგადებული, რომელსაც თავისი მოვლენის კერძოობა ცნობიერების, საყოველთაო გონების სფეროში დაუძლევია. საგნობრივი არსებობა აზრისა, რომელიც გონებისა და თვითშემეცნების სფეროში გაცოცხლებულა, წინანდებურად გრძელდება დროსა და სივრცეში; აზრმა ორნაირი სიცოცხლე მიიღო: ერთია მისი წინანდელი კერძო, დადებითი, ყოფიერებით განსაზღვრული არსებობა; მეორეა ცნობიერებით და თავის, როგორც კერძოს, უარყოფით განსაზღვ-

---

მამცირებელ შემთხვევებს მოგვაგონებს, როცა ორნი ფიცს სდებენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. საგნის სხვადასხვანაირი გაგება არ ნიშნავს, რომ გონებანი სხვადასხვანი არიან, არამედ იმას, რომ, ჯერ ერთი, ადამიანები სხვადასხვანაირნი არიან, და, მეორეც, რომ გონების განვითარების სხვადასხვა დონეზე ჰეშმარიტება სხვადასხვანაირად, სხვადასხვა მხრით განისაზღვრება ერთი და იგივე გონების მიერ. — ა. გ.

რული საყოველთაო სიცოცხლე. ჯერ საგანი — სრულიად აზროვნების გარეშე; ადამიანის პირადი გონებითი მოქმედება მიუდგება მას, გამოიკითხავს, რაშია მისი ჭეშმარიტება, რაშია მისი გონება; იმის მიხედვით, როგორც აზრი განარიდებს საგანს (და თავის თავს) ყოველივე კერძოსაგან, შემთხვევითისაგან და ჩაღრმავდება მის გონებაში, იგი აღმოაჩენს, რომ ეს მისი გონებაცაა; გონების ჭეშმარიტებას რომ ეძებს, იგი თავის თავს პოულობს როგორც ამ ჭეშმარიტებას; რაც უფრო ვითარდება აზრი, მით უფრო დამოუკიდებელი, უფრო თვითმყოფი ხდება იგი მოაზროვნის პიროვნებისაგანაც და საგნისაგანაც; იგი აკავშირებს მათ, მოხსნის მათ სხვაობას უმაღლესი ერთიანობით, ეყრდნობა მათ და, თავისუფალი, თვითმყოფი, თვითკანონიერი, მეფობს მათზე, — თავის თავში თავის ორ ცალმხრივ მომენტს ჰარმონიულ მთლიანობად ახამებს *. ადამიანთა მოდგმის აზროვნების მიერ საგნის აზრის განვითარების მთელი პროცესი, უხეში და შეურიგებელი წინააღმდეგობიდან, რომელშიც გვხვდება პირი და საგანი, წინააღმდეგობათა მოხსნამდე იმ უმაღლესი ერთიანობის შეგნებით, რომელშიც ისინი ერთიმეორისათვის აუცილებელ მხარეებს წარმოადგენენ, — მთელი ეს რიგი ფორმებისა, რომლებიც ორ განსაკუთრებულ უკიდურესობაში (პირისა და საგნის) მოქცეულ ჭეშმარიტებას ურთიერთი შეზღუდვისაგან ათავისუფლებენ გონებაში, იდეაში მათი ერთიანობის აღმოჩენითა და შეგნებით — შეადგენს მეცნიერების ორგანიზმს.

— ბევრნი მეცნიერებას თვლიან საგნისადმი გარეშე რამედ, ადამიანის თვითნებობისა და ფანტაზიის საქმედ, რაზედაც ისინი აფუძნებენ ცოდნის არანამდვილობას, მის შეუძლებლობასაც კი. რა თქმა უნდა, მეცნიერება საგნის ნივთობრივ ყოფიერებაში კი არ მდგომარეობს, რა თქმა უნდა, იგი აზრის, სახელდობრ, ადამიანის აზრის თავისუფალი მოქმედებაა; მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ იგი შემთხვევით

* ე. ი. არსებობა როგორც მარტო თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, და ცნობიერება როგორც თ ა ვ ი ს თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა. — ა. გ.

პიროვნებათა თვითნებური, საგნისადმი გარეშე ქმნილება იყოს; ამ შემთხვევაში იგი, როგორც ვთქვით, გვარეობითი უგუნურება იქნებოდა. შეზღუდული კატეგორია ყოფიერების გარეთ აზრს ვერ მიუდგება; აზრისათვის იგი არაარსებითია, აზრს არა აქვს კარჩაკეტილი, გარდაუვალი განსაზღვრულობა ი ქ ა ნ ა ქ, მისთვის არ არსებობს alibi*; ხოლო თუ სურთ ეს კატეგორია იხმარონ, უნდა შეაბრუნონ სიტყვა და თქვან, რომ უშუალო საგანი აზრის გარეთ არის, მის გარეთ არის, რადგან ის ნამდვილად მის გარეგნობას შეადგენს; ბუნება არა მხოლოდ გარეგნობაა ჩვენთვის, ის თავად მ ხ ო ლ ო დ გარეგნობაა; ბუნების ცნობიერი, გონს მოსული აზრი მასში კი არა არის, ა რ ა მ ე დ ს ხ ვ ა შ ი ა (ე. ი. ადამიანში); პირიქით, ადამიანის გვარეობითი მნიშვნელობაა იყოს თ ა ვ ი ს ი და ს ხ ვ ი ს ი (ე. ი. ბუნების) ქეშმარიტება; ცნობიერება თვითშემეცნებაა; იგი იწყება თავის როგორც სხვის შემეცნებით და აღწევს თავის ცნობიერებას როგორც თავისას: ცნობიერება სრულებითაც არ არის ბუნებისათვის გარეშე რამ, არამედ იგი მისი განვითარების უმაღლესი ხარისხია, დადებითი, დროსა და სივრცეში განუყოფელი არსებობიდან ბუნების საპირისპიროდ ადამიანის უარყოფითი, გათიშული განსაზღვრის გზით, მათი ქეშმარიტი ერთიანობის აღმოჩენაზე გადასვლა. საიდან და როგორ შეიძლებოდა გაჩენილიყო ბუნებისადმი გარეშე და, მაშასადამე, საგნისადმი უცხო ცნობიერება? ადამიანი ბუნების გარეშე არ არის და მხოლოდ შეფარდებით უპირისპირდება მას, და არა ნამდვილად; ბუნება მართლაც რომ ეწინააღმდეგებოდეს გონებას, ყოველივე მატერიალური უაზრო, მიზანშეუწონელი იქნებოდა. ჩვენ შევეჩვიეთ ადამიანის სამყარო ქვიტკირის კედლით გამოვყოთ ბუნების სამყაროსაგან; ეს მართებული არ არის; სინამდვილეში, სისტემატიკოსთა დიდად სამწუხაროდ, საერთოდ არ არსებობს არავითარი მკვეთრად გაელებული მიჯნა და ზღვარი;

* სხვა ადგილას (ლათ.) ბრალდებულის უდანაშაულობის დადგენა, რაც დასტურდება იმის დამტკიცებით, რომ იგი იმ ადგილას არ იმყოფებოდა, სადაც დანაშაულია ჩადენილი. — რ ე დ.

მაგრამ ამ შემთხვევაში, გარდა ამისა, მხედველობიდან უშვებენ, რომ ადამიანს აქვს თავისი მსოფლიო მოწოდება სწორედ იმავე ბუნებაში და მას გააზრებით ამთავრებს; ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ისე, როგორც მაგნიტის პოლუსები ან, უკეთ, როგორც ყვავილი უპირისპირდება ღეროს, როგორც ჭაბუკი — ბავშვს. ყოველივე, რაც განვითარებული არ არის, რაც ბუნებას აკლია, ის არის, ის ვითარდება ადამიანში; მაშ რას შეიძლება დაემყაროს მათი ნამდვილი დაპირისპირება? ეს უთანასწორო და შეუძლებელი ბრძოლა იქნებოდა; ბუნებას ძალა არა აქვს აზრის მიმართ, ხოლო აზრი ადამიანის ძალაა; ბუნება ბერძნულ ქანდაკებას ჰგავს: მთელი მისი შინაგანი ძლიერება, მთელი მისი აზრი — მისი გარეგნობაა; ყველაფერი, რის გამოხატვაც მას შეეძლო, მან გაიხატა და ადამიანს დაუთმო გამოეჭღავნებინა ის, რაც მან ვერ შეძლო; ბუნება მისთვის არის აუცილებელი წინამორბედი, წინამძღვარი (Voraussetzung); ადამიანი ბუნებისთვის არის აუცილებელი შედეგი, დანასკვი (Schluss). ბუნების სიცოცხლე განუწყვეტელი განვითარებაა, განყენებული მარტივის, უსრულოს, სტიქიურის განვითარება კონკრეტულ სრულ, რთულ რამედ, ჩანასახის განვითარება მის ცნებაში ყოველივე მოქცეულის დანაწევრებით, და მუდმივი სწრაფვა — მიიყვანოს ეს განვითარება შინაარსთან ფორმის შესაძლოდ სრულ შესაბამობამდე, ეს ფიზიკური სამყაროს დიალექტიკაა. ბუნების ყოველ მისწრაფებას და ძალ-ღონეს ადამიანი ამთავრებს; ადამიანისკენ ისწრაფვიან ისინი, მას ერთვიან, როგორც ოკეანეს. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო თამამი ვარაუდი, რომ უკანასკნელი დანასკვი, რომელიც ბუნების მთელ განვითარებას აგვირგვინებს, — ადამიანის ცნობიერება — არ ეთანხმება მას? სამყაროში ყოველივე მწყობრია, შეთანხმებულია, მიზანშეწონილია,—მხოლოდ ჩვენი აზრი, აღებული თავისთავად, არის რაღაც ცთომილი კომეტა, ტვინის ავადმყოფობა, რომელიც არაფერს არ მიეკუთვნება!

იმისათვის, რომ აზროვნება წარმოდგენილ იქნეს ადამიანის რაღაც არაბუნებრივ, საგნიაადმი სრულიად გარეგნულ,

კერძო და პირად კუთვნილებად, იგი უნდა ჩამოშორდეს თავის გვარეობას. შეგვიძლია თუ არა გავიგოთ რაიმეს კავშირი და მნიშვნელობა, როცა ჩვენ თვითნებურად უკიდურეს რგოლებს ავიღებთ? შეგვიძლია თუ არა გავიგოთ ქვისა და ფრინველის დამოკიდებულება? კვალდაკვალ თუ გავყვებით, ადვილად შეიძლება გზას ავცდეთ; ხოლო თუ ალალბედზე ავიღეთ ორი მომენტი და ერთმანეთს დავუპირისპირეთ ისინი მათი კავშირის გასახსნელად, ძნელი, უმადური და თითქმის გადაუჭრელი ამოცანა გამოგვივა: ამის მსგავსად განიხილავენ ბუნებას და მის კავშირს ადამიანთან, აზროვნებასთან. ჩვეულებრივ, ბუნების შესწავლას, რომ იწყებენ. სურთ მისი უძრაობაში განხილვა და ეუბნებიან, როგორც ოდესღაც ისუ ნავემ უთხრა მზეს: «შეჩერდი! იყავ მკვდარი სუბსტრატი, ვიდრე გაგარჩევდეთ»; მაგრამ ბუნების შეჩერება არ შეიძლება: იგი პროცესია, დინებაა, ღელვაა, მოძრაობაა; იგი თითებ შუა გაივლის, ქალის საშოში ადამიანი ხდება და უფრო ადრე გაატანს თქვენს ჯებირს, ვიდრე მოასწრებდეთ შესაძლებლად დაინახოთ მისგან ადამიანის სამყაროსაკენ გადასვლა:

Ewig natürlich bewegende Kraft
Göttlich gesetzlich entbindet und schafft
Trennendes Leben, im Leben Verein,
Oben die Geister und unten der Stein *.

თუ თქვენ ერთ წამს შეაჩერეთ ბუნება, როგორც მკვდარი რამ, ვერათუ ვერ მიხვალთ აზროვნების შესაძლებლობამდე, არამედ ვერ მიხვალთ ინფუზორიების შესაძლებლობამდეც, კორძებისა და ხავსების შესაძლებლობამდე; უცქირეთ მას ისე, როგორც არის, ის კი მოძრაობაშია; მიეცით მას გასაქანი, თვალი ადევნეთ მის ბიოგრაფიას, მისი განვითარების ისტორიას,—მაოლოდ მაშინ ვაიხსნება იგი კავშირში.

* ბუნების მარად მოძრავი ძალა ღვთაებრივი კანონებით ათავისუფლებს და ქმნის განმაცალკევებელ სიცოცხლეს სიცოცხლესთან კავშირში, ზემოთ — სულები, დაბლა — ქვა (გერმ.). — რ ე დ.

აზროვნების ისტორია ბუნების ისტორიის გაგრძელებაა: ვერც კაცობრიობას, ვერც ბუნებას ვერ გაიგებთ ისტორიული განვითარების გარეშე. ამ ისტორიათა განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებას არაფერი არ ახსოვს, რომ მისთვის წარსული არ არსებობს, ადამიანი კი მთელ თავის წარსულს თავის თავში ატარებს: ამიტომაც წარმოადგენს ადამიანი არა მარტო თავის თავს, როგორც კერძოს, არამედ როგორც გვარეობითსაც. ისტორია აკავშირებს ბუნებას ლოგიკასთან; უმისოდ ისინი დაიშლებიან; ბუნების გონება მხოლოდ მის არსებობაშია, — ლოგიკის არსებობა მხოლოდ გონებაშია; არც ბუნებას და არც ლოგიკას არ ტანჯავს, არ ღრღნის ეჭვები; მათ არავითარი წინააღმდეგობა არ აღელვებს; ერთი არ მისულა წინააღმდეგობებამდე, მეორემ მოსსნა ისინი თავის თავში: ამაშია მათი დაპირისპირებული უსრულობა. ისტორია ერთიდან მეორისაკენ ასვლის ეპოპეაა, ვნებათაღელვით, დრამით აღსავსე ეპოპეა; მასში უშუალო ხდება ცნობიერი, და მარადიული აზრი დროებითს ყოფიერებაში ჩამოეშვება; მისი მატარებელნი არიან არა საყოველთაო კატეგორიები, არა განყენებული ნორმები, როგორც ლოგიკაში, არა ხმაამოუღებელი მონები, როგორც ბუნების ნაწარმოებნი, არამედ პიროვნებანი, რომლებმაც თავის თავში განასხეულეს ეს მარადი ნორმები და რომლებიც იბრძვიან ბედის წინააღმდეგ, ბუნებაზე რომ უშფოთველად დანავარდობს. ისტორიული აზროვნება — ადამიანის გვარეობითი საქმიანობა, ცოცხალი და ჭეშმარიტი მეცნიერება — ის მსოფლიო აზროვნებაა, რომელიც თვითონ გასცილდა ბუნების მთელ მორფოლოგიას და ნელ-ნელა ავიდა თავისი თვითკანონიერების შეგნებამდე: ყოველ ეპოქაში ილექება სწორ კრისტალებად მისი ცოდნა, მისი აზრი განყენებული, დამოუკიდებელი და უთუო თეორიის სახით; ეს ფორმალური ლოგიკაა. იგი ყოველთვის თვლის თავს ადამიანის ცოდნის დამთავრებად, მაგრამ იგი ამა თუ იმ ეპოქის აზროვნების ანგარიშს, დანასკვს წარმოადგენს, იგი მარტო თავის თავს თვლის აბსოლუტურად. მაშინ როცა აბსოლუტურია ის მოძ

რაობა, რომელიც ამავე დროს წარიტაცებს ისტორიულ ცნობიერებას შემდეგ და შემდეგ. იდეის ლოგიკური განვითარება იმავე ფაზებად მიმდინარეობს, როგორც ბუნებისა და ისტორიის განვითარება; იგი, როგორც ცაზე ვარსკვლავების აბერაცია, ჩვენი პლანეტის მოძრაობას იმეორებს.

აქედან თქვენ ხედავთ, რომ არსებითად სულ ერთია, თვით შემეცნების ლოგიკურ პროცესზე ვილაპარაკებთ თუ ისტორიულზე. ჩვენ უკანასკნელს ავირჩევთ. ლოგიკის მკაცრი, ნათელი, თავის თავთან შერიგებული ნაბიჯი ნაკლებად თანამგრძნობელია ჩვენი; ისტორია შთაგონებული ბრძოლაა, საზეიმო მსვლელობა ეგვიპტური ტყვეობიდან აღთქმული ქვეყნისაკენ; ლოგიკაში გაპარჯვება ცნობილია, მან იცის თავისი ძალა, თავისი აუცილებლობა; ისტორიაში — არ არის ცნობილი, და ამიტომ გაისმის სიხარულის აღტაცებული ჰიმნი, როცა მომავალი კაცობრიობის წინაშე გაიწევ-გამოიწევა მეწამული ზღვა, და იგივე ჩაძირავს ფარაონის დროშოჭულ და უმართებულო პრეტენზიას. ლოგიკა უფრო გონიერია, ისტორია უფრო ადამიანურია. არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე შემცდარი, როგორც უკუნდება წარსულისა, რომელიც აწმყოს მიღწევას ემსახურებოდა, თითქოს ეს განვითარება გარეგნული, ყოველგვარ შინაგან ღირსებას მოკლებული ფიცარნაგი იყოს. მაშინ ისტორია შეურაცხმყოფელი, მომავლის სასარგებლოდ ცოცხალის მარად შეწირვა იქნებოდა; ადამიანის სულის აწმყო მოიცავს და ინახავს ბეელ წარსულს, ეს წარსული კი არ წარხოცილა მისთვის, არამედ განვითარდა მასში; გარდასული არ დაკარგულა აწმყოში, არ შეცვლილა მით, არამედ აღსრულდა მასში; წარიხოცება ერთი რამ — ყალბი, მოჩვენებითი, არაარსებითი; მას, სწორედ რომ ვთქვათ, არასოდეს არც ჰქონია ნამდვილი ყოფიერება, იგი მკვდრადშობილია — ჭეშმარიტისათვის სიკვდილი არ არსებობს. პოეტები ადამიანის სულს ტყუილად კი არ ადარებენ ზღვას; იგი თავის სიღრმეში ინახავს მთელს სიმდიდრეს, რომელიც კი ერთხელ ჩავარდნილა მასში. მხოლოდ სუსტი

ვერ იტანს მისი მლაშე ტალღის სიმძაფრეს და უკვალოდ იშლება მასში.

ამგვარად, აზრის თანამედროვე მდგომარეობა რომ გავიგოთ, ამისათვის უტყუარი გზაა-გავიხსენოთ, თუ როგორ მივიდა კაცობრიობა ამ მდგომარეობამდე, გავიხსენოთ აზროვნების მთელი მორფოლოგია: ბუნებასთან უშუალო, შეუცნობელი ზავიდან, რაც წინ უძღოდა აზროვნებას, თავის თავთან სრული და შეცნობილი ზავის შესაძლებლობამდე, რომელიც ისახება. ამთავითვე ჩვენ მოგვიხდება აღვადგინოთ ის ნაბიჯები, რომელთა კვალი თითქმის დაიკარგა, ვინაიდან კაცობრიობამ არ იცის იმის შენახვა, რასაც იგი აზრის გარეშე აკეთებდა: ინსტინქტური მის ხსოვნაში რჩება. როგორც ბავშვის ბუნდოვანი სიზმარი! ნუ იფიქრებთ, თითქოს მსურდეს გაგიმასპინძლდეთ გესნერის აბელით [98] ან ენციკლოპედისტების ველური ადამიანით, — ჩემი განზრახვა გაცილებით უბრალოა: მე მინდა განვსაზღვრო ისტორიული ცნობიერების აუცილებელი ამოსავალი წერტილი.

ადამიანის გარეთ არსებობს ერთმანეთთან ბუნდად გადაწნულ კერძოობათა უსასრულოდ ნაირ-ნაირი სიმრავლე; მათი გარეგნული დამოკიდებულება, რაც შინაგან ერთიანობას გვანიშნებს, მათი განსაზღვრული ურთიერთქმედება თითქმის იკარგება შემთხვევითობათაგან, რომელნიც განაბნევენ, ჩამოყრიან, ინახავენ და სპობენ «უსასრულობაში მიმავალ ნაწილთა გროვას», ლაიბნიცის საუცხოო გამოთქმა რომ ვიხმაროთ. ისინი ადამიანისაგან დამოუკიდებელი თვითმყოფობის ხასიათს ატარებენ; ისინი იყვნენ, როცა ადამიანი არ იყო; მათ ადამიანთან არაფერი ესაქმებათ, თუ როდის გაჩნდა იგი; მათ არა აქვთ ბოლო, საზღვარი; ისინი განუწყვეტლივ და ყველგან აღმოცენდებიან, იკარგებიან. განსჯის თვალსაზრისით ამ გრიგალძა, მიმოქცევამ, უწესრიგობამ, გარემოს ამ ურჩობამ საშინელებითა და სასოწარკვეთილებით უნდა აღავსონ ადამიანი, დათრგუნონ იგი და უიმედობა დათესონ სულში; მაგრამ ადამიანი, ბუნებასთან პირველი შეხვედრისას, ბავშვური უბრალოებით უცქეროდა მას: არა-

ფერი ესმოდა გარკვეულად, ჯერ კიდევ არ განდგომოდა სიცოცხლის სამყაროს, რომელშიც მოხვდა, აზრის ნეგაცია* არ იყო მასში გაღვიძებული. და ამიტომ იგი შინ გრძნობდა თავს, და არაფერ გარემომცველს არ შეეძლო გაეოცებინა მისი ზეაპყრობილი თვალი. ცხოველს აქვს ეს ემპირიული ნდობა, მაგრამ იგი მასზე ჩერდება; ადამიანი მაშინვე ამჩნევს, რომ მისთვის ცოტაა ეს ნდობა, რომ იგი ხელისუფლებად გრძნობს თავს გარემომცველი სამყაროს მიმართ. ამ. ცალ-ცალკე არსებულ, კერძოობათ რაღაცა აკლიათ: ისინი იშლებიან, წარმავალნი არიან, უკვალოდ იკარგებიან; ადამიანი მათ ცენტრს აძლევს, და ეს ცენტრი თვითონ არის; იგი თავისი სიტყვით ამოსტყორცნის მათ მიმოქცევიდან, რომელშიც ისინი გამოკრთიან და იღუპებიან; სახელით აძლევს მათ თავის აღიარებას, ააღორძინებს თავის თავში, აორკეცებს და მაშინვე საყოველთაოს სფეროში მოაქცევს. ჩვენ ისე შევეჩვიეთ სიტყვას, რომ ვივიწყებთ სამყაროს მეუფებაში ადამიანის შესვლის ამ საზეიმო აქტის სიდიადეს. ბუნება უადამიანოდ, რომელიც მას სახელს აძლევს, არის რაღაც მუნჯი, მოუთავებელი, უბედო, avorté**; ადამიანმა აკურთხა მისი არსებობა ვიღაცასთვის, აღადგინა იგი, საჯაროდ გამოიტანა. ტყუილად კი არ იყო, რომ პლატონმა ესოდენი აღტაცება გამოთქვა ადამიანის თვალის გამო, რომელიც მიპყრობილია ციური სამყაროსაკენ, და თვით სამყაროზე უფრო მშვენიერად მიიჩნია იგი. მხეციც ხედავს, მხეციც გამოსცემს ბგერას, და ერთიც და მეორეც სიცოცხლის დიადი გამარჯვებაა; მაგრამ ადამიანი იცქირება და ლაპარაკობს, და როცა იგი იცქირება და ლაპარაკობს, კერძოობათა მოუწესრიგებელი გროვა უკვე აღარ არის შემთხვევითობათა ხროვა, არამედ გვევლინება როგორც ჰარმონიული მთელი, როგორც ერთიანობის მქონე ორგანიზმი. საგულისხმოა, რომ ბუნებასთან უშუალო თანხმობის ამ პერიოდშიც,

---

* უარყოფა (ლათ.). — რ ე დ.

** უდღეური (ფრანგ.). — რ ე დ.

როცა განსჯას ადამიანი უარყოფის მახვილით ჯერ კიდევ არ მოეკვეთა იმ ნიადაგიდან, რომელზედაც იგი გაიზარდა, იგი არ ცნობდა კერძო მოვლენათა თვითმყოფობას, ყველგან ბატონ-პატრონივით იქცეოდა, შესაძლებლად მიაჩნდა შეეთვისებინა ყოველივე გარემომცველი და აეძულებინა შეესრულებინათ თავისი ამოცანები, იგი ნივთს თვლიდა თავის მონად, მისი სხეულის გარეთ არსებულ ორგანოდ, საკუთრებად. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ნება მხოლოდ იმას ჩავუნერგოთ, რასაც თავისი ნება არა აქვს, ან რაშიც ჩვენ ნებას უარვყოფთ; სხვისათვის შენი მიზნის დასახვა იმას ნიშნავს, რომ მისი მიზანი არსებით რამედ არ მიგაჩნდეს ან შენი თავი მიგაჩნდეს მის მიზნად.

ადამიანი ისე ნაკლებად ცნობდა ბუნების უფლებებს, რომ სრულიად დამშვიდებული სინიდისით სპობდა იმას, რაც მას ხელს უშლიდა, იყენებდა იმას, რაც სჭირდებოდა; იგი, გესლერის მსგავსად [99], რომელიც თვითონ შვეიცარიელებს აიძულებდა ეშენებინათ მისთვის ცვინგერ-ური, ლაგმავდა ბუნების ძალებს, რისთვისაც ერთიმეორეს უპირისპირებდა მათ. ბუნება არათუ ვერ აძრწუნებდა ადამიანს თავისი სიდიდითა და უსასრულობით, რასაც იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და შემდეგისათვის ყველა საუკუნის რიტორებს უთმობდა დაეშინებინათ თავიანთი თავი და სხვები მირიადობით სამყაროებითა და მთელი რაოდენობრივი უზომობით, — არამედ ვერ აძრწუნებდა უბედურებითაც კი, რასაც იგი უნებლიეთ თავს ატეხდა ადამიანებს: ჩვენ ვერსად ვხედავთ, რომ მას ქედი მოეხაროს სამყაროს ჩლუნგი და გარეშე ძალის წინაშე; სრულიად პირუკუ, იგი ზურგს აქცევს მის სტიქიურ მოუწესრიგებლობას და ლოცვით, მუხლმოდრეკილი, მხურვალე რწმენით აღფრთოვანებული, მიმართავს ღვთაებას. რარიგ უხეშად არ უნდა ჰქონდეს ადამიანს წარმოდგენილი უზენაესი საწყისი, ღვთაებრივი სული, მასში იგი უეჭველად ხედავს ჭეშმარიტებას, სიბრძნეს, გონებას, სამართლიანობას, რაც მეფობს და სძლევს არსებობის მატერიალურ მხარეს. განგების მიერ სამყაროს მპყრობელობის რწმე-

ნა შეუძლებელს ხდის იწამონ მოუწესრიგებლობა და შემთხ-
ვევითობა.

ადამიანი დიდხანს ვერ შეძლებდა ბუნებასთან, ფენომე-
ნალურ სამყაროსთან თავდაპირველ თანხმობაში დარჩენი-
ლიყო; იგი თავის თავში ატარებდა ჩანასახს, რომელსაც
განვითარებისას, ქიმიური რეაგენციის მსგავსად, უნდა დაე-
შალნა მისი ბავშვურად ჰარმონიული არსებობა ბუნებასთან;
ბუნება, როგორც გარეშე სამყარო, მისთვის მიზანი ვერ
იქნებოდა: ყოველი რელიგიური აღტაცებისას ადამიანი ის-
წრაფოდა გასცლოდა ფენომენალურ სამყაროს და ეტა-
ნებოდა ყველა მოვლენაზე მსუფევ სამყაროს. ცხოველი არა-
სოდეს არ ეთიშება ბუნებას: ეს არის ინდივიდუალური სი-
ცოცხლის განვითარების უკანასკნელი, აღუშფოთებელი
შეერთება ბუნების საერთო სიცოცხლესთან; ადამიანის ორმაგი
ბუნება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი, გარდა თა-
ვისი დადებითი ყოფიერებისა, არ შეიძლება უარყოფითად
არ მოეკიდოს ყოფიერებას; იგი ეთიშება არა მარტო გარე-
გნულ ბუნებას, არამედ თავის თავსაც კი; ეს გათიშულობა
ტანჯავს მას; ეს ტანჯვა წინ მიერეკება მას. არის სისუს-
ტისა და დაუძლურების წუთები, როცა სევდა და ბუნებასთან
ამ წინააღმდეგობაში საშინელი რაღაც თრგუნავს ადამიანს,
და იგი, ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტების წმინდა მითითე-
ბათა მიხედვით მიდიოდეს, დაღლილი ჯდება შუა გზაზე, სი-
სხლიან ოფლს იწმენდს და ოქროს კერპს — ახლობელ, მაგრამ
მცდარ ნიშანს დგამს. ის თავის თავს ატყუებს, — ბუნდოვნად
თვითონაც გრძნობს ამას; მაგრამ, ვით გაშმაგებული ოტე-
ლო, იგი, ჭეშმარიტების წყურვილით გახელებული, იმუდა-
რება სიცრუე უთხრან მას, რათა გაექცეს რაღაც მოუსვენარს,
ფიზიკურ სამყაროსთან განცალკევებაში საშინელს. ადამიანი
მზად არის ფრიად ტლანქ ფეტიშიზმში ჩაეფლოს, ოღონდ
საყოველთაო სფერო იპოვნოს, რათა შეუერთოს მას თავისი
ინდივიდუალური სიცოცხლე, ოღონდ სამყაროში უცხო და
თავის ანაბარა მიტოვებული არ იყოს. ასე ყოველგვარი გან-
ცალკევება და ეგოიზმი ეზიზღება მსოფლიო წესრიგს.

როგორც კი ადამიანი ბუნებას გამოეთიშა, მას უნდა გასჩენოდა ცოდნის მოთხოვნილება, გარეგნობის მეორედ შეთვისებისა და დამორჩილების მოთხოვნილება. იგულისხმება, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ცოდნის თეორიული მოთხოვნილება გარკვეულად გასჩენოდეს ადამიანთა გონებას; არა, ისინი ამ მოთხოვნილებამდეც ბუნებრივი ტაქტით მივიდნენ. ბუნდოვანი თანაგრძნობა და წმინდა-პრაქტიკული დამოკიდებულება საკმარისი არ არის ადამიანის მოაზროვნე ბუნებისათვის; იგი მცენარესა ჰგავს: სადაც უნდა დარგონ, ბუდამ სინათლისაკენ შებრუნდება და მისკენ მიისწრაფვის; მაგრამ ადამიანი იმით არ ჰგავს მცენარეს, რომ ეს უკანასკნელი მიიწევს და ვერასოდეს ვერ შეძლებს სასურველი მიზნის მიღწევას, რადგან მზე მის გარეთაა, ხოლო ადამიანის გონება, რომელიც მას ნათელს ჰფენს, შიგნით არის, და მას, ნაწდვილი რომ ითქვას, სჭირდება არა გაწევა, არამედ თავმოყრა. ადამიანი თავდაპირველად ამას ვერ ამჩნევს, და თუ მისი გონივრულობა განსჭვრეტს ჭეშმარიტების შესაძლებლობას, იგი მაინც შორს არის გზების შეცნობისაგან; ის თავისუფალი არ არის გაგებისათვის: ცხოველური უშუალობის სქელი ღრუბლები ჯერ კიდევ არ გაფანტულა. ფანტასტიკური სახეები კიაფობენ ამ ღრუბლებში, მაგრამ შუქით კი არა; ცნობიერებამდე გრძელი გზაა; მას რომ მიაღწიოს, ადამიანმა უნდა უარყოს თავის თავი როგორც კერძოობა და შეიგნოს თავის თავი როგორც გვარეობა. მან თავის თავს უნდა უყოს ის, რაც მან ბუნების მიმართ თავისი სიტყვით ჩაიდინა, ე. ი. განაზოგადოს თავის თავი. ეს ცოტაა, რომ ადამიანი თავისი მე-ს თვითმყოფი კარჩაკეტილობის გაგებით ცხოველებზე უფრო შორს მიდის; მე არის თავის თავთან იგივეობის დადასტურება, შეგნება, სულისა და სხეულის, როგორც დაპირისპირებულთა, მოხსნა პიროვნების ერთიანობით, — ამაზე შეჩერება არ შეიძლება: საჭიროა შეგნება გვარის უმაღლესი ერთიანობისა თავის თავთან. ეს ერთიანობა იწყება პიროვნების როგორც კერძოობის შთანთქმით, და შეშინებული ადამიანი, რომელსაც თავდაცვის მცდარი

გრძნობა თან სდევს, ისწრაფვის თავი შეიმაგროს და ჭეშმარიტებად აცხადებს თავის პიროვნებას; ადამიანი, როცა ცხოლოდ თავის იგივეობას ადასტურებს თავის თავთან, აუცილებლად გამოეთიშება მთელ სამყაროს, ყოველივე იმას, რასაც იგი თავის მე-ს არკუთვნილად გრძნობს. ეს ლოგიკური ეგოიზმის გარდუვალი, მწარე შედეგია. და, ნამდვილი რომ ითქვას, სწორედ აქედან იწყება ლოგიკური მოძრაობა, რომელიც ისწრაფვის თავი დააღწიოს სამწუხარო გათიშვას; იგი ადამიანს ამ ანტინომიიდან ჰარმონიასთან აბრუნებს, მაგრამ უკვე არა ისეთს, როგორიც იყო იგი მაშინ, როდესაც იქიდან გამოვიდა. ადამიანი იწყებს ჭ ვ რ ე ტ ი ს და ყოფიერების ერთიანობის უშუალო აღიარებით და ათავებს ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობის გაგებით. ადამიანის გათიშვა ბუნებასთან, როგორც ჩარჭობილი სოლი, თანდათან აპობს ყველაფერს მოპირდაპირე ნაწილებად, ადამიანის სულსაც კი, ეს არის ლოგიკის divide et impera*, გაორებულის ჭეშმარიტი და მარადი შეერთების გზა.

ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანმა ყოველივე, რაც მას შეხვდა, ყოველივე, რაც გრძნობადი უტყუარობით, ცდით იყო მოცემული, თავისი სიტყვით განაყენა წარმავლობას, მოუხელებელ ცალმხრიობას. ადამიანი სახელს სდებს მხოლოდ საყოველთაოს, — ცალკეულ, შემთხვევით კერძოობას, ა მ ა ს ის სახელს ვერ დასდებს: მისთვის მან დაბალი საშუალება უნდა იხმაროს — თითით გვიჩვენოს. ამრიგად, ცოდნის საგანი თავიდანვე მოცილებულია უშუალო ყოფიერებას და უკვე როგორც განზოგადებული ინარჩუნებს თავის გარეარსს აზროვნების მიმართ. ეს განზოგადებული საგანი მ ე ო რ ე რიგის უშუალობას შეადგენს; ადამიანს ესმის მისი უცხოობა და ისწრაფვის დაშალოს აღორძინებული, მისთვის ცდით შემოჩრილი საგანი; მას სურს გაიგოს ეს საგანი, მოაშოროს მას მეორადი უშუალობა და ერთნაირად არ არის დაეჭვებული არც მის უცხოობაში და არც თავის შესაძლებლობაში—გაიგოს იგი ისე,

* გაჰყავ და იბატონე (ლათ.).—რ ე დ.

როგორც არის. როცა გაჩნდა საგნის ცოდნის მოთხოვნილება, აშკარაა, რომ გაგება მას უკვე თავის თავის მიმართ უცხოდ თვლიდა: ეს უცოდნელობის ვარაუდია. რას ეფუძნება ცოდნის უტყუარობა, მისი შესაძლებლობა, როცა საგანი სავსებით უცხოა ჩვენთვის? ეს ორი ვარაუდი შეუთავსებელია, ყოველ შემთხვევაში, ერთიმეორის გამაპირობებელი არ არის. თქვენ შეგიძლიათ ილოგიზმიც კი უწოდოთ ამ თანდაყოლილ რწმენას იმ ჭეშმარიტი ცოდნის შესაძლებლობისადმი, რომელიც ბუნების უცხოობის რწმენის გვერდით გვხვდება; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ილოგიზმი შეიცავდა პროტესტს ბუნების გასხვისების წინააღმდეგ, დადასტურებას, რომ ნამდვილად ასე არ არის, შეიცავდა მომავალი შერიგების საწინდარს. ფილოსოფიის ისტორია იმის მოთხრობაა, თუ როგორ ამოიხსნა ეს ილოგიზმი უმაღლეს ჭეშმარიტებაში. ლოგიკური პროცესის დაწყებისას საგანი პასიური რჩება, და გვევლინება პირი, რომელიც იღწვის მასზე, გააშუალებს მის ყოფიერებას თავის გონებასთან, ზრუნავს შეინარჩუნოს საგანი, როგორიც არის, ცოდნის პროცესში ჩაუბმელად; მაგრამ კონკრეტულმა, ცოცხალმა საგანძა იგი უკვე დატოვა, მის თვალწინაა განყენებანი, სხეულები, და არა ცოცხალი არსებანი; ის ცდილობს ცოტ-ცოტათი აბსტრაქციებით შეავსოს ყოველივე უკმარი, მაგრამ ისინი დიდხანს რჩებიან ასეთებად და თავისი უკმარობით განუწყვეტლივ მიუთითებენ შემდგომ გზას. ჩვენთვის უკვე ადვილია ამ გზას თვალი გავადევნოთ ფილოსოფიის ისტორიაში.

განა ღირს რაიმე ვთქვათ იმ გაცვეთილი და სულელური აზრის გასაპათილებლად, რომ ფილოსოფური სისტემები არეული და მერყევია, მათგან ერთი მეორეს დევნის, ყველა ყველას ეწინააღმდეგება და თვითეული პირად თვითნებობაზეა დამოკიდებული? — არა, არ ღირს. ვისაც თვალები ისე სუსტი აქვს, რომ მოვლენის გარეგნულ ფორმაში ვერ ამჩნევს გამომკრთომ შინაგან შინაარსს, ხილვადს მრავალსახეობაში ერთიანობას ვერ ამჩნევს, იმას, რაც უნდა ელაპარაკო, მეცნიერების ისტორია ეჩვენება სხვადასხვა ბრძენთა აზ-

რების გროვად, რომელთაგან თვითეული თავის ყაიდაზე მსჯელობს სხვადასხვა სამოძღვრო და ჭკუის დამარიგებელი საგნის შესახებ და, რომელთაც აქვთ ცუდი ჩვეულება — აუცილებლად შეედავონ მასწავლებელს და აგინონ წინამორბედნი: ეს ატომიზმიაო, ეს მატერიალიზმია ისტორიაშიო. ამ თვალსაზრისით არა მარტო მეცნიერების განვითარება, არამედ მთელი მსოფლიო ისტორიაც ჩანს პირად გამონაგონთა ნაყოფად, შემთხვევითობათა უცნაური გადახლართვის საქმედ, — ეს ანტირელიგიური შეხედულებაა, რომელიც ზოგიერთ სკეპტიკოსსა და უგზოუკვლოდ ნასწავლ ხალხს ეკუთვნის. დროში ყოველივე არსებულს აქვს შემთხვევითი, თვითნებური კიდური, რაც აუცილებელი განვითარების საზღვრებს სცილდება და საგნის ცნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ გარემოებათაგან, რომელთა დროსაც იგი განსახიერდება; ზოგიერთ ადამიანს მხოლოდ ამ კიდურის, ამ ზღვარგადასული შემთხვევითობის შემჩნევა შეუძლია და უხარია, რომ სამყაროში ისეთივე უწესრიგობაა, როგორც მათს თავში, ვერც ერთი ქანქარა ვერ აკმაყოფილებს ზოგად ფორმულას, რომელიც მისი ამპლიტუდის კანონს გამოხატავს, ვინაიდან ფორმულაში არ შეაქვთ იმ ფირფიტის შემთხვევითი წონა, რომელზედაც იგი ჰკიდია, არც შემთხვევითი ხახუნი; მაგრამ არც ერთი მექანიკოსი არ დაეჭვებულა იმ ზოგადი კანონის ჭეშმარიტებაში, რომელმაც თავის თავში მოხსნა შემთხვევითი რხევანი და რომელიც ამპლიტუდის მარადიულ ნორმას წარმოადგენს. მეცნიერების განვითარება დროში პრაქტიკულ ქანქარას ჰგავს: ბითუმად იგი ახორციელებს ნორმალურ კანონს (რომელსაც აქ მთელი ალგებრული საყოველთაობით ლოგიკა იძლევა), მაგრამ კერძოობაში ყველგან ჩანს სახეცვლილებანი, დროებითნი და შემთხვევითნი. მესაათე-მექანიკოსს შეუძლია, თავისი თვალსაზრისით, მხედველობაში იქონიოს ზოგადი კანონი ხახუნის დაუვიწყებლად, ხოლო მესაათე-მუშაკი კერძო ქანქარათა უკანონო გადახვევასღა ხედავს. თავისთავად ცხადია, რომ ფილოსოფიის ისტორიულ განვითარებას არც მტკიცე ქრონოლოგიური

თანამიმდევრობა შეიძლებოდა ჰქონოდა და არც იმის შეგნება, რომ ყოველი ახლად გაჩენილი შეხედულება წინანდელის შემდგომი განვითარებაა. არა, აქ ფართო ადგილი ჰქონდა სულის თავისუფლებას, ვნებათა ღელვით შეპყრობილ პიროვნებათა თავისუფლებასაც კი; ყოველი შეხედულება გვეველინებოდა უთუო, საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზიით,— ნაწილობრივ ასეც იყო მოცემული დროის მიმართ, — მისთვის არ არსებობდა იმაზე უმაღლესი ჭეშმარიტება, ვიდრე ის ჭეშმარიტება, რომელსაც მან მიაღწია; მოაზროვნეებს თავიანთი ცნება უთუოდ რომ არ მიაჩნდეთ, ისინი მასზე კი არ შეჩერდებოდნენ, არამედ სხვა ცნების ძებნას შეუდგებოდნენ; ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა სისტემა გულისხმობდა, განჭვრეტდა მათ მიერ გამოთქმულზე გაცილებით მეტს: მათმა მოუქნელმა ენამ მათ უმტყუნა. ნათქვამის გარდა, ყოველი ნაძღვილი ნაბიჯი განვითარებაში გარშემორტყმულია კერძო გადახრებით; ძალების სიმდიდრე, მათი დუღილი, ინდივიდუალობანი, მისწრაფებათა მრავალნაირობა, ასე ვთქვათ, ყოველ მხარეს ვითარდებიან; ერთ არჩეულ ღეროს წვენი შემდგომ და ზევით მიაქვს, მაგრამ სხვების თანადროული თანაარსებობა თვალში გვხვდება. ისტორიასა და ბუნებაში იმ გარეშე და შინაგანი წესრიგის ძებნა, რომელსაც წმინდა აზროვნება იმუშავებს თავის საკუთარ სტიქიაში, სადაც გარეკნობა ხელს არ უშლის, სადაც შემთხვევითობა ვერ აღწევს, სადაც თვით პიროვნება არ არის მიღებული, სადაც მწყობრ განვითარებას ვერაფერი დაარღვევს, — ამის ძებნა იმას ნიშნავს, რომ სრულიად არ იკოდე ისტორიისა და ბუნების ხასიათი. ასეთი თვალსაზრისით ერთი პირის სხვადასხვა ასაკი შეიძლება სხვადასხვა ადამიანად მიიჩნიონ. შეხედეთ, რა ნაირნაირობით. რა ყოველ მხარეს გაბნევით ადის ცხოველთა სამეფო ერთიანი პირველსახისაკენ, რომელშიც ქრება მისი მრავალსახეობა; შეხედეთ, როგორ არის, რომ გვარი ყოველთვის, მიაღწევს თუ არა რომელიმე ფორმას, ყველა მხარეს იფანტება ძირითადი თემის თითქმის აღურიცხველ ვარიაციებად: ზოგი სახეობა

წინ გარბის, ზოგიც უკუხტება, დანარჩენები გარდამა
საფეხურებს და შუალედ რგოლებს შეადგენენ, და მ
ლი ეს უწესრიგობა თავის შინაგან ერთიანობას მაინც ვ
ფარავს გოეთესაგან, ჟოფრუა სენტ-ილერისაგან;
გაუგებარია მხოლოდ გამოუცდელი და ზერელე თვალ
სათვის.

თუმცალა, ზერელე თვალიც კი აზროვნების განვითარ
ბაში იპოვნის, ნამდვილი რომ ითქვას, ერთ მკვეთრ დ
ძნელად გასაგებ გარდატეხას: ჩვენ ვლაპარაკობთ ძველი ფი
ლოსოფიის ახალში გადასვლაზე; მათი დაკავშირება სქოლას
ტიკით, მათი აუცილებელი თანაფარდობა თვალში არ გვეცე
მა, — ამაში უნდა გამოვტყდეთ; მაგრამ თუ ჩვენ დავუშვებთ,
რომ აქ უკუსვლა იყო (რასაც სულაც არა ჰქონია ადგილი),
შეგვიძლია თუ არა უარვყოთ, რომ მთელი ანტიკური ფი-
ლოსოფია ერთი შეკრული, გასაოცრად მთლიანი და მწკობრი
მხატვრული ნაწარმოებია; შეგვიძლია თუ არა უარვყოთ,
რომ ახალი ხანის ფილოსოფია, რომელიც შუა საუკუნეთა
გათიშული და ორსაწყისიანი ცხოვრებიდან იშვა და რომელ-
მაც თავის თავში გაიმეორა ეს გათიშულობა თავის გაჩენის-
თანავე (დეკარტე და ბეკონი), თავის მხრივ, სწორად გაე
შურა ორივე საწყისის უკანასკნელ უკიდურესობამდე განვი-
თარებისაკენ და, როს მიადგა მათ საბოლოო სიტყვას,
მეტად უხეშ მატერიალიზმსა და მეტად განყენებულ იდეა-
ლიზმს, პირდაპირ და დიდებულად გაემართა ორსაწყისიანო-
ბის უმაღლესი ერთიანობით მოხსნისაკენ? ძველი ფილოსოფია
დაეცა იმიტომ, რომ მკვეთრად და ღრმად არასოდეს არ
გათიშულა სამყაროსაგან, დაეცა იმიტომ, რომ მას არ უგემნია
უარყოფის მთელი სიტკბოება და მთელი სიმწარე, არ ს კოდნია
ადამიანის სულის, თავის თავში, მარტო თავის თავში კონცენტ-
რირებული სულის მთელი ძლიერება. ახალი ფილოსოფია, თა-
ვის მხრივ, მოკლებული იყო იმ რეალურ, სიცოცხლისუნა-
რიან, ფორმისა და შინაარსის შერთულად და ერთ მთლიანობად
მომცველ ანტიკურ ხასიათს; იგი ახლა იწყებს ამ ხასიათის
შეძენას, — და მათს ამ დაახლოებაში მართლაც აშკარავდება

მათი ერთიანობა; ცხადი ხდება მათი უერთმანეთოდ არსებობის უკმარობა. ერთი ჭეშმარიტება აინტერესებდა ყოველ ფილოსოფიას ყველა ეპოქაში; მას სხვადასხვა ხხრიდან უყურებდნენ, სხვადასხვანაირად გამოთქვამდნენ, და ყოველი ჭვრეტა სკოლად, სისტემად იქცა. ჭეშმარიტება, ცალმხრივ განსაზღვრათა რიგს რომ გადის, მრავალმხრივ განისაზღვრება, უფრო და უფრო ნათლად გამოითქმება; ორი შეხედულების ყოველი შეჯახებისას ზედიზედ ვარდება გარსი, რომელიც მას ფარავს. ფანტაზიები, სახეები, წარმოდგენები, რომლებითაც ადამიანი ცდილობს გამოთქვას თავისი იდუმალი აზრი, ქრება, და აზრი თანდათან პოულობს იმ სიტყვას, რომელიც მას ეკუთვნის. არ არის ისეთი ფილოსოფური სისტემა, რომელსაც საწყისად მტკნარი სიცრუე ან უაზრობა ჰქონდეს; ყოველი სისტემის საწყისია ჭეშმარიტების ნამდვილი მომენტი, თვით უთუო ჭეშმარიტება, მაგრამ შეპირობებული, შეზღუდული ცალმხრივი განსაზღვრით, რომელიც ვერ ამოსწურავს მას. როცა თქვენ წარმოგიდგებათ სისტემა. რომელსაც აქვს ფესვები და განვითარება. აქვს თავისი სკოლა, უაზრობაზე დაფუძნებული, იყავით გონებისადმი იმდენად მოწიწებითა და პატივისცემით აღსავსენი, რომ, ვიდრე დაგმობდეთ, შეხედოთ არა ფორმალურ გამოხატულებას, არამედ აზრს, რომელშიც თვითონ სკოლა იღებს თავის საწყისს, და თქვენ უეჭველად იპოვნით ცალმხრივს ჭეშმარიტებას, და არა სრულ სიცრუეს. ამიტომ მეცნიერების განვითარების თვითეული მომენტი, რომელიც გაივლის როგორც ცალმხრივი და დროებითი, უეჭველად გვიტოვებს სამარადისო მემკვიდრეობასაც. კერძო, ცალმხრივი ღელავს და კვდება მეცნიერების კვარცხლბეკთან, თან აღმოხდება მასში მარადიული სული და მეცნიერებას შთაბერს თავის ჭეშმარიტებას. აზროვნების მოწოდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სამარადისო დროებითისაგან განავითაროს!

შემდეგ წერილში საბერძნეთზე მოვილაპარაკოთ. ბერძნული აზროვნებისათვის საუცხოო ეპიგრაფს წარმოადგენს

პროტაგორას ცნობილი თქმა: «ადამიანი ყველა ნივთის საზომია: მასშია განსაზღვრა, თუ რატომ არსებობს არსებული და არ არსებობს არარსებული».

სოფელი პოკროვსკოე,
1844 წ. აგვისტო.

ამ წერილს ვურთავ გოეთეს პატარა სტატიას; იგი 1780 წელსაა დაწერილი; 20 წლის შემდეგ გოეთე შენიშნავს, რომ მასში გადმოცემული წერილები ერთობ ჭაბუკურია; მას, წლებით დადინჯებულს, უკვე არ მოსწონდა აღტაცებული ენა, ზოგიერთი გამოთქმის სილაღე, დაუოკებლობა... სწორედ ამ აღტაცებულობამ მაიძულა ამერჩია იგი გოეთეს მხატვრული ღრმაგონებრივობის ნიმუშად: სიცოცხლისადმი, ცოცხალისადმი თანაგრძნობით თრთოლვა უვლის ყველა სტრიქონს, ყოველი სტრიქონი ყოფიერებისადმი სიყვარულით, მისგან დატკბობით სუნთქავს. თვითონ განსაჯეთ.

წერილი მესამე

ბერძნული ფილოსოფია

აღმოსავლეთს მეცნიერება არ ჰქონია; იგი ფანტაზიით ცხოვრობდა და იმდენად არასოდეს არ ჩამოყალიბებულა, რომ ოავისი აზრი ნათელი გაეხადა, მით უფრო ნაკლებად განავითარა მან ეს აზრი მეცნიერულად: აღმოსავლეთი ისე გაიშალა უსასრულო სივრცეში, რომ ვერ მივიდა რაიმე თვითგანსაზღვრამდე. აღმოსავლეთი მკვეთრად ელვარებს, მეტადრე შორიდან, მაგრამ ადამიანი იძირება და იკარგება ამ ელვარებაში. აზია დისჰარმონიის, წინააღმდეგობათა ქვეყანაა; მან არსად და არაფერში არ იცის ზომა, ხოლო ზომა შეთანხმებული განვითარების მთავარი პირობაა. აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრება გადიოდა ან საშინელ გადატრიალე-

ბათა დულილში ან ერთფეროვანი განმეორების უძრავ მყუდ-
როებაში. აღმოსავლეთელ ადამიანს თავისი ღირსება არ ესმო-
და; ამიტომაც იგი ან მიწაზე განრთხმული მონა იყო ან
აღვირახსნილი დესპოტი; ასევე მისი აზრიც ან ერთობ თავ-
მდაბლური იყო ან ერთობ ამპარტავნული; იგი ხან თავის
თავისა და ბუნების საზღვარს სცილდებოდა, ხან კი ადამია-
ნურ ღირსებას უარყოფდა და ცხოველურობაში იფლობო-
და. აზიელთა რელიგიური და გნოსტიკური ცხოვრება სავსეა
მოუსვენარი აქეთ-იქით ხეთქებით და მკვდრული სიწყნარით;
იგი უზარმაზარია და არარაა, გასაოცარი სიღრმით და ბავ-
შვური სიჩლუნგით იცქირება. საგანთან პიროვნების დამოკიდე-
ბულება ხორციელდება, მაგრამ გაურკვეველად; აღმოსავლური
აზრის შინაარსი შედგება წარმოდგენებისა, სახეებისა და ალე-
გორიებისაგან, უწვრილმანესი რაციონალიზმისაგან (როგორც
ჩინელებთან) და ვეებერთელა პოეზიისაგან, რომელშიც ფან-
ტაზიამ არავითარი საზღვარი არ იცის (როგორც ინდოელებ-
თან). აღმოსავლეთს არასოდეს არ შესწევდა უნარი და არ
შეეძლო ჭეშმარიტი ფორმა მიეცა თავისი აზრისათვის, იმი-
ტომ რომ იგი ვერასოდეს ვერ წვდებოდა შინაარსს, არამედ
მხოლოდ სხვადასხვა სახეებით ოცნებობდა მასზე. ბუნების-
მეტყველებაზე ფიქრიც კი ზედმეტია: მისი შეხედულება ბუ-
ნებაზე მეტად უხეშ პანთეიზმს იწვევდა ან ბუნების სრულიად
ათვალწუნებას. იგავების, მითების საშინელი ფანტაზიების
ქაოსში დროდადრო გაიელვებს ბრწყინვალე აზრები, რომ-
ლებიც სულს წარიტაცებენ, გაიელვებს საუცხოო სილამაზის
ნიმუშები; ისინი ბევრ რამეს გამოისყიდიან და დიდხანს
ჰყავთ სული მოხიბლული. მათ რიცხვს ეკუთვნის საუცხოო
ადგილი, რომელიც ჩვენ ეპიგრაფად ამოვირჩიეთ*. იგი მო-
ჰყავს კოლბრუკს ინდური ფილოსოფიური წიგნებიდან. რა
შეიძლება იყოს იმაზე უფრო ტურფა-ნარნარა, ვიდრე ეს სა-
ხე ფერად-ფერადი ვნებიანი ბაიადერისა, რომელიც მჭვრე-
ტელის თვალს ნებდება. იგი უნებლიეთ მოგვაგონებს სხვა

* ყველა წერილის დასაწყისში. — ა. ბ.

ბაიადერას. მროკავსა და მაჰადოჰის მომხიბლველს [100]. ჩვენ მიერ, გოეთედან ამოწერილი ტაეპი თითქოს ამთავრებს პირველ სახეს; მაგრამ ინდური მსოფლმხედველობა აქამდე ვერ მივიდოდა: იგი თავის მითში იმაზე შეჩერდა, რომ განსაზღვრულს, არსებულს ბედად მხოლოდ ის უწერია, რომ გ ა ნ ვ ლ ო ს; მან ვერც მაჰადოჰი წარიტაცა, ვერც რომელიმე ბრამინი, — ბაიადერა გამოჩნდა და წავიდა; გოეთესთან იგი მთელი თავისი ელვარე სილამაზით გადარჩენილა დაღუპვისაგან: სამარადისო აზრში დროებითსაც აქვს ადგილი —

Und in seinen Armen schwebet
Die Geliebte mit hervor.!*

პირველი თავისუფალი ნაბიჯი აზროვნების სტიქიაში განხორციელდა მაშინ, როცა ადამიანმა კეთილშობილურ ევროპულ ნიადაგზე დაადგა ფეხი, როცა იგი აზიიდან გამოვიდა: იონია — საბერძნეთის დასაწყისია და აზიის დასასრული. ის იყო ადამიანები მოეწყვნენ ამ ახალ მიწაზე, რომ იწყეს იმ არტახების მსხვრევა, რომლებიც მათ ბოჭავდა აღმოსავლეთში; აზრი თანდათან თავს იყრის ფანტასტიკური თავაწყვეტილობიდან, თვითგანსაზღვრით, თვითალაგმვით ეძებს გამოსავალს ბუნდოვანი მისწრაფებიდან. საბერძნეთში ადამიანი იზღუდება იმისათვის, რომ თავისი სულის მთელი უსაზღვროება განავითაროს, განსაზღვრული ხდება იმისათვის, რომ თავი დააღწიოს თვლემის განუსაზღვრელ მდგომარეობას, რომელშიც ადამიანს უხასიათო მრავალმხრიობა აგდებს. საბერძნეთის სამყაროში რომ შევდივართ, ვგრძნობთ, რომ ჩვენ მშობლიური სიო გვიბერავს, — ეს დასავლეთია, ეს ევროპაა. ბერძნებმა პირველებმა იწყეს აზიური სიბრუისაგან გამოფხიზლება და პირველებმა შეხედეს ნათლად ცხოვრებას,

---

* ხელებს მოჰხვევს ბედკრულ ასულს
და სივრცეში გააქროლებს.
(თარგმანი ხ. ვარდოშვილისა). — რ ე დ.

პოეზეს მასში თავისი ადგილი; ისინი დედამიწაზე თავს გრძნობენ როგორც საკუთარ სახლში—მშვიდნი, ნათელნი, ადამიანნი. არა «მაჰაბჰარატაში», არა «საკუნტალაში»[101] შეგვიძლია ჩვენ ნაცნობი, მშობლიური დაეინახოთ, არამედ «ილიადაში», «ოდისეაში». მე ყოველთვის მიმძიმს და მეუხერხულება, როცა აღმოსავლურ პოემებს ვკითხულობ: ეს ის გარემო არ არის, რომელშიც ადამიანი თავისუფლად სუნთქავს; იგი ერთობ ფართოა და ამავე დროს ერთობ ვიწროც; მათი პოემები სულის შემხუთავი სიზმრებია, რომელთა შემდეგ ადამიანი იღვიძებს, ბორგავს, თითქოს ციებ-ცხელებით იყოს შეპყრობილი, და მას ეჩვენება, რომ იგი მრადი-მრუდ იატაკზე დადის, რომლის ირგვლივ კედლები ტრიალებენ და საშინელი სახეები კიაფობენ, რომლებსაც არაფერი სანუგეშო, არაფერი მშობლიური არ მოაქვთ. აღმოსავლურ ნაწარმოებთა საშინელი ფანტაზიები ისევე ეზიზღებოდა ბერძნებს, როგორც საშინლად მაღალი—სამოცდაათმეტრიანი რაღაც მემნონები[102]: ბერძნები არასოდეს არ ურევდნენ ერთმანეთში დიადსა და უზარმაზარს, ნატიფსა და შემხუთავს; ბერძნები ყველგან სძლევდნენ რაოდენობის განყენებულ კატეგორიას — მარათონის ველზე, პრაქსიტელეს ქანდაკებებში, პოემების გმირებში და ოლიმპიელთა ნათელ სახეებში. ისინი ჩაწვდნენ, რომ ლამაზის საიდუმლოებაა ფორმისა და შინაგანი და გარეგანი შინაარსის მაღალი თანაშეზომილობა. ისინი მიხვდნენ, რომ ბუნებაში ყოველი განვითარებული ბრწყინავს არა მუცლის უზარმაზარობით, არამედ, სრულიად პირუკუ, კონცენტრირდება ისე, რომ იქმნება გარეგნულის უკიდურესად აუცილებელი თანაფარდობა შინაგანთან; სადაც გარეგნული მეტად დიდია — შინაგანი ღარიბია: ზღვა, მთა, ველი დიდია, ხოლო ცხენი, ირემი, მტრედი, სამოთხის ჩიტი პატარაა. მაღალი, მუსიკალური, ზღვარდებული და სწორედ ამიტომ უსაზღვრო თანაშეზომილობის აზრი საბერძნეთის თითქმის მთავარი აზრია, რომელიც მას ყველაფერში ხელმძღვანელობდა. სწორედ ეს აზრი გამოვლინდა ათენის ცხოვრების ყველა მხარის იმ მშვენიერ თანხმიერებაში, რომელიც გვაოცებს თავისი მხატვრული სიმ-

შვენიერით. სილამაზის იდეა ბერძენებისათვის უთუო იდეა იყო: იგი მართლაც მოხსნიდა ხოლმე სულისა და სხეულის, ფორმისა და შინაარსის დაპირისპირებას; თავის ქანდაკებათა გამოკვეთისას ბერძენი ყოველთვის გამოკვეთდა იმ საწყისთა შემარიგებელ შეხამებას, რომელნიც აღმოსავლეთში თავშეუკავებლად ეძლეოდნენ ცხოველ ფანტაზიას.

ბერძნული სამყარო გარკვეულ მოხაზულობაში, რომლიდანაც იგი ვერ გამოვიდოდა, თუ თავის თავს არ გასცილდებოდა, უაღრესად საავე იყო; მის ცხოვრებაში იყო რაღაც შ ე რ წ ყ მ ულ ო ბ ა, ნაწილთა ის უჩინარი შეხამება, მათი ის ჰარმონია, რომელთა წინაშე ჩვენ თავს ვიხრით, მშვენიერ ქალს რომ ვუმზერთ: ამ შერწყმულობამდე, ამ ვირტუოზობამდე ცხოვრებაში, მეცნიერებაში, დაწესებულებებში ახალი სამყარო ვერ მივიდა. ეს საიდუმლოებაა, რომლის მოტაცება ბერძნული სარკოფაგებიდან მან ვერ მოახერხა. არიან ადამიანები, რომლებსაც ბერძნული ცხოვრება, სწორედ თავისი თანაშეზომილობის, ბუნებასთან ნათესაობის, ჰაბუკური სიცხადის გამო, უგვანოდ და არადამაკმაყოფილებლად ეჩვენებათ. ისინი მხრებს იჩეჩენ, როცა მხიარულ ოლიმპოზე და მის დარდიმანდ მცხოვრებლებზე ლაპარაკობენ; მათ ეზიზღებათ ბერძნები იმის გამო, რომ ბერძნები ცხოვრებით ტკბებოდნენ იმ დროს, როცა საჭირო იყო გონის მიხდა და ვითომდა ტანჯვით თავის წმენდა; მათ არ შეუძლიათ დაივიწყონ, რომ ბერძნები თანაბრად სცემდნენ თაყვანს ლამაზი ქალის ნათელ შუბლს და მოქალაქის უტიფარ საქციელს, ატლეტის სხეულებრივ სიმარჯვეს და სოფისტის დიალექტიკას; ისინი მათზე გაცილებით მაღლა აყენებენ დაღვრემილ ეგვიპტელებს, სპარსელებსაც კი; ინდოეთზე ლაპარაკიც ზედმეტია: შლეგელის წყალობით ოცი წლის განმავლობაში საზღვარი არა ჰქონდა ინდურისადმი თაყვანისცემას. ეს არაფერს ამტკიცებს; შეიძლება ისეთი ადამიანებიც ნახოთ, რომლებსაც საერთოდ ყოველი ჯანსაღი ეზიზღება, ნახოთ ისეთი დამახინჯებული ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ არაბუნებრივ სიამოვნებას თვლიან ჭეშმარიტ სიამოვნებად; ეს ფსიქიკური

პათოლოგიის საქმეა. ჩვენთვის, პირიქით, ბერძენთა ცხოვრების მთელი სიდიადე მის უბრალოებაში მდგომარეობს, რომელიც ცხოვრების ღრმა გაგებას ფარავს; /იგი მათთან მშვიდად მიედინება ორ უკიდურესობას შუა: ერთია ჩაფლობა გრძნობადს უშუალობაში, რომელშიც პიროვნება იკარგება, და მეორეა სინამდვილის დაკარგვა საყოველთაო განყენებებში. ბერძენთა შეხედულება ჩვენ მატერიალური გვეჩვენება სქოლასტიკურ დუალიზმთან და გერმანელთა ტრანსცენდენტალურ იდეალიზმთან შედარებით; არსებითად, მას უფრო რეალიზმი უნდა ეწოდოს (სიტყვის ფართო გაგებით)[103], და ეს რეალიზმი მათთან ყველა ბრძენსა და მოძღვრებაზე უწინ ჩნდება. განგების, ბედის რწმენა ემპირიის, რეალიზმის რწმენაა; იგი დაფუძნებულია სამყაროს, ბუნების, სიცოცხლის ნამდვილობის უთუო აღიარებაზე: «ის, რაც არის, შემთხვევითი როდია; იგი წინასწარ განგებით განსაზღვრულია, იგი გარდუვალია, იგი უნდა იყოს». ასეთი /რწმენა ბედისა ამასთან ერთად არის რწმენა მოვლენისა, გ ა რ ე გ ა ნ ი ს გ ო ნ ე ბ ი ს ა. /აზრი (რომელიც ადვილად განთავისუფლდა პოლითეიზმის მითებისაგან) პირველი ნაბიჯებიდანვე იქამდე უნდა მისულიყო, რომ ბედი ცხოველმყოფელ კანონად, ყოველი არსებულის საწყისად (ნუს) მიეჩნია; ამ საწყისზე კი ადვილად აღიმართა მთელი მათი დიადი მეცნიერება. /

ბერძენთა აზროვნება, რომელიც არასოდეს არ მისულა ბუნებასთან ან არსებულთან გათიშვის უკანასკნელ უკიდურესობამდე, უპირობოს და პირობითის შეურიგებელ წინააღმდეგობამდე, სამაგიეროდ არაფერ მშფოთვარეს არ შეიცავდა; მას თავისი საქმე არ მიაჩნდა საიდუმლოების მკრეხელურ გამხელად, ნაკრძალის დანაშაულებრივ სინჯვად, ჯადოქრობად, ბნელ ძალასთან უწმინდურ კავშირად; პირიქით, იგი წააგავდა ნათელ მზერას გამოლვიძებული ადამიანისას, რომელსაც სიხარულით მოჰყავს ცნობიერებაში გარემომცველი სამყარო და პირველი ნაბიჯიდანვე ესმის: იგი სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ გაიგოს და გაიაზროს; ინტერესი მისი უანგაროა, წმინდაა, და ამიტომ იგი თამამია, ამაყია;

იგი არა ძრწის, როგორც შუა საუკუნეთა ადეპტი, — ეს ქურდი, რომელიც უთვალთვალებს ბუნების საიდუმლოებას; თვით მიზნები მათი სხვადასხვაა: ერთს სწადია ცოდნა, სწადია ქეშმარიტება; მეორეს — ძალაუფლება ბუნების მიმართ; ერთისათვის ბუნებას ობიექტური მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორე მხოლოდ იმას ცდილობს, რომ გარდაქმნას იგი, რომ ქვა ოქროდ იქცეს, რომ მიწა გამჭვირვალე გახდეს. იგულისხმება, რომ, ამ თავმოთნე დაჩემებაში ჩანს თავისებური სიდიადე ეპოქისა, და შუა საუკუნეთა ალქიმიის მახინჯ ფორმაშიც არის მხარე, რომლითაც ადეპტი ბერძენზე უფრო მაღლა დგას; სული ბერძნისათვის თვითონ ჯერ კიდევ არ ქცეულა საგნად; იგი უბუნებოდ ჯერ კიდევ არ იყო თვითკმარი და, მაშასადამე, კი არ იმორჩილებდა ბუნებას, არამედ საბედისწერო მოვლენად იღებდა; გასაღები ქეშმარიტებისაკენ ადამიანში არ იდო: სწორედ ამ გასაღებად თვლიდა თავის თავს ალქიმიკოსი. ბერძენმა თავი ვერ დააღწია გარე აუცილებლობას; მან იპოვნა საშუალება — ამ, აუცილებლობის აღიარებასთან ერთად, ზნეობრივად თავისუფალი ყოფილიყო; ეს ცოტაა: საჭირო იყო თვითონ ბედი თავისუფლებად გადაექციათ; საჭირო იყო ყოველივე დაეძლია გონებას; საჭირო იყო ტანჯვით მოეპოვებინათ ეს გამარჯვება, მაგრამ ბერძნებმა ტანჯვა არ იცოდნენ; ისინი ადვილად იღებდნენ უმძიმეს საკითხებს; ნეოპლატონიკოსები მიხვდნენ ამას და სხვა გზით წავიდნენ; ის, რაც ბერძნულ მსოფლმხედველობას აკლდა, დასაწყისი და ამოსავალი წერტილი შეიქნა, — მაგრამ გვიანლა იყო. ნეოპლატონიკოსებით იწყება იდეალიზმი, როგორც გაბატონებული მიმართულება, როგორც ერთიანი ქეშმარიტ აზროვნება; აზრი სხვანაირი გახდა, მან ქეშმარიტ-ბერძნული ფილოსოფიის ნამდვილობა და რეალიზმი დაკარგა. ამ ორი მხარის შეერთება, იქნებ, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მომავალი მეცნიერებისა *.

* ბერძნული ფილოსოფიის მთავარი მომენტების გადმოცემისას მე მივსდევდი ჰეგელის ლექციებს ძველი ფილოსოფიის ისტორიის შესა-

ცოდნის დასაწყისია თავისი თავის ცნობიერი დაპირისპირება საგნისადმი და ამ დაპირისპირების აზრით მოხსნის მისწრაფება. იონიური ფილოსოფია უხვად და ფართოდ განვითარებულს წარმოგვიდგენს ამ მომენტს. გაღვიძებული ცნობიერება ბუნების წიაღში ჩერდება და ცდილობს დაუმორჩილოს მისი მრავალსხვაობა ერთიანობას, რაიმე საყოველთაოს, კერძოზე გამეფებულს. ეს პირველი მოთხოვნილებაა ადამიანისა, როცა იგი იღვიძებს გრძნობად — უშუალო მსოფლმხედველობის გაურკვეველი სიზმრებისაგან, როცა იგი აღარ კმაყოფილდება ფანტაზიით და, უკმაყოფილო, მოწყურებულია არა სახეებს, არამედ გაგებას; მაგრამ ამ საყოველთაო ერთიანობას ადამიანი თავდაპირველად არც თავის თავში ეძებს, არც სულიერ ელემენტში საერთოდ, არამედ თვითონ საგანში, ამასთან ეძებს როგორც არსებულს,— ის ჯერ კიდევ ისეა უშუალობას მიჩვეული, რომ ვერ ახერხებს ერთბაშად მოსწყდეს მას. მისი ცოდნის საგანი ასევე უშუალოა, ემპირიით მოცემული,—ბუნებაა. იმისათვის, რომ თავის თავი საგნად მიიჩნიო, საჭიროა ბევრი იცხოვრო აზრით, საჭიროა, სხვათა შორის, დაეჭვდე ბუნების სრულ ნამდვილობაში. პრაქტიკულად, შეუცნობლად ადამიანი ისე იქცეოდა, როგორც მისი გარემომცველი სამყაროს მიმართ, ან უკეთ, მის გარემომცველ კერძოობათა მიმართ ძალაუფლების მქონე, — უარყოფდა მათს თვითმყოფობას; მაგრამ თეო-

---

ხებ. ჩემ მიერ პლატონიდან, არისტოტელედან ციტირებული ყველა ადგილი იქიდანაა აღებული. ძველი ფილოსოფიის ისტორია მას მაღალი, მხატვრული სრულყოფილობით აქვს დამუშავებული; თითქოს, ესევე არ შეიძლება ითქვას მის ახალ ფილოსოფიის ისტორიაზე: ეს ისტორია ღარიბია და ალაგ-ალაგ ცალმხრივი, მიკერძოებულიც კია (მაგალითად, რა ნაკლებადაა დაფასებული კანტის ღვაწლი!), ისინი, ვინც იცნობს გერმანულ ფილოსოფიას, ძველი ფილოსოფიის გამოცემაშივე შეამჩნევენ ზოგიერთ საკმაოდ მნიშვნელოვან გადახვევას «ლექციებიდან ფილოსოფიის ისტორიის შესახებ». მე ბევრ შემთხვევაში არ მინდოდა განმემეორებინა გერმანელი ფილოსოფოსის წმინდა აბსტრაქტული და იდეალიზმით გაჟღენთილი აზრები, მით უფრო, რომ ამ შემთხვევებში იგი თავის თავის ერთგული არ იყო და ხარკს უხდიდა თავის საუკუნეს. — ა. გ.

რიულად, ზოგადად, შეგნებულად მას ეს ნაბიჯი ჯერ არ გადაეცდა. პირიქით, ადამიანს აქვს თანდაყოლილი რწმენა ემპირიისა და ბუნებისა, ისევე როგორც თანდაყოლილი რწმენა აზრისა; ადამიანი, ეძლევა რა ამ რწმენას ფიზიკური სამყაროსადმი, მასში ეძებს «ყველა საგნის საწყისს», ე. ი. ერთიანობას, საიდანაც ყოველივე გამომდინარეობს, საითკენაც ყოველივე მიისწრაფვის, — ეძებს საყოველთაოს, ყოველი კერძოობის მომცველს. საიდან გაუჩნდათ იონიელებს ასეთი სითამამე, რომ თავისი მკერდისათვის მიემართნათ და იქ ეძებნათ ეს საწყისი? გაიხსენეთ, რომ ათასი წლის შემდეგ ძლივს გაბედა გოეთემ დაესვა კითხვა: «ხომ არ დევს ბუნების მარცვალი ადამიანის გულში?» — და იგი ვერ გაიგეს თანამედროვეებმა! იონიელები ბავშვური უბრალოებით თვით ბუნებაში ეძებდნენ საწყისს; ისინი მას ეძებდნენ, როგორც არსებულთა შორის არსებულს, როგორც უმაღლეს საგნობრიობას, რომელიც ყველა სხვა საგანთა საფუძველს შეადგენს; განყენებას მიუჩვეველი მათი გონება სხვანაირად ვერ კმაყოფილდებოდა, თუ არა საწყისის ბუნებრივი ხილვადობით. არც ცოდნა, არც აზროვნება არასოდეს არ იწყება სრული ჭეშმარიტებით, — ის მათი მიზანია; აზროვნება საჭირო არ იქნებოდა, მზამზარეული ჭეშმარიტებანი რომ იყოს, — ასეთი რამ არ არის; მაგრამ ჭეშმარიტების განვითარება შეადგენს მის ორგანიზმს, ურომლისოდაც იგი ნამდვილი არაა. ჭეშმარიტება ღარიბი, განყენებული, ცალმხრივი განსაზღვრიდან აზროვნებით ვითარდება უაღრესად სრულ, კონკრეტულ, მრავალმხრივ განსაზღვრამდე და ამ სისრულეს აღწევს მთელი რიგი თვითგანსაზღვრებით, რომლებიც განუწყვეტლივ წვდებიან საგნის გონების სიღრმეს. პირველი, საწყისი განსაზღვრა, ყველაზე გარეგნული, ყველაზე განუვითარებელი არის მარცვალი, შესაძლებლობა, მჭიდრო კონცენტრირებულობა, რომელშიც სხვაობანი დაკარგულია; მაგრამ შემდგომი თვითგანსაზღვრის ყოველ ნაბიჯთან ერთად ჭეშმარიტება უფრო და უფრო მეტ ორგანოს პოულობს თავისი იდეალური ყოფიერებისათვის; ასე, გონება ახალშობილში სინამდვილედ მხოლოდ მაშინ

იქცევა, როცა ბავშვის ორგანოები საკმაოდ განვითარდებიან, მომაგრდებიან, დავაჟკაცდებიან, როცა მისი ტვინი მოიპოვებს გონების ატანის უნარს. მაგრამ სად ვიპოვნოთ ბუნებაში, ცვლილებათა ამ განუწყვეტელ მიმოქცევაში, რომელშიც ორჯერ ვერასოდეს ვერ შეხვდებით ერთსა და იმავე ნიშნებს, — სად ვიპოვნოთ მასში საყოველთაო საწყისი, მისი ისეთი მხარე მაინც, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს გამოხატავდეს ფიზიკური სამყაროს დაუდგრომელ მრავალნაირობაში ერთიანობისა და მყუდროების აზრს? იმაზე უფრო ბუნებრივი არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, ვიდრე წ ყ ლ ი ს მიღება ასეთ საწყისად: მას არა აქვს განსაზღვრული, მდგარი ფორმა, იგი ყველგანაა, სადაც კი სიცოცხლეა, იგი მარადი მოძრაობა და მარადი დაუდგრომლობაა.

Wasser umfänget
Ruhig das All! *

უეჭველია, თალესი, ყოველივეს საწყისად წყალს რომ აღიარებდა, მასში უფრო მეტს ხედავდა, ვიდრე არის ეს წყალი, რომელიც ნაკადულში მიედინება. მისთვის წყალი არა მარტო ნივთიერებაა, რომელიც დედამიწის სხვა ნივთიერებათაგან, ჰაერისაგან განსხვავდება, არამედ საერთოდ დენადი ხსნარია, რომელშიც ყოველივე გაიშლება, რომლიდანაც ყოველივე წარმოიქმნება; წყალში ილექება მაგარი, მისგან აორთქლდება მსუბუქი; თალესისათვის იგი, ალბათ, სახეც იყო აზრისა, რომელშიც მოხსნილია და ინახება ყოველივე არსებული; მხოლოდ ამ, ფართო, აზრით სავსე მნიშვნელობით იღებს ემპირიული წყალი, როგორც საწყისი, ჰეშმარიტ-ფილოსოფიურ აზრს. თალესის წყალი — არსებული სტიქია და ამასთან ერთად აზრი — წარმოადგენს იდეის პირველ ციმციმს და გამოკრთომას ტლანქ ფიზიკურ ქერქში, რომლისაგანაც იგი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული. ეს არის ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობის ბავშვური განჭვრეტა, ეს არის ფეტიშიზმი ლოგიკის სფეროში და ფეტიშიზმი

* წყალი მშვიდად მოიცავს ყოველივეს! (გერმ.). — რ ე დ.

საუცხოო. წყალი არის მშვიდი, ღრმა გარემო, გაორებით (შეკუმშვით, აორთქლებით) მარად მოქმედი, მეტად უტყუარი სახე ცნებისა, რომელიც დაპირისპირებულ განსაზღვრებებად იყოფა და მათი დამაკავშირებელია. თავისთავად იგულისხმება, რომ წყალი არ შეესაბამება საყოველთაო არსის იმ ცნებას, რომელსაც თალესი მას უკავშირებდა; მაგრამ აქ არც ისე მნიშვნელოვანია წყლის ჰეშმარიტი ცნება, როგორც სახელდობრ მის მიერ წყლის გაგება: იქიდან, თუ როგორ ესმოდა მას წყალი, ჩვენ ვგებულობთ, როგორ ესმოდა მას საწყისი.

აზროვნების, მეთოდის, ენის განუვითარებლობის დროს ცალმხრივს განსაზღვრებში გაცილებით იმაზე მეტი იმალება, ვიდრე მოცემულია გამოთქმული სიტყვების ზუსტ პროზაულ აზრში. ჩვენ ხშირად დავინახავთ, თუ როგორ გამოსჭვივის უხერხული გამოთქმიდან ღრმა შეხედულება, და ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია შევითვისოთ ის აზრი, რომლითაც თვითონ სისტემას ესმოდა თავისი საწყისები. უბრალოდ რომ ვთქვათ: თალესს ყოველივეს საწყისად წყალი მიაჩნია, ხოლო პითაგორეს — რიცხვი, და არ ჩავუკვირდეთ იმას, თუ რას წარმოადგენდა ერთისათვის წყალი, ხოლო მეორისათვის — რიცხვი, იმას ნიშნავს, რომ ისინი ნახევრად შეშლილებად ან გონებაჩლუნგებად გამოვიყვანოთ. გამოთქმა «გლოსოლოგია»[104] ღალატობს მათ; იმათ სურთ უფრო მეტი აზრები ჩაატიონ მათ -მიერ არჩეულ სახეში, ვიდრე მას შეუძლია შეითვისოს; მაგრამ ამის გამო არ შეიძლება უარვყოთ ან უგულებელვყოთ მათი აზრის ის მხარე, რომელმაც თუ ვერ პოვა ჯეროვანი გამოთქმა, უეჭველად, ღრმა კვალი მაინც დატოვა. ასე, დაბალი ორგანიზაციის ცხოველებში ჩვენ ვამჩნევთ მითითებებს, მინიშნებებს იმ ნაწილებსა და ორგანოებზე, რომლებიც სავსებით მხოლოდ უმაღლეს ცხოველებს უვითარდებათ; არასაჭირო განუვითარებლობა, ალბათ, არის მომავალი სრულყოფილობის აუცილებელი პირობა. ყოველი სკოლა თავის საწყისში ფორმალურად ნათქვამზე უფრო მეტს გულისხმობდა და ამიტომ თავის საწყისს თვლიდა უთუოდ, თავის თავს — მთელი ჰეშმარიტების

მფლობელად, და ნაწილობრივ მართალი იყო; პირიქით, მისი მომდევნო მსოფლმხედველობა ჩვეულებრივ მხოლოდ ფორმალურად გამოთქმულს ხედავს და ცდილობს მოხსნას ცალმხრიობა, რომელიც საყოველთაობის პრეტენზიას აცხადებს ასეთივე პრეტენზიის მქონე რაიმე ახალი ცალმხრიობით; ჩაღდება ულმობელი ბრძოლა, და თავდამსხმელი, როგორც გონებაჩლუნგი, ვერ ხედება, რომ წარმავალი მომენტი მართლაც ფლობდა ჭეშმარიტებას, მაგრამ შეუსაბამო ფორმით, ხოლო ფორმის ნაკლს თავისი ცოცხალი სულით ცვლიდა. თავის მხრივ, წარმავალ მომენტსაც ნაკლებად ესმის, რომ მის გამომდევნელს ამის უფლება აქვს ჭეშმარიტების იმ მხარის გულისათვის, რომელსაც ის ფლობს. ემპირიული მატარებელი იონური აზრისა ერთიანობის შესახებ მხოლოდ წყალი არ ყოფილა; იგი ისე მკვეთრად ინდივიდუალურია, რომ საყოველთაო საწყისის ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ჰაერი, როგორც უპირატესად უხილავი, გაუხშოებული, აგრეთვე საწყისად იყო მიჩნეული ზოგიერთი იონიელის მიერ. დასასრულ, მათ სცადეს სავსებით მოწყვეტოდნენ ბუნებრივ არსს და გადასულიყვნენ იმ განყენებათა სფეროში, რომლებიც ლოგიკის კარიბჭეებს შეადგენენ; ისინი პირდაპირ უარყოფდნენ სასრულს უსასრულო საფუძვლის სასარგებლოდ, როგორიცაა ახლანდელ ფიზიკოსთა მატერია, ნივთიერება; ანაქსიმანდრეს უსასრულო სწორედ ნივთიერება იყო, ყოველგვარ თვისობრივ განსაზღვრას მოკლებული. ასეთი იყო მეცნიერების ნახევრად ბავშვური, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი. განშლადი გეომეტრიული წარმოდგენანი ერთიანობამდე დაჰყავთ, ამ ერთიანობას ბუნებაში ეძებენ, კერძოს თვითმყოფობას შესაძლებლად არ ცნობენ საყოველთაო საწყისის წინაშე, რაც უნდა განსაზღვრული იყოს ეს საწყისი; ერთიანობისა და საყოველთაოსადმი ასეთი დამორჩილება აზროვნების ნამდვილი სტიქიაა. დიდი შორსმჭვრეტელობა არ იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ ასეთ ერთიანობას პოლითეიზმი ვერ გაუძლებდა. ოლიმპოს ბედი იმ წუთს გადაწყდა, როცა თალესმა ბუნებას მიმართა; ბუნებაში ჭეშმარიტების ძებნით

მან, ისევე როგორც სხვა იონიელებმა, თავისი შეხედულება გამოთქვა წარმართულ წარმოდგენათაგან დამოუკიდებლად. ქურუმებმა გვიან მოისაზრეს ანაქსაგორას და სოკრატეს დასჯა[105]. სტოიქია, რომელშიც იონიელები მოძრაობდნენ, შეიცავდა ელეეზინურ და ყველა წარმართულ საიდუმლოებათა[106] სიკვდილის ჩანასახს. ვინც იონიელებს უსაყვედურებს, მათ ემპირიული სტიქიის საფუძვლად მიღებით გვიჩვენეს, რომ საკმაოდ არ ესმოდათ აზრის სტიქიაო, მართალი იქნება; მაგრამ, მეორე მხრივ, დაე შეაფასოს მან წმინდა რეალური ბერძნული ტაქტი, რომელმაც აიძულა ბერძნები თავისი საწყისი თვითონ ბუნებაში ეძებნათ და არა მის გარეთ, უსასრულო ეძებნათ სასრულში, აზრი ყოფიერებაში, სამარადისო — დროებითში. მეცნიერული ნიადაგი მოპოვებული იყო მათ მიერ, ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ა წ ყ ი ს ი მ ა ს ზ ე თავს ვერ შეიმაგრებდა; მაგრამ ამ ნიადაგს განვითარების უნარი ჰქონდა; ეს დაწყებითი საფეხური იყო: ვინც ამ საფეხურს ფეხს დაადგამდა, მას მთელი კიბე გადაეშლებოდა.

ვიდრე აზროვნება უთუოს გრძნობადი და საგნობრივი განსაზღვრებიდან განყენებულ ლოგიკურ განსაზღვრებებზე გადავიდოდა, იგი, ბუნებრივია, უნდა ცდილიყო უთუო გამოეხატა შუალედი მომენტით, ჭეშმარიტება არსებულისა და განყენებულის უკიდურესობათა შორის ეპოვნა. ეს მზადყოფნა ყოველივე შესაძლებლობის განხორციელებისა ცხოვრების დაუდეგარ და მარად მოქმედ ხასიათს ეკუთვნის როგორც ისტორიულ, ისე ფიზიკურ სამყაროში; ნივთიერების ორგანული განვითარება ფუჭად არ ტოვებს არც ერთ შესაძლებლობას და სასიცოცხლოდ მოუწოდებს მას. გრძნობად განსაზღვრებსა და წმინდა ლოგიკურ განსაზღვრებს შორის პითაგორემ იპოვნა რაღაც მუდმივი, მათი დამაკავშირებელი, ორივეს კუთვნილი, არც გრძნობადი და არც აზრი, — რიცხვი. პითაგორეს აზრის სითამამე და, მაშასადამე, სიმტკიცე აშკარაა; ყოველი არსებული, ჩვეულებრივ სინამდვილედ მიჩნეული, უარყოფილია, და ემპირიული არსებობის ადგილას აღმართულია და ჭეშმარიტებად აღიარებულია რაღაც არა-

ნივთიერი, აზრობრივი, მაგრამ ამასთან სრულიადაც არა-სუბიექტური, არამედ, ასე ვთქვათ, ისეთი აზრობრივი, რომელიც ნივთობრივიდან მოიხსნება. «პითაგორელები, — ამბობს არისტოტელე, — სამყაროს წყობას თვლიდნენ რიცხვთა და მათ მიმართებათა შეთანხმებულ სისტემად». მათ მ უ დ მ ი ვ ი მ ი მ ა რ თ ე ბ ა გამოიყვანეს ფენომენალური ყოფიერების მარადიული ცვალებადობიდან; და ეს მიმართება მართლაც მეფობს ყოველივე არსებულზე. მათემატიკურმა მსოფლმხედველობამ, რომელიც პითაგორელებმა შექმნეს და რომელმაც მდიდარი განვითარება პოვა უახლეს დროში, სწორედ იმიტომ გაუძლო ყველა საუკუნეს, რომ იგი ღრმად ჭეშმარიტ მხარეს შეიცავს; მათემატიკა ლოგიკისა და ემპირიას შორის დგას. მასში უკვე აღიარებულია აზრის ობიექტურობა და მოვლენის ლოგიკურობა; ფილოსოფიისადმი მის მტრულ დამოკიდებულებას ფორმალურად არავითარი საფუძველი არა აქვს. თავისთავად იგულისხმება, რომ საგნების, მომენტების, ფაზების მიმართება, ჰარმონიული კანონები, რომლებიც მათ აკავშირებენ, რიგები, რომლებადაც ისინი ვითარდებიან, ვერ ამოსწურავენ ვერც ბუნებისა და ვერც აზრის მთელ შინაარსს. პითაგორელები ვერ ამჩნევდნენ, რომ ისინი რიცხვად გულისხმობდნენ შეუდარებლად უფრო მეტს, ვიდრე რიცხვის ცნება შეიცავდა; ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ რიცხვში რჩება რაღაც მკვდარი, უგრძნობელი, კონკრეტული შინაარსის უგულებელმყოფელი, გულგრილი ზომა. მათთვის წესრიგი, თანხმობა, ჰარმონიული რიცხვითი შეუღლება ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა, მაგრამ აკმაყოფილებდა იმიტომ, რომ პითაგორელები, ნამდვილი რომ ითქვას, წმინდა მათემატიკურ განსაზღვრებზე არ ჩერდებოდნენ; მასწავლებლის გენიალობას და მოწაფეთა მგზნებარე ფანტაზიას შემოჰქონდათ მთელი სისავსე შინაარსისა, რომელიც საწყისებს აკლდა. ამ ილოგიკურ დამატებას ჩვენ მუდამ შევხვდებით მთელ ბერძნულ ფილოსოფიაში; ეს არის, ასე ვთქვათ, ბერძენთა გენიის წრეგადასული სუბიექტურობა, ხოლო მეორე მხრივ— მათი უუნარობა წმინდა განყენებისა. რეალიზმისაგან ბერძ-

ნების ჩამოუშორებლობას და უფრო ჭეშმარიტების განჭვრეტას, ვიდრე შეცნობას, ეფუძნება ბუნებასთან პიროვნების გათიშვის სისრულე ძველ სამყაროში. რიცხვი, თავის ამარა მიტოვებული, ვერ დარჩებოდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი პითაგორელებმა დააყენეს: «იგი თავის თავში არ ატარებდა თვითმოძრაობის საწყისს», — როგორც არისტოტელემ შენიშნა. მაგრამ მათთვის ერთი იყო არა მარტო არითმეტიკული ერთი, პირველი წევრი, გასაღები, რიგი, ზომა, — მათთვის იგი, ამასთან ერთად, იყო უთუო ერთიანობა, თვითგაორების ძალოვნობა და შესაძლებლობა. ცხოველმყოფელი მონადა, ჰერმაფროდიტი, რომელიც თვითონ შეიცავდა თავის გაორებას და არ კარგავდა თავის ერთიანობას მრავალსხვაობად განვითარებისას. ისინი ისე იყვნენ გამსჭვალულნი წესრიგით, თანხმობით, ჰარმონიით, რიცხვობრივი შეუღლებით, ყველგან მყოფი რიტმით, რომ მათთვის სამყარო სტატიკურ-მუსიკალურ მთელს წარმოადგენდა. და ვის შეუძლია უარყოს სიდიადე მათი წარმოდგენისა, რომ არსებობს ათი ციური სფერო, განლაგებული მკაცრი რიგით, გარკვეული მიმართებით არა მარტო სიდიდისა და სიჩქარის მხრივ, არამედ მუსიკალური მხრითაც: ცავის მარადიულ მოძრაობაში გადავარდნილნი, თავის ორბიტის გარმოდენადნი, ისინი გამოსცემენ შეწყობილ ბგერებს, რომლებიც შეირწყმიან ერთ დიდებულ მსოფლიო ქორალად. როგორც ეტყობა, მათემატიკის მსოფლმხედველობა, ყოველივე პოეტურს დაშორებული, ძალიან ახლოსაა ყოველივე ფანტასტიკურთან და მისტიკურთან. ყველა საუკუნის გადარეულზე-გადარეული მისტიკოსები პითაგორეს ემყარებოდნენ და რიცხვთა თავიანთ მეცნიერებას ქმნიდნენ: მათემატიკურ მსოფლმხედველობაში არის რაღაც მოქუფრულდიდებული, ასკეტური, ხორცმოკვდინებელი: სწორედ იგი რეალურ ვნებათა ნაცვლად განგვაწყობს ფანტაზიით ასტროლოგიისაკენ, კაბალისტიკისაკენ და სხვა.

აზრის კიდევ ერთი ნაბიჯი განზოგადების ამ გზაზე, — და მას უნდა დაემსხვრია უკანასკნელი ბორკილები, იგი უნდა

გამოცხადებულიყო თავის სფეროში, ე. ი. მოწყვეტილიყო არა მარტო გრძნობადს, რიცხვობრივს, არამედ საერთოდ ყოველივე ნამდვილ განსაზღვრას. მას მსხვერპლად უნდა მიეტანა მრავალსხვაობის სისავსე საყოველთაოს განყენებული ერთიანობისადმი. ასეთი ნაბიჯი, ერთი მხრივ, ათავისუფლებს აზრს ყოველივესაგან, რაც მას ზღუდავს, ხოლო მეორე მხრივ — წარმოშობს უდიდეს განყენებულობათ, სადაც ყოველივე იკარგება, სადაც იმიტომაა სიხალვათე, რომ სიცარიელეა. საგნის მოშორება რეალურ განსაზღვრათა ცალმხრიობისაგან ამასთან ერთად ნიშნავს მის განუსაზღვრელად გადაქცევას; რაც უფრო ზოგადია სფერო, მით უფრო ახლოს ჩანს იგი ჰეშმარიტებასთან, მით უფრო მოცილებულია გამართულებელი ცალმხრიობანი. ნამდვილად კი ასე არ არის; გარსს გარსზე რომ აძრობს, ადამიანი ფიქრობს მარცვლამდე მივიდეს, ამავე დროს კი, უკანასკნელ აფსკას რომ მოაშორებს, ის ხედავს, რომ საგანი სავსებით გაქრა; მას არაფერი რჩება, გარდა იმ ცნობიერებისა, რომ ეს არაფერი კი არ არის, არამედ განსაზღვრათა მოხსნის შედეგია. აშკარაა, ამ გზით ჰეშმარიტებას ვერ მიაღწევ. სამწუხაროდ, ამ სიაშკარავის დანახვა არ სურდათ; პირიქით, როცა კატეგორიებს განაზოგადებენ, როცა საგანს წმენდენ ყველა მისი როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი განსაზღვრისაგან, ზეიმით ჩერდებიან მისი თავის თავთან იგივეობის ფრიად განყენებულ აღიარებაზე, და წმინდა ყოფიერების ლ ა ნ დ ს ნამდვილად არსებულის ჰეშმარიტებად თვლიან; წმინდა ყოფიერება რაღაც სულისმაგვარი ხდება, რომელიც მიცვალებულისაგან გაფრენილა და გვამს თავს დასტრიალებს, მაგრამ გაცოცხლების ძალას მოკლებულია. ლოგიკური პროცესისათვის, აზრის ფენომენოლოგიური მოძრაობისათვის არ შეიძლება იყოს უკეთესი ვარაუდი, უკეთესი ამოსავალი წერტილისა, ვიდრე წმინდა ყოფიერება, საწყისი არ შეიძლება იყოს არც განსაზღვრული, არც გაშუალებული: წმინდა ყოფიერება სწორედ განუსაზღვრელი უშუალობაა; ბოლოს, თავდაპირველად არ შეიძლება იყოს ნამდვილი ჰეშმარიტება,

არამედ შეიძლება იყოს მისი მხოლოდ შესაძლებლობა. მიეცით წმინდა ყოფიერებას როგორიც გნებავთ განსაზღვრა, როგორიც გნებავთ განვითარება, — იგი განსაზღვრული, ნამდვილი ყოფიერება გახდება და უღალატებს საწყისის, შესაძლებლობის ხასიათს. წმინდა ყოფიერება — უფსკრულია, რომელშიც ჩაიძირა ნამდვილი ყოფიერების ყველა განსაზღვრა (ამავე დროს კი მხოლოდ ისინი არსებობენ), ის სხვა არაფერია, თუ არა ლოგიკური აბსტრაქცია, ისევე როგორც წერტილი, ხაზი მათემატიკური აბსტრაქციებია; ლოგიკური პროცესის დასაწყისში იგი იმდენადვეა ყოფიერება, რამდენადაც არყოფიერება. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს განსაზღვრული ყოფიერება მართლაც წმინდა ყოფიერებიდან წარმოიშობოდეს; განა გვარეობის ცნებიდან წარმოიშობა არსებული ინდივიდი! აზრი ამ აბსტრაქციებით იწყებს, და მისი მოძრაობა აუცილებლად ააშკარავებს მათს განყენებულებას, უარყოფს მათ მთელი შემდგომი მოძრაობით. აზრი ლოგიკური პროცესის დასაწყისში სწორედ უნარია განყენებული განზოგადებისა; სასრული და განსაზღვრული აზრში აღწევს უსასრულობას, რომელიც თავდაპირველად განუსაზღვრელია, მაგრამ განისაზღვრება მთელი რიგი ფორმებით; ეს ფორმები, დასასრულ, იღებენ სრულ განსაზღვრულობას და ამრიგად უსასრულობა და სასრულს შეცნობილი ერთიანობით კრავენ.

წმინდა ყოფიერება ელეატების მიერ ჭეშმარიტებად, უთუო რამედ იყო მიჩნეული: მათ წმინდა ყოფიერების აბსტრაქცია მიიჩნიეს უ ფ რ ო ნ ა მ დ ვ ი ლ სინამდვილედ, ვიდრე გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, უზენაეს ერთიანობად, რომელიც მრავალსხვაობაზე სუფევს. ასეთი ლოგიკური, ცივი, განყენებული ერთიანობა გაუხარელია; მასში იღუპება ყოველი სხვაობა, ყოველი მოძრაობა; ეს არის მარადიული მყუდროება, მუნჯი უსაზღვროება, სიწყნარე ზღვაში, საღათას ძილი, დასასრულ, სიკვდილი, არყოფნა. მართლაც, ელეატები უარყოფდნენ ყოველ მოძრაობას, არ ცნობდნენ მრავალსხვაობის ჭეშმარიტებას, ეს ინდური კვიეტიზმია

ფილოსოფიაში. ყოფიერება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ი გ ი ა რ ი ს; უფრო ნაკლები, უფრო მცირე არაფერი შეიძ-ლება ითქვას საგანზე, ვიდრე ის, რომ იგი არის. — ესაა «ომ! ომ!» სიტყვის განმეორება ბრამინის მიერ, რომელსაც ვიშნუსთან [107] სასურველი სიახლოვისათვის მიუღწევია და, რომელიც უფსკრულის კიდეზე დამდგარა, რისკენაც ის ისწრა-ფოდა, ოათა თავისი ინდივიდუალობისაგან განთავისუფ-ლებულიყო. ყოფიერებას, მხოლოდ იმისათვის, რომ იყოს, მოძრაობა არ სჭირდება; მოქმედებისათვის საჭიროა, რომ ყოფიერებას რაიმე აკლდეს, რათა იგი რაიმესაკენ ისწრა-ფოდეს, რაიმეს ებრძოდეს, რაიმეს აღწევდეს. მაგრამ ის, რისკენაც ყოფიერებას შეუძლია ისწრაფოდეს, მის გარეთ იქნებოდა, ე. ი. ის არ იქნებოდა. ელეატები მეტად თანმიმდე-ვრულად უარყოფდნენ მოძრაობასა და არყოფიერებას: «ყოფიე-რება, — ამბობდა პარმენიდე, — არის, არყოფნა კი სრულიად არ არის». ელეატები, ბერძენთა რეალური ტაქტის ერთგულნი, ვერ ბედავდნენ უკანასკნელ ლოგიკურ დასკვნამდე მისულიყვნენ; მათი ენა ისე არ მობრუნდებოდა, რომ ეღიარებინათ, წმინ-და ყოფიერება და არყოფნა ერთი და იგივეაო; რაღაცა ინს-ტინქტი ჩასჩურჩულებდა მათ, როგორც გინდა მოახდინე აბსტრაგირება, მაგრამ სუბსტრატს, ნივთიერებას ვერ მოსპობ, რომ ყოფიერება მისი უღარიბესი თვისებაა, სამაგიეროდ მე-ტისმეტად განუყრელი, რომ მისი მოსპობა მართლაც არ შეიძლება, მას ვ ე რ ს ა დ გ ა დ ა კ ა რ გ ა ვ: შეიძლება მხოლოდ ზურგი შეაქციო მას ან ვერ იცნო იგი სახეცვლილებებში.

XVIII საუკუნეში ნივთებრივი ყოფიერების უცვლელო-ბის ამ აზრს მიაგნო სახელგანთქმულმა ლავუაზიემ. «ნივთიე-რების წონა, — თქვა მან, — არასოდეს არ შეიძლება დაი-კარგოს; მატერიის რაოდენობა მუდმივია; თვისობრივ ცვლი-ლებებს რომ ვიცილებთ, ჩვენ უცვლელი წონა გვრჩება». ელეატებისა და ლევკიპის ამ აზრზე დამყარებით მან ხელთ აიღო ქიმიური სასწორი, — და თქვენ მოგეხსენებათ დიადი შედეგები, რომლებსაც მან და მისმა მიმდევრებმა მიაღწიეს. ადამიანის აზრს დიდხანს არ შეეძლო წმინდა ყოფიერების საშინელ საყოველთაობაზე შეჩერებულიყო. წმინდა ყოფიე-

რების განყენებულ სივრცეში რომ დავმშვიდდებით, არ შეგვიძლია, ბოლოს, არ მივხვდეთ, რომ ეს სივრცე სრული განურჩევლობაა, ისეთი განურჩევლობა, რომელიც ჰგავს თავისუფლად მოქმედი, გამფართოებელი ძალის გულვებას ფიზიკური სამყაროს შელინგურ აღნაგობაში: ეს ძალა დაბრკოლებათა წაუწყდომლად იმდენად ფართოვდება, რომ ის აღარ არის; აქ უკვე გვიანია მისი ხსნა შემკუმშავი ძალით [108]. მაგრამ საქმე ის არის, რომ წმინდა ყოფიერება, ისევე როგორც უთუო გაფართოება, სრულიადაც არ არის ნამდვილი; ეს კოორდინატებია, რომლებსაც გეომეტრი ხმარობს წერტილის განსასაზღვრავად, — კოორდინატები, რომლებიც სჭირდება მას, და არა წერტილს; უფრო მარტივად: წმინდა ყოფიერება ხარაჩოა, რომლითაც განყენებული აზროვნება კონკრეტულისაკენ ადის. არათუ არყოფნა სრულიად არ არის, არამედ წმინდა ყოფიერებაც სრულიად არ არის, მაგრამ არის ისეთი ყოფიერება, რომელიც განისაზღვრება, ხორციელდება მარად ქმედ პროცესში, რის განყენებული და დაპირისპირებული მომენტები (ყოფიერება და არყოფნა) ცალ-ცალკე, უერთმანეთოდ, მხოლოდ ცნობიერების ფენომენოლოგიაში არსებობენ და არა ემპირიულ — ნამდვილ სამყაროში; ეს მომენტები, მათი დამაკავშირებელი პროცესისაგან განყენებულნი, განცალკევებულნი, — მოჩვენებითია, შეუძლებელია და ჭეშმარიტია მხოლოდ როგორც ლოგიკური მოძრაობის გარდამავალი საფეხურები; თავის არსებობაში ისინი, პირიქით, ნამდვილნი და ამიტომ განუყრელად თანაარსნი არიან ერთიმეორისა. ნამდვილი ყოფიერება მკვდარი გახევებულობა როდია, ის განუწყვეტელი აღმოცენებაა, ყოფიერებისა და არყოფნის ბრძოლა, განუწყვეტელი მისწრაფება განსაზღვრულობისაკენ, ერთი მხრივ, და ასეთივე მისწრაფება — უარყოს ყოველი დამაბრკოლებელი დადებითობა.

გენიალური «ყველაფერი მდინარებს!» წარმოთქვა ჰერაკლიტემ *, და ელეატური ყოფიერების გამდნარი კრისტალი

* «სხეულები, — ამბობს ლაიბნიცი, — მხოლოდ გვეჩვენება მუდმივებად; ისინი ჰგვანან ნაკადს, რომელსაც ყოველ წუთს ახალი წყალი მოაქვს, —

მარადიულ ნაკადად წარედინა. ჰერაკლიტემ ყოფიერება და არყოფნა ცვლილებას, მოძრაობას დაუმორჩილა: ყ ვ ე ლ ა-ფ ე რ ი მ დ ი ნ ა რ ე ბ ს! არაფერი არ რჩება უძრავი, ერთნაირი; ყველაფერი — სწრაფად თუ ნელა — მოძრაობს, სახეს იცვლის, გადაიქცევა, ირხევა ყოფიერებასა და არყოფნას შორის. «საგნები, — ამბობს ჰერაკლიტე, — მსრბოლ ნაკადს ჰგვანან; ორჯერ არ შეიძლება ერთსა და იმავე წყალში შესვლა». მისთვის უთუო არის თვით პროცესი ბუნებრივი მრავალსხვაობის ასვლისა ერთიანობამდე; მისთვის ნამდვილი არის არა პასიური მორჩილება განყენებული ნივთებრიობისადმი, არა მოძრაობის სუბსტრატი, არა ძვრადის ყოფიერება, არამედ ის, რაც ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ ამოძრავებს მას, ის, რაც მას ცვლის. ყოფიერება ჰერაკლიტეს მიხედვით თვითონ შეიცავს თავის უარყოფას; ეს უარყოფა განუყრელია, მისი თანაარსია; ეს მისი დემონური საწყისია, რომელიც ყოველთვის და ყველგან ახლავს მას, განუწყვეტლივ უკუქმედებს მასზე, მოხსნის მის მიერ შექმნილს, ხელს უშლის დაიძინოს, გამაგრდეს უძრაობაში. ყოფიერება მოძრაობით ცოცხლობს; ერთი მხრივ, სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა განუწყვეტელი, შეუჩერებელი მოძრაობა, ქმედითი ბრძოლა, თუ გნებავთ, ქმედითი შერიგება ყოფიერებისა არყოფნასთან, და რაც უფრო შეუპოვარია, რაც უფრო სასტიკია ეს ბრძოლა, მით უფრო ახლოს არიან ისინი ერთმანეთთან, მით უფრო მაღალია სიცოცხლე, რომელსაც ისინი ავითარებენ; ეს ბრძოლა მუდამ დასასრულშია და მუდამ დასაწყისში — იგი არის განუწყვეტელი ურთიერთქმედება, რომელსაც ისინი თავს ვერ აღწევენ. ეს არის სიცოცხლის ჯარასებრი ტრიალი. ცოცხალი ორგანიზმი წარმოადგენს მუდმივ ბრძოლას სიკვდილთან, რომელიც ყოველთვის იმარჯვებს, მაგრამ ეს გამარჯვება ისევ განსაზღვრული ყოფიერების სასარგებლოდ თავდება, და არა არყოფნის სასარგებლოდ. მრავალსაწყისიანი ქსო-

---

თეზეოსის 109 ხომალდს, რომელსაც ათენელები განუწყვეტლივ შეაკეთებდნენ ხოლმე». — ა. გ.

ვილები, რომლებისაგანაც შედგენილია ცოცხალი სხეული, განუწყვეტლივ იშლებიან ორსაწყისიანებად (ე. ი. არამადნეულ, მინერალურ საწყისებად), განუწყვეტლივ კვლავ წარმოიქმნებიან; შიმშილი განაახლებს თავის მოთხოვნებს, იმიტომ რომ განუწყვეტლივ იხარჯება მასალა; სუნთქვა იცავს სიცოცხლეს და სწვავს ორგანიზმს; ორგანიზმი განუწყვეტლივ გამოიმუშავებს საწვავს. ნუ ასაზრდოებთ ცხოველს, — მას სისხლი და ტვინი დაეწვის... რაც უფრო განვითარებულია სიცოცხლე, რაც უფრო მაღალ სფეროში გადასულა იგი, მით უფრო მძაფრია ყოფიერებისა და არყოფნის ბრძოლა, მით უფრო ახლოს არიან ისინი ერთიმეორესთან. ქვა მხეცზე უფრო მაგარია; მასში ყოფიერება სჭარბობს არყოფნას; ის ნაკლებად საჭიროებს თავის მომცველ გარემოს; ის არც ფორმას შეიცვლის და არც შედგენილობას, თუ მას გარედან დიდად არ დაატანეს ძალა; ის თავის თავში თითქმის არც ატარებს თავისი დაშლის მიზეზს, და ამიტომ უდრეკია. ცხოველის ტვინს, — ამ რთულ, სათუთ, გაუმყარებელ მასას სულ მცირედი შეხება მკვდრად აქცევს; სულ მცირედი უწონასწორობა სისხლის რთულ ქიმიზმში — და ცხოველი იტანჯება თავისი ნორმალური მდგომარეობის დარღვევის გამო, წვალობს და კვდება, თუ ვერ შეძლებს გაიმარჯვოს, ე. ი. აღადგინოს ნორმა. ტანჯვითი, მძიმე ყოფიერება თავისი უხეში შეზღუდულობით ახშობს სიცოცხლეს; ქვის სიცოცხლე მუდმივი უგრძნობლობაა; ეს სიცოცხლე მით უფრო თავისუფალია, რაც უფრო ახლოსაა არყოფნასთან; ის სუსტია უმაღლეს გამოვლინებებში, იგი, ასე ვთქვათ, ხარჯავს ნივთებრიობას იმ სიმაღლის მისაღწევად, რომელზედაც ყოფიერება და არყოფნა რიგდებიან, უმაღლეს ერთიანობას ექვემდებარებიან. ყოველივე მშვენიერი ნაზია, ძლივს არსებობს; ესაა ყვავილები, რომლებსაც ცივი ქარი სპობს, იმ დროს, როცა ხამი ღერო მაგრდება მისგან, სამაგიეროდ ის არც კეთილსურნელოვანია და ფერადფერად ფურცლებს მოკლებულია; ნეტარების წამი ძლივს გამოკრთება, მაგრამ იგი მთელ მარადისობას შეიცავს... აღმოცენება, თვითგანსაზღვრის ქმედი პროცესი, მისი დაპირის-

პირებული მომენტები (ყოფიერება და არყოფნა) მასში კარგავენ თავის მკვდარ უძრაობას, რომელიც ეკუთვნის არა ნამდვილ, არამედ განყენებულ აზროვნებას; როგორც სიკვდილს არ მოსდევს წმინდა არყოფნა, ისე აღმოცენებაც არ მიიღება წმინდა არყოფნიდან, — განსაზღვრული ყოფიერება ჩნდება გარკვეული ყოფიერებიდან, რომელიც სუბსტრატი ხდება უმაღლესი მომენტის მიმართ. აღმოცენებული არ ყოყოჩობს იმით, რომ ი გ ი ა რ ი ს; ეს ერთობ ცოტაა, ეს იგულისხმება; ის თავის ჭეშმარიტებად არ ასაღებს თავის იგივეობას თავის თავთან, თავის ყოფიერებას, არამედ, პირიქით, გახსნის თავის თავს პროცესით, რომელსაც თავისი ყოფიერება მომენტის მნიშვნელობამდე დაჰყავს.

ჰერაკლიტემ გაიგო, რომ ჭეშმარიტება არის სწორედ ორი დაპირისპირებული მომენტის არსებობა; მან გაიგო, რომ ეს მომენტები თავისთავად არაჭეშმარიტნი და შეუძლებელნი არიან, რომ მათში ჭეშმარიტია მხოლოდ მისწრაფება — მაშინვე გადავიდეს დაპირისპირებულში. ჰერაკლიტესათვის, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე 500 წლით ადრე ცხოვრობდა, ეს აზრი ისე ნათელი იყო, რომ მას არ შეეძლო არსებობაში, ყოფიერებაში დაენახა რაიმე მუდმივი, გარდა იმ საწყისისა, რაც მრავალსხვაობაში გადადის და, მეორე მხრივ, მრავალსხვაობიდან ერთიანობისაკენ ისწრაფვის; მან ეს გაიგო, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა მისთვის, ნამდვილი რომ ითქვას, აუცდენელი მოვლენა, საბედისწერო მოვლენა იყო: იგი ამას ცნობდა და ემორჩილებოდა აუცილებლობას, რომლის გასაღებიც მას არ ჰქონდა. რატომ ასე გაუკვირდათ ჩვენი დროის ს წ ა ვ ლ უ ლ კაცებს, რატომ ასე გონებაჩლუნგად ვერ მიხვდნენ ისინი, როცა ჰერაკლიტეს აზრი გაჩნდა არა როგორც გენიალური მიხვედრა, არამედ როგორც მკაცრად, გარკვევით, მეცნიერულად გატარებული მეთოდის უკანასკნელი სიტყვა? მძაფრმა და განყენებულმა გამოთქმამ: «ყოფიერება არის არყოფნა» ხომ არ გააოცა ისინი ან, იქნებ, აღმოცენების სიახლოვემ დააფრთხო? მაგრამ ცოცხალი განვითარებიდან ამოჭრილი გამოთქმის გაგება არ შეიძლება, მეტადრე მაშინ, როცა

არ სურთ არც გზები იცოდნენ და არც მთელი ყურადღება მიაპყრონ მას. უყურადღებოდ არაფერია ნათელი, — ვერც ლოგიკას გაიგებ, ვერც ქაღალდის თამაშს ისწავლი. პრაქტიკულად ჩვენ სწორედ ჰერაკლიტესებურად ვუყურებთ საგნებს, მარტოოდენ აზროვნების საყოველთაო სფეროში არ შეგვიძლია გავიგოთ ის, რასაც ვაკეთებთ. განა დასაბამიდანვე არ ესმოდათ ადამიანებს, რომ მკვდარი უძრაობა არსებული საგნისა, მისი იგივეობა თავის თავთან როდია მისი სრული ჭეშმარიტება? განა, მაგალითად, ყოველივე ცოცხალში ჩვენ სხვა რაიმეს ვხედავთ, გარდა მარადი გარდაქმნის პროცესისა, რომელიც, როგორც ჩანს, მარტო ცელილებაში ცოცხლობს? ძვლები ორგანიზმის ყველაზე მაგარი ყოფიერებაა, ჩვენ კი ისინი ცოცხლებადაც კი არ მიგვაჩნია.

ჩვენ ავღნიშნეთ, რომ ელეატებს, რომლებმაც საფუძვლად წმინდა ყოფიერება მიიღეს, გამბედაობა არ აღმოაჩნდათ ეღიარებინათ, რომ იგი არყოფნას ეიგივება. ასე ჰერაკლიტეც, რომელმაც არსებულის ჭეშმარიტებად მოძრავი საწყისი (არსი) მიიჩნია, ვერ მივიდა ყოფიერების მოსპობამდე ძალაში, მოძრაობის მიზეზში, სუბსტანციაში. ბერძნები ასე ღრმად არ ეთიშებოდნენ ემპირიულ მსოფლმხედველობას: როცა მათი აზრი უკიდურეს აბსტრაქციებამდე მიდის, მაშინვე უჩნდებათ მათ ლამაზი სახეები, ფანტასტიკური წარმოდგენები, რომლებიც მათ უფსკრულის პირას შეაკავებენ. ასე, ჰერაკლიტესთან, სუბსტანციური მიმართების უკანასკნელი უბადრუკი დასკვნების ნაცვლად, შეხვდებით დ რ ო ს ა და ც ე ც ხ ლ ს როგორც მოძრაობის პროცესის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. მართლაც, დრო უთუო აღმოცენების სახეა; მისი არსი მხოლოდ ის არის, რომ იყოს და ამასთან ერთად არ იყოს; დროში ნამდვილია არა წარსული და მომავალი, არამედ აწმყო. მაგრამ იგი მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ არ არსებობდეს. მან მაშინვე განელო, იგი მაშინვე დადგება, იგი არის ამ მოძრაობაში, როგორც ორი დაპირისპირებული მომენტის, ერთიანობა. ცეცხლი ბუნებაში აგრეთვე საუცხოოდ შეესაბამება მის აზრს: ცეცხლი თავისით წვავს დაპირისპირებულს,—

იგი არის უთუო მოუსვენრობა. არსებულის უთუო დაშლა, მეორის და თავის თავის გადასვლითობა. ჰერაკლიტე ყველგან ხედავს ცეცხლს; მისთვის წყალი ჩამქრალი. ცეცხლია. მიწა — გამაგრებული წყალი; მაგრამ მიწა კვლავ დაიშლება ზღვებში, აორთქლდება მათ მიერ ჰაერში, სადაც აალდება და წყალს წარმოქმნის. ამგვარად, მთელი ბუნება ცეცხლის მეტამორფოზაა. თვით ვარსკვლავები ჰერაკლიტესათვის ერთხელ და სამუდამოდ გათავებული მკვდარი მასები როდია: «წყალი აორთქლდება და ბნელ და ნათელ პროცესად ილექება; ბნელი მიწას იძლევა, ნათელი ჰაერში ადის, მზის ატმოსფეროში აინთება და მეტეორებს, პლანეტებს და ვარსკვლავებს წარმოშობს»; ამგვარად, ისინი იგივე ცოცხალი ურთიერთქმედების, მოძრაობის შედეგად აღმოცენდებიან; «ყველაფერი ითიშება შინაგანი ბრძოლით და მეგობრობისა და ჰარმონიის უმაღლესი ერთიანობისაკენ მისწრაფებით». «სამყარო მარად ცოცხალი ცეცხლია, მისი სული ალია, რომელიც თავისი კანონის მიხედვით აინთება და ჩაქრება». ამრიგად, ეს ცოტაა, რომ ჰერაკლიტემ ბუნება პროცესად გაიგო, — მან იგი გაიგო როგორც თვითქმედი პროცესი. მაგრამ ამ მოძრაობიდან არაფერი არ იღუპება; არ არის ერთიანობა, რომელიც დროის ტრიალით იქმნებოდეს და მის შედეგად და მის საწყისად გვევლინებოდეს. მოძრაობის საწყისი ჰერაკლიტესთან საბედისწერო, მძიმე აუცილებლობაა, რომელიც მრავალსხვაობაში ინარჩუნებს თავს; არავინ იცის, რისთვის შემოიჭრება, როგორც აუცდენელი ძალა, როგორც მოვლენა, მაგრამ არა როგორც თავისუფალი, ცნობიერი ძალა. მიზანი მოძრაობისათვის ჰერაკლიტეს საერთოდ არ მიუცია; მისი მოძრაობა ელეატების ყოფიერებაზე უფრო კონკრეტულია, მაგრამ იგი აბსტრაქტულია; იგი ხმამაღლა მოითხოვს მიზანს, მუდმივს.

ვიდრე ვიტყოდეთ, თუ რა საწყისი და რა მიზანი მისცა მოძრაობას ანაქსაგორამ, უნდა გიჩვენოთ სხვა გამოსავალი წმინდა ყოფიერებიდან, პირდაპირ ჰერაკლიტეს საწინააღმდეგო, ფორმალური გამოთქმით მაინც, ვინაიდან, ზოგადი თვალსაზრისით, ატომიზმი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ,

მხოლოდ დამატებითს, დინამიზმისათვის აუცილებელ და გარდუვალ მომენტს წარმოადგენს. ატომიზმი და დინამიზმი ყოფიერებისა და არყოფნის პოლარულ ბრძოლას უფრო განსაზღვრულ და შეკუმშულ ველზე იმეორებენ. ატომიზმის მთავარი აზრია წმინდა ყოფიერების უარყოფა განსაზღვრული ყოფიერების სასარგებლოდ; აქ განყენებული ყოფიერება კი არ მიიღება კერძოობათა ქეშმარიტებად, არამედ თავის თავში ჩაკეტილი კერძოობა მიიღება ყოფიერების ქეშმარიტებად: ეს არის განყენებულ სფეროდან კონკრეტულ სფეროში დაბრუნება, დაბრუნება ნამდვილთან, ემპირიულთან, არსებულთან. ნამდვილად მიჩნეულია ერთეული, რომელიც არ გაიშლება აბსტრაქტულ კატეგორიებში, პროტესტს აცხადებს ელეატური წმინდა ყოფიერების წინააღმდეგ განსაზღვრული ყოფიერების ავტონომიის გულისათვის; კერძო თავისთვის არსებობს, და თვითონ არის თავისი თვისობრივი და რაოდენობრივი ნამდვილობის დადასტურება. ლევკიპპმა და დემოკრიტემ მისცეს ამ მოძღვრებას დასაბამი; ამის შემდეგ ეს მოძღვრება მუდამ ვიდოდა მეცნიერების მთავარი ნაკადის პარალელური ხაზით და არასოდეს არ უახლოვდებოდა მას *; იგი მტკიცედ დაეყრდნო ბუნების სწორ, თუმცა ცალმხრივ, გაგებას და დიდად სასარგებლო გამოდგა ბუნებისმეტყველებისათვის. ატომიზმი, კერძოობის აღიარებაზე დაფუძნებული, ყოველი არსებული წერტილის უდავო განუყოფადობას, ასე ვთქვათ, პიროვნებას, უპირისპირებს ყოფიერებისა და მოძრაობის ერთიანობას, რომელიც მათ მოიცავს. აზრში ყოველივე განზოგადდება, ბუნებაში ყოველივე მოლეკულურია, ისიც კი, რაც ჩვენ ნაწილებისა და განსხვავების სრულიად არმქონედ გვეჩვენება. ჰერაკლიტეს მოძრაობა აუცილებლობის, ე. ი. ფატალიზმის მორჩილია; ატომს მიზანი თავის თავში, თავის არსებობაში აქვს; ის თავისთვის არსებობს და თავის კონცენტრირებულობას აღწევს; ატომიზმი ბუნების საყოველთაო ეგოიზმს გამოხატავს; მისთვის მხოლოდ ერთი მისწრაფება არსებობს და

* გარდა ლაიბნიცის მონადოლოგიისა. — ა. ბ.

არის ჭეშმარიტი, ესაა ბუნების მისწრაფება ინდივიდუალიზაციისაკენ; ეს ინდივიდუალიზაცია მას წარმოუდგება უთუო ფხვნადობად, როგორიც იგი მართლაც არის; მაგრამ იგი ვერ ხედავს, რომ უმაღლესი, მაქსიმალურად კონცენტრირებული პიროვნება (ადამიანი), თავისი ატომიზმის მიუხედავად, არის სწორედ საყოველთაო, გვარეობითი პიროვნება, რომ მისი ეგოიზმი, მისი კონცენტრირებულობა ამასთან ერთად შუქმფინარი სიყვარულია. იდეალიზმი, თავის მხრივ, ვერ ხედავს, რომ გვარეობა, საყოველთაო, იდეა, მართლაც არ შეიძლება იყოს უინდივიდოდ, უატომოდ; ვიდრე იდეალიზმი ამას ვერ მიხვდება, მანამდე ატომიზმი არ დანებდება მას; სანამ ერთიც და მეორეც განსაკუთრებულ აღიარებას მოითხოვს, მანამდე ისინი ბრძოლაში იქნებიან. დინამიზმი და ატომიზმი ეკუთვნიან არა სავსებით განვითარებული მეცნიერების იმ გამოუვალ ანტინომიებს, რომლებსაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. აშკარაა, რომ ჭეშმარიტება ერთის მხარეზეცაა და მეორეს მხარეზეც; ისიც კი აშკარაა, რომ დაპირისპირებული შეხედულებანი თითქმის ერთსა და იმავეს ამბობენ, — მხოლოდ ერთს ჭეშმარიტება თავდაყირა აქვს დაყენებული, მეორისა კი ფეხზე დგას; წინააღმდეგობა, თითქოს, შეურიგებელი გამოდის, ამავე დროს კი ასე ეტანება ერთი მომენტი მეორეს; მაგრამ ჭეშმარიტება როგორც ცალმხრიობათა ერთიანობა, როგორც წინააღმდეგობების მოხსნა, არ უყვართ ადამიანებს, რომლებიც სიცხადეს იკვეხნიან. რა თქმა უნდა, ცალმხრიობა უფრო მარტივია: საგნის რაც უფრო უღარიბეს მხარეს ავიღებთ, მით უფრო აშკარაა, უფრო ნათელია იგი და ამასთან ერთად მით უფრო არ არის საჭირო და მით უფრო უსარგებლოა: რა შეიძლება იყოს A = A ფორმულაზე უფრო ცხადი და რა შეიძლება იყოს უფრო უგვანო? აიღეთ უმარტივესი ფორმულა პირველი ხარისხის განტოლებისა ერთი უცნობით, — იგი გაცილებით უფრო რთული იქნება, სამაგიეროდ შეიცავს აზრს, მოსაძებნის განსაზღვრის საშუალებას. ანტინომიებში ერთი ან მეორე მხარისადმი მიმხრობა სრულიად არაფერს არ ეფუძნება; ბუნება ყოველ ნაბიჯზე გვასწავლის ერთიანობაში გავიგოთ დაპირის-

პირებული; განა მას უსასრულო გამოყოფილი აქვს სასრულისაგან, მარადიული — დროებითისაგან, ერთიანობა— ნაირნაირობისაგან? სასტიკი მოთხოვნა — «ან ერთი ან მეორეო» — ძალიან ჰგავს მოთხოვნას — «ქისა ან სიცოცხლე!» გულადი კაცი გაბედულად იტყვის: «არც ერთი, არც მეორე, რადგან საჭირო არ არის თქვენი ახირების გულისათვის დავთმო ერთი ან მეორე!» ვუბრუნდებით ლევკიპს და აღვნიშნავთ, რომ მისთვის ატომი განურჩეველი, მკვდარი წერტილი როდი იყო: იგი ცნობდა განუყოფადისა და სიცარიელის (ისევ ყოფიერება და არყოფნა) პოლარაობას და ატომების ურთიერთქმედებას; აქ ის და მისი მიმდევრები იბნევიან გარეგნულ ახსნა-განმარტებებში, იღებენ შემთხვევითობას, რომელიც აერთებს და განაშორებს ატომებს; შემთხვევითობა იქცევა რაღაც იდუმალ ძალად, რომელიც გონების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

ანაქსაგორამ საწყისად აზრი გამოაცხადა. გონება, საყოველთაო არსი და ქმედი მამოძრავებელი ხდება; ნ უ ს ი ის მოქმედებაა, რომელიც არასრულქმნილად და შეუცნობლად ბუნებას წარმოადგენს და რომელიც მთელი სიწმინდით ცნობიერებაში, აზროვნებაში გაიხსნება. ბუნებაში ნუს-ი ხორციელდება კერძო საგნებში, რომლებიც დროსა და სივრცეში არსებობენ; ცნობიერებაში იგი აღწევს თავის საყოველთაობასა და მარადისობას [110]. ანაქსაგორამ,—არისტოტელის სიტყვით, «პირველმა ფხიზელმა მოაზროვნემ»,—თუ პირდაპირ არ თქვა, რომ სამყარო არის გონება, რომელიც მარადიული პროცესით ხორციელდება, სამაგიეროდ იგი თვითმოძრავ სულად მიიჩნია. მოძრაობის მიზანია: «შეასრულოს ყოველივე კეთილი, რასაც სული შეიცავს». შევნიშნავთ, ასეთი მიზანი აზრისათვის არაა გარეშე რამ; ჩვენ მივეჩვიეთ, რომ მიზანი დავაყენოთ ერთ მხარეს, ხოლო მიმღწევი — მეორე მხარეს; მაგრამ მიზანი, საყოველთაობაში აღებული, თვითონ მოთავსებულია მიმღწევში, მის მიერ ხორციელდება, — საგნის არსებობა მისი მიზანშეწონილობის გავლენის ქვეშ იმყოფება: შესრულდა ის, რაც იყო; გითარდება ის, რაც არის. ცოცხალი იმიტომ ინახება, რომ იგი

თავისთავად არის მიზანი; ცოცხალმა არ იცის თავისი მიზნები, მას აქვს მიწიერი მისწრაფებანი და სურვილები; მისი ეს სურვილები მტკიცე მიზანშეწონილი განსაზღვრანია; როგორც უნდა ეკიდებოდეს ცხოველი გარემოს, მათი შეტაკებისა და ურთიერთქმედების შედეგი ცხოველური ორგანიზმი იქნება: ის მხოლოდ თავის თავს წარმოშობს. მიზანშეწონილ მოძრაობაში შედეგი არის საწყისი, წინაპირველის შესრულება. ასეთ საწყისად ანაქსაგორამ გონება, კანონი მიიღო და იგი ყოფიერებას და მოძრაობას საფუძვლად დაუდო. თუმცა მას არ გაუვითარებია თავისი საწყისის მთელი სპეკულატური შინაარსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის მიერ აზროვნების განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯი უსაზღვროა, მისი ნუს-ი, რომელიც შესაძლებლობაში შეიცავს ყოველივე კეთილს, გონება, რომელიც ინარჩუნებს თავის თავს საკუთარ განვითარებაში, რომელსაც თ ა ვ ა დ აქვს ზ ო მ ა (განსაზღვრება), — ზეიმით მეფდება ყოფიერებაზე და განაგებს მოძრაობას. იონიელებს, როგორც ვნახეთ, უთუო საწყისად მიაჩნდათ არსებული — ემპირიული ყოფიერება, აბსოლუტურ რამედ გამოცხადებული; შემდეგ იგი განისაზღვრა, როგორც წმინდა ყოფიერება, არარსებულისაგან განყენებული, არა ემპირიული, არა რეალური, არამედ ლოგიკური, განყენებული; მერე, იგი წარმოიდგინება, როგორც მოძრაობა, როგორც პოლარული პროცესი. მაგრამ ასეთი მოძრაობა შეიძლებოდა ყოფილიყო გამოუვალი მიმოქცევა, უმიზნო მოძრაობა და მეტი არაფერი, აღმოცენებათა, ცვლილებათა, ამ ცვლილებების ცვლილებათა უსიხარულო რიგი, და ასე—უსასრულობაში. ანაქსაგორა, საწყისად რომ თვლის საყოველთაოს, გონებას თვით არსებობის, ყოფიერების, მოძრაობის შიგნით, პოულობს მსოფლიოსმპყრობელ მიზანს, როგორც მსოფლიო პროცესის ფარულ მიზანს. ყოფიერების ეს ფარული აზრი არის დუღილის, მოძრაობის, დაუდგრომლობის ის საფუარი, ის საწყისი, რომელიც აღაგზნებს და აღელვებს ყოფიერებას იმისათვის, რომ იგი ა შ კ ა რ ა აზრად იქცეს. ცნობიერებაში ჩვენ ისევ ვხვდებით დემონურ საწყისს, რომელიც ახლავს უძ-

რავ ნივთებრიობას, რომელიც ხდება უკვე არა დემონური, არამედ გონივრული და ეს გონივრული მხილდება ჭეშმარიტებად, ყოფიერების, არყოფნის, მოძრაობის, აღმოცენების განხორციელებად. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამით ყოფიერება მსხვერპლად არის შეწირული და რომ მეცნიერება გადასულია ცნობიერებაში, როგორც მის საპირდაპირო ელემენტში, — მაშინ საყოველთაო დაკარგავდა თავის სპეკულატურ მნიშვნელობას, მშრალ აბსტრაქციად გადაიქცეოდა; ამგვარი იდეალისტური ცალმხრიობა უფრო ახალ ფილოსოფიას ახასიათებს, ვიდრე ძველს. ჰერაკლიტე და ანაქსაგორა იმ საზღვრამდე მივიდნენ, რომლის იქით ბერძნული აზრი არ წასულა; მათ ღარიბულად და არასრულად განუმზადეს აზრს ის ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზეც ბერძნული მეცნიერების ბუმბერაზებმა ააგეს თავიანთი მსოფლმხედველობა. ნიადაგი დარჩა; ჰერაკლიტეს მოძრაობას და ანაქსაგორას ნუსს მთელი შინაარსი არ ამოუწურავთ, მაგრამ მათ ზურგს არ შეაქცევს არისტოტელე: სრულიად პირუკუ, ისინი მან გამოიყენა იმ უზარმაზარი შენობის ქვაკუთხედებად, რომელიც არისტოტელემ აღმართა. არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ისტორიული აზროვნების სასტიკად ლოგიკური სიმწყობრე ბერძნებში, კაცობრიობის ამ რჩეულ ბავშვებში. ელეატების მსოფლმხედველობას გარდუვლად მივყევართ ჰერაკლიტეს მოძრაობამდე; მისი მოძრაობაც გარდუვალად უნდა მისულიყო გონიერ სუბსტანციამდე, მიზნამდე; ის კითხვას აყენებდა, და ანაქსაგორასაც არ დაუყოვნებია პასუხის გაცემა; აი, სწორედ ამ მემკვიდრეობითს განვითარებას, რომელიც ჭეშმარიტების ერთი თვითგანსაზღვრიდან მეორემდე მიდის ორგანულად დაკავშირებული და ცოცხლად შენაწევრებული, უწოდებენ ერთი ფილოსოფური მსოფლმხედველობის უწესრიგო და თვითნებურ შეცვლას მეორე მსოფლმხედველობით!

როცა ადამიანის აზრმა ცნობიერებისა და ძალის ამ დონეს მიაღწია, როცა იგი განმტკიცდა მასში, როცა მან შეიცნო თავისი ურყევი ძლიერება, — ბერძნულ სამყაროში გადაიშალა ბრწყინვალე, მომხიბლველი სანახაობა, მეცნიერებით

ჭაბუკური დატკბობის ზეიმი. მე ვლაპარაკობ ცილდანაწამებ და ვერგაგებულ სოფისტებზე. სოფისტებმა, — მდიდარი ბერძნული სულის საუცხოო, დიდებულმა ყვავილებმა, — გამოხატეს ჭაბუკური სითამამისა და სილაღის პერიოდი; სოფისტებში თქვენ ხედავთ კაცს, რომელსაც ეს-ეს არის თავი დაულწევია მეურვეობისაგან და ჯერ კიდევ არ მიუღია გარკვეული დანიშნულება; იგი მთელი სულითა და გულით ეძლევა თავისი ნების, თავისი სრულწლოვანების გრძნობას და ამ გატაცებით მოწმობს, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის სრულწლოვანი; ჭაბუკმა იგრძნო საშინელი ძალაუფლება, რომელიც მის განკარგულებაშია; არაფერი ბოჭავს მის ამაყ შეგნებას, იგი თამაშობს თავისი ავლადიდებით, ყოველივეთი ქვეყნად, ე. ი. ყველაფრით, რაც ჩვეულებრივი მესაკუთრისათვის დიდმნიშვნელოვანია, და იმ დროს, როცა ეს მესაკუთრე ნაღვლიანად იქნევს თავს, ჭაბუკის მფლანგველობას რომ უცქერის, ჭაბუკი ზიზღით უყურებს მას, რომელიც თავის დაჩრჩილურ სიმდიდრეს ჩაბღაუჭებია; ჭაბუკმა შეიგნო ყოველივე გარემომცველის მერყეობა და უძლურება; ის ემყარება ერთ რამეს — თავის აზრს; ეს არის მისი შუბი, მისი ფარი: ასეთები არიან სოფისტები. რა სიმდიდრეა მათს დიალექტიკაში! რა ულმობელობა! რა მოურიდებლობა! რა სიმპათიაა ყოველივე ადამიანურისადმი! რა ოსტატურად ფლობენ აზრსა და ფორმალურ ლოგიკას! მათი უსასრულო დავა — ეს სისხლდაღვრელი ასპარეზობაა, სადაც იმდენივე სიკეკლუცეა, რამდენიც ძალა — ვაჟკაცური ჯირითი იყო ფილოსოფიის სახიფათო სარბიელზე: ეს არის მეცნიერების ლაღი სიჭაბუკე, მისი მაისის დილა. სოკრატე და პლატონი სამართლიანად იყვნენ სოფისტების მტრები; მათ, თ ა ვ ი ა ნ თ ი თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ, ზურგი შეაქციეს სოფისტებს და უფრო ღრმა ცნობიერებისაკენ წარმართეს აზრი. მაგრამ სოფისტთა დამგმობნი, რომელნიც საუკუნიდან საუკუნემდე იმეორებენ გაცვეთილ ბრალდებებს, მხოლოდ თავიანთ შეზღუდულობასა და თავიანთი გონების მშრალ პროზაიზმს ცხადყოფენ; ისინი დგანან ჟანლისის [111] იმ ვიწრო თვალსაზრისზე,

არც თუ ისე ზ ნ ე ო ბ რ ი ვ მორალზე, რომელიც ასე უყვარდათ გასული საუკუნის დამდეგის კეთილ აბატ-დ ე ი ს ტ ე ბ ს, სწორედ იმათ, რომლებიც შეუბრალებლად კიცხავდნენ ალექსანდრე დიდს მაგარი სასმელების მოყვარულობისათვის და იულიოს კეისარს ბატონობის მოყვარული ოცნებისათვის. ამ თვალსაზრისით, არც სოფისტების და არც ალექსანდრე მაკედონელის გამართლება არ შეიძლება, მაგრამ ეს თვალსაზრისი რად არ უნდა დავუთმოთ მხოლოდ და მხოლოდ გამასწორებელ სასამართლოებს, რომლებიც წვრილმანი შეცდომებისა და ქუჩის უწესოების საქმეებს არჩევენ? რად უნდა გამოვიყენოთ იგი მსოფლიო-ისტორიულ მოვლენათა განხილვისას? ნაცვლად იმისა, რომ დახავსებული და უბადრუკი აზრების გაბათილებაზე შევჩერდეთ, სჯობია წარმოვიდგინოთ საბერძნეთში სოფისტების გამოჩენის ეპოქა.

არსებული საშინელი არ აღმოჩნდა აზრისათვის; ის უკვე დაიძრა და წარედინა რაღაც აუხსნელი აუცილებლობის ნებით; აღმოჩნდა, რომ ეს აუცილებლობა (მიზანი თუ მიზეზი — სულ ერთია) გონებაა. ეს მკაფიო აზრი გადმოსროლილია განყენებულად, უშინაარსოდ, როგორც უსასრულო ფორმა, როგორც პირადი მიხვედრა; მაგრამ ამავე დროს აღიარებულია გონების უზომო ძალაუფლება. ყოველი არსებული, ცალკეული, კერძო ანაქსაგორასათვის მომენტია; მის ნუსში იკარგება ყოველი განსაზღვრული, მისი არსი თვითონ ნეგაციაა, როგორც კიდეც უნდა იყოს; ყოფიერება აისახა თავის თავში. განუდგა სახეცვლადს გარეგნობას და შეჩერდა არსზე, როგორც ჭეშმარიტებაზე; არსი კი აზრად განისაზღვრა, და, მაშასადამე, მას ეკუთვნის უ ა რ ყ ო ფ ი ს უთუო უფლება, უფლება მძაფრი მჟავასი, რომელიც ყველაფერს დაშლის, ყველაფერს შეუერთდება, რომ ყველაფერი ააქროლოს; ერთი სიტყვით, აზრმა შეიცნო თავის თავი ისეთ ძალად, რომლის წინაშე ქრება ყოველი ზდგრადი, რომელიც მას არ დაუდგენია. ყოველივე რაც მყარია ყოფიერებაში, ცნებებში, უფლებებში, კანონებში, რწმენასა და გადმოცემებში, — ყოველივე იწყებს რყევასა და თავისი თავის უარყოფას; ყოველივე,

რასაც შეეხება მჭროლავი აზრის მხურვალე ჭავლი, მერყეევი და არა თვითმყოფი ხდება, და აზრი, როგორც სიკვდილის გენია, როგორც შემმუსრავი ანგელოზი, მხიარულად ღუპავს და ზეიმობს ნანგრევებზე, არც კი უფიქრდება, რით შეცვალოს ისინი. ნეგაციის ეს გაქანება, სიხალვათე, ეს აზრი, რომელიც ამსხვრევს მყარს, სჯის მოჩვენებითს, გამოხატეს სოფისტებმა. მათ ახასიათებდათ საშინელი გულახდილობა და საშინელი მრავალმხრიობა; ისინი პოპულარულნი არიან და ცხოვრებაში შეჭრილნი; მათ არ ეუცხოება მოედნისა და მეცნიერების არც ერთი საკითხი; ისინი არიან ორატორები, პოლიტიკოსი ადამიანები, სახალხო მასწავლებლები, მეტაფიზიკოსები; მათი ჭკუა მოქნილი და მარჯვე იყო, მათი ენა — უშიშარი და თამამი. ამიტომაც მათ გაბედულად და აშკარად გამოთქვეს ის, რასაც ბერძნები ფარულად აკეთებდნენ პრაქტიკულ ცხოვრებაში, თავისი თავისაგანაც კი ფარულად, რადგან მათ ეშინოდათ გამოეკვლიათ, კარგია თუ არა ასე მოქცევა, და არ ჰქონდათ ძალა არ ემოქმედნათ დადებითი კანონის წინააღმდეგ. სოფისტებს უზნეობაში დასდეს ბრალი, იმიტომ რომ მათ საქვეყნოდ გამოიტანეს სიბნელეში დამალული, იმიტომ რომ გაამხილეს ბერძნული ცხოვრების ოჯახური საიდუმლოება. პრაქტიკულ სფეროში, თავის მოქმედებაში კაცი იშვიათადაა ისე განყენებული, როგორც აზრთა სფეროში, — აქ იგი შეუცნობლად მრავალმხრივია, ვინაიდან აქ იგი მთლიანადაა მოცემული.

პერიკლეს დროის ბერძენს არ შეეძლო ლაღად ეგრძნო თავი ცხოვრების იმ ნორმებში, რომლებიც მან ანდერძად მიიღო, როგორც წინაპართა წმიდა გადმოცემა, როგორც მისთვის შეუცვლელი ყოფა; ეს ნაანდერძევი ცხოვრება, მართლაც, მშვენიერი იყო «ილიადაში», სოფოკლეს ტრაგედიებში, მაგრამ ამ ცხოვრებას მათ გაუსწრეს თავითაც და მკერდითაც; ისინი ამას გრძნობდნენ, მაგრამ რაღაც ფარული შეთანხმებით არ აღიარებდნენ; თუმცა ყოველდღე არღვევდნენ რა ნაანდერძევ ყოფას, მზად იყვნენ ჩაეკოლათ ყოველი თავხედი, ვინც კრინტს დასძრავდა ამ ყოფის წინააღმდეგ,

ვინც მათს საქციელს დაასახელებდა და დანაშაულად არ მიიჩნევდა. ეს არის ერთ-ერთი თვალთმაქცური ორპირობა, რასაც კაცი განუწყვეტლივ იჩენს და ამავე დროს ფიქრობს, რომ ეს მეტად ზნეობრივი რამ არის. ბერძენი სიტყვით აღიარებდა გადმოცემის სიწმინდეს და ამით ყოველ ნაბიჯზე თავს ითავისუფლებდა მოვალეობათა შესრულებისაგან, მაგრამ ამას იგი სჩადის მალულად, როგორც დამნაშავე, როგორც აჯანყებული მონა. სოფისტების და შემდეგ სოკრატეს მთელი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ მათ საყოველთაო ცნობიერების სუეროდ აამაღლეს ის, რაც ყველას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც კერძო შემთხვევა და უკანდახვევა; რომ მათ აზრით დაადასტურეს ზნეობრივი თავისუფლების ფაქტი; რომ მათ სილაჩრე ჰომიროსისეულ გადმოცემის წინაშე ნამდვილ სილაჩრედ აღიარეს; მათ თავისი აზრი გაბედულად წარმართეს ყოველივე არსებულის წინააღმდეგ და ყოველივე გაარჩიეს და განიხილეს. მათი სახით მეცნიერებამ იმ სიმაღლიდან, რასაც მან მიაღწია, უცებ უკან მიიხედა და მიუბრუნდა იმ მოარულ ჭეშმარიტებათა ჯამს, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრი იღებდა და გადასცემდა. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო; წარმართობამ და მთელმა ბერძნულ-ელინურმა მსოფლმხედველობამ ვერ გაუძლეს მის მედუზისებურ თვალს — ისინი დაიფერფლნენ მისგან; ოლიმპიური ხარხარი კი არ გაისმა მაშინ, არამედ გამარჯვებით დამთვრალი ადამიანის წკრიალა სიცილი. პირველხანად სოფისტები, იქნებ, ფუჭად გაიტაცა გონების ამ საშინელი ძლიერების შეგნებამ: ისინი თავდავიწყებას მიეცნენ თავისი მხიარული სატურნალიით გაბრუებულნი, ისინი ერთობოდნენ თავისი ძლიერებით — ეს იყო აზროვნებით პოეტური დატკბობის მომენტი; ღონემოჭარბებულნი ნაპერწკლებს ყრიდნენ ყოველ მხარეს, სიხარულით ხედავდნენ დადებითის მთელ უნიადაგობას, და საზღვარი არა ჰქონდა მათს თამაშს. ნუ ვუსაყვედურებთ მათ; მალე გამოჩნდება ტრაგიკული პირი გონების ისტორიაში და აზრის სხვანაირი მოწოდება; იგი* ზნეობრივი საწყისით

* სოკრატე. — ბ. ბ.

ლაგამს ამოსდებს აღვირახსნილ აზრს და დიად მსხვერპლად შეეწირება დიადი გამარჯვების საქმეს... სოფისტებმა ამ მომენტისათვის მოამზადეს თავიანთი თანამოქალაქენი; მათ აზრის შუქი მოჰფინეს ადამიანთა მთელ ურთიერთობას; მათი სახით მეცნიერება აშკარად გადავიდა ცხოვრებაში, მათ ასწავლეს ადამიანს ყველაფერში მხოლოდ თავის თავს დაემყაროს, ყველაფერი თავის თავს მიაკუთვნოს, თავისი თავი მიიჩნიოს თვითმყოფ წერტილად, რომლის ირგვლივ სახეცვლილებათა გრიგალში ტრიალებს ქვეყნად ყოველივე. მაგრამ რისი გულისათვის უნდა ჩათვალო თავის თავი ასეთ ცენტრად? საკითხი არსებითი და გარდუვალია; ეს საკითხი, რომელიც პირდაპირ მომდინარეობს მათი საწყისებიდან, სოფისტებმა ვერ გადაჭრეს, ე. ი. ვერ გადაჭრეს იმ სოფისტებმა, რომლებიც ისტორიის ნებით ასე იწოდებოდნენ, ვინაიდან სწორედ ეს საკითხი დასვა დიდმა სოფისტმა — სოკრატემ, რომელიც მათთან ერთ თვალსაზრისზე იდგა, მაგრამ ყველა იმათზე უფრო შორს წავიდა აზრის მოცულობით და ხასიათის სიდიადით. ეს როდია თავაწყვეტილი ჭაბუკი, ეს არის ვაჟკაცი, რომელიც შეჩერებულა და საყრდენს ეძებს მთელი სიცოცხლისათვის, ეს არის მტკიცე ნაბიჯისა და გასაოცარი ძალის მქონე ვაჟკაცი. სოკრატემ საბერძნეთში არსებულ წესრიგს უფრო მძიმე ლახვარი ჩასცა, ვიდრე ყველა სოფისტმა; ის მათზე უფრო შორს წავიდა და ამიტომაც იყო მათი მტერი. სოფისტები ბრწყინვალე ჟირონდაა, სოკრატე კი მონტანიარია, მაგრამ ზნეობრივი და სპეტაკი მონტანიარი: სოფისტებს თავის შეხედულებაში ჰქონდათ უამრავი პირადული, განსჯითი; მათთან აზრს ჯერ კიდევ ვერ ეპოვნა მტკიცე დასაყრდენი (როგორც ყოველთვის რეფლექსიაში)[112], ისინი განიცდიდნენ, ასე ვთქვათ, აზრის ფორმალურ ძალას, ხელს ჰკიდებდნენ ყოველივეს დამტკიცებას, ყოველივეს გამართლებას. ეს არაფერს ნიშნავს: ყველაზე ცუდ საქციელში არის შესაძლებლობა იპოვნო ერთი კარგი მხარე, — მაგრამ ეს საკმარისი არ არის გამართლებისათვის და იმ აზრზე გვაყენებს, რომ წმინდა განყენებული საქციელი ისევე არ

შეიძლება იყოს, როგორც წმინდა ცალმხრივი მოვლენა. ჭეშ-მარიტად მტკიცე საფუძველი აზროვნების იმ ობიექტურ საწყისშია, რომელიც სოფისტებისათვის სოკრატემდე უცნობი იყო. სოკრატემ ლოგიკურ განვითარებას მოუსწრო იმის შეცნობაზე, რომ გარეგნული უმწეოა აზრის წინააღმდეგ, იმის აღიარებაზე, რომ ადამიანი (როგორც მოაზროვნე პიროვნება) ჭეშმარიტებაა. მაგრამ ადამიანი, როგორც კერძო ინდივიდუალობა, იღუპება და თან წარიტაცებს აზრს. სოკრატემ აზრი და მისი ობიექტური მნიშვნელობა იხსნა პირადულისაგან და, მაშასადამე, შემთხვევითი ელემენტისაგან. მან კერძო მე კი არ ცნო არსად, არამედ საყოველთაო, როგორც კეთილი, თავის თავში მოსვენებული, არსებული სინამდვილისაგან დამოუკიდებელი ცნობიერება. სოკრატეს აზრი ისევე მწვავეა და ისევე ანაწევრებს, როგორც აზრი პროტაგორასი, რომელმაც თქვა, რომ ადამიანი ყველაფრის საზომია, რომ ადამიანი შეიცავს იმის განსაზღვრას, თუ რატომ არსებობს არსებული და რატომ არ არსებობს არარსებული; მაგრამ სოკრატეს საერთო მოძრაობაში შეცნობილი აქვს უძრავი საწყისი; ეს საწყისი — არსი, რომელსაც მარად ინახავს და განსაზღვრავს მიზანი, — არის ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი და კ ე თ ი-ლ ი. ეს კეთილი, ეს არსებითი მიზანი არ არსებობს როგორც მზამზარეული რამ: ადამიანმა თვითონ უნდა შეიქმნას თავისი მარადი და გარდუვალი შინაარსი, უნდა განავითაროს იგი ცნობიერებით, რათა თავისუფალი იყოს მასში. ამგვარად, სოკრატესთან ობიექტურობის ჭეშმარიტებას აზროვნება ავითარებს. ეს არის ადამიანის უსაზღვრო სუბიექტურობისა და თვითშემეცნების სრული თავისუფლების დადგინება, ის დიადი ქვა, რაც სოკრატემ ჩადგა დღემდე მოუთავებელი დიადი შენობის საძირკვლის ჩაყრისას; ეს ქვა ამასთან ერთად სასაზღვრო მიჯნაა: ერთი ნახევარი უკვე არაელინურ ნიადაგზე დგას და უკვე ძველ სამყაროს აღარ ეკუთვნის.

სოკრატეს არა აქვს სისტემა, მაგრამ აქვს მეთოდი; ეს არის ადამიანის აზროვნების რაღაც ცოცხალი, მარად

მოქმედი ორგანო; მისი მეთოდი თვითაზროვნების განვითარებაში მდგომარეობს; რა მხრიდანაც უნდა მოხვდეს მას საგანი, ის, ზოგადი ადგილის მთელი ცალმხრიობით რომ დაიწყებს, უაღრესად მრავალმხრივ ჭეშმარიტებამდე მივა და არსად არ კარგავს თავის ძირითად აზრებს, რომლებსაც იტარებს ყველა დარგში, პრაქტიკულსა და თეორიულში. ადამიანმა თავისი თავიდან უნდა განავითაროს, თავის თავში პოვოს, გაიგოს ის, რაც შეადგენს მის დანიშნულებას, მის მიზანს, სამყაროს საბოლოო მიზანს, იგი თავისით უნდა მივიდეს ჭეშმარიტებამდე — აი მიჯნა, რომელსაც სოკრატე ყველაფერში აღწევს. ამასთან გზად თავისთავად აშკარავდება, რომ იმის კვალობაზე, თუ როგორ აღწევს აზროვნება შინაგან ობიექტურობას, შემთხვევითი, პირადული იღუპება და იკარგება; ჭეშმარიტება მარად დამდგინებელ აზროვნებად იქცევა. სოკრატეს ყველა საუბარი განუწყვეტელი ბრძოლაა არსებულთან; იგი აღსდგა წმინდად შენახულ ათენურ გადმოცემათა წინააღმდეგ სხვა წმინდა უფლების გულისათვის, მარადი ზნეობის, აზროვნების ავტონომიის უფლების გულისათვის; მან გვასწავლა ვერიდოთ მზამზარეულ აზრებს, ცნობილად მიჩნეულ ჭეშმარიტებებს, რომლებზეც არც კი ლაპარაკობენ, როგორც დიდი ხნიდან გარკვეულზე და რომლებსაც ყველა თავისებურად უყურებს და ფიქრობს, რომ სწორედ მისი აზრი არის საყოველთაო; მან გაბედა ჭეშმარიტება ათენზე მაღლა დაეყენებინა, გონება — ვიწრო ეროვნულობაზე; იგი ათენს ისე მოეპყრო, როგორც პეტრე I — რუსეთს. სოკრატეს ყველაზე ზეიმური მხარე თვითონ ის არის; მისი დიდებული ტრაგიკული სახე, მისი პრაქტიკული მოღვაწეობა, მისი სიკვდილი; ის ტიპია და წარმომადგენელია ბერძნული ცხოვრების იმ მთლიანობისა, რაც ჩვენ რამდენჯერმე მოვიხსენიეთ, — იგი არის მუდამ საზოგადოებრივ ბაასში მცხოვრები ადამიანი, ხელოვანი, მხედარი, მოსამართლე, თავისი საუკუნის ყველა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხში მონაწილე და ყველგან ნათელი, თავისი თავის ტოლი, ყველგან სიკეთეს მოწყურებული და გონებისადმი ყველაფრის

დამმორჩილებელი, ე. ი. ზნეობრივ ცნობიერებაში ყველაფრის გამათავისუფლებელი

. . . . . მაშინ მეცნიერება ცხოვრებიდან მომდინარეობდა და მყისვე მასში ეშვებოდა. ფილოსოფოსის მოღვაწეობა საბერძნეთში არ განისაზღვრებოდა სკოლით, რომლის კედლებში შეიძლება მთელი საუკუნეობით გრძელდებოდეს დავა, ვიდრე ვინმე გაიგონებდეს მას კედელგარეთ, — იქ ფილოსოფოსი, უპირატესად, ხალხის მასწავლებელი იყო, მისი მრჩეველი. ემპედოკლესა და ჰერაკლიტეს გვირგვინს სთავაზობდნენ; ძენონი გმირულ ბრძოლაში დაიღუპა; პითაგორესადმი პატივისცემა თაყვანისცემას აღწევდა; პერიკლე თავის ცოლთან ერთად ათენის მოედანზე დადიოდა და ანაქსაგორას პატიებას ეეედრებოდა; ფილიპე მაკედონელი ბედს ლოცულობდა, რომ მისი ვაჟი არისტოტელეს დროს დაიბადა; პლატონს ათენელები ღვთაებრივს უწოდებდნენ. ძველი სამყაროს ფილოსოფოსებმა მაშინ იწყეს მოედნის საქმეებისაგან ჩამოშორება, როცა ნაღვლიანი თვალით შეამჩნიეს მომაკვდინებელი ავადმყოფობა, რომელიც ძველ ვითარებას ანგრევდა. ამიტომ სოკრატე იმდენადვე იყო სახელმწიფო პირი, რამდენადაც მოაზროვნე, და გასამართლებულ იქნა, როგორც მოქალაქე, რომელიც უდიდესი გავლენით სარგებლობდა და უარყოფდა ათენური ცხოვრების ხელუხლებელ საძირკველს კვლევის უფლების საფუძველზე; სოკრატეს მთელი ტრაგიკული ბედი იმაშია (და თვითონაც ჩინებულად ესმოდა ეს, როგორც ამას ამტკიცებს მისი საუბარი საპატიმროში, საიდანაც გაქცევა მან ა რ მ ო ი ს უ რ ვ ა), რომ ის მართალი კაცია კაცობრიობის თვალში და ამავე დროს დამნაშავეა ათენის თვალში. ამ ესოდენ მკვეთრი და მღაღადებელ წინააღმდეგობიდან აშკარად ჩანს, რომ ბერძნული ცხოვრება მაშინ იწყებდა რღვევას თავისი ცალმხრიობის სიმძიმის ქვეშ; ეროვნული უკვე არ იყო თავისდროული, თუკი ხალხის მსჯავრი შეიძლებოდა პირდაპირ გონების მსჯავრის საწინააღმდეგო ყოფილიყო. სწორედ ამიტომ გამოვიდა

სოკრატე ათენის წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა ათენის ხსნა სოკრატეს სიკვდილით დასჯით; პირიქით. ამით მისი გამარჯვება აღიარეს. ათენელებმა ეს თვითონაც მალე დაინახეს; ბრმა მდევნელნი ყოველთვის მიხვდებიან ხოლმე სიკვდილით დასჯის მეორე დღეს, რომ სიკვდილით დასჯა მავნებელია.

გადატრიალება, რომელიც სოკრატემ აზროვნებაში მოახდინა, სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ აზრი გახდა თავისთავად საგანი; სოკრატედან იწყება იმის შეგნება, რომ ჭეშმარიტება არ არის არსი ისე, როგორც იგი თავისთავად არის, არამედ არის ისე, როგორც იგი ცნობიერებაშია; ჭეშმარიტება შეცნობილი არსია. მიაქციეთ ამას მთელი თქვენი ყურადღება: c'est le mot de l'ènigme * მთელი ფილოსოფიისა. აზრი სოკრატეს შემდეგ უფრო კონცენტრირდება, ღრმავდება თავის თავში, რათა შეგნებულად განავითაროს თავისი თავისა და თავისი საგნის ერთიანობა; ბუნება უკვე აღარ არის აზრისაგან დამოუკიდებელი. თუმცალა, თვითონ სოკრატეს შეხედულება ასე შორს არ წასულა: მისი ერთი ცალმხრიობათაგანი, რომლებიც ელინურ სამყაროში განსაკუთრებით ხვდება თვალს, იმაში მდგომარეობდა, რომ უგულებელყოფდნენ ყოველივეს ფილოსოფიის გარეთ და მეტადრე ბუნებისმეტყველებას. სოკრატე ხშირად იმეორებდა, — და მის შემდეგ კი ეს გამოთქმა ანდაზად გადაიქცა, — მთელი ჩემი ცოდნა იმაში მდგომარეობს, რომ არაფერი არ ვიცი, და მართალიც იყო: მძლავრი დიალექტიკით მან გაფანტა მემკვიდრეობით წარმოქმნილი და ცოდნად მიჩნეული გულვებათა მთელი ავლადიდება; ეს იყო აზრის უარყოფითი განთავისუფლება არსებული შინაარსისაგან და ჯერ კიდევ არა მისი ჭეშმარიტი შინაარსი; მან ცნობიერებასა და აზრში შეიცნო ჭეშმარიტების ცოცხალი ფორმა, მაგრამ ამ ფორმას სოკრატესთან ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნამდვილი შინაარსი. განვლილი დაძლეული

* ეს არის გასაღები (ფრანგ.).— რ ე დ.

იყო მის მიერ, მაგრამ ამ განვლილის ახალ საფლავზე ახალმა ვერ მოასწრო განვითარება, თუმცა მისი აკვანი უკვე მზად იყო. სწორედ ამით აიხსნება დ ე მ ო ნ ი ს გაუგებარი გაჩენა სოკრატესთან; მას იწვევს სოკრატეს მსოფლმხედველობის უსრულობა; შინაარსის ნამდვილი სისავსისას დემონი ზედმეტი იქნებოდა,—მას ადგილი არ დაურჩებოდა*.

სოკრატეს ცალმხრიობა არ შეუვსიათ მის პირველ მიმდევრებს: არა მეგარელთა სკოლას[113], არა კირენელებს[114] მოუხმობდა მისი დიდებული აჩრდილი: იგი მოუხმობდა პლატონის მშვენიერ, ნათელ სახეს, და, ბოლოს, პლატონიც გამოჩნდა სოკრატეს წამოწყებათა შემსრულებლად.

სოკრატე, დამოუკიდებელი გონების უფლებას რომ აცხადებდა, მას თვითშემცნობი ნების არსად და მიზნად თვლიდა; პლატონი თავიდანვე აზრს სამყაროს არსად მიიჩნევს და ისწრაფვის დაუმორჩილოს მას ყოველივე არსებული,—იქნებ, უფრო მეტად, ვიდრე საჭიროა. ზემოთ ვთქვი, რომ სოკრატეს მიერ ჩადებული ქვა ერთი მხარით ძველი მსოფლიოდან გამოდის; ეს კიდევ უფრო მეტად უნდა ითქვას პლატონის მსოფლმხედველობაზე: იქ პირველად ჩნდება ის, რასაც ჩვენ რ ო მ ა ნ ტ ი კ უ ლ ელემენტს ეუწოდებთ; იგი პოეტი-იდეალისტი იყო; მასში ჩანს ის ნაკადი, რომელიც, გარკვეულ პირობებში, გარდუვალად უნდა განვითარებულიყო ალექსანდრიულ ნეოპლატონიზმად. პლატონი მეცნიერების სულიერ სამყაროს, არსებულის მოჩვენებითი სამყაროს საპირისპი-

---

* არისტოტელემ გასაოცარი გამჭრიახობით მიგვითითა სოკრატეს აბსტრაქტულობაზე. «სოკრატე პითაგორაზე უკეთესად ლაპარაკობს სათნოებაზე, მაგრამ მართალი არ არის: მას სათნოება ცოდნად მიაჩნია. ყოველ ცოდნას აქვს ლოგოსი (გონიერი საფუძველი), ლოგოსი კი მხოლოდ აზროვნებაშია; ის ყველა სათნოებას ცოდნად თვლის და მოხსნის ს უ ლ ი ს ა ლ ო გ ი უ რ მ ხ ა რ ე ს, სახელდობრ — ვნებიანობას, გრძნობებს, ხასიათს: სათნოება მეცნიერება როდია; სოკრატემ სათნოებისაგან ლოგოსი შექმნა, ჩვენ კი ვამბობთ: იგი ლოგოსთანაა! იგი ცოდნა არ არის, მაგრამ ცოდნის გარეშეც არ შეიძლება იყოს». არისტოტელემ სათნოება განსაზღვრა როგორც «გონების ერთიანობა უგონივრულობასთან». — ა. გ.

როდ, ერთადერთ ჭეშმარიტ სამყაროდ თელიდა; ამ სამ-
ყაროს გადაუშლის ადამიანს აზროვნება, რომელიც მთელი
რიგი მოგონებებით აღვიძებს და ავითარებს ხორციელ ყო-
ფიერებას მინდობილ, სულში დაძინებულ და დავიწყებულ
ჭეშმარიტებას. ერთხელ ცნობიერებაში მოყვანილი, გაღვიძე-
ბული იდეალური სამყარო რეალური სამყაროს ჭეშმარიტება,
მისი განხორციელება აღმოჩნდება და დიად მყუდროებაში
განისვენებს, — განდგომილია დროებითი ყოფიერების ამაოე-
ბათაგან და მოხსნილად ინარჩუნებს მას თავის თავში; ასე,
გვარეობა არის განუყოფელთა ჭეშმარიტება, საყოველთაო
კი კერძოს ჭეშმარიტება, ასე, იდეა არის სამყაროს ჭეშმა-
რიტება. პლატონს მიაჩნია, რომ დროებითი, ხორციელი ყო-
ფიერება ზ ღ უ დ ე ს წარმოადგენს უთუო ცოდნისათვის; ამას
რომ ამბობს, ის, თითქოს, ივიწყებს, რომ ამასთან ერთად
იგი არის ყოფიერებისა და ცოდნის გარდუვალი პირობაც.
მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ეს რომანტიკული ელემენტი,
ან, უკეთ რომ ვთქვათ, ელემენტი, რომელიც რაღაც
რომანტიკულს შეიცავს, პლატონის აზრის ამომწურავი
განსაზღვრა იყოს; — სრულიადაც არა! აბა გაიხსენეთ:
ძველები მას დიალექტიკის შემოქმედს უწოდებდნენ: აი
სად არის მისი ძალა და ძლიერება, აი რით მივიდა
იგი თავის ღრმააზროვან სპეკულაციამდე, რომელმაც ყველა-
ფერში შეინარჩუნა იდეალიზმის წილი, როგორც მისი
პიროვნებისა და დაწყებული ეპოქის პიროვნების ბეჭედი, მაგ-
რამ ვერ შეზღუდა მით ძლიერი, თავისუფალი აზრი. პლა-
ტონს ბევრი შელინგს ადარებდა; ჩვენ თვითონ ასე მოვიქე-
ცით პირველ წერილში, და, თითქოს, პლატონის პოეტურ
აზრს, რომელსაც უყვარს ალეგორიებისა და მითების საუ-
ცხოო სამოსელით შემოსვა, ახალ ხანაში ყველაზე მეტი ნათე-
საობა აქვს შელინგის ჭეშმარიტების პოეტურ განჭვრეტასთან
და ამ ჭეშმარიტების მგზნებარე სუნთქვასთან; მაგრამ პლა-
ტონს შელინგთან შედარებით თვალუწვდენი ნაბიჯი აქვს
გადადგმული: ეს არის მისი გასაოცარი, ყოვლისდამმორჩი-
ლებელი დიალექტიკა, უფრო მეტად — დიალექტიკური მეთო-

დის და საერთოდ ლოგიკური მოძრაობის სრული, მკაფიო შეგნება. შელინგი თავისი აზრის მზამზარეულ შინაარსს სქოლასტიკური ფორმით გადმოგვცემს; პლატონი თავის საუბრებში დიალექტიკით აღწევს ჭეშმარიტებას: მასთან ჭეშმარიტება განუყოფელია მეთოდისაგან.

თვითონ მან თავის წიგნში «რესპუბლიკის შესახებ» საუცხოოდ გადმოსცა ცოდნის განვითარება. მასთან ლოგიკური მოძრაობის დაწყებითს საფეხურს, ანუ ამოსავალ წერტილს, შეადგენს უშუალო ჭვრეტა, გრძნობადი შეგნებულობა, რომელიც გადადის გრძნობადს წარმოდგენაში, იმაში, რასაც აზრი (мнение) ეწოდება; ცოდნის მეორე საფეხური ამ აზრსა და მეცნიერებას შორის არის განმსჯელი შემეცნების, განსჯის, რეფლექსიის სფერო, ზოგად და განყენებულ საწყისთა მიღწევა, ჰიპოტეზების, ნებისმიერი ახსნის მიღება (ამ მომენტშია ყველა ფიზიკური და საერთოდ დადებითი მეცნიერება ჩვენს დროს). აქედან იწყება, ნამდვილი რომ ითქვას, მეცნიერული ცოდნა; მაგრამ აქ იგი ჯერ კიდევ არ შეიძლება მიღწეულ იქნას: განსჯითი მეცნიერებანი ვერ ასოდეს ვერ აღწევენ დიალექტიკურ სიცხადეს, ვინაიდან, — ამბობს პლატონი, — ისინი ჰიპოტეზებიდან გამომდინარეობენ და თავიანთ განხილვაში ვერ ადიან უთუო საწყისამდე, არამედ მსჯელობენ ვარაუდების საფუძველზე. ამ მეცნიერებათათვის, თითქოს, აზრი მათს საგანში არ არის, თორემ მათი საგნები თავად იქნებოდნენ აზრები. გეომეტრიისა და მის მახლობელ მეცნიერებათა ხერხს პლატონი განსჯითს უწოდებს და ფიქრობს, რომ მსჯელობა იმყოფება გონივრულ და გრძნობადს ჭვრეტას შორის. დასასრულ, მესამე საფეხური მასთან აზროვნებაა თავისთავად, შემცნობი აზროვნება; ეს აზროვნება ვარაუდს თვლის არა საწყისად, არამედ ამოსავალ წერტილად, საიდანაც მიდის გზები საწყისისაკენ, რომელსაც არავითარი ვარაუდები არა აქვს. პლატონი ამ საფეხურს დიალექტიკას უწოდებს. ჩვენს ჩვეულებრივს ცნობიერებაში უშუალო ნამდვილად ითვლება გრძნობადი ჭვრეტით მოცემული და ამ მოცემულის განსჯითი განსაზღვრანი;

პლატონი ყველგან, ყველა საუბარში ისწრაფვის გახსნას მარტო გრძნობადისა და განსჯითის უნამდვილობა და უარსებითობა, მათი უსუსურობა გონებრივ-ჭვრეტითსა და იდეალურთან შედარებით. ამ ბრძოლაში თქვენ ხედავთ. რომ ნეგაციის ცეცხლი მის ძარღვებსაც ჰქონდა მოდებული, რომ სოფისტების მემკვიდრეობა მის სულშიც ჩარჩენილიყო, არათუ ჩარჩენილიყო, არამედ გიგანტურ ძალადაც გაიზარდა; მაგრამ მისი გენიის ხასიათი არ იყო განყენებულ-მნგრეველი, არამედ სრულიად პირუკუ,— შემარიგებელი იყო. იგი წარმავალიდან გამოყოფს მარადიულს, კერძოდან — საყოველთაოს, განუყოფელთაგან — გვარეობას, არა მარტო იმისათვის, რომ კერძოს მიმართ საყოველთაოს ნამდვილი და ჭეშმარიტი ბუნების ჩვენებით გააცამტვეროს იგი და მოსპოს ინდივიდუალური, არსებული, კერძო — არა, იგი გვარეობითს გამოყოფს იმისათვის, რომ იხსნას იგი დროებითი არსებობის მიმოქცევისაგან, უფრო მეტი, — გააკეთოს ის, რის გაკეთებაც ბუნებას არ შეუძლია ადამიანის აზრის დაუხმარებლად,—შეარიგოს ისინი. აქ პლატონი სპეკულატური ფილოსოფოსია და არა რომანტიკოსი. საყოველთაოს, გვარეობითს, აზრით დაჭერილს, პლატონი იდეას უწოდებს; იდეას რომ აღწევს, იგი ისწრაფვის მისცეს მას განსაზღვრა, და აქ მისი დიალექტიკა შემარიგებელი ხდება, თავის თავში მოხსნის დიალექტიკის მიერ მითითებულ წინააღმდეგობებს. იდეის განსაზღვრულობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანი იგივე რჩება მრავალსხვაობაში; გრძნობადი, მრავალსხვაობითი, სასრული, სხვებისათვის შედარებით არსებული არ არის ჭეშმარიტი: იგი არის გადაუჭრელი წინააღმდეგობა, რომელიც მხოლოდ იდეაში გადაწყდება; მაგრამ იდეა საგნის გარეთ როდია: იგი არის ის, რაც ისწრაფვის სხვაობით თვითგანსაზღვრისაკენ, და ის, რაც თავისუფალი და ერთიანია ამ სხვაობაში.—«ძნელი და ჭეშმარიტი,— ამბობს პლატონი,— იმაში მდგომარეობს, რომ უჩვენო სხვაში იგივე და იგივეში სხვა, ამასთან ისე, რომ იგი სხვის მიმართ იგივე იყოს». დიადი აზრია! ახლა იფიქრეთ, რა სტვენით შეხვდებოდა ხალხი მოაზროვნეს,

რომელიც ჩვეულებრივი შეგნებისათვის ასეთი უცნაური სიტყვით მოგვევლინებოდა ჩვენს დროში...

პატივისცემა, რაც საუკუნიდან საუკუნემდე რჩება ანტიკური ფილოსოფოსებისადმი, იმაზეა დაფუძნებული, რომ მათ არავინ კითხულობს; კეთილი ადამიანები მათ ნაწერებს როდისმე რომ გადაშლიდნენ, დარწმუნდებოდნენ, რომ პლატონი და არისტოტელე ისევე ნაკლოვანნი იყვნენ, როგორც სპინოზა და ჰეგელი, ისინი ბუნდოვანი ენით ლაპარაკობდნენ და ამასთან სისულელეებს ამბობდნენ. ჩვენი დროის ადამიანთა უმრავლესობა (მე მხედველობაში მაქვს ისინი, ვინც თავის თავს მწიგნობრად თვლის) ისე გადაეჩვია ან ისე ვერ შეეჩვია აზრის განსაზღვრებას, რომ, ხმარობს რა მათ მხოლოდ შეუგნებლად, აღმფოთებას არ ეძლევა. ჩვენ არ გვაკვირვებს, მაგალითად, რომ ადამიანი ფიზიოლოგიური მხრივ არის განუყოფადი, მთლიანობა, ატომი, ხოლო ანატომიური მხრივ — სულ სხვადასხვანაირ ნაწილთა მრავალრიცხოვანი გროვა; რომ ჩვენი სხეული არის ერთსა და იმავე დროს ჩვენი «მე» და ჩვენი სხვა; არავის აკვირვებს წარმოქმნის პროცესი, რაც განუწყვეტლივ ხდება ჩვენს ირგვლივ, არყოფნასთან ყოფიერების ეს ყრუ ბრძოლა, ურომლისოდ მხოლოდ განურჩევლობა იქნებოდა; არავის აკვირვებს წუთიერის ეს მარადისობა, რომლითაც ჩვენ გარემოცულნი ვართ. სიტყვიერად ახსენით ის, რასაც კეთილი ადამიანები ყოველდღე ხედავენ და გრძობენ, — ისინი თქვენ ვერ გაგიგებენ და ვერასოდეს ვერ იცნობენ თქვენს სიტყვებში ახლობელ ნაცნობებს. დარწმუნებული ვარ, ბევრნი დიდად შერცხვებოდნენ, რომ გაიგებდნენ უკანასკნელ დასკვნებს, რისაკენაც პლატონი ყველგან იკაფავს გზას, შეიარაღებული თავისი ულმობელი დიალექტიკით და თავისი გენიით, რომელიც ღრმად გადაშლის იდუმალ ჭეშმარიტებას. პლატონისათვის უთუოა ის, რაც ერთ და იმავე დროს სასრულიცაა და უსასრულოც; ძლიერია, ძალითა და სულით აღსავსეა ის, რასაც შ ე უ ძ ლ ი ა თ ა ვ ი ს თ ა ვ შ ი დაპირისპირებული ა ი ტ ა ნ ო ს; სხეული (თავისთავად) იღუპება, უკუქმედებას რომ ხვდება; მაგრამ

სულს შეუძლია ყოველგვარი წინააღმდეგობა შეაკავოს; სული ცოცხლობს წინააღმდეგობაში, იგი უმისოდ განყენებულია; მარტო უსასრულო თავისთავად (და ეს პირდაპირ თქვა პლატონმა) შეზღუდულზე და სასრულზე უფრო დაბალია, რადგან იგი განუსაზღვრელია. სასრულს აქვს მიზანი და ზომა, ხოლო უსასრულოდ განყენებული, განსაზღვრული ყოფიერება, არ არის მ ა რ ტ ო გარეგნული, არამედ სწორედ ერთიანია მრავალსხვაობაში; მხოლოდ იგია ნამდვილი და, ცნობიერებაში რომ მოდის, მაღლდება სასრულზე და იძლევა მარადი დამშვიდებისა და ჟვრეტის გარემოს, რომლის იქითაც პლატონის აზრი არ მიდის, ან რომლიდანაც გამოსვლა მას არ სურს. პლატონის ეს უკანასკნელი სიტყვა, მოსვენებული და საკუთარი თავის მჟვრეტელი იდეის სამეფო, შეადგენს მის მთელ საუცხოო და მთელ ცალმხრივ მსოფლმხედველობას. იგი თავის წინამორბედებთან ისტორიული დამოკიდებულებითაც წარმოადგენს ნათელ და მშვიდ ზღვას, რომელსაც ერთვიან ყველა მათი ნაკადები; პლატონი, ასე ვთქვათ, ასრულებს მათს ბედს, ამშვიდებს მათ თავის ვრცელ წიაღში. პარმენიდემ, ჰერაკლიტემ, პითაგორამ, ანაქსაგორამ, სოკრატემ ერთნაირად პოვეს ადგილი პლატონის აზრში, და ამავე დროს მისი აზრი მ ი ს ი აზრი იყო. მდინარენი ზღვაში ჩაიკარგნენ, თუმცა ისინი იქ არიან და თუმცა ზღვა უიმათოდ ვერ იქნებოდა. მაგრამ განვაგრძოთ შედარება: ეს ზღვა უსასრულოდ ფართოა, ნაპირები ქრებიან — ესაა მთელი უბედურება; წყალი და ჰაერი ისეთი სტიქიონებია, სადაც ადამიანს რაღაცა აკლია: მას უყვარს მიწა, სიცოცხლის მრავალნაირობა, და არა სტიქიური უსასრულობა, რომელიც გაოცებს, დიდხანს გაოცებს, მაგრამ რომელთანაც დარჩენა არ შეიძლება. პლატონის ძალა ამ სიფართოეშია, რომლის ნაპირები არ მოჩანს. მაგრამ იგი დამშვიდდა ჟვრეტის ნეტარებაში და ფიქრობდა ისინი დაეკიწყნა... ფიქრობდა! ხოლო ფანტასტიკური სახენი და წარმოდგენანი, რომელნიც მის სულში, მის დიალექტიკაში იჟრებიან, რომელნიც წმინდა აზროვნების წყნარ ტალღებში თავის მგზნებარე თვისებებს ააშკა-

რაევზენ,— რისთვისღა არიან ისინი? რა დიალექტიკური აუცილებლობა მოითხოვს მათ? ლოგიკური აუცილებლობით კი არ ამოტივტივდებოდნენ ისინი პლატონის სულში, ისევე როგორც ასეთი აუცილებლობით კი არ გამოჩნდებოდა სოკრატეს დემონი; ისინი ჩნდებოდნენ დაკარგული დროებითის სანაცვლოდ, ატარებდნენ იმ მშვენიერების სახეს, რომელიც განყენებულ აზრს არა აქვს და რომელიც ძვირფასია ადამიანისათვის; მათ ამით დაარღვიეს წმინდა აზროვნების დიადი მკუდროება, და პლატონს უხაროდა ეს დარღვევა, ისევე როგორც ღრუბლები — რომლებიც არღვევენ წყნარ და მარად მუნჯ ლაჟვარდის ერთფეროვნებას — ახარებენ ზღვაოსანს.

პლატონის შეხედულება ბუნებაზე უფრო პოეტურ-ჭვრეტითი იყო, ვიდრე სპეკულატურ-მეცნიერული. ის იწყებს წარმოდგენებით («ტიმეაში»); დემიურგი წესრიგსა და წყობაში მოიყვანს ქაოტურ ნივთიერებას, აცოცხლებს მას, ანიჭებს მსოფლიო სულს: «დემიურგს სურდა მსოფლიო თავისი მსგავსი გაეხადა, და მან მსოფლიოს შუაგულში დასვა სამყაროს სული, რომელმაც ყველგან შეაღწია»*. სამყარო პლატონისათვის არის ერთიანი, სულიერი და ჭკუიანი ცხო-

---

* ბარემ მოვიხსენიოთ აქ ძველი მსოფლიოს ღვთისმცოდნეობა: ეს მისი ფილოსოფიის უსუსტესი მხარეა; ტყუილად კი არ იყო, რომ ნეოპლატონიკოსებმა თავი მიანებეს ყველა წინანდელ საკითხს და ხელი მოჰკიდეს უპირატესად თეოდიცეას. წარმართული მსოფლიო ამ მხრივ უაღრესად არათანმიმდევრული იყო; მოაზროვნე ადამიანს არ შეეძლო პოლითეიზმის წარმოდგენებზე შეჩერებულიყო; მართლაც, არ შეიძლებოდა დაკმაყოფილება ოლიმპოთი და კეთილი ბერძნებით, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ. ქსენოფან-ელეატელი ამბობს: «ხარებსა და ლომებს ხელები რომ ჰქონოდათ, ისინიც ჩვენსავით აუცილებლად გამოაქანდაკებდნენ თავიანთ ღმერთებს, რისთვისაც ნიმუშად საკუთარ თავს აიღებდნენ». მაგრამ ბერძნებმა, რომლებიც ტრადიციულ წარმოდგენებს ჩამოშორდნენ, ვერც ის შეძლეს, რომ ფილოსოფიური გაგება შეეთანხმებინათ რელიგიურთან. ვერც ის, რომ ერთბაშად დაეთმოთ წარმართობა; მათ შეეძლოთ წარმართობის გაურკვეველი, არამტკიცე, მერყევი გაგება შეენარჩუნებინათ და ახრის სუროგა-

ველი: «ეს ცხოველი ერთია; ორი ან რამდენიმე რომ ყოფილიყო, მათ ერთმანეთთან დამოკიდებულება ექნებოდათ, ისინი ნაწილები იქნებოდნენ და კვლავ ერთს შეადგენდნენ». თავდაპირველ სტიქიონებად პლატონი თელის ცეცხლსა და მიწას: «მათ შორის (როგორც სრულიად დაპირისპირებულთა შორის) უნდა იყოს მათი შემაერთებელი კავშირი, ოღონდ ყველაზე მშვენიერი კავშირი, რომელიც თავის თავს და იმას, რასაც იგი აერთებს, ერთ უმაღლეს ერთიანობად აკავშირებს (როგორც, მაგალითად, გონებითი დასკვნა)». თქვენ ხედავთ, რომ ეს უმაღლესი აზრი კავშირის შესახებ უკვე შეიცავს შესაძლებლობას — განვითარდეს ცნებად, იდეად და სუბიექტიობად. პლატონის ეს აზრი (ისევე როგორც მისი ბევრი სხვა აზრი და მის თანამოღვაწეთა აზრები) ჩვენს დრომდე უნაყოფოდ მეორდებოდა და, თითქოს, არავის არ შეუფასებია. ფიზიკურ სამყაროს თავის უკიდურეს განსაზღვრებად აქვს მაგარი და ცოცხალი (მიწა და ცეცხლი): «მაგარს ორი გარემო სჭირდება, ვინაიდან მას აქვს არა მარტო განი, არამედ სიღრმეც; ამიტომ მოაქცია დემიურგმა მიწასა და ცეცხლს შუა ჰაერი და წყალი და ამასთან იმგვარად, რომ ცეცხლი ისეთ დამოკიდებულებაშია ჰაერთან, როგორც ჰაერი — წყალ-

---

ტით ეცხოვრათ; ამიტომ არის, რომ ვერც ნუსი, ვერც მსოფლიოს სული, ვერც დემიურგი, არისტოტელეს ენტელექიაც კი, სავსებით ვერ აკმაყოფილებს მათ. მათთან რელიგია ჩნდება ყოველთვის შემთხვევით, deus ex machina [115], ისინი უცებ აკეთებენ ნახტომს წმინდა აზროვნებიდან რელიგიური წარმოდგენისაკენ და მათ მთელ შეურიგებელ წინააღმდეგობაში ტოვებენ. აქ არის ბერძნული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი საზღვარი; ნუ ელით წარმართისაგან სრულ პასუხს ღვთაებრივზე: აღიარებს თუ უარყოფს, — ის ორივე შემთხვევაში მართალი არაა. ციცერონს აზრად მოსდიოდა შეერიგებინა ძველი რელიგია ფილოსოფიასთან; მისი ინტერესები არც რელიგიური იყო და არც ფილოსოფიური, — ის სახელმწიფო კაცი იყო და საზოგადოებრივი სარგებლობისათვის წერდა პროზაიკულ ტრაქტატებს de natura deorum და სრულიად უსარგებლოდ გადმოსცემდა დიუსისის თარგმანში ბერძენთა დიად მეცნიერებას. — ა. გ.

ენტელექია — აქტიური, ცხოველმყოფელი საწყისი (ბერძნ.) — De natura deorum — ღმერთების ბუნების შესახებ (ლათ.). — რ ე დ.

თან, ხოლო წყალი — მიწასთან». გარემოს ეს ორმაგობა პლატონს მთელი ბუნებითის ძირითად რიცხვად აძლევს ოთხს, — სწორედ იმ რიცხვს, რომელსაც პითაგორელები ნამდვილად სრულ რიცხვად თვლიდნენ. გონებითი დასკვნა, სილოგიზმი, სამ მომენტს შეიცავს, სწორედ იმიტომ, რომ ბუნებაში განშლადი გარემო გონიერ ერთიანობაში შეერთდება. შემარიგებელი გარემო ბუნებაში ორმაგია; ის წინააღმდეგობას წარმოგვიდგენს ისე, როგორც ბუნებაშია, — შეურიგებლად. «სამყარო ბურთისებურია; მისი შემადგენელი ელემენტები მას ღმერთებისაგან აქვს მიცემული ისეთი თანაშეზომილობით, რომ მას არასოდეს არ შეუძლია თავისი წონასწორობიდან გამოვიდეს. მისი სფეროიდულობა ყველა ფორმას შეიცავს: ის გლუვია, ვინაიდან არაფრით არ გამოდის თავის თავიდან, **მოკლებულია სხვისაგან სხვაობას**». გარეგნული განსხვავება სასრულოვანის დამახასიათებელია: გარეგნობა თავის თავისთვის კი არ არის, არამედ სხვა საგნისთვისაა; სამყარო კი ყველა საგანია; ასე, იდეაში არის საზღვრულობა, დანაწევრება, შეზღუდვა და სხვადყოფნა; მაგრამ ამასთან ერთად ყოველივე ეს მასში დაშლილია; მოხსნილია ერთიანობის მიერ და ამიტომ რჩება ისეთ განსხვავებად, რომელიც თავისი თავიდან არ გამოდის. «თავის თავთან მარად იგივეობრივი და განუყოფადი არსისაგან აღებული ღმერთმა შეახამა სხეულებრივი და გაყოფადი არსისაგან აღებულთან; ამ შეხამებაში შეერთდა თავად იგივეობრივი ბუნება **სხვასთან**, თავად-განსხვავებულ ბუნებასთან. და ეს შეხამება — ცოცხალი სული — დააყენა მან გათიშულის შემაერთებელ გარემოდ», ყურადღება მიაქციეთ პლატონის გამოთქმას: **სხვასთან**; ის არ ასახელებს, ვის მიმართ არის იგი სხვა. და ამაშია მისი გამოთქმის ღრმა სპეკულატური აზრი; ეს სხვაა არა შედარებით, არამედ **თავისთავად**. ეს სამი არსი მან კიდევ მოიცვა უმაღლესი ერთიანობით, რომელშიც მათ, იდეაში რჩებიან რა იგივეობრივნი, თავიანთი სხვაობა შეინარჩუნეს. იდეის სამეფო თავის მარადისობაში მიუწვდომელ იდეალად დგას მისკენ მსწრაფი მსოფლიოსა-

თვის; მას თავისი სახე, ანუ ანაბეჭდი აქვს სასრულოვან და დროისათვის დათმობილ სამყაროში, მაგრამ დროებითიდან მარადისობაში გადასულ ამ სამყაროს, თავის მხრივ, თავის საპირდაპიროდ კიდევ მეორე სამყარო აქვს, რომლის არსი გარდამავლობა და ცვალებადობაა. ამგვარად, დროში მოქცეული მარადი სამყარო თავის თავთან შერიგების სამყაროსა და ცთომილ თვითგანსხვავების სამყაროში ორი ფორმით ხორციელდება.

ყოველივე აქედან ჩვენ სამი განსაზღვრული მომენტი გვაქვს: ჯერ ერთი, ამორფიზმი, — უსახეობა, რომელიც მზად არის მიიღოს ყოველგვარი სახე, ნივთიერება, მატერია, ამთვისებელი გარემო, მკვებავი, საყოველთაო მასაზრდოებელი, რომელიც თვითონ გამოკვებავს თავის აღსაზრდელს თვითმყოფი ყოფიერებისათვის; ის ფორმას ასახიერებს, თვითონ გადადის მასში, ეს პასიური მატერიაა, რომელიც ყველაფერს აძლევს საფუძველს. მისი დახმარებით ჩნდება გარეყოფიერების მოვლენები, ცალკეულობანი, რომლებშიც ორმაგობა შეურიგებელია, მაგრამ ის, რაც ვლინდება, უკვე არ არის წმინდა - მატერიალური, არამედ არის საყოველთაო, იდეალური... ბუნებას რომ განიხილავს, პლატონი მასში არ ურევს ორ საწყისს: «აუცილებელსა და ღვთაებრივს», დაქვემდებარებულსა და მსუფევს, ურთიერთქმედებაზე და თავის თავზე დაფუძნებულს; აუცილებელის გარეშე არ შეიძლება ღვთაებრივამდე ამაღლდე — ამაშია მისი საჩინო მნიშვნელობა, მაგრამ ღვთაებრივის ავტონომია თვითონ მასშია. ასე, იგი ადამიანშიც განასხვავებს იმას, რაც ეკუთვნის მის უკვდავ სულს (ღვთაებრივი), იმისაგან, რაც ეკუთვნის მის მომაკვდავ სულს (აუცილებელი); ყველა ვნება მომაკვდავ სულს ეკუთვნის, და იმისათვის, «რომ მან ამ ვნებით არ აღაშფოთოს ღვთაებრივი სული, ღმერთმა კისრით, მკერდისა და თავის ამ გაყოფით, — გამოაცალკევა იგი უკვდავი სულისაგან». გულს მან მისცა ფილტვები, უსისხლო, რბილი, რათა დააცხროს იგი, როცა მას მოისხანების ალი მოედება; ფილტვები ღრუბელივით ფოროვანია, ისეა მოწყობილი, რომ ჰაერი და ტენი

შეისუნთქოს და შეიწოვოს და ამით გულისმწველი ხორშაკი გააგრილოს. პლატონი შემდეგ ლაპარაკობს სხეულის აგებულებაზე და ღვიძლის შესახებ ამბობს*: «სულის უგონო მხარე გონებას არ უჯერის; ამისათვის შექმნილია ღვიძლი, რომელიც აღიქვამს გონების ქვემავალ ძალას და, სარკის მსგავსად, ასახავს პირველსახეთა ნაცვლად, ლანდებსა და საშინელ აჩრდილებს; ამ მოჩვენებათა მიზანი ის არის, რომ ადამიანის უგონო მხარე ძილის საშუალებით ცოდნის თანამონაწილე გახდეს. ამის მსგავსად ღმერთებმა სულს მისცეს მოგვობისა და წინასწარმეტყველების შესაძლებლობა; მოგვობა და წინასწარმეტყველება რომ სწორედ სულის უგონო მხარეს აქვს მინიჭებული, ნათლად ჩანს იქიდან, რომ სრულყოფილი ჭკუის მქონე არც ერთი კაცი არ წინასწარმეტყველებს, არამედ ამას სჩადიან ადამიანები ან ძილის მდგომარეობაში ანდა როცა ადამიანი ავადმყოფობის და აღტაცებულობის გამო ჩვეულებრივი მდგომარეობიდან გამოყვანილია. წინასწარმეტყველებისას საჭიროა სხვისი შეგნებული გონება, რათა ნათქვამი გაგებულ იქნას, ვინაიდან მბოდავს თავისი ბოდვა არ გაეგება. წინანდელი მოაზროვნენი სამართლიანად ამბობდნენ, რომ ქმედობა და შეგნება მხოლოდ განმსჯელ ადამიანს ეკუთვნისო». მე თავი ვერ შევიკავე, რომ არ ამომეწერა ეს ადგილი. ჭეშმარიტების რა ღრმა ტაქტი ხელმძღვანელობდა ძველ ფილოსოფოსთა აზრს! თქვენ აქ ხედავთ: პლატონს ნათლად და გარკვევით ესმოდა, რომ ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ადამიანის ნორმალური მდგომარეობა შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე ყოველი ანორმალური, კატალეპსიური, მაგნეტური ცნობიერება. ჩვენს დროში შეხვდებით ბევრ ადამიანს, რომელნიც ღრმააზროვნობას ჩემულობენ და ამასთან დარწმუნებულნი არიან, რომ ნათელხილვა უფრო მაღალი, უფრო წმინდა და უფრო სულიერია,

* ძველი დროის მოაზროვნეები ღვიძლს საკმაოდ უცნაურ ფიზიოლოგიურ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ: მათ ღვიძლი მიაჩნდათ სიზმრების წყაროდ, ალბათ, იმ საფუძველზე, რომ ამ ორგანოში სისხლი უხვად მოიპოვება. აქ საქმე ეხება სრულიადაც არა პლატონის აზრს ღვიძლზე, არამედ იმას, რასაც იგი მის გამო ამბობდა.—ა. გ.

ვიდრე თავისი გონებრივი ნიჭის უბრალო და ჩვეულებრივი ფლობა, რადგან იპოვნით ბრძენ ადამიანებს, რომლებსაც უმაღლეს ჭეშმარიტებად მიაჩნიათ ის, რისი სიტყვებით გამოთქმა არ შეიძლება, რაც, მაშასადამე, იმდენად პირადულია, შემთხვევითია, რომ სიტყვით განზოგებისას იკარგება.

თუმცა, პლატონის შეხედულება ბუნებაზე არ შეიძლება იყოს ბუნებისმეტყველებაზე ძველი შეხედულების საერთო გამომხატველი. მისი მისწრაფება უძრავი, იდეისაკენ, რომელშიც დროებითი ჩამქრალა, რომანტიკული სიმი, რაც მის სულში ჟღერს, მისი სიახლოვე სოკრატთან, — ყოველივე ეს ერთად ხელს უშლიდა მას დიდხანს შეჩერებულიყო ბუნებაზე. ამიტომ რაკი სრულიად ზოგადად განვსაზღვრეთ პლატონის მიერ გამოხატული მომენტი, ახლა ჩვენ გადავალთ ელინური მეცნიერების უკანასკნელ და ყველაზე უფრო სრულ წარმომადგენელზე.

არისტოტელე ემპირიკოსია ამ სიტყვის უმაღლესი აზრით; იგი ყველაფერს იღებს წინამდებარე, გარემომცველ გარემოდან, იღებს, როგორც კერძოს, იღებს ისე, როგორც არის. მაგრამ ცდიდან ერთხელ აღებული მის მძლავრ მარჯვენას აღარ უსხლტება; მის მიერ აღებული ვერ შეინარჩუნებს თავის თვითმყოფობას, როგორც აზრის წინააღმდეგობა; ის საგანს მანამდე არ დატოვებს, სანამ ყველა მის განსაზღვრას არ ჩასწვდება, სანამ მისი იდუმალი არსი ნათელ, ცხად აზრად არ გაიხსნება, და ამიტომ ემპირიკოსი არისტოტელე ამასთან ერთად უაღრესად სპეკულატური მოაზროვნეცაა. ჰეგელმა შენიშნა, რომ ემპირიკული, თავის სინთეზში აღებული, არის თვითონ სპეკულატური ცნება; აი ამ გაგების მიღწევას ცდილობს თანამედროვე მეცნიერება. მაგრამ ცნება უფრო ადრე არ გაიხსნება, ვიდრე აზრის მთელ გზას არ გაივლის. და არისტოტელემ ყველა საგანი, რომელიც კი მის საშინელ დამშლელ ძალას განიცდიდა, ამ გზით გაატარა, ანუ, ძველი ქიმიის ენით რომ ვთქვათ, მოახდინა მათი სუბლიმაცია * აზრად. არისტო-

* Sublimer—გამოხდა, მაგარი სხეულის გადაქცევა გახურების გზით აირის მდგომარეობაში (ფრანგ.) —რ ე დ.

ტელე იწყებს ემპირიული მონაცემით. უცილობელი ფაქტიური მოვლენით,—ეს მისი ამოსავალი წერტილია; არა მიზეზი, არამედ საწყისი (initium) არის პირველი წინამორბედი და, როგორც პირველი, იგი არისტოტელესთან აუცილებელია, გარდუვალია; ამ ემპირიულს იგი აზროვნების პროცესში ჩააბამს, თავისი ანალიზის ცეცხლით გადაადნობს და თავისთან ერთად თვითცნობიერების მწვერვალზე აიყვანს; მისთვის არ არსებობს გაყინული განსაზღვრანი, არ არსებობს არაფერი უძრავი, მყარი, მოსვენებული, არ არსებობს მკვდარი ფილოსოფემები; ის უძრაობას მოწყურებული როდია, პირიქით, ის მას გაურბის, —სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ნაბიჯი წინ პლატონთან შედარებით. იდეა სამუდამოდ ვერ დარჩებოდა დროებითის მღელვარებისაგან დამშვიდებულ ლაჟვარდად — ჰვრეტად, რომელიც თავის ნეტარებას პოვებს ყოველივე კერძოს არარსებობასა ან სიმუნჯეში. მიუხედავად იმისა, რომ პლატონთან იდეას კვიეტისტური ხასიათი აქვს, იგი არსებითად მზად იყო გაშლილიყო შემდგომ თვით განსაზღვრებებად, მაგრამ ჯერ კიდევ უძრავად იყო; არისტოტელემ იგი გადაუშვა ქმედ პროცესში, და ყოველი მყარი და ის, რაც მყარად ჩანდა, მსოფლიო მოძრაობამ წარიტაცა, გაცოცხლდა, კვლავ დაუბრუნდა დროებითს, მარადიულის დაუკარგავად. იდეა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ თავის ზოგადობაში ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი, ის მ ხ ო ლ ო დ ზოგადობაა, სინამდვილის გულვება, მისი დანასკვი, თუ გნებავთ, მაგრამ არა თვით სინამდვილე. მოქმედების მიმოქცევიდან ამოვარდნილი იდეა მის გარეშე რაღაც უკმარს, უძრავსა და ზარმაცს წარმოადგენს: მარტო მოქმედება იძლევა სრულ სიცოცხლეს, მაგრამ იგი ადვილად შესამჩნევი არ არის; საყოველთაოს განყენებული გაგება შეუდარებლად უფრო ადვილია; მოძრაობა თავისთავად რთულია, იგი გაორმაგებულია, ორ მოპირდაპირე ელემენტად იყოფა; ის გასაგებია მხოლოდ ძლიერი, სწრაფი ყურადღებისათვის, იგი გაფრენილი უნდა დაიჭირო; განყენებული დაყუჩებულია, გაჩერებულია, განსჯის მორჩილია; ის არ

გვაჩქარებს, ისევე როგორც ყოველივე მკვდარი. ჰამლეტი სამართლიანად არწმუნებდა მეფეს, რად უნდა მივაშუროთ პოლონიუსის გვამს, ის დაიცდისო; მკვდარი აბსტრაქცია მხოლოდ ადამიანის გონებაში არსებობს; მასში არ არის თვითმოძრაობა (თუ მისგან გამოვყოფთ გონების დაუცხრომელ დიალექტიკურ მოთხოვნილებას — თავი დააღწიოს აბსტრაქციას).

არისტოტელე საგნის ჭეშმარიტებას მის მიზანში ეძებს, მიზნის მიხედვით ცდილობს განსაზღვროს მიზეზი; მიზანი მოძრაობას გულისხმობს; მიზანშეწონილი მოძრაობა არის განვითარება, განვითარება არის თავისი თავის უაღრესად სრულყოფილად განხორციელება, «კეთილის განხორციელება, რამდენადაც შესაძლებელია». «ყოველ ნივთს და მთელ ბუნებას მიზნად აქვს კეთილი». ეს მიზანია ქმედი საწყისი, ლოგოსი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს საყოველთაო ნიადაგს (სუბსტანციურობას); ქმედი საწყისი მისწრაფებას უღვიძებს ამ ნიადაგს, მისი საშუალებით და მასში აღწევს თავის სრულყოფას, ქმედი საწყისი მასთან ერთად გადაეშვა მოძრაობაში, მაგრამ ფლობს მას იმისათვის, რომ საყოველთაო იხსნას ცვლათა ნაკადში; ასეთი მოძრაობა უბრალო სახეცვლილება კი არ არის, არამედ მოქმედებაა; მოქმედებაც განუწყვეტელი ცვლაა, მაგრამ მასში შენახული ცვლა; უბრალო ცვლაში არაფერი არ ინახება — იქ შესანახი არაფერია. მოძრაობა, ცვლა, მოქმედება გულისხმობს სარბიელს, ვნებითობას, რომელზედაც ისინი ხორციელდებიან; ეს სუბსტრატი უძრავი, განყენებული ნივთიერებაა; ყოველივე არსებული უეჭველად ერთი მხრით ნივთიერია; მაგრამ ნივთიერება თავისთავად მხოლოდ შესაძლებლობაა, განწყობილებაა, ვნებითი, განყენებული, საყოველთაო მზადყოფნაა; იგი მოქმედებას გარკვეულ შესაძლებლობას, პრაქტიკულ ნიადაგს აძლევს; ნივთიერება არის განვითარების პირობა, conditio sine qua non. აქედან წარმოდგება არისტოტელეს ორი მომენტი: დ ი ნ ა მ ი ა და ე ნ ე რ გ ი ა, შესაძლებლობა და სინამდვილე, სუბსტრატი და ფორმა, რომელნიც ერთმანეთს ერთვიან იმ

უმაღლეს ერთიანობაში, სადაც მიზანი ამავე დროს განხორციელებაცაა (ენტელექია). დინამია და ენერგია სინამდვილის პროცესის თეზისი და ანტითეზისია; ისინი განუყრელნი არიან, მხოლოდ ისინი არიან ჭეშმარიტნი თავიანთ არსებობაში; უერთმანეთოდ ისინი აბსტრაქტულნი არიან (არ შეიძლება ამის საკმაოდ ხშირად განმეორება; მეტად ეხეში შეცდომები სწორედ იქიდან წარმოდგება, რომ მატერიასა და ფორმას შეუსაბამო განცალკევებით ამყოფებენ); ნივთიერება უფორმოდ, უძრავი, მოქმედებისაგან განყენებული — ჭეშმარიტება კი არ არის, არამედ ლოგიკური მომენტია, ჭეშმარიტების ერთი მაარეა; ფორმა, თავის მხრივ, უნივთიერებოდ შეუძლებელია; არ არის სინამდვილე, თუ არ არის შესაძლებლობა, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის მტკნარი non sens * იქნებოდა. სინამდვილეში ისინი მუდამ განუყრელნი არიან, განცალკევებულად ისინი არ არსებობენ; სიცოცხლის პროცესი მათი ურთიერთქმედებისა და მათი თანაარსობისაგან შედგება: — სწორედ ამ ქმედითს, თვითგანხორციელებისაკენ მსწრაფ პროცესში ცდილობს არისტოტელე დაიჭიროს იდეა მთელ მის ქარცეცხლში. პლატონის იდეა, თითქოს თავად განხორციელებული, თავისი უარყოფამოთავებული, შერიგებული, — დიად მყუდროებაში განისვენებს; პლატონი საკუთრივ არსს ჩასჭიდებია, მაგრამ არსი თავისთავად, ყოფიერებისაგან განყენებული, ჯერ კიდევ არც სინამდვილეა და არც მოქმედება; იგი ისევე ისწრაფვის გამოვლენისაკენ, როგორც გამოვლენა არსისაკენ. არისტოტელესთან არსი განუყრელია ყოფიერებისაგან; სწორედ ამიტომაც არ არის იგი მყუდროებაში; მასთან იდეა განყენებულ უთუობაში განხორციელებული რამ კი არ არის, არამედ ისე, როგორც ის ბუნებაში, ისტორიაში, ე. ი. სინამდვილეში ხორციელდება. გავყეთ მის განვითარებას.

მოქმედებისა და შესაძლებლობის სრული და ჭეშმარიტი ერთიანობა იდეაშია; დაბალ სფეროებში ისინი განცალკევებულნი,

---

* უაზრობა, სისულელე (ფრანგ.) — რ ე დ.

დაპირისპირებულნი არიან და მხოლოდ თავიანთ შერიგებას ესწრაფვიან. ყოველივე ხელშესახები წარმოადგენს დაბოლოებულ არსს, რომელშიც ნივთიერება და სახე გაყოფილნი, ერთიმეორისადმი გარეგნულნი არიან, — ამაშია დაბოლოებულის მთელი აზრი და მისი მთელი შეზღუდულობა; აქ არსი დათრგუნვილია მოქმედებით, აღგვის მას, მაგრამ მოქმედებად არა ხდება; იგი ერთი ფორმიდან მეორეში გადადის, და მუდმივი რჩება მხოლოდ ნივთიერება-ცვლილებათა ნიადაგი, განმტანჯველი მრავალმოთმინება; განსაზღვრულობა და ფორმა უარყოფითს დამოკიდებულებაშია ნივთიერებასთან, მომენტები იშლებიან, და ამ გრძნობადს შეხამებაში ადგილი არა აქვს სრულ ჰარმონიას. ხოლო როცა მოქმედება შეიცავს იმას, რაც უნდა იყოს, თ ა ვ ა დ ატარებს მისწრაფების მიზანს, მაშინ მოძრაობა საქმედ იქცევა, — ენერგია ვლინდება, როგორც ჭკუა; ნივთიერება ხდება სუბიექტი, ცვლილების ცოცხალი მატარებელი... ფორმა იქცევა ორი უკიდურესობის: მატერიისა და აზრის, საყოველთაო ვნებითისა და საყოველთაო ქმედითის შეხამებად და ერთიანობად. გრძნობადს არსში ქმედი საწყისი ჯერ კიდევ გამოყოფილია ნივთიერებისაგან. ნუსი სძლევს ამ ცალკეულობას; მაგრამ მას (გონებას) ნივთიერება სჭირდება: გონება გულისხმობს ნივთიერებას, სხვანაირად მას ფეხქვეშ ნიადაგი არა აქვს; გონება, ანუ ნუსი, აქ ცნებაა, რომელიც ცხოველმყოფელია და ნაწევრდება თავის განხორციელებაში (არისტოტელე ამ მომენტში ნუსს სულს, ლოგოსს, თვითმოძრავსა და თვითმდგენს უწოდებს). დასასრულ, სრული, ყოვლად სრულქმნილი განვითარება — დინამიის, ენერგიისა და ენტელექიის შერწყმაა: მასში ყველაფერი შერიგებულია, შესაძლებლობა ამასთან ერთად არის სინამდვილეც, უძრაობა — მარადი მოძრაობა, დროებითის მარადი წარუვალობა, თვითშემცნობი გონება, actus purus! * იქნებ, — შენიშნავთ თქვენ, — არისტოტელე ყველაფრის სა-

* წმინდა მოქმედება (ლათ.). — რ ე დ.

წყისად პასიურ ნივთიერებას თვლის. არა! ვინაიდან პასიური ნივთიერება მხოლოდ აჩრდილია, განყენებაა, რომელსაც სინამდვილის, მატერიალურის ნიღაბიღა აქვს; განა შეეძლო ასეთ სპეკულატურ გენიოსს, როგორიც არისტოტელე იყო, საწყისად აეღო განუხორციელებელი შესაძლებლობა, სკოლური აბსტრაქცია. აი რას ამბობს იგი: «ბევრი შესაძლებელი სინამდვილეს ვერ აღწევს; მაშასადამე, შესაძლებელი არის საწყისი (πρότερον); მაგრამ საწყისად მხოლოდ შესაძლებლობა რომ მივიღოთ, მაშინ უნდა დაეუშვათ მისი განუხორციელებლობის შემთხვევა, რის შედეგადაც შეიძლებოდა არაფერი არ ყოფილიყო». ასეთი სპეკულატური უაზრობა მისი რეალიზმის თვალში სავსებით აბათილებდა უაზრო ვარაუდს. შემდეგ ის ამბობს: «არა, არა მარტო ქაოსიდან, არა ღამიდან, რომელიც, როგორც ჩვენი ქურუმი-თეოლოგები გვიხსნიან, უსასრულოდ გრძელდება, არის ყოველივეს საწყისი; საიდან გაჩნდებოდა რაიმე, თვით სინამდვილეში მიზეზი რომ არ იყოს? ენერგია არის უმაღლესი და პირველი (გაიხსენეთ, თუ რა ჩინებულად ყოფს ავგუსტინე ქრონოლოგიურ პირველობას და ღირსების პირველობას, prioritas digmitatis). ნივთებრიობა პასიურია; წმინდა ქმედობა წინ უსწრებს შესაძლებლობას არა დროის, არამედ არსის მიხედვით». მიზანშეწონილობა აჩენს, ააშკარავებს ამ პირველობას.

თავისი თავის ერთგული არისტოტელე ფიზიკას იწყებს მოძრაობიდან და მისი მომენტებიდან (სივრცე და დრო) და გადადის საყოველთაოდან ნივთიერი სამყაროს განცალკევებულობისა და კერძოობისაკენ, ამასთან მხედველობიდან არსად არ უშვებს მთავარ აზრს — ცოცხალ მდინარებას, პროცესს. ეს კიდევ ცოტაა, ის რომ ბუნებას მოიცავს, როგორც სიცოცხლეს — ეს მისი ბუნებისმეტყველების საფუძველია,— ამასთან ერთად ამ სიცოცხლეს ის თვლის ერთიან, თავის თავში მიზნის მქონე, თავის თავთან იგივეობრივ რამედ; მოძრაობით იგი სხვაში კი არ გადადის, არამედ თავისი შინაარსიდან ავითარებს ცვლილებებს, რომლებშიც თვითონ

იმყოფება და თავის თავს ინარჩუნებს. «ყველაფერი ურთიერთ მიმართებაშია: რაც ცურავს, ფრინავს, რაც აღმოცენდება, ყოველივე ეს უცხო არ არის ერთიმეორისათვის; ისინი თვითონ წარმოადგენენ თავის მიმართებებს, რომლებიც ერთ მთლიანობად დაიყვანება». არისტოტელეს ფიზიკაში სისტემატური წესრიგი არ არის: მას საგნის ერთი მხარე მეორის მიყოლით გამოჰყავს, ერთ განსაზღვრას მეორე მოსდევს, შინაგანი აუცილებლობის გარეშე, თვითეულს ავითარებს სპეკულატურ ცნებამდე, მაგრამ არ აკავშირებს მათ. მასთან არის ერთი კავშირი — ის, რაც თვითონ ბუნებაშია, — სიცოცხლე და მოძრაობა; მაგრამ მეცნიერებისათვის ეს არ კმარა: სიცოცხლე ჯერ კიდევ არ არის თვითშემცნობი იდეის მთელი სისავსე.

ბუნების იდეას რომ შეუდგება, არისტოტელე ჯერ განიხილავს ბუნებას — როგორც მიზეზს, როგორც რაიმესათვის მოქმედს, მიზანშეწონილი მისწრაფების მქონეს, შემდეგ უკვე გადადის აუცილებლობაზე და მის მიმართებებზე. ჩვეულებრივად პირუკუ იქცევიან; ჯერ აუცილებელს მიმართავენ და არსებითად თვლიან არა იმას, რაც მიზნით არის განსაზღვრული, არამედ იმას, რაც გარეშე აუცილებლობიდან გამოვიდა; დიდხანს ბუნების მთელი გაგება მარტო აუცილებლობის გახსნაზე დაჰყავდათ. არისტოტელე ბუნების იდეალური მომენტიდან იწყებს; მისთვის მიზანი «თვითონ საგნის შინაგანი განსაზღვრულობაა». «მასში ჩაქსოვილია ბუნების მოქმედება; მისი თავდაცვა, მუდმივი, განუწყვეტელი და, მაშასადამე, არა შემთხვევისა და ბედისაგან დამოკიდებული». მიზანი თანაბრად აყენებს წინაარსებულსა და მომდევნოს, მიზეზსა და ნაწარმოებს; მის შესაბამისად, ყველა კერძო მოქმედება ერთიანობას განეკუთვნება, ასე რომ სწორედ ნაწარმოები არის ნივთის ბუნება. «რაიმე დგინდება იმადვე, რადაც იგი წინაარსებობდა». «ვინც შემთხვევითს წარმონაქმს იღებს, ის ბუნებას ხსნის, ვინაიდან ბუნების დასაბამი იმაში მდგომარეობს, რომ იგი თვითონ მოიყვანს თავის თავს მოძრაობაში; ბუნება არის ის, რაც თავის მიზანს აღწევს». ნივთის

ბუნება არის საყოველთაო, თავის თავთან იგივეობითი, რომელიც თავის თავს, ასე ვთქვათ, მოიშორებს, ე. ი. ახორციელებს; მაგრამ ის, რაც ხორციელდება, რაც აღმოცენდება, საფუძველში იყო:—ეს არის მიზანი, გვარეობა, წინაარსებულნი, როგორც შესაძლებლობა. მიზნიდან არისტოტელე გადადის გარემოზე, საშუალებაზე. «მერცხალი,—ამბობს იგი,—ბუდეს იკეთებს, ობობა აბლაბუდას ქსოვს, ხე მიწას ჩაეზრდება—თვითონ ისინი შეიცავენ ასეთი მოქმედების მიზეზს». ინსტინქტი აიძულებს მათ ეძიონ გარემოს შეერთება თვითშენახვასთან; საშუალება სხვა არაფერია, თუ არა მიზნის განსაკუთრებული წარმოდგენა; სიცოცხლე თვითმიზანია, იგი აღწევს, წარმოქმნის და ინახავს თავის გამოწვეულ ორგანიზმს. მცენარე, ცხოველი ასეთი ხდება, იმიტომ რომ იგი არის წყალში ან ჰაერში, — აქ წრეა. სახეცვლილების ეს უნარი, რომელიც ცოცხალს ეკუთვნის, — როდია უბრალო შემთხვევითობა და მარტო მომცველი გარემოს შედეგი: იგი აღიძრება გარეშე პირობით, მაგრამ ხორციელდება იმდენად, რამდენადაც შეესაბამება ცხოველის შინაგან ცნებას. «ზოგჯერ ბუნება ვერ აღწევს იმას, რაც მას სურს; მისი შეცდომებია მახინჯები; მაგრამ შეცდომის ჩადენა შეუძლია იმას, ვინც მიზნით აკეთებს რამეს». ბუნებასთან აქვს თავისი საშუალებანი, და ეს საშუალებანი თვითონ მიზანია; იგი ჰგავს ადამიანს, რომელიც თვითონ კურნავს თავის თავს. როცა აუცილებლობაზე ლაპარაკობს, არისტოტელე საუცხოოდ სძლევს ბუნების განვითარების გარეგნული აუცილებლობის აზრს შემდეგი მაგალითით: «შეიძლება ვიგულვოთ, რომ სახლი აუცილებლად აღიმართა, იმიტომ რომ მისი უმძიმესი ნაწილები ქვევითაა, ხოლო მსუბუქი ნაწილები ზევითაა, ასე რომ, თავისი ბუნების შესაბამისად, საძირკველი მიწაზე დაბლა დაეშვა, ხოლო მიწის ზემოთ ძელები დაეწყო... რა თქმა უნდა, ეს მიმართებაც გაანგარიშებული იყო, მაგრამ ამის გამო კი არ აღუმართავთ სახლი. ასევეა ყოველივე რაიმესთვის არსებულში: იგი, ე. ი. არსებული, უიმისოდ არაა, რაც აუცილებელია მის ბუნებაში, მაგრამ არც მის გამო არის. ასეთი

აუცილებლობა ისეთ მიმართებაშია საგანთან, როგორც ნივთებრიობა საერთოდ; მატერიაში არის აუცილებლობა, ხოლო საფუძველში — მიზანი, ერთიც და მეორეც დასაბამია, მაგრამ მიზანი უმაღლესია». მიზანი არის მამოძრავებელი, რომლისთვისაც აუცილებელი აუცილებელია, მაგრამ მიზანი კი არ ემორჩილება მას, არამედ, სრულიად პირიქით, მას ფლობს, საშუალებას არ აძლევს გასცილდეს მიზანშეწონილებას და აუცილებლობის გარეგან ძალას აკავებს.

მე ვტოვებ არისტოტელეს საუცხოო დასკვნებს სივრცისა და დროის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ იმის შიშით, რომ ისინი ერთობ აბსტრაქტულად მოგეჩვენებათ, და გადავალ მის ფსიქოლოგიაზე (რომელსაც, თუმცაღა, ფიზიოლოგიაც შეიძლება ეუწოდოთ). არ იფიქროთ, რომ აქ საკუთრივ სულის მეტაფიზიკაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, რომ იგი, როგორც სქოლასტიკოსები, სულს თავის წინაშე დააყენებს და მეტად სერიოზულად დაიწყებს იმის გარჩევას, თუ რა ნივთია იგი, მარტივი თუ რთული, სულიერი თუ ნივთიერი. — არა, არისტოტელეს სპეკულატური გონება ასეთი აბსტრაქტული სათამაშოებით ვერ გაერთობოდა; მისი ფსიქოლოგია განიხილავს მოქმედებას ცოცხალ ორგანიზმში, მეტი არაფერი. ის თავიდანვე მკაფიო ხაზს ავლებს თავის შეხედულებასა და მეტაფიზიკის დუალიზმს შორის; ის ამბობს, რომ სულს განიხილავენ როგორც ისეთ რამეს, რაც ლოგიკური მხრივ სხეულისაგან გამოიყოფა აზროვნებაში, ხოლო ფიზიოლოგიურად სხეულისაგან განუყოფელია გრძნობებში, და მაშინვე დასძენს, ახსნის სახით: «ერთი მხრივ, ბრაზი, მაგალითად, განიხილება, როგორც სისხლის მოწოლა და დუღილი. მეორე მხრივ, — როგორც სამართლიანი ანაზღაურების სურვილი. ეს იმასა ჰგავს, რომ ერთი სახლი განეიხილოთ როგორც ისეთი რამ, რაც გვიცავს წვიმისა და ქარისაგან; მეორე მხრივ — როგორც მასალა, რომლისგან იგი აგებულია; ერთი — ფორმის მხრივ, მეორე — ნივთიერებისა და აუცილებლობის მხრივ». სული არის შესაძლებლობიდან სინამდვილეში გადასვლის ენერგია, ორგანული სხეულის არსი, მისი

εἶδος*, რომლის საშუალებით იგი შეძლებისდაგვარად ხდება სულიერი სხეული; სული აღწევს ფორმას, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება თავის თავს; სწორედ ამისთვისაა იგი ქმედითი. «არ შეიძლება ვიკითხოთ, — ამბობს არისტოტელე, — სხეული და სული ერთია თუ სხვადასხვა, ისევე როგორც არ შეიძლება ვიკითხოთ: ერთია თუ არა ცვილი და მისი ფორმა?» სულისა და სხეულის მიმართების ინტერესი სრულიადაც არ არის ის, იგივეობითნი არიან ისინი თუ არა; მთავარი საკითხი, არისტოტელეს მიხედვით, შემდეგია: ეიგივება თუ არა მოქმედება ორგანოს. ნივთებრივი მხარე სულის მხოლოდ შესაძლებლობას წარმოადგენს და არა რეალობას; თვალის სუბსტანცია ხილვაა; წაართვით მას მხედველობის უნარი, — ნივთიერება შეიძლება იგივე დარჩეს, მაგრამ აზრი დაკარგულია; თვალი, მისი შემადგენელი ნაწილები, ხილვის აქტი ერთიან მთლიანობას ეკუთვნის, და მასშია მათი სრული ჭეშმარიტება და არა ცალ-ცალკე: ასე, სული და სხეული ცოცხალ განუყრელობას შეადგენენ. სულს არისტოტელე სამნაირად განსაზღვრავს: როგორც მასაზრდოებელს, როგორც მგრძნობიარეს და როგორც გონიერს — სულის სამი უმთავრესი ფუნქციის და მათი შესაფერის სიცოცხლის სამეფოთა — მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანის სამეფოთა შესაბამისად; ადამიანში მცენარეული და ცხოველური ბუნება უმაღლეს ერთიანობაში ერთდება. არისტოტელე გადადის სამი სულის ურთიერთმიმართებაზე და ამბობს: «მცენარეული და მგრძნობიარე სული მოაზროვნე სულში იმყოფება; მასაზრდოებელი სული შეადგენს მცენარეთა ბუნებას; მცენარეული სული, — მოქმედების პირველი საფეხური, — მგრძნობიარე სულში იმყოფება, მაგრამ ისე, როგორც მისი შესაძლებლობა. ის მასში თავისთავად უშუალო ყოფიერებაა; საყოველთაო, არსებითი მას არ ეკუთვნის, მაგრამ უმისოდ ყოფნაც არ შეუძლია; იგი ქვემდებარიდან შემასმენელი ხდება, უმაღლესი მოღვაწეო-

* სახე, იდეა (ბერძნ.). — რ ე დ.

ბიდან სუბსტრატის მატარებლის მნიშვნელობამდე ჩამოდის. ასეთივეა ცხოველურ-მცენარეული სულის მიმართება მოაზროვნე სულთან: ცხოველის უმაღლესი ყოფიერება მოაზროვნე არსებაში ქვეითდება მ ი ს ე რ თ-ე რ თ ბ უ ნ ე ბ რ ივ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა დ, მის საყოველთაო შესაძლებლობად, მაგრამ ერთიც და მეორეც დამორჩილებულია მის მიერ თავისთვის ყოფიერებით (ე. ი. ენტელექიით). რა გასაოცარი სიმართლეა და რა სიღრმეა ამ შეხედულებაში ბუნებაზე! არისტოტელემ არათუ შორს მოიტოვა ბერძნები, არამედ თითქმის ყველა ახალი ფილოსოფოსიც. გავყვეთ მას ქვემოთ სულის ფუნქციების გარჩევაში.

«გრძნობიერება საერთოდ შესაძლებლობაა, მაგრამ ეს შესაძლებლობა ამასთან ერთად მოქმედებაცაა. მგრძნობიარეს პირველი ცვლილება ხდება შთაბეჭდილების გამომწვევისაგან; მაგრამ როცა შთაბეჭდილება გამოწვეულია, მაშინ ჩვენ ვფლობთ შთაბეჭდილებას როგორც ცოდნას», და გრძნობიერების ამ ვნებით მხარეში, რომელსაც გარეგნული აღძრავს, პოულობს არისტოტელე მის განსხვავებას ცნობიერებისაგან. ამ განსხვავების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მგრძნობიარე მოქმედებას საგნად აქვს კერძო, ხოლო ცოდნას — საყოველთაო, რომელიც თვითონ ერთგვარად სულის არსს შეადგენს. ამიტომ ყველას შეუძლია იფიქროს, როცა სურს, და აზროვნება თავისუფალია; გრძნობის უნარი ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული: რაიმე რომ იგრძნო, გამომწვევია საჭირო. გრძნობა შესაძლებლობაში არის ის, რასაც სინამდვილეში შეიგრძნობ; იგი ვნებითია, ვიდრე შთაბეჭდილების დონეზე არ აღმოჩნდება; მაგრამ, ვნებას რომ გამოივლის იგი მზად არის და შესაგრძნობის იგივეობითი ხდება. «რ ო გ ო რ ც ა რ ს ე ბ უ ლ ნ ი, ბგერა და სმენა სხვადასხვაა, მაგრამ თავის საფუძველში ისინი ერთნაირია»; სმენის მოქმედება მათი ერთიანობაა, გრძნობიერება მათი იგივეობითის ფორმაა, საგნის და ორგანოს დაპირისპირების მოხსნაა; გრძნობა შესაგრძნობ ფორმებს უმატერიოდ აღიქვამს: ასე ცვილი ტვიფარს იღებს, არა ლითონის, არამედ მხოლოდ

მისი ფორმის ათვისების გზით. არისტოტელეს ამ შედარებამ საბაბი მისცა უსასრულო სჯა-ბაასს სულზე, როგორც ცარიელ სივრცეზე (tabula rasa*) რომელიც მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებებით შეივსება; მაგრამ ეს შედარება ასე შორს არ მიდის; ცვილი ტვიფარისაგან მართლაც არაფერს არ იღებს; გამოყვანილი ფორმა, როგორც მისი გარეგნული მოხაზულობა, სრულიადაც არ არის მისთვის არსებითი; სულში, პირიქით, ფორმას თვით მისი არსი იღებს, მასში ხორციელდება, ასე რომ სული წარმოადგენს ყოველივე შეგრძნებულის ცოცხალსა და შეთვისებულ ერთობლიობას. სულის მიერ მიღება ქმედითია; მიღებით იგი მოხსნის ენებითობას, მისგან თავისუფლდება: ** ცნობიერების რეფლექსია კვლავ ადგენს განსხვავებას; მაგრამ განსხვავება, რომელსაც ცნობიერების შიგნით ორივე მომენტი აქვს და შეიგრძნობა აზროვნების მიმართ, წარმოადგენს მის უშუალობას, მის ნივთებრივ მატერიალურ ნაწილს; ურომლისოდაც იგი შეუძლებელია, წარმოადგენს გარეგნულ ნაპერწკალს,

---

* სუფთა დაფა (ლათ.).— რ ე დ.

** აქ უნებლიეთ გვაგონდება დავა, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა იდეალისტებსა და ემპირიკოსებს შორის ცოდნის საწყისის შესახებ. ერთნი საწყისად ცნობიერებას თვლიდნენ, მეორენი—ცდას. დავობდნენ, წერდნენ ტომებს და, ცხადია, მართალნი არ იყვნენ, რადგან ორივე მხარე გარყვნებას ჭეშმარიტებად აცხადებდა. ლაიბნიცმა თავისი გენიალური nisi intellectus-ით [110] მიუთითა დავის გადაჭრაზე. მაგრამ იგი ვერ გაიგეს, ფიქრობდნენ, რომ იგი დიალექტიკური ხრიკი იყო, საკითხის დამახინჯება, და ლაკონიურად მოითხოვდნენ ან ერთს ან მეორეს: ცდის ან ცნობიერების პირველობას, la bourse ou la vie! ახლა ეს საკითხი არავის არ აინტერესებს; ჭეშმარიტების სიცხადე როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ და ერთ განსაზღვრაში შეჩერების შეუძლებლობა მეორეში გადაუსვლელად პირდაპირ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჭეშმარიტება მდგომარეობს ცალმხრიობათა ერთიანობაში, რომელნიც ერთბაშად ვერ ამოსწურავენ მას და აუცილებელნი არიან ერთიმეორისათვის. და რა სწადდათ მოდავეებს? რისთვის სურდათ მათ დაემკვიდრებინათ ცდის ან ცნობიერების არარა ქრონოლოგიური პირველობა? ალბათ, ისიხი ფიქრობდნენ ამ პირველობაზე დაეფუძნებინათ მაიორატი და ვერ ამჩნევდნენ, რომ ვის სასარგებლოდაც არ უნდა გადაეწყვიტათ საკითხი,—გამარჯვება.

რომელიც აზროვნებას აღაგზნებს. ერთხელ გამოწვეულ აზრს არ შეუძლია შეჩერდეს; მას არ შეუძლია თავის საგანს უმოქმედოდ მოეპყრას, ვინაიდან იგი მარტოოდენ მოქმედებაა; აზრის საგანი თვითონ გვევლინება შესაგრძნობის ობიექტურობას მოკლებული აზრის ფორმით, და მოძრაობის ორივე ტერმინი თვითონ მასშივეა. აზრისათვის არ არის სხვა ყოფნა, თუ არა თავის თავის ქმედითი ყოფნა; მ ა ს ს რ უ ლ ი ა- დ ა ც ა რ ა ა ქ ვ ს თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ყ ო ფ ნ ა, მისი თავისთავად ყოფნა, მატერიალური არსებობა, არის სწორედ მ ი ს ი ს ხ ვ ა. გონება ყველაფერში თავის თავთან არის,ის ყველაფერს გაიაზრებს; მაგრამ მას უაზროვნებოდ სინამდვილე არ გააჩნია; ის არარაა მანამდე, სანამ იაზრებდეს, იგი მოქმედებაში ცოცხლობს. «გონება თეთრფურცლიანი წიგნია, რ ო მ ე ლ შ ი ც, მ ა რ თ ლ ა ც, ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა რ ი ს ჩ ა წ ე- რ ი ლ ი». ეს მაგალითიც ვერ გაიგეს, ისევე როგორც ცვლის მაგალითი; მოქმედება აქ ეკუთვნის თვითონ წიგნს, გარეგნული კი მხოლოდ საბაბია; იგულისხმება, გონება თეთრი ფურცელია აზროვნებამდე; გონება ყოველივე სააზროვნოს

მაინც მოწინააღმდეგეებს ხვდებოდა. თუ ცოდნის საწყისი გამოცდილებაა, მაშინ ცოდნამ ნამდვილად უნდა დაამტკიცოს, რომ გულვება, რომელიც მას წინ უსწრებს, აო არის ცოდნა, რომ მასზე ხელი უნდა ავიღოთ, რადგან იგი არცოდნაა; მართლაც, საწყისი,—ცოდნის ის მომენტია, რომელშიც იგი არცოდნას უდრის,—ის ცოდნის მხოლოდ შესაძლებლობაა, რომელიც განვითარებით მოიხსნება. ცოდნა თანაბრად შეუძლებელია ცდის გარეშე და უაზროდ. თუ ფენომენალურად ცდა წინ უსწრებს ცნობიერებას, ეს სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ იგი გარეგნული პირობაა, რათა გამოაშკარავდეს მისი წინააოსებული შეგნება, რომელიც მხოლოდ შესაძლებლობად დარჩებოდა, თუ მას ცდა არ აღძრავდა, ამგვარი აბსტრაქციები, საწინააღმდეგო პოლარობაში შენარჩუნებულნი, იწვევენ ანტინომიებს, რომლებშიც უსასრულოდ მეორდება წინააღმდეგობა ისეთი მონოტონურობით, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებს კაცს და იმაზე მიუთითებს, რომ თვითონ საკითხში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამ ანტინომიებში განუწყვეტლივ ტრიალებს განსჯითი მეცნიერება. ჩვენ მათ კიდევ არა ერთხელ შევხვდებით. — ა. გ. Nisi intellectu—გარდა თვითონ გონებისა (ლათ.).—La bourse ou la vie!—ქისა ან სიცოცხლე! (ფრანგ.). — რ ე დ.

დინამიაა, მაგრამ იგი არაფერია უაზროვნებოდ; აზროვნობს ისევ თვითონ ის, გარეგანობას არ შეუძლია წერა თეთრ ფურცელზე, ის მხოლოდ აღვიძებს მას, ვინც უნდა დაწეროს. «გონება პასიურია გრძნობასა და წარმოდგენაში,—ამბობს არისტოტელე,—მაგრამ მისი ამ თავისთავად ყოფნაში ის ჯერ კიდევ განვითარებული არაა: ნუსი თავის თავზე ფიქრობს გასააზრებელის აღქმის საშუალებით, ეს გასააზრებელი ამასთან ერთად ხდება აღმძვრელი (შემხები), ის მაშინ ქმნის, რ ო ც ა ე ხ ე ბ ა. გონება მოქმედებაა; მოძრაობს ის, რაც მოქმედებს, რაც ეძებს, რაც ითხოვს; მიზანი, საძებნი, პირიქით, მყუდროებაში განისვენებს, მაგრამ აზროვნებაში საგანი თვითონ არის გასააზრებელი, თვითონ არის აზროვნების ნაწარმოები, თავისკენ ისწრაფვის, ამიტომაც იგი უსასრულო და თავისუფალია და თავის მოქმედებას ეიგივება, ამიტომაც მას არა აქვს სხვა სინამდვილე, გარდა თავისთვის ყოფნისა». თუ ჩვენ ნუსს ჩავთვლით გარეგნული ცოდნის უნარად და არა მოქმედებად, და აზროვნებას დავუქვემდებარებთ ასეთი ცოდნის შედეგებს, მაშინ აზროვნება იმაზე უარესი იქნება, რასაც აღწევს,—ღარიბი და მოსაწყენი წარმომსახველი უნარი იქნება. აზროვნების განხილვას არისტოტელე ამთავრებს შემდეგი, წმინდა ელინური, სიტყვებით: «სამყაროს სისტემაში ჩვენ მოცემული გვაქვს ყოფნის მოკლე ვადა — სიცოცხლე; ეს ნიჭი მშვენიერი და მაღალია. სიფხიზლე, მგრძნობელობა, აზროვნება სიტკბოებით აღსავსე უმაღლესი სიკეთეა. აზროვნებამ, რომელსაც საგნად თავის თავი აქვს, საგანი თავისად გარდაქმნა, ასე რომ აზროვნება და გასააზრებელი ერთმანეთს ერთვიან, და საგანი მის მოქმედებად და ენერგიად იქცევა. ასეთი აზროვნება უმაღლესი ნეტარება და სიხარულია სიცოცხლეში, ადამიანის ფრიად სასახელო საქმიანობაა». აზროვნების ენერგიას იგი ყოველ სააზრებელზე მაღლა აყენებს; მისთვის ცოცხალი აზროვნება მსოფლიო სიცოცხლის დიადი პროცესის უმაღლესი მდგომარეობაა. აი თქვენ ბერძენი თავისი განვითარების მთელი სიძლიერითა და სილამაზით! ეს არის ანტიკურ მოაზროვნეთა პ ლ ა ს ტ ი კ უ რ ი

აზროვნების უკანასკნელი საზეიმო სიტყვა, ეს არის მიჯნა, რომელსაც ელინური სამყარო ვერ გადასცილდებოდა, თუ თავის თავთან დარჩებოდა.

1844 წ., შემოდგომა.

წერილი მეოთხე

ანტიკური მეცნიერების უკანასკნელი ეპოქა

არისტოტელეს მსოფლმხედველობას ისეთი მეცნიერული ფორმისათვის არ მიუღწევია, რომელიც, პოვებდა რა ყოველივეს თავის თავში და მეთოდში, მსოფლმხედველობას თვით არისტოტელესაგან დამოუკიდებლად დააყენებდა; ამ მსოფლმხედველობას არ მიუღწევია იმ მომწიფებული თვითმყოფობისათვის, რომ სავსებით მოწყვეტილიყო პიროვნებისაგან, და, მაშასადამე, მას არ შეეძლო მთლიანად გადასულიყო არისტოტელეს მემკვიდრეთა ხელში — გადასულიყო როგორც ისეთი მემკვიდრეობა, რომელსაც მხოლოდ განავითარებდნენ და მწყობრად წარმართავდნენ წინ. არისტოტელეს მეცნიერებაში, ისევე როგორც მისი მოწაფის, ალექსანდრე მაკედონელის სამეფოში ცხოველმყოფელი ერთიანობა, შუაგული, რომელსაც ყველაფერი ეფარდებოდა, არ ყოფილა არც მეცნიერების, არც სამეფოს სრული კუთვნილება; მათ აკლდათ ყოველივე ის, რაც მათში შეჰქონდა აზრის ბუმბერაზისა და ნებისყოფის ბუმბერაზის გენიალობას; ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შესაძლებლობა ჩაქსოვილი იყო მის თანამედროვე გარემოებებში, მაგრამ მისი ნამდვილობა მასშივე იყო; მის სიკვდილთან ერთად ეს იმპერია დაიშალა; მისი შედეგები შეესაბამებოდა გარემოებებსაც და პირსაც, მაგრამ სამეფომ, როგორც ორგანულმა მთელმა, როგორც სოციალურმა ინდივიდუალობამ, ვერ გაძლო. სწორედ ასევე პლატონისა და

მის წინამორბედთა მოძღვრება არისტოტელეს შესაძლებლობას აძლევდა ასულიყო იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი მისმა გენიამ აიყვანა; მაგრამ გენიალობა პირადი საქმეა; არ შეიძლება მოვითხოვოთ, რომ, მაგალითად, ყოველ პერიპატეტიკოსს ჰქონოდა ისეთი ტალანტი, რაც მას აიყვანდა იმ კვარცხლბეკზე, რომელზედაც არისტოტელე იდგა; იმიტომ რომ არისტოტელე გენიოსი იყო. ყოველივე ამის შედეგი იყო თვითონ არისტოტელეს ფორმალური, ქვეავტორიტეტული შესწავლა, ნაცვლად იმ სულის შეთვისებისა, რომელიც ცხოველმყოფელს სდიდა მის მეცნიერებას. მის მოწაფეებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ გაეგოთ, შეეთვისებინათ არისტოტელეს შეხედულება, როცა ისინი ისე დადგებოდნენ მის ნიადაგზე, რომ სრულიადაც არ ეზრუნათ მის სიტყვებზე, არამედ წინ წაეწიათ თვითონ საქმე; მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რათა ნებისყოფა, რაც გენიალურ პიროვნებას ეკუთვნოდა, გადასულიყო უპიროვნო მეთოდში, ე. ი. საჭირო იყო კიდევ ორ ათას წელს ეცხოვრათ ადამიანებს. ჩვენს დროში ჰეგელის ღვაწლი სწორედ ის არის, რომ მან მეცნიერება ისე განახორციელა მეთოდში, რომ საკმარისია გაიგოთ მისი მეთოდი, რათა თითქმის სავსებით დაივიწყოთ მისი პიროვნება, რომელიც ხშირად ყოველგვარი საჭიროების გარეშე ამჟღავნებს თავის გერმანულ ფიზიონომიას, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორულ მუნდირს და ვერ ამჩნევს ამგვარი პირადი გამოსვლების წინააღმდეგობას გარემოსთან, რომელშიც ეს ხდება. მაგრამ პირადი აზრების ეს გაჩენა ჰეგელთან იმდენად უმნიშვნელო და უადგილოა, რომ არავინ (წესიერ ადამიანთაგანი) არ ჩერდება მათ წინაშე, არამედ მისივე მეთოდით აცამტვერებენ იმ დასკვნებს, რომლებშიც იგი არის არა მეცნიერების ორგანო, არამედ ადამიანი, რომელსაც არ ძალუძს თავი დააღწიოს უმნიშვნელო და დროებით ურთიერთობათა ქსელს; მისი საწყისებიდან გაბედულად გამოდიან მისი არათანამიმდევრობის წინააღმდეგ, იმ მტკიცე შეგნებით, რომ მის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ კ ი არ მიდიან, არამედ მ ი ს სასარგებლოდ. რაც უფრო დიდია პიროვნების გავლენა.

რაც უფრო მკაფიოდ ამოიკვეთება კერძო ინდივიდუალობის ბეჭედი, მით უფრო ძნელია გაარჩიოთ მასში გვარეობითი ინდივიდუალობის ნიშნები, ხოლო მეცნიერება გვარეობითი აზროვნებაა, სწორედ იმიტომ ეკუთვნის იგი ყველას, რომ არავის არ ეკუთვნის.

ეთეროვანი საწყისი, ღრმა და სრული ცოცხალი გაგებით აღსავსე სულის ნარნარი ქროლა, რომელიც არისტოტელეს ქმნილებებს თავს დასტრიალებს, მაშინვე ჩამოვარდა, როგორც კი მის მიმდევართა განსჯითი გაგების მაცივარში მოხვდა. მის სიტყვებს იმეორებდნენ გრამატიკული სისწორით, მაგრამ ეს მკვდრისაგან მოხსნილი ნიღაბი იყო, რომელიც ასახავდა გვამის ყოველ ნაკვთს, ყოველ ნაოჭს და რომელსაც დაკარგული ჰქონდა სიცოცხლის თბილი, რხევადი ფორმები. არისტოტელემ ვერ შეძლო ისე ჩაენერგა თავისი ფილოსოფია თავის თანამედროვეთა სისხლში, რომ იგი მათ ხორცად და სისხლად ექცია; არც მისი მიმდევრები იყვნენ მზად ამისათვის, არც მისი მეთოდი; ის თავის საგანს მარტივი ემპირიიდან მრავალმხრივ სპეკულაციამდე აამაღლებს და, ამ საგანს რომ ამოსწურავს, სხვა საგანთან მიდის; ის მებადურივით განუწყვეტლივ ეშვება წყალში, რათა იქიდან რაიმე ამოიღოს, სუფთა ჰაერზე გამოიტანოს და შეითვისოს; ამ შეთვისებათა ერთობლიობა სხეულს აძლევს მის მეცნიერებას, მაგრამ ამ გარდაქმნის საშუალება ისევ მისი პიროვნებაა, რომელიც თავისი ძლიერებით შეავსებს მეთოდის ნაკლს, ვინაიდან მისი აშკარა მეთოდი მხოლოდ ფორმალური ლოგიკაა; ფარული საწყისი, რომელიც არისტოტელეს ყველა ქმნილებას აკავშირებს, და თუ კიდევაც გამოკრთის ის, მაინც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ფორმით არსად არ არის გამოხატული; ამიტომაც იყო, რომ უახლოესმა მიმდევრებმა, ის რომ შეითვისეს, რაც მეცნიერულად იყო გადმოცემული, დაკარგეს ყოველივე, რაც გენიოსის არწივისებურ მხედველობას ეკუთვნოდა. დიდი მოაზროვნის უსრულობა ან ნაკლი თავს იჩენს არა მასში, არამედ მიმდევრებში, იმიტომ რომ ისინი გაუხრელად და

შტკიცედ მისდევენ სიტყვების პირდაპირს აზრს, მაშინ როცა გენიალური პიოოვნება, თავისი სულის შინაგანი აღნაგობის წყალობით, ყოველი მხრივ სცილდება ფორმალურ საზღვრებს, თუნდაც ეს საზღვრები მისი საკუთარი ხელით იყოს დასმული; ცალმხრიობის, თუნდაც თანადროულობის საზღვრების ეს გადალახვა შეადგენს გენიოსის ბრწყინვალე სიდიადეს. არისტოტელე, ისევე, როგორც პლატონი, ჩაქრა მომდევნო ფილოსოფიურ სკოლებში; ისინი რჩებიან რაღაც ზემოდან ძალიან, ძიუწვდომელ, მაღალ აჩრდილებად, რომლებიდანაც ყველანი იწყებენ თავიანთ დასაბამს, რომლებსაც ყველა მოწადინებულია, ოომ მიეკედლოს, მაგრამ რომლებიც ნამდვილად არავის გაეგება. ბევრი განშტოებული სკოლის, — აკადემიური და პერიპატეტიკული სკოლების შემდეგ, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ, მთელი ანტიკური აზრის მემკვიდრედ გვევლინება ნეოპლატონიზმი, აღსრულება პლატონისა და არისტოტელესი [117]. ნეოპლატონიზმით შევიდა ძველთა-ძველი აზრი ახალ სამყაროში, მაგრამ ეს უფრო სულერის გადასახლება იყო, ვიდრე განვითარება; ჩვენ ამას ახლა დავინახავთ. როგორც პიროვნება, როგორც თვითონ იგი, არისტოტელე დამარხული იყო ძველი სამყაროს ნანკრევებქვეშ ძანამდე, სანამ არაბმა [118] არ გააცოცხლა და არ მიიყვანა იგი ევროპაში, რომელიც უმეცრების წყვდიადში იყო ჩაფლული, — შუა საუკუნეთა სამყარო, რომელიც როგორიღაც სიყვარულით იბოოკავდა თავს ყოველგვარი ჯაჭვით, მლიქვნელურად დაიხარა სრულიად გაუგებარი არისტოტელეს ავტორიტეტის წინაშე. ყოველივე ამასთან ერთად, doctores seraphici et angelici *, არისტოტელეს წინაშე რომ თავს იმცირებდნენ, იგი სქოლასტიკურ, მოსაწყენ იეზუიტურ პატერ-ფორმალისტად გადააქციეს. და საცოდავ სტაგირელს [119] უნდა გაეზიარებინა მთელი სიძულვილი გაცოცხლებული აზრისა, რომელიც ლუთეროისეული გააფთრებული გულისწყრომით აღსდგა სქოლასტიკისა და რომანტიკული ბორკილების

---

* შუა საუკუნეთა მეცნიერ-ღვთისმეტყველნი (ლათ.). — რ ე დ.

წინააღმდეგ *. საკუთრივ არისტოტელედან XVI საუკუნეში მეცნიერებათა «დიად აღდგენამდე» (instauratio magna) მეცნიერული მოძრაობა არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობამ ამ ხნის განმავლობაში უდიდესი ნაბიჯები გადადგა, რამაც იგი აზროვნებისა და მოღვაწეობის ახალ სამყარომდე მიიყვანა. ჩვენი მიზნისათვის შეგვეძლო რაიმეს დაუკარგავად, პირდაპირ გადავსულიყავით არისტოტელედან ბეკონისაკენ, მაგრამ ნება მოგვეცით მეტად მოკლედ ვთქვა რამდენიმე სიტყვა ამ დროის შესახებ, რაც შუალედს წარმოადგენს არისტოტელეთი დამთავრებულ ელინურ მეცნიერებასა და ახალ მეცნიერებას შოროის, რომელიც ბეკონით და დეკარტეთი დაიწყო და სპინოზას სახით დავაჟკაცდა.

ბერძენთა მეცნიერება, თავის უკანასკნელ ფაზაში რომ შედის, ცხადს ეძებს: მხოლოდ ცხადს თვლის იგი ჭეშმარიტებად. მისი მოთხოვნები უფრო ნათელი და ამასთან ერთად უფრო მარტივი ხდება; იგი თავის კვლევის საგნად ხდის ჭეშმარიტების კრიტერიუმს, ეძებს მას პირად აზროვნებაში; რა თქმა უნდა, კრიტერიუმი მხოლოდ აზროვნებაში შეიძლება იპოვნო, მაგრამ ისეთ აზროვნებაში რომელიც განთავისუფლებულია პირადი ხასიათისაგან. კრიტე-

---

* რათა თავიდან ავიცილოთ რომელიმე ფილოლოგის შესიტყვება, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ჩვენ აქ ვგულისხმობთ არისტოტელეს ბედს დასავლეთში აღმოსავლეთ იმპერიაში,—ალბათ, თვით თურქებამდე, იყვნენ ადამიანები, რომლებიც კითხულობდნენ ანტიკურ ფილოსოფოსებს, მათ შორის არისტოტელეს, და მას თავიანთი თვალსაზრისით უყურებდნენ,—მეცნიერების ისტორიისათვის, ნამდვილად რომ ეთქვას, ეს საინტერესო არ არის; ისტორია სახოგადოდ ვალდებული არ არის მიაქციოს ყურადღება ყველაფერს, რასაც ადამიანები აკეთებენ და რასაც ისინი ყველგან აკეთებენ. ყოველივე, რაც საერთო კალაპოტიდან გამოვარდება ან მას არ ერთვის, რაც დაგუბებული მიწყდება ან დაღლილი ზუა გზაზე ეცემა, რაც შემთხვევითი და კერძოა, მხოლოდ მაშინ აქვს ისტორიული მნიშვნელობის უფლება, როცა იგი უკვალოდ არ იკარგება; წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორია ივიწყებს, -და ეს არის მისი დიადი კეთილმოწყალეობა! ჩინეთის ისტორიას ჩვეულებრივ უფრო მოკლედ ასწავლიან, ვიდრე იტალიის ყოველი ქალაქის ისტორიას: ნუთუ ფიქრობთ, რომ ამის

რიუმის, ე. ი. შემოწმების, განსჯითი თვალსაზრისით ძებნა — გადაუჭრელი ამოცანაა: გონებას, რომელიც განესხვისება საგანს და უარყოფითად განსაზღვრავს თავის თავს, შეუძლია გაიგოს ჭეშმარიტება, როგორც თავისი კანონი, მაგრამ ვერასოდეს ვერ გაიგებს ამ კანონს როგორც საგნის ჭეშმარიტებას. და აზრს სწორედ ამ გასხვისებულ, თავის თავში კონცენტრირებულ მდგომარეობაში, როცა იგი ფეხქვეშ ნიადაგს კარგავს და შიგნით რაღაც სიცარიელეს გრძნობს, ჩნდება სასტიკი დოგმატიზმის მოთხოვნილება, აზროვნებას სურს ამ მდგომარეობაში ჩასანგრდეს, გამაგრდეს ყოველგვარი თავდასხმის წინააღმდეგ, რადგან მან არ იცის, რომ უარესი მტერი უკვე მის მკერდში ბუდობს. და მერე როგორ არ უნდა ეძებნათ ადამიანებს ხელუხლებელი სიმაგრე თავის შიგნით და თეორიულ სამყაროში, როცა მთელი გარემომცველი საწყისი ინგრეოდა და ყალბი ან მიხრწნილი გამოდიოდა. ბერძნული ცხოვრების ნათელი ეპოქა მაშინ დასასრულს უახლოვდებოდა; საბერძნეთისათვის დგებოდა მძიმე ტანჯვითა და დამცირებით აღსავსე ჟამი; აღმოსავლეთის მძლეველებს ძალა არ შესწევდათ თავი დაეცვათ სასტიკი დასავლეთისაგან. ბერძენთა ცხოვრებაში ისე მჭიდროდ შეერთდა ყველა ელემენტი, რომ ვერც ხელოვნება და ვერც მეცნიერება, თუ არ შეიცვლებოდა, ისე ვერ გადაიტანდა სამოქალაქო წესწყობილებას; მათი მეცნიერებისათვის საჭირო იყო ათენი,— ათენი, რომელსაც თავისი თავის რწმენა ჰქონდა... ჰოდა, პირდაპირ საჭირო იყო ჭაბუკური უდარდელობა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა აზრს მისცემოდნენ, მაგრამ შეეძლო

მიზეზი არის მიკერძოება, სიშორე ან სიახლოვე? ასეთ შემთხვევაში პლუტარქი მეტისმეტად მიკერძოებული კაცია: რატომ წერდა იგი პერიკლეს, ალკიბიადის და სევათა ბიოგრაფიებს და არა ყოველი ათენელი მოქალაქის ბიოგრაფიას? ანდა რატომ არ მოკვითხრობს იგი თავის ბიოგრაფიებში, როგორ ამოსდიოდათ მის გმირებს კბილები, როგორ გაშვებინებდნენ ძუძუს ან როგორ ჭირვეულობდნენ, ოხრავდნენ ისინი ავადმყოფურ და ბებრულ ბოდვაში და სხვ. ისტორია, ისე როგორც საფრანგეთის აკადემია, თვითონ არავის სთავაზობს ადგილს თავის სფეროში, არამედ იმათ უფლებებს განიხილავს, ვინც თვითონ უკაკუნებდა კარზე.—ა. ბ.

კი მას დარჩენილიყო იმ დროის ახლოს, როცა მაკედონიის უკანასკნელი მეფე [120] თავჩაქინდრული მიდიოდა რომის ქუჩებში, გამარჯვებულის საზეიმო ეტლს მიკრული? როცა ეს მოხდა, გამხრწნელი შხამი დიდი ხანია ღრღნიდა ელადას; აღარ იყო რწმენა არც მეცნიერებისა, არც სახელმწიფოსი და არც ადამიანებისა; ოლიმპოზე ლაპარაკიც ზედმეტია,— მას არ უარყოფდნენ რაღაცა თავაზიანობის გამო, ამასთან ხალხს ოლიმპოთი აშინებდნენ. აი ამ დროს, და არა სოფისტების ხანაში, მართლაც გაჩნდა უმსგავსო სანახაობა რიტორდიალექტიკოსებისა, რომლებიც ყოველგვარ რწმენას მოკლებულნი ლაპარაკობდნენ და ქადაგებდნენ: ეს იყო რაღაც გულცივი ადვოკატობა მეცნიერებაში, პირმოთნე და ცბიერი, წუთიერი და ფუჭი; ხანდახან ძლივს ჩნდებოდა ნაპერწკლები, რომლებიც მოგვაგონებდნენ მახვილ, პოეტურ, მსუბუქ და ღრმა ათენურ გონებას. ეს მოვლენა უფრო საზოგადოებრივ ცხოვრებას ეკუთვნის, ვიდრე მეცნიერებას; იგი იყო აზროვნების სფეროში სამოქალაქო გახრწნილების ასახვა. შაგრამ სწორედ ამავე სფეროში გაჩნდა საზოგადოებრივი უზნეობის ყველაზე ენერგიული საწინააღმდეგო საშუალებაც — სტოიციზმი.

სტოიკოსების მოძღვრება, უპირატესად, ზნეობითია; იგი პირდაპირ მიდის საყოფაცხოვრებო საკითხებთან, ისწრაფვის მოგვცეს რჩევა, გაამაგროს მკერდი ბედის ულუღმართობის წინააღმდეგ, აღძრას მოვალეობის ამაყი შეგნება და აიძულოს ყველაფერი შესწიროს მას. სხვა რა შეეძლოთ ექადაგნათ მოაზროვნე ადამიანებს, რომელთა თვალწინ ხდებოდა ტრაგედიის უკანასკნელი, დასკვნითი აქტი, სადაც მთელი სამყარო იღუპებოდა, და ამ სამყაროს ხილულ ნანგრევებში ძნელი იყო მომავლის დანახვა, რომელიც ჩუმად და შეუმჩნეველად მკვიდრდებოდა ბებრული, უძლური გარყვნილებით აღსავსე, გამოფიტული, თავის ციანიკურ მლიქვნელობაში საძაგელი აგონიის ამ საშინელი სანახაობის წინაშე? ფილოსოფოსს ისღა დარჩენოდა, რომ გულხელი დაეკრიფა და მამაცურად გადაქცეულიყო პროტესტად, თავისი განდგომით დაეგმო სა-

ზოგადოება, ხმამაღლა ემხილებინა მისი შერცხვენა და, როცა მისი ხსნის იმედი აღარ არის, მთელი ძალ-ღონე ეხმარა, რათა ეხსნა რამდენიმე პიროვნება, ჩამოეშორებინა ისინი მოწამლულ გარემოსაგან და ზნეობრივი გრძნობა გაეღვიძებინა მათს მკერდში. სტოიკოსებმა ეს ხვედრი ირჩიეს. მაგრამ ასეთი მოძღვრება ნაღვლიანი და კუშტია, «გრაციებს მსხვერპლად არ ეწირება»,— იგი გვასწავლის სიკვდილს, გვასწავლის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვით დავადასტუროთ ჭეშმარიტება, ვიყოთ ურყევად მტკიცენი უბედურებაში, ვძლიოთ ტანჯვა, უგულებელვყოთ სიამოვნება. ყოველივე ეს სათნოებაა, მაგრამ სათნოება უბედურებაში მყოფი ადამიანისა; ყოველივე ეს ერთობ პირქუში რამ არის, რომ ნორმალური იყოს. სტოიკოსის ხელი, რომელიც ყოველთვის მზად არის გაწყვიტოს საკუთარი სიცოცხლის ძაფი, უშიშარი და მკაცრი იყო: იგი ყოველივეს ტლანქი თითებით ეხებოდა,— და ნაზი, ოდნავ შესამჩნევი სურნელება, რომელშიც, როგორც თავის ატმოსფეროში გვეღლინება ყოველივე ათენური, ქრება მათი შეხებისაგან ან არ არსებობს სტოიკოსისათვის. რომაული სული, პრაქტიკული, გარკვიული, მძაფრი და ცივი, მაშინ ყველგან შეჭრას იწყებს, იწყებს საყოველთაო მსოფლიო გაბატონებულ სუნთქვად გადაქცევას; რომაულ ნიადაგზე სტოიკოსები სავსებით განვითარდნენ; საბერძნეთში ისინი უფრო თეორეტიკოსები იყვნენ; აქ ისინი თვითონ იფატრავდნენ ძარღვებს და საკუთარ ბაღში ამზადებდნენ კოცონს; მათში სწორედ რომაული ელემენტი სჭარბობდა: გონება მშრალად ენერგიული და გაბოროტებული, მკერდი მაგარი, მაგრამ დამტკივნეულებული, ადამიანები პრაქტიკულნი, მაგრამ უაღრესად ცალმხრივნი და ფორმალურნი, მათი წესები მარტივია, წმინდაა, მაგრამ თავის აბსტრაქტულ სიწმინდეში ისინი, როგორც ჟანგბადი, არ წარმოადგენენ სუნთქვის ჯანსაღ გარემოს სწორედ იმიტომ, რომ არ არის შენარევი, რომელიც მკვეთრ სიწმინდეს შეარბილებდა. სტოიკოსთა ზნეობრივ მოძღვრებებს მიზნად ჰქონდათ ბრძენის წარმოქმნა; მათ მხოლოდ კერძო პიროვნების სათნოების შესაძლებლობა სწამდათ;

ისინი ეძებდნენ განეკითარებინათ ზნეობრივი მხოლოდ ბრძენის სახით, და არა რესპუბლიკაში, როგორც .პლატონი; მათ პირველებმა გამოთქვეს ის დიადი აზრი, რომ ბრძენი შებოჭილი არ არის გარეშე კანონით, ვინაიდან იგი თვითონ ატარებს კანონის ცოცხალ წყაროს და ვალდებული არ არის ანგარიში ჩააბაროს ვინმეს, თავისი სინდისის გარდა,—აზრი ღრმა და მრავალმნიშვნელოვანია, მაგრამ ისეთი, რომელიც მხოლოდ იმ ეპოქებში გამოითქმის, როცა მოაზროვნე ადამიანები ხედავენ სიყალბის მთელი უმსგავსოებით გამომჟღავნებულ შეუსაბამობას არსებულ წესწყობილებასა და შეგნებას შორის; ასეთი აზრი დადებითი სამართლის სრული უარყოფაა; ამავე დროს, ბრძენს რომ ამნაირად ათავისუფლებდნენ, სტოიკოსები თავიანთ ზნეობას გადმოგვცემდნენ სენტენციებით, ე. ი. თავიანთი კოდექსის მზამზარეული მუხლებით. სენტენციები ზნეობის ფილოსოფიაში უმსგავსოა; ისინი ამცირებენ ადამიანს, რამდენადაც მისდამი უზენაეს უნდობლობას გამოხატავენ და არასრულწლოვანად ან ბრიყვად თვლიან მას; გარდა ამისა, ისინი უსარგებლონი არიან, იმიტომ რომ ყოველთვის ზოგადნი არიან, ვერასოდეს ვერ მოიცავენ ყველა გარემოებას, რომელნიც სახეს იცვლიან მოცემულ შემთხვევაში და მოცემული შემთხვევების გარეთ საჭირონი არ არიან; დასასრულ, სენტენცია მკვდარი ასოა; იგი გამოსავალს არ იძლევა განსაკუთრებულ გარემოებათათვის, და, როცა ეს გარემოებანი ჩნდებიან, საგანთა ძალა უკუაგდებს განყენებულ წესს, ამსხვრევს მას, როგორც ჩარჩოს, რომელსაც შინაარსის შეკავების ძალა არა აქვს. ზნეობრივი ადამიანი თვითონ უნდა ატარებდეს ღრმა შეგნებას, თუ როგორ უნდა მოიქცეს ყოველ შემთხვევაში, და სრულიადაც არა როგორც რიგ სენტენციებს, არამედ როგორც საყოველთაო იდეას, რომლისაგან ყოველთვის შეიძლება მოცემული შემთხვევის გამოყვანა; ის თავის ქცევის იმპროვიზებას აწარმოებს. მაგრამ სტოიკოსები, ფორმალისტები და მიუნდობელნი, იურიდიული თვალსაზრისით უყურებდნენ ზნეობის საკითხს და მორალურ სენტენციებს ადგენდნენ;

მათი მოძღვრება ისწრაფოდა აშკარად გამაგრებულიყო, გაშეშებულიყო დასრულებულ დოგმატიკაში.

ასწორედ იმავე ხანებში, როცა პირქუში, ასკეტიკური სტოიციზმი თავისი თვითმკვლელობებითა და სასტიკი წესებითურთ ადამიანთა გონებას დაეუფლა, ასეთივე სისწრაფით ვრცელდებოდა მეორე მოძღვრება, რომელიც აშკარად უპირისპირდება სტოიციზმს (გამოთქმით): ეპიკურეიზმი — უკანასკნელი, წმინდა ბერძნული, ცდა — მხიარულად და ნაწილობრივ იაფად შეარიგოს აზრი ცხოვრებასთან, თავისი თავი გარემოსთან. «ცხოვრების მიზანი, მისი ჭეშმარიტება არის შეგნებული, აზრით გამსჭვალული დატკბობა თავის თავით, არის ნეტარება; მასშია სიკეთე, მასშია სილამაზე, მას უნდა ვესწრაფოდეთ და თავიდან უნდა მოვიცილოთ ყოველივე ხელისშემშლელი, როგორც ბოროტება». ამგვარად ნეტარება — აი ეპიკურეს კრიტერიუმი. არაფერი არ შეიძლება იყოს უფრო უაზრო, ვიდრე კეთილ ადამიანთა გაუთავებელი თხრობანი იმაზე, რომ ეპიკურე ცხოვრების მიზნად ვნებათა ტლანქ და ცხოველურ დაკმაყოფილებას ქადაგებდაო: ეს ისევე შეზღუდული და უგვანოა, როგორც იმის წარმოდგენა, რომ ჰერაკლიტე მხოლოდ ტიროდა, დემოკრიტე კი მხოლოდ ხარხარებდა, რომ სოფისტები თვალთმაქცები და თაღლითები იყვნენ... ყოველივე ეს ეკუთვნის განსაკუთრებულ შეხედულებას ფილოსოფიაზე, რაც ძალიან ჰგავს იმას, როდესაც მეჯლისს წინა ოთახიდან უყურებენ. ნეტარება, სრულიად უეჭველია, ცხოვრების მიზანია: ყოველივე ცოცხალს და თავის თავის შემგნებს უცილობელი უფლება აქვს დატკბეს ცხოვრებით, მაგრამ საკითხავია: რაში მდგომარეობს ადამიანის ნეტარება? მხეცისათვის ეს არის სიმაძღრე და ბუნებრივი გულისწადილის მიყოლა; მხეცი ადამიანისათვისაც სწორედ ასეევა; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი-მხეცი ნორმალური მდგომარეობა არ არის; ეს ისეთივე სიმახინჯეა, როგორც ადამიანი, რომელიც უარს იტყოდა ყოველივე ფიზიკურისაგან, როგორც მისთვის ულირსისა და შეუფერებელისაგან; ადამიანისათვის უზნეობაში

არ არის ნეტარება: მხოლოდ ზნეობასა და სათნოებაში აღწევ-ის უმაღლეს ნეტარებას; ამიტომაც ადამიანისათვის საესებით ბუნებრივია უყვარდეს სათნოება, უყვარდეს ზნეობა. მორალისტებს სურთ მაიიცდამაინც აიძულონ ადამიანი სიკეთე ჩაიდინოს, აიძულონ იგი ზნეობრივად მოიქცეს, ისევე, როგორც ექიმი აიძულებს ავადმყოფს საძაგელი, მწარე რამ მიიღოს; მათ სწორედ ის მიაჩნიათ ღირსებად, რომ ადამიანი უ ხ ა ლ ი ს ო დ ასრულებდეს მოვალეობებს; მათ ფიქრად არ მოსდით, რომ თუ ეს მოვალეობანი ჭეშმარიტი და ზნეობრივია, როგორიღაა ის კაცი, რომელსაც მათი შესრულება ეზიზღება? ფიქრად არ მოსდით მოთხოვნა — გული და გონება ისე შეარიგონ, რომ ადამიანი ნამდვილი ვალის შესრულებას მძიმე ტვირთად კი არ თვლიდეს, არამედ მასში პოულობდეს სიამოვნებას, როგორც ისეთ მოქმედებაში, რომელიც ყველაზე უფრო ბუნებრივია მისთვის და აღიარებულია მისი გონების მიერ. თუ სათნოება მხოლოდ იძულებითი მოვალეობაა, გარეგანი ბრძანებაა, ის არ შეიძლება გიყვარდეს; შეიძლება მსხვერპლი გაიღო მის სასარგებლოდ, შეიძლება მას დაემორჩილო, მაგრამ მეტი არაფერი; შეიძლება, ბოლოს, იყო ანგარიშით სათნო და ანაზღაურებას მოელოდე: აქაც მიზანი კვლავ ნეტარებაა, მაგრამ უფრო ტლანქად, უფრო ანგარებით გაგებული; ანაზღაურება თან ახლავს თვით სათნოებას, ზნეობრივი მოქმედება უკვე არის შესრულებული დაჯილდოება, თავისთავად ნეტარება. სხვანაირად ჩვენ ჩავვარდებით იმ ეჭვში, რომელიც ასე საუცხოოდ გამოხატა შილერმა:

Gewissensscrupel

Gerne dien'ich den Freunden, doch thu'ich es leider mit Neigung.
Und so wurmt es mir oft, dass ich nicht tugendhaft bin.

Entscheidung

Da ist kein anderer Rath, du musst suchen, sie zu verachten,
Und mit Abscheu alsdann thun, wie die Pflicht dir geheut*.

ე პ ვ ი

* ხალისით ვემსახურები ჩემს ძეგობრებს, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ჩემთვის სასიამოვნოა: მე ხმირად მისაყვედურებს სინდისი უზნეობას ამისათვის.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

აქ ვერაფერს გააწყობ. ეცადე ისინი გძულდეს და ზიზღით აკეთე ის, რასაც მოვალეობა გიკარნახებს — ა. ბ.

იმას, ვინც სათნოებაში სიამოვნებას პოულობს, შეუძლია ეპიკურესავით თქვას: «გონივრული უბედურება უნდა ვამჯობინოთ უგუნურ ბედნიერებასო». და ეს ძალიან მარტივია, იმიტომ რომ უგუნური ბედნიერება ადამიანისათვის უაზრობაა: იმისათვის, რომ მით დატკბეს, მან უნდა უარყოს თავისი უზენაესი არსი — გონება. შეგნებულად ჩადენილი ყოველი უზნეო საქციელი უარყოფს გონებას, შეურაცყოფს მას; სინდისის ქეჯნა ადამიანს მოაგონებს, რომ იგი მოიქცა, როგორც მონა, როგორც ცხოველი, და არ არის ნეტარება, როცა ასეთი საყვედური გესმის. სტოიციზმი უფრო ფორმალურად უპირისპირდება ეპიკურეიზმს, ვიდრე ნამდვილად; განა მას იმიტომ არ სწამდა თავდადებული ყოფილიყო, რომ თავდადებაში ხედავდა უფრო ადამიანურ დაკმაყოფილებას, ვიდრე სულმოკლე წაქეზებასა და ხასიათის აღვირახსნილობაში?» – სტოიციზმმა თავისი შეხედულება მხოლოდ სხვანაირად გამოხატა, საპირდაპირო მხრიდან გააშუქა იგი; გამოწვეული როგორც რეაქცია, როგორც პროტესტი, იგი მძაფრად და ასკეტურად შეუდგა ზნე-ჩვეულებათა გამოსწორებას; ის ჰგავდა მკაცრ და სასტიკ კათოლიციზმს, რომელიც ლუთერის შემდეგ გაჩნდა. ეპიკურეიზმმა, ბერძნული გენიის ერთგულმა, სრულიად საწინააღმდეგოდ, ნებიერად, ადამიანურად-მარტივად გაიგო სტოიციზმის საკითხი და კი არ გააპო ადამიანის სული მოვალეობისა და გულისთქმის საშინელ დაპირისპირებად, და კი არ უსისიანებდა ბათ ერთმანეთს, არამედ ისწრაფოდა შეერიგებინა ისინი ნეტარებაში, რომელიც მოვალეობასაც დააკმაყოფილებდა და ვნებათა ღელვასაც; მისთვის მოვალეობის შესრულება განუყრელად დაკავშირებულია სიამოვნებასთან, ე. ი. ბუნებრივი და გონივრულია. ზნეობრივი დუალიზმის მდგომარეობა ეწინააღმდეგება თვითშემმეცნებელი არსების მნიშვნელობას, იგი სისულელეა, რომელიც იმას ჰგავს, რომ მხეცი გაძღომის მოთხოვნილებას გრძნობდეს და საკუთარ მკერდს იგლეჯდეს; უბრალო, ორგანული მიზანშეწონილობა ხმამაღლა ღაღადებს სტოიკური მეშუნვარების, კბილთა ღრჭენის წინააღმდეგ; ასეთს ასკეტიზმსა და ყოველივე ბუნებრივის დევნას პირდაპირ მივყევართ

ფიზიკურის ორიგენასეული შესწორებისაკენ. მხედველობაში იქონიეთ, რომ ეპიკურეს მოწაფეების ზნე-ჩვეულებათა სიწმინდე ანდაზად იქცა, და ეს ძალიან გასაგებია: ადამიანი, რომელიც ცნობს თავის უფლებებს სიამოვნების მიმართ, ადვილად გაიგებს სიამოვნების უფლებას საკუთარი თავის მიმართ; მისთვის საშიში არ არის ვნებათა ღელვა; ეს უკანასკნელი მტერივით და ღამის ქურდივით კი არ იკაფავს გზას მისი გულისაკენ: იგი იცნობს ამ ვნებათა ღელვას და იცის მათი ადგილი. ვინც მიზნად მარტო ვნებათა ღელვის ალაგმვას ისახავს, ის ვნებათა ღელვას ისეთ ძალასა და სიმაღლეს ანიჭებს, როგორიც მას სრულიადაც არა აქვს; იგი მას გონების მოქიშპედ აცხადებს. ვნება სწორედ იმიტომ მტკიცდება და იზრდება, რომ მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ლუკრეციუსი ამბობს, ზოგჯერ უნდა დაეუთმოთ სიამოვნების მოთხოვნილებას, რათა იგი განუწყვეტლად არ გვფლობდესო. ეპიკურე, სტოიკოსების ესოდენ მოპირისპირე, თავისი მოძღვრების უკანასკნელი სიტყვებით გვერდში ამოუდგა მათ: «შიშისა და სურვილისაგან თავისუფლება, — ამბობს ის, — უმაღლესი ნეტარებაა». ამასთან მხედველობაში მიიღეთ, ორივე სკოლა ადამიანის პიროვნებას შეუდარებლად მეტ მნიშვნელობას აკუთვნებს, ვიდრე ყველა მათი წინამორბედი ფილოსოფიური მოძღვრება; ეს აოის ადამიანის სულის უსასრულობის აღიარების კარიბჭენი, რომელიც ახალ სამყაროში უნდა განვითარებულიყო. შეგიძლიათ შემეკამათოთ: ეპიკურეიზმი მაინც ხელს უწყობდა რომში ავხორცობისა და მატერიალიზმის გავრცელებასო. მართალია, მაგრამ რომელ ეპოქაში? იმ ეპოქაში, როცა რომი იმდენად იყო გარყვნილი, რომ კლავდიუსების, კალიგულებისა და სხვათა გაღმერთებამდე იყო მისული. ადამიანები თავდავიწყებას ეძებდნენ, მოწადინებულნი იყვნენ ზურგი შეექციათ სამოქალაქო ცხოვრებისათვის, წინათგრძნობებისა და მოგონებებისათვის და თავისებურად არ განმარტავდნენ ეპიკურეიზმს.

ეპიკურეიზმს დიდი გავლენა ჰქონდა ბუნებისმეტყველებაზე; ეპიკურე ატომისტი და ემპირიკოსი იყო თითქმის ისევე, როგორც გასული და ნაწილობრივ ჩვენი საუკუნის ბუნების-

მეტყველნი. მიუხედავად მისი დიდი გაბედულებისა. მან ბოლომდე ვერ დაიცვა თავისი შეხედულება ისევე, როგორც ყველა ბერძენმა, როგორც თვით სტოიკოსებმა, რომლებიც, წარმართული სამყაროს რწმენას რომ დაუპირისპირდნენ, რაღაც ფატალიზმი და მისტიკური გავლენები აითვისეს. ეპიკურე ატომების შემთხვევითი შეერთების უაზრობას თვლის არსებულის წარმოშობის მიზეზად და მშვენივრად ლაპარაკობს უმაღლეს არსებაზე, «რომელიც არის სრულიად უნაკლო, ურღვევი, წარუვალი და რომელსაც თაყვანი უნდა ვცეთ არა გარეგნული მიზეზების გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი თავისი არსით ღირსია» და სხვ. ეს მოწმობდა მხოლოდ, რომ იგი გრძნობდა თავისი შეხედულების საზღვრებს, ჭვრეტდა უზენაეს საწყისს, რომელიც ფიზიკურ მრავალსხვაობაზე სუფევს; მაგრამ, გარდა ამისა, იგი ლაპარაკობს რაღაც თანადაქვემდებარებულ ღმერთებზე, — ტიპებზე, რომლებიც ადამიანებისათვის მარადიულ იდეალებს წარმოადგენენ [121]. როგორ არიგებდა იგი ღმერთების ამ გუნდთან წარმოშობის შემთხვევითობას, გაუგებარია, ალბათ, თვითონაც არ ესმოდა, თუ როგორ. XVIII საუკუნის ფილოსოფოს-დეისტები, საერთოდ ნატურალისტები, ყოველ ნაბიჯზე წარმოგიდგენენ იმის მაგალითებს, რომ მათი ფიზიკური თეორიები უაღრესად დაპირისპირებულია რომელიღაც ცდებთან d'une religion raisonnée, naturelle, philosophique * ამ თანმიმდევრობის მიუხედავად, ეპიკურეიზმის გავლენა მნიშვნელოვანი იყო. ეპიკურელებს ფაქტი და ცდა მიაჩნდათ არა მხოლოდ ამოსავალ წერტილად, არამედ ურყევ კრიტერიუმადაც. ისინი ემპირიკოსები იყვნენ და ჭეშმარიტებისაკენ სხვა გზით მიდიოდნენ: მოაზროვნენი ჩვეულებრივ ხოლოდ ერთი ფეხით ეყრდნობოდნენ ფაქტს და მაშინვე გადადიოდნენ საყოველთაოსა და განყენებულისაკენ და შემდეგ გამოყავდათ ლოგიკური მრავალსხვაობა, — ეპიკურელები ემპირიულთან რჩებოდნენ; ამ გზას თავის ცალმხრიობით არ შე-

---

* რელიგიისა, რომელიც დასაბუთებულია ბუნებითი, ფილოსოფიური მოსაზრებებით (ფოანგ.). — რ ე დ.

უძლია ემპირიას თავი დააღწიოს და ყოვლისმომცველ სინთეზურ აზრებამდე მივიდეს, მაგრამ იგი შეიცავს ისეთ უცილობლობას, ისეთ ურყევ სიცხადეს და ხელშესახებლობას, რომ მაშინვე მისაწვდომი, პოპულარული და პრაქტიკული ხდება. მიუხედავად ტიპებისა და იდეალებისა, ეპიკურეიზმი უკანასკნელ მომაკვდინებელ ლახვარს წარმოადგენდა წარმართობისათვის. სტოიციზმს შეეძლო მისტიციზმში გადასულიყო, პლატონიზმი მართლაც გადავიდა მასში. არისტოტელეს სხვანაირად გაგება შეიძლებოდა, ეპიკურეიზმისა კი — არასგზით: იგი მარტივია, დადებითია. აი რისთვის აგინებდნენ მას ასე ღვარძლიანად; იგი სრულიადაც არ ყოფილა საბერძნეთში არსებულ ყველა სხვა ფილოსოფიურ მოძღვრებაზე უფრო გახრწნილი, არც უფრო განდგომილი ღვთისგან, და მერე რა ჩვენი საქმეა გამოვექომაგოთ წარმართულ მართლმორწმუნეობას! ყველა ფილოსოფოსი მეტად საეჭვოა პოლითეიზმის მხრივ, თუმცა ყველა მათში და ეპიკურეშიც აგრეთვე არის მისი ნაშთები. წყეულმა დადებითობამ და ცდის გზამ — აი რამ გააბრაზა ციცერონის მსგავსი ადამიანები.

ეპიკურული და სტოიკური დოგმატიზმის წინააღმდეგ მალე დაჰბერა სკეპტიციზმის მძაფრმა ჰაერმა, და ანტიკური ფილოსოფიის უკანასკნელი აზრები, რომლებიც თავიანთ დოგმატიკაში ბებრულად ჯიუტობდნენ, სკეპტიციზმის წინაშე ირღვეოდნენ და იმ ღამეულ ნისლში გაიფანტნენ, ბერძნულ-რომაულ სამყაროს რომ ჩამოაწვა. სკეპტიციზმი დოგმატიზმის ბუნებრივი შედეგია; დოგმატიზმი თვითონ წარმოშობს მას; სკეპტიციზმი რეაქციაა. ფილოსოფიური დოგმატიზმი, როგორც ყოველივე უძრავი, მყარი, თვითკმაყოფილებით დამშვიდებული, ადამიანის მარად მოქმედ, მსწრაფ ბუნებას ეზიზღება; დოგმატიზმი მეცნიერებაში პროგრესული არაა; სრულიად პირუკუ, იგი ცოცხალ აზროვნებას აიძულებს ქვის ქერქად დაილექოს თავის საწყისთა ირგვლივ; ის ჰგავს მაგარ სხეულს, რომელსაც ხსნარში ჩაუშვებენ ხოლმე, რათა აიძულონ, რომ კრისტალები მასზე გამოილექოს; მაგრამ ადამიანის აზროვნებას სრულიადაც არ სურს დაკრისტალდეს, ის

უძრაობასა და მყუდროებას გაურბის, იგი დოგმატურ დამშვიდებაში ხედავს მოსვენებას, დაღლილობას, ბოლოს, შეზღუდულობას. მართლაც, დოგმატიზმს აუცილებლად აქვს მ ზ ა-მ ზ ა რ ე უ ლ ი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი, წინმავალი და რომელიმე ლოგიკური განსაზღვრების ცალმხრიობაში შეკავებული; იგი თავისი ავლადიდებით კმაყოფილდება, თავის საწყისებს მოძრაობაში არ აბამს, — პირიქით, იგი უძრავი ცენტრია, რომლის ირგვლივ ის დაბორკილი დადის. როგორც კი აზრი იწყებს ამ გრანიტული უძრაობის დაკვირვებას, — ადამიანის სული, ეს actus purus*, ეს მოძრაობა უპირატესად აღშფოთდება და მთელ თავის ღონეს მიმართავს, რათა წარხოცოს, დაამსხვრიოს ეს წყალქვეშა ქვა, რომელიც შეურაცხყოფს მას, და ჯერ კიდევ არ ყოფილა მაგალითი, რომ მეცნიერებაში უჯიათად მდგარ დოგმატიზმს ასეთი შემოტევა აეტანოს. სკეპტიციზმი, როგორც ვთქვით, უკუქმედებაა, რომელსაც ფილოსოფიის ნახევრადკანონიერი დოგმატიკა იწვევს; იგი თავისთავად შეუძლებელია იქ, სადაც შეუძლებელია ავტორიტეტით მიღებული მტკიცე აზრები, იქ, სადაც შეუძლებელია არსებობდეს მისწრაფება, რათა მეცნიერება დენადი, ცოცხალი აზროვნების ნაცვლად რაღაც XII ცხრილის-მაგვარ [122] მშრალ ნორმებად გადააქციონ. მაგრამ მანამდე, სანამ მეცნიერება არ შეიგნებს თავის თავს ადამიანის მოდგმის ამ ცოცხალ, დენად ცნობიერებად და აზროვნებად, რომელიც, ვით პროტეი, იმოსება ყველა ფორმით, მაგრამ არც ერთთან არ რჩება, მანამდე, სანამ მეცნიერებაში შემოიჭრებიან მზამზარეული ჭეშმარიტებანი, რომელთა მიღება არაფრით არ არის გამართლებული, რომლებიც აღებულია ქუჩიდან და არა გონებიდან, — არათუ შემოიჭრებიან, ადგილსა და მოქალაქეობრივ უფლებასაც მოიპოვებენ მასში,— მანამდე დროდადრო თავს წამოყოფს სექსტ-ემპირიკოსის ან იუმის ავი და მკვეთრი სკეპტიციზმი და თავისი ირონიით, თავისი

---

* Actus — მოქმედება. მისწრაფება, მოძრაობა; purus — წმინდა, ცხადი, ნათელი (ლათინ.). — რ ე დ .

ნეგაციით ჩაკლავს მთელ მეცნიერებას იმისათვის, რომ იგი მთლად როდია მეცნიერება. ეპვი განვითარებადი, მეცნიერული აზროვნების ყველა მომენტზე მარად მიძერწილი ელემენტია; ჩვენ მას ვხედებით მეცნიერებასთან ერთად საბერძნეთში და თანამიმდევრულად შევხვდებით ფილოსოფიური დოგმატიზმის ყოველი ცდისას: იგი თან ახლავს მეცნიერებას ყველა საუკუნეში.

იმ სკეპტიციზმის ხასიათი, რომლითაც დამთავრდა ძველი ქვეყნის აზროვნება, მეტად საგულისხმოა; ორივე ფორმის დოგმატიზმის წინააღმდეგ მიმართულმა, მან de facto* აქცია ის, რასაც დოგმატიზმი ესწრაფოდა: პიროვნება ჩამოაშორა ყოველივე არსებულს, გაათავისუფლა ყოველივე დადებითისაგან და, ამრიგად, უარყოფითად სცნო მისი უსასრულო ღირსება. სკეპტიციზმმა გაათავისუფლა გონება ძველი მეცნიერებისაგან, რომელმაც იგი აღზარდა; მაგრამ ეს განთავისუფლება სრულიადაც არ ყოფილა მისი უფლების, მისი ავტონომიის ჰარმონიული, შეგნებული გამოცხადება; ეს იყო რეაქციული განთავისუფლება, 93-ე წლის განთავისუფლება, ძველი სამყაროსაგან განთავისუფლება, რომელიც ადგილს უწმენდდა მომავალ სამყაროს. სკეპტიციზმი წარმოდგა ყველაზე საშინელი შეგნებიდან, როგორიც კი შეიძლება ადამიანის სულს ეწვიოს; იგი არათუ დაეჭვებული იყო ჭეშმარიტების ცოდნის შესაძლებლობაში, არამედ მისი ცოდნის შეუძლებლობაშიც კი არ იყო დაეჭვებული; იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოფიერება და აზროვნება თანაბრად არ შეიძლება შემოწმდეს, რომ ესენი უთანაზომო მონაცემები არიან და, იქნებ, მოჩვენებითნიც კი. კრიტერიუმის ნაცვლად მან დასვა: გვეჩვენება, და, მწარედ მოღიმარე, ამით დაამშვიდდა; სკეპტიკოსებს, რაკი ერთხელ დარწმუნდნენ, რომ გონებას უნარი არ შესწევს ჭეშმარიტებამდე ამაღლდეს, არც კი სურდათ ცდილიყვნენ, არამედ მხოლოდ იმას ამტკიცებდნენ, სხვების ცდები უაზრობაა. მაგრამ ნუ დაუჯერებთ

* ნამდვილად (ლათ.). — რედ.

ამ გულგრილობას: ეს უმწეობის ის სასოწარკვეთილი გულგრილობაა, რომლითაც თქვენ გარდაცვლილი მეგობრის სხეულს დასცქერით; თქვენ უნდა შეურიგდეთ იმას, რომ მეგობარი აღარა გყავთ, რაც უნდა ქნა — საქმეს ვერ უშველი; გულგამაგრებული უბრუნდებით თქვენს საქმეს. რაც უნდა ვაჟკაცობდეს სექსტ-ემპირიკოსი *, ადამიანისათვის ადვილი როდია შეურიგდეს თავის თავისადმი ურწმენობას, თავისი გონების არააბსოლუტურობის უტყუარობას; თვითონ სიცილი სკეპტიკოსებისა, მათი ირონია გვიჩვენებს, რომ მათ გული არც ისე ხალვათად აქვთ. ყველა მხიარულებისაგან როდი იცინის.

სკეპტიციზმის წინააღმდეგ ანტიკურ ქვეყანას სრულიად არ გააჩნდა იარაღი, იმიტომ რომ სკეპტიციზმი უფრო ერთგული იყო თავის თავისა, ვიდრე ანტიკური ქვეყნის ყველა ფილოსოფიური სისტემა. ანტიკურ ქვეყანაში მხოლოდ სკეპტიციზმს არ შეუბღალავს თავისი თავი წარმართობის უხასიათო და ფუქსავატური წაქეზებით; იგი ასე იოლად არ უხსნიდა თავის კარს ყოველგვარ წარმოდგენებს, რომელნიც დროებით ამსუბუქებენ გადაუწყვეტელ საკითხს და არაჯანსაღ წვენს უშვებენ მთელ ორგანიზმში. ნამდვილ მეცნიერებას შეეძლო მოეხსნა სკეპტიციზმი, უარეყო თვით უარყოფა; მისთვის სკეპტიციზმი მომენტია, მაგრამ ანტიკურ მეცნიერებას საამისო აძლა არ გააჩნდა; ის გრძნობდა თავის ცოდვებს და ვერ ბედავ-

---

* სექსტ - ემპირიკოსი ცხოვრობდა II საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ. ფსიხომო, მაგრამ წმინდა უარყოფითი გონების პატრონი, იგი არათუ უარყოფდა ყოველივეს, არამედ კიდევ უარესი, — ყველაფერსაც ცნობდა; მის დიალექტიკაში არის რაღაც ირონია, რომელიც სასოწარკვეთილებაში აგდებს ადამიანს; ის, მაგალითად, უარყოფს კაუზალობას, მაგრამ შემდეგ ამბობს: მაშასადამე, არის საკმაო მიზეზი უარვყოთ მიზეზი როგორც მიზეზი, — თუ ასეა, მაშინ კაუზალობის უარყოფის მიზეზიც უმწეოა. მან, კანტივით, წამოაყენა ანტინომიათა რიგები და ყველანი ანტინომიებადვე დატოვა. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: «სულის მღელვარება მხოლოდ მაშინ დამშვიდდება და ბედნიერი ცხოვრება დამყარდება, როცა ბოროტებისაგან ლტოლვილს ან სიკეთისაკენ მსწრაფს მიუთითებენ, რომ არ არსებობს არც სიკეთე და არც ბოროტება». ასეთი სიტყვების შემდეგ ქვეყანა, რომელმაც ისინი წარმოშვა, უნდა გარდაიქმნას. — ბ. ბ.

და პირდაპირ გამოსულიყო სკეპტიციზმის წინააღმდეგ, რომელიც მის უმწეობას აძხილებდა. მან გაათავისუფლა გონება მისგან და გადასჩეხა რაღაც სიცარიელეში, სადაც შინაარსი სრულიადაც არ იყო: ყველაფერი შთანთქა უარყოფითი აზროვნების პირღია უფსკრულმა. სკეპტიციზმი გადაშლიდა უსასრულო სუბიექტურობას, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ ობიექტურობას. თავისი თავის ერთგულს, მას არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა, — და კარგადაც მოიქცა: მას ვერ გაიგებდნენ. სკეპტიკოსები თავიანთ საკუთარ პიროვნებაში ეძებდნენ დამშვიდებას; საეკლესიოში დაეჭვებულნი, გონებაში, ჭეშმარიტებაში დაეჭვებულნი, ისინი, როგორც უკანასკნელ თავშესაფარზე, როგორც ხსნის იმედზე, ყველას საკუთარ პიროვნებაზე მიუთითებდნენ. მაგრამ ხომ არ მიდიოდა ეს პირდაპირ თვითშეძეცნების, როგორც არსის დადგენამდე? ხომ არ გვიჩვენებს ეს, რომ ანტიკური ქეეყნის მიწურულს ადამიანის სულმა, რომელმაც დაკარგა ნდობა სამყაროსადმი, სამართლისადმი, პოლიტიკისადმი, მეცნიერებისადმი, განკვრიტა, რომ მხოლოდ თავის თავში ჩაღრმავებას შეუძლია შეცვალოს ყოველი დანაკარგი? ადამიანის უსასრულო ღირსების ეს წინასწარმეტყველური წინაშეგნება, რაც ოდნავ გამოკრთოდა სკეპტიციზმში, რომელიც იმისათვის გაჩნდა, რომ საბერძნეთის პლასტიკური, მხატვრული მეცნიერება ჩაეკლა, დიდად გასცილდა აზრის მაშინდელი მდგომარეობის ფარგლებს. ადამიანისათვის საჭირო გახდა თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მომზადებულიყო, რათა თავისი სიდიადისა და ღირსების შეგნება გამოეტანა.

პირველ კეისართა მძაფრი და შფოთიანი ჟამის შემდეგ რომისათვის რამდენადმე უფრო მშვიდი დრო დადგა; სიკვდილის სარეცელიდან წამომდგარმა მოხუცმა იგრძნო, რომ ავადმყოფობაში მას არათუ არ დაუკარგავს მთელი თავისი ძალ-ღონე, არამედ ახალიც შეუძენია; ის ვერ ამჩნევდა, რომ ეს იყო სიცოცხლის უკანასკნელი ჯიუტობა, დაძაბულობა, რომელსაც გარდუვალად მოსდევს კუბო. ყველაფერი რიგზე მოვიდა, და იმპერიის ცხოვრება დიდებულად, ძლიერად გა-

ოშალა; მას თავისი ქვაფენილი გზების გაყვანითა და სამარადჟამო სასახლეების აღმართვით კიდევ შეეძლო მოეხიბლა გიბონი თავისი ყალბი სილამაზით. მართალია, რაღაცა წინდაწინვე იგრძნობოდა, როგორიღაც ციებცხელებიანი თრთოლვა დროდადრო დაუკლიდა ხოლმე მთელი იმპერიის სახსრებს; საზღვრებზე თავს იყრიდნენ რაღაც ველური, ბანჯგვლიანი, გრძელთმიანი და ქერათმიანი ურდოები. მონები თავიანთ ბატონებს უფრო სიძულვილით უცქეროდნენ, ვიდრე ამ ბარბაროსებს; მახვილი თვალის ადამიანები ხედავდნენ ჭექა-ქუხილის გარდუვალობას, მაგრამ ასეთი ადამიანები ცოტანი არიან ხოლმე. ოფიციალურად რომი მაგრად იდგა და მთელ ძველ სამყაროს ზედ დასწოლოდა. ოფიციალურად ის ისევ მარადიული ქალაქი იყო; არსებული წესწყობილების ურყევობისადმი გონებაჩლუნგი რწმენა ისევ ფლობდა უმრავლესთა შეგნებას. მთელმა ძველმა სამყარომ თავი მოიყარა რომში ერთ კვანძად, ერთ გაშეფებულ ორგანოდ; სწორედ ამიტომ კარგავს რომი თავის განსაკუთრებულობას და ხდება არა თავის, არამედ მთელი სამყაროს წარმომადგენელი; მის მიერ დაპყრობილ ხალხთა მთელი სასიცოცხლო ძალები მას ერთვოდა; იგი თითქოს იმისათვის შეიწოვდა მათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, კალიგულას ცნობილი პოეტური თქმით, ერთი დაკვრით მოეკვეთა თავი ძველი სამყაროსათვის. სასტიკ რომს შეეძლო დაეპყრო მსოფლიო, შეეგლებინა თავისი გონება სხვის აზრთან, თავისი სული სხვის სელოვნებასთან, მაგრამ ბერძნული ცხოვრების განგრძობა არ შეეძლო; მის სულში როგორღაც სევდიანად შეთავსდა განყენებულობა და პრაქტიკული აზრი, მის სულში იყო უსასრულო ძლიერება და ამასთან ერთად სიცარიელე, რომელიც არაფრით არ ივსებოდა: არც გამარჯვებებით, არც იურიდიული კაზუისტიკით, არც ნებიერი განცხრომით, არც ტირანიისა და სისხლიან სანახაობათა გარყვნილებით. საბერძნეთის ცხოვრება არ გადასულა იტალიაში. Des Lebens Mai blüht einmal und nicht wieder *.

* სიცოცხლის გაზაფხული მხოლოდ ერთხელ ყვავის და კვლავ ვერ აყვავდება (გერმან.). — რ ე დ.

რომში არსებული სამოქალაქო-პოლიტიკური ცენტრის საპირისპიროდ, ალექსანდრიაში თავი მოიყარეს ანტიკური აზრის ყოვლად სრულმა და უკანასკნელმა წარმომადგენლებმა. იქ მატერიალურად, აქ ინტელექტუალურად თავი მოიყარეს ანტიკური ქვეყნის რაზმებმა თავიანთი ძველი დროშების ქვეშ არა იმისათვის, რომ გაემარჯვნათ, არამედ იმისათვის, რომ, ბოლოს, დაეხარათ ისინი ახალი დროშის წინაშე. საკითხი, რომელმაც ნეოპლატონიზმში შთანთქა ყველა საკითხი, იმაში მდგომარეობდა, რომ განესაზღვრათ კერძოს დამოკიდებულება საყოველთაოსთან, მოვლენათა სამყაროსი — მოვლენილის დასაბამთან, ადამიანისა — ღმერთთან.

წინა წერილიდან თქვენ ნახეთ, რომ ბერძნული აზრი, როგორც კი ამ საკითხს დაუპირისპირდებოდა, უმწეო აღმოჩნდებოდა ხოლმე; როგორც კი ამ სიმაღლეზე ავიდოდა, მას ყოველთვის თავბრუ ესხმოდა, წამსვე ბოდვას იწყებდა და წარმართულ წარმოდგენებს ემორჩილებოდა. ნეოპლატონიზმმა უფრო სერიოზულად და უფრო ფართოდ მოჰკიდა ხელი ამ საკითხებს: მან იდეური, საერთოდ აღმოსავლური, ბევრი რამ შეითვისა, და შეახამა ეს, ბერძნული მეცნიერებისათვის უცნობი ელემენტები პითაგორას, პლატონისა და არისტოტელეს ღრმა შესწავლასთან; ის თავიდანვე თითქმის არ დგას წარმართულ ნიადაგზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი უმაღლესი წარმომადგენელი პროკლე, ჯიუტად ინარჩუნებს ბერძნულ მრავალღმერთიანობას. პოლითეიზმი აღმერთებდა, აპიროვნებდა ბუნების სხვადასხვა ძალებს, ადამიანის სახეს აძლევდა მათ და ამ სახით ხასიათს აძლევდა იმ ბუნებრივ ძალას, რომლის ცოცხალი წარმომადგენელიც იყო სახე. ნეოპლატონიკოსებს ლოგიკური პროცესის განყენებული მომენტები, მსოფლიო განვითარების მომენტები, უთუო, უსხეულო სულის, მსოფლიოს თანაარსი, თავის თავში ჩაკეტილი სულის ფაზებად ჰქონდათ წარმოდგენილი. ის მათ ესმოდათ, როგორც «ნივთიერების მოძრაობაში ცოცხალი», — დერჟავინის საუცხოო თქმით; ტლანქად გაგებული ნეოპლატონიზმი თავისე-

ბური წარმართობაა, თავისებური ანთროპომორფიზმია, მაგრამ არა მხატვრული, არამედ მისტიკური. მათ, ნამდვილი რომ ითქვას, არ სურთ კერპი, მაგრამ ისინი იეროგლიფურ ენას იღებენ და ისე აბნელებენ თავიანთი მეტყველების აზრს, რომ ძნელია მიხვდეთ, თუ რა არის მათთან სიმბოლო და რა არის წარმოდგენითი, მით უფრო ძნელია, რომ ისინი მთელი ძალებით ცდილობენ ცხადყონ თავიანთი ერთგულება წარმართობისადმი, ღმერთებისა და ღმერთ-ქალების სახელებში სხვადასხვა ჭეშმარიტებას გულისხმობენ და გზა-კვალს უბნევენ კაცს*. ნეოპლატონიკოსები ცდილობდნენ რაციონალურად გაემართლებინათ წარმართობა, მეცნიერებით დაემტკიცებინათ მისი აბსოლუტურობა და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლახვარი ჩასცეს ძველ რელიგიას; რაკი ერთხელ ჩარეული იყო გონება და მეცნიერება ფანტასტიკურ წარმოდგენათა საქმეში, შეიძლებოდა მოლოდინი გვქონოდა, რომ ისინი გამოააშკარავებდნენ მათს არანამდვილობას. ფილოსოფიამ რისი გამართლებაც უნდა იწყოს, ამართლებს მხოლოდ გონებას, ე. ი. თავის თავს. პროკლეს ამოსავალი წერტილი აღტაცებული მჭვრეტელობაა. ადამიანი ცხოვრებით, სულის განწყობილებით უნდა ამზადებდეს თავს აღტაცებულობისათვის, რასაც იგი აჰყავს მჭვრეტელობის სიმაღლეზე, რომლითაც მხოლოდ შეიძლება უთუოს ცოდნა. უპირობო, როგორც არის იგი თავისთავად, პირობითისაგან განყენებული, არ შეიძლება ვიცოდეთ; იგი თავის თავში დარჩენილი, განყენებული ერთიანობაა, მაგრამ იგი გასაგები ხდება იმით, რომ აშკარავდება, წარმოიშობა, ვითარდება. მაგრამ ერთიანის განვითარება არ არის თავშეუკავებელი თვითგანიავება, რომელიც არითმეტიკულ უსასრულობაში იკარგება. არა, იგი განვითარებაში იმად რჩება, რაც არის. ამ პოლარობის ურთიერთქმედება, საზღვარი, ზომა — გადახრაა შუაგულისაკენ.

---

* პროკლესთან ეს ყველაზე უფრო ნათელია; იგი ყველა საიდუმლოებას წვდებოდა და ქურუმებს აკვირვებდა თავისი თეოლოგიური დახელოვნებით. — ა. ბ.

აქედან პროკლეს გამოჰყავს თავისი სამი მომენტი: ერთიანობა, უსასრულობა, ზომა. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამ მსოფლმხედველობის მთელი ძალისა და სიმაღლის მიუხედავად, იგი გამომდინარეობს არა ლოგიკურ წანაძღვარიდან, არამედ აღტაცებულობით მოცემულ უშუალო ცოდნისაგან; მისი აზრი მართალია, მაგრამ მეთოდი არ არის მეცნიერული, არ არის გამართლებული. რელიგია უთუო ჭეშმარიტებიდან გამოდის: მას ასეთი გამართლება არ სჭირდება; მაგრამ ნეოპლატონიკოსებს მეცნიერება სწადდათ, და, როგორც მეცნიერება, მათი მსოფლმხედველობა, მთელი თავისი სიდიადის მიუხედავად, მთლად საფუძვლიანი ვერ არის.

ნეოპლატონიზმი თავისი სულის ყველა მხარით, მთელი სიმპათიებით, თავისი შეხედულებით დროებითზე ანტიკური აზროვნების ფარგლებს სცილდება და ქრისტიანულ სამყაროში შედის; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნეოპლატონიკოსებს არ სურდათ ქრისტიანობა მიეღოთ: ისინი ოცნებობდნენ ახალი ღვინო ძველ ტიკში ჩაესხათ. ნეოპლატონიზმი ძველი გონების სასოწარკვეთილი ცდაა — იხსნას თავი საკუთარი საშუალებებით, — დიდებული, მაგრამ მარცხით დამთავრებული ცდა. ნუთუ ნეოპლატონიკური განყენებული, ძველი, დაბნეული ენით, მისი ფილოსოფიური ეკლექტიზმით, მისი თეურგიული გნოსტიკითა და ზებუნებრივისადმი სიყვარულით შეიძლებოდა რომის დაცემის შეჩერება, ეპიკურეიზმის შეჩერება, სკეპტიციზმის შეჩერება, და, ბოლოს, ნუთუ მისი ენით შეიძლებოდა ხალხთან ლაპარაკი? ნეოპლატონიზმი ფერმკრთალდება ქრისტიანობის წინაშე, ისე როგორც ყოველივე განყენებული ფერმკრთალდება სიცოცხლის სისავსის წინაშე. ყველა ამ მოძღვრებაში უბერავს მომავლის სიო, მაგრამ ყველას რაღაცა აკლია, — ის ბგრძანებელი სიტყვა, ის ელვა, რომელიც ნაწყვეტ და ნახევრად გამოთქმულ წამოწყებათაგან ერთ მთლიანს გამოადნობს. ნეოპლატონიკოსებს, თითქმის როგორც ახლანდელ მეოცნებე სოციალისტებს, აღმოხდებათ ხოლმე დიადი სიტყვები: შერიგება, განახლება παλιγγενεσία

ἀποκαταστάσις πάντων*, მაგრამ ისინი განყენებულნი და ძნელად გასაგებნი რჩებიან ისევე, როგორც მათი თეოდიცეა; ნეოპლატონიზმი მეცნიერთათვის, მცირეოდენთათვის არსებობდა. «ჩვენთან (ე. ი. ქრისტიანებთან), — ამბობს ტერტულიანე, — ახლა ბავშვებმა ღფრო მეტი იციან ღმერთზე, ვიდრე თქვენმა ბრძენებმა». ქრისტიანობასთან ბრძოლა უგუნურება იყო, მაგრამ ამაყ ფილოსოფიას, ისევე როგორც ამაყ რომს, თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. უცნაურია: რომმა თავგასული კეისრების საზიზღარ ეპოქაში თითქოს დაკარგა მთელი თავისი ჭკუა; იგი ვარდებოდა იმ ადამიანთა საცოდავ სიბერეში, რომელნიც არარანი და მოუსვენარნი ხდებიან სამარის პირას; სახარების ქადაგება უკვე გაისმოდა მის მოედნებზე, ხოლო რომის არისტოკრატია და ჭკუისკოლოფნი ღატაკ ნაზარეველ ერესს ღიმილით უმზერდნენ და საძაგელ პანეგირიკებს, უგვანო მადრიგალებს წერდნენ, ვერ ამჩნევდნენ, რომ მონები, ღატაკები, ყველა მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ხსნის ახალ ამბავს ისმენდნენ. ტაციტმა ვერ გაიგო თავდაპირველად, პლინიუსმაც ვერ გაიგო შემდეგ, თუ რა ხდებოდა მათ თვალწინ. ნეოპლატონიკოსები ხედავდნენ ისევე, როგორც სტოიკოსები და სკეპტიკოსები, სამოქალაქო წესრიგისა და ზნეობრივი ყოფის უცნაურ მდგომარეობას, მაგრამ მათ, მჭვრეტელობით გატაცებულებს, არ შეეძლოთ სასოწარკვეთით გადაშვებულიყვნენ ურწმუნოებაში, გრძნობადობაში; დადებითი სამყაროს ღმწეობამ ისინი მიიყვანა ყოველივე დროებითის, ბუნებრივის ათვალწუნებამდე, თავისი თავის შიგნით სხვა, დამოუკიდებელი და უთუო სამყაროს აღმოჩენამდე. ეს სამყარო, მასში ღრმად და მგზნებარედ ჩაწვდომისას, იწვევდა მხოლოდ განყენებულისა და სულიერის ჭეშმარიტებად აღიარებას**; მაგრამ ეს სულიერი მათ უფრო ფართოდ და

---

* ყოველივეს აღორძინება და პირვანდელ ბედგომარეობაში დაბრუნება (ბეოძნ.). — რ ე დ.

** აი რას ამბობს პორფირე თავის მასწავლებელზე: «პლოტინი ჩვენ უმაღლეს არსებ დ გვეჩვენებოდა, მას რცხვენოდა თავისი სხეულისა, არ

უფრო სრულად გაიგეს, ვიდრე მთელმა წინამორბედმა. აზრმა; მხოლოდ ის ასრულებდა იმას, რასაც ისინი ესწრაფვოდნენ, მხოლოდ ქრისტიანობა შეესაბამებოდა ნეოპლატონიზმს; ამავე დროს კი ნეოპლატონიკოსები არათუ იყვნენ წარმართები ჩვეულებით ან იმიტომ, რომ წარმართებად დაბადებულთ, მათ ყალბი სირცხვილის გამო, სურდათ წარმართებადვე დარჩენილიყვნენ, — არა, ისინი მართლაც ფიქრობდნენ, რომ წარმართობის მითები საუკეთესო სხეულია ჭეშმარიტებისათვის. ადამიანებმა, რომლებსაც მიდრეკილება ჰქონდათ ყოველივე მატერიალური აჩრდილად მიეჩნიათ, თავიდანვე ისეთი უხეში შეცდომა ჩაიდინეს, რომ შემდეგ მათთვის ადვილი იყო მიეღოთ შედეგები, რომლებიც მათი საწყისებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობდა, და შერიგებოდნენ ყოველივე იმას, რასთან შერიგებაც არ სურდათ. მაგრამ რაღა უშლიდა მათ ხელს უარეყოთ ძველი, მკვდარი მსოფლმხედველობა? ის, რომ ეს სრულიადაც არ არის ისე ადვილი, როგორც გვეჩვენება.

დაძლეული და ძველი მაშინვე როდი ჩადის სამარეში; წარმავალის ხანგრძლიობა და ჯიუტობა მთელი არსებულის შინაგან მცველ ძალას ეფუძნება: იგი იცავს უკანასკნელ შესაძლებლობამდე ყოველივე ერთხელ აღმოცენებულს; მსოფლიო ეკონომია არაფერ არსებულს საშუალებას არ აძლევს მთელი ძალების გამოფიტვამდე სამარეში ჩავიდეს. კონსერვატულობა ისტორიულ სამყაროში ისევე ერთგულია სიცოცხლისა, როგორც მარადი მოძრაობა და განახლება; მასში ხმამაღლა გამოითქმის არსებულის მძლავრი მოწონება, მის უფლებათა აღიარება; წინსწრაფვა, პირიქით, გამოხატავს

უყვარდა ლაპარაკი არც თავის ოჯახზე, არც მშობლებზე, არც სამშობლოზე. არასოდეს არ აძლევდა ნებას, რომ მისი სხეული განმეორებული ყოფილიყო ფერმწერის ან მოქანდაკის მიერ; როცა ავრელიუსმა მას ნებართვა სთხოვა — დაეხატა იგი, მან უპასუხა: «განა საკმარისი არ არის რომ ჩვენ იძულებულნი ვართ თან ვხიდოთ ჩვენი სხეული, რომელშიც ბუნებამ მოგვამწყვდია? ნუთუ ჩვენ კიდევ უნდა დავტოვოთ საპატიმროს გამოსახულება, თითქოს მისი სახე რაიმე დიდებულს შეიცავდეს?» ეს წმინდა რომანტიკული მიმართულებაა! — ა. გ.

არსებულის არადამაკმაყოფილებლობას, გონების განვითარების ახალი საფეხურისათვის უფრო შესაფერი ფორმის ძიებას; იგი არაფრით არ არის კმაყოფილი, აღშფოთებულია; ის ვიწროდ გრძნობს თავს არსებულ წესწყობილებაში, ხოლო ისტორიული მოძრაობა ამასობაში დიაგონალით მიდის, ორივე ძალას ემორჩილება, ერთმანეთს უპირისპირებს მათ, რათა ამით თავი იხსნას ცალმხრიობისაგან. მოგონება და იმედი, status quo * და პროგრესი — ისტორიის ანტინომიაა, მისი ორი ნაპირია; status quo ემყარება იმის ფაქტიურ აღიარებას, რომ ყოველი განხორციელებული ფორმა არის სიცოცხლის ნამდვილი ჭურჭელი, მოპოვებული გამარჯვება, ყოფიერებით უცილობლად დამტკიცებული ჭეშმარიტება; ის იმ სწორ აზრს ემყარება, რომ კაცობრიობა ყოველ ისტორიულ მომენტში ცხოვრების მთელ სისავსეს ფლობს, რომ მას არაფერი აქვს მომავლის სალოდინო, რათა თავისი უფლებებით ისარგებლოს. კონსერვატიული მიმართულება სულში აღვიძებს წმინდა, მახლობელ და ძვირფას მოგონებებს, მოგვიხმობს დავბრუნდეთ მშობელთა სახლში, სადაც ასე ახალგაზრდულად, ასე უდარდელად მიმდინარეობდა ცხოვრება, და ივიწყებს, რომ ეს სახლი ვიწრო გახდა და ნახევრად დაინგრა; იგი ოქროს საუკუნიდან გამოდის. სრულიფა ოქროს საუკუნისაკენ მიემართება, პროტესტს აცხადებს განსაზღვრულის უთუოდ აღიარების წინააღმდეგ, ყოფილისა და არსებულის ჭეშმარიტებაში შეფარდებითს ჭეშმარიტებას ხედავს, რომელსაც მარადიული არსებობის უფლება არა აქვს და რომელიც მოწმობს თავის შეზღუდულობას — სწორედ თავისი გარდამავლობით; იგი თავის თავში გარდასულსაც ინახავს, მაგრამ მას არ სურს გაიხადოს იგი თავისი ოცნების ნიშნად მომავალში, თავის წმინდა სასოებაში. წარმართული სამყარო, მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური, უშუალო, ყოველთვის მოგონებათა მომხიბლავი

---

* გამოსავალი მდგომარეობა, მოვლენათა არსებული მდგომარეობის უცვლელობა (ლათ.).—რ ე დ.

ძალაუფლების ქვეშ იყო; ქრისტიანობამ იმედი ძირითად სათნოებათა რიცხვში მოაქცია. თუმცა იმედი ყოველთვის სძლევს მოგონებას, მაინც მათი ბრძოლა ავი და ხანგრძლივია. ძველი მძვინვარებით იცავს თავს. და ეს გასაგებია: როგორ არ უნდა ებლაუჭებოდეს ცხოვრება თავგამოდებით მიღწეულ ფორმებს? ის ახალს ჯერ კიდევ არ იცნობს, იგი თვითონ ეს ფორმებია; თავისი თავის წარსულად აღიარება თავგანწირვაა, რომელიც თითქმის შეუძლებელია ცოცხალისათვის, ეს კატონის თვითმკვლელობაა. მიმავალ წესწყობილებას ახასიათებს სრული განვითარება, ყოველმხრივი გამოყენება, მტკიცედ გადგმული ფესვები გულში; ახალგაზრდული, პირიქით, მხოლოდ იწყებს აღმოცენებას, იგი თავდაპირველად საყოველთაო და განყენებულია; იგი ღარიბი და შიშველია, ძველი კი მდიდარია და ძლიერი. ახალი ოფლით უნდა შექმნა, ძველი კი თვითონ განაგრძობს არსებობას და მტკიცედ დგას ჩვეულების ყავარჯენზე. ახალი უნდა გამოვიკვლიოთ; იგი მოითხოვს შინაგან მუშაობას; მსხვერპლს; ძველი კი მიიღება უანალიზოდ, იგი გამზადებულია, — რაც დიად უფლებაა ადამიანთა თვალში; ახალს უნდობლად უცქერიან, მიტომ რომ მისი ნაკვთები ნორჩია, ხოლო ძველის ბერრეკ ნაკვთებს ისე შეეჩვევნ, რომ ისინი მარადიულად ეჩვენებათ. მოგონების ძალას, მომჯადოებლობას ზოგჯერ შეუძლია აჯობოს მომხიბლველი იმედით გატაცებას: რადაც არ უნდა დაჯდეს, მაინც წარსული უნდათ, მომავალს მასში ხედავენ.

ასეთია, მაგალითად, ივლიანე განდგომილი. მის დროს ძველი სამყაროს ყოფნა-არყოფნის საკითხი უკვე მკაცრად იყო დასმული; მისი არცოდნა შეუძლებელი იყო. სამი შესაძლო გადაწყვეტილება ისახებოდა: წარმართობა, ე. ი. ყოფილი, მოგონება; სასოწარკვეთილება, ე. ი. სკეპტიციზმი — არც ყოფილი, არც მომავალი, და, ბოლოს, ქრისტიანობის მიღება და, ამასთან ერთად, მომავალ სამყაროში შესვლა და მკვდართათვის მკვდრების დამარხვის უფლების დატოვება. ივლიანე მგზნებარე მეოცნებე იყო, ენერგიული სულის პატრონი; ჯერ უსაქმოდ მყოფმა, მთლად ბერძნულ მეცნიერებაში ჩაფ-

ლულმა, შემდეგ შორეულ ლუტეციაში[123] თანადროულობის მძიმე საკითხის გადაჭრით გართულმა, — ეს საკითხი წარსულის სასარგებლოდ გადაწყვიტა. შევნიშნავთ, სხვათა შორის, რომ არც ნეოპლატონიზმის ცენტრი, არც იულიანე ბიზანტიაში არ იყო; მათ შეეძლოთ გარდასულ ზნე-ჩვეულებებზე, ძველი წესწყობილების აღდგენაზე ეოცნებათ ახალი დედაქალაქის გარეთ, იმ ქალაქის გარეთ, რომლითაც კონსტანტინემ უარყო წარმართობა და ძველი დედაქალაქის ყოფაცხოვრება, რაც წარმართობასთან განუყრელად იყო დაკავშირებული. თეორიულად შესაძლებლად ჩანდა ყოფილის არათუ გაცოცხლება, არამედ გაცოცხლებასთან ერთად ბისი განათლებაც. იულიანე სასტიკი ზნე ჩვეულების მქონე და მეტად მამაცი ადამიანი იყო. მისი სახით ძველი სამყარო გაიწმინდა, განათდა. თითქოს შეგნებულად ემზადებოდა პატიოსანი და უსირცხვილო გარდაცვალებისათვის. მისი ნება მტკიცე, კეთილშობილური იყო, გონება გენიალური! ყოველივე ამაო გამოდგა! წარსულის გაცოცხლება პირდაპირ შეუძლებელი იყო. ცოტაა უფრო საზეიმო და დამამშვიდებელი სანახაობა, ვიდრე იულიანესთანა გიგანტების უძლურება დროის განწყობილების წინააღმდეგ; მათი ძალისა და მათი მოქმედების უძლურების მიხედვით ადვილად შეგვიძლია გავზომოთ მთელი უმწეობა დაუსამარებელი წარსულისა ახლად აღმოცენებული მომავლის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ათენისა და რომის მოგონებანი, სევდიანი და საყვედურის მეტყველი, ევლინებოდათ გატიალებულ კედლებზე და მძლავრად მოუხმობდნენ თავისკენ. რა თქმა უნდა, დასანანებელი იყო საუცხოო სამყარო, რომელიც სამარისკენ მიდიოდა, — ჩვენ, შორიდან რომ ვუყურებთ, ცრემლი გვერევა და გვებრალება იგი, მაგრამ რაღას იზამ მომხდარი მოვლენის წინააღმდეგ? მისი სიკვდილი ტრაგიკული ფაქტი იყო, რომლის მიუღებლობაც არ შეეძლოთ დაკრძალვის დამსწრე ადამიანებს. არ ვდავობთ: თავისებურად სევდიანი პოეზია მოსავს წარსულის ადამიანებს; არის რაღაც გულჩამწვდომი მათს უკან მიმავალ სამგლოვიარო პროცესიაში, მათს მარად

უშედეგო ცდებში — გააცოცხლონ მიცვალებული. გაიხსენეთ ებრაელები, რომლებიც დღემდე ელოდებიან ისრაელთა სამეფოს აღდგენას, რომლებიც აქამდე იბრძვიან ქრისტიანობის წინააღმდეგ... რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო სამწუხარო, ვიდრე ებრაელის მდგომარეობაა ევროპაში, — იმ კაცის მდგომარეობა, რომელიც თავის ირგვლივ არსებულ მთელ ფართო ცხოვრებას უარყოფს უმოძრაო გადმოცემათა საფუძველზე! იგი ვერავის გადაუშლის გულს, ვინაიდან ყველა მისი თანამგრძნობი საუკუნეთა წინათ მოკვდა; იგი სიძულვილითა და შურით შესცქერის ყოველივე ევროპულს, რადგან იცის, რომ არავითარი კანონიერი უფლება არა აქვს ამ ცხოვრების რაიმე ნაყოფის მიმართ და ამავე დროს არ შეუძლია გაძლოს, თუ ევროპეიზმის მოწყობილობა არ ექნა...

ყოველი მკვეთრი გადატრიალება თავის შემდეგ დიდხანს ტოვებს მტრული მხარეების წარმომადგენლებს. თქვენ იპოვნით ებრაულ გაქვავებულობას სენ-ჟერმენის გარეუბანშიც [124], ჩვენს ძველსა და ახალ სექტანტებშიც... ნეოპლატონიკოსები ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ; ისინი, როგორც ვთქვით, მთელი თავიანთი გაგებით, მთელი თავიანთი მოძღვრებით ანტიკური სამყაროდან გამოვიდნენ და მასთან ხელოვნურად აბამდნენ რაღაც ახლობელ ნათესაობას, რომელიც მათ სულში სრულიადაც არ ყოფილა; ისინი თავისებური რაციონალიზმით წარმართობის ალეგორიულ გამართლებამდე მივიდნენ და წარმოიდგინეს, რომ სწამთ ეს წარმართობა. მათ უნდოდათ რაღაც ფილოსოფიურ-ლიტერატურული სახით გაეცოცხლებინათ გარდასული ვითარება. ისინი თავიანთ თავს უფრო მეტად ატყუებდნენ, ვიდრე სხვებს. ისინი წარსულში, ნამდვილი რომ ითქვას, მომავალ იდეალს ხედავდნენ, ოღონდ წარსულის ტანისამოსით შემოსილს. მართლაც, შესაძლებელი რომ ყოფილიყო დიდი ხნის გარდასული ყოფაცხოვრების გამოცოცხლება ერთი წუთით, ნეოპლატონიზმის სრული აყვავების დროს, მისი თაყვანისმცემელნი შეძრწუნდებოდნენ მის წინაშე, არა იმიტომ, რომ იგი ცუდი

იყო თ ა ვ ი ს დროზე, არამედ იმიტომ, რომ მ ი ს მ ა დრომ უკვე განვლო; ვინაიდან იგი სრულიადაც არ წარმოადგენდა იმ გარემოს, რომელიც თანამედროვე ადამიანს ესაჭიროებოდა, — რას გააკეთებდნენ პროკლე და პლოტინი პუნიკური ომების სასტიკ ხანაში [125]. მაგრამ, მაინც, ყოფილით გატაცებული ადამიანები დიდად იტანჯებიან; ისინი ისევე გამოვიდნენ გარემოდან, როგორც ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ მომავლით ცხოვრობენ. ეს ტანჯვა აუცილებლად ახლავს ყოველ გადატრიალებას: უკანასკნელი ხანა ცხოვრების ახალ ფაზაში შესვლის წინ სამძიმოა, აუტანელია ყოველი მოაზროვნისათვის; ყველა საკითხი ნაღვლით მოცული ხდება, ადამიანები მზად არიან ყველაზე უფრო უაზრო გადაწყვეტილებები მიიღონ, ოღონდ დამშვიდდნენ; ფანატიკური რწმენა მიემართება გულცივი ურწმუნობის გვერდით, უგუნური იმედები ხელიხელჩაკიდებული — სასოწარკვეთილებასთან; წინათგრძნობა გულს ულევს კაცს, ადამიანი მოწყურებულია მოვლენებს, მაგრამ ისე ჩანს, რომ არაფერი ხდება *. ეს არის ყრუ, მიწისქვეშა მუშაობა, რომელიც დილის სინათლეს ეტანება, მტანჯველი ორსულობა სიმძიმილისა და წამების დრო; იგი ჰგავს ტრამალზე გადასვლას, უსიხარულოს, მომქანცველს: არც ჩრდილია, რომ დაისვენო, არც წყაროა, რომ გამოცოცხლდე; თან წაღებული ხილი დამპალია; გზად შეხვედრილი ხილი მკვახეა. საცოდავი შუალედური თაობანი — ისინი ჩვეულებრივ შუა გზაზე იღუპებიან, ციებცხელებიანი მდგომარეობით ღონემიხდილნი; ისინი, განწირული თაობები, რომელნიც არც ერთს, არც

* შეხედეთ, რა საშინელი სიტყვები აღმოხდებათ ზოგჯერ პლინიუსს, ლუკიანეს, სენეკას. ამ სიტყვებში იპოვნით თვითმკვლელობის აპოთეოზსაც, სიცოცხლის მწარე საყვედურსაც, სიკვდილის სურვილსაც, მერე რა სიკვდილისა—«მოსპობის იმედით სიკვდილისა»!—«სიკვდილი ერთადერთი ჯილდოა დაბადების უბედურებისა, და რაღაა მასში ცუდი, თუ მას უკვდავებისაკენ მივყავართ? მოკლებულნი იმ ბედნიერებას, რომ არ დავბადებულიყავით, ნუთუ ჩვენ მოკლებულნი ვართ მოსპობის ბედნიერებას?» («Hist. Nat.»). ამას ამბობს პლინიუსი. რამ დაღალა ამ ადამიანთა სული, რა სასოწარკვეთილებამ ჩაახრჩო ისინი.—ა. ბ. «Hist Nat.» — «Historia Naturalis»—«ბუნების ისტორია» (ლათ).—რ ე დ.

მეორე სამყაროს არ ეკუთვნიან, წარსულის ბოროტების მთელ სიმძიმეს ზიდავენ და მომავლის ყოველ სიკეთესაც მოკლებულნი არიან. ახალი სამყარო დაივიწყებს მათ, როგორც თავის სახლში მისული მხიარული მგზავრი ივიწყებს აქლემს, რომელიც მთელ მის ავლადიდებას მიეზიდებოდა და გზაში დავარდა. ბედნიერნი არიან ისინი, ვინც დახუჭა თვალები, როს დაინახა, თუნდაც შორიდან, აღთქმული ქვეყნის ბაღნარი; მეტი წილი ან გიჟურ ბოდვაში კვდება ან გულზე ჩამოწოლილ ცას შეჰყურებს თვალებმიშტერებული და მაგარ, გახურებულ ქვიშაზე მწოლარე... ძველმა სამყარომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ საუკუნეებში ამ ფიალის მთელი სიმწარე იგემა. ისტორიაში უფრო მძაფრი და უფრო ძლიერი გადატრიალება არ ყოფილა; ხსნა მხოლოდ ქრისტიანობას შეეძლო, ხოლო იგი ისე მკვეთრად დაუპირისპირდა წარმართულ სამყაროს, ისე აცამტვერებდა მის ყველა წინანდელ რწმენას, შეხედულებას, რომ ძნელი იყო ადამიანებისათვის ერთბაშად მოწყვეტოდნენ წარსულს. საჭირო იყო გარდაქმნილიყვნენ, სახარების სიტყვით, უარეყოთ ყოველი შენაძენი ჭეშმარიტება და წესი, — ეს უაღრესად ძნელი იყო; პრაქტიკული, ჩვეულებრივი სიბრძნე უფრო ღრმად იდგამს ფესვებს, ვიდრე თვით დადებითი კანონმდებლობა. ამავე დროს კი ახალი სამყარო მხოლოდ ასეთი განხეთქილებით შეიძლებოდა დაწყებულიყო; ნეოპლატონიკოსები რეფორმატორები იყვნენ, მათ უნდოდათ შეეთეთრებინათ და განეახლებინათ ახალი შენობა; მათ უნდოდათ ძველის დაუთმობლად გამოეყენებინათ ახალი, — და ეს მათ ვერ შეძლეს. «ვისაც მამა თვისი ჩემზე უფრო მეტად უყვარს, ის ღირსი არ არის ჩემი». ანტიკური აზრი ჯერ არისტოკრატიულად არ იცნობდა ქრისტიანობას; ხოლო როცა ჩასწვდა მას, — შეშინებული, ჩაება მასთან ბრძოლაში; მან ამოსწურა ყველა საშუალება, რომ უნაყოფოდ წინააღდგომოდა მას: ის ჭკვიანი იყო, მაგრამ უძლური და არათანადროული. ხუთ საუკუნეს გაუძლო მან; ბოლოს, 529 წელს იუსტინიანემ ყველა წარმართი ფილოსოფოსი განდევნა იმპერიის საზღვრებიდან და დახურა უკანასკნელი

ნეოპლატონიკური სკოლა; ძველი მეცნიერების შვიდი უკანასკნელი წარმომადგენელი სპარსეთს გაიქცა; სპარსელმა ხოსროომ [126] მათთვის გამოითხოვა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა, და ისინი დაიკარგნენ, ვით უცნობი მოხეტიალენი, მათ უკვე ვერ პოვეს თავისი აუდიტორიები [127]. რამდენიმე წლის შემდეგ საშინელი ჭირი გავრცელდა; თითქოს, ფიზიკური ელემენტები, თვითონ დედამიწის სფერო იღებს მონაწილეობას ამ ტრაგედიის უკანასკნელ აქტში; ასობით ადამიანი წყდებოდა, ქალაქები ტიალდებოდა, კრუნჩხვითა და ტკივილით იწურებოდა დარჩენილთა გული, — ამ კრუნჩხვაში კვდებოდა ძველი სამყარო. იმპერატორმა ლეონ ისავრმა სცადა მოესპო მისი სულიერი ანდერძი; მან დასწვა უზარმაზარი ბიბლიოთეკა ბიზანტიაში და აკრძალა სკოლებში სხვა რაიმეს სწავლება, გარდა რელიგიისა.

ახალმა სამყარომ, რომელიც ზეიმითა და ღრმამნიშვნელოვნად შეხვდა ძველ რომს კეისარ ნერონის წინაშე წარმდგარი პაულე მოციქულის სახით, გაიმარჯვა.

თქვენ შეგიძლიათ მისაყვედუროთ, რომ ბუნების შესწავლაზე წერას შეკპირდით და მე კი აქამდე ყველაზე ნაკლებად ბუნებისმეტყველებაზე ვლაპარაკობდი, — მაგრამ თქვენი საყვედური არა მგონია სამართლიანი იყოს. ჩემი წერილების მიზანი სრულიადაც არ არის ის, რომ გაგაცნოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაქტიურ ნაწილს, — მე ერთი რამ მსურდა: შეძლებისამებრ მეჩვენებინა, რომ ანტაგონიზმი ფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებას შორის დღითი დღე სულ უფრო უაზრო და შეუძლებელი ხდება; რომ იგი ურთიერთგაუგებლობას ემყარება, როგ ემპირია ისევე ჭეშმარიტი და ნამდვილია, როგორც იდეალიზმი, რომ სპეკულაცია მათი ერთიანობაა, მათი შეერთებაა. განზრახული მიზნის მისაღწევად მე საჭიროდ მიმაჩნდა* ცხადმეყო, თუ საიდან განვითარდა ბუნებისმეტყველებისა და ფილოსოფიის ანტაგონიზმი, ეს კი თავისთავად იწვევდა საერთოდ მეცნიერების განსაზღვრას და მის ისტორიულ მიმოხილვას. ლოგიკაში მეცნ-

* იხ. მეორე წერილის დასაწყისი. — ა. ბ.

ნიერება ზეაზარეული გამოდის, როგორც შეიარაღებული პალადა იუპიტერის თავიდან; მას შობა და ბავშვობა აკლია; ისტორიაში იგი ოდნავ წესამჩნევი ჩანასახიდან იზრდება. თუ არ ვიცით მეცნიერების ემბრიოლოგია, თუ არ ვიცით მისი ბედი, ისე ძნელია გავიგოთ მისი ახლანდელი მდგომარეობა; ლოგიკური განვითარება ისე ცოცხლად და აშკარად ვერ გადმოგვცემს მეცნიერების მდგომარეობას, როგორც ისტორია. ლოგიკა ყველაფერს მარადისობის თვალსაზრისით უყურებს, — ამიტომაც ყოველივე შეფარდებითი და ისტორიული მასში იკარგება. ლოგიკა, უაზრობას რომ ცხადყოფს, ფიქრობს, რომ მან მოხსნა ეს უაზრობა; ისტორიამ იცის, თუ რა მაგარი ფესვებით შეზრდია უაზრობა მიწას, და მხოლოდ მას შეუძლია ნათლად გადაშალოს ახლანდელი ბრძოლის მდგომარეობა.

მაგრამ საყვედური სხვა მხრივაც უსამართლო იქნებოდა; ჩვენ მხოლოდ ანტიკურ სამყაროზე ვილაპარაკეთ, ხოლო ანტიკურ სამყაროში მთელი მეცნიერული განვითარება ფილოსოფიაში იყო თავმოყრილი. სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, ანტიკურ ქვეყანას ბუნების მეცნიერება არა ჰქონდა; მასში იყო კეთილშობილური მისწრაფება ყველაფერი შეეტყო, აეხსნა მოვლენები, გაეგო გარემო; პლინიუსი ამბობს, რომ ბუნების უცოდნელობა საზიზღარი უმადურობაა; მაგრამ ანტიკური ბუნებისმეტყველნი უფრო ხშირად კმაყოფილდებოდნენ ამ კეთილშობილური მისწრაფებით და ზერელე თეორიებით. ანტიკურმა ქვეყანამ არ იცოდა დაკვირვების წარმოება, არ იცოდა მოვლენათა გამოცდა და დაკითხვა; ამიტომაც მისი ბუნებისმეტყველება შედგებოდა ზოგადი შეხედულებებისაგან, რომლებიც გასაოცრად უტყუარი იყვნენ და კერძო, მეტწილად ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ცუდად გამოკვლეული ფაქტებისაგან შედგებოდნენ*; მისთვის მეცნიე-

* ბუნებისმეტყველების ერთი დარგი, რომელიც მათემატიკასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და უნებლიეთად აძლევს დაკვირვებას, — ასტრონომია განვითარდა ყველაზე უფრო მეცნიერულ ფორმად ჰიპარქესა და პტოლომეების დროს; ამიტომაც გაძლო «ალმაგესტამ» თვით კოპერნიკამდე. — ა. ბ.

რება იყო დილეტანტიზმი, მხატვრული მოთხოვნილება, და არა მწველი წყურვილი ჭეშმარიტებისა; ამიტომაც პლინიუსში, ისევე როგორც ლუკრეციუსში, ბუნებისადმი თანაგრძნობა და მისი პოეტური ჭვრეტა ჭარბობდა. პლინიუსის «Historia Naturalis» ყოველ ნაბიჯზე იძლევა მაგალითებს: ცის აღწერას რომ იწყებს, იგი მზისადმი იტალიელისათვის დამახასიათებელი სიყვარულით ჩერდება მასზე და უწოდებს მას ყოვლისმხილველ და ყოვლისმსმენელ ღვთაებას. ყოვლისმაცოცხლებელ ღვთაებას, დარდიანი ფიქრების გაქარვებელ ღვთაებას; მიწას რომ მიმართავს, — კვლავ შთაგონება (და რამდენიმე ლამაზი სიტყვა): იგი მას უწოდებს უწყინარ და მოწყალე დედას, რომელიც გვასაზრდოებს, გვიცავს, დასაყრდენს გვაძლევს და სიკვდილის შემდეგ თავის წიაღში ფარავს ხრწნად ნეშტს. «ჰაერი ქარიშხლის დროს ღრიალებს და ღრუბლებად იკუმშება, წყალი წვიმად იღვრება, სეტყვად იყინება, ნაკადებად მიედინება, ხოლო მიწა—at haec benigna, mitis, indulgens usuique mortalium semper ancilla, quae coacta generat! * მას ყველა ჩვენს გასაჭირზე პასუხი აქვს; მან შხამიანი მცენარენიც კი წარმოშვა, რათა ადამიანს, რომელსაც სიცოცხლე მობეზრებია, შეეძლოს ადვილად შეწყვიტოს იგი, ისე რომ კლდეებიდან არ გადაიჩეხოს («Histor. Natur.», II, Lib. LXIII)**.

არა შესწავლა ბუნებისა, არამედ მისი პოეტური გაგებით დატკბობა—აი რა სწადდათ ანტიკურ მოაზროვნეებს. თუმცაღა, უკან რომ მივიხედავთ, ჩვენ ვხედებით, როგორც დიად გამონაკლისს, იმავე ვეებერთელა ადამიანს, რომელიც ყველაფრით დიდი წარმომადგენელია ანტიკური სამყაროსი,—არისტოტელეს. მის ზოგად შეხედულებას ბუნებაზე ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ იგი დიდია როგორც დამკვირვებელიც,— მან საუცხოო მონოგრაფიები დაგვიტოვა. ცნობილია, რომ

---

* «მოკვდავთა უხვი, უწყინარი, მოწყალე, მუდმივი მონა, რომელიც ძალდატანებით აწარმოებს!» (ლათ.). — რ ე დ.

** «ბუნების ისტორია», წიგნი მეორე, თ. 63. — რ ე დ.

ალექსანდრე მაკედონელი თავის ლაშქრობისას არ ივიწყებდა მეომართა მთელი რაზმები წარევლინა მხეცების დასაჭერად და დაჭერილ მხეცებს არისტოტელეს უგზავნიდა; ამრიგად, არისტოტელე პირველი მუშაობდა შედარებითს ანატომიაში; იგი უკვე ფიქრობდა ცხოველთა სამეფოს განვითარების მწყობრ რიგზე; მის მიერ გატარებული დაყოფა, როგორც ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, დღევანდლამდე დარჩა. არისტოტელეს შეხედულება ბუნების მეტყველებაში, ისევე როგორც ყველგან, სპეკულატურია და უაღრესად რეალური; როდესაც არისტოტელე, ბუნებას პროცესად, მოქმედებად მიიჩნევს, რომელიც ახორციელებს მასში მოქცეულ შესაძლებლობას, იგი ერთნაირად შორსაა პლატონის იდეალურობისაგანაც და ეპიკურეს მატერიალიზმისაგანაც, თუმცა მასში ორივე ეს ელემენტი არის. მის მიმდევრებში, რომლებიც განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებაში მუშაობდნენ, უკვე შესამჩნევად სჭარბობს მატერიალიზმი. ასე, მაგალითად, სტრატონი ცდილობდა ყოველივე არსებული მარტო ფიზიკური საშუალებებით აეხსნა; იგი უარყოფდა ყოველგვარ ბუნებისმიღმურ მიზეზს; სამყაროს მიზანშეწონილობა მას გამონაგონად ან, ყოველ შემთხვევაში, დამამტკიცებელ საბუთებს მოკლებულ გულვიბად მიაჩნდა. ყველა მოვლენასა და მათ კავშირს იგი თვლიდა ბუნების იმ ძირითად თვისებათა შემთხვევითი ურთიერთქმედების შედეგად, რომლებსაც მარადი მატერია შეიცავს. გრძნობათა სამყაროც სწორედ ასევე გამოვლინებაა ბუნებრივი ძალისა, რაც განსაკუთრებულად განსაზღვრულია ორგანიზმში, რომლის ნივთიერი ელემენტები თავდაპირველად უმიზნოდ შეერთდნენ და რომლებმაც შემდეგ გამოიყენეს შექმნილი პირობები, რათა შესაძლო ფარგლამდე განვითარებულიყვნენ; ორგანიზმი, ამ ფარგალს რომ მიაღწევს, კი არ ვითარდება, არამედ იმეორებს თავის თავს გვარის შესანარჩუნებლად *. ყველაზე სრულყოფილი

---

* Buhle, Geschichte der Phil. seit der Wiederherstellung der Wissenschaften, 1800, T. I.—ა. ბ.

წარმომადგენლები ამ შეხედულებისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ბერძენი ნატურალისტების საერთო შეხედულებად იქცა, შეიძლება იყვნენ ლუკრეციუსი და პლინიუს-უმცროსი. ბერძნული აზრი ზოგიერთ დარგში უფრო ზოგადი და უფრო ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც რომაულ ნიადაგზე გადავიდა. ლუკრეციუსი თავისი სახელგანთქმული პოემის «De rerum natura»-ს დასაწყისში ისეთივე ირონიით ლაპარაკობს ბერძენ ფილოსოფოსთა სიბნელეზე, როგორითაც ახლა ფრანგები გერმანულ მეცნიერებაზე ლაპარაკობენ. მართლაც, ლუკრეციუსი ნათელია და წარმტაცი; მასში ეპიკურეული შეხედულება მომჭიფდა პოეტის ცეცხლოვანი სისხლით გამთბარი და საუცხოოდ გაიფურჩქნა. პირველი შეხედვით უცნაურად გეჩვენებათ პოეზიის შეხამება ეპიკურეულ მატერიალიზმთან, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ამ კაცს, მხურვალე გულითა და რეალური ვნებით დაჯილდოებულს, უნდა მოეხდინა არჩევანი მომაკვდავ წარმართობასა, ნეოპლატონიკოსების ბნელ ასკეტიზმსა და მაშინდელი მატერიალიზმის თავისუფალ შეხედულებას შორის. მითოლოგიის ზღაპრები ლამაზია და საამო, განსაკუთრებით ჩვენთვის, რომლებმაც ვიცით, რომ ეს ზღაპრებია; ლუკრეციუსის დროს ისინი საზიზღარნი ხდებოდნენ; წარმართობისათვის წინააღმდეგობის გაწევა მოდაში იყო და კარგ ტონად ითვლებოდა; ამაოდ სწადდა ციცერონს მჭევრმეტყველურად ტალეირანისებრ გაეელო ფილოსოფიასა და წარმართობას შორის, შეერიგებინა ისინი გარეგნულად და მოეხდინა მათი ძალდატანებითი და შეუძლებელი შეუღლება; იულიუს კეისარმა სენატის სხდომაზე აშკარად თქვა, სულის უკვდავება არ მწამსო, ხოლო შემდეგ სენეკამ გაიმეორა ეს სცენიდან. ცნობილია, თუ რა სასტიკი იყო მოსაზრებათა მიმართ ძველი ბერძნულ-რომაული სამყარო, მეტადრე ლუკრეციუსის დროს; მის მერე ნახევარი საუკუნის შემდეგ კეისრები მიხვდნენ, რომ მათთვის საჭიროა მთელი თავიანთი ძალაუფლებით მხარი დაუჭირონ წარმართობას. კალიგულა იმავე სენატში ლაპარაკობდა საიდუმლო მოჩვენებებზე და კერპთა მხურვალე

თაყვანისმცემელი იყო, ლაპარაკობდა მთვარის მიერ მისთვის დანიშნულ rendez-vous-ზე* და სხვა; ელიოგაბალი—უფრო მეტად.

ლუკრეციუსი à la Hegel** იწყებს არსით და არარსით როგორც ქმედითი საწყისებით, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ და თანაარსებობენ; ეს ლოგიკური აბსტრაქციები მას ატომისტების ენით აქვს გამოთქმული: ატომები და სიცარიელე—აი პოლუსები, აი უკიდურესობანი, რომელნიც წონასწორობას ესწრაფვიან. ატომები დაექანებიან უსასრულო სიცარიელეში, ერთმანეთს ხვდებიან, ერთად დაქრიან, ერთიმეორესში შეერწყმიან, სხეულებად ერთდებიან იმ დროს, როცა სხვები განუზომელ სიცარიელეში იკარგებიან***. მთელი სამყაროები ჩნდებიან, სადაც არის აღმოცენების პირობები, და იღუპებიან სამყაროები იქ, სადაც ეს პირობები დარღვეულია; მაგრამ ეს დაღუპვა და ეს აღმოცენება მხოლოდ ნაწილებს ეხება, მთელი არსებულის ერთობლიობა კი, რომელიც ყოველივეს მოიცავს, მარადია და უსასრულო: «გასროლილ ისარს შეუძლია მთელ საუკუნეებს იფრინოს და მაინც ისე შორს იყოს სამყაროს დასასრულისაგან, როგორც პირველ წუთს, როცა იგი გაისროლეს»; სამყარო ამ სახეცვლილებებში ცოცხლობს, ეს არის მისი სიცოცხლე, მისი განვითარება, რომელნიც სწორედ მის მიზანს შეადგენენ. უმანკო ფიზიკური უმეცრება ზოგჯერ უნებლიეთ ღიმილს იწვევს, როცა ლუკრეციუსს კითხულობ, რომლის შეხედულებათა მცდარობა და სისწორე უკვე აშკარაა ნათქვამიდან; მაგრამ უფრო ხშირად იგი გიტაცებთ იმ მგზნებარებით, რომელიც

---

* პაემანი (ფრანგ.). — რ ე დ.

** ჰეგელისებურად (ფრანგ.). — რ ე დ.

*** აქ უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური მოაზროვნეები ძალიან ცუდი ქიმიკოსები იყვნენ (თეორიული მნიშვნელობით); მაგრამ ესინი წინასწარ ხედავდნენ და ხვდებოდნენ ქიმიურ მსგავსობას; მათ ესმოდათ, რომ გარკვეული ნივთიერებანი ზოგიერთს უერთდებიან, სიმპათიას გრძნობენ მათდამი, სხვა ნივთიერებებთან კი არ ერთიანდებიან (ჰომეომერიები). — ა. გ.

მთელ პოემაში ელვარებს; ასეთ თანაგრძნობას სიცოცხლისადმი ლუკრეციუსიდან მოყოლებული გოეთემდე ვერ შევხვდებით. ესეცაა, მხოლოდ ანტიკურ სამყაროში შეიძლებოდა თავში მოსვლოდათ და ასე განეხორციელებინათ აზრი იმის შესახებ, რომ კოსმოლოგია და ფიზიკა პოემით, ლექსებით გადმოეცათ! ეს იმიტომ, რომ ისინი სწორედ პლასტიკური მხრით უყურებდნენ ყოველივეს, მით უფრო — ბუნებას. სიცოცხლის სიყვარული, დატკბობის სიყვარული და ბრძნული ზომიერება მათში, სიკვდილის არად მიჩნევა * და რაღაც ძმურ-ნათესაური შეხედულება ყოველივე ცოცხალზე — აი ლუკრეციუსის ფილოსოფია. იგი გადაეშვა ფიზიკაში, რადგან წარმართობა თავისი ფატუმითა და თავისი საეკვო ყოფაქცევის ოლიმპიელებითურთ მას ვერ აკმაყოფილებდა; იგი ყოველ სიმღერაში ზეიმით აცხადებს, რომ ეპიკურე უდიდესი ბერძენია, — რომ ეპიკურეთი დაიწყო ზნეობა — ზნეობა შეგნებული, ადამიანური, რომელსაც ხელს უშლიდნენ წარმართული რელიგიის ყოველგვარი მოჩვენებანი **; რომ მას შემდეგ ზნეობას საზომი აქვს თვითონ ადამიანში და სხვა. ამ თვალსაზრისზე რომ დადგა, იგი, თავისი ცეცხლოვანი გულით გახელებული, რა თქმა უნდა, ყოველგვარ უკიდურესობამდე მიდის, მაგრამ გზად უამრავ საუცხოო რამეს ხვდება და გამოთქვამს. ლუკრეციუსის პოემის ერთ-ერთი საუცხოო ადგილია მისი გეოგონია; ის მოგვითხრობს პლანეტის განვითარებას სტიქიური ბრძოლისაგან იმ გათანასწორებულ მდგომარეობამდე, როცა მცენარეები გაჩნდა; შემდეგ ა ი ძ უ ლ ე ბ ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ განვითარებულ მცენარეება მოწყენილობა იგრძნონ მიწაზე თავიანთი მიჯაჭვულობის გამო და ღეროს მოწყდნენ, ეს ცხოვე-

---

*ლუკრეციუსი მომაკვდავთა სანუგეშოდ, სხვათა შორის, ამბობს, რომ ყველა მიცვალებული თანატოლია, ვინაიდან მათთვის დრო არ არსებობს. — ა. გ.

** გაიხსენეთ ავგუსტინეს De Civitate Dei-ს მჭევრმეტყველური გვერდები და მის მიერ წარმართული რელიგიის მთელი ამაოებისა და არათანმიმდევრობის, მისი ზნეობის მთელი სიმახინჯის მხილება. — ა. გ. De Civitate Dei — ღვთიური სახელმწიფოს შესახებ (ლათინ.). — რ ე დ.

ლია; და, დასასრულ, ადამიანი, რომელიც პირდაპირ მიწიდან იშვა ღეროზე. თუმცა ყოველივე ეს რამდენადმე სასაცილოა, მაგრამ უფრო პოეტურად ძნელია წარმოიდგინო მცენარეთა გადასვლა ცხოველებად, ვიდრე წარმოიდგინო ყვავილი, რომელიც ღეროს მოწყდა და პეპელად აფრინდა. დაიხსომეთ, რომ ლუკრეციუსი ამასთან აღნიშნავს, რომ ორგანული სიცოცხლის აღმოცენების აუცილებელი პირობებია სითბო და ტენი. იგი სულის უკვდავებას უარყოფს და აღიარებს რაღაც ეთეროვან სულს, რომელიც ისე მსუბუქი და თხელია, რომ, როგორც კი გაფრინდება, უსასრულო სიცარიელეში დაიკარგება; მისი შემადგენელი ნაწილები სხვადასხვანაირია; ასე, ლომის სულმა ცეცხლი შეითვისა, ირმისამ—ცივი ქარი! ახლა დედამიწა ბერდება, და ამიტომ მან დაკარგა ახალ გვარეობათა წარმოშობის უნარი, იგი მხოლოდ წინანდელ გვარეობებს იცავს. მან ისინი თავის სიქაბუკეში წარმოშვა, როცა მის შიგნით ძალები ჭარბად დუღდა; მაშინაც კი ჩნდებოდნენ მახინჯი არსებანი, რომლებსაც შემდეგ ბუნებამ სიცოცხლის უფლება წაართვა (მაშასადამე, ლუკრეციუსი ამონათხარ ცხოველებს გულისხმობდა?).

პლინიუსის «Historia Naturalis» ბუმბერაზულად მოსაზრებული და შესრულებული ენციკლოპედია, წარმოადგენს კოსმოლოგიურ, ფიზიკურ, გეოგრაფიულ და სხვა ცოდნათა საერთო კრებულს. ეს თხზულება გვიჩვენებდა საზღვარს, რომელსაც ბუნების ცოდნა არ გასცილებია რომაულ სამყაროში, მის შემდეგ გალენი რომ არ გაჩენილიყო; მაგრამ გალენი მხოლოდ და მხოლოდ მედიცინაში მუშაობდა და ამიტომ მისი აღმოჩენანი, გარდა საკუთრივ პათოლოგიურისა, მთლიანად ფიზიოლოგიასა და ანატომიას ეკუთვნიან; გალენამდე ნერვულ სისტემაზე მიტად დაბრეული წარმოდგენა ჰქონდათ, ხშირად ნერვებს უწოდებდნენ იოგებს, ხმელ ძარღვებს. დასასრულ, ´იმ შემთხვევებშიც კი, როცა ნერვებს შეიცნობდნენ, ამ ნერვებს არასწორად და ბუნდოვანად მიაწერდნენ მათს ფუნქციებს. გალენმა პირველმა გვიჩვენა, რომ ნერვები ტვინიდან მომდინარეობენ, რომ ნერვებში და ტვინშია

მგრძნობელობის მთელი მიზეზი, რომ ნერვი თავისი ნებით აიძულებს კუნთებს შეიკუმშონ და, მაშასადამე, წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოძრაობას განაგებს. ეს მან იმით დაამტკიცა, რომ კუნთები მოძრაობის თვისებებს კარგავენ, თუ მმართველ ნერვს გადასჭრი, და სახელდობრ, დაკარგავენ სწორედ გადაჭრილი ადგილის ქვემოთ, ე. ი. იმ ნაწილში, რომელიც გამოცალკევებულია ტვინისაგან. მას შემდეგ სულის, ე. ი. მისი ადგილის ძებნა იწყეს მხოლოდ და მხოლოდ თ ა ვ ი ს ტ ვ ი ნ შ ი*. პლინიუსის შეხედულება საზოგადოდ იმავე საწყისებიდან გამომდინარეობს, რა საწყისებიდანაც—ლუკრეციუსის შეხედულება, მაგრამ იგი უფრო მდიდარია ცნობებით და უფრო თანმიმდევარია თავის შეხედულებაში; მისი შეხედულება მის მიერვეა ამომწურავად განსაზღვრული. «სამყარო,—ამბობს იგი,—ცასთან ერთად, რომელიც მას ყოველი მხრიდან ფარავს, არის მარადი და უსაზღვრო არსება, რომელიც არც წარმოშობილა და არც მოისპობა. იმის კვლევა, რაც სამყაროს გარეთაა, ადამიანებისათვის უსარგებლოა და, გარდა ამისა, არც ადვილად გასაგებია ადამიანის გონებისათვის; სამყარო არის წმიდა, მარადიული, განუზომელი, ყოველივე ყველაფერში, ყოველივე თვითონ. ის სასრულოვანია და ჰგავს უსასრულოს, სწორია ყველა თავის მოვლენაში და ჰგავს სისწორეს მოკლებულს (აუცილებელია და, ალბათ, შემთხვევითია); იგი მოიცავს ყოველივეს, სინათლეზე ხილვადს და სიბნელეში დაფარულს; იგია საგანთა არსის ქმნილება და ამავე

---

* გალენმა პირველმა შეამჩნია, რომ არტერიები გავსებულია სისხლი და არა ჰაერით; გვამთა განკვეთისას, რა თქმა უნდა, არტერიები ყოველთვის ცარიელი იყო, და გალენამდე ფიქრობდნენ, რომ მათში ჰაერი მიმოქცევა. სხვათა შორის, გალენი ამბობს: «ადამიანები რომ შეძლებდნენ ჰაერის შემადგენლობის გაგებას, — მაშინ აიხსნებოდა ცხოველის სიკვდილი: წ ვ ა ს ი გ ი ვ ე უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს, რ ა ც ს ი ც ო ც ხ ლ ე ს». ეს ჟანგბადის წინასწარ განჭვრეტაა. XVI საუკუნეში ციზალპინმა განიზრახა დაემტკიცებინა, რომ ნერეული სისტემის ცენტრი გულშია, ციზალპინი კი მეტისმეტად განსწავლული ექიმი იყო. აი როგორი იყო შუა საუკუნეები. ბუნებისმეტყველებისათვის! — ა. გ.

დროს თვითონ საგანთა არსი». მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს პლინიუსს მეტად ღრმააზროვნულად ესმოდა ის, რაც ასე პოეტურად იყო გამოთქმული. იგი დიდად ჩამორჩება არისტოტელეს,—აზრმა თავისი სიახლე და სიცხადე დაკარგა, იგი ერთობ რიტორიკული ფორმებით შეიმოსა, ერთობ გარეგნული იყო. პლინიუსი,— მაგალითად, ვერ გებულობს პითაგორელთა და არისტოტელეს გადაკვრით ნათქვამს მიზიდულობის შესახებ, არამედ ამბობს, რომ მსუბუქი სხეულები მაღლა მიისწრაფვიან, მძიმე სხეულები კი— დაბლა, ხელს უშლიან ერთმანეთს და ურთიერთ უკუქმედების გამო წონასწორობაში რჩებიანო: ასე, დედამიწის სფერო იმიტომ არ ეცემა, რომ მას ატმოსფერო იმაგრებს. როგორ შეეძლო მის ფართო გონებას ასეთი უბადრუკი ახსნით დაკმაყოფილებულიყო,—ეს ისევე გაუგებარია, როგორც ხვადასხვა ანეკდოტები, რომლებიც მას მოჰყავს საქმიან ზოოლოგიურ აღწერილობასთან ერთად, მაგალითად, ehineis თევზზე, რომელიც ხომალდებს აჩერებს თავისი კუნთების მოქმედებით, ანდროგინებზე, რომლებიც სქესიდან სქესში გადადიან, ქალებზე, რომლებმაც სპილო შობეს, ასტომებზე, რომლებიც ჰაერით საზრდოობენ. ანტიკური ადამიანები ბავშვური მიმნდობელობით უჯერებდნენ ცდასაც და გადმოცემასაც, ფაქტობრივ სამყაროს ისეთსავე სინამდვილედ თვლიდნენ, როგორც აზრის სამყაროს, როგორც ტრადიციულ სამყაროს, და ლეგენდებს ფაქტების წყებაში აქცევდნენ. ნართლაც, ყოფიერებისა და აზროვნების, ფაქტისა და ცნების ერთიანობა შეადგენდა მათს უშუალო რწმენას, რაც ხელს უშლიდა რეფლექსიასა და ანალიზს, შეუძლებელს ხდიდა ჭეშმარიტი მეცნიერების წარმოშობას, და სავსებით დამახასიათებელი იყო არტისტული დილეტანტიზმისათვის; სწორედ ამიტომაა, რომ ისინი ასე ხშირად ურევენ ემპირიას დიალექტიკაში, ცდას გადმოცემაში, ერთ დაფაზე ათავსებენ მათ და თვითნებურად გადადიან ერთიდან მეორეზე.

1844 წ. დეკემბერი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ᲡᲥᲝᲚᲐᲡᲢᲘᲙᲐ

ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ-ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲩᲜᲐᲙᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲜ ᲔᲠᲗᲡ, ᲮᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲝᲛᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲜᲘ, ᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲜᲔᲜ. ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ ᲡᲝᲙᲠᲐᲢᲔᲓᲐᲜ, ᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔᲪ ᲙᲘ, ᲘᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓᲐ ᲛᲝᲔᲮᲡᲜᲐ ᲔᲚᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲐᲚᲛᲮᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠ ᲠᲐᲛᲔᲨᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲙᲐᲚᲘᲡ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲡᲐᲪ ᲘᲒᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ ᲒᲐᲡᲪᲘᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲘ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲪᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲘᲜᲔᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐ; ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲐ ᲤᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲮᲡᲜᲘᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲛᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲰᲧᲐᲕᲓᲐ; ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲥᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲜ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲐᲠᲡᲗᲐᲜ; ᲙᲚᲐᲕᲓᲘᲣᲡᲘᲡ ᲐᲜ ᲜᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲡ ᲣᲠᲔᲕᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ, ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲗᲔᲘᲖᲛᲘ ᲘᲧᲝ. ᲫᲕᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲑᲘᲚᲬᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲣᲐᲖᲠᲝ ᲞᲐᲠᲝᲓᲘᲘᲗ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲐᲠᲐᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲘᲐ, ᲪᲑᲘᲔᲠᲘᲐ, ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢ-ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲠᲔᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ, ᲓᲐ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲡ ᲡᲪᲔᲛᲓᲜᲔᲜ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲖᲔᲓᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲘᲒᲘᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲑᲠᲑᲝ ᲔᲑᲚᲐᲣᲬᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲡ; ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ: ᲑᲠᲑᲝᲡ ᲔᲡᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲝᲓᲐ: ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲬᲔᲕᲓᲐ ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲝᲑᲐ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲣᲐᲠᲔᲧᲝ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ, ᲐᲜᲓᲐ ᲠᲘᲡ �გᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲐᲓᲜᲘ-

ერება წარმოშობილიყო? რომაული ცხოვრების შიგნით» შეიძლებოდა გაჩენილიყო სექსტ-ემპირიკოსის დარდიანი, კაეშნიანი უარმყოფელობა, ლუკიანეს მქირდავი, ღვარძლიანი, პლინიუსის გულკივი განათლებული უარყოფა, ბოლოს, გარყვნილებისა და გულგრილობის, იმ სულიერი სიცივისა და გრძნობადი ცეცხლის უარმყოფელობა, რომელსაც არაფერი ესაქმება რელიგიურ და სამოქალაქო წესწყობილებასთან, მაგრამ, რომელიც ცრემლებსა ღვრის გარდაცვლილი მურენის[128] გამო და ტაშს უკრავს მომაკვდავ გლადიატორს და ტუჩებთან მიაქვს ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი, ე. ი. ამ წუთს მსუფევი კეისრის გამოსახულება. უარყოფა განმაახლებელისა და შემოქმედისა რომაულ ცხოვრებაში არ ყოფილა ან მხოლოდ ქრისტიანობის მიღების შესაძლებლობაში იყო.

ქრისტიანობა ძველი ვითარების სრულიად საწინააღმდეგო რამეს წარმოადგენს; ეს არის არა ის სანახევრო და უძლური უარყოფა, რაზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ*, არამედ ძლიერებით, იმედით აღსავსე, აშკარა ულმობელი და თავის თავში დარწმუნებული უარყოფა. აიღეთ ავგუსტინეს «De Civitate Dei» და პირველი ქრისტიანი მწერლების პოლემი-

---

* შეადარეთ შ ე მ ო ქ მ ე დ ი ნგრევა ნეტარი ავგუსტინესი ძველი სამყაროს esprits forts-თან ან მათს სასოწარკვეთილ კბილთა ღრჭენასთან. პლინიუსი, მაგალითად, ამბობს, ადამიანთა ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ღმერთებიც არ აძლიან ყოვლისშემძლენი, რომ მათ არ შეუძლიათ თავისი თავი მომაკვდავებად აქციონ, ადამიანები — უკვდავებად, არც ის შეუძლიათ, რომ წარსული არ იყოს, რომ ორჯერ ათი ოცი არ იყოს. იგი მწარე ყვედრებით შენიშნავს, რომ ადამიანებმა, რომლებსაც ოლიმპო ვერ აკმაყოფილებდა და ძალაც არ შესწევდათ ის უარეყოთ, გამოიგონეს ახალი ბორკილები, თავი დახარეს ახალგანყენებულ საშინელებათა წინაშე — შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ს ა დ ა ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს წინაშე, და ისინი ცახცახებენ საკუთარ გამონაგონთა წინაშე. ლუკიანე იმ ეპოქის ვოლტერია, აიღეთ, მაგალითად, „მისი ტ რ ა გ ი კ უ ლ ი ი უ პ ი ტ ე რ ი, ეს კომედია buffa ოლიმპოზე. ის წარმოადგენს იუპიტერს, რომელიც დაბნეულია იმ დავისაგან, რასაც ღმერთების უარმყოფელი ეპიკურელი სტოიკოსთან აწარმოებს; იუპიტერმა არ იცის რა ქნას, და თათბირს მართავს. იწყება დავა. თუ ვინ სად უნდა დაჯდეს. იუპიტერი ბრძანებს, დასვან ოქროს ღმერთები,

კური თხზულებანი, — აი როგორ უნდა უარყო ძველი და დრომოჭმული; მაგრამ ასე შეგიძლია უარყო, როცა გაქვს ახალი, როცა გაქვს წმინდა რწმენა. წარმართული სამყაროს სათნოებანი ბრწყინვალე ბიწიერება იყო ქრისტიანის თვალში; ქანდაკებაში, რომლის სილამაზის წინაშე ბერძენი თავს იხრიდა, იგი ავხორცულ სიშიშვლეს ხედავს; ის უარს ამბობს საუცხოო ბერძნულ ტაძარზე და თავის საკურთხეველს, ბაზილიკაში ათავსებს, ოღონდ არ ემსახუროს ჭეშმარიტ ღმერთს იმ კედლებში, რომლებშიც ყალბ ღმერთებს ემსახურებოდნენ. სიამაყის ნაცვლად ქრისტიანი თავს იმდაბლებს, სიმდიდრის მოხვეჭის ნაცვლად ის ნებაყოფლობითს სიღატაკეს ირჩევს; ავხორცობით განცხრომის ნაცვლად იგი გაჭირვებით ტკბება *. ქრისტიანობა ანტიკური სამყაროს თეზისის პირდაპირი, მკეთრი ანტითეზისი იყო. ბევრს წარმოუდგენია, რომ უკანასკნელი სამი საუკუნე ისევე დაშორებულია შუა საუკუნეებს, როგორც შუა საუკუნეები—ანტიკურ სამყაროს; ეს მართალი არ არის:

შემდეგ მარმარილოსი, ამასთან ჯერ პრაქსიტელეს ნამუშევარი, შემდეგ სხვა ოსტატებისა. ნეპტუნი იქვე აცხადებს, რომ იგი არ დაჯდება რომელიმე ეგვიპტური, ძაღლის დრუნჩიან ოქროს გონჯის ქვემოთ. ნაბრძანებია უხარისხებოდ იყვნენ. უცბად ბრაგაბრუგითა და ჭახაუხით მობაჯბაჯებს როდოსელი კოლოსი [129] და ამბობს, რომ, თუმცა იგი სპილენძისაა, მაგრამ მას მეტი სპილენძი მოუნდა, ვიდრე ოქრო ზოგ ოქროს ღმერთს. ვიდრე ისინი ჩხუბობენ და ვიდრე იუპიტერი შეაგროვებს სულელურ აზრებს, რომელთა შორის გამოირჩევა ოლიმპოელი მქირდავის ჰერკულესის აზრი — ნება მომეცით შევარყიო იმ ტალანის სვეტები, რომლის ქვეშ კამათი წარმოებს, — ეპიკურელი ამარცხებს სტოიკოსს, და ოლიმპო მშრალზე დარჩება. შეიძლებოდა შეერყიათ წარმართობა, მეტადრე ადამიანთა გარკვეულ წრეში, ასეთი მწარე დაცინვით, მაგრამ ასეთი უარყოფა სიცარიელეს ტოვებდა სულში. და მერე, იგივე ადამიანები, რომლებიც წარმართობას გმობდნენ, იდეალს ხედავდნენ ანტიკური ქვეყნის სოციალიზმში; ამ ადამიანებს სურდათ შეენარჩუნებინათ რომი და საბერძნეთი მათი ცალმხრივი და რელიგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული სამოქალაქო წყობილებითურთ. — ა. გ.

* გამოთქმა, რომელიც ეკუთვნის გრიგოლ ნაზიანზინს ვასილი დიდისადმი გაგზავნილ წერილში: «გახსოვს თუ არა, — ამბობს იგი, — თუ როგორ ვტკბებოდით ჩვენ გაჭირვებითა და მარხვით?». — ა. გ.

რეფორმაციისა და განათლებულობის საუკუნეები კათოლიციზმისა და ფეოდალობის განვითარების უკანასკნელ ფაზას წარმოადგენენ; იქნებ, ისინი ბევრი მხრივ გასცილდნენ იმ რკალს, რომელიც მოხაზული იყო ვატიკანიდან, მაგრამ მაინც ისინი წინანდელის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენდნენ; დასავლეთ-ევროპული სოციალიზმის ყველა საფუძველი ხელუხლებელი დარჩა, ქრისტიანობა ცხოვრების ზეობრივ საფუძვლად დარჩა; სიმართლის ახალი გაგება რომაულ, კანონიკურ და ბარბაროსულ სამართლის იმავე ნიადაგზე წარმოიშვა; მისი განსხვავება მდგომარეობდა არა საფუძველთა განსხვავებაში, არამედ მათ სხვანაირ (ხშირად თვითნებურ) განმარტებაში, რომელიც უფრო შეესაბამებოდა განათლებულობის ახალ დონეს. არც ლუთერსა და არც ვოლტერს არ გაუტარებიათ ცეცხლოვანი ხაზი ყოფილისა და ახალს შორის, როგორც ეს მოიმოქმედა ავგუსტინემ; მათთან ასეთ ხაზს აზრი არ ექნებოდა, ისევე როგორც სოკრატესთან, პლატონთან, რომლებიც ბევრ რამეში გასცილდნენ ათენური ცხოვრების ციკლს, მაგრამ მაინც მას ეკუთვნოდნენ. ძველ მსოფლმხედველობასთან ქრისტიანული მსოფლმხედველობის დაპირისპირება მოითხოვდა არა გადაკეთებას, არამედ გარდაქმნას. ანტიკური სამყარო, გრძნობადი, მხატვრული სამყარო, რომელიც ყოველივეს იოლად და ჭაბუკური ღიმილით იღებდა, ყველგან მიისწრაფოდა აზრისაკენ და ვერსად ვერ ახერხებდა უშუალობაზე უარის თქმას, ვერსად ვერ ახერხებდა უკიდურეს დასკვნამდე მისვლას. მისი მეცნიერება პოემა იყო, მისი მხატვრობა რელიგია, მისი ცნება ადამიანისა არ გამოიყოფოდა მოქალაქის ცნებისაგან, მის რესპუბლიკას ამაგრებდა მონობის საშინლად გასრესილი კარიატიდა, მისი ზნეობა შედგებოდა იურიდიულ ვალდებულებათაგან *, იგი თანამოქალაქეში პატივს სცემდა მონო-

* თუ ზოგიერთი მოაზროვნე უფრო მაღლა იდგა, ვიდრე საზოგადოებრივი აზრი ზნეობაზე, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე გადაულახავთ ანტიკური მსოფლმხედველობის საზღვარი. ამ მხრივ, იქნებ, სენეკა ყველაზე მაღლა დგას, — ამიტომაც არის, რომ იგი ანტიკური ქვეყნის ჭაღრეს კიდურზე იმყოფება. — ა. გ.

პოლიას, პრივილეგიას, და არა მის ადამიანურ პიროვნებას.. ეს ჭაბუკური სამყარო წარმტაცად მშვენიერი იყო და ამასთან ერთად შეუწყნარებლად თავქარიანი; როცა ფილოსოფოსობდა, იგი უკუაგდებდა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რადგან ამ საკითხების გადაჭრა არც ისე ადვილი იყო, ან კმაყოფილდებოდა მათი იოლი გადაწყვეტით; ფუფუნებასა და განცხრომაში ჩაფლული, იგი არ ფიქრობდა ბნელ სარდაფებზე, სადაც გმინავდნენ მინდვრიდან დაბრუნებული, ხუნდებგაყრილი მონები. უეცრივ გაქრა საუცხოო დეკორაციები, რომლებიც ზღუდავდნენ ანტიკური ქვეყნის ჰორიზონტს,—გადაიშალა უსასრულო შორეთი, რომელიც ფიქრადაც კი არ მოსდიოდა ჰარმონიული თანაშეზომილობის სამყაროს; მისი საფუძვლები წვრილმანი აღმოჩნდა ამ უსაზღვროებაში. ხოლო ადამიანის სახე, ღვთიური სიტყვით გამოხსნილი. ანტიკური ქვეყნის სამოქალაქო ურთიერთობაში დაკარგული, გაიზარდა რაღაც მიუწვდომელ სიმაღლემდე. უშუალო და სამოქალაქო განსაზღვრანი მეორეხარისხოვანნი აღმოჩნდნენ; ქრისტიანის პიროვნება ქალაქის კრებითს პიროვნებაზე მაღლა დადგა; მის წინ გადაიშალა მთელი მისი უსასრულო ღირსება, — სახარებამ ზეიმით გამოაცხადა ადამიანის უფლებანი და ადამიანებმა პირველად გაიგონეს, თ უ რ ა ნ ი ა რ ი ა ნ ი ს ი ნ ი. როგორ არ უნდა შეცვლილიყო ყოველივე! ძველი სიყვარული სამშობლოსი, დიადი და მშვენიერი, მაგრამ შეზღუდული და უსამართლო, იცვლება მოყვასის სიყვარულით, ვიწრო ეროვნულობა — რჯულის ერთიანობით; რომი სიამაყით ანიჭებდა რჩეულთ თავისი მოქალაქეობის უფლებას,—ქრისტიანობა ყველას სთავაზობდა წყლით მონათვლას. ანტიკურ სამყაროს ანგარიშმიუცემლად სწამდა ბუნება, მისი ნამდვილობა, მას იღებდა როგორც ფაქტს, იღებდა იმიტომ, რომ თავისი თვალით ხედავდა; მისთვის ბუნება ყველაფერი იყო, ხოლო ბუნების ფარგლებს იქით არაფერი არ იყო; იგი დროებითს ბუნებრივში მარადიულს და სულიერს ხედავდა, იგი სილამაზეში უზენაესის უმაღლეს გამოხატულებას ხედავდა, ვერასოდეს ვერ წყდებოდა ბუნე-

ბას,—და ამიტომაც ერასოდეს არ იცნობდა მას. ახალ სამყაროს სწორედ მატერიალური ბუნება, მოვლენები არ სწამდა; ის უარყოფდა წარმავალის ნამდვილობას, მას სულიერი მოვლენა სწამდა, სილამაზე უმაღლესის უმდაბლეს—გამოხატულებად მიაჩნდა, იგი არ იყო პლასტიკური, გრძნობდა თავის განხეთქილებას ბუნებასთან და ესწრაფოდა მასთან სულიერ შერიგებას აზროვნებაში, თავის თავში ბუნების. გამოხსნას. ანტიკური სამყარო აწმყოში ცოცხლობდა, ხშირად იგონებდა ყოფილს, მაგრამ მომავალზე არ ფიქრობდა; თუკი გაჩნდებოდა ბედისწერის საშინელი აზრი, რომელიც მას განუწყვეტლივ თან სდევდა, ეს იმისათვის, რომ ადამიანი განცხრომისათვის წაექეზებინა იმგვარი რჩევით, როგორიცაა «ლუკრეციუსის» [130]; სუფრულის non curiamo l'incerto domani * აქედან წარმოდგება ეს დამათრობელი, ხორციელი bien être ** ცხოვრებაში, ეს ფუფუნება ტკბობაში, მგზნებარე ნებივრობა, რაც პოეტურ მომხიბვლელობასა და საზიზღარ პირუტყულობას აღწევს, რომელთან შედარებითაც ჩვენი კომფორტი უბადრუკია და ჩვენი გარყვნილება კი სასაცილო. ანტიკური სამყაროსათვის თითქოს არ არსებობდა საიქიო ცხოვრება; აქილესმა ქვესკნელში უთხრა ულისს [131], მზად ვარ მონად წავიდე. ოღონდ მიწაზე ვიყოო; სიკვდილის აზრი ზოგჯერ აშინებდა მათ, მომავალი ცხოვრების ფიქრი თითქმის სრულიად არავის აინტერესებდა. უკვდავების რწმენა, პირიქით, ქრისტიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახდა; ადამიანმა, როცა ცნო თავისი მარადისობა და ბუნებრივის წარმავლობა, სრულიად სხვანაირად შეხედა ყოველივე გარემომცველს. «ორი სასუფეველი შექმნა ორმა სიყვარულმა: მიწიერი სასუფეველი—სიყვარული საკუთარი თავისა ღმერთის უგულებელყოფამდე; ზეციერი სასუფეველი—სიყვარული ღვთისა საკუთარი თავის უგულებელყოფამდე» («De Civ. Dei»).

იმ დროს, როდესაც სახარების ქადაგება ცვლიდა შინაგან ადამიანს, დახავსებული სახელმწიფო წყობილება აშკარა

* ნუ ვიზრუნებთ საეკვო ხვალინდელზე (იტალ.). — რ ე დ.

** კარგი გუნება, განებივრება (ფრანგ.). — რ ე დ.

წინააღმდეგობაში რჩებოდა რელიგიის დოგმატებთან. ქრისტიანებმა მიიღეს რომის სახელმწიფო და რომის სამართალი; დამარცხებულმა და მიმავალმა სამყარომ საშუალება პოვა გამარჯვებულთა ბანაკში შეეღწია. აღმოსავლეთის იმპერია, რომელმაც მთელი სიწმიდით მიიღო სახარების მოძღვრება, კეისრული მმართველობის იმ ფორმით დარჩა, რაც დიოკლიტიანემ, ქრისტიანობის უბოროტესმა მდევნელმა, უაზრობამდე განავითარა. დასავლეთ იმპერიაში, თავის მხრივ, გაჩნდა ახალი ელემენტი, ასევე არაქრისტიანული,—ელემენტი ტევტონიზმისა [132], იმ ველურ ურდოთა ხალხური სულისა, რომელნიც საშინელნი იყვნენ თავიანთი უმანკო მძვინვარებით, თავიანთი მაწანწალური დაუცხრომლობით, თავიანთი ლაშქრული ძმობით და აღვირახსნილი ნების სიყვარულით. საჭირო იყო ველურთა დაწყნარება, მოთვინიერება; საჭირო იყო მათი რკინისებური და ფიცხი ნებისყოფის გატეხა კიდევ უფრო რკინისებური და შეუპოვარი ნებისყოფით. ეს დიადი ამოცანა დაისახეს რომაელმა მღვდელმთავრებმა, მისი გადაჭრისას მათ დაკარგეს ყოველივე საეროსადმი უცხოობის ხასიათი; კათოლიციზმმა გერმანელი მის ნიადაგს მოწყვიტა და სხვა ნიადაგზე გადასვა, მაგრამ ამასობაში თვითონ გაიდგა ფესვები მიწაში, რომლის გამოცლას იგი ფიქრობდა ეროსკაცთა ფეხრთითგ ნ; ცხოვრების გამგებლობას რომ იყო მოწადინებული, იგი პრაქტიკული უნდა გამხდარიყო, ბევრ რამეზე ზრუნვიო უნდა გართულიყო; უარყო რა ეს ზრუნვა, მან იკისრა იგი. დაიწყო სასულიერო წესწყობილების განუწყვეტელი ბრძოლა საეროსთან; კათოლიციზმი თანდათან სძლევდა, იმისათვის, რომ, ბოლოს, გულდამშვიდებით დამტკბარიყო თავისი შრომის ნაყოფით, მაგალითად, ლეონ X სახით, რომელიც უფრო ჰგავს მამაც კეისარს, ვიდრე წმ. პეტრეს მოადგილეს. ამ ბრძოლაში თანმიმდევრულად ჩაება მაშინდელი ცხოვრების ყველა მხარე; უაღრესად უცნაურ წინააღმდეგობებს განუწყვეტლივ ვხედავთ ერთსადაიმავე მკერდში. გველფებისა და გიბელინების [133] ეს ბრძოლა, რაც სხვადასხვა სახით მეოდება, ჰგავს გველის

ბრძოლას ადამიანთან, დანტე რომ გვიხატავს, — ბრძოლას, რომელშიც ხან ადამიანი იქცევა გველად, ხან გველი — ადამიანად; ამ ბრძოლაში ერთი რამ არ არის — ეგოიზმი და გულგრილობა: ყველაფერი გატაცებულია, მიჰქრის, ტრიალებს, და ყველაფერში არის უსამართლობის ელემენტი და სიგიჟის ელემენტი.

იმ დროს მეცნიერული ინტერესი სქოლასტიკაში იყრიდა თავს. სქოლასტიკა — მოუქნელი, მქისე და ხმელი ამფიბია — ცვლიდა ჰეშმარიტ მეცნიერებას თვით XVI საუკუნის აღშფოთებული მოუსვენრობისა და თეორიული მოღვაწეობის განთავისუფლების ხანებამდე. ჰეშმარიტებასა და საგანთან თავის დამოკიდებულებას სქოლასტიკა უცნაურად, წმინდა ფორმალურად და სრულიად არადამოუკიდებლად განსაზღვრავდა. ნუ იფიქრებთ, თითქოს სქოლასტიკა საერთოდ ქრისტიანული სიბრძნე ყოფილიყოს, — არა, იგი ეძიეთ პირველ საუკუნეთა ეკლესიის მამებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთელ მამებში. სქოლასტიკა არც მთლად რელიგიური იყო და არც მთლად მეცნიერული: რწმენაში მერყეობის გამო იგი სილოგიზმებს ეძებდა, ლოგიკაში მერყეობის გამო რწმენას ეძებდა; იგი თავის დოგმატს უაღრესად ფაქიზი ბრძნობის საგნად ხდიდა და ბრძნობას — დოგმატის სიტყვასიტყვით აღიარებად. მას ერთისა ეშინოდა როგორც ცეცხლისა: აზრის თვითმყოფობისა; მისთვის საკმარისი იყო ეგრძნო არისტოტელეს ან სხვა აღიარებული ხელმძღვანელის დახმარება. ბუნებისმეტყველებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება: სქოლასტიკას ისე სძულდა ბუნება, რომ მას ყურადღებას ვერ დაუთმობდა; ბუნება საშინლად ეწინააღმდეგებოდა მათს დუალიზის; ბუნება მონაწილეობას არ იღებდა სქოლასტიკოსთა უსასრულო დავაში: რა მონაწილეობის მოლოდინი უნდა ჰქონოდა ბუნებას მათგან, რომელნიც დარწმუნებული იყვნენ, რომ უმაღლესი სიბრძნე არსებობს მხოლოდ მათს განსაზღვრებებში, დაყოფებში და სხვ. საერთოდ მათ ბუნება ბილწ მონად მიაჩნდათ, რომელიც მზადაა შეასრულოს ადამიანის თვითნებური ჟინიანობა, წააქეზოს ყოველი ბინძუ-

რი წადილი, ჩამოაშოროს კაცი უმაღლეს ცხოვრებას, და ამავე დროს მათ ეშინოდათ მისი ფარული, დემონური გავლენისა, ვინაიდან სწამდათ, რომ მთელი სამყარო პირად, მტრულ ან წამაქეზებელ დამოკიდებულებაშია ყოველ ადამიანთან. ცხადია, რომ ბუნებისმეტყველების ნაცვლად გაჩნდა ასტროლოგია, ალქიმია, ჯადოქრობა. სქოლასტიკური დუალიზმის შეზღუდული თვალსაზრისით, ყოველივე ბუნებრივის მნიშვნელობა უკუღმართად განისაზღვრებოდა: ყოველივე კარგს აცლიდნენ ბუნებას და მის გარეთ ათავსებდნენ, თუმცა არავინ კითხულობდა, თუ სახელდობრ სად არის მისი ფარგლები; ყოველივე ბუნებრივს, ფიზიკურს ფარდით მოსავდნენ, რცხვენოდათ სხეულისა, მასში სულის გარყვნილ ხასას ხედავდნენ და ამ კავშირის გამო გოდებდნენ. მაშინდელ ადამიანებს დედამიწის სფეროს შიგნით ლიუციფერი ჰყავდათ წარმოდგენილი, იუდასა და ბრუტოსს რომ ღეჭავს, რომელსაც ეტანება ყოველივე, რაც მძიმეა ნივთიერ სამყაროში, და ყოველივე, რაც კი ბოროტია ზნეობრივ სამყაროში. მათ სურდათ ფეხით გაეთელათ, მოესპოთ დროებითი, სურდათ არ სცოდნოდათ იგი; სქოლასტიკის დუალიზმი არ შეიცავს არაფერს ყოვლის შემბრალებელს, შემარიგებელს, სიყვარულით აღსავსეს, თუმცა მასზე ძალიან ბევრს ლაპარაკობს; ეს არის აპოთეოზი განყენებული, ფორმალური აზროვნებისა, აპოთეოზი ეგოისტური პიროვნებისა, რომელსაც შეუცვნია თავისი ღირსება, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ ღირსი არ არის გაიგოს იგი არა ბუნების უგულებელყოფის უფლებით, არამედ ნამდვილ, ყოვლისმოსიყვარულ აზროვნებაში თავისთავის და ბუნების განთავისუფლების უფლებით. სქოლასტიკოსებმა იმდენად ვერ შეიგნეს ქრისტიანობა, რომ გაეგოთ ცოდვის გამოსყიდვა არა სასრულოვანის უარყოფით, არამედ მისი გადარჩენით. ქრისტიანობა მოხსნის საკუთრივ დუალიზმს,—კათოლიკე თეოლოგების სასტიკი მოძღვრება ამას ვერ ჩასწვდა*.

* პავლე მოციქული «კორინთელთა მიმართ» ამბობს: «ყოველი ქმნილება მოელის გამოხსნას». სქოლასტიკოსებს არ უნდოდათ ეს გაეგოთ. — ა. გ.

მხედველობაში იქონიეთ, რომ ეს არის დასავლეთის მსოფლ-მხედველობის ერთ-ერთი მეტად არსებითი შეცდომა, რომელმაც შემდეგ მხოლოდ ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია. მან შუა საუკუნეებს პირქუში, დაჩიმული, ბნელი ხასიათი მისცა. სქოლასტიკური სამყარო სევდიანია; ეს არის გამოცდის სამყარო, ყოველივე უშუალოს მოსპობის სამყარო, მოსაწყენი ფორმალიზმისა და ცხოვრებაზე უხალისო შეხედულების სამყარო; აზრი აღარ იყო «მამაცური მოთხოვნილება», როგორც მას არისტოტელე უწოდებდა; აზრი აწამებს, ტანჯავს შუა საუკუნეთა ადამიანს; მან შეიგნო გაორების მთელი ძლიერება და გაიარა გულსა და გონებას შუა, შემასმენელსა და ქვემდებარეს შუა, სულსა და მატერიას შუა, რათა მთელი ზეიმი ერგუნებინა შინაგანისათვის და მით შეერცხვინა ყოველივე გარეგნული. ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობაც ისევე წინ მიდიოდა ანტიკურ მოაზროვნეებთან, როგორც მათი წინააღმდეგობა სქოლასტიკოსებთან; სხვანაირად ვერც წარმოიშვებოდა ნომინალისტებისა და რეალისტების ცნობილი დავა. მაგალითი რომელიმე როჯერ ბეკონისა, რომელსაც ცდა ათვალისწუნებული არ ჰქონდა, რომელიმე რაიმუნდ ლულისა, რომელიც ათას ფანტასტიკურ და პოეტურ გამონაგონთა შორის ქიმიას ეტანებოდა, არაფერს არ ამტკიცებს; ასეთ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოვლენებს კავშირი არა აქვთ მთელ გარემოსთან; განსჯითი, მშრალი სპირიტუალიზმი, სიტყვასიტყვითი განმარტებანი, ლოგიკური ხრიკები, დიალექტიკური კადნიერებანი და ავტორიტეტის წინაშე მლიქვნელობა—ასეთია სქოლასტიკის ხასიათი რეფორმაციამდე, XVI საუკუნემდე. ამ საუკუნის დამლევს დაიღუპა პეტრე რამიუსი იმისათვის, რომ მან გაბედა არისტოტელეს წინააღმდეგ ამხედრებულიყო; ჯორდანო ბრუნო და ვანინი სიკვდილით დასაჯეს მათი მეცნიერული შეხედულებების გამო: ერთი 1600, მეორე 1619 წელს. რა ნამდვილი მეცნიერება შეიძლებოდა განვითარებულიყო ამ შეხუთულ და ვიწრო ატმოსფეროში? მხოლოდ ფორმალისტიკა—საპატიმროს გალავანზე ამოსული ფერმკრთალი სურო — ბოგინობდა მასში;

შისი მიბნედილი, მთვარისებრი სინათლე მოკლებული იყო სითბოსა და თვითმყოფობას; მისი საკითხები * ისე დაშორებული იყო ცხოვრებას და ისე წვრილმანი, რომ პაპის გულმოდგინე ცენზურა ითმენდა მას. მეცნიერულმა მეცადინეობამ ამ დროს წმინდა მწიგნობრული ხასიათი მიიღო, რომელიც მას ანტიკურ სამყაროში არა ჰქონდა: ვისაც რაიმეს ცოდნა უნდოდა, იგი წიგნს გადაშლიდა, ცხოვრებასა და ბუნებას კი ზურგს შეაქცევდა. სქოლასტიკოსები ჭეშმარიტებას ზურგსუკან ეძებდნენ, მათ უნდოდათ დაესწავლათ იგი, ისინი ფიქრობდნენ, რომ ჭეშმარიტება მთლიანად დაწერილია, და, რა თქმა უნდა, წინ არ იძვროდნენ. ეს ხასიათი ნაწილობრივ გადავიდა გერმანელ მეცნიერთა სისხლში.

დასასრულ, ათასწლოვანი მშფოთვარე ძილის შემდეგ კაცობრიობამ ახალი ძალები მოიკრიფა აზრის ახალი საგმირო საქმისათვის; XV საუკუნეში სხვაგვარი მოთხოვნები იღვიძებს, ძილის სიო უბერავს. დადგა გარდაქმნის ეპოქა. ადამიანთა ყურადღება სულ უფრო და უფრო ექცეოდა რეალურ საგნებს, იმ დროს ჩატარებულ საზღვაო მოგზაურობებს დედამიწის ახალ ნაწილში; კოპერნიკის უცნაურ და სქოლასტიკებისათვის რამდენადმე საწყენ აზრს, იმ წყნარ, შეუმჩნეველ აღმოჩენას, რომელიც მოხდენილ იქნა შეხუთულ სახელოსნოში, ქურის წინ, ჩამომსხმელის ჩარხთან და რაზედაც ალქიმიკოსმა კლოდ ფროლომ უთხრა თავმდაბალ აბატს beati Martini-ს: «ceci tuera cela» **; მაგრამ მან ჩაჰკლა არა ხუროთმოძღვრება, არამედ სიბნელე. იტალიაში ყველაზე ადრე გაისმა ახალი მოთხოვნები: მეოცნებე რიენზიმ გაიხსენა ძველი რომი და მოისურვა მისი აღდგენა; მას ტაშს უკრავდა პეტრარკა, კლასიკური ხელოვნების აღმდგენელი და ვულგარული ენით მეტყველი პოეტი[13ა]. ბერძნები ჩამოდიოდ-

* დავის საგნები სქოლასტიკოსებთან ზოგჯერ გასაოცარია. მაგალითად, «ადამმა პირველყოფილ მდგომარეობაში იცოდა თუ არა პეტრე ლომბარდელის Liber sententiarum? — ა. გ.

** ნეტარ მარტინს: «ის ჩაკლული იქნება ამით» (ლათ. და ფრანგ.). — რ ე დ.

ნენ ბიზანტიიდან და თან ჩამოჰქონდათ საწმისი, რომელსაც ისინი ათი საუკუნის განმავლობაში ინახავდნენ. კოზმა მედიჩის მეგობარი, მარზილიუს ფიცინი, საუცხოოდ თარგმნიდა პლატონს, პროკლესა და პლოტინს. თვითონ არისტოტელეს შესწავლამ ახალი ხასიათი მოიპოვა; მანამდე არისტოტელე რაღაც დამამძიმებელი ტვირთი იყო, მას სწაკლობდნენ ფორმალურად, მექანიკურად, დამახინჯებული თარგმანების მიხედვით; ახლა დედანი აიღეს. მართალია, გონება იმდენად შერყვნილი იყო სქოლასტიკით, რომ ადამიანებს არაფერი შეეძლოთ უბრალოდ გაეგოთ; გრძნობადი შეხედულება საგნებზე დაჩლუნგებული იყო, ნათელი შეგნება უგვანოდ ეჩვენებოდათ, ხოლო უშინაარსო, ავტორიტეტებზე დამყარებული, უხამსი ლოგომახია* ჭეშმარიტებად ითვლებოდა; რაც უფრო ნაყშიანი, კოხტა, გაუგებარი იყო ფორმები, მით უფრო მეტად აფასებდნენ მწერალს; უაზრო კომენტარების ტომები იწერებოდა არისტოტელეზე; ტალანტი, ენერგია, მთელი სიცოცხლე ხმარდებოდა ყოვლად უსარგებლო ლოგომახიას; მაგრამ იმავე დროს, ჰორიზონტი ფართოვდებოდა; ანტიკურ მწერალთა ნამდვილი შესწავლა უნებლიედ წარმოშობდა ახალ და ცოცხალ აზრებს; მათი გავლენა განუზომელი იყო. შუა საუკუნეების ადამიანთა გონების სუსტ, თვითაზროვნებას შეუჩვეველ, ზანტ და ფორმალურ უნარს არ შეეძლო თავად უარეყო თავისი უსიცოცხლო ფორმალისტიკა; მას არ გააჩნდა ადამიანური ენა, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყოს საქმეზე ლაპარაკი; ბოლოს, მას რცხვენოდა საქმეზე ელაპარაკნა, რადგან იგი მიქარვად მიაჩნდა.

უცებ იპოვნეს უცხო მეტყველება, მზამზარეული, მწყობრი, საუცხოოდ გამომხატველი იმისა, რის გამოთქმაც სქოლასტიკის დოქტორებს არ შეეძლოთ, რის გამოთქმასაც ისინი ვერც ბედავდნენ; ეს ცოტაა — უცხო მეტყველება დიდებულ სახელებს ემყარებოდა. თავიანთ ასაკუსრულობას რომ გრძნობდნენ, ახალი ავტორიტეტები იპოვნეს და ძველი ავ-

---

* პაექრობა, დავა სიტყვებზე და არა არსებითად (ფრანგ.). — რ ე დ.

ტორიტეტების წინააღმდეგ ამხედრდნენ. ყველაფერი ვირგილიუსისა და ციცერონის ციტატებით ამეტყველდა და პირიქით, არისტოტელესაგან გამიჯვნა იწყეს. პატრიციუსმა XVI საუკუნის ნახევარში პაპს გრიგოლ XIV წარუდგინა თხზულება, რომელშიც მის ყურადღებას მიაქცევდა იმაზე, რომ არისტოტელეს მოძღვრება ეკლესიას ეწინააღმდეგება; ეს წინააღმდეგობა მთელი ხუთასი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემჩნეული კეთილი სქოლასტიკოსების მიერ, რომლებიც დოგმებს ამტკიცებდნენ არისტოტელეთი, ხოლო არისტოტელეს კი დოგმებით [135]. დასასრულ, სქოლასტიკის ერთ-ერთ უძველეს და თითქმის უმთავრეს ცენტრში, პარიზში, გაჩნდა პერიპატეტიზმის ჰუსი—პიერ la Ramée, რომელმაც გამოაცხადა, რომ იგი ყველას წინააღმდეგ მზად არის დაიცვას თეზისი: «არისტოტელეს მთელი მოძღვრება ყალბია». აღშფოთების ძახილი გაისმა სწავლულთა შორის, მან მიაღწია ფრანცისკ I სასახლემდე; მეფემ მისი გასამართლება დანიშნა, რათა მ ს ჯ ა ვ რ ი დ ა ე დ ო მისთვის. რამუსი ლომივით იცავდა თავს, მაგრამ დანდობა არ იყო; იგი გააძევეს, გაამტყუნეს, და ამის შემდეგ დაეხეტებოდა მთელ ევროპაში, გაძევებული და დევნილი; იგი ილანძღებოდა და ადგილიდან ადგილზე გადადიოდა. ორმოცდაათ წელიწადს ებრძოდა ეს კაცი არისტოტელეს და, ბოლოს, ბრძოლაში დაიღუპა. იგი სტაგირელის წინააღმდეგ ქადაგებდა სწორედ ისევე, როგორც ჰუგენოტები ქადაგებდნენ პაპის წინააღმდეგ. მისი მსგავსება პროტესტანტებთან მეტად დიდია. ის უფრო პროზული იყო, — იქნებ, თავის მტრებზე უფრო უგვანო, უფრო უკბილო, არისტოტელეს ბევრ კომენტატორზე (მაგალითად, პომპონაციუსზე) უფრო უკბილო,— მაგრამ მას პრაქტიკული და თანამედროვე მოთხოვნები ჰქონდა; მას ეზიზღებოდა ფორმალიზმი და პაექრობა; მას გამოყენებითი და სარგებლობის მომტანი აზრები სურდა; იგი არისტოტელეზე დაბლა იდგა ისე, როგორც ბევრი პროტესტანტი კათოლიკურ მსოფლმხედველობაზე დაბლა დგას; მაგრამ იგი ებრძოდა სქოლასტიკის არისტოტელეს ისე, როგორც პროტე-

სტანტები ებრძოდნენ XVI საუკუნის კათოლიციზმს. დაახლოებით იმავე ხანებში ჩნდება საზეიმო და განუწყვეტელი პროცესია ღონიერი და ძლიერი ადამიანებისა, რომლებმაც პროპილეები მოუმზადეს ახალ მეცნიერებას; მათ სათავეში არიან (არა დროის, არამედ ძლიერების მიხედვით) ჯორდანო ბრუნო, შემდეგ ვანინი, კარდანი, კამპანელა, ტელეზიო, პარაცელზი* და სხვ. ამ დიდ მოღვაწეთა მთავარ ხასიათს შეადგენს სივიწროვის ცოცხალი უტყუარი გრძნობა, მათი თანადროული მეცნიერების კარჩაკეტილ წრეში დაუკმაყოფილებლობა, ყოვლისშთანთქმელი მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ, მისი წინასწარხედვის რაღაც უნარი.

სქოლასტიკის წინააღმდეგ აჯანყების დრო აღსავსეა დრამატიული ინტერესით. როცა წაიკითხავთ ბიოგრაფიებს, გადაშლით ნაწერებს ენერგიული ადამიანებისას, რომლებიც ამსხვრევდნენ მეცნიერების შემბოჭავ ბორკილებს, თქვენ ერთბაშად დაინახავთ ორმაგ ბრძოლას, რომელშიც ისინი ჩაბმული იყვნენ. ერთი ხდება მათ სულში — ბრძოლა ფსიქიკური, ძნელი, რაც მათ განუწყვეტლივ აღელვებს და მრავალ მათგანს ექსცენტრიულ, თითქმის ისტერიულ სახეს აძლევს. მეორე ბრძოლა, — გარეგნული, რაც თავდებოდა კოცონზე, საპატიმროში, ვინაიდან თავდასხმებით დაშინებული სქოლასტიკა ინკვიზიციას ამოეფარა, სიკვდილის განაჩენებით ეკამათებოდა მოწინააღმდეგეთა გაბედულ თეზისებს, ჯალათის მარწუხით გლეჯდა მათ ენას და აიძულებდა დადუმებულიყვნენ. ბევრს აკვირვებს მათი მერყევი არათანამიმდევრობა და ვაჟკაცური ნებისყოფა, — მათი აზრის, ასე ვთქვათ, უსრულობა და თავგანწირვის სისრულე; მაგრამ განა შეიძლება ერთბაშად თავი დააღწიო ისტორიულ ცრურწმენებს? ეს მერყეობა გაუგებლობიდან როდი წარმოდგება. ჭეშმარიტება ყოველთვის სისულელეზე უფრო მარტივია, მაგრამ ადამიანის გონება სრულიადაც არ არის მარტოოდენ გაგების შესაძლებლობა, არ არის tabula rasa: იგი დაბადების დღიდანვე დანაგვიანებულია ისტორიული ცრუ-

* ქიმიის პირველი პროფესორი ქვეყნის გაჩენიდან. — ა. ბ.

რწმენებით, ყალბი წარმოდგენებით და სხვ.; მისთვის ძნელია აღადგინოს თავისი ნორმალური დამოკიდებულება უბრალო გაგებასთან, მეტადრე იმ დროს, რომელზეც აქ ლაპარაკია. რა გასაკვირია, რომ პარაცელზს სწამდა ალქიმია, რომ კარდანი თავის თავს მისანს უწოდებდა? * მათთვის ძნელი იყო მკერდიდან ამოეგლიჯათ საუკუნეებით დაკანონებული აზრები, ძნელი იყო შეერიგებინათ ისინი ცნობიერების ამომავალ სინათლესთან. თუმცაღა, მათ ეს არც უქნიათ. ისინი ისე აღტაცებული იყვნენ, რომ ვერ ახერხებდნენ სათანადოდ ჩამოყალიბებულიყვნენ; ეს იყო ეპოქა პირველი სიყვარულისა, თრობისა, რომელმაც ზომა არ იცის, ეპოქა გამაოცებელი სიახლისა; ნუ ეძებთ მათთან მკაცრ, მეცნიერულ ფორმას, მათ მიერ აღმოჩენილია მხოლოდ ნიადაგი მეცნიერებისა, მათ მიერ მხოლოდ განთავისუფლებულია აზრი; მისი შინაარსი უფრო გულითა და ფანტაზიით იყო გაგებული, ვიდრე გონებით.

საუკუნეებს უნდა განევლოთ, ვიდრე მეცნიერება შეძლებდა მეთოდით განევითარებინა ის ჭეშმარიტებანი, რომელნიც ჯორდანო ბრუნომ აღტაცებით, წინასწარმეტყველურად, შთაგონებით გამოთქვა. თავის შეხედულებათა ამ შესისხლხორცებამ მათ შესძინა პირადული ძლიერება, გააამხნევა ისინი გარეგნულ ბრძოლაში: დევნილთ, ქვეყნიდან ქვეყანაში მოხეტიალეთ, საშიშროებით გარემოცულთ, მათ კეთილგონივრული შიშის გამო არ ჩაუმარხავთ ჭეშმარიტება, რომლის გამოსაცხადებლად ისინი მოწოდებულნი იყვნენ. ისინი ყველგან გამოთქვამდნენ ამ ჭეშმარიტებას; სადაც ვერ ახერხებდნენ პირდაპირ გამოთქმას, მასკარადულ ტანისამოსს ჩააცმევდნენ მას, ალეგორიებით შემოსავდნენ, პირობითი ნიშნებით მალავდნენ, მარმაშს წამოასხამდნენ. რომელიც მახეილი თვალის პატრონი და მოწადინებული კაცისათვის არაფერს არ ფარავდა, მტრისაგან კი იფარავდა: სიყვარული სიძულვილზე უფრო მიმხვედრი და ვამპირიახია. ზოგჯერ

* ბეკონ ვერულამელმაც კი ვერ შეძლო საკუთარ დაეწერა თავი ასტროლოგიისა და მაგიისათვის. — ა. ბ.

ისინი ამას სჩადიოდნენ, რათა თანამედროვის გაუბედავი სული არ შეეშინებინათ; ზოგჯერ იმისათვის, რომ მაშინვე არ მოხვედრილიყვნენ კოცონზე. ჩვენს დროში ადამიანისათვის ადვილია განავითაროს თავისი მრწამსი, როცა იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ გადმოცემის უფრო ნათელი ფორმა გამონახოს; იმ ეპოქაში ეს შეუძლებელი იყო. კოპერნიკი თავის აღმოჩენას ძველი ფილოსოფოსებისაგან აღებული ავტორიტეტებით ფარავდა, და, იქნებ, მარტო ამან გადაარჩინა იგი პირადად იმ დევნას, რაც შემდეგში თავს დაატყდა გალილეის და ყველა მის მიმდევარს. საჭირო იყო ეშმაკობა. «...ეშმაკობა, — ამბობს ერთი მოაზროვნე, — ნების ქალურობაა, ველური ძალის ირონიაა». მაკიაველმა ზოგი რამ იცოდა ამ ეშმაკობის შესახებ. ყოველივე ეს ერთად მაშინდელ მოღვაწეებს მთრთოლავი მოუსვენრობისა და მღელვარების ხასიათს აძლევდა. ისინი სრულ მშვიდობაში არ იყვნენ არც თავის თავთან, არც გარემოსთან. ნამდვილად დამშვიდებულია ან ისეთი კაცი, რომელიც ზოოლოგიას ეკუთვნის, ან ის, ვინც ერთხელდასამუდამოდ ასწორებს ანგარიშს თავის თავთან და ხედავს თავისი შინაგანი რწმენის თანხმობას გარეშე სამყაროსთან. ისინი მოუსვენარნი იყვნენ, იმიტომ რომ მათი გარემომცველი წესწყობილება უგვანო და უაზრო ხდებოდა, ხოლო შინაგანი სამყარო შერყეული იყო; ერთსაც და მეორესაც რომ დააკვირდნენ, ისინი ვერ მალავდნენ თავიანთ განხეთქილებას, არ შეიძლება მოუსვენარნი არ ყოფილიყვნენ. ისეთ ადამიანებს, როგორიც ბრუნოა, არ ენიჭებათ დიადი ტალანტი—ბედნიერად და მშვიდად იცხოვრონ გარემოში, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ შეხედულებებს.

იმ ეპოქის აღტაცებული, ჭაბუკური აზროვნების ცოცხალი მაგალითის სახით გადმოგცემთ ჯორდანო ბრუნოს რამდენიმე მთავარ აზრს. ჯორდანო ბრუნო, უეჭველია, დიდად უსწრებს წინ ყველა თავის ამხანაგს*. ბრუნოს მთავარი მი-

* ბრუნოს მოძღვრების ყველაზე დაწვრილებითი გადმოცემა, მრავალი ამონაწერითურთ იხ. ბულესთან «Gesch. der neuern Philosophie»-ში, II.

ზანია განავითაროს და გაიგოს სიცოცხლე, როგორც ერთიანი, მსოფლიო, უსასრულო საწყისი და მთელი არსებულის განხორციელება, გაიგოს სამყარო როგორც ერთიანი სიცოცხლე, გაიგოს თვითონ ეს ერთიანობა გონებისა და ყოფიერების უსასრულო ერთიანობად,—ისეთ ერთიანობად, რომელიც ძლევამოსილად იკვლევს გზას მრავალსხვაობის რიგებში. აი ქვაკუთხედი ბრუნოს შთელი მოძღვრებისა, რომელიც პირდაპირ უპირისპირდება სქოლასტიკის დუალიზმს. რადგან სიცოცხლე ერთია, გონება ერთია, და მათ ერთი ერთიანობა აკავშირებს, მაშასადამე,—დაასკვნის ბრუნო,—თუ ავიღებთ გონებას ყველა მისი მომენტის მთლიანობაში, ჩვენ ყოველივე არსებულს მას შევუფარდებთ; ხომ არ არის ეს ჩვენი დროის ლოგიკური ფილოსოფიის პირდაპირი წინასწარ ცოდნა? «ბუნებას, — ამბობს ის, — თავის ფარგლების შიგნით შეუძლია ყველაფრისგან ყველაფერი გააკეთოს, ხოლო ჭკუას შეუძლია ყველაფერი გაიგოს ყველაფრისაგან». ბუნება და ჭკუა მას ერთი განვითარების ორ მომენტად მიაჩნია. «ერთი და იგივე მატერია ყველა ფორმას გადის: ის, რაც მარცვალი იყო, იქცევა ბალახად, თავთავად, პურად, მასაზრდოებელ წვენად, ჩანასახად, ადამიანად, გვამად, მიწად... მაგრამ არის რაღაცა, რაც თავის თავად რჩება ამ განვითარებისაგან,—მატერია; ი გ ი უ თ უ ო ა, ყოველ პირობის გარეშეა, მისი გამოვლინებანი კი პირობითია; მატერია ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ა, იმიტომ რომ, ის განსაკუთრებულობაში არაფერია; მას ახასიათებს ფორმის ქმედითი შესაძლებლობა; მას ავითარებს სიცოცხლე ჭკუად გადაქცევამდე; ბუნებაში არის იდეის კვალი (vestigium); მისი ფიზიკური ყოფიერების იქით (post naturalia) იწყება ცნება, იდეიის ჩრდილი (umbra). ვერც ბუნების ნაწარმოებნი, ცალკე აღებულნი, ვერც ცნებანი ვერასოდეს ვერ აღწევენ სისრულეს. ასე, მაგალითად, ყოველი ადამიანი ყოველ წუთს არის ყოველივე ის, რაც შეიძლება იყოს იგი ამ წუთს, მაგრამ არ არის ყოველივე ის,

Band, 703-დან 856-მდე. გეტინგენის ბიბლიოთეკაში ბულემ იპოვა და გამოიყენა ბრუნოს ბევრი უცნობი თხზულება. — ა. ბ.

რაც იგი საერთოდ შეიძლება იყოს თავისი არსით... სამყაროკი, პირიქით, ნამდვილად ყველაფერია, რაც მართლაც და ერთბაშად შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი მოიცავს მთელ ნივთობრიობას მის ცვალებად ნაწარმოებთა მარად უცვლელ ფორმებთან ერთად; ამაში მდგომარეობს მისი დიადი ერთიანობა, თავის თავის თანასწორობა. სამყაროში ყველგან არის ცენტრი; მასში ცენტრი და წრეხაზი არ არიან გაყოფილნი ისე, როგორც უდიდესი გამოყოფილი არ არის უმცირესისაგან,— ყოველ ადგილას ღვთის მეუფებაა». «მაგრამ,— დასძენს ბრუნო,—ჟეშმარიტებისათვის საკმარისი არ არის გაიგო ერთიანობა მხოლოდ როგორც სხვაობათა შეერთების წერტილი; საჭიროა ისე გაიგო იგი, რომ შეგეძლოს კვლავ გამოიყვანო ყველა წინააღმდეგობაც». წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დაეღოთ პირი sublissimorum dialecticorum* დოქტორებს, როცა მათ გაიგონეს ეს ღრმა, შთაგონებული სიტყვა! დავუმატებ კიდევ ამონაწერს, რათა გიჩვენოთ, თუ რა გასაოცრად სწორი შეხედულება ჰქონდა მას ბოროტებაზე. «იდეის აჩრდილებს შორის არ არის ნამდვილი წინააღმდეგობა; ერთი ცნება აერთებს მშვენიერსა და მახინჯს, კეთილსა და ბოროტს. არასრულყოფილს, ბოროტს არა აქვს საკუთარი იდეა, რომელსაც ისინი დაემყარებოდნენ, რომლითაც განისაზღვრებოდნენ (როგორც თავისი იდეალით); ამავე დროს კი ყოველივე ნამდვილი, იდეასა და ცნებას გულისხმობს; მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბოროტების ცნება სხვაშია (საპირდაპიროში); თავისი ცნება ბოროტებას არა აქვს; პირიქით, ცნება, რომელზედაც იგი დამოკიდებულია, უარყოფს მის ნამდვილობას, რადგან მართლაც ბოროტება რაღაც არსებულ არყოფნას, რაღაც უარყოფითს წარმოადგენს (non ens in ente, vel, ut apertius dicam, defectus in effecto»). ჰეგელმა, მგონია, მთლად ჯეროვანი სამართლიანობით ვერ მიუზღო ბრუნოს; იმიტომ ხომ არა, რომ შელინგმა იგი ასე მაღლა დააყენა? ეს უკანასკნელი ძალიან გასაგებია. ბრუნო — ცოცხალი, საუცხოო კავშირია ნეოპლატონიზმსა, რომლის

* უსრულყოფილეს დიალექტიკოსთა (ლათ.). — რ ე დ.

გავლენა მასზე მეტად შესამჩნევია, და შელინგის ნატურ-ფილოსოფიას შორის, რომელზედაც მას, თავის მხრივ, დიდი გავლენა ჰქონდა. ჰეგელს არ უნდოდა ბრუნოში დაენახა ახალი სამყაროს ადამიანი, ისევე როგორც არ უნდოდა ბიომეში დაენახა შუა საუკუნეთა ადამიანი; ან, იქნებ, უდიდესი გერმანელი მოაზროვნის მკერდში იყო ხალხური კავშირი theosopho teutonico-სთან *, ხოლო იტალიელის რომანული მხურვალე და რეალური სისხლი, ისე არ ენათესავებოდა მას. ბიომე დიდი ადამიანია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ჯორდანო ბრუნოს მის ახლოს იდგეს, რადგან იგიც დიდი ადამიანია**. თავს ვანებებთ იტალიას და შევნიშნავთ, რომ რომანულ ტომს ახალი მეცნიერების ბრწყინვალე თაოსნობა ჰქონდა მინიჭებული. მაგრამ საკუთრივ ახალ ფილოსოფიაში იგი ნაკლებად მონაწილეობდა, თითქოს ამ წამოწყებისათვის ამოწურა მან მთელი თავისი გონებაჟვრეტითი ნიჭი,—მან, სხვა ყოველივეში ესოდენ ნიჭიერმა? თითქოს ახალმა ფილოსოფიამ, რეფორმაციის ფილოსოფიამ, სქოლასტიკურზე უფრო მაღალმა დუალიზმმა, მაგრამ მაინც დუალიზმმა, მოლოდინი არ გაუმართლა ცოცხალ და რეალურ რომანულ აზრს, რომელიც დუალიზმზე უფრო მაღლა უკვე XVI საუკუნის დამლევს იდგა. თუ ეს ასეა, მაშინ რომანული აზრი, იქნებ, დაწყებულის დამამთავრებლად მოგვევლინოს?

ამ აღგზნებულობისა და ენერგიის დროში, ადამიანები ყოველი მხრიდან პროტესტს აცხადებდნენ შუა საუკუნეობრივი ცხოვრების წინააღმდეგ, ყველგან ზურგს აქცევდნენ მას, ყველაფერში მოითხოვდნენ ცვლილებას: რომაული ეკლესია ამთავრებდა ლუთერიანიზმთან ბრძოლას იმით, რომ პროტესტანტებს პასიურად ცნობდა მომხდარ მოვლენად; სქოლასტიკა გადაჭრით ხედავს თავის უმწეობას ახალი იდეების, ე. ი. ანტიკური სამყაროს იდეების შეტევის მიმართ. მეცნიე-

* ტევტონელი ღვთისმეტყველი (ლათ.). — რ ე დ.

** ჩვენ გვერდს ვერ აუვლით ბიომეს, თუმცა, უნდა ითქვას, მეცნიერების ისტორიაში მას ნაკლები გავლენა ჰქონდა; იგი მეცნიერულად მხოლოდ ჩვენს საუკუნეში გაიგეს. — ა. გ.

რება, ხელოვნება, ლიტერატურა — ყველაფერი შეიცვალა ანტიკურ ყაიდაზე ისე, როგორც გოტიკურმა ეკლესიამ კვლავ დაუთმო ადგილი ბერძნულ პერიპტერსა და რომაულ როტონდას. კლასიკურმა მსოფლმხედველობამ ადამიანები აიძულა ნათლად ეცქირათ საგნებისათვის; რომის ლათინურმა ენამ შეაჩვია მამაცურ მეტყველებას, ენერგიულ თქმას; მანამდე იხმარებოდა სკოლის ლათინური, უფერული, დამახინჯებული, მოუქნელი ენა, რომელსაც, ასე ვთქვათ, დაეკარგა თავისი სული; ანტიკურმა მწერლებმა გააადამიანეს შუა საუკუნეთა არაბუნებრივი ადამიანები, გამოაღვიძეს ისინი რომანტიკული თავმოყრილობისა და ფსიქიკურ გაღიზიანებათა ეგოიზმისაგან. გახსოვთ, როგორ აგვიწერს გოეთე «რომაულ ელეგიებში» იტალიური ცის გავლენას მასზე, გერმანიის ნისლიან ჰავაში გაზრდილზე? — ასეთი იყო კლასიკური ლიტერატურის გავლენა XVI საუკუნის სწავლულებზე — «შორს უგვანო სქოლასტიკური დავა!—წამოიძახა შუა საუკუნეთა ადამიანმა.—დავტკბეთ ჰორაციუსის ოდებით, ვისუნთქოთ ამ კამკამა და ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ, გული ვიჯეროთ საუცხოო ხეების ცქერით, რომელთა ჩრდილქვეშ ყურძნის მტევნების წვენით სავსე თასებიც ნებადართულია და სიყვარულის ვნებიანი ხვევნაც აღარ არის დანაშაული! «Humanitas, humaniora»* გაისმოდა ყოველი მხრიდან, და ადამიანი გრძნობდა, რომ მიწიდან აღებულ ამ სიტყვებში ეღერს vivere memento, რომლებიც memento mori-ს** ადგილს იკავებენ, რომ ამით იგი ახალი ძაფებით უერთდება ბუნებას; humanitas მოგვაგონებდა არა იმას, რომ ადამიანები მიწად იქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი მიწიდან გამოვიდნენ, და მათთვის სასიამოვნო იყო დაენახათ იგი თავიანთ ფეხქვეშ, მდგარიყვნენ მასზე; კათოლიკურმა სისასტიკემ და გერმანულმა ხალხურმა მი-

---

* Homo წარმოდგება humus-ისაგან.—ა. გ. Homo—ადამიანი, humus—მიწა: humanitas—ადამიანობა, კაცობრიობა, კაცთმოყვარეობა, humaniora — ადამიანური (ლათ.). — რ ე დ.

** Viveremememto — გახსოვდეს სიცოცხლე; memento mori — გახსოვდეს სიკვდილი (ლათინ.). — რ ე დ.

დრეკილებამ სევდიანი ოცნებისადმი მოამზადეს ნიადაგი ასეთი მკვეთრი გარდატეხისათვის! რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით შუა საუკუნეთა ნამდვილ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ იგი უფრო გარეგნულად დაემორჩილა ვატიკანის ბრძანებებს და რომანტიკულ განწყობილებას; ცხოვრება ნახევრადფარულად ყოველთვის ავსებდა შუა საუკუნეთა ყოფის უკმარ და ვიწრო საფუძვლებს, ამასთან კმაყოფილდებოდა პერიოდული მონანიებით, გარეგნული ფორმებით და შემდეგ, მეტი მომარჯვებულობისათვის, ინდულგენციების ყიდვით. მიუხედავად ამისა, მაშინდელი ცხოვრება პირქუში იყო და დაძაბული; მეზობელი მეზობელს უმალავდა პირობითი ფორმებით უბრალო აზრსაც და გამოკრთობილ გრძნობასაც; მას რცხვენოდა, ეშინოდა მათი. რომანტიზმი ბევრ რამ გულითადს, ამაღელვებელს შეიცავდა, მაგრამ ცოტა იყო მასში ნათელი, სადა, აშკარა; რა თქმა უნდა, ადამიანი მაშინაც ეძლეოდა სიხარულს, სიამოვნებას, მაგრამ ამას სჩადიოდა იმ გრძნობით, რა გრძნობითაც მუსულმანი ღვინოს სვამს: იგი მიდიოდა იმ დათმობაზე, რომელსაც თვითონ გაურბოდა; გულისადმი დათმობით იგი დამცირებულ იქნა, იმიტომ რომ წინ ვერ აღუდგა მიდრეკილებას, რომელსაც სამართლიანად არ თვლიდა. ადამიანის მკერდი, საიდანაც შეუძლებელი იყო რეალური წვრილმანების განდევნა, მძიმედ ბორგავდა, უფრო თანაბარ ცხოვრებას ეტანებოდა; მუდმივი დაძაბულობა ისევე მობეზრდა ადამიანს, როგორც მუდმივი იარაღასხმულობა რაინდს; სწადდათ შინაგანი სიმშვიდე,– რომანტიზმს ამის მოცემა არ შეეძლო: ის მთლად უთანხმოებაზე, წინააღმდეგობებზეა დაფუძნებული; მისი სიყვარულია პლატონიზმი და იჟვნეულობა; მისი იმედია სამარე; გამოუვალი სევდაა მისი შინაგანი ცხოვრების საფუძველი; მთელი მისი პოეზია ამ სევდაშია, რომელიც პიროვნების შინაგან სამყაროს არ შორდება, მარად აღიზიანებს ვითომდა ჭრილობებს, საიდანაც ცრემლი სდის და არა სისხლი. ამ ტანჯვაშია მთელი შვება ეგოისტი რომანტიკოსისა, რომელსაც თავისთავი გულუბ-

რყვილოდ მიაჩნია თავდადებულ მოწამედ; საძებნ ს ა მ ყ ა რ ო ს, საძებნ მყუდროებას წარმოგვიდგენდა პირველხანად ანტიკური სამყაროს ხელოვნება, მისი ფილოსოფია. მკაცრ გოტიკურ მსოფლმხედველობას თანდათან ეთვისებოდა ანტიკური ცივილიზაციის რბილი, ადამიანური ელემენტები; რომანტიკოსი ხვდებოდა, რომ დატკბობის პირველი პირობაა თავდავიწყება; მან მუხლი მოიყარა ანტიკური სამყაროს მხატვრულ ნაწარმოებთა წინაშე; ისწავლა მხატვრულ-კაზმულის უანგარო თაყვანისცემა; ბერძნულ-რომაული აზრი მისთვის გაცოცხლებულია ლამაზად შემკული: ათასწლოვან კუბოში დაიფერფლა ის, რაც უნდა დაფერფლილიყო; გაწმენდილი, მარად ჭაბუკი, ვით აქილესი, მარად ვნებიანი, ვით აფროდიტე, მოევლინა იგი ადამიანებს,—და ადამიანებმა, რომლებიც ყოველთვის მზად არიან გატაცებას მიეცნენ, შეურაცხმყოფელად დაივიწყეს რომანტიკული ხელოვნება, ისინი თვალს არიდებდნენ მის ქალწულებრივ სილამაზეს და კდემამოსილ შებურვილობას. ანტიკური ხელოვნების თაყვანისცემა დროებითი ჟინიანობა როდია; იგი მას შეჭფერის; ეს ერთადერთი უფლებაა, რომელიც მას სამარადისოდ შერჩა; ეს მისი ჭეშმარიტებაა, რომელიც წარუვალია; ეს საბერძნეთისა და რომის უკვდავებაა. მაგრამ გოტიკურ ხელოვნებასაც ჰქონდა თავისი ჭეშმარიტება, რომლის მოსპობა შეუძლებელი იყო; წინააღმდეგობის ეპოქაში დრო არ არის ასეთი გარჩევისათვის.

ევროპამ ანტიკური განათლებულობა მიიღო ისევე, როგორც რუსეთმა პეტრე I დროს, თავის მხრივ, მიიღო ევროპული განათლებულობა. თუმცაღა, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ კლასიკური განათლება, რაც მთელ ევროპაში გავრცელებულია, არისტოკრატიული განათლება იყო; იგი ეკუთვნოდა proprie sic dictum* განათლებულ ადამიანთა გაურკვეველ, მაგრამ, მაინც, ნამდვილ წოდებას, ლეგისტებს[136], სასულიერო პირებს, სწავლულებს, რაინდებს, რამდენადაც

* სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით (ლათ.). — რ ე დ.

ისინი შეიარაღებული არისტოკრატიიდან კარის არისტოკრატიად იქცეოდნენ, დასასრულ, ყველა მატერიალურად უზრუნველყოფილ და უსაქმურ პიროვნებას. გლეხები, ქალაქის ბ რ ბ ო, ე. ი. ღარიბი მდაბიონი, მუშაკები, პროლეტარები, არათუ არ მონაწილეობდნენ ამ ცვლილებაში, არამედ წინანდელზე უფრო მკვეთრად და უფრო ღრმად გამოეთიშნენ ხელოვნურად განათლებულ წრეს. ახალ ენებს, რომლებიც დაახლოებით იმ დროს შემოვიდა ხმარებაში, ისინი არ დაუახლოებია; ვ ულ გ ა რ ულ კილოკავებზე იწერებოდა და გამოითქმოდა ლათინური და ბერძნული აზრები ისე, როგორც შუა საუკუნეებში ლათინურად გამოითქმებოდა, რასაკვირველია, სრულიადაც არარომაული რამეები. მასები ამ გადატრიალებისაგან მეტად უხეშ უმეცრებაში ჩავარდნენ; წინათ მათთვის არსებობდნენ ტრუბადურები, ლეგენდები; მქადაგებელნი ლაპარაკობდნენ მათთვის, ბერები დაიარებოდნენ მათთან, უმაღლეს განათლებასა და მათ შორის კავშირი იყო; ახლა ყოველივე ნიჭიერი, განათლებული ხელთ იგდეს ელემენტებმა, რომელნიც უცხონი იყვნენ ხალხისთვის და არაფერს ეუბნებოდნენ მის სულსა და გულს; ამასთან დაიხსომეთ, ახალმა ცივილიზაციამ ვერ მოასწრო ისე გადამუშავებულიყო მის შემთვისებელთა არსად, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ თავისუფლად, ე. ი. თავისებურად, გამოეხატათ თავიანთი აზრები. პოეტები, ღმერთებსა და რომაელ გმირებს ხოტბას რომ ასხამდნენ, თავიანთ აღტაცებას მთლიანად ვირგილიუსისაგან სესხულობდნენ; პროზაიკოსები ციცერონისებურად წერდნენ და ლაპარაკობდნენ, მეშუნვარე, მწუხარე და გულგრილი ხალხი მათ არ უსმენდა: მან დაკარგა თავისი მგოსნები ზღაპრებითა და საგებითურთ, რომლებიც ესოდენ ძლიერ აღელვებდნენ მის გულს ნაცნობი ბგერებითა და მშობლიური სახეებით. ამ გათიშვამ მასებთან, რაც წარმოიშვა არა ფეოდალურ ცრურწმენებზე, არამედ ნახევარშეგნებულად წარმოდგა თვითონ განათლებულობიდან, გაართულა, დახლართა ჭეშმარიტი მოქალაქობრიობის განვითარება ევროპაში. განათლებულობის, ცოდნის არისტოკრატია სისხლის

არისტოკრატიაზე შეუდარებლად უფრო შეურაცხმყოფელია: იგი დაფუძნებულია არა უშუალობაზე, ბნელ რწმენაზე, არამედ შეგნებულ უპირატესობაზე, მასების ქედმაღლურ უგულებელყოფაზე; ხელოვნური განათლებულობა, რომელიც ფეოდალური გოტიზმის ადგილს იჭერდა, ზვიადი იყო და მედიდურად დასცქეროდა ზემოდან მასებს; ამ ქედმაღლობას თქვენ უპოვნით მის ყველა წარმომადგენელს. ვოლტერსა და ბოლინბროკს, ისევე როგორც 30-იანი წლის რევოლუციის დოქტრინიორებს და ბერლინელ კათედრის ფილოსოფოსებს. მაგრამ ევროპის გენია არ დაბნეულა ამ გაორებისაგან, მას თავი არ ჩაუქინდრავს, ტირილი არ მოურთავს წარსულის გამო და სასოწარკვეთილებას არ მისცემია, რომ არ ძალუძს მომხდარი მოვლენა მოინელოს. განა ცოტა დროებითი ბოროტება გაივლის მარადიული სიკეთის გვერდით, ერთი ოჯახის კერძო ცხოვრებაშიც კი, არათუ მთელი ხალხის რთულ მრავალსაწყისიან ცხოვრებაში; ბოროტება, ავბედი, მაგრამ ზოგჯერ აუცილებელი პირობა სიკეთისა, გაივლის; სიკეთე რჩება; ძლიერი პიროვნება მოინელებს ხოლმე ბოროტებას, ებრძვის მას, სძლევს. ძლიერ პიროვნებას უნარი შესწევს თავი დააღწიოს სამძიმო გარემოებებს, უნარი შესწევს დამარხოს მისთვის საყვარელი რამ, ხოლო ამავე დროს დარჩეს მისი ერთგული და გასწიოს ახალი საქმეების და ახალი ღვაწლის განსახორციელებლად; სუსტი პიროვნებანი კი იბნევიან თავიანთ მოთქმა-ტირილში დანაკლისზე, მათ სწადიათ შეუძლებელი,—სწადიათ განვლილი, უნარი არ შესწევთ გაეგნონ სინამდვილეში, და, ვით ეტრურიელი ქურუმები[137], მხოლოდ სამგლოვიარო სიმღერებს მღერიან, რაკი აზრი არა აქვთ ახალი ცხოვრებისა და მის საქორწინო ჰიმნების დასანახად და გასაგებად.

თუ კლასიკურმა განათლებამ მასებს გვერდი აუარა და მათგან უმაღლესი წოდებანი მოწყვიტა, რეფორმაცია თავისი ერესებითურთ, პირიქით, არ აცდენიათ მათ. მისტიციზმი და მოძღვრებანი, რაც პროტესტანტიზმმა აღძრა, მისი იდუმალი უბრალოება, რომელსაც უნდა შეეცვალა კათოლი-

ციზმის დიდებული რიტუალი, მისი დოგმატური საკითხები თვითეული ადამიანის სინდისს შეეხნენ. ბრიტანულმა ხასიათმაც კი დაივიწყა თავისი პრაქტიკული განწყობილება და თეოლოგიურ მიკიბულ-მოკიბულობათა ლაბირინტში გადაეშვა; გერმანიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ დავის, შეხლა-შემოხლის შედეგები შეესაბამებოდა ხალხის სულს: ინგლისისათვის—კრომველი, პენსილვანია, გერმანიისათვის — იაკობ ბიომე; ვთქვათ მის შესახებ რამდენიმე სიტყვა.

თვითშემეცნება მარტო მეცნიერებაში როდი მჟღავნდება; ლოგიკური ფორმა უკანასკნელი, დამამთავრებელია, რომელსაც ცოდნა, კერძოდ რომ ითქვას, ვერ სცილდება. მეცნიერება არათუ არ არის თვითშემეცნების ერთადერთი ორგანო, არამედ იგი ძალიან დიდხანს უხერხული, მოუმზადებელი ორგანო იყო მისთვის; რა თქმა უნდა, მეცნიერება აბსოლუტური აზრით ჭეშმარიტების მარადიული ორგანიკაა; მაგრამ დროა დავთანხმდეთ, რომ სინამდვილეში, ე. ი. დროში, ისტორიაში ყველაფერი განპირობებულია და რომ მხოლოდ ისტორიულ მეცნიერებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა საქმე ნამდვილ განვითარებას ეხება. ლოგიკაში ყოველივე სრულყოფილია sub specie aeternitatis*; ამიტომაა, რომ დროებითმა მასში ჯერ კიდევ ვერ პოვა თავისი იგივეობა მარადიულთან. სანამ გონება და ჭეშმარიტება გაორებულია, სანამ ფორმა და შინაარსი ერთიმეორისადმი დაპირისპირებულია, მანამდე მეცნიერებას არ ძალუძს გამოიყვანოს თვითშემეცნების სრული ჭეშმარიტება ან ჭეშმარიტების სრული თვითშემეცნება, რაც ერთი და იგივეა. ვიდრე უმაღლესი ფორმა მუშავდება, ადამიანი შეიცნობს თავისთავს უფრო და უფრო საქმიანობის სხვა სფეროებში, გამოცდილების, მოვლენების და გარეშე სამყაროსთან თავისი ურთიერთქმედების გზებით, აღტაცებული პოეტური წინასწარცოდნის გზებით. თავდაპირველად ადამიანის თვითშემეცნება — მისი ინსტინქტი, ცხოველის შეუცნობელი გონივრულობა,

---

* მარადისობის თვალსაზრისით (ლათინ.). — რ ე დ.

ბუნდოვანი, დაუძლეველი მიდრეკილებანი, რომელთა დაკმაყოფილება, ცხოველურ მხარეს რომ ამშვიდებს, ადამიანურ მხარეს აღაგზნებს. წარმოშობილი გონება ორი მიმართულებით გადაშლის თავის შინაარსს. პრაქტიკულ სფეროში იგი გვევლინება როგორც შეერთებადი თემური ცხოვრება, როგორც ქცევის, მოქმედების ყოფაცხოვრებითი სიბრძნე, როგორც შრომის, მუშაობის მრავალმხრივი კავშირი გარემომცველ გარემოსთან, როგორც ზნეობრივი ნების განვითარება; აზრს, რომელიც ამ სფეროებში მუშავდება, აქვს კონკრეტულის მთელი სისრულე და სიცოცხლიანობა და მთელი მისი მოუხელებლობა განყენებულ ფორმაში; ყოველივე პრაქტიკული არის ფიზიკური თუ ზნეობრივი მოთხოვნილების კერძო, პირობითი, ერთდროული დაკმაყოფილება; მისი შემოქმედებითი ერთობლიობის მაღალი აზრი იკარგება ურუს კაკუნისაგან, მტვრისაგან, დაქუცმაცებულობისაგან; ამავე დროს, როგორც კი ადამიანმა ოფლი მოიწმინდა მოწყობილობისათვის მძიმე შრომის შემდეგ, მას უკვე გაუჩნდა სხვა სურვილების დაკმაყოფილების მოთხოვნილება. მას უკვე რაღაცა აწუხებს, და მისი ბავშვური გონება, რომელიც გრძნობებისაგან განუყოფელია, რომელსაც არ ესმის ყველა თავისი საშუალებანი, იწყებს ბუნებისა და აზრების შემოსვას ბავშვური წარმოსახვის ჭრელ, ბრჭყვიალა ფერად-ფერადი ტანისამოსით. თავდაპირველად თავშეუკავებელი ფანტაზია, როცა წონასწორდება, მხატვრული ნაწარმოების მწყობრ და ნატიფ სახეს იღებს; მხატვრულ ნაწარმოებში მართლაც შეხამდა შინაარსი შიგთავსთან; მასში აზრი უშუალოა, და უშუალობა გაცოცხლებულია; ქანდაკებაში ადამიანი თავის გარეთ ხედავს იმ შერიგებას, რომელსაც ეძებს, თაყვანს სცემს მას და უწოდებს აპოლონს ან პალადას. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება; მოუსვენარი აზრი ღრღნის მხატვრულ ნაწარმოებს, იმორჩილებს ფორმას, დაიყვანს მას სიმბოლიკის დონემდე, თვითონ კი ადის შთაგონებული, იდუმალი ჭვრეტის სიმაღლეზე. თვითშემეცნება ამ სიმბოლიკაში პოულობს სახეს; სიტყვას, რომელიც მას უადვილებს გამოუთქმელი, მაგრამ ცნობიერებაში მოვლენილი

ჭეშმარიტების გაგებას; აქ სახე უკვე არ არის იდეის ცოცხალი და ერთადერთი სხეული, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში; სიმბოლური სახე, როცა მან უკვე გადმოგცათ თავისი აზრი და ჭეშმარიტების ჭურჭელის როლი შეასრულა, მზად არის გაქრეს, გაიშალოს თვითშემცნობი აზრის შუქზე; ეს მოციმციმე, ნახევრად გამჭვირვალე სახე ადამიანს ადამიანისავე თვისებებს აურეკლავს, ოღონდ გარდაქმნილ, გასხივოსნებულ თვისებებს; ადამიანი მათში შეიცნობს თავის თავს და შიშობს იცნოს თავისი თავი. სიმბოლიკა მისტიკური თვითშემეცნების ენაა, შთაგონებული იეროგლიფია. პითაგორას და პროკლეს ენა, იაკობ ბიომეს ენა, მათ მიერ მიღებული სახეები ყოველთვის შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას გაგებული; ისინი, როგორც სარკეში, გონებას აურეკლავენ გონებას, ხოლო გრძნობადობას — გრძნობადობას. მსუბუქი და გაცოცხლებული იეროგლიფები გრძნობად მისტიკოსთა ტლანქ ხელში, რომელნიც ურჯუკობით მატერიალიზმს უბრუნდებიან, გამაოცებელ აჩრდილებად იქცევიან; მათი მაცოცხლებელი სული, მათი რელიგიური აზრი ქრება; მაქმანიანი საბურველი, რომელიც ადამიანსა და ჭეშმარიტებას შორის ოდნავ ირხევა, ნესტიანი საფლავის სუდარად იქცევა, და მკაფიო აზრი, რომელიც შთაგონებული მჭვრეტელის თვალებში გამოკრთოდა, მისნისა და კაბალისტის მოღუშულ-შლეგურ გამოხედვით შეიცვლება. საჭიროდ მიმაჩნდა მომეგონებინა თქვენთვის ყოველივე ეს, როცა იაკობ ბიომეს უცნაურ სახეს ვუახლოვდებოდით. მისმა შთაგონებულმა, მისტიკურმა ჭვრეტამ, რაც წმინდა წყაროდან გამომდინარეობდა, იგი მიიყვანა ისეთი თვალუწვდენელი სიფართოვის შეხედულებამდე, როგორზედაც მისი დროის მეცნიერება ოცნებობას ვერ ბედავდა; ისეთ ჭეშმარიტებებამდე, რომლებიც კაცობრიობამ გუშინ შეიტყო. ბიომე კი ორას წელზე მეტი ხნის წინათ ცხოვრობდა. და ბიომეს იმავე დიდებულმა მოძღვრებამ, უცნაურ მისტიკურ და ალქიმიურ სამოსელში გახვეულმა, საფუძველი ჩაუყარა უაღრესად ექსცენტრიულ, უაღრესად გიჟურ გადახვევებს ჭეშმარიტების გულმართლად

მიღებისაგან: სვედენბორგელებმა 138, ეკარტსჰაუზენმა, შტილინგმა და მათმა მიმდევრებმა, ჰოჰენლოემ და ახლანდელმა გერმანელმა სულთამხილავებმა, გრძნეულებმა, კეთროვანებმა, გარყვნილებმა, უმკითხველოდ დარჩენილი სხვადასხვა ჟურნალების და სხვადასხვა საგიჟეთეების ბნედიანებმა თავიანთი ბნელეთისმოციქულობის მეტი წილი იაკობ ბიომესაგან შეითვისეს.

მე შესაძლებლობა არა მაქვს გადმოგცეთ ბიომეს მოძღვრების სრული ნარკვევი; ჩვენ რამდენიმე მხარეს დავჯერდებით; თუმცაღა, ex ungue leonem! *

ბიომეს ენა ბუნდოვანია, გამართული არ არის, მაგრამ მისი მკვეთრი და ორიგინალური მეტყველება სავსეა ძლიერი, ცეცხლოვანი პოეზიით. აი მისი ბუნების ფილოსოფიის ძირითადი აზრები. «ყოველივე აღმოცენდება ჰ ო და ა რ ა-სგან. ჰ ო, უარყოფითის გარეშე, ა რ ა-ს გარეშე აღებული, არის მარადიული მყუდროება, ყოველივე და არაფერი, მარადიული მდუმარება, თავისუფლება ყოველგვარი ტანჯვისაგან, და, მაშასადამე, ყოველგვარი სიხარულისაგან, განურჩევლობა, აღუშფოთებელი სიჩუმე. მ ა გ რ ა მ ჰ ო-ს არც შეუძლია არსებობა — არას გარეშე; იგი აუცილებლად ახასიათებს განურჩევლობიდან მის გამოსვლას. ა რ ა, თავისთავად, არაფერია, ხოლო არაფერი მისწრაფებაა რაიმესადმი (eine Sucht nach Etwas). ჰ ო და ა რ ა სხვადასხვა როდია, არაერ-ად განსხვავებულია: განუსხვავებლად არც სახე იქნებოდა და არც ცნობიერება, სიცოცხლე მარადიული ვნებაუქონელი, გულგრილი ემანაცია იქნებოდა; სურვილი გულისხმობს, რომ რაღაცა ა რ ა რ ი ს, რასაც ჩვენ ვესწრაფვით. ა რ ა აჩერებს დადებითის უსასრულო სხივმოსილობას, და მათი შეხვედრის წერტილზე სიცოცხლე აჩუხჩუხდება; ეს არის გადახრა, რომელიც უსასრულო განვითარებას აჩერებს სასრულოვანი განსაზღვრულობისათვის. ერთიანობა, მრავალსხვაობაში რომ გვევლინება, უეჭველად დანაწევრდება და, ამ დანაწევრებაში როცა ვითარდება, ცნობიერების წყალობით ახალ სულიერ

* ლომს კლანჭებით (იცნობენ) (ლათ.). — რ ე დ.

ერთიანობას უბრუნდება... სინათლე არ იქნებოდა, სიბნელე რომ არ ყოფილიყო, ან სინათლე კიდეც რომ ყოფილიყო, რას გაანათებდა, თუ შეუფერხებლივ გაიფანტებოდა? მაგრამ სინათლე თავად იწვევს სიბნელეს, განუსხვავებლობის სევდა ესწრაფვის განსხვავებას; ამას ეფუძნება მარადიული მოთხოვნილება—ი ყ ო რ ა ი მ ე დ (Etwasseinwollen); გაორების ამ მოთხოვნილებაში ვლინდება ბუნების მ ე (ე. ი. სუბიექტურობა)... ღვთაებრივ და მარადიულ ნებას რომ გადაშლის, ბუნება წყნარი მარადიულობის ქმნილებაა; იგი წარმოქმნის, წარმოშობს და ანაწევრებს იმისათვის, რომ სიხარულით შეიცნობდეს თავის თავს... რასაც ცნობიერება სიტყვით გამოხატავს, იმას ბუნება თვისებებად აქცევს. მარადიული ბუნების პირველი თვისებაა (ბიომე მარადიულ თვისებებს განასხვავებს მათი დროებითი გამოვლინებებისაგან; პირველთ იგი უწოდებს მარადიულ ბუნებას, მეორეთ—ფიზიკურ ბუნებას) რაიმედ გახდომის უთუო ს უ რ ვ ი ლ ი ა; მეორე არის უ კ უ ქ მ ე დ ე ბ ა, რომელიც აჩერებს სურვილს, გადახრაა, ტანჯვისა და სიცოცხლის მიზეზია; მესამე — მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ობ ა, თვისებათა თვითცნობიერება; მეოთხე — ც ე ც ხ ლ ი, ელვარება, რომლამდეც ავიდა წინანდელ თვისებათა ბუნებრივი და მტანჯველი რღვევა; მეხუთე — ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი; მეექვსე — ბ გ ე რ ა, თვისებათა საცნაურობა და ურთიერთგაგება; მეშვიდე — ა რ ს ი, როგორც მატარებელი პიროვნება, როგორც ექვსი წინა თვისების სუბიექტი, როგორც მათი სული... ბუნებაში ყოველივე თავის თავს ამჟღავნებს; ბუნება ენას აძლევს ყოველივეს; თვით მოხაზვა არის სიტყვა, რომლითაც ნივთი ააშკარავებს თავის შინაგან რაობას, მხოლოდ შინაგნად ყოფნა აუტანელია: შინაგანი ისწრაფვის გარეგნული იყოს. მთელი ბუნება ჟღერს თავის თვისებაზე და გვაჩვენებს თავის თავს... ბუნების თავმოყრილ სიცოცხლეში აშკარავდება არსი (როგორც ადამიანის აზრი), ხოლო სურვილი (ადამიანისა) შეიცავს მისწრაფებას განხორციელდეს (ბიომეს მიხედვით, ბუნებად გამოაშკარავდეს). გარეგნული ბუნება ექვსი მარადიული თვისებისაგან წარმოიქმნება;

მეშვიდეში იგი მშვიდდება როგორც თავის შაბათში... წყალი, ჰაერი უფრო ახლოსაა განურჩეველ ერთიანობასთან, როგორც ყოველივე რბილი, სიმკვეთრეს მოკლებული; პირიქით, მაგარი სხეულები უფრო მაღლა დგანან თავიანთი სირთულით, დანაწევრებულობით, რომელიც უკვე მოხსნილია მათში. ხილული სამყაროს მიხედვით, მზის, ვარსკვლავების, ელემენტების, ქმნილებათა მიხედვით შეიძლება განვსაზღვროთ მათი მიზეზი, ვინაიდან არც ერთ ნივთს არა აქვს საფუძველი სხვაგან, ხოლო მისი საფუძველი და მიზეზი აუცილებელი იქ არის, სადაც იგი აღმოცენდა. ყოველივეს ჭეშმარიტი მიზეზი, უკანასკნელი საფუძველი არის ღვთაებრივი სული, ყოველგან მყოფი... იგი შორს არ არის, ახლოსაა, ოღონდ უნდა შეგეძლოს მისი ხილვა; — ამბობს აღტაცებული ბიომე; «გონებაჩლუნგი ხარ, ვეტყვი მე ურწმუნოს, — თუ ფიქრობ, რომ თვით შენში არ არის ღვთაებრივი, მაშინ ღვთის ხატება და მსგავსება არა ხარ; თუ შენ გამოთიშული ხარ მისგან, როგორ გახდები მის ერთ-ერთ ძედ?»

აუცილებელი დანაწევრების ამავე საწყისიდან ბიომე ცდილობს გამოიყვანოს ბოროტება და ყოველივე ცუდი. ბოროტება მას მიაჩნია ფენომენალური ყოფიერების ერთ-ერთ პირობად; მისი დასაბამი საერთოა სიკეთესთან, თვისობრიობა უკვე არის ბოროტება, როგორც შეზღუდულობა, როგორც ეგოისტური მოწყვეტა ერთიანობისაგან, როგორც განცალკევება და ყველა სხვა თვისების გამორიცხვა. ლათინური სიტყვა qualitas* ბიომეს პოეტურად (თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზია ეთანხმებოდეს გრამატიკას) გამოჰყავს გერმანული სიტყვებიდან Qual — წამება და Quellen — გამოდინება, თვითწამების თვისება (die Qualität quält sich ab); საყოველთაო ერთიანობაში რომ განთავისუფლდეს, ის გრძნობს ნაკლს, რადგან იგი არის რ ა ღ ა ც ფიზიკური, ყოველივეს შეთვისებას დახარჭებული, თავმოთნე; «მაგრამ ეს განსხვისება დაიძლევა შუქის მოფენით, და ის, რაც ტანჯ-

* თვისობრიობა. — რ ე დ.

ვა იყო სიბნელეში, სიამოვნებად გაიშლება სინათლეზე; ყოველივე, რაც იყო შიში, საშინელება, თრთოლეა გადაიქცევა სიხარულის ძახილად, რეკვად და გალობად... ბოროტება აუცილებელი მომენტია ცხოვრებაში და აუცილებლად გარდამავალია... უბოროტებოდ ყველაფერი ისევე უფერული იქნებოდა, როგორც უფერული იქნებოდა ვნებას მოკლებული ადამიანი; ვნება, თვითმყოფი რომ ხდება, ბოროტებაა, მაგრამ იგივეა ენერგიის წყარო, ცეცხლოვანი მამოძრავებელი... სიკეთე, რომელიც არ შეიცავს ბოროტებას, ეგოისტურ დასაბამს, — ცარიელი, მთვლემარე სიკეთეა. ბოროტება თავისი თავის მტერია, მოუსვენრობის დასაბამია, რომელიც განუწყვეტლივ ესწრაფვის მოსვენებას, ე. ი. თავის თავის მოხსნას...»

გეყოფათ. თუ გსურთ ამ უცნაურ სიტყვებში გაიგოთ ფართო აზრები, რომლებიც ყოველი მხრიდან გამოკრთის ბიომესთან[139], თქვენ მათ ნახავთ ჩემ მიერ მოყვანილ მცირე ამონაწერებშიც. ხოლო თუ მისი სიტყვები თქვენ (ისევე როგორც თქვენზე უფრო ადრე ბევრ სხვას) ბოდვად მოგეჩვენებათ, მე არ ვეცდები საწინააღმდეგო დაგიმტკიცოთ...

რეფორმაციული მსოფლმხედველობის საფუძვლები ისევე უწყობდნენ ხელს აზროვნების მეცნიერულ განვითარებას, როგორც ფეოდალიზმი უშლიდა მას ხელს: მაძიებელმა კვლევამ კანონიერი უფლება მოიპოვა; როცა მაშინდელი დროის დავასა და მის მანერას გულდასმით აკვირდები, სიხარულსა და სევდას განიცდი; თქვენ ხედავთ, რომ აზრი იმარჯვებს, რომ მას ყველგან უთმობენ ადგილს, რომ იგი აღიარებულია, მაგრამ ამასთან ერთად ხედავთ, რომ იგი არის მშრალი, ცივი, ფორმალური, რომ იგი ჩაკლავდა სიცოცხლეს, შესაძლებელი რომ ყოფილიყო სიცოცხლის ჩაკვლა. მეცნიერებაში შუა საუკუნეთა მსოფლმხედველობაზე გამარჯვება არ ყოფილა ისე საზეიმო, ისე სრული, როგორც ხელოვნების სფეროში: რაფაელმა, ტიციანმა, კორეჯიომ [140] შეუძლებელი გახადეს დუალიზმი ესთეტიკაში; მეცნიერებაში კათოლიკური იდეალიზმი, რომელსაც სქოლასტიკა ეწოდებოდა,

ძლეულ იქნა პროტესტანტული სქოლასტიკის მიერ, რომელსაც იდეალიზმი ეწოდება. როგორც მხატვრულობა შეადგენს ბერძნული ეპოქის წარმმართველ ხასიათს, სწორედ ასევე განყენებული აზროვნება წარმოადგენს რეფორმაციული ეპოქის მთავარ მხარეს, — სკოლურ და უაღრესად პროზაულ დუალიზმს; მის განვითარებასთან ერთად ცხოვრება წვრილმანდება, უფრო უფერული ხდება*. ამ მეცნიერების მატიანეში ჩვენ ვეღარ შევხვდებით ვერც ანტიკური სამყაროს ბრძენ მოქალაქეთა დიდებულ-პლასტიკურ პიროვნებებს, ვერც შუა საუკუნეთა დოქტორების სასტიკ, პირქუშ სახეებს, ვერც XVI საუკუნეში მომხდარი გადატრიალების ადამიანთა ენერგიულ, ცეცხლოვან ნაკვთებს. ფილოსოფოსები, როგორც ადამიანები, სულ უფრო და უფრო ბერდებიან; მათი განყენებული მეცადინეობა, მათი მეცნიერული ინტერესები, მათ ცხოვრებისათვის უცხოსა ხდიან; ბრუნოს შემდეგ ფილოსოფიას აქვს მეცნიერების მხოლოდ ერთი დიდი ბიოგრაფია del gran Ebreo** (სპინოზასი)***. ჰეგელი ამას საკმაოდ უცნაურად ხსნის; იგი ამბობს, რომ ახალ დროში მოქალაქეობრიობამ იმ გონივრულ სრულყოფას მიაღწია, რომლის დროსაც ინდივიდუალობას აღარა აქვს საზრუნავი გარეგნულისათვის და ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილია. შინაგანი და გარეგნული, — ფიქრობს ის, — თვითმყოფნი არიან და ისე დგანან, რომ გარეგნული წესრიგი თავისთავად მიდის, და ადამიანს მასზე უფიქრებლად შეუძლია თავის თავად დაადგინოს თავისი შინაგანი სამყარო. ვფიქრობ, რომ ამის დამტკიცება არც ისე ადვილია გერმანიის ისტორიით

---

* უცნაურია; პროტესტანტიზმში, ისევე როგორც მეცნიერების საქმეში, რომანული ხალხები მხოლოდ თავფურცელზე ჩნდებიან თავიანთი ბრეშიანელი არნოლდით და ჟიროლამ სავონაროლათი, თავიანთი ჰუგენოტებითურთ... შემდეგ ისინი გერმანულ სამყაროს უთმობენ შეაგროვონ პირველი ნაყოფი, თითქოს და რაღაცას უცდიდნენ. — ა. გ.

** დიდი ებრაელისა (იტალ.). — რ ე დ.

*** იქნებ მივუმატოთ ლაიბნიც, და ფიხტე. — ა. გ.

ვესტფალიის ზავიდან ჩვენ საუკუნემდე, მაგრამ როგორადაც უნდა იყოს, ჰეგელმა სავსებით გერმანული აზრი გამოთქვა — non Vitia hominis *.

წერილი მეექვსე [141]

დეკარტე და ბეკონი

Hier können wir sagen, sind wir zu Hause, nnd können wie die Schiffer nach langer Umherfahrt auf der ungestümen See «Land!» rufen **. ასე მიესალმება ჰეგელი დეკარტეს. «დეკარტედან, — განაგრძობს იგი,—იწყება ნამდვილი განყენებული აზროვნება; აი საწყისები, რომლებზედაც განვითარდება წმინდა გონებითქვრეტა, ახალი მეცნიერება—ჩვენი მეცნიერება».

ჩვენც ვიტყვით: ნაპირი, მაგრამ საპირისპირო აზრით; ჰეგელისათვის ეს არის ნაპირი, რომელსაც მიადგება აზრი, როგორც თავის მყუდრო ნავსაყუდელს, ნავსაყუდელს, საიდანაც იწყება მისი სამეფო. ჩვენ კი, პირიქით, ახალ ფილოსოფიაში ვხედავთ ნაპირს. რომელზეც ვდგავართ და მზად ვართ პირველივე ზურგისქარისას მივატოვოთ იგი, მზად ვართ მადლობა ვუთხრათ სტუმართმოყვარეობისათვის, მოვცილდეთ მას და გავწიოთ ახალი ნავმისადგომებისაკენ. ახალი ფილოსოფიის

---

* «Gesch. der Phil.», Th. III, P. 276 და 277. ამ აზრს ყველაზე უკეთ ამტკიცებს ჰეგელის ვრცელი ბიოგრაფია, დაწერილი როზენკრანცის მიერ და გამოქვეყნებული ერთი წლის წინათ; იქ არის დიდად საინტერესო ამონაწერები ჰეგელის ქაღალდებიდან და თითქმის ყოველგვარ ინტერესს მოკლებული თავგადასავალი: უშემთხვევებო გერმანული ცხოვრება, კათედრების გამოცვლა, mit Spaarbüchsen für die Kinder, Geburst-Feiertagen etc. — ა. გ. Non vitia hominis — ადამიანის ბრალი როდია (ლათ.). Mit Spaarbüchsen für die Kinder. Geburst-Fejertagen etc. — ყულაბები ბავშვებისათვის, დაბადების დღის დღესასწაულობა და სხვ. (გერმან.). — რ ე დ.

** ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ შ ი ნ ა ვართ; ზღვაოსნის მსგავსად, რომელიც დიდხანს დაქროდა მღელვარე ზღვაში, შეგვიძლია წამოვიძახოთ: «მიწა!» («Gesch. der Phil.», T. III, გვ. 328 და იქვე, გვ. 275).—ა. გ.

ბედი სავსებით წააგავს ყოველივე რეფორმაციულის ბედს: არაფერი ძველი არ არის მყუდროდ დატოვებული, არაფერი ახალი არ არის საფუძვლიდან აგებული; ახალ შენობათა აგებას ძველი აგური ხმარდებოდა, და ეს შენობები არც ახალი გამოვიდა და არც ძველი; ყოველივე რეფორმაციულმა უზარმაზარი ნაბიჯები გადადგა წინ; ყოველივე აუცილებელი იყო, და ყოველივე შუაგზაზე შეჩერდა. უცნაური იქნებოდა, რომ წამოწყებათა ამ ეპოქის მეცნიერებას მარტო თავისი საქმე გაეკეთებინა. მეცნიერებას ძალა არა აქვს მოწყდეს ისტორიული ეპოქის დანარჩენ ელემენტებს; პირიქით, იგი არის თავისი დროის შეგნებული, განვითარებული აზრი; იგი მთელი გარემომცველის ბედს იზიარებს. მან, თავის მხრივ, თუმცა ხმამაღლა განაცხადა პროტესტი სქოლასტიკის წინააღმდეგ, მაინც თავის ძარღვებში შეიწოვა სქოლასტიკა. წმინდა აზროვნება ახალი მეცნიერების სქოლასტიკაა ისევე, როგორც წმინდა პროტესტანტიზმი არის განახლებული კათოლიციზმი. ფეოდალიზმმა რეფორმაციაზე მეტხანს გაძლო; მან ევროპის ახალი ცხოვრების ყველა მოვლენაში შეაღწია; სული მისი დამკვიდრდა მათში, ვინც მის წინააღმდეგ მხედრდებოდა; მართალია, ის შეიცვალა, კიდევ უფრო მართალია, რომ მის გვერდით ჩნდება რაღაც ნამდვილად ახალი და ძლიერი; მაგრამ ეს ახალი, სრულწლოვანების მოლოდინში, ცოცხალი ფეოდალიზმის მეურვეობის ქვეშ იმყოფება, მიუხედავად ლუთერის რეფორმაციისა და გასული საუკუნის უკანასკნელი წლებისა.—ან როგორ არ უნდა იყოს იგი ცოცხალი? რას ებრძოდა იგი აქნობამდე? გაიხსენეთ,—მოუმწიფებელ წამოწყებას, განუვითარებელ საყოველთაობას, კერძო თავდასხმებს, შესწორებებს, რომლებსაც მისი საკუთარი ფარგლების შიგნით აკეთებდნენ. უხეში, პირდაპირი ფეოდალიზმი რაციონალური, შერბილებული ფეოდალიზმით შეიცვალა; ფეოდალიზმი, რომელსაც თავისი თავი სწამდა, შეიცვალა ფეოდალიზმით, რომელიც თავის თავს იცავს, სისხლის ფეოდალიზმი—ფულის ფეოდალიზმით. სქოლასტიკას უპირავს მეცნიერების ფეოდალიზმის ადგილი: განა შეიძლებოდა იგი ამის შემდეგ

მთლად მეცნიერება და ნაპირი ყოფილიყო? განა შეიძლებოდა იმის მოლოდინი, რომ მასში ადამიანი შინ იქნებოდა?—არა!

სქოლასტიკური დუალიზმი კი არ დაიღუპა, არამედ მან მოიხსნა გაცვეთილი ბისტიკურ-კაბალისტიკური სამოსი და წმინდა აზროვნებად. იდეალიზმად. ლოგიკურ აბსტრაქციებად მოგვეელინა. აქ დიდი პროგრესია: ამ გზით, ე. ი. დუალიზმის აყვანით აზრის საყოველთაო სფეროდ, ფილოსოფიამ იგი დანის პირზე დასვა, პირდაპირ უჩვენა მისგან გამოსვლის გზები. ახალი ფილოსოფია იმ ამოცანიდან იწყება, რომელზეც ანტიკური მეცნიერება შეჩერდა,—იმ წერტილიდან, ასე ვთქვათ, რომელზეც ანტიკურმა სამყარომ აზროვნება აიყვანა. მან ხელი მოჰკიდა ანტიკური სამყაროს ამოცანას, მაგრამ ვერ გადაჭრა იგი; მან მხოლოდ მიგვიყვანა ამოცანის გადაწყვეტამდე და შეჩერდა; იქნებ, გრძნობდა, რომ ეს გადაწყვეტა ამავე დროს მისი სიკვდილის განაჩენიც იქნებოდა, ე. ი. რომ იგი არსებულ მოქმედ ხელისუფლებიდან ისტორიას ჩაბარდებოდა. ჰეგელი, იქნებ, უფრო გულახდილად მოიქცა, ვიდრე მას სურდა, იქნებ, სასიხარულო სიტყვები «ნაპირი», «შინ» მას უნებლიედ აღმოხდა; ამ წამოძახილით მან განუყრელად დაუკავშირა თავისი ბედი რეფორმაციულ მეცნიერებას. ესეცაა, სპინოზასთან ერთ ნაპირზე დგომა სამარცხვინო არ არის!

ყოველივე ჩვენს მიერ ნათქვამმა არასგზით არ უნდა მიჩქმალოს აზროვნებაში მომხდარი გადატრიალების მთელი სიდიადე და მისი საშუალებით მეცნიერების მიერ მოპოვებული მთელი პროგრესი. დეკარტეს დროიდან მეცნიერება თავის ნიადაგს არ კარგავს; ის მტკიცედ დგას თვითშემცნობ აზროვნებაზე, გონების თვითკანონიერებაზე.

ანტიკური ფილოსოფია და ახალი ფილოსოფია მომავალი მეცნიერების ორ დიად საფუძველს შეადგენენ; ორივე ნაკლულია, ორივე შეიცავდა არამეცნიერულ ელემენტებს, ორივე წარმოადგენდნენ დიად მოსამზადებელ მომენტებს, ურომლებოდაც სრული მეცნიერება, მართლაც, ვერ განვითარდებოდა,—ორივემ განვლო. ხომ გახსოვთ, ანტიკური ფილოსოფია ყოველთვის შეიცავდა უშუალობის ერთ კეროლიტივით

ჩამოვარდნილ ელემენტს, ფაქტს, მოვლენას, და რომელიც ჭეშმარიტებად მიაჩნდათ გრძნობით, და სიცოცხლისადმი, სამყაროსადმი ნდობით. ასე იღებდა იგი თვით ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობას; ის მართალი იყო საქმის არსის მხრივ, მაგრამ არ იყო მართალი მიღების მხრივ: ეს იყო რწმენა, ინსტინქტი,—ჭეშმარიტების ტაქტი, თუ გნებავთ,—მაგრამ არა შეგნებული აზრი. ასეთი უშუალო ელემენტი პირდაპირ ეწინააღმდეგება მეცნიერების ცნებას. შუა საუკუნეთა მსოფლმხედველობა უშუალობისადმი საწინააღმდეგო ქმედება იყო; მაგრამ ამან იგი ვერ იხსნა იმავე ნაკლისაგან; მან გაწყვიტა იმ ჭიპლარის უკანასკნელი ძაფი, რომლითაც ადამიანი მიმაგრებული იყო ბუნებაზე, და ადამიანი, სავსებით რეფლექსიის სამყაროს შიგნით მიქცეული, მხოლოდ მასში ეძებდა საკითხების გადაჭრას; მაგრამ ეს სულიერი სამყარო წმინდა პირადი სამყარო იყო, მას საგანი არ გააჩნდა. «არსების ნამდვილობა,—ჩინებულად შენიშნა ჯორდანო ბრუნომ, — გაპირობებულია ნამდვილი საგნით». შუა საუკუნეთა ადამიანის საგანი თვითონ იგი იყო, როგორც განყენებული არსი; უშუალობის უარყოფა ისევე ნაკლებად მეცნიერულია, როგორც მისი მიღება აზრის გარეშე. თავის თავში ჩაკეტილი, თავის თავზე ყურადღებაგადატანილი გონება, ხხოლოდ თავის თავით გართული, «მშრალ, უბადრუკ სქოლასტიკაში ჩავარდა და თავისგან ქსოვდა აბლაბუდას, მეტად დახვეწილსა და ნაუშიანს, მაგრამ სრულიად არა საჭიროს»,—როგორც ამბობს ბეკონი. გონებისადმი ადამიანის ნდობამ სქოლასტიკა მიიყვანა ყოველი ლოგიკურად აგებული უაზრობის ნამდვილობად აღიარებამდე და, რადგან მათ შინაარსი არა ჰქონდათ, მათ ისინი იღებდნენ ფანტაზიიდან, ფსიქოლოგიური უშუალობიდან, ამასთან, ემყარებოდნენ მას ისე, როგორც ემპირიკოსი ცდას ემყარება. ამგვარად, ერთის მხრივ, მძიმე ქვა იყო, ხოლო, მეორეს მხრივ, აჩრდილებით დასახლებული საშინელი სიცარიელე. გადატრიალების ადამიანებმა დაინახეს, ‡რომ შეუძლებელია რაიმეს მიაღწიო სქოლასტიკით, და შეიძულეს იგი; მაგრამ სქოლასტიკის უარყოფა ჯერ კიდევ

არ არის ახალი მეცნიერების დადგინება; ჯორდანო ბრუნოს პოეტური წინასწარხედვა ისევე ნაკლებად არის მეცნიერება, როგორც ვანინის კადნიერი უარყოფანი [142]. პირველი აუცილებელი ამოცანა, საკითხი, რომელსაც მოაზროვნე კაცი თავს ვერ აარიდებდა, იმაში მდგომარეობდა, რომ აზროვნებას გადაეწყვიტა თვითონ აზროვნების დამოკიდებულება ყოფიერებასთან, საგანთან, საერთოდ ჭეშმარიტებასთან. და, მართლაც, ეს კითხვა აკერია პირზე ახალ მეცნიერებას და ისე გვევლინება იგი ქვეყნად. ამ მეცნიერების ფუძემდებელი, უეჭველია, არის დეკარტე. ბეკონის მნიშვნელობა სულ სხვაგვარია, ამის შესახებ ქვემოთ.

დეკარტე დიდხანს მუშაობდა მეცნიერებაზე ისე, როგორც ის მის დროს ისწავლებოდა; შემდეგ მიატოვა წიგნები: წიგნებმა მას ვერც ერთი ეჭვი ვერ გაუფანტეს, ვერაფერში ვერ დააკმაყოფილეს იგი. მან ისევე ნათლად, როგორც ბეკონმა, დაინახა, რომ შუა საუკუნეთა ძველი ხომალდი იძირება და ინგრევა. იგი არ ედავებოდა ხომალდის ლოცმანებს, როგორც მისი წინამორბედნი იქცეოდნენ, არამედ გადაეშვა ზღვაში, რათა ახალ ნაპირამდე მიეღწია. და ისევე, როგორც ბეკონმა, მან გადაწყვიტა დაეწყო თავიდან, დაეწყო სავსებით თავისუფლად აზროვნების სფეროში. დიდი სიმტკიცე იყო საჭირო, რომ მას გაებედნა წარსულთან ეს გათიშვაც და ახალის ეს აგებაც. დეკარტე ეჭვით და, იქნებ, სინდისით დატანჯული, მლოცავის კვერთხით დაიარებოდა ლორეტის ღვთისმშობელთან, რომ მისთვის დახმარება ეთხოვნა დაწყებულ შრომაში,—და იქ, მის წინაშე განრთხმული, ლოცულობდა თავისი ეჭვების შერიგებისათვის [143]. დეკარტეს მიერ საქმის შედგომა მისი უდიდესი დამსახურებაა; მეცნიერული განვითარების ნამდვილსა და მარადიულ დასაბამს იგი იწყებს უთუო ეჭვით—სრულიადაც არა იმისათვის, რომ ყოველივე ჭეშმარიტი უარყოს, არამედ იმისათვის, რომ ყოველივე ჭეშმარიტი გაამართლოს, მაგრამ გაამართლოს ისე, რომ თავი გაითავისუფლოს. როცა იგი ამაღლდა საშინლად გაუხეშებულ გარემოში, რომელშიც

არაფერი წინმავალი არ შეუშვია, როცა ამ წყვდიადში, რომელშიც მის გარდა ყველაფერი გაქრა, იგი თავის სულის სიღრმეს დააკვირდა, თავისი აზროვნების შიგნით შევიდა და ცნობიერებას ამოწმებდა,—მას მკერდიდან აღმოხდა თავისი არსებობის შესანიშნავი დადასტურება: Cogito, ergo sum (ვაზროვნობ, მაშასადამე, ვარსებობ)! აქედან გარდუვალად უნდა განვითარებულიყო ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობა; აზროვნება ხდება ყოფიერების აპოდიქტური* დამამტკიცებელი საბუთი. ცნობიერება თავს შეიცნობს ყოფიერებასთან განუყრელად,— იყო უყოფიერებოდ შეუძლებელია. აი მთელი მომავალი მეცნიერების პროგრამა; აი იმ მსოფლმხედველობის პირველი სიტყვა, რომლის უკანასკნელ სიტყვასაც სპინოზა იტყვის; აი თემა, რომელსაც მეცნიერულად განავითარებს ჰეგელი Nosce te ipsum** და Cogito, ergo sum — აი ორი მეცნიერების, ანტიკურისა და ახალის, ორი ცნობილი ლოზუნგი. ახალმა მეცნიერებამ შეასრულა ანტიკურის რჩევა, და Cogito, ergo sum პასუხია Nosce te ipsum-ისა. აზროვნება ჩემი მე-ს ნამდვილი განსაზღვრაა. მაგრამ დეკარტეს მთელი ძალა ამ სილოგიზმს მოუნდა, რომელიც, თითქოს, ესოდენ მარტივია, და არც კია სილოგიზმი. თავისი დასაბამის სიდიადით, წარსულთან და აწმყოსთან თავისი გათიშვით დაშინებული, იგი ტორტმანობს, ძველის ნაფლეთებს ებღაუჭება; წარსული იჭრება მის სულში; მასში სქოლასტიკა, რომელიც უკვე სუსტდება და ეცემა, კვლავ ცოცხლდება ძლიერი და სახეშეცვლილი. იგი კვაკერებსა ჰგავს, პენსილვანიას რომ ჩავიდნენ და რომლებმაც თავიანთი მკერდით ოკეანეზე გადმოატარეს ძველი ყოფაცხოვრება, რომელიც ახალ სახელმწიფოში გავითარდა. დეკარტემ, მიიჩნია რა თავის არსად მხოლოდ აზროვნება, რომელიც მის მიერ განუყრელად დაკავშირებული იყო ყოფიერებასთან, ამით გათიშა აზროვნება და ყოფიერება; მან ისინი ჩათვა-

---

* უეჭველი, რომელიც წინააღმდეგობას ვერ ითმენს (ბერძნ.). — რ ე დ.
** შეიცან შენი თავი (ლათ.). — რ ე დ.

ლა ორ სხვადასხვა არსად (აზროვნებად და განფენილობად). აი დუალიზმი, აი სქოლასტიკა, ლოგიკურ ფორმად აყვანილი. გრძნობს რა უხერხულობას, იგი ფორმალურ ლოგიკას ებღაუჭება. მისთვის რაციონალური დამტკიცება (აზროვნებაში) სრული უფლებაა სინამდვილის მიმართ, ჭეშმარიტების მიმართ; ჭეშმარიტება კი დამტკიცებულ უნდა იქნას არა მარტო აზროვნებით, არამედ აზროვნებითა და ყოფიერებით. ერდმანმა*, კეთილსინდისიერმა გერმანელმა მეცნიერმა, სავსებით სამართლიანად შენიშნა, რომ დეკარტეს არ შეეძლო ასეთი განვითარებისათვის გვერდი აევლო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იცხოვრებდა იმ დროს, რა დროსაც ცხოვრობდა. მისი საქმე იყო აღემართა პროტესტანტიზმის დროშა მეცნიერებაში, გამოეცხადებინა ახალი გზა, გამოეცხადებინა აზროვნება ადამიანის ამომწურავ განსაზღვრად. გმირობა, საკმარისი ერთი პიროვნებისათვის! დეკარტეს გამჭრიახობას არ გამოპარვია, რომ მის მოძღვრებაში აზროვნება და ყოფიერება სრულიად ეთიშებიან ერთმანეთს, რომ არ არის ხიდი ერთიდან მეორისაკენ, რომ ეს არის ორი გულგრილი, თვითკმარი რამ; იგი იმასაც მიხვდა, რომ, ვიდრე ისინი არსებებად დარჩებიან, ვერაფრით უშველი, ვინაიდან არსი იმიტომ არის არსი, რომ თავის თავს აკმაყოფილებს. დეკარტე იღებს (მაგრამ არ გამოჰყავს) უმაღლეს ერთიანობას, რომელიც დაპირისპირებულ მომენტებს აკავშირებს; აზროვნება და განფენილობა უზენაესი არსების მიმართ მის ატრიბუტებს, მის სხვადასხვა გამოვლინებას წარმოადგენენ. როგორ მივიდა იგი ამ ერთიანობამდე? თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი ი დ ე ე ბ ი თ. მაშასადამე, მისი პროტესტაცია ყოველგვარი შინაარსის წინააღმდეგ ღრმა არ ყოფილა! ფსიქიკური, ლოგიკისადმი დაუქვემდებარებელი უშუალობა თანდაყოლილი იდეების მიღებით შეიპრება მის მეცნიერებაში. ამრიგად, დეკარტე ერთსა და იმავე დროს სქოლასტიკის უდიდესი და უკანასკნელი საყრდენი გახდა: მასში სქოლასტიკა გარდაიქმნა იდეალიზმად, ტრანსტენდენტურ დუალიზ-

* Erdmann, «Versuch einer Geschichte der neuern Philosophie» 1840–42. I, Th. Descartes.—». ვ.

მად, რომლისაგან თავის დაღწევა გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე კათოლიკური სქოლასტიკისაგან. ჩვენ დავინახავთ სქოლასტიკური ელემენტის გამძლეობას ახალი ფილოსოფიის მთელ ეპოქაში დღევანდლამდე. პროტესტანტიზმის მეცნიერება მხოლოდ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო; თუ იყო სხვანაირი მოთხოვნები, სხვანაირი სიმპათიები, უფრო ნამდვილნი, — ისინი მეცნიერულნი არ ყოფილან; ამ მეცნიერებამ, დეკარტეთი დაწყებული, შეიმუშავა მეთოდი, გაიკვლია გზა, რომლითაც მისგან გამოვლენ,— გზა, რომლითაც თვითონ მას იმიტომ არ გაუვლია, რომ თან წასაღები არაფერი ჰქონდა.

დეკარტე, წმინდა მათემატიკური და განყენებული გონების პატრონი, მხოლოდ და მხოლოდ მექანიკურად განიხილავდა ბუნებას; რაღაც მკაცრი და ასკეტური უშლიდა მას ხელს გაეგო ყოველივე ცოცხალი. მისი სასტიკი, გეომეტრიული დიალექტიკა ულმობელია; იგი იდეალისტი იყო სულის შინაგანი აღნაგობით. ყოფიერება, მატერია მან გაიგო, როგორც **გ ა ნ ფ ე ნ ი ლ ო ბ ა**. «ყველა სხვა თვისებისაგან,— ამბობს იგი,— შეიძლება მატერია განყენებულ იქნეს: მაგრამ, არა განფენილობისაგან: მარტო იგია მისთვის არსებითი». თვისობრიობამ ადგილი დაუთმო საგნის უფრო გარეგნულ განსაზღვრას — რაოდენობას; მათემატიკისათვის იხსნებოდა ბუნებისმეტყველების ყველა კარი, ყოველივე მექანიკურ კანონებს ემორჩილებოდა, და სამყარო მოძრავი განფენილობის ჭურვი გახდა*. თუმცაღა, უნდა შევნიშნოთ, რომ XVII საუკუნის დამდეგს ბუნებისმეტყველური აზროვნების ინტერესი, საერთოდ შთანთქმული იყო ასტრონომიისა და მათემატიკის მიერ; უდიდესი აღმოჩენები ხდებოდა მაშინ ორივე დარგში; ამ მექანიკურ მსოფლმხედველობას, რაც გალილეით იწყება და რამაც თავის სისრულეს ნიუტონში მიაღწია, თითქოს არაფერი მოუტანია ბუნებისმეტყველების კონკრეტული დარგებისათვის; მისი გავლენა მხოლოდ ფიზიკაში იყო კეთილნაყოფიერი (რა თქმა უნდა, გარდა ას-

* ამაზე უფრო ვრცლად შემდეგ წერილში. — ა. გ.

ტრონომიისა და მექანიკისა). დეკარტეს ცნებებს ბუნების შესახებ, რომლებიც, შურისგების კანონის მიხედვით, იმდენად იდეალისტურად სპირიტუალური იყვნენ, რომ მეტად უხეშ მექანიზმამდე და მატერიალიზმამდე იხრებოდნენ (რაც მაშინვე შენიშნეს, განსაკუთრებით ინგლისელმა და იტალიელმა ფიზიკოსებმა), თითქმის არავითარი გავლენა არა ჰქონიათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე.

«ყურადღებით განხილვისას,—ამბობს დეკარტე,—ჩვენ დავინახავთ, რომ ნივთიერებისა და სხეულთა არსი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მათ აქვთ განფენილობა სიგრძით, სიგანით და სიღრმით. იქნებ, სხეულები ისეთნი არ არიან, როგორადაც გვეჩვენებიან; იქნებ ისინი ატყუებენ ჩვენს გრძნობებს; მაგრამ მათში უეჭველად ჭეშმარიტია ის, რაც მე ნათლად, გარკვეულად მესმის და შემიძლია გონებით გამოვიყვანო; ამიტომაც ვაღიარებ, რომ სხეულებრივი ნივთების სხვა არსს, გარდა გეომეტრიული სიდიდისა, რომელიც ყოველნაირად გაყოფადი, მოძრავი და ფორმის მიღების უნარის მქონეა, მე არ ვიღებ და არაფერს არ განვიხილავ მატერიაში, გარდა გაყოფადობისა, მოხაზულობისა და მოძრაობისა. მათემატიკური კანონებით, რომლებიც განსაზღვრავენ ყოფიერების განუყრელ თვისებებს, ყოველივე ფიზიკური აიხსნება და უდიდესი სიზუსტით გამოიყვანება; არა მგონია, რომ ფიზიკისათვის სხვანაირი საფუძვლები იყოს საჭირო». თავის თვისებებს მოკლებულ, ამგვარად გაგებულ მატერიაში, შინაგანი ძალა არ არის; დეკარტეს მატერია ვირტუალური* სიცარიელეა, რაღაც მკვდარ-უძრავია,—მას ყოველთვის დასჭირდება გარეშე ძალისადმი მიმართვა. «მატერია მთელ სამყაროში ერთია; ფორმების ყველა ცვლილებას მოძრაობაში აქვს თავისი საფუძველი. მოძრაობა არის მოქმედება, რომლის გამო ნივთიერება ერთი ადგილიდან მეორეში გადადის,—სხეულის ნაწილთა გადანაცვლებაა ახლომდებარეთა მიმართ. მოძრაობა და უძრაობა ნივთიერების სხვადასხვა მდგომარეობას წარმოადგენენ; მოძრაობისათვის იმაზე მეტი ძალა არ არის

* ფარული, მაგრამ გამოვლენის უნარის მქონე (ლათ.). — რ ე დ.

საჭირო, ვიდრე უძრაობისათვის. თანაბარი ძალვაა საჭირო, რომ სხეული დასძრა და რომ იგი გააჩერო. ძალვაა საჭირო იმისათვის, რომ უძრავად დარჩე. სხეულის მოშორება ორმხრივი მოქმედებაა; ორივე სხეული მოქმედია—ერთი, თავის ადგილას რჩება, მეორე, შორდება (ინერციის ძალა). მოძრაობა დამოკიდებულია მამოძრავებელისაგან, და არა მოძრავისაგან; არ შეიძლება ძრაობა მიანიჭო ერთ სხეულს ისე, თუ არ დაარღვიე სხვა სხეულთა წონასწორობა; აქედან წარმოდგება მოძრაობის მთელი სისტემები და მათი სირთულე. მოძრაობის მიზეზია ღმერთი». ამას მოჰყვება დინამიკის ზოგადი მექანიკური საფუძვლები. ყოველივე არსებული მცირე სხეულებისაგან (corpuscula) და მათი სიდიდის, ადგილის, შეხამებისა და გადაწყობათა ცვლილებებისაგან არის შემდგარი. ორგანული სიცოცხლე არის მარტოოდენ ზრდა, ე. ი. მატება გარეშე ნაწილაკთა მიღების საშუალებით. დეკარტემ ფიზიკოსებს მისცა სახიფათო მაგალითი — მიმართონ პირად ჰიპოტეზებს იქ, სადაც გაგება აკლიათ; ასე, მაგალითად, ციურ სხეულთა მოძრაობას იგი ხსნიდა გრიგალით, რომელიც მათ ატრიალებს მზის ახლოს; იგი ცდილობს მათემატიკურად გამოიყვანოს პლანეტური სიცოცხლის ყველა მოვლენა და გამოთქვამს ჰიპოტეზებს, რომლებშიც თვითონაც არ არის დარწმუნებული (quamvis ipsa nunquam sic orta esse) დეკარტემ, რომელიც სხეულს სულისადმი სრულიად გარეშე რამედ თვლიდა, ვერასოდეს ვერ შეძლო სიცოცხლის ცნებამდე ამაღლებულიყო; თავის ფიზიოლოგიურ კვლევას იგი იწყებს სხეულის განხილვით, «თითქოს მასში სული არ იყოს». მაგრამ რა ცოცხალი სხეულია ეს? ვინ მისცა დეკარტეს უფლება ასე განიხილოს იგი? აქედან სავსებით ბუნებრივია მისი ვარაუდი, რომ სხეული მიწისაგან გაკეთებული ქანდაკებაა ან მანქანა. «თუ საათს სვლის უნარი აქვს, სრულიადაც არ

* თუმცაღა, იქნებ, ასეთი ფრაზები ისეთივე ოფიციალური დანათქვამია, როგორიცაა ფრაზები, რომლებსაც ხმარობდა კოპერნიკი და ნიუტონიც — ა. გ. (ტექსტის ლათინური ფრაზის თარგმანი): «თუმცა იგი ამნაირად არასოდეს არ ხდებოდა». — რ ე დ.

არის ძნელი გაიგო, რომ ადამიანიც მოძრაობს, რაკი ასეა აგებული». ამას მოსდევს სხეულის ანატომიური და ფიზიოლოგიური გარჩევა, რომელიც ნაძალადევია და რაღაც სევდის მომგვრელი, დეკარტე, ალბათ, თვითონაც გრძნობდა, რომ ცხოველის სხეულში ყველაფერს მექანიკურად ვერ გამოიყვან, და გულმოდგინედ მუშაობდა ზოოტომიაში, მაგრამ, როგორც ყველა სისტემატიკოსი, ყრუ იყო ჭეშმარიტების ხმისადმი და ფაქტებს ისე ასხვაფერებდა, როგორც უნდოდა; მაგალითად, იგი ძაღლის ყეფას ხსნიდა, როგორც ამ მ ა ნ ქ ა ნ ი ს უბრალო რეაქციას ჯოხის მოქმედების წინააღმდეგ. რომ იყოს მანქანა, — ამბობს იგი, — რომელიც შიგნით და გარეთ ისეა აგებული, როგორც მაიმუნი, ან სხვა ცხოველი, შეუძლებელი იქნებოდა მათ შორის განსხვავების გაგება. მარტო ადამიანი არ არის მანქანა, იმიტომ რომ მას აქვს ენა, გონება, სული. გონიერი სული თუმცა მჭიდროდაა დაკავშირებული სხეულთან, მაგრამ ძალდატანებით, ვინაიდან სული სავსებით უპირისპირდება მას. თუმცა სული საკუთრივ შეერთებულია მთელ სხეულთან, მაგრამ მისი მთავარი სამყოფელია ტვინი და სახელდობრ ე რ თ ი ჯ ი რ კ ვ ა ლ ი (Glandula Conariou), დიდი ტვინის შუაგული (სხვათა შორის, იმიტომ, რომ დანარჩენი ნაწილები ტვინში წყვილ-წყვილია; მაშასადამე, განუყოფადი სული მათში სხვანაირად ვერ იქნებოდა, თუ არა უპირატესად ერთ ნაწილში მეორე ნაწილთან შედარებით). განა შეიძლებოდა ეს ფუჭი კითხვა წამოჭრილიყო, დეკარტეს რომ ცოტათი მაინც ჰქონოდა ორგანიზმის სიცოცხლის გაგება? ცხოველის ორგანოები მას მ ხ ო ლ ო დ მექანიკურ ჭურვად მიაჩნია, რომელიც გაუგებარ ძალას მოჰყავს მოძრაობაში. მოძრაობა შეუძლებელია, თუ ნივთობრიობა სივრცის მხოლოდ მუნჯი, უმოქმედო, პასიური შევსებაა; მაგრამ ეს სავსებით მცდარია: ნივთიერება თვითონ იცილებს ჩლუნგ, უაზრო, პასიურ უძრაობას; იგი ღრღნის თავის თავს, ასე ვთქვათ, დუღს*, და ეს დუღილი, ფორმი-

* დეკარტეს თანამედროვეებმა შეამჩნიეს მისი ნივთიერების უსიცოცხლობა. ჰაინრიხ მორუსმა მას მისწერა წერილი, რომელშიც იგი ნივთიერე-

დან ფორმად რომ ვითარდება, თვითონ უარყოფს თავის განფენილობას, ისწრაფვის განთავისუფლდეს მისგან, და თავისუფლდება, ბოლოს, ცნობიერებაში და ამასთანავე ინარჩუნებს ყოფიერებას. ნივთიერების ცნება განფენილობით არ ამოიწურება; განფენილობა, რომელიც არ მოქმედებს, თავისი ურთიერთქმედებით არ მოძრაობს, — ისეთივე განყენებაა, როგორც უსხეულო აზროვნება: ეს სიცოცხლის მოპირისპირე, უკიდურესი მომენტებია.

დეკარტეს ერთი დიადი მოწოდება ჰქონდა — დ ა ე წ ყ ო მეცნიერება და მიეცა მისთვის დასაბამი; მას მხოლოდ დასაბამის დასადგენად შეეძლო ერთი წუთით შეეკავებინა სქოლასტიკისა და დუალიზმის მოწოლა; როგორც კი მან წარმოთქვა თავისი Cogito, ergo sum — ჯებირები გარღვეულ იქნა. მან დაიწყო პროტესტაციით შუა საუკუნეობრივი მეცნიერების წინააღმდეგ, მაგრამ ის უკვე მის ძარღვებში იყო, — დეკარტემ უძლიერესი დასაყრდენი მისცა მას და გაამართლა იგი მეცნიერულად. მაგრამ გონების ყველა იმდროინდელი მოთხოვნა კი არ გამოხატულა წმინდა მეცნიერულად; ეს ჩვენ ძალიან ნათლად ვნახეთ ბიომეს მიხედვით. მაგალითად, საფრანგეთში დეკარტეზე გაცილებით უფრო ადრე შეიქმნა ცალკეული, პრაქტიკული ფილოსოფიური შეხედულება ნივთებზე, არამეცნიერული შეხედულება, რომელსაც გამოთქმული თეორია არ ჰქონია, რომელიც არც ერთი განყენებული მოძღვრებისადმი, არავითარი ავტორიტეტისადმი არ ყოფილა დამორჩილებული, — მოძღვრება თავისუფალი, რომელიც ეფუძნებოდა ცხოვრებას, თვითაზროვნებას და გარდასულ მოვლენათა ანგარიშს, ნაწილობრივ ძველი მწერლების შეთვისებას, ხანგრძლივს, ცოცხალ შესწავლას; შეხედულება სა-

---

ბას ბ ნ ე ლ ს ი ც ო ც ხ ლ ე ს უწოდებს, materiam utique witam esse quandam obscuram, nec in sola extensione partium consistere, sed in aliqua semper actione «R. Des. Epist.» I. Ep. 4, XX. — ა. გ. — მატერია, ისევე როგორც სიცოცხლე, რაღაც ბნელს წარმოადგენს და არის არა მარტო განფენილობა მისი ნაწილებისა, არამედ ყოველთვის რაღაც მუდმივი მოქმედებაც. რ. დ ე კ ა რ ტ ე, წერილები, I. წერილი მე-4, XX (ლათ.). — რ ე დ.

დად და პირდაპირ უყურებდა ცხოვრებას, მისგან იღებდა მასალებსა და რჩევას; იგი ზერელე ჩანდა, რადგან იგი ცხადია, ადამიანურია და ნათელია [145]. გერმანელი ისტორიკოსები მას იხსენიებენ ათვალწუნებით, Vornehmthuerei-თ,—იქნებ, იმიტომ, რომ ამ შეხედულებამ სიცოცხლეს გამოსტაცა მისი ერთი ფორმულით გამოხატვის შეუძლებლობა. იქნებ, იმიტომ, რომ იგი საკმაოდ გასაგები ენით მეტყველებდა და ხშირად მსჯელობდა ჩვეულებრივი ცხოვრების საკითხებზე. ამავე დროს მონტენის [146] შეხედულებას დიდი გავლენა ჰქონდა; შემდეგში იგი ვოლტერისა და ენციკლოპედისტების მოძღვრებაში განვითარდა; მონტენი ერთგვარად ბეკონის წინამორბედი იყო, ხოლო ბეკონი ამ შეხედულების გენიაა.

ბეკონი მკვეთრად უპირისპირდება დეკარტეს; დეკარტეს ჰქონდა მეთოდი, მაგრამ არა ჰქონია ნამდვილი შინაარსი, გარდა აზროვნების ფორმალური უნარისა: ბეკონს ჰქონდა ემპირიული შინაარსი in crudo *, მაგრამ არა ჰქონია მეცნიერება, ე. ი. ეს შინაარსი მის მიერ არ ყოფილა სავსებით შეთვისებული, სახელდობრ იმიტომ, რომ ჯერ არ დამდგარიყო ის დრო, როცა შინაარსი მართლაც ისე ყოფილიყო გაგებული აზროვნების მიერ, რომ მეცნიერული ფორმით გაშლილიყო. დეკარტეს პროტესტი გამომდინარეობდა თეორიიდან, წმინდა აზროვნებიდან; ბეკონის პროტესტი — ცხოვრების ინ ურჩი ელემენტიდან, რომელიც ღიმილით უმზერს ყველა ცალმხრიობას და თავისი გზით მიდის. შუა საუკუნეთა ცხოვრების, ამ მძულვარე განსაკუთრებულობათა და ძალდატანებითი გათიშვის სამყაროს, შედეგი გაორებული, ორთავიანი უნდა ყოფილიყო. თვითეული მხარე იდეის ცალმხრივი და პირდაპირ საწინააღმდეგო განსაზღვრიდან გამოდიოდა და შორს იყო იმის გაგებისაგან, რომ ჭეშმარიტებისათვის თანაბრად საჭიროა ორივე განსაზღვრა; თვითეული თავისი საწყისებიდან გამოდიოდა: დეკარტეს საწყისია განყენებული

* ნედლი სახით (ლათ.). — რ ე დ.

აზროვნება: მას სურს მეცნიერება a priori; ბეკონის საწყისია ცდა: მისთვის ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რაც მიღებულია a posteriori. დეკარტეს სურს აზროვნებისა და ყოფიერების საკითხი განყენებულად, ტრანსცენდენტალურად, ლოგიკურად გადაჭრას; ბეკონი ცდისა და დაკვირვების ცოცხალ სფეროებშია. ორივესთან აზრი საკუთრებით განთავისუფლებულია დასაწყისში; მაგრამ ერთს არ შეუძლია მოსცილდეს აბსტრაქციებს, მეორეს — მოსცილდეს ბუნებას; დეკარტე ყველაფერს სილოგიზმზე ამყარებს, თუმცა საწყისად სილოგიზმს არ იღებს; ბეკონს არ უნდა სილოგიზმები, მას უნდა მხოლოდ ინდუქცია, თითქოს ინდუქცია სილოგიზმი არ იყოს. ერთმა ყველაფერი მოსპო, გარდა აზროვნებისა, ყველაფერი უარყო და მხოლოდ აზრის რწმენით მიდიოდა მეცნიერების შესაქმნელად. მეორე გამოვიდა გრძნობადი უტყუარობიდან, ფაქტისადმი რწმენიდან, ბუნებასა და გონებითქვრეტას შორის დიადი შუალობისადმი, ე. ი. დაკვირვებისადმი ნდობიდან. ერთმა მიწაც დაკარგა და ცაც დასაწყისშივე; მეორე ორივე ფეხით მიწაზე იდგა, ჩაეჭიდა მოვლენას და გარეგნობით, ქერქით მივიდა დიად და მრავლისშემცველ აზრებამდე. ერთს უნდა ფიზიკა დაუმორჩილოს მათემატიკას; მეორე მათემატიკას ფიზიკის მსახურს უწოდებს. ერთი მატერიაში მხოლოდ რაოდენობრივ განსაზღვრას ხედავს და ფიქრობს, რომ ნივთიერება შეიძლება თვისობრიობას მოვაცილოთო; მეორე საგნის მხოლოდ თვისობრივი განსაზღვრით არის გართული, თუმცა იცის რაოდენობრივი განსაზღვრის ადგილი. ორივეს, დასასრულ, სქოლასტიკისადმი მწვავე სიძულვილით გაერთიანებულს, არ ესმის არისტოტელე და ყველა ანტიკური მოაზროვნე, ორივე აგინებს მათ; ბეკონმაც და დეკარტემაც თანამედროვეთა გონება, უკან მიმართული, შემოაბრუნეს და წინისკენ მიუთითეს მათ; სქოლასტიკამ წარსულს მიაღწია, ბეკონი პროგრესსა და მომავალზე ალაპარაკდა; ორივეს თავისი ცალმხრიობანი ჰქონდა.

თუმცალა, ძნელია ბეკონი ცალმხრიობაში გაამტყუნო. ბეკონს უნდოდა, როგორც თვითონ ამბობს, ქმედი, ცოცხა-

ლი მეცნიერება, — მეცნიერება ბუნებაზე და ბუნებიდან. მას უნდოდა ისეთი მეცნიერება, რომელსაც დაკვირვება და გააზრება ფაქტებიდან საყოველთაო აზრად აქცევდა. იგი ამას ითვალისწინებდა და ყველაფერს ნათლად და პირდაპირ უყურებდა იმ მიზნით, რომ შეეტყო, გაერჩია, და არა იმისათვის, რომ სისტემატიკის მახეში გაება და კვანძი შეეკრა. იგი ძალიან ხშირად იწყებს ცალმხრიობიდან და უაღრესად მრავალმხრივს შედეგებს აღწევს. ის მეტისმეტად კეთილსინდისიერია, მეცნიერების საკითხს პირად საკითხად არ ხდის; იგი ჭეშმარიტების ობიექტურობას ემორჩილება; ის დიდად განსწავლულია; განუწყვეტლივ თავისი მეხსიერების გაელვნის ქვეშ იმყოფება; მას თან ახლავს მთელი წინანდელი ისტორიული განვითარება. თუმცა ბერძნული მეცნიერებისა და არისტოტელეს მოძულეა, მაგრამ ოსტატურად იმოწმებს და იყენებს მათ. მიუხედავად იმისა, რომ სრულიადაც არ Არის პოეტი, იგი ჩინებულად განმარტავს ბერძნულ მითებს. არ შეიძლება წარმოიდგინო ის უცნაური შეგრძნება, როცა, შუა საუკუნეთა სქოლასტიკოსებს, შემდეგ თეორიული ემანსიპაციის ფილოსოფოსებს[147] რომ კითხულობ ან ფურცლავ, უცებ ბეკონამდე მიდიხარ. გახსოვთ თუ არა, მაგალითად, მეოცნებე სიჭაბუკის ეპოქაში, როცა თეორიას თეორია სცვლის, როცა თავისთავისა და მეგობრობის რწმენა უსაზღვროა, როცა ოცნებაში გარდაიქმნება მეცნიერება და სამყარო, და როცა აღტაცებული სიტყვები პოეტურ თრობას უწყობენ ხელს; — საიდანღაც უეცრად ჩნდება პრაქტიკული, ნამდვილად ცხოვრების მᲪოდნე ადამიანი, იმის მცოდნე, რომ აბსტრაქციებით შორს ვერ წახვალ, რომ გადატრიალებას მეცნიერებასა და ისტორიაში ასე იოლად ვერ მოახდენ? გახსოვთ რა ძლიერ მოქმედებდა ასეთი ადამიანის გამოჩენა, როგორ უკუაგდებდით პირველად მის სკეპტიკურ და ცივ აზრს, მით დაშინებულნი, ხოლო შემდეგ წითლდებოდით თქვენს ოცნებათა გამო, ემორჩილებოდით მოსულს, იჭერდით მის სიტყვებს, უაღრესად სანუკვარ იმედებს ამცნობდით მას როგორც მის მიკვლეულ, ცხოვრებიდან აგებულ

შეხედულებას, რომელიც თქვენ შეუცდომლად გეჩვენებოდათ? ეს პრაქტიკული მოსული ადამიანი ბეკონია, და, ალბათ, არა ერთხელ შეგმთხვევიათ ისიც, რომ როცა თანდათან გაერკვევით ახალ მსოფლმხედველობაში, უფრო ახლოს გაეცნობით მას, გაიხსენებთ თქვენს ოცნებებსაც; ისინი, რა თქმა უნდა, ოცნებებია, მაგრამ ზოგიერთ მათგანში ისეთი სიფართოე იყო, რომელიც გენანებათ პრაქტიკულ სიბრძნეში დასთმოთ; ყოველივე ეს მეორდება, როცა ენერგიული რეფორმატორებიდან გულმშვიდ ბეკონზე გადადიხართ. ეს არის არა ჯორდანოს მშფოთვარე, ცეცხლოვანი ბუნება, არის არა შმაგი კარდანი [148], არა ეს მოხეტიალენი, აზრით დატანჯული, ეული მაწანწალები, რომლებიც ევროპის ყველა შარა გზაზე თან დაატარებენ აღმავალ ცნობიერებასა და გონებრივ მოღვაწეობას, არა ეს დევნილი მაშვრალნი, რომლებიც შინაგანი განხეთქილებისა და გარეშე ტანჯვისაგან ხშირად შუაგზაზე ეცემოდნენ, — არა: ეს დამშვიდებული კაცი წერს, უზარმაზარი ჭკუაგონებისა და უზარმაზარი გამოცდილების კაცი, სახელმწიფო საქმეებს შეჩვეული კანცლერი, უსაქმოდ მყოფი პერი, რადგან ამოშლილია პერების სიიდან... ამ ადამიანის სულში, თავმოყვარეობის, პატივმოყვარეობის, ძალაუფლების, პატივის, სიმდიდრის, ბედის უკუღმართობის, საპატიმროს, დამცირების, დამანგრეველი ცეცხლის შემდეგ, ყოველივე ამოიბუგა, მაგრამ გენიალური გონება დარჩა, დარჩა კიდევ ფანტაზია, იმდენად დადინჯებული, გონებისადმი დაქვემდებარებული, რომ მას იგი თამამად მოუწოდებდა მოეფინა პოეტური მეტყველების საუცხოო ყვავილებით მისი ნათელი, ფართო აზრის მეფური გზა.

ბეკონის თხზულებებში თავიდანვე გაოცებთ არაჩვეულებრივი საზრიანობა, საქმიანობა, პრაქტიკული სიმკვეთრე და საკვირველი მრავალმხრიობა. ბეკონმა თავისი ჭკუა საზოგადო საქმეებით გაწვრთნა; მან ადამიანებზე ისწავლა აზროვნება. დეკარტე ადამიანებს ემალებოდა ხან პარიზის გარეუბნებში, ხან ჰოლანდიაში; მას ადამიანები ხელს უშლიდნენ მეცადინეობაში. ამიტომ არის, რომ დეკარტედან იწყება

წმინდა აზროვნება, ხოლო ბეკონიდან — ფიზიკური მეცნიერებანი. დეკარტეს იდეალიზმი დუალიზმთან დარჩა. ბეკონის აზროვნება შეიცავდა დემონიურ საწყისს, რომელთანაც სქოლასტიკა ერთ საათსაც ვერ გაძლებდა. ბეკონი, ისევე როგორც დეკარტე, არსებული, მზამზარეული დოგმატიკის უარყოფით იწყებს, მაგრამ მასთან ეს უარყოფა ლ ო გ ი კ უ რ ი მ ა ნ ე ვ რ ი კ ი არ არის, არამედ პრაქტიკული შესწორებაა. ბეკონის უარყოფამ ადამიანი სქოლასტიკისაგან გაათავისუფლა და ბუნების წინაშე დააყენა; ბუნების თვითკანონიერება მან დასაწყისიდანვე აღიარა; უფრო მეტიც. მას უნდოდა მისი ა შ კ ა რ ა ობიექტურობისადმი დაემორჩილებინა სქოლასტიკური ქედმაღლობით წარმოშობილი თვითნებური აზრი (დეკარტემ, სრულიად პირიქით, ბუნება hors la loi * დააყენა თავისი a priori-ით). ბეკონმა თავმდაბლურად მიგვითითა ემპირიაზე როგორც ცოდნის დაწყებითს საფეხურზე, როგორც იმის საშუალებაზე, რომ მოვლენის, ფაქტის მიხედვით მივაღწიოთ იმ ყოვლისდამაკავშირებელ არსს, რომლისაგან დეკარტე ცდილობდა მოვლენა გამოეყვანა. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ, და თუ ვერც ისინი, ვერც მათი მიმდევრები ერთმანეთს ვერ შეხვდნენ, ეს არა შინაგანი შეურიგებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ არც იდეალიზმი, არც ემპირია არ ყოფილან განვითარებული არც ჭეშმარიტ მეთოდამდე, არც ნამდვილ შინაარსამდე. ლაიბნიცი კარტეზიანიზმს «ჭეშმარიტების წინკარს» უწოდებს; ჩვენ საკუთრებით სამართლიანად შეგვიძლია ბეკონის ემპირიას ჭეშმარიტების საკუჭნაო ვუწოდოთ.

ამ საკუჭნაოს სიმდიდრესა და ნაკლოვანებებზე შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ **.

სოფ. სოკოლოვ.
1845 წ. ივნისი.

---

* კანონგარეშე (ფრანგ.). — რ ე დ.

** ბეკონი თვითონ უნდა წაიკითხო; მასთან ყველგან მოულოდნელად, ანაზდად შეხვდებით გასაოცრად სწორ და ფართო აზრებს. ამის დასამტკი-

ბეკონი და მისი სკოლა ინგლისში

ბეკონის ძირითადი აზრი იმდენად მარტივია ჩვენთვის, რომ პირველი შეხედვით ძნელია მთელი მისი მნიშვნელობის გაგება. ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა, რომ რაც უფრო ღრმად წვდება მეცნიერება სინამდვილეს, მით უფრო მარტივ ჭეშმარიტებებს აღმოაჩენს იგი—აქ მის წინ გადაიშლება ისეთი ჭეშმარიტებანი, რომლებიც თავისთავად ვითარდებიან; მათი სიმარტივე, ისევე როგორც ბუნების ნაწარმოებთა სიმარტივე, გასაგებია ან ადამიანის არახელოვნური, პირდაპირი შეხედულებისათვის, რომელიც ბუნებას არ გამოთიშვია, ანდა დიდი შრომაგაწეული გონებისათვის, რომელიც, თავისი შრომის ჯილდოდ, თავისუფლდება მზამზარეულ ცნებათაგან, წინასწარ ნახევარჭეშმარიტებათაგან; კაცობრიობა მარტივ ჭეშმარიტებებს აღწევს ათასეული წლობით, უდიდეს გენიოსთა მეცადინეობით; თავსატეხი ჭეშმარიტებანი ყოველ დროს იყო. იმისათვის, რომ გაგების სიმარტივეს დავუბრუნდეთ, საჭიროა განვახორციელოთ მთელი ფენომენოლოგიური პროცესი და კვლავ მოვექცეთ საგნის მიმართ ბუნებრივ მდგომარეობაში. პრაქტიკული, ჩვეულებრივი ჭეშმარიტება გაცვეთილი ჩანს; ყოველივე, რასაც ჩვენ ახლოს და ხშირად ვხედავთ, ყურადღების ღირსად არ მიგვაჩნია; ჩვენ გვჭირდება შორეული, il n'y a pas de grand homme pour son valet de chambre*. რაც უფრო ნაკლები იცის ადამიანმა, მით უფრო მეტად გრძნობს იგი ზიზღს ჩვეულებრივისადმი, გარემომცველისადმი. გადაშალეთ ყველა მეცნიერებათა ისტორია,—ისინი აუცილებლად იწყებიან არა დაკვირვებით, არამედ მაგიით, დახამსული,

---

ცებლად და იმისათვის, რომ ბეკონს უფრო მეტად გაგაცნოთ, შემდეგ წერილს დავურთავ რამდენიმე ამონაწერს მის თხზულებათაგან; ის თავისი სიტყვებით უკეთ მოგითხრობთ თავის მსოფლმხედველობას. — ა. გ.

*არ არსებობს დიდი ადამიანი მისი მსახურისათვის (ფრანგ.). — რ ე დ-

დამახინჯებული, იეროგლიფურად გამოხატული ფაქტებით და თავდებიან იმით, რომ საიდუმლოებათა, ამ თავსამტვრევ ჭეშმარიტებათა არსით ააშკარავებენ უაღრესად მარტივ ჭეშმარიტებებს, რომლებიც იმდენად ცნობილნი და ჩვეულებრივნი არიან, რომ მათ შესახებ თავდაპირველად არავის არც კი უნდოდა ეფიქრნა. ჩვენს დროში ჯერ კიდევ სავსებით არ აღმოფხვრილა ცრურწმენა, რომელიც გვაიძულებს მოველოდეთ მეცნიერების ჭეშმარიტებებში რაღაც არაჩვეულებრივს, ხალხისათვის მიუწვდომელს, ჩვენი ცხოვრების საცოდავ ველთან შეუფარდებელს. ბეკონამდე ყველა ასე ფიქრობდა, და მან თამამად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. წინანდელ ეპოქაში ღონემიხდილი დუალიზმი, რაღაც ჩუმ და ჭიმედო სიგიჟედ იქცა პროტესტანტულ სამყაროში,—ბეკონმა მიუთითა სათაყვანოებისა და კერპების სიცარიელეზე, რომლებითაც გაჭედილი იყო მისი დროის მეცნიერება, და მოითხოვდა, რათა ადამიანებს უარეყოთ ისინი, რათა ადამიანები დაბრუნებოდნენ ბავშვურად უბრალო დამოკიდებულებას ბუნებასთან. ადვილი როდი იყო სქოლასტიკით გონებადამახინჯებული ადამიანებისათვის დაბრუნებოდნენ ბუნებრივ გაგებას. შუა საუკუნეების შებოჭილი, შევიწროებული და ჩახშული გონება, თავისი ფორმალისტიკის სადა ძაძით მოსილი, უგუნურად და ამაყად აცხადებდა პრეტენზიას ძალაუფლებაზე; მათ მოსწონდათ არა გონების ჭეშმარიტი, წმინდა უფლება და მასთან განუყრელი ძლიერება აზრისა, არა,—ისინი ისწრაფოდნენ დაემორჩილებინათ ბუნებრივი მოვლენები თვითნებური ჟინიანობისადმი, ბუნების კანონთა თვითნებური დამხობისადმი. განყენებულმა ადამიანებმა, წიგნის კაცებმა, განდეგილებმა, არც ბუნება იცოდნენ და არც ცხოვრება და, სხვათა შორის, ბუნებაც და ცხოვრებაც აშინებდა მათ უცნობი, ძლიერებით სავსე, წარმტაცი რამით; როგორც ეტყობა, მათ სძაგდათ ერთიც და მეორეც, მაგრამ ეს იმ დროის ერთ-ერთი სიყალბე იყო ურიცხვ სიყალბეთაგან; მათ ეს მოდათ, რომ ადვილი როდი იყო ბუნების დაუფლება, და ისინი

შებორკილი მონის მთელი უსაზღვრო პატივმოყვარეობით ისწრაფოდნენ თავისი სულისათვის დაემორჩილებინათ იგი. ცოდნის კეთილშობილური ინტერესი მათ სულში იქცეოდა თავიანთი ძალაუფლებით ბოროტ დატკბობად ისე, როგორც სიყვარულის მოკრძალებული გრძნობა იქცეოდა კლოდ ფროლოს სულში შხამიან მანკად. შეხედეთ ალქიმიკოსს, თავისი ქურის წინაშე რომ დგას, ამ ადამიანს, რომელიც გარშემორტყმულია მისნური ნიშნებითა და საშინელი ხელსაწყოებით: საიდან წარმოდგება ლოყების ეს ფერმკრთალობა, ეს მშფოთვარე სახე, ეს მთრთოლვარე სუნთქვა? იქიდან, რომ ამ კაცს ფლობს არა უმანკო სიყვარული ჭეშმარიტებისა, არამედ ავხორცული წამება, ძალადობა; იმის გამო, რომ იგი აკეთებს ოქროს, ჰომუნკულს რეტორტაში. საგნის ობიექტურობა არაფერს არ ნიშნავდა შუა საუკუნეთა ქედმაღლური ეგოიზმისათვის; თავის თავში, თავმოყრილ აზრში, გახურებულ ფანტაზიაში პოულობდა ადამიანი მთელ საგანს, ხოლო ბუნებას, მოვლენებს მოუწოდებდნენ, როგორც მსახურებს, დახმარებოდნენ საპიროების შემთხვევაში და გადაკარგულიყვნენ. რეფორმაციას არ შეეძლო ჩამოეცილებინა ადამიანები ამ მიმართულებისაგან; მან კიდევ უფრო წაუბიძგა მათ განყენებული სფეროებისაკენ; მან კათოლიკურ მეცნიერებას, ზოგჯერ მგზნებარესა და ენერგიულს, რაღაც ცივი და მკვდარი მოსაზრებულობა მიანიჭა; პროტესტანტიზმმა, გულის ნაცვლად, განავითარა თავისი მოთენთილი და მტირალა Cemüt *, ყველაზე ექსცენტრიული, ყველაზე მახინჯი მისტიციზმი სწრაფად ვრცელდებოდა შვეციაში, ინგლისსა და გერმანიაში პურიტანიზმის, პრესვიტერიანიზმის საესებით ფორმალური თეოლოგიური მიმართულების გვერდით, რომელთა ნიმუშებიც თქვენ გაქვთ «ვუდსტოკში» და «შოტლანდიელ პურიტანებში[149]».

ასეთ პირობებში გაჩნდა ადამიანი, რომელმაც თავის თანამედროვეებს უთხრა: «დაიხედეთ დაბლა; შეხედეთ ამ ბუნებას, რომლისაგანაც ცდილობთ სადმე გაფრინდეთ; ჩამო-

* სული, ხასიათი (გერმან.). — რ ე დ.

დით კოშკიდან, რომელზედაც ასულხართ და საიდანაც არაფერი არ ჩანს; მიუახლოვდით მოვლენათა სამყაროს,—შეიაწვალეთ იგი. თქვენ ხომ ვერ გაექცევით ბუნებას: იგი ყოველი მხრიდანაა, და თქვენი ვითომდა ძალაუფლება მასზე თავის მოტყუებაა; ბუნების დამორჩილება მხოლოდ მისი საკუთარი იარაღებით შეიძლება, თქვენ კი მათ არ იცნობთ; მაშ ალაგმეთ მსუბუქი და უნაყოფო ლოგომახიით განებივრებული თქვენი გონება იმდენად, რომ იგი საქმეს შეუდგეს, რომ მან ცნოს თქვენი გარემოს უეჭველი ფაქტი, რომ იგი მოიხაროს ბუნების საყოველთაო გავლენის წინაშე,—და, სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალულებმა, დაიწყეთ კეთილსინდისიერი შრომა». ბეკონმა, ეს სიტყვები რომ გაიგონა, თავი მიანება სიტყვების სქოლასტიკურ ჭაობებში უნაყოფო ხეტიალს და, მართლაც, თავდადებით მოჰკიდა ხელი მუშაობას; ბეკონის წყალობით დაიწყო მოძრაობა ფიზიკურ მეცნიერებებში, მოძრაობა. რომელიც შემდეგ განვითარდა ნიუტონამდე, ლინეიმდე, ბიუფონამდე, კიუვიემდე... სხვებმა აღშფოთებით მოისმინეს ვერულამელი ლორდის უცნაური სიტყვა, და მათი გაბრაზება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორასი წლის შემდეგ გრაფმა დე-მესტრმა კიდევ საჭიროდ მიიჩნია მ ო ე ს პ ო ბეკონი და ეჩვენებინა, რომ სიძულვილი მისდამი კიდევ ცოცხლობს ობსკურანტების მ ო ყ ვ ა რ უ ლ გულში. მაგრამ რაში მდგომარეობს ბეკონის მოძღვრების არსებითი აზრი?

ბეკონამდე მეცნიერება ზოგადი გაცვეთილი ადგილებით იწყებოდა; საიდან ჩნდებოდა ეს ზოგადი ადგილები, არავინ არ იცოდა: სქოლასტიკური მეცნიერება ფიქრობდა, კაიუსი იმიტომ არის მოკვდავი, რომ ადამიანი მოკვდავია. ბეკონმა სრულიად საპირდაპიროს დამტკიცება იწყო; ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ადამიანი მოკვდავია იმიტომ, რომ კაიუსი მოკვდავიაო. აქ სიტყვების გადასმა კი არ არის, არამედ რაღაც უფრო მეტია. მოვლენამ, ემპირიულმა მოვლენამ პირველი წანამძღვარის, ლოგიკური anterioritatis * უფლება მოიპოვა.

* წინამორბედი (ლათინ.). — რ ე დ.

აქ თქვენ ხედავთ ბეკონის მთავარ ხერხს: ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ იარო კერძოდან, ცდიდან, დაკვირვების საგნიდან განზოგადოებისაკენ, ცნობიერების მიერ ყოველივე მიღებულის ურთიერთი შეჯერებით. ბეკონთან ცდა არის არა გარეშე პასიური აღქმა მთელი მისი შემთხვევითობით,— პირიქით, ის არის აზრისა და გარეგანის შეგნებული ურთიერთქმედება, მათი ერთობლივი საქმიანობა, რომლის განვითარებისას ბეკონი არც აზრს აძლევს საშუალებას წინ გაუსწროს დასკვნების გაკეთებით, რის უფლებაც მას ჯერ კიდევ არა აქვს, არც ცდას—დარჩეს «აზრის მიერ გადაუხარშავ» ცნობათა მექანიკურ გროვად. რაც უფრო ფართო და მდიდარია დაკვირვებათა ჯამი, მით უფრო ურყევია უფლება— ინდუქციით გახსნა ზოგადი ნორმები; მაგრამ მათი გახსნისას დაეჭვებული, ფრთხილი ბეკონი მოითხოვს კვლავ გადაეშვა მოვლენათა ნაკადში, რათა ეძიო ან განმაზოგადოებელი დადასტურება, ან შემზღუდავი უარყოფა.

ბეკონამდე ცდა შემთხვევითობა იყო. მას თქმულებაზე ნაკლებადაც კი ემყარებოდნენ, რომ აღარ ვილაპარაკოთ გონებითჭვრეტაზე. ბეკონმა ცდა აიყვანა ცოდნის აუცილებელ, დაწყებით მომენტადაც და ისეთ მომენტადაც, რომელიც შემდეგ ცოდნის მთელ განვითარებას ახლავს, — მომენტად, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვთავაზობს შემოწმებას, თავისი განსაზღვრული უცილობლობით, თავისი კონკრეტული მრავალმხრიობით აჩერებს განყენებული გონების მიდრეკილებას —ამაღლდეს მეტაფიზიკურ ყოვლადობათა გაუხშოებულ გარემოში. ბეკონი ისევე უჯეროდა გონებას, როგორც ბუნებას, მაგრამ მას ყველაზე უფრო მაშინ სწამდა, როცა ისინი ერთად არიან, იმიტომ, რომ წინასწარ განჭვრიტა მათი ერთიანობა. იგი მოითხოვდა, რათა გონება გამოსულიყო გზაზე, ცდას დაყრდნობილი, ბუნებასთან ხელიხელჩაჭიდებული, რათა ბუნება გაძღოლოდა მას, როგორც თავის აღმზრდელს მანამდე, სანამ გონება შეძლებდა მიეყვანა იგი სრულ აზრობრივ გასხივოსნებამდე.

ეს ახალი რამ იყო, უაღრესად ახალი და უაღრესად დიადი; ეს იყო რეალური მეცნიერების გაცოცხლება, instaura-

tio magna[150]*. ბეკონს სრული უფლება ჰქონდა ეს სათაური მიეცა თავისი წიგნისათვის: მისი წიგნით დაიწყო მეცნიერების დიადი აღორძინება. თუმცა იგი ამბობს: «ჩემი ქმნილება იმდენად ჩემს სულს არ ეკუთვნის, რამდენადაც დროის სულსაო», მაგრამ დიდება და ქება იმ პირველს, რომელშიც ხორცს ისხამს დროის სული და რომლითაც იგი გადმოიცემა; ორმაგი ქება-დიდება, თუ იგი შეიცნობს თავს მხოლოდ დროის სულის ორგანოდ, და არა პიროვნებად, რომელიც ისწრაფვის თავისი თავით დათრგუნოს თანამედროვენი! მაგრამ ეს თავმდაბლობა ბეკონს ხელს არ უშლიდა ეგრძნო თავისი ძლიერება. როცა მან ხელი მოჰკიდა თავის შრომას, მეცნიერება ყველა თავისი დარგითურთ უბადრუკ მდგომარეობაში იყო. ბეკონმა უშიშრად მოითხოვა თავის სამსჯავროზე ცოდნის მთელი თანამედროვე სისტემა, გოტიკურ სამოსში გახვეული, და დაჰგმო იგი. მახსოვს, ვიღაცამ იგი შეადარა სარდალს, რომელიც ჯარს ათვალიერებს; დიახ, ეს არის გულდამშვიდებული სარდალი, რომელიც ბრძოლის წინ ათვალიერებს თავის პოლკებს. ადამიანის ცოდნის ყველა დარგმა ჩაუარა მას, და მან დაათვალიერა თვითეული, თვითეულს მიუთითა მის ნაკლოვანებებზე, თვითეულს მისცა რჩევა, და ყოველივე ეს გენიის იმ უბრალოებით, რომლისათვის ასეთი უფლებამოსილება იმიტომ არის ბუნებრივი, რომ მას ძალა შესწევს შეასრულოს ის, რაც სურს. ნუ იფიქრებთ, თითქოს ბეკონი დაკმაყოფილებულიყოს მარტოოდენ იმით, რომ ზოგად მითითებას იძლევა ცდასა და ინდუქციაზე; იგი თავის მეთოდს უაღრესად დაწვრილებით გადაგვიშლის, მაგალითებით გვასწავლის, განმარტავს, ხსნის, იმეორებს თავის სიტყვებს, ოღონდ სიცხადეს მიაღწიოს, და აქ თქვენ ყოველ ნაბიჯზე გაოცებული რჩებით მისი გონების მდიდარი საშუალებებით, იმ დროისათვის უდიდესი განსწავლულობით. და შუა საუკუნეთა მანერისადმი სრული დაპირისპირებულობით. მის მხიარულ ტონშიაც კი, ღიმილში, რომელიც ზოგჯერ გამოკრთის

* დიადი აღდგენა (ლათინ.). — რ ე დ.

უაღრესად სერიოზულ მატერიაში, თქვენ ხედავთ რაღაც ჩვენსას, რომელიც არ იბღინძება, დოქტორის ქუდს არ იხურავს და სქოლასტიკოსთა ნაძალადევი ზვიადობისაგან თავისუფალია.

ბეკონის მეთოდი სხვა არაფერია, თუ არა გაგების პირადი (სუბიექტური) და საგნისადმი გარეგნული საშუალება. მან თვითონ ერთბაშად გამოხატა თავისი შეხედულების ღრმა პრაქტიკული ხასიათიც და თავისი მეთოდის სუბიექტურობაც შემდეგი სიტყვებით: «კარგი მეთოდის ღირსება ის არის, რომ იგი ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ს უ ნ ა რ ს; იგი ყველას აძლევს ადვილსა და უტყუარ საშუალებას. ხელით წრის გაკეთება ძნელია, საჭიროა ჩვევა და სხვა; ფარგალი შლის უნართა განსხვავებას და თვითეულს შესაძლებლობას აძლევს გააკეთოს უაღრესად სწორი წრე». ლოგიკური თვალსაზრისით, ეს ღრმად ადამიანური შეხედულება, რა თქმა უნდა, გამართლებული არ არის, მიუხედავად ამისა მის მეთოდს დიდი, ისტორიულად ობიექტური აზრი აქვს; თუმცაღა, მასშიც, ისევე როგორც საერთოდ რეალიზმში, ფილოსოფიური მნიშვნელობა მაინც უფრო მეტია, ვიდრე სიტყვებით არის გამოხატული. ბეკონმა თავისი მეთოდით მეცნიერება ბუნებას მიაჯაჭვა, ასე რომ ფილოსოფია და ბუნებისმეტყველება ან ერთად უნდა იდგნენ ან ერთად უნდა მიდიოდნენ; ეს იყო აზრის და ყოფიერების ერთიანობის ფაქტიური აღიარება. ბეკონის ემპირია გამსჭვალულია, გაცოცხლებულია აზრით,— ეს ყველაზე ნაკლებად დაეაფასეს მასში. არა შეზღუდულობის გამო ჩასჭიდებია ის მხოლოდ ცდას, არამედ იმიტომ, რომ იგი მიაჩნია საწყისად, პირველ საფეხურად, რომლის გვერდის ავლა არ შეიძლება; მისთვის ცდა არის «ბუნების მარადი და უცვლელი ფორმების» გახსნის საშუალება, ხოლო ფორმას იგი განსაზღვრავს როგორც საყოველთაოს, გვარეობას, იდეას, მაგრამ არა როგორც განყენებულ იდეას. არამედ როგორც fons emanationis*, როგორც natura

* ემანიციის, დინების, აორთქლების წყარო (ლათ.). — რ ე დ.

naturans*, როგორც ცხოველმყოფელ საწყისს, რომელიც საგნის კერძო განსაზღვრებით ივსება, როგორც წყაროს, რომლიდანაც გამომდინარეობს მისი განსხვავებანი, მისი თვისებანი, წყაროს, რომელსაც თვითონ ნივთისაგან ვერ გამოთიშავ. სუბიექტური ემპირიზმი ბეკონთან არის უფრო სიტყვით, უფრო ენის უხერხულობაში, სქოლასტიკასთან დაახლოების რეაქციულ შიშში; მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთ კაცს არ შეეძლო მიეღწია არა მარტო იმისათვის, რასაც მისი მეთოდი შეიცავს, არამედ ბევრი სხვა რაიმესათვისაც, რაც არ შეიძლება ზუსტად გამოყვანილ იქნეს მისი მეთოდიდან. დეკარტე ბეკონზე გაცილებით მაღლა დგას მეთოდის და გაცილებით დაბლა დგას შედეგით, იმიტომ რომ დეკარტე აბსტრაქტული ადამიანია. რა თქმა უნდა, ბეკონს წილი უდევს იმ ცალმხრიობაში, რომელშიც ჩავარდა მის მიმდევართა დიდი ნაწილი, მაგრამ ის თვითონ შორს იყო უხეში ემპირიისაგან. აი მისი სიტყვები: «ემპირიკოსები განუწყვეტლივ ქექავენ, ეძებენ და, თუ იპოვნიან, რასაც ეძებდნენ, გამოიგონებენ რაიმე ახალს და ისევ ეძებენ; მათი შრომა ქუცმაცდება განუზოგადებლად; ისინი დაიარებიან ბნელში, ხელის ცეცებით, ჯობდა თავიდანვე გონების ანთებული სანთლით შესულიყვნენ». «საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სჭარბობს სურვილი — გაჰყონ, იპოვნონ განსხვავებანი, განსხვავებათა განსხვავებანი და ა. შ. ამ გზით არ შეიძლება ბუნების შესწავლა: ანალოგია, ზოგადი შეხედულებანი, რომელნიც გახსნიან ერთიანობას, — აუცილებელია». «არიან ისეთი გონების ადამიანები, რომლებსაც უფრო აქვთ უნარი—დააკვირდნენ, მოახდინონ ცდები, შეისწავლონ კერძოობანი, ელფერნი; სხვები, პირიქით, ისწრაფვიან ჩაწვდნენ უიდუმალეს მსგავსებათ, განაზოგადონ მიღებული ცნებანი. პირველნი კერძოობებში იკარგებიან და ვერაფერს ხედავენ, გარდა ატომებისა; მეორენი საყოველთაობებში იფანტებიან, კარგავენ ყოველივე ცალკეულს და აჩრდილებით ცვლიან მას...

---

* შემოქმედი ბუნება (ლათ.). — რ ე დ.

არც ატომები, არც ყოველგვარ განსაზღვრას მოკლებული მატერიაა ნამდვილი; ნამდვილნი არიან სხეულები ისე, როგორც ისინი ბუნებაში არსებობენ... არ უნდა მივეცეთ გატაცებას არც ერთი, არც მეორე მხარისაკენ; იმისათვის, რომ ცნობიერება ღრმავდებოდეს და ფართოვდებოდეს, საჭიროა, რათა ორივე ეს შეხედულება მონაცვლეობით გადადიოდეს ერთიმეორეში». ბეკონს თუმცა ეს ესმოდა, მაგრამ იგი მთელ გონებრივ მუშაობას მიმართავდა ცდისაკენ, კვლევისა და დაკვირვებისაკენ, იმიტომ რომ იგი ცდას მეცნიერების საწყისად თვლიდა, იმიტომ რომ ნათლად ხედავდა სილოგისტური თავაშვებულობისა და მეტაფიზიკური უსაფუძვლობის დამღუპველ გავლენას ფაქტიური ცნობების ნაკლებობის პირობებში. მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ ცდათა შეგროვება და შეჯერება არ არის მეცნიერება, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ ფაქტიური ცნობების უქონლად მეცნიერება არ არსებობს. «ჩვენ ვჩქარობთ,— ამბობს იგი, — მეცნიერული ფორმა მივცეთ ჩვენ მიერ შეცნობილ ჭეშმარიტებათა ღარიბ სისტემას და ამით ვაჩერებთ აღმოჩენათა, მატებათა მსვლელობას. ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ და სრულწლოვანობის სახე მიიღეს, აღარ იზრდებიან. ვიდრე მეცნიერება წარმოადგენს აღმოჩენილი ცნობების გროვას, მთელი ყურადღება ახალი აღმოჩენისაკენ არის მიპყრობილი». ბეკონს არ უნდოდა კარჩაკეტილი მთლიანობა შინაარსის სისრულეზე უფრო ადრე; მას უფრო უნდოდა ძნელი სამუშაო, ვიდრე მოუმწიფებელი ნაყოფი. ბეკონის მეთოდი უაღრესად უბრალოა: ის გამსჭვალულია საგნის პატივისცემით; იგი საგანს ხელს ჭიდებს იმისათვის, რომ ისწავლოს, და არა იმისათვის, რომ საგანს გამოსწუროს წინასწარ გამზადებული აზრის იძულებითი გამართლება; ეს მეთოდი ისწრაფვის ყოველივე მიიყვანოს ცნობიერებამდე: «ის, — ამბობს ბ ეკონი, — რაც ღირსია ინისა, რომ არსებობდეს, იმის ღირსიცაა, რომ შეცნობილი იყოს». მას უნარი შესწევდა ეპოვნა ნამდვილი და ჭეშმარიტი

იქაც კი, სადაც ჩვენ ჩვეულებრივ ამაო მოჩვენებითობას ვხედავთ*.

ბეკონის გენიას, დადებითს, წმინდა ინგლისურს, სქოლასტიკური მეტაფიზიკისათვის ორგანო არა ჰქონდა; მაშინდელი ფილოსოფიის საკითხები მას სრულიად არ აინტერესებდა. მან, ისევე როგორც დეკარტემ, დაიწყო უარყოფით, ოღონდ პრაქტიკული უარყოფით; მან უკუაგდო ძველი დოგმატიკა, რადგან იგი უვარგისი იყო; ბეკონი ამხედრდა ავტორიტეტების წინააღმდეგ, იმიტომ რომ ისინი გონების თვითმყოფობას ზღუდავდნენ. «ჩვენი გაგება ძველი ავტორიტეტებისა, — ამბობს იგი, — ზერელეა; არ არის იმაზე უფრო ძველი ეპოქა, ვიდრე ის ეპოქაა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. როცა ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, სამყარო უფრო ახალგაზრდა იყო; ისინი სიჭაბუკის დროში ცხოვრობდნენ, ჩვენ უფრო მოწიფულნი ვართ. სრულწლოვანი ყრმაზე უფრო საფუძვლიანად სჯის». ბეკონი,წარსულის ავტორიტეტებს რომ არყევდა, ადამიანებს წინსვლისაკენ მიუთითებდა; იქ. მომავალში, მათი ძალხმიერების ფასად უნდა გაიხსნას ჭეშმარიტება; ის ამტკიცებდა, რომ, სქოლასტიკოსთა რჩევით, უკან რომ მიიხედავ, ჭეშმარიტებას ვერ იპოვნი, რომ ჭეშმარიტება საძებნია და არა დაკარგული; ავტორიტეტების უარყოფა მასთან განუყოფელად არის დაკავშირებული პროგრესის რწმენასთან. უნაყოფო დოგმატიკის უარყოფის შედეგად იგი პირისპირ აღმოჩნდა ბუნებასთან და მაშინვე შეუდგა მის შესწავლას, გამოკვლევას, როგორც ფაქტისას, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშეა; ბუნების უარყოფა მას აზრადაც კი არ მოსვლია; მისთვის ბუნების უარყოფა იგივე იყო, რაც თავისი საკუთარი სხეულის უარყოფა; ასეთი უარყოფა ისეთი კაცისათვის, როგორიც ბეკონი იყო, აშკარა სიგიჟეა, გამოუვალი, უკუნეთი სიბნელეა; ბეკონმა იცის, მაგალითად, რომ

* მაგალითად, მის «ახალ ორგანონში» ადგილი პოვა არა მარტო გიმნასტიკამ, არამედ აგრეთვე კოსმეტიკამ და ფუფუნების თეორიამაც კი. — ა. გ.

გრძნობები მაცთურია, მაგრამ ასეთ ცოდნას იგი მიჰყავს პრაქტიკულ ჭეშმარიტებამდე — მოახდინოს ბევრი ცდა, მრავალი პირით შეამოწმოს ერთი-მეორე. ბეკონის რწმენა გონებისა და ბუნებისადმი ურყევია; იგი ისეთივე ზიზღით ლაპარაკობს სკეპტიციზმზე, როგორც მეტაფიზიკაზე; ეს საესებით თანმიმდევრულია მასში; მას სჭირდება ცოდნა, ცნობები და არა ტანჯვით მოთქმა-კვნესა გონების უძლურებისა და ჭეშმარიტების მოუხელებლობის გამო; მას სჭირდება ქმედი განვითარება, მას სჭირდება ჭეშმარიტება და მისი პრაქტიკული გამოყენება; მას ა რ ა რ ა დ მიაჩნია ისეთი ფილოსოფია, რომელიც საქმეს არ წარმოშობს; მისთვის ცოდნა და მოქმედება ერთი ენერგიის ორი მხარეა. ადამიანი, რომელიც ასე ფიქრობს, ყველაზე ნაკლებად შეიძლება იყოს განწყობილი რომანტიზმისადმი, მისტიციზმისა და სქოლასტიკისადმი.

ახლა ხედავთ, რომ ბეკონი და დეკარტე მეცნიერებაში შუა საუკუნეთა ცხოვრების ორი მტრული საფუძვლის წარმომადგენელნი იყვნენ; მათში და მათი სახით დუალიზმის წინააღმდეგობა უაღრესად მკაფიოდ და მკვეთრად გამოიხატა. ორივე მიმართულება, იდეალიზმი და ემპირია, დეკარტესი და ბეკონის მიმდევრების დროს, იქამდე მიდიოდა ფორმალურ წინააღმდეგობაში, რომ, დიალექტიკური აუცილებლობით, ერთი მეორისაკენ იხრებოდა, და მოპირდაპირე მხარეს, რომელიც უშუალოდ მომწყვდეული იყო ცალმხრივ შეხედულებაში, ხმა ეძლეოდა. თქვენ გეხსომებათ, რომ ადამიანის აზრი, XVI საუკუნეში მისი მოღვაწეობის აღორძინებისას, სრულიადაც არ გვეელინებოდა ასე განსაკუთრებულად, რომ, პირიქით, იგი აღტაცებული წინასწარი ცოდნით მოხსნიდა ხოლმე სქოლასტიკური შეხედულების დუალიზმს. ასეთი იყო ჯორდანო ბრუნოს და მის მიმდევართა შეხედულება: ისინი მთელ ბუნებაში, მთელ საგყაროში ერთ საყოველთაო სიცოცხლეს ხედავდნენ; მათი აზრით, ყოველივე გაცოცხლებულია მის მიერ; ბალახი და პლანეტა, ადამიანი და გვამი—თანაბრად ატარებს მას, და სულ ისწრაფვის იგი აზრის ცნობიერი ერთიანობისაკენ, თავისუფლად იმყოფება

და მეორდება არსებულის მრავალსხვაობაში. მაგრამ არც მეცნიერებას ჰქონდა შესაძლებლობა განევითარებინა ეს შეხედულება, არც შუა საუკუნეთა გონებას — გადასულიყო თავისი რომანტიკული, პირქუში ოცნებებიდან ასეთ ნათელ გაგებამდე. ეს იყო წინასწარმეტყველური მითითება, მომავალი მეცნიერული განვითარების მიზანი, რომელიც მსვლელობის დასაწყისში გაჩნდა; ამ სიმაღლეზე დარჩენა ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. ისტორიაში ხშირად არის ასეთი მაგალითები; გადატრიალების დასაწყიშივე მისი იდეა მთელი ელვარებით, მაგრამ გადმოუცემელი ზოგადობით იჩენს თავს; მალე, მოღვაწეთა თავზარდასაცემად და გულსატეხად, ეს აშკარავდება; ნათელი იდეა ფერმკრთალდება გარემოებათა გამო, იკარგება, იღუპება, და თანამედროვეებს არ ესმით, რომ იგი იღუპება, როგორც მარცვალი, რათა შემდეგ, ყველა წინააღმდეგობით გამოწრთობილი და ყოველივე იმით შეიარაღებული, რის მოცემაც გარემოს შეეძლო, ძლევამოსილი და მოზეიმე მოგვევლინოს. არც ბეკონსა და არც დეკარტეს არ შეეძლოთ მხოლოდ წინასწარხილვაზე შეჩერებულიყვნენ, როგორც ბრუნოს; მათ უფრო მეტი უნდოდათ და უფრო მეტიც გააკეთეს, მაგრამ ბრუნოს ძირითადი იდეა მათს იდეაზე უფრო მაღალია. ბეკონი წ ი ნ ა თ გ რ ძ ნ ობ ის ა დ ა მ ი ა ნ თ ა მეცნიერების წინააღმდეგი არ იყო; თვითონ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინასწარმიხვედრილობით იყო გამსჭვალული; მაგრამ მას, ინგლისელს, საქმის კაცს, უნდოდა გაემარტივებინა საკითხი, რაც შეიძლება უფრო დადებითი გაეხადა იგი; ის განზრახ ზურგს აქცევდა ზოგიერთ მხარეს, რათა კარგად დაკვირვებოდა ერთს, სახელდობრ, ემპირიულ მხარეს. მისმა მიმდევრებმა დაამტკიცეს, რომ ისინი უ კ ე თ ე ს ს ა რ ა ფ ე რ ს ი თ ხ ო ვ ე ნ, გარდა იმისა, რომ ცალმხრიობაში ისხდნენ. ბეკონისადმი აშკარად დაპირისპირებული მოძღვრებაღა აკლდათ, რომ ძველი საკითხი დუალიზმისა ახალ ბრძოლად გ ა დ ა ქ ც ე უ ლ ი ყ ო, რომ უარყოფილი სიცოცხლე, პრაქტიკული ინტერესები, ფიზიკური მოვლენები დამდგარიყვნენ ერთ მხარეზე, ხოლო გონება,

როგორც არსი, როგორც აზროვნება და თვითშემეცნება ყოფიერების უგულებელყოფით, თავისი საწყისებისადმი რწმენით—მეორე მხარეზე. ეს მიმართულება, როგორც იცით, დეკარტეს სახით გაჩნდა. აზრისა და სიცოცხლის ერთიანობა, რომელიც ყრმობის მთელი სიმშვენიერით იწყებდა გამოკრთომას ბრუნოსთან, კვლავ გაითიშა: დუალიზმმა ახალი ენა გამონახა, მაგრამ ისეთი ენა, რომელიც აუცილებლად წარმოშობდა იდეალიზმის უაღრესად სასოწარკვეთილ უკიდურესობას და მატერიალიზმის ასეთსავე უკიდურესობას და ამასთან ერთად ჰქმნიდა გამოსავალს ყოველგვარი დუალიზმიდან. დუალიზმის საკითხი აქ იჭრებოდა არა ცხოვრებაში, არა გველფებისა და გიბელინების მიერ, არამედ განყენებული აზროვნების თეორიულ სფეროში, — და შუა საუკუნეთა აზრს არ შეეძლო აქამდე არ მისულიყო, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავისი ისტორიული წარმოშობის ერთგული ვერ იქნებოდა.

ანტიკურ სამყაროში აზრი არასოდეს არ მისულა ყოფიერებასთან თავისი დაპირისპირების სრულ შეგნებამდე; ახალ მეცნიერებაში იგი ბოროტ ურთიერთ მტრობით გამსჭვალული გვევლინება: ასეთი ბრძოლა არ შეიძლებოდა უკვალოდ დარჩენილიყო. ვიტყვით უბრალოდ, — და ეს სრულიადაც არ იქნება გაზვიადება,—იდეალიზმი ისწრაფვოდა მოესპო ნივთიერი ყოფიერება, ჩაეთვალა იგი მკვდრად, აჩრდილად, სიყალბედ, შეიძლება ითქვას, არარად, იმიტომ რომ არსის მხოლოდ შემთხვევითობად ყოფნა ძალიან ცოტაა. იდეალიზმი ხედავდა და აღიარებდა მხოლოდ საყოველთაოს, გვაროვნულს, არსს, ადამიანურ გონებას, ყოველივე ადამიანურისაგან განყენებულს; მატერიალიზმი, სწორედ ასევე ცალმხრივი, პირდაპირ მიდიოდა ყოველივე არანივთებრივის მოსპობამდე, უარყოფდა საყოველთაოს, აზრში ხედავდა ტვინის გამონაყოფს, ემპირიაში — ცოდნის ერთიან წყაროს, ხოლო ჭეშმარიტებას აღიარებდა მხოლოდ კერძოობაში, მხოლოდ შესახებადსა და ხილვადს ნივთებში; მისთვის არსებობდა გონიერი ადამიანი, მაგრამ არ არსებობდა არც

გონება, არც კაცობრიობა. ერთი სიტყვით, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ყველაფერში, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელი; და ვერავინ ვერ ხვდებოდა, რომ ერთიც და მეორეც ერთი მკერდიდან გამოდიან და აუცილებელნი არიან ორგანიზმის მთლიანობისათვის. ლოგიკურად, ორივე მხარე გასაოცარ შეცდომებს სჩადიოდა; არც ერთს არ შეეძლო ნაბიჯიც კი გადაედგა თავისი საწყისიდან, თუ საპირდაპირო საწყისიდან რაიმეს არ წარიტაცებდა, — და ორივენი მეტწილად არ აკეთებდნენ იმას, რაც სურდათ. იდეალიზმი a priori-ით იწყებს, უკუაგდებს ცდას, მას სურს cogito, ergo sum-ით დაიწყოს, ნამდვილად კი იგი იწყებს თანდაყოლილი იდეებით და ივიწყებს, რომ თანდაყოლილი იდეები ემპირიულ მოვლენას წარმოადგენენ, რომელნიც მათ კი არ გამოჰყავთ, არამედ იღებენ და ამგვარად არღვევენ a priori-ს. იდეალიზმს სურს მთელი სინამდვილე, მთელი გონება სულს დაუთმოს და ამავე დროს მატერიას თვლის ისეთ რამედ, რაც არსებობის დამოუკიდებელ და თვითმყოფ საწყისს შეიცავს, რის შედეგადაც განფენილობა ამაყად დგება აზროვნების გვერდით, როგორც მისდამი უცხო; იდეალიზმისათვის ყოველთვის საყოველთაო, წინმავალ იდეებს სწორედ ის ჭეშმარიტებანი წარმოადგენენ, რომელნიც გამოყვანილ უნდა იქნენ. მატერიალიზმს მარაგად ჰქონდა სწორედ ასეთივე, წინმავალი ჭეშმარიტებანი, რომელთა გამოყვანაც მას არ შეეძლო. იუმი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ მატერიალისტებმა ცდის უტყუარობა იწამესო. მატერიალიზმი განუწყვეტლივ აყენებს კითხვას: «ჭეშმარიტია თუ არა ჩვენი ცოდნა?», — და უპასუხებს მას სრულიად სხვა კითხვის პასუხით, კითხვისა: — «საიდან ვიღებთ ჩვენს ცოდნას?» ის ჩინებულად იქცეოდა, ყოველთვის ცოდნის ფენომენოლოგიით რომ იწყებდა, მაგრამ იგი თავისი საწყისის — მკაფიო დაკვირვების საწყისის ერთგული ვერა რჩებოდა: წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ აზრის, ჭეშმარიტების წყაროა გონების მუშაობა და არა გარეშე საგანი; მუშაობა, რომელსაც ცდა აღძრავს, — ეს სავსებით მართალია, მაგრამ მუშაობა,

რომელიც თვითმყოფია და აზრს თავისი კანონების მიხედვით ავითარებს; მათ გარეშე საყოველთაო არ შეიძლებოდა განვითარებულიყო, ვინაიდან კერძოს სრულიადაც არ შესწევს უნარი თავად განზოგადდეს. მატერიალისტებმა ვერ გაიგეს, რომ ემპირიული მოვლენა, ცნობიერებაში რომ მოხვდება, ამასთანავე ფსიქიკური მოვლენაცაა. მატერიალიზმს სურდა შეექმნა წმინდა ემპირიული მეცნიერება და არ ესმოდა, რომ აქ არის contradictio in adjecto*, რომ ცდა და დაკვირვება, პასიურად მიღებული და გარეგნული მსჯელობით წესრიგში მოყვანილნი, იძლევიან ნამდვილ მასალას, მაგრამ არ იძლევიან ფორმას, ხოლო მეცნიერება სწორედ ფორმაა არსებულის თვითცნობიერებისა. მატერიალიზმის მთელი ზრუნვა-გარჯანი, მთელი მისი მახვილგონიერი ანალიზი გონების უნარისა, ენის წარმოშობისა და იდეების დაკავშირებისა იმით თავდება, რომ ჭეშმარიტი და ნამდვილია კერძო მოვლენები, ამბები. უდავოა, რომ გარეგანი სამყაროს მოვლენები ჭეშმარიტია, და იდეალიზმის მხრივ ამის აღიარების უუნარობა მისი ცალმხრივობის ძლიერი დამამტკიცებელი საბუთია; გარეგანი სამყარო (როგორც ერთ-ერთ წინა წერილში ვთქვით) «თავისი ნამდვილობის აშკარა დამამტკიცებელი საბუთია»; იგი სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ჭეშმარიტია; ეს ისევე უდავოა, როგორც ის, რომ შინაგანი სამყარო (ე. ი. აზროვნება), რომ გონების actus purus აგრეთვე ჭეშმარიტია და აგრეთვე ნამდვილი მოვლენაა. მაგრამ, საქმე ამის აღიარებაში არაა, არამედ კავშირში, გარეგნულის გადასელაში შინაგანად, მათი ნამდვილი ერთიანობის გაგებაში; უამისოდ ნაკლებად გვშველის იმის შეგნება, რომ საგანი ჭეშმარიტია; ადამიანს საშუალება არ ექნება საგანი გაიგოს. მატერიალიზმი ცნობიერების, მეთოდის მხრივ იდეალიზმზე შეუდარებლად უფრო დაბლა დგას. მატერიალიზმი რომ ფილოსოფიურად ლოგიკური იყოს, იგი თავის საზღვ-

---

* წინააღმდეგობა განსაზღვრაში, შინაგანი წინააღმდეგობა (ლათ.). — რ ე დ.

რებს გასცდებოდა; აღარ იქნებოდა მატერიალიზმი, ამიტომ მისი შეხედულების მოჩვენებითს არათანამიმდევრობაზე არა, ღირს შეჩერება, — შემდეგში ჩვენ ეს უნდა ვიგულისხმოთ. ჰქონდა სხვა დიდი მნიშვნელობა, წმინდა პრაქტიკული*, საარსებო, გამოყენებითი; მის ხელთ იყო ადამიანის ცნობათა მთელი მასა, იგი მან დაამუშავა, გამოიკვლია და კეთილშობილურად მოიხმარა ადამიანთა მატერიალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ცრურწმენათა გასაქარწყლებლად, ფაქტების დასაგროვებლად. მისი მოძღვრების უაზრობანი გადიან და გაივლიან, ჭეშმარიტი და კეთილი დარჩა და დარჩება; ეს არ უნდა დავივიწყოთ ლოგიკური შეცდომების გამო.

თითქოს, ძნელია დაიჯერო, მაგრამ მატერიალიზმსა და იდეალიზმს დღევანდლამდე ერთმანეთისა არა გაეგებათ. ძალიან კარგად ვიცი, რომ არ არის ბროშურა, რომელშიც იდეალიზმი ამ ანტაგონიზმზე არ ლაპარაკობდეს, როგორც წარსულზე; რომ არ არის არც ერთი საქმიანი ემპირიკოსი, რომელიც არ გამოტყდეს, რომ თუ არ არის საყოველთაო შეხედულება, თუ არ არის გონებით ჭვრეტა, ისე ცდები მთლიან სარგებლობას ვერ იძლევიან, — მაგრამ ეს უხალისო

იყო დრო, როცა იდეალიზმი გერმანიაში ღირსებად თვლიდა თავის არასაპირობას, არაპრაქტიკულობას და ათვალწუნებით ლაპარაკობდა შოტლანდიელი, ინგლისელი და ფრანგი მოაზროვნეების ფილანტროპულ და მორალურ მოძღვრებათა უტილიტარიზმზე: ამავე ღრის იდეალისტები ქადაგებდნენ ფაქტობრივ მეცნიერებათა წინაღმდეგ და თავიანთ თავს ასაღებდნენ უმაღლეს, პრაქტიკული საქმიანობის სამყაროსათვის უცხო ადამიანებად. მათ აზრად არ მოსდიოდათ, რომ ადამიანი, რომელიც თავის თავს თვლის თანადროულობისათვის უცხოდ, არა პრაქტიკული ადამიანი, მეტწილად უმაღლესი ქმნილება კი არ არის, არამედ ქარაფშუტა კაცია, მეოცნებეა, რომანტიკოსია, ხელოვნური ცივილიზაციის მსხვერპლია. ბერძნები ამ აზრს ვერ მიხვდებოდნენ: იმდენად სულელურია იგი. ცხოვრებისაგან თვითგარიყვის აზრი შეიძლებოდა გაჩომუშავებულიყო მხოლოდ მწიგნობარ-მეცნიერთა ბნელ და ჩაკეტილ კაბინეტში, ისიც გერმანიაში, რომლის საზოგადოებრივი ცხოვრება ევსტფალიის ზავის შემდეგ ბრწყინვალე არ ყოფილა. — ა. გ.

აღიარება ფუჭი და უნაყოფოა*. განა ამის მოლოდინი უნდა გვქონოდა იმ ნაყოფიერი, დიადი იდეების შემდეგ, რომლებიც გადმოისროლა დიდმა გოეთემ, მერე კი შელინგმა და ჰეგელმა! ჩვენი დროის წესიერმა ადამიანებმა შეიგნეს, რომ აუცილებელია ემპირიის შეხამება სპეკულაციასთან, მაგრამ ამ შეხამების თეორიულ აზრზეღა შეჩერდნენ. ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით და არაფერს არ ვაკეთებთ; მეცნიერებას არ შეიძლება ვუსაყვედუროთ; იგი, როგორც ჩვენ შემთხვევა გვქონდა აღგვენიშნა, გაწმენდილი სახით ასახავს, ცნობიერებაში განაზოგადებს იმ ელემენტებს, რომლებიც მის გარემომცველ ცხოვრებაში არსებობენ. ჟან-პოლ რიხტერი ამბობს, რომ მის დროს, რათა დაპირისპირებანი შეერიგებინათ, იღებდნენ ერთ წილ სინათლეს და ერთ წილ სიბნელეს და აურევდნენ ქილაში, — აქედან ჩვეულებრივ გამოდიოდა საუცხოო ბინდბუნდიო. სწორედ ეს გაურკვეველი entre chien et loup** მოსწონს თანამედროვე მსოფლიოს გაუბედავ და აპატიურ უმრავლესობას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბეკონს.

ბეკონის გავლენა დიდი იყო; მგონია, რომ ჰეგელმაც სავსებით ვერ დააფასა იგი. ბეკონმა, ისევე როგორც კოლუმბმა, ახალი ქვეყანა აღმოაჩინა მეცნიერებაში, სახელდობრ ის ქვეყანა, რომელზედაც ადამიანები დასაბამიდან იდგნენ, მაგრამ რომელიც დაივიწყეს, სქოლასტიკის მაღალი ინტერესებით გართულებმა; მან შეარყია ბრმა რწმენა დოგმატიზმისადმი, მოაზროვნე ადამიანთა თვალში დასცა ძველი მეტაფიზიკა. მის შემდეგ იწყება განუწყვეტელი წინააღმდეგობა სქოლასტიკური ტრანსცენდენტალური თეორიებისადმი ცოდნის ყველა დარგში, ყოველი მხრიდან; მის შემდეგ იწყე-

* მე გამოვრიცხავ ზოგიერთ ცდას, რაც მოახდინეს სულ ახლახან გერმანიაში და საფრანგეთშიაც კი. — ა. გ.

** ბინდბუნდში (ფრანგ.); სიტყვა-სიტყვით: ძაღლსა და მგელს შორის. — რ ე დ.

ბა შრომა, დაუღალავი, თავგამოდებული მუშაობა კეთილ-სინდისიერი. შესაძლო დაკვირვების, კვლევის დარგში; ჩნდებიან ბუნების მკვლევართა მეცნიერული საზოგადოებანი ლონდონში, პარიზში, იტალიის სხვადასხვა ადგილას; ნატურალისტთა მოღვაწეობა გაორკეცდა; მოვლენებისა და ფაქტების ჯამი იზრდებოდა იმის პროპორციულად, თუ როგორ ისპობოდა მეტაფიზიკური აჩრდილები. «ეს, — როგორც ბეკონი ამბობს, — ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვები, რომლებიც აბნელებენ უბრალო, გამომცდელ თვალს, — აწვდიან მას ბუნების უკუღმართ გაგებას». ბეკოხის მრავალშემცველობა ვერ გადაეცა მის მიმდევრებს; მათი ცალმხრიობა ძალიან გასაგებია: ნათელი და საქმიანი გონების ადამიანებმა, რომლებიც დიდხანს უქმად იყვნენ, მიიღეს საქმე, ცოცხალი, მრავალ-მხრივი, სრულებით ახალი საგანი, ამასთან ისეთი, რომელიც შრომის საზღაურად იძლეოდა სრულიად მოულოდნელ აღმოჩენებს, რაც ნათელს ფენდა მთელ რიგ მოვლენებს. ეს არის არა მოთენთილი და მშრალი განვითარება hocceitatis და quiditatis-სა[151], რაც გამოჰყავთ უშნო, ზედმეტი და ციტატებით აჭრელებული ლოგიკური ჩალანგრების ხარაჩოებიდან, — არა, ეს რაღაც ისეთია, რაშიც, ხელს რომ შეახებ, გული სცემს, თბილი გული. ამ ადამიანებს, რომლებმაც ბუნებისმეტყველების დარგში და საზოგადოდ პრაქტიკულ საგნებზე მუშაობის მაგნეტური ძალა განიცადეს, განა შეეძლოთ სიძულვილის გარეშე ელაპარაკნათ მეტაფიზიკაზე? ყველა ისინი ახალგაზრდობიდან იტანჯებოდნენ პერიპათეტიული ეგზერსისებით *, ყველანი დამახინჯებულ არისტოტელეს სწავლობდნენ; განა შეეძლოთ მათ მთლიანად, უმართებულოდ, ცალმხრივად არ მისცემოდნენ ბუნებისმეტყველებას? ესეცაა, მათს უარყოფაში არ არის ის შეზღუდულობა, რომელიც შემდეგ გაჩნდა, როცა მატერიალიზმმა თვითონ განიზრახა მიეტოვებინა ინსურგენტის როლი და გაეჩინა თავისი მეტაფიზიკური სა-

* ვარჯიშობა (ფრანგ.). — რ ე დ.

მართალი, თავისი თეორია, ამასთან დაეჩემებინა ფილოსოფია, ლოგიკა, ობიექტური მეთოდი, ე. ი. ყოველივე ის, რის უქონლობაც შეადგენდა მის ძალას. მატერიალიზმის ეს სისტემატიკა გაციცებით უფრო გვიან, ლოკიდან იწყება; ისინი ბევრ რამეში ცდებოდნენ, მაგრამ თვით დოგმატიკაში არ ვარდებოდნენ. ბეკონის პირველი მიმდევრები ასეთები არ ყოფილან; მათ შორის ჰობსი — თავისი უშიშარი თანმიმდევრობით საშინელი ადამიანი; მოძღვრება ამ მოაზროვნისა, რომელზეც ბეკონი ამბობდა, ყველა თანამედროვეზე უკეთ გაეგება ჩემიო, პირქუში და სასტიკი იყო; მან ყოველივე სულიერი თავისი მეცნიერების გარეთ დააყენა; იგი უარყოფდა საყოველთაოს და მოვლენათა და კერძოობათა განუწყვეტელ ნაკადსღა ხედავდა, — ნაკადს, რომელიც თავისში იწყებოდა და თავისშივე თავდებოდა. მან თავის გაქვავებულ, მძვინვარე აზრში ვერაფერ ღვთაებრივს ვერ უპოვნა დამამტკიცებელი საბუთები; საშინელ გადატრიალებათა სევდიანმა მაყურებელმა, მოვლენების მხოლოდ შავბნელი მხარე გაიგო; მისთვის ადამიანები თანდაყოლილი მტრები იყვნენ, ეგოისტური სარგებლობისათვის საზოგადოებებად შეერთებულნი, და, მათ ურთიერთ სარფიანობა რომ არ აკავებდეს, ისინი ერთმანეთს დაეძგერებოდნენ. ამ საფუძველზე მისი ბაგენი არ შემდრკალან, რათა ცინიზმის მამაცობით თავისი სამშობლოსათვის, ინგლისისათვის, პირდაპირ ეთქვა, რომ ის მხოლოდ დესპოტიზმში პოულობს სამოქალაქო კეთილმოწყობის პირობას. ჰობსმა დააფრთხო თავისი თანამედროვენი, მისი სახელი თავზარს სცემდა მათ. ასეთი როდი იყო სამხრეთის მატერიალიზმი იმ ქვეყანაში, სადაც ოდესღაც ლუკრეციუსი ცხოვრობდა; იგი იქ თავისი წინანდელი სამკაულით გამოჩნდა: აბატმა გასენდიმ გააცოცხლა ეპიკურეიზმი და მოძღვრება ატომებზე; მაგრამ თავისი ეპიკურეიზმი მან კათოლიკურ დოგმატიკასთან შეათანხმა და ისე კარგად, რომ იეზუიტები ფიქრობდნენ: მისი philosophia corpuscularis* შეუდარებლად უფრო

* უმცირეს სხეულთა, კორპუსკულების ფილოსოფია (იტალ). — რ ე დ.

ეთანხმება რომის ეკლესიის მოძღვრებას საიდუმლოებათა შესახებ, ვიდრე კარტეზიანიზმიო. გასენდის ატომები მეტად მარტივია: ეს იგივე ატომებია, რომლებსაც ჩვენ დემოკრიტესთან ვხვდებოდით, ისევე უსასრულოდ-მცირე, უხილავი, მოუხელავი და მოუსპობადი ნაწილაკებია, რომლებიც ყველა სხეულისა და ყველა მოვლენის საფუძველს შეადგენენ; ეს ატომები ურთიერთ ეხამებიან, ერთიმეორეზე მოქმედებენ, მოძრაობენ და ამოძრავებენ და ამგვარად წარმოშობენ მთელ მრავალნაირ ფიზიკურ მოვლენებს, ხოლო თვითონ უცვლელნი რჩებიან. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ გასენდი მეტად დადებითად ლაპარაკობს ნიუთიერების დაურღეველობაზე; ეს აზრი, რამდენადაც ვიცი, პირველად გაკვრით ტელეზიოსთან [152] გვხვდება; მას ვხვდებით ბეკონთან, მაგრამ გასენდიმ იგი ჩინებულად გამოხატა: «ნიუთებრივ ყოფიერებას,—ამბობს ის,—დიადი უფლება აქვს; მთელ სამყაროსაც კი არ შეუძლია მოსპოს არსებული სხეული». გასაგებია, რომ ლაპარაკია მხოლოდ ყოფიერებაზე, და არა ფორმასა და თვისობრივ განსაზღვრაზე. გასენდისთან გამოსქვივის შემდგომი დროის ნატურალისტთა ზნე—მიუთითოს ადამიანის გონების შეზღუდულობაზე; იგი თვითონ გრძნობს თავისი თეორიების ნაკლს და ტოვებს მათ ისე, როგორიც იყვნენ. ეს ნაკლოვანებანი მასთან ნაზღაურდება (კვლავ სწორედ ისევე, როგორც ნატურალისტებთან) ბუნების შესახებ თავისი ცნობების ჭკუიანური და საქმიანი გადმოცემით. გასენდი, ისევე როგორც შემდეგ ნიუტონი, თითქმის არ უნდა განვსაჯოთ, როგორც ფილოსოფოსები [153]; ისინი მეცნიერების დიდი მოღვაწენი არიან, მაგრამ არა ფილოსოფოსები. აქ წინააღმდეგობა არ არის, თუ თქვენ დათანხმდით, რომ ნამდვილი შინაარსი ფილოსოფიური მეთოდის გარეთ მუშავდებოდა. ინგლისელებმა, რომლებიც ნიუტონს დიდ ფილოსოფოსს უწოდებენ, არ იციან, რას ამბობენ.

რაკი ნიუტონი დავასახელე, ნება მომეცით რამდენიმე სიტყვა ვთქვა მის შესახებ. მისი შეხედულება ბუნებაზე წმინდა მექანიკური იყო. მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ,

რომ იგი კარტეზიანელი იყო; იგი ისე ნაკლებად გრძნობდა სიმპათიას დეკარტესადმი, რომ, მის თხზულებებში რვა გვერდის წაკითხვის შემდეგ (საკუთარი აღიარებით), დახურა წიგნი და მერე არასოდეს არ გაუხსნია. თუმცაღა, მექანიკური შეხედულება მაშინ უდეკარტოდაც ბატონობდა ადამიანთა გონებაზე. განყენებული თეორიებით გატაცება იმდენად ძლიერი იყო XVII საუკუნეში, რომ დეკარტესი და ბეკონის მკვლევარნი, რომელნიც ერთიმეორეს არაფერში არ ეთანხმებოდნენ, ერთმანეთს შეხვდნენ ბუნების მექანიკური აღნაგობის საკითხში, იმ სურვილში, რომ ყველა მისი კანონი მათემატიკურად გამოეხატათ და ამასთან ერთად მათემატიკური მეთოდით განეხილათ ისინი. ნიუტონი განაგრძობდა გალილეის მიერ დაწყებულ საქმეს. გალილეი სავსებით იმავე ნიადაგზე იდგა, რომელზედაც შემდეგში ნიუტონი დადგა; გალილეისათვის სხეული, ნივთიერება იყო რაღაც მკვდარი, მარტო უძრაობით მოქმედი, ხოლო ძალა — რაღაც სხვა, გარედან მოვლენილი. მათემატიკა აუცილებლად უნდა შედიოდეს ბუნებისმეტყველების ყველა დარგში; რაოდენობრივი განსაზღვრანი უაღრესად მნიშვნელოვანია, თითქმის მუდამ განუყრელია თვისობრივ განსაზღვრებთან; ერთთა ცვლილება დაკავშირებულია მეორეთა ცვლილებასთან; ერთი და იგივე შემადგენელი ნაწილები, სხვადასხვა პროპორციით მოცემულნი, იძლევიან ორგანული ქსოვილების მთელ მრავალსხვაობას, არაორგანული და ორგანული კრისტალიზაციის ფორმათა მთელ მრავალსხვაობას. ცხადია, რომ მათემატიკას უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზიოლოგიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო განყენებულ მეცნიერებებზე, როგორიცაა ფიზიკა, ან მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივ მეცნიერებებზე, როგორიცაა ასტრონომია და მექანიკა. მათემატიკას ბუნებისმეტყველებაში შეაქვს ლოგიკა a priori; მისი მეოხებით ემპირია სცნობს გონებას, მის კანონებს მარტივი ენით რომ გამოხატავენ, მოვლენათა რიგები გახსნიან იდუმალ მიმართებებსა და შედეგებს დასკვნის ნამდვილობაში დაუეჭვებლად. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ მ ა რ ტ ო მათემატიკური შეხედულება

(რაც უნდა თვითკმარი იყოს) ვერ მოიცავს ბუნებისმეტყველების მთელ საგანს; ბუნებაში რჩება რაღაცა, რაც მას არ ექვემდებარება. რაოდენობის კატეგორია მთელი არსებულის ერთ-ერთი მეტად არსებითი თვისებაა, მაგრამ ის ვერ ამოსწურავს ყოველივე თვისობრივს, და ბუნების შესწავლაში მხოლოდ და მხოლოდ მას რომ დავემყაროთ, მაშინ მივალთ ცხოველის დეკარტესეულ განსაზღვრამდე ჰიდრავლიკურ-ცეცხლოვანი მანქანით, რომელიც ბერკეტებით და სხვ. მოქმედებს. რა თქმა უნდა, კიდურები ბერკეტებს წარმოადგენენ, კუნთების სისტემაც მეტად რთული მანქანებია, — მაგრამ მაინც, დეკარტემ ვერ შეძლო აეხსნა ნების გავლენა, ტვინის გავლენა ნერვების საშუალებით მანქანის ნაწილების მართვაზე. ცოცხალის ცნება უეჭველად შეიცავს მექანიკურ, ფიზიკურ და ქიმიურ განსაზღვრებს, როგორც იმ დაბალ საფეხურებს, რომლებიც დაძლეულ ან მოხსნილ უნდა იქნან, რათა სიცოცხლის რთული პროცესი გაჩნდეს; მაგრამ სწორედ ერთიანობა, რომელიც მათ მოხსნის, შეადგენს ახალ ელემენტს, რაც არც ერთს წინანდელს არ ემორჩილება, არამედ თვითონ იმორჩილებს მათ. მთელი ცოცხალი ორგანიზმის და მისი თვითეული უჯრედის შინაგანი თანაარსი მოქმედება დღემდე მოუხელებელია მათემატიკისათვის, ფიზიკისათვის, თვით ქიმიისათვის, თუმცა მისი მოქმედებების ფორმა და რაოდენობრივი განსაზღვრანი სავსებით ექვემდებარება მათემატიკას ისევე, როგორც შემადგენელ საწყისთა ურთიერთმოქმედება ექვემდებარება ფიზიკო-ქიმიურ კანონებს. მათემატიკის ხმარება იმის გარეშე, სადაც იგი აუცილებელია, იქ, სადაც იგი საჭირო არ არის, — მეტად მნიშვნელოვანი ნიშანთვისებაა; მათემატიკა ადამიანს ამაღლებს თუმცა ფორმალურ და განყენებულ, მაგრამ წმინდა მეცნიერულ სფეროში: ეს აზროვნების და ყოფიერების სრული გარეგნული შერიგებაა. მათემატიკა ლოგიკის ცალმხრივი განვითარებაა, მისი ერთ-ერთი სახეა ანდა თვითონ ლოგიკური მოძრაობაა გონების რაოდენობრივ განსაზღვრათა მომენტში; მან შეინარჩუნა იგივე დამოუკიდებლობა არ-

სებულისაგან, იგივე უცილებლობა წმინდა გონებითი დასკვნისა; ამას ემატება მისი წარმტაცი სიცხადე, რომელიც, ესეცაა. პირდაპირ დამოკიდებულებაშია ცალმხრიობასთან. ბეკონმა, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა მათემატიკის მნიშვნელობა ბუნებისმეტყველებაში, თავის დროზე უკვე შეამჩნია საფრთხე მათემატიკით სხვა მხარეების ჩახშობისა (იგი, სხვათა შორის, ამბობს, რომ სწავლულთა განსაკუთრებული ყურადღება რაოდენობრივი განსაზღვრებებისადმი დაფუძნებულია მათს ფუქსავატობასა და ზერელობაზე, თუ მარტო მათ დაემყარე, შინაგანი იკარგებაო)*. ნიუტონი, სულ პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ მექანიკურ მსოფლმხედველობას მიეცა; შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უფრო ნაკლებ ფილოსოფიური გონების კაცი, ვიდრე ნიუტონი: ეს იყო დიდი მექანიკოსი, გენიალური მათემატიკოსი და სრულიადაც არა ბოაზროვნე. მიზიდულობის თეორია, თავისი სიმარტივის მთელი სიდიადის მიუხედავად, ფართო გამოყენებადობის, მომცველობის მიუხედავად, — სხვა არაფერია, თუ არა მოვლენის მ ე ქ ა ნ ი კ უ რ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა, წარმოდგენა, იქნებ სწორი, მაგრამ ისეთი, რომელიც ლოგიკურად გაუმართლებელი, ე. ი. სრულიად გაუგებარი რჩება, როგორც გულვება, რომელიც ყველაზე მეტ ალბათობას შეიცავს. სხეულებს ნიუტონი მიზიდულობის და განზიდვის თვისებებს მიაწერს; მაგრამ სხეულის ც ნ ე ბ ა შ ი, როგორც იგი ნიუტონს ესმოდა, არ ჩანს ამ პოლარულ გამოვლენათა აუცილებლობა; მაშასადამე, ეს ფაქტი ჰიპოტეზურია თუ თვალსაჩინო, — ეს სულ ერთია, მაგრამ არალოგიკურია; შემდეგ, ციურ სხეულთა გზა ისე-

---

* ბეკონი ძალიან ღვარძლიანად ლაპარაკობდა («De Aug. Scientiarum» 154) ასტრონომიაზე: «მეცნიერება ციურ სხეულთა შესახებ მეტად ულრულია; მას ადამიანებისათვის მოაქვს რაღაც იმგვარი მსხვერპლი, როგორიც ერთხელ პრომეთემ შესწირა იუპიტერს; მან ხარის ნაცვლად შესწირა ჩალით გატენილი ხარის ტყავი; ასე ასტრონომიაც მსჯელობს ციურ სხეულთა რიცხვზე, მდგომარეობაზე, მოძრაობაზე, პერიოდებზე... ცის კამარა მათთვის ხარის ტყავია; მოვლენათა შინაგნობას ისინი ვერა წვდებიან». — ა. ბ.

თია, რომ მექანიკამ იგი ორი ძალის შედეგად უნდა წარმოიდგინოს: ერთი მათგანი გასაგები ხდება ზემოთ დაშვებული ვარაუდიდან, სამაგიეროდ მეორე სრულიად გაუგებარი რჩება (ძალა, რომელიც ტანგენსით მიეზიდება); ამ ძალას (ან ბიძგს, რომელიც მას წარმოშობს) არც სხეულის ცნება შეიცავს, არც გარემოს ცნება; იგი არის à la deus ex machina და ასე რჩება დღევანდლამდე. ეს ციური მექანიკის შემქმნელებს არ აფ-ქრებს; მათემატიკა ჩვეულებრივ გულგრილი ხდება ყველა ლოგიკური მოთხოვნისადმი, გარდა თავისი საკუთარი მოთხოვნებისა. ოდესღაც კოპერნიკს, რომელიც თავის გენიალურ აზრს ამუშავებდა, განზრახვა ჰქონდა მოეცა უფრო ადვილი ხერხი პლანეტების გზების გამოანგარიშებისა; ახლა ნიუტონი ამბობს, რომ იგი ფიზიკოსებს უთმობს გადაწყვეტონ სავარაუდო ძალების ნამდვილობის საკითხი, და პირველ რიგში აყენებს თავისი თეორიის მოხერხებულობას მათემატიკური გაანგარიშებისათვის.

ბუნების მექანიკური განხილვა, ნიუტონის თეორიის უდიდესი წარმატების მიუხედავად, ვერ დამკვიდრდა; პირველი ძლიერი პროტესტი მხოლოდ და მხოლოდ მექანიკური შეხედულების წინააღმდეგ ქიმიურ ლაბორატორიებში გაისმა. ქიმია უფრო ერთგული დარჩა ბეკონის ნამდვილი მეთოდისა, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა დარგი; ქიმიაში ემპირია სუფევდა, — ეს მართალია, მაგრამ თითქმის ყველაფერში თავისუფალი რჩებოდა განსჯითი თეორიებისა და საგნის ძალდატანებითი შეზღუდვისაგან; ქიმია კეთილსინდისიერად და თავდადებით იხრებოდა ნივთიერებისა და მის თვისებათა ობიექტურობის წინაშე, რაც მის მიერ აღიარებული იყო.

მაგრამ უფრო მძლავრი პროტესტი გაისმა მეორე მხრიდან. ლაიბნიცი, აგრეთვე დიდი მათემატიკოსი, მაგრამ ამასთან ერთად დიდი მოაზროვნეც, ამხედრდა განსაკუთრებული მექანიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. მისი სისტემის მთავარ საფუძველთა გადმოცემა სულ სხვა სფეროში წაგვიყვანდა, ამიტომ გთხოვთ ნება

დამრთოთ ჯერ დავამთავრო თხრობა ბეკონის სკოლაზე, მივიყვანო იგი იუმამდე — ე. ი. კანტამდე, ხოლო შემდეგ კვლავ დავუბრუნდე დეკარტეს და განვიხილო იდეალიზმის ისტორია ისევ კანტამდე. ამ ისტორიაში ჩვენ დავინახავთ მხოლოდ ორ პიროვნებას, და მერე როგორს! ჩვენ დავინახავთ, თუ რა სიმაღლემდე შეიძლება ავიდეს გენიალური აბსტრაქცია, თუ სადამდე შეეძლო განევითარებინა კარტეზიანიზმი დიად კონცეფციას. სპინოზამ საზღვარი დაუდო იდეალიზმს; უფრო შორს რომ წახვიდე, უნდა გასცილდე იდეალიზმს; მასში თუ დარჩი, მხოლოდ კომენტატორი შეიძლება იყო სპინოზასი, მისი უხვი სუფრის ერთ-ერთი ჯამლოკია. ნაბიჯის წინ გადადგმის ცდა მოახდინა ლაიბნიცმა; ლაიბნიცის სახით ჩვენ ვხვდებით პირველ იდეალისტს, რომელშიც არის ახლობელი, ნათესაური, ჩვენი თანადროული. შუა საუკუნეთა სიმკაცრე და პროტესტანტული ნაძალადევი გულგრილობა, ჯერ კიდევ მკაფიო ნაკვთებად აჩნევია პირქუშ დეკარტესაც და თავისი ზნეობრივი სიწმინდით მიუვალ, ამაყ სპინოზასაც, რომელშიც ბევრი ებრაული განსაკუთრებულობა და ბევრი კათოლიკური ასკეტიზმი დარჩენილა. ლაიბნიცი არის ადამიანი, რომელიც სავსებით გაწმენდილია შუა საუკუნეებისაგან; ყველაფერი იცის, ყველაფერი უყვარს, ყველაფერს თანაუგრძნობს, ყოველივეს მიმართ გულღიაა, ყველას იცნობს ევროპაში, ყველასთან მიწერ-მოწერა აქვს; მასში არ არის სქოლასტიკოსთა საცერდოსული [155] ზვიადობა; მას რომ კითხულობ, გრძნობ, რომ დგება დღე თავისი ნამდვილი საზრუნავით, როცა დაგავიწყდება ოცნებანი და სიზმრები; გრძნობ, რომ კმარა ტელესკოპით ცქერა, — დროა გამადიდებელი მინა აიღო; კმარა მარტო სუბსტანციაზე მსჯელობა, დროა მრავალზე უმრავლეს მონადებზე ილაპარაკო*.

სოფ. სოკოლოვო.
1845 წ. ივნისი.

---

* ჩვენ ძალაუნებურად უნდა გამოვტოვოთ უაღრესად შესანიშნავი მოვლენები და ზოგიერთი ძლიერი პიროვნება, რომელნიც XVII საუკუნის მეცნიერების მთავარ კალაპოტში კი არ არიან, არამედ, ასე ვთქვათ,

წერილი მერვე

რეალიზმი

ბეკონის ინდუქციური მეთოდი უფრო და უფრო მეტ მიმდევრებს იძენდა. აღმოჩენები, რომლებიც გასაოცარი სისწრაფით მოსდევდნენ ერთიმეორეს მედიცინაში, ფიზიკაში, ქიმიაში, უფრო და უფრო აბამდნენ ადამიანებს ბუნებისმეტყველების, დაკვირვების, კვლევის სფეროში. ბეკონის მიმდევრებს, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ემპირიით, მოვლენათა იოლი ანალიზით და დანასკვების მოჩვენებითი სიცხადით, სურდათ ცდა და დაკვირვება გადაექციათ ყოველგვარი ცოდნის არა მარტო წყაროდ, არამედ გვირგვინადაც. უხეში, გარდაუქმნელი მასალა, უშუალო ჭვრეტის გზით მიღებული, შედარების გზით განზოგადებული და განსჯის კატეგორიებით დანაწევრებული, მათ მიაჩნდათ, თუ სრულ ჭეშმარიტებად არა, ადამიანის გაგებისათვის ერთადერთ შესაძლო ჭეშმარიტებად მაინც. ეს შეხედულება დიდხანს რჩებოდა ვარაუდათ, პრაქტიკად, შეთანხმებად, უფრო ნაგულის-

---

მის ახლოს. ამათ ეკუთვნიან ინგლისელი და ფრანგი მისტიკოსები, რომლებიც ხელს უწვდიან ემპირიას და ურიგდებიან მას (იმის მსგავსად, როგორც ლეგიტიმისტები ურიგდებიან რადიკალებს) გონების უძლურების საერთო აღიარების საფუძველზე; ამათ ეკუთვნიან მთელი რიგი სკეპტიკოსები, რომლებიც, მისტიკოსებთან ერთად, გაცილებით უფრო დაეკვებულნი არიან გონებაში, ვიდრე ცდაში (ასე ძლიერი იყო რეაქცია სქოლასტიკური დოგმატიკის წინააღმდეგ). მათ შორის სახელგანთქმული ბელი [156], დამცველი რჯულთშემწყნარებლობისა, რომელსაც რუსეთში პეტრე დიდი აღიარებდა, ხოლო საფრანგეთში ლუდოვიკო დ ი დ ი დევნიდა. ბელი XVII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დაუცხრომელი მოღვაწე იყო; იგი გარეულია ყველა საქმეში, მონაწილეა ყველა მწვავე საკითხისა, ყველგან ჰუმანიური და გესლიანია, დამთბობი და კადნიერია; იგი მოქმედებს ანონიმად და ამავე დროს ყველასათვის ცნობილია, მას სდევნიან იეზუიტები, რომლებისგანაც თავს იფარავს ჰოლანდიაში; ასევე სდევნიან პროტესტანტები, — და მათ ვერსად გაექცევა; საფრანგეთის კათოლიკე მეფე კრძალავს მის პროტესტანტულ ბროშურებს, ხოლო ინგლისის პროტესტანტი მეფე კინალამ ლუკმა პურს ართმევს მას... ყოველივე ეს ერთად აღებული ცოცხლად გამოხატავს ქმედით, მჩქეფარე და უთავბოლო XVII საუკუნეს. — ა. გ.

ხმევად, ვიდრე გამოთქმულად; მასში დიდხანს არ ყოფილა მისწრაფება—გადმოცემული ყოფილიყო სისტემატურად, არც პრეტენზია—მოგვლენოდა ლოგიკად და მეტაფიზიკად; ყოველივე მეტაფიზიკურის შიში ჯერ კიდევ სუფევდა ადამიანთა გონებაში; სქოლასტიკური იდეალიზმის მოგონება ცოცხალი იყო; სწავლულთა მთელი ყურადღება კვლავ მიმართული იყო ფაქტიური ცნობების გამრავლებისაკენ, ბუნების გაცნობისაკენ. ბუნება მეტოქედ გაუხდა იმ ამაყ სულს, რომელიც შუა საუკუნეებში მას სრულიად არ თვლიდა ყურადღების ღირსად; როლები შეიცვალა: გონებისაგან მოითხოვდნენ მხოლოდ პასიურ აღქმელობას, გონების თვითმოქმედება ოცნებად მიაჩნდათ. შუა საუკუნეებში იმისათვის, რომ ეთქვათ; საგანი არანამდვილიაო, ამბობდნენ: «ეს მხოლოდ უხეში მატერიაა»; ახლა იმავე მიზნით იწყეს ლაპარაკი: «ეს მხოლოდ აზრია». მაგრამ როცა გადატრიალება მოხდა, ბეკონის სკოლის რეალიზმმა ვერ გაუძლო ცთუნებას—სისტემაში მოეყვანა თავისი შეხედულება,—ცთუნებას, რომელიც, უნდა ითქვას, საკვებით ბუნებრივი და დამახასიათებელია ყოველი გონებრივი მუშაობისათვის. ემპირიამ მოისურვა თავისი მეტაფიზიკა ჰქონოდა: ლოკი მოგვევლინა ამ მოთხოვნილების პასუხად.

ადამიანმა (ლოკის მიხედვით) თავისი ცოდნის განხილვა უნდა დაიწყოს აზროვნების იარაღთა გარჩევით, იმ საკითხის გადაჭრით, შეუძლია თუ არა გონებას იცოდეს ჭეშმარიტება, რამდენად და რა საშუალებებით? ზერელედ თუ ვიმსჯელებთ, გვეგონება, რომ ლოკის მოთხოვნა მართებულია, რადგან საერთოდ ყველა განსჯითი მოთხოვნა პ ი რ ვ ე ლ ა დ გასაოცრად ცხადია; მაგრამ საკმარისია რამდენადმე დავაკვირდეთ მათ, რათა დავინახოთ მათი უსაფუძვლობა. ლოკი და მისი მიმდევრები ვერ მიხვდნენ, რომ მათი ამოცანა ლოგიკურ წრეს წარმოადგენს. იუმი, როგორც შეუდარებლად უფრო ნიჭიერი კაცი, კითხულობდა: რით გაარჩევს ადამიანი თავის გონებას?—გონებითვე.—მაგრამ ის ხომ აგრეთვე ბრალდებულიცაა; მის მიერ გამართლებული შეიძლება ყალბი იყოს, სწორედ იმიტომ, რომ იგი მის მიერაა გამარ-

თლებული. იუმმა, როგორც იტყვიან, სწორედ მიზანში მოაზვედრა; იუმის გამო აღტაცებულნი იყვნენ მისი თანამედროვენი, როგორც გონებამახვილი სკეპტიკოსით, მაგრამ მისი უარმყოფელობის სიღრმეს და მის დიდ ადგილს ახალი ფილოსოფიის განვითარებაში ვერ ჩაწვდნენ; პირველი, ვინც იგი გაიგო, იყო კანტი, რომელიც გააშეშა იუმის თვალის მედუზისებურმა გამოხედვამ. საჭიროა (განაგრძობს ლოკი) ისე წარმოიდგინო ადამიანი, რომ მას ჯერ კიდევ არც ერთი აზრი არ ჰქონდეს, და შეხედო, თუ გარეშე სამყაროსთან მისი გრძნობებისა და ცნობიერების ურთიერთქმედებიდან როგორ წარმოიქმნება იდეები (სიტყვა «იდეებში» ისინი გულისხმობდნენ ყოველივეს, რაც გნებავთ—ცნებას, საყოველთაოს, აზრს, სახეს, ფორმას, შთაბეჭდილებასაც კი). ამისათვის ავიღოთ ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ არ ლაპარაკობს, ან ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი და დავიწყოთ დაკვირვება... ხოლო უფრო თანმიმდევარი კონდილიაკი იღებს ქანდაკებას და ანიჭებს მას ყნოსვას, შემდეგ სმენას... და ასე თანდათან მიდის ქანდაკებაში აზროვნების კანონების აღიარებამდე. ამას ისინი დაკვირვებას, ანალიზს უწოდებენ,—და ბეკონის აჩრდილს ყველრებით თითი არ დაუქნევია თავისი საფლავიდან! მთელი XVIII საუკუნე განუწყვეტლივ მიმართავდა ველურ ადამიანს, ბავშვს; ჟან-ჟაკმა [157], როცა მოისურვა მრავალი ადამიანის აღწერა, უკეთესი ვერაფერი პოვა რა, გარდა იმისა, რომ იგი სულ შორეულ წინაისტორიულ არსებად წარმოედგინა. მუნოსავ დედოფალაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, არც ბავშვი, არც ნაგულვები იდიოტი და არც კანიბალი არ არიან ნორმალური ადამიანები; ყოველივე, რასაც თქვენ მათში შეამჩნევთ, მით უფრო ყალბი იქნება, რაც უფრო კარგად არის შემჩნეული. ვთქვათ, ჩვენ შევძელით აღგვედგინა დავიწყებული და არაცნობიერი განვითარება პირველად გრძნობებით აღძრული გონების დაწყებითი მოქმედებისა,—რა გამოვა აქედან? ჩვენ გავიგებდით ცნობიერების ისტორიულ ფენომენოლოგიას, შევიტყობდით გრძნობათა ენერგიისა და აზროვნების

ენერგიის ფიზიოლოგიურ ურთიერთქმედებას—ესაა და ეს. ზოოლოგია, ბოტანიკა საესებით განვითარებულ ეგზემპლარებს იღებენ ნორმად; მაშ რატომ უნდა მიმართავდეს ანთროპოლოგია ველურ ადამიანს? იმიტომ, რომ იგი უფრო ახლოსაა ცხოველთან, ე. ი. უფრო შორსაა ადამიანისაგან? ადამიანი, როგორც XVIII საუკუნის მოაზროვნენი ფიქრობდნენ, კი არ დაშორებია თავის ბუნებრივ მდგომარეობას, არამედ მ ი ს კ ე ნ მ ი დ ი ს; ველური მდგომარეობა მისთვის ყველაზე არაბუნებრივი მდგომარეობაა; ამიტომ არის, რომ, როგორც კი ჩნდება ასეთი მდგომარეობისაგან თავის დაღწევის პირობები, იგი თავს აღწევს კიდეც მას; რაც უფრო ღრმად ეფლობით წარსულში, მით უფრო ახლო არის ადამიანი ველურ მდგომარეობასთან, მით უფრო არაბუნებრივია იგი; ეს თითქმის აზრად არ მოსვლიათ მაშინდელ ფილოსოფოსებს. მაგრამ რა დასკვნები გამოჰყავთ ნ ა ვ ა რ ა უ დ ე ვ ა რ ა ა დ ა მ ი ა ნ ზ ე დაკვირვებიდან? ლოკი ფიქრობს, რომ მარტივი იდეები (შთაბეჭდილებათა ანგარიში, მათი მოგონება) გადაიცემა პირდაპირ გონების ც ა რ ი ე ლ ა დ გ ი ლ შ ი; გონება, გრძნობად შეხედულებებს რომ იღებს, პასიურია, თავად არაფერს უმატებს, არამედ, ასე ვთქვათ, აკავებს მათ თავის თავში; ამიტომ მარტივი იდეები დიდი უტყუარობით განირჩევიან. მაგრამ აი რა არის ცუდი: მარტივი იდეების მიღებასთან ერთად ადამიანები მათთვის ნიშნებს იგონებენ; ლოკი ადამიანს იჭერს ამ გამოგონებაზე და მეტად სამართლიანად შენიშნავს, რომ ადამიანი სიტყვას არქმევს არა ნამდვილ ნივთს, არამედ საყოველთაო შემკრებლობითს ცნებას, გვარეობას ან რაიმე რიგს, რომელსაც ნივთი ეკუთვნის,—მაშასადამე, რაღაც არარსებულს. აქ ლოკის განხილვა უნდა დამთავრებულიყო: თუ სიტყვა გამოხატავს არა ჭეშმარიტებას, მაშინ გონებასაც არა აქვს საშუალებანი შეიცნოს იგი, ვინაიდან სიტყვა იმის გამომხატველია, თუ როგორ ესმის გონებას. მართალია, შეგიძლიათ იკითხოთ: როგორ გაიგო ლოკმა, რომ ორი საგნიდან—კერძო ნივთიდან და საყოველთაო სიტყვიდან—სინამდვილე, მაშასადამე, ჭეშმარი-

ტებაც ეკუთვნის ნივთს და არა სიტყვას? მას ხომ ჯერ კიდევ არა აქვს კრიტერიუმი, ის ეძებს კრიტერიუმს. საქმე მეტად მარტივია: იგი მატერიალისტია და ამიტომ სწამს მას ნივთი და გრძნობადი უტყუარობა; ის იდეალისტი რომ იყოს, სწორედ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევდა ჭეშმარიტებად სიტყვას და საყოველთაოს; ის მართლა კი არ ეძებს კრიტერიუმს; მან ძალიან კარგად იცის, რაც სურს; ის მხოლოდ მოგვაჩვენებს თავს კეთილსინდისიერ მცველად. შემდეგ, საყოველთაო, სიტყვად წოდებული, გვიჩვენებს ნამდვილი საგნის დამოუკიდებლობას ჩვენს გაგებასთან. მაშასადამე, ცოდნის წყაროა არა მარტო გარეშე შთაბეჭდილებანი, არამედ თვითონ აზროვნების მოქმედებაც. ლოკი არა თუ სცნობს ამას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გონებას მიაკუთვნებს უფლებას — გახსნას საგანთა შორის მიმართება; ის გონების მიერ გახსნილს (რთულ იდეებს) აუცილებელ რამედ თვლის, მაგრამ არა ისე (?) უტყუარ რამედ, როგორც მარტივ იდეებს. მთელი განსჯითი მეცნიერება აქ თავის ჩანასახ მდგომარეობაშია. გონება ცარიელი ბნელი ადგილია. რომელშიც ხვდებიან გარეშე საგნების სახეები და აღძრავენ რაღაც განმწესებელ, ფორმალურ მუშაობას მასში; რაც უფრო პასიურია იგი, მით უფრო ახლოსაა სინამდვილესთან; რაც უფრო მოქმედია, მით უფრო საეჭვოა მისი სიმართლე. აი თქვენ ცნობილი «nihil est in intellectu, quod non fuerit in sensu»*, რაც ამაყადაა დასმული «cogito, ergo sum»-ის გვერდით ან წინააღმდეგ!

რაც შეეხება თვითონ ლოკის ფენოლომოგიას, მისი «ცდა» არის განსჯითი მოძრაობის ერთგვარი ლოგიკური აღსარება; იქ ის გადმოგვცემს თავისი ცნობიერების მოვლენებს იმ ეარაუდით, რომ ყოველ ადამიანს იდეები ერთნაირად უჩნდება და უვითარდება. ლოკი გვიხსნის, სხვათა შორის, რომ, გონებრივი მუშაობის სწორი მოხმარებისას, რთული ცნებანი

* არაფერი არ არის გონებაში ისეთი, რაც ადრე გრძნობაში (შეგრძნებაში) არ ყოფილა (ლათ.). — რ ე დ.

აუცილებლად წარმოშობენ ძალის, თვისებათა მატარებლის (სუბსტრატის) იდეას, დასასრულ, ჩვენ მიერ შეცნობად გამოვლენათა (ატრიბუტთა) არსის (სუბსტანციის) იდეას. ეს იდეები არსებობენ არა მარტო ჩვენს გონებაში, არამედ ნამდვილადაც, თუმცა ჩვენ გრძნობებით მარტო მათს ხილვადს გამოვლენას შევიცნობთ. დაიხსომეთ ეს.— აშკარაა, ლოკს არავითარი უფლება არა ჰქონდა თავისი საწყისებიდან გამოეყვანა დასკვნა ძალის, არსის და სხვა ცნებათა ობიექტურობის სასარგებლოდ. იგი ცდილობდა მთელი ძალ-ღონით დაემტკიცებინა, რომ ცნობიერება არის tabula rasa, რომელიც შთაბეჭდილებათა სახეებით იესება და რომელსაც თვისება აქვს—ეს სახეები ისე შეახამოს, რომ სხვაობათა მსგავსობა გვარეობითს ცნებას შეადგენდეს; მაგრამ არსისა და სუბსტრატის იდეა არც შეხამებიდან გამოდის და არც ემპირიული მასალის გადაღებიდან; მაშასადამე, ჩნდება გაგების ახალი თვისება, ამასთან ისეთი თვისება, რომელსაც, თვითონ ლოკის აღიარებით, ობიექტური მნიშვნელობა აქვს. რა საშინელება მოიცავდა ლოკის მიმდევრებს, მათ რომ ამ თვისებაში იდეალიზმის ის თანდაყოლილი იდეები შეეცნოთ, რომელთა წინააღმდეგ ისინი ასე დაუღალავად ომობდნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში! თანდაყოლილ იდეებად ყველა იდეალისტი როდი გულისხმობდა მზამზარეულ სენტენციებს, მოჩვენებებს, უცილობელ უაზრო ფაქტებს, ცნობიერებისათვის უცხოსა და მასში შეჩრილს, არამედ გარდუვალ ფორმებს, რომლებიც გონების მოქმედებას ახლავს, ამასთან ისეთ ფორმებს, რომლებიც თვითონ არიან თავიანთი ნამდვილობის აპოდიქტური დამამტკიცებელი საბუთი, ე. ი. ის, რასაც ლოკი არსის ცნებაზე ლაპარაკობს. მატერიალისტები ეთანხმებოდნენ ლოკს, მაგრამ ფრიად გულუბრყვილოდ დავობდნენ სიტყვების—«თანდაყოლილი იდეების» წინააღმდეგ და მათს არათანდაყოლილობას ამტკიცებდნენ იმით, რომ მათ შეუძლიათ არ განვითარდნენო. მერე რა გამოდის აქედან? ორგანულმა პროცესმა უცილობლად უნდა განავითაროს ცხოველში სისხლ-

ძარღვების, ნერვების სისტემა და სხვა გვარეობითი, შეიძ-
ლება ითქვას, წინაარსებული და განხორციელებადი ცნების
მიხედვით, მაგრამ იგი შ ე ი ძ ლ ე ბ ა არც განვითარდეს; ამი-
სათვის მას გარეშე პირობები სჭირდება; ეს პირობები თუ
არ იქნება, არც ორგანიზმი იქნება, არამედ განხორციელდე-
ბა რაიმე სხვა პროცესი, რომელთანაც ორგანულ ნორმას
არაფერი ესაქმება; თუ კი შეგროვდება ორგანიზმის აღმოცე-
ნებისათვის აუცილებელი პირობები, მაშინ გარდუვალად გან-
ვითარდება მასში სისხლძარღვების, ნერვების სისტემა იმ გეგ-
მის, რიგისა და გვარის საერთო ტიპის მიხედვით, რომელსაც
ორგანიზმი ეკუთვნის, და ორივე შემთხვევაში გვარეობის
ცნება დარჩება ჭეშმარიტი, და თუ გნებავთ, — თანდაყოლი-
ლი, თანაარსი, წინაარსებული. საქმე ის არის, რომ ამ ფორ-
მალურ წინააღმდეგობათ, ამ არათანმიმდევრობათ თავს ვერ
დავაღწევთ, თუ ლოკის თვალსაზრისზე დავრჩებით; განსჯას
(ე. ი. გონების. იმ მომენტს, რომლითაც ემპირიული შინაარ-
სი იწყებს თავის ლოგიკურ ელემენტებად დაშლას) თავად
არ გააჩნია საშუალებანი გადასჭრას მის მიერვე დასმული
და პირობითად მხოლოდ მის მიმართ ჭეშმარიტი წინააღ-
მდეგობა. გონება ამ დაშლის საფეხურზე ქიმიურ რეაქტივს
ჰგავს: მას შეუძლია მოცემული დაშალოს, მაგრამ ყოველ-
თვის ისე, რომ გამოჰყოს ერთი მხარე, ხოლო მეორესთან —
შეერთდეს; ასეთია დავა თანდაყოლილ იდეებზე, არსზე და
სხვ. ყველა ამგვარ საკითხში არის ორი მხარე: თავიანთ კი-
დეებზე ისინი ცალმხრივნი არიან, ერთმანეთს ეწინააღმ-
დეგებიან, შუა ადგილზე ერთიმეორეს შეერთვიან; ცალ-ცალ-
კე აღებულნი, ისინი პირდაპირ მცდარნი არიან და იძლევიან
ანტინომიათა გამოუვალ რიგებს, რომლებშიც არც ერთი მხა-
რე არ არის მართალი, ვიდრე ისინი განყენებულ განმხოლოე-
ბაში არსებობენ, და შეიძლება იყვნენ ჭეშმარიტნი მხოლოდ
ერთიანობის შეცნობისას. მაგრამ ამ ერთიანობის შეცნობა
სცილდება აზროვნების იმ მომენტის ფარგლებს, რომელსაც
განზრახ არ ტოვებენ რეფლექსიის ადამიანები: ვამბობ: გან-
ზრახ, — რადგან საჭიროა ბევრი იშრომო და უძრაობის მტკიცე

უნარი შეიძინო, რომ არ გაჰყვე დიალექტიკურ მიდრეკილებას, რომელიც თვითონ გაგვიყვანს განსჯადობის საზღვრებს იქით. მიღებული და თავის თავზე დაყრდნობილი სისტემისაგან თავისუფალი გონება, საგნის ცალმხრივ განსაზღვრებზე რომ ჩერდება, უნებლიედ ისწრაფვის მისი შემვსები მხარისაკენ; ეს დიალექტიკური გულისცემის დასაწყისია; ერთი შეხედვით ეს გული მხოლოდ ირხევა წინ და უკან, ნამდვილად კი ეს გულისცემა მოწმობს ცოცხალ, ცხელ ნაკადს, რომელიც თავისი განუწყვეტელი რიტმით მიედინება და დიალექტიკურ გადასვლებში, ყოველთვის, გულის ყოველ ცემასთან ერთად, აზრი უფრო სუფთა, უფრო ცოცხალი ხდება. მაგალითისათვის ავიღოთ ლოკის ცალმხრივი შეხედულება ცოდნის დასაბამზე და არსზე. იგულისხმება, რომ ცდა აღძრავს ცნობიერებას, მაგრამ იგულისხმება აგრეთვე, რომ აღძრული ცნობიერება სრულიადაც არ არის მის მიერ წარმოქმნილი, რომ ცდა არის მხოლოდ პირობა, ბიძგი, ისეთი ბიძგი, რომელსაც არასგზით არ შეუძლია პასუხი აგოს შედეგებისათვის, მიტომ რომ ეს შედეგები მას არ ემორჩილებიან, იმიტომ რომ ცნობიერება არის არა tabula rasa, არამედ actus purus, მოქმედება, საგნისადმი არა გარეშე, არამედ პირიქით, — მისი შინაგანზე შინაგანი რამ, რადგან საერთოდ აზრი და საგანი შეადგენენ არა ორ სხვადასხვა ს ა გ ა ნ ს, არამედ რაღაც ერთიანის ორ მომენტს. დადექით ურყევად ერთის, ან მეორის მხარეზე — და თქვენ თავს ვერ დააღწევთ წინააღმდეგობას. უცდოდ არ არის ცნობიერება, უცნობიერობოდ არ არის ცდა, ვინაიდან ვინღა ადასტურებს მას? ფიქრობენ, რომ ცნობიერებას თ ვ ი ს ე ბ ა აქვს ასე და ასე წინაღუდგეს ცდასო, ამავე დროს კი, აშკარაა, ცდა არის საბაბი, prius*, ურომლისოდაც ეს თვისება ვერ გამოვლინდებოდა. ვერ ბედავდნენ აზროვნება მიეჩნიათ თვითმყოფ მოქმედებად, რომლის განვითარებისათვის აუცილებელია ცდა და ცნობიერება, საბაბი და თ ვ ი ს ე ბ ა, ერთიც უნდო-

* წინაპირველი (ლათ.). — რ ე დ.

დათ და მეორეც და უნაყოფო განმეორებაში ვარდებოდნენ. ამ ტავტოლოგიებში, რომლებიც განუწყვეტლივ იმეორებენ საპირდაპიროს, არის რაღაცა, რაც იმდენად ეზიზღება ადამიანს, რაც აბუჩად იგდებს მას და მოკლებულია აზრს, რომ ადამიანი, რომელსაც თავის თავში განსჯითი თვალსაზრისი არ დაუძლევია, მათგან თავის სახსნელად უკუაგდებს თავის საუკეთესო ავლადიდებას—გონებისადმი რწმენას. იუმს შესწევდა ამ უარყოფის მამაცობა, ეს გმირული თავდადება, ლოკი კი შუაგზაზე შეჩერდა; ამიტომ არის, რომ იუმი მთელი თავით მაღლა დგას ლოკზე; ლოგიკური გონებისათვის უფრო ადვილია უარყოს, უფრო ადვილია დაკარგოს ყოველივე ძვირფასი, ვიდრე შეჩერდეს და თავისი საწყისებიდან უკანასკნელი დასკვნა არ გამოიყვანოს. არსის და ატრიბუტის ანუ არსის ხილვადი არსებობის საკითხი ასეთსავე ანტინომიას იწვევს. გონება, ყოფიერებას რომ აკვირდება, რაოდენობრივ და თვისობრივ განსაზღვრათა რიგის, განყენებათა რიგის გადასვლით, მალე მიდის იმ არსის ცნებამდე, რომელიც ყოფიერებას წარმოქმნის, მის აღმოცენებას იწვევს. ყოფიერება ისწრაფვის ასახოს თავის თავში, უარყოს სახეცვლადი გარეგნობა და გახსნას თავისი არსი,— ასე ვთქვათ, თავისი გარეგნული გამოვლენის საპირისპიროდ. მაგრამ როგორც კი გონება მოიწადინებს გაიგოს ყოფიერების საფუძველი, მიზეზი, შინაგანი ძალა ყოფიერების გარეშე, იგი აღმოაჩენს, რომ არსი თავისი გამოვლენის გარეშე არის ისეთივე non sens, როგორც ყოფიერება არსის გარეშე; რისიღა არსია იგი? გამოავლინეთ იგი, — მაშინ თქვენ კვლავ დაუბრუნდებით ყოფიერების ატრიბუტების სფეროს; შემვსები მომენტი ჩნდება, როგორც უკმარი ბგერა, რომელიც უნებლიეთ იბადება, რათა აკორდი დამთავრდეს. მაგრამ რაღას ნიშნავს ეს დიალექტიკური აუცილებლობა, რომელმაც არსზე მიუთითა, როცა ადამიანს სურდა ყოფიერებაზე შეჩერებულიყო, და ყოფიერებაზე მიუთითა, როცა მას სურდა არსზე შეჩერებულიყო? ეს, თითქოს, ლოგიკური წრეა, ნამდვილად კი ლოგიკური ურთიერთ-

თავდებობაა; ეს წინააღმდეგობა ნათლად გამოხატავს, რომ არ შეიძლება შევჩერდეთ განსჯითი ანალიზის ღარიბ კატეგორიებზე, რომ არც ყოფიერება, არც არსი, ცალკე აღებულნი, არ არიან ჭეშმარიტნი. განსჯა, — ვთქვი მე ზემოთ, — ჰგავს რეაგენციას, მაგრამ უფრო ახლობელი შედარება შეგვიძლია ავიღოთ: იგი ჰგავს გალვანურ ხელსაწყოს, რომელიც გარკვეული მხრივ ყოველივეს ორ ნაწილად შლის და რომელიც ისე არ გამოჰყოფს ერთ შემადგენელ ნაწილს, თუ სხვა პოლუსს მეორე ნაწილი არ მიაკუთვნა. ანტინომია თავის მცდარობას კი არ მოწმობს: სავსებით პირიქით — იგი მხოლოდ ხელს უშლის გონების უსამართლო მოქმედებას, — საშუალებას არ აძლევს მას განყენება მთელ რამედ მიიჩნიოს; იგი საპირდაპიროს იწვევს მეორე პოლუსთან, როგორც სამხილს, და გვიჩვენებს მის თანაბარ კანონზომიერებას. დიალექტიკური მოძრაობა ჯერ შეურაცხყოფს მოაზროვნე ადამიანს, სევდითა და სასოწარკვეთითაც კი მოიცავს — თავისი მოსაწყენი რიგებითა და მოულოდნელი დაბრუნებებით დასაბამთან; იგი შეურაცხყოფს მას, როგორც თავისი სახლის სახურავის დანახვა შეურაცხყოფს მგზავრს, რომელსაც გზა დაბნევია და რომელიც, მთელი საათობით ხეტიალის შემდეგ, ხედავს, რომ უკან დაბრუნდა; მაგრამ აღშფოთებას უნდა მოჰყვეს სურვილი — მისცე თავისთავს ანგარიში, გაარკვიო, რაც მოხდა, ხოლო ეს გარკვევა ადრე თუ გვიან აუცილებლად მიგვიყვანს აზროვნების უმაღლეს სფეროებთან.

ლოკი არალოგიკურად მოიქცა, არსის ობიექტურობა რომ აღიარა, მან აგრეთვე არალოგიკურად გადაწყვიტა, არსის ცოდნა არ შეიძლებაო. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოვლენებისაგან განუყოფადია, მაშინ როცა სწორედ მათში შეიძლება არსის შეტყობა; ატრიბუტებია ენა, რომლითაც შინაგანი გამოითქმება (გაიხსენეთ ი. ბიომე). ლოკი არალოგიკურად მოიქცა, მსჯელობა ცოდნის წყაროდ რომ აღიარა, მაშინ როცა მთელი მისი მსოფლმხედველობა იმაზეა დაფუძნებული, რომ ცნობიერებაში არაფერი არ არის, გარდა

გრძნობებიდან მიღებულისა. იგი ყოველ ნაბიჯზე ურტყამს თავის თავს. ვთქვათ პირდაპირ: ლოკის «ცდა» ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს; მისი დიდი წარმატება მხოლოდ თავისდროულობაზეა დაფუძნებული; მატერიალიზმის მეტაფიზიკა ვერ განვითარდა, ბეკონის სკოლის მოწოდება სრულიადაც არ იყო მეტაფიზიკური; ის დიადი რამ, რაც მან გააკეთა, უსისტემატიკოდ არის გაკეთებული; მისი სისტემატიკა კარგია მხოლოდ, როგორც რეაქცია სქოლასტიკისა და იდეალიზმის მიმართ, და ვიდრე მას თავისთავი ესმოდა როგორც რეაქცია, იგი სასარგებლო იყო, მაგრამ როგორც კი იგი პროტესტაციიდან ტიბიკონზე, თეორიაზე გადადიოდა, უსაფუძვლო ხდებოდა. ლოგიკურად ლოკის მთელი მსოფლმხედველობა შეცდომაა, ისეთივე აშკარა შეცდომა, როგორც იდეალიზმიდან გამომდინარე პრაქტიკული დარგების ყოველი კონსტრუქცია. საერთოდ ლოკი აზროვნების საქმეში საღ აზრს წარმოადგენს, რომელიც იწყებს დოგმატიკის დაჩემებას, ის განსჯითი კეთილგონიერებაა, რომელიც თანაბრად დაშორებულია როგორც მაღალ გონებას, ისე უგვანო სისულელეს; მისი მეთოდი ფილოსოფიაში იგივეა, რაც esprit de conduite* ზნეობის საქმეში; ამ მეთოდით თანაბრად ძნელია წაბორძიკდე და გატკეპნილ გზას აცდე. ლოკის გადმოცემა ჭკვიანურია, თანაბარია, ნათელია, პრაქტიკული შენიშვნებით სავსე; მისი დასკვნები აშკარაა, იმიტომ რომ იგი მხოლოდ აშკარაზე ლაპარაკობს; ის ყველგან ცდილობს დარჩეს ზომიერების ფარგლებში, თავს იკავებს უკიდურესობათაგან, მაგრამ ჯერ კიდევ არ კმარა გეშინოდეს შენი საწყისებიდან ამა თუ იმ მხრივ პირდაპირი შედეგების გამოტანისა, რათა ორივეს გონივრულ შერიგებამდე ამაღლდე. მასზე უფრო თანმიმდევრულად, მაგრამ იმავე საწყისებიდან, გამოვიდა კონდილიაკი. კონდილიაკმა უარყო აზრი, რომ მსჯელობა შეიძლება იყოს ცოდნის წყარო, ვინაიდან მსჯელობა არა თუ გულისხმობს შეგრძნებას, არამედ სხვა არაფერია, თუ არ შეგრძნება. კონდილიაკს თვითონ იდეათა შეხამება მიაჩნდა არა

* ქცევის საერთო მიმართულება (ფრანგ.). — რ ე დ.

თავისუფალ მოქმედებად, არამედ შეგრძნებათა აუცილებელ შედეგად, — ამრიგად, ყველა სულიერი პროცესი დაყვანილ იქნა შეგრძნებებამდე; მეორე მხრივ, იგივე კონდილიაკი ამტკიცებდა, რომ «გრძნობათა სხეულებრივი ორგანოები ცოდნის, გრძნობადი შეგრძნების შემთხვევითს საწყისს წარმოადგენენ». თუმცაღა, ეს მას არაფერში არ გამოადგა. კონდილიაკის ლოგიკა, როგორც აზროვნების გარეგნული მექანიკა, არ არის ღირსებებს მოკლებული, გარკვეულია, ნათელია, თავისებურ სიზუსტესა და წინდახედულობას გვაჩვევს, მაგრამ მისი მეთოდით დენთს ვერ გამოიგონებ: ეს არის ხელოვნური კლასიფიკაციების, ნიშანთვისებათა აღწერილობის და სხვ. მეთოდი.

მატერიალისტ-მეტაფიზიკოსები სრულიადაც არ წერდნენ იმას, რაც მათ სურდათ; ისინი თავიანთი საკითხის შინაგან მხარეს არც კი შეხებიან, არამედ მხოლოდ გარეგნულ პროცესზე ლაპარაკობდნენ; ამ პროცესს ისინი საკმაოდ სწორად გამოხატავდნენ, და მათ არავინ არ ედავება; მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, ესაა ყველაფერიო, და შეცდნენ: გრძნობადი აზროვნების თეორია თავისებური მექანიკური ფსიქოლოგია იყო, ისევე როგორც ნიუტონის შეხედულება მექანიკური კოსმოლოგიაა. ამასთან, არასგზით არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ლოკის სკოლა აზროვნებას განიხილავდა მხოლოდ როგორც ერთი ტიპიური ადამიანის კერძო, ცალკეულ, პირად უნარს; გონებას, როგორც გვარეობითს აზროვნებას, რომელიც არის და გაიშლება ხოლმე ისტორიასა და მეცნიერებაში, მათი ყურადღება არ დაუმსახურებია; ამიტომაა, რომ მათ აკლიათ აზროვნების წარსული მომენტების ისტორიული გაგება. არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე უცნაური, როგორც მათ მიერ ანტიკურ ფილოსოფოსთა გარჩევა; მათ გვერდით ან თითქმის გვერდით მდგომი მოაზროვნენი მათ ვერასგზით ვერ გაიგეს. კონდილიაკი, მაგალითად, წერდა მალბრანშის, ლაიბნიცისა და სპინოზას ვრცელ განხილვებს; ეტყობა, რომ ისინი მას ბევრი უკითხავს, მაგრამ ჩანს, რომ იგი ერთხელაც არ ყოფილა გატა-

ცებული ამ მოაზროვნეებით, რომ თავიდანვე მტრულად ეკიდებოდა მათ და მხოლოდ ცდილობდა დაეპირისპირებინა თავისი აზრი მათი ნათქვამისათვის. ფილოსოფოს მწერალთა ასე გარჩევა შეუძლებელია*. საერთოდ მატერიალისტებმა ვერასგზით ვერ გაიგეს გონების ობიექტურობა, და ამიტომ, თავისთავად იგულისხმება, ისინი მცდარად განსაზღვრავდნენ არა მარტო აზროვნების ისტორიულ განვითარებას, არამედ საგნისადმი გონების მიმართებასაც საერთოდ, და ამასთან ერთად ადამიანის მიმართებას ბუნებასთან. მათთან ყოფიერება და აზროვნება ან ითიშება ან ერთიმეორეზე გარეგნულად მოქმედებს. ბუნება აზროვნების გარეშე ნაწილია და არა მთელი; აზროვნება ისევე ბუნებრივია, როგორც განფენილობა, ისევე საფეხურია განვითარებისა, როგორც მექანიზმი, ქიმიზმი, ორგანიკა, — ოღონდ უმაღლესი საფეხური. მატერიალისტებმა ეს უბრალო აზრი ვერ გაიგეს: ისინი ფიქრობდნენ, რომ ბუნება უადამიანოდ სრული,

---

* სხვათა შორის, ბევრს, ალბათ, უცნაურად ეჩვენებოდა, რატომ იყო, რომ XVII და XVIII საუკუნის მოაზროვნეთა დიდ ნაწილს, როცა ოგი პლატონსა და არისტოტელეს კითხულობდა, სრულიად არ ესმოდა შინაგანის და გარეგანის ერთიანობა (პლატონის იდეის, არისტოტელეს ენტელეხიის) რომელიც საკმაოდ ნათლად ჩანს როგორც ერთის, ისე მეორის მსოფლმხედველობაში: ნუთუ ეს მხოლოდ გონებაშეზღუდულობაა? — არა მგონია. ახალი ადამიანი ისე გამოეთიშა ბუნებას, რომ ადვილად ვერ ურიგდება მას; მან ამ გათიშვასთან მეტი აზრი შეახამა, ვიდრე ბერძენმა. ბერძნებისათვის ადვილი იყო გაეგოთ არსისა და ყოფიერების განუყრელობა, იმიტომ რომ მათ მთელი სიღრმე-სიგანით არ ესმოდათ მათი დაპირისპირებულობა. პირიქით, შუა საუკუნეებმა სწორედ უკიდურესობამდე განავითარეს ეს გათიშვა, და აზრი არათუ უკვე დაკმაყოფილდა ბერძნული შერიგებით, არამედ მან შერიგების გაგების შესაძლებლობაც დაკარგა. ბერძენი თანაუგრძნობდა ჭეშმარიტებას; ახალი ადამიანებისათვის საჭირო იყო ანალიზი და კრიტიკა; მან თანაგრძნობა რეფლექსიითა და უნდობლობით ჩაკლა თავის თავში. ბერძენი არასოდეს არ გამოჰყოფდა ბუნებისაგან არც ადამიანსა და არც აზრს: მისთვის მათი თანაარსებობა იყო არც თუ ისე გარკვევით გაგებული, მაგრამ ფაქტიურად აშკარა მოვლენა; ახალი მეცნიერება თავისი ორივე მიმდინარეობით (რეალიზმი და იდეალიზმი) არღვევდა ამ ჰარმონიას. — ა. გ.

კარჩაკეტელი და თვითკმარია, რომ ადამიანი გარეშე რამ არის; რა თქმა უნდა, ცალკე აღებულ ბუნების ქმნილებათ ადამიანი სრულიადაც არ სჭირდებათ; მაგრამ თუ მათ კავშირში აიღებთ, დაინახავთ, რომ მათში არაფერი არ არის სრული, რომ მთელი მათი ბედნიერება სწორედ ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ ამ უსრულობის შეცნობა. ცხოველთა ორგანიზმები, მაგალითად, მთელი მათი მთლიანობის, კარჩაკეტილობის, კონკრეტობის მიუხედავად, განყენებულნი არიან; ისინი, გარდა საკუთარი მნიშვნელობისა, გვანიშნებენ რაღაც განვითარებას, რომელიც უფრო შორს გადადის; ისინი სავსენი არიან რაღაც უფრო სრულსა და განვითარებულზე მითითებით; ეს მითითებანი ისწრაფვიან ადამიანისაკენ; ამის დასამტკიცებლად, თითქოს, საჭირო არ არის ფილოსოფია, საკმარისია შედარებითი ანატომია. ადამიანის გარეშე განხილულ ბუნებაში არ არის თავმოყრის, თავისთავში ჩაღრმავების შესაძლებლობა, არ არის ლოგიკური ფორმით თავისი თავის შეცნობისა და განზოგადების შესაძლებლობა, ყოველივე ეს იმიტომ არ არის ადამიანის გარეშე, რომ ჩვენ ადამიანს სწორედ ამ უმაღლეს განვითარებას ვუწოდებთ. არავის არ უკვირს, რომ უთვალებოდ ვერაფერს ვხედავთ, იმიტომ რომ თვალი მხედველობის ერთადერთი იარაღია; ადამიანის ტვინი ბუნების შეცნობის იარაღია. ბუნება, როგორც მარადიული ასაკუსრულობა, ემორჩილება აუცილებელ, საბედისწერო, თავისთვის გაურკვეველ, სახელდობრ თავისი ამ განვითარების უკმარისობის გამო თავისთვის გაურკვეველ კანონს; ადამიანში კანონი შუქდება, შეგნებულ გონივრულობად იქცევა; ზნეობრივი სამყარო იმდენად თავისუფალია გარეგნული აუცილებლობისაგან, რამდენადაც იგი სრულწლოვანია, ე. ი. შეგნებულია. მაგრამ რადგან სინამდვილეში ცნობიერება გამოყოფილი არ არის ყოფიერებისაგან, სხვა კი არ არის, არამედ, პირიქით, მისი სრულყოფაა. მისი სწრაფვის მიზანია, მისი ბუნდოვანობის ახსნაა, მისი ჭეშმარიტება და გამართლებაა, ამიტომ ფიზიკური სამყაროც, ზნეობრივში განთავისუფლებული და მასში გამართლებული, გამართლებულია

საკუთარ თვალშიც, ბუნება, ცნობიერების გარეშე გაგებული, არის ტანი, უმწიფარი ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ არ მისულა ყველა ორგანოს ფლობამდე, რადგან ეს ორგანოები ჯერ კიდევ ყველა არ დასრულებულა. ადამიანის ცნობიერება, უბუნებოდ, უსხეულოდ, არის აზრი, მოკლებული ტვინს, რომელიც მას მოიფიქრებდა, მოკლებული საგანს, რომელიც მას აღძრავდა. აზრის ბუნებრიობა, პიროვნება და მათი ურთიერთთავდებობა ბუნებისა — შებრკოლების ლოდია იდეალიზმისა და მატერიალიზმისათვის, ოღონდ იგი სხვადასხვა მხრიდან უვარდებოდათ მათ ფეხქვეშ*. შელინგმა გონებასა და ბუნებაზე სხვადასხვა შეხედულებათა ბრძოლას მოუსწრო მისი უმაღლესი და მეტისმეტად დაძაბული გამოხატულების ჟამს, — როცა, ერთი მხრივ, ა რ ა-მ ე დაეცა ფიხტეს იერიშების გამო, და გონების ძალაუფლება გამოცხადდა სიცივისა და სიცარიელის რაღაც უსასრულო სივრცეებში; მეორე მხრივ, როცა ფრანგები უარყოფდნენ ყოველივე

* ნება მომეცით ლოკზე და მის მამდევრებზე ნათქვამის დასასრულ მოვიყვანო შემდეგი ადგილი ჰენლეს ელემენტარული ანატომიიდან; პროზექტორი ჰენლე მუდამ მიკროსკოპს უზის და, მაშასადამე, იდეალიზმში ეჭვმიტანილი არ არის. იგი დაწვრილებით განიხილავს ნერვულ მოქმედებას და აზროვნების ორგანოს ენერგიას და ამბობს: «ჩვენი სულის რთულ მოქმედებას რომ განვიხილავთ, შეგვიძლია იგი მარტივ ცნებებამდე ან კატეგორიებამდე დავიყვანოთ; მაგრამ რაიმე გარედან ამ კატეგორიების გამოყვანის სურვილი ისევე უგუნური იქნებოდა, როგორც ბგერებით ფერადების ახსნა. ყოველი ამგვარი ცდა წინასწარ აყენებს იმას, რაც უნდა აიხსნას; ასე იქცეოდა ლოკის სკოლა, რომელსაც სურდა ცნება გარეშე ცდიდან გამოეყვანა. დებულება Nihil in intellectu, quod non ante fuerit in sensu იმდენად ყალბია, რომ, ფიზიოლოგიურად თუ ვიტყვით, უფრო შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ არაფერი არ შეიძლება გრძნობებიდან გონებაში გადავიდეს. გარეგანს არც კი შეუძლია წარმოშვას შეგრძნებანი, რომელნიც წინ არ უსწრებდნენ, როგორც შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა; სადღა შეუძლია მას აზროვნების ორგანოში შეაღწიოს? გარეგანი მასში მხოლოდ მიძინებულს ავითარებს. გარეშე სამყაროსთან ურთიერთმოქმედებაში გრძნობათა ენერგიას გამოაცალკევებენ (სპეციალურს ხდიან) სათანადო გაღიზიანებანი, რომელნიც, რომ ვითარდებიან, თვითონ სცვლიან თავდაპირველ შეგრძნებებს. გრძნობათა ორგანოები წარმოადგენენ სათანადო გაღიზია-

არაგრძნობადს და, როგორც თავისქალისმეტყველნი [159], ცდილობდნენ აეხსნათ აზრი ბორცვებითა და ღრმულებით, და არა ბორცვები აზრით, და მან პირველმა გამოთქვა, თუმცა არა სავსებით, მაღალი ერთიანობა, რაზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით. მაგრამ დავუბრუნდეთ ლოკსა და მის სკოლას.

ლოკი მორიდებული და უფრო კეთილსინდისიერი იყოვიდრე დიალექტიკოსი; მან თავისი თვალსაზრისით ლოგი, კური აუცილებლობის გარეშე უარყო საწყისი, საიდანაც გამოვიდა. სინამდვილედ არსის აღიარებით მან საბოლოოდ ცნო გონების თვითკანონიერება, რომელიც ნაწილობრივ უკვე აღიარებული იყო რთული იდეების წყაროდ მსჯელობის მიჩნევით; როგორც კი არსის იდეამ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, უცილობლად იქმნებოდა შესაძლებლობა — არსებულის მრავალსხვაობა ერთიანობამდე მიეყვანათ; უშუალო ყოფიერება არსში პოულობს თავის გაშუალებას, მოვლენა იღებს მიზეზს, კაუზალობა განუყრელია არსის ცნებასთან. მაგრამ როგორც სპინოზას (ჩვენ ამას შემდგომ წერილებში დავინახავთ), რათა კარტეზიანული დუალიზმი თავისი ღრმა ლოგიკური ბუნების მოთხოვნებთან შეერიგებინა, ერთი გამოსავალი რჩებოდა — დაეღუპა მოვლენათა ნამდვილობა არსის სასარგებლოდ, რაც დუალიზმიდან თავისე-

---

ნებას აზროვნების ორგანოსათვის. გრძნობათა გაღიზიანებას შეესაბამება გარკვეული გრძნობითი ცნებანი; მათი განვითარების დონე დამოკიდებულებაშია ნაგრძნობ, განცდილ გრძნობებთან (von den Erlebnissen der Sinne). განვითარებული აზროვნება თითქმის ისეთსავე დამოკიდებულებაშია გონების პირველ მოქმედებასთან, როგორშიც არის განათლებული თვალის ფანტაზია ცომციმისადმი და ფერის წინწკლებისადმი. თავდაპირველ ცნებებთან დაბრუნება შეუძლებელია. განვითარების ისტორიამ და გრძნობათა სახემ აღგვიზარდეს ის ფორმები, რომლებითაც ჩვენ ვფიქრობთ», და სხვ., იხ. «Allgemeine Anatomie» von Henle, p. 751 — 2; იგი შეადგენს VI ტომს საუცხოო გამოცემისას, რომლითაც თანამედროვე გერმანელმა ექიმ-ნატურალისტებმა პატივი დასდეს თავიანთ სახელგანთქმულ მასწავლებელს S. T. Sömmering, «Vom Baue des menschlichen Körpers». — ა. გ. [158].

ბურ გამოსავალს შეადგენდა, —სწორედ ასევე მატერიალიზმისათვის საჭირო იყო თავის უკანასკნელ სიტყვად მიეღო არსის არა გაუბედავი და მერყევი ნახევრადაღიარება, არამედ მისი სრული უარყოფა. არსი ის ძაფია, რომლითაც გონება ყოველივეს აკავებს: გადასჭერით იგი და ყოველივე გაიფანტება, დაიშლება; იარსებებენ მარტო კერძო მოვლენები, მარტო ინდივიდუალობანი, რომელნიც ერთ წამს ბეუტავენ და მყისვე ქრებიან: საყოველთაო წესრიგი დაირღვევა; იქნება ატომები, მოვლენები, ფაქტების გროვა, შემთხვევითობანი, მაგრამ არ იქნება მწყობრი, მთლიანი კოსმოსი, — და ყოველივე ეს ჩინებულია: როცა ცალმხრიობა ასეთ უკიდურესობამდე მივა, მაშინ იგი ყველაზე უფრო ახლოსაა თავისი შეზღუდულობიდან გამოსვლასთან. უეჭველია, რომ ბეკონ-ლოკის მიმართულების პირველი გენიალური მატერიალისტი უნდა მისულიყო აქამდე ან განდგომოდა მატერიალიზმს, — ეს გენიოსი დავით იუმი იყო.

იუმი იმ მოაზროვნეთა მცირე რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ანგარიში გაუსწორეს თავიანთ თავს, რომლებსაც, საწყისთა მიღების შემდეგ, გამბედაობა შესწევდათ ევლოთ შედეგებამდე, არაფრის წინაშე არ გაფითრებულიყვნენ და მტკიცედ მიეღოთ კარგიც და ცუდიც, ოღონდ ამოსავალი წერტილისა და ლოგიკური გზის ერთგულნი დარჩენილიყვნენ. ასეთ კაცს შეუძლია, დაბოლოს, მიაღწიოს დამშვიდებას, თავისი დასკვნების სიმართლეში დარწმუნებული თავის საწყისებს შეურიგდეს; უგვანო ადამიანები, რომლებიც ამ აღუშფოთებელ სიწყნარემდე მისულან, ბლომად არიან, მაგრამ იუმი დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი ჭკუა-გონებით და არაჩვეულებრივი დიალექტიკით, — სწორედ ეს არის საგულისხმო. თავისი საწყისები იუმს არ აურჩევია: ისინი მან მზამზარეული პოვა თავის თანამედროვე ქვეყანაში, თავის სამშობლოში; იგი ამ საწყისების მიმართ სიმპათიას გრძნობდა, როგორც პრაქტიკული ადამიანი, როგორც ინგლისელი. თვითონ ცხოვრების ხასიათს მიჰყავდა იგი ამ საწყისებთან: იუმი იყო დიპლომატი, ისტორიკოსი, წინათ კი ვაჭარი,

მიუხედავად არისტოკრატული წარმოშობისა. რა თქმა უნდა, ბეკონის მეთოდის საწყისები უფრო ახლოს იყო მის სულთან, ვიდრე სპინოზა და ლაიბნიცი; მაგრამ, მიიღო რა საწყისები, ძლიერმა მოაზროვნემ ულმობელი დასკვნები გააკეთა; მან წამოაყენა ის, რის შეხებასაც მისი წინამორბედნი ვერ ბედავდნენ; იქ, სადაც ისინი გაძვრებ-გამოძვრებოდნენ, თმობდნენ, იუმი წყნარად და კეთილშობილურად, მაგრამ არაჩვეულებრივი სიმტკიცით მიდიოდა პირდაპირი გზით. იგი დამშვიდებულია, რადგან მართალია; მისი სინდისი ფაქიზია, მან კეთილსინდისიერად გააკეთა ის, რასაც ხელი მოჰკიდა. გინახავთ თუ არა იუმის პორტრეტი? მისი ნაკვთები გაოცებენ აღუშფოთებელი სიცხადით და თავმდაბლური სიმშვიდით; მხიარულად ზის იგი კოხტა ფრანგულ ხიფთანში გამოწყობილი; სრული პირისახის, თვალები ჭკუიანურად ბრწყინავენ, ყველა ნაკვთი ცოცხალია, კეთილშობილურია; იგი ცოტათი იღიმის. მას რომ უცქერი, სიამოვნებასა გრძნობ, გაგონდება, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ არის კარგი. შეხედეთ დროის მხრივ მასთან მახლობელ სხვა ფილოსოფოსთა პორტრეტებს, — სრულიად სხვაა. ლოკის ხმელ-მორალურ სახეში შეერთებულია ანგლიკანელი მქადაგებლის გამომეტყველება მატერიალისტ-კანონმდებლის სიმკაცრესთან; ვოლტერის სახე მხოლოდ ღვარძლიან ირონიას გამოხატავს; მასში გენიალური გონების ნიშანი როგორღაც შეხამებული იყო ორანგუტანგის ნაკვთებთან; კანტი თავისი პატარა თავითა და უზარმაზარი შუბლით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს; მის სახეში, რომელიც რობესპიერს მოგვაგონებს, არის რაღაც ავადმყოფური; ეს სახე მეტყველებს განუწყვეტელ, მძიმე მუშაობაზე, რომელიც მთელ სხეულს მოიხმარს; თქვენ ხედავთ, რომ მისი პირისახე ტვინს შეუწოვია, რათა აზრის ვეებერთელა შრომას ეყოს; ლაიბნიცი, მეფურად დიდებული პირისახით, როგორც გოეთე, ყველა ნაკვთით ამბობს: procul estote! * იუმი კი თავისკენ მოგიხმობთ. ეს არა მარტო

* მოშორებით დარჩით. (ლათ.). რ ე დ.

ბზრის ადამიანია, არამედ ცხოვრების ადამიანიცაა. სწორედ ასეთი იყო ის; მას შეეძლო მაღალ ზნეობასთან და მაღალ ჭკუასთან შეეხამებინა თვისებანი, რომელნიც მისკენ იზიდავდნენ ყველა ადამიანს, ვინც კი მასთან ახლოს მივიდოდა. იგი მეგობართა მცირერიცხოვანი ჯგუფის სული და გული იყო; მათ შორის იყვნენ დიდი ადამ სმიტიც და ოდესღაც ჟ.-ჟ. რუსოც, რომელიც, გულფიცხი სევდით შეპყრობილი, გაექცა მხიარულ ამხანაგობას. იუმი ბოლომდე დარჩა თავისი თავის ერთგული; სიკვდილის წინ მან ლხინი გამართა და მხიარულად გამოემშვიდობა სიცოცხლეს, თავის მომაკვდავი ხელი მაგრად ჩამოართვა მეგობრებს და უღიმოდა მათს გამოსათხოვარ სადღეგრძელოს. ეს იყო მთლიანი პიროვნება!

ვერც ლოკმა და ვერც კონდილიაკმა ვერ შეძლო თავისი რეალიზმი მეცნიერულ მოთხოვნებთან შეეთანხმებინა; იუმი პირველივე შეხედვით მიხვდა, რომ ამ თვალსაზრისით ყველა მეტაფიზიკური მოთხოვნა, ყოველი დოგმატიკა უაზრობა იქნება, და ეს მან პირდაპირ და მოურიდებლად გამოთქვა. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ მან უარყო შესაძლებლობა გონების კრიტიკით ცოდნის უტყუარობის განსაზღვრისა; მას უტყუარობა მიაჩნია ინსტინქტად, რომელიც საკუთრივ დასკვნას არ ემორჩილება, მიაჩნია წინა-განსჯად. ჩვენ ცნობიერებაში მოგვყავს არა თვით საგნები, არამედ მათი სახეები. ეს სახეები ჩვენ მიგვაჩნია გარეშე საგნების მოქმედებად; ამის დამამტკიცებელი საბუთები არ არის,—საგნებთან შთაბეჭდილებათა ასეთ დამოკიდებულებას ჩვენ ვიღებთ განსჯის განვითარებამდე: ეს წინ მიდის, ეს მოცემულია ინსტინქტით. ცოდნის წყაროა ცდა, შთაბეჭდილებანი; შთაბეჭდილებანი გადმოგვცემენ სახეებს და ამასთან ერთად მორალურ დამაჯერებლობას, რწმენას, რომ ისინი შეესაბამებიან არსებულ საგნებს, რომლებმაც ისინი აღძრეს ჩვენს ცნობიერებაში; გონების მოქმედებით ინსტინქტის გამართლების გამოყვანა შეუძლებელია: საამისოდ მას საშუალებანი არ გააჩნია; აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ ინსტინქტი მართალი არ იყო, არამედ ის გამომდინარეობს, რომ ჩვენი

გონება შეზღუდულია. გრძნობადი შთაბეჭდილებანი, სახეები, რომელნიც მეხსიერებაში გროვდებიან, მეორდებიან და მეხსიერებით სხვად ასხვანაირად შეხამდებიან, შეადგენენ იმას, რასაც ჩვენ იდეებს ვუწოდებთ; ყველა იდეა, ყოველივე სააზროვნო, განცდილი უნდა იყოს. ჩვენ გამოვუშვებთ შთაბეჭდილებათა მიერ მოცემული მასალების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, ვადარებთ მათ, განვაყენებთ მათთვის საერთოს, ვიღებთ მათს მიმართებებს და განტოლებათა ამ გზით ვაღწევთ ზოგად ცნებებს; ამ განზოგადებისას, თავისთავად იგულისხმება, შთაბეჭდილებანი რამდენადმე კარგავენ თავის სიცხოველეს, ძალას და თავის ინდივიდუალურ მნიშვნელობას. ადამიანი, თავისი ინსტინქტის რწმენის მქონე, მეხსიერებაში შთაბეჭდილებათა რიგის შემნახავი, თავის შედარებათა სხვადასხვა განზოგადებასა და შედეგს მიაწერს საგნებს, თუმცა საამისოდ მას არავითარი უფლება არა აქვს; ცდა იძლევა მხოლოდ კერძო მოვლენებს, შეგრძნებებს და არაფერს საყოველთაოს, როცა ადამიანი რამდენჯერმე ხედავს მსგავს მომდევნოს მსგავსი წინანდელისაგან, იგი ეჩვევა იმას, რომ დააკავშიროს ეს წარმოდგენები და დაუმორჩილოს ერთი მეორეს, უწოდოს პირველს მიზეზი ან ძალა, ხოლო მეორეს — მოქმედება; ვერც ცდა, ვერც გონებითი ჭვრეტა ვერ ამართლებენ ასეთ თვითნებურ მიღებას. ცდა იძლევა დროის მხრივ ერთიმეორის მიმყოლი ორი სხვადასხვა მოვლენის თანმიმდევრულ რიგს და არ გადაგვიშლის მათს სხვანაირ ურთიერთმიმართებას. კაუზალობის დასკვნა აშკარად არასრულია,—მას აკლია მთელი ტერმინი. *B* ბუდმივ მოსდევს *A*-ს; მაშასადამე, *A* არის *B*-ს მიზეზი,—უვარგისი დასკვნაა, ვინაიდან ორ სხვადასხვა *A*-სა და *B*-ს შორის ვერავითარ ურთიერთმიმართებას ვერ ვხედავთ, გარდა მოთხრობისა, რომ ჯერ გაჩნდა *A*, ხოლო შემდეგ *B*, და რომ ეს რამდენიმეჯერ მოხდა; *A*-ს რომ მიზეზად მივიჩნევთ, *B*-ს — მოქმედებად, ჩვენ ვკარგავთ მათი შედარების უკანასკნელ შესაძლებლობას, ვინაიდან შედარება შეიძლება მხოლოდ თანამოსახელისა, რაიმე მხრივ იგივეობითის, ხოლო

მოქმედება და მიზეზი იმდენად სხვადასხვანაირი ცნებებია, რომ აქ შედარებას ადგილი არა აქვს. საქმე ისაა, რომ კაუზალობა დაფუძნებულია სრულიადაც არა დასკვნაზე ან პირდაპირ ცდაზე, არამედ ჩვეულებაზე: ადამიანი ეჩვევა მსგავსი მიზეზებიდან ელოდეს უეჭველად მსგავს მოქმედებას; ეს გარდუვალობა რომ გონივრული ყოფილიყო, მაშინ გონებას პირველჯერაც ასეთივე მოქმედების მოლოდინი უნდა ჰქონოდა; მაგრამ გონება მას არ მოელოდა, არამედ მოელოდა მეორეჯერ, იმიტომ რომ მან შეჩვევა იწყო. ის, რაც აქ ნათქვამია კაუზალობის შესახებ, ძალიან ადვილად მიუდგება აუცილებლობისა და არსის ცნებებსაც. ცდა არსად და არაფერში არ იძლევა არავითარ აუცილებელ თანაფარდობათ, არამედ იძლევა მრავალსხვაობის ერთობლივსა და თანადროულ თანაარსებობას. სიტყვა «არსი» შემკრებლობითი სახელია მრავალი მარტივი იდეისა, რომლებიც ერთ სახელში თავსდება; ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს არსზე, გარდა იმისა, რაც მიღებულია ჩვენს მიერ შემჩნეულ სხვადასხვა მოვლენათა და თვისებათა კავშირიდან. იდეები, როგორც ეტყობა, მსგავსებით, ერთობლიობით, ერთდროისობით, კაუზალობით შეერთების გზით უფრო მტკიცენი, უფრო ზოგადნი ხდებიან; მაგრამ თუ დავაკვირდებით, ყველა ეს განზოგადება იწვევს ერთი და იგივეს განმეორებას სხვადასხვა სახეებით (მოქმედება—აღმოჩენილი მიზეზი, ფარული მიზეზი — გამოუმჟღავნებელი მოქმედება); მაგალითად, ადამიანის მე, ე. ი. თვითონობის ცნება, წარმოგვიდგება ყველა იმ მოვლენათა ერთგვარ არსად, რომელნიც ადამიანის სიცოცხლეს შეადგენენ; ჩვენი მე-ს ცნებასაც არაფერი ნამდვილი არ უდევს საფუძვლად. მე — ცნება არის განუწყვეტლივ განგრძობილი თვითონობის აღიარება; მაშასადამე, შთაბეჭდილებაც, მას რომ იწვევს, განუწყვეტელი უნდა იყოს; მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება არ არის: ჩვენი თვითონობა ბევრი, ერთიმეორის მომდევნო შთაბეჭდილებისაგან შედგება; ამ ერთობლიობას ჩვენ მივაკუთვნებთ გამოგონებულ კავშირს, რომელსაც მე ეწოდება. ეს აზრი წარმოდგება,

ერთი მხრივ, საგნის განუწყვეტლობის ცნებისაგან და, მეორე მხრივ, ერთმანეთთან ერთი მეორის შემდეგ თანაფარდობაში მყოფი სხვადასხვა საგნების თანმიმდევრობის ცნებისაგან; რაც უფრო ვამჩნევთ თანდათანი თანმიმდევრობის ხასიათს, მით უფრო ნაკლებად შეგვიძლია განვასხვაოთ ისინი ერთიმეორისაგან, და, რათა აღმოაჩინოს განუწყვეტლობისა და თანმიმდევრობის შენარჩუნებაზე დაფუძნებული წინააღმდეგობა, ადამიანი გამოიგონებს სუბსტანციას ან თავისი მე-ს თვითონობას, როგორც უცნობ რაღაცას, რომელიც ცვლილებაში საკუთარ თავთან იგივეობას ინარჩუნებს.

Consommatum est!* მატერიალიზმის საქმე, როგორც ლოგიკური მომენტისა, შესრულდა; შემდგომი სვლა თეორიულად შეუძლებელი იყო. სამყარო დაიშალა უამრავ კერძო მოვლენებად, ჩვენი მე — უამრავ კერძო შეგრძნებებად; თუ მოვლენებს შორის და შეგრძნებებს შორის კავშირი აშკარავდება, ეს კავშირი, ჯერ ერთი, შემთხვევითია, მეორეც, სისრულესა და სიცოცხლიანობას უკარგავს ის, რაც მათ აკავშირებს; დაბოლოს, ტავტოლოგიურად იმეორებს იმავეს სხვა ენაზე. ამ კავშირს არც ლოგიკური, არც ემპირიული უტყუარობა არა აქვს, მისი კრიტერიუმია ინსტინქტი და ჩვევა. გონება უარყოფს ინსტინქტს, მაგრამ თვალსაჩინობა მის მხარეზეა; ინსტინქტი პრაქტიკულად უარყოფს გონებას, თუმცა, თავის მხრივ, არაფრის დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნია. მარტო გრძნობადი უტყუარობით უნდოდათ ჰეშმარიტებამდე მისულიყვნენ; იუმმა მიგვიყვანა გრძნობადი უტყუარობის ჰეშმარიტებამდე, რომელიც რეფლექსიაზე შეჩერდა, და რაღა მოხდა? გონების, აზრის, არსის, კაუზალობის ნამდვილობა, თავისი მე-ს შეცნობა გაქრა; იუმმა დაამტკიცა, რომ ამ გზით მხოლოდ ამ შედეგებამდე შეიძლება მისვლა. მაგრამ შეიძლება კი ინსტინქტს, შთაბეჭდილებისადმი რწმენას მაინც ჩავჭიდოთ ხელი, როგორც ხსნის

* აღსრულდა (ლათ.). — რ ე დ.

უკანასკნელ იმედს? არასგზით. შთაბეჭდილებათა ნამდვილობისადმი რწმენა წარმოსახვის საქმეა და მისი სხვა გამონაგონებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მას ახასიათებს უნებლიე გრძნობა უტყუარობისა, რაც დაფუძნებულია იმ შთაბეჭდილებათა მეტ სიცხოველეზე, რომლებიც წარმოდგება უფრო ნამდვილი, ვიდრე გამოგონებული საგნებისაგან. ეს რწმენა, — დასძენს იუმი, — სწორედ ისევე ეკუთვნის მხეცებს, როგორც ადამიანს; იგი გონებით სრულიად ვერ გამართლდება! რაც დეკარტემ თავისი მეთოდით გააკეთა წმინდა აზროვნების სფეროში, ის გააკეთა პრაქტიკულად იუმმა განსჯითი მეცნიერების სფეროში. მან გაწმინდა მეცნიერების შესავალი ყოველივე მონაცემისაგან, რაც მას გზას უღობავს; მან აიძულა მატერიალიზმი გამომტყდარიყო, რომ მისი ცალმხრივი თვალსაზრისით ნამდვილი აზროვნება შეუძლებელია. სიცარიელეს, რომელთანაც იუმმა მიგვიყვანა, ძლიერ უნდა შეეძრწუნებინა ადამიანის ცნობიერება, და იქიდან გამოსვლა არ შეიძლებოდა არც მაშინდელი იდეალიზმის მეთოდით, არც ლოკის გაუბედავი მატერიალიზმით. საჭირო იყო სხვანაირი გადაწყვეტა; იუმის ხმამ კანტი გამოიწვია.

მაგრამ ვიდრე კანტსა და იდეალიზმის მხრივ მის წინამორბედებს შევეხებოდეთ, შევხედოთ, თუ რას აკეთებდა ბეკონის სკოლა პა-დე-კალეს გაღმა.

რეალიზმი საფრანგეთში აშკარად ინგლისიდან გადმოვიდა; ირონიული ტონიც კი, აზრის მსუბუქი ლიტერატურული სამოსი, თავმოთნე სარგებლიანობის თეორია და მკრეხელობის ცუდი ჩვეულება, — ყოველივე ეს ინგლისიდან გადმოვიდა. რა ქნეს ფრანგებმა? რატომ არის, რომ ჩვენს ხსოვნაში სიტყვები: რეალიზმი, მატერიალიზმი — განუყრელად დაკავშირებულია XVIII საუკუნის ფრანგი მწერლების სახელებთან? თუ ხელს მოჰკიდებთ ლოგიკურ ჩონჩხს, თეორიულ აზრს მის საყოველთაობაში, დაინახავთ, რომ ფრანგებს თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ და, კაცმა რომ თქვას, არც შეეძლოთ რაიმე გაეკეთებინათ: რეალიზმისა და ემპი-

რიის თვალსაზრისით ერთი მეთოდია, — იგი ბეკონმა გადმოგვცა; მატერიალიზმში ჰობსზე შორს ვერსად წახვალ, — თუ არ გადაეშვები სკეპტიციზმში, მაგრამ აქაც ყველაფერი ამოწურული იყო იუმის მიერ. ამავე დროს ფრანგებმა, მართლაც, ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, და ისტორიაში ისინი ტყუილად კი არ დარჩენილან XVIII საუკუნის მეცნიერების წარმომადგენლებად. ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ გვქონდა შემთხვევა შეგვენიშნა, რომ განყენებულ ლოგიკურ სქემატიკას ყველაზე ნაკლებად შესწევს უნარი ჩასწვდეს ემპირიის ფილოსოფიას, ფორმით არამეცნიერულს, მაგრამ შინაარსით მდიდარს. აქ ეს აშკარაა; თუ თქვენ შეხედავთ არა რამდენიმე ღარიბ თეორიულ აზრს, რომლიდანაც ერთნაირად გამოდიოდნენ ინგლისელები და ფრანგები, არამედ იმ განვითარებას, რომელიც ამ აზრებმა პოვეს ინგლისელებთან და ფრანგებთან, — დაინახავთ, რომ საფრანგეთმა შეუდარებლად მეტი მოიმოქმედა, ვიდრე ინგლისმა. ბრიტანელებს მხოლოდ თაოსნობის სახელი ეკუთვნით. ენციკლოპედისტებმა მეცნიერების დარგში ლოკი სწორედ იმად გადააქციეს, რადაც ბრეტონულმა კლუბმა რევოლუციის დროს კონსტიტუციური მონარქიის ინგლისური თეორია გადააქცია: მათ ისეთი შედეგები გამოიყვანეს, რომლებიც ინგლისელებს ან ფიქრად არ მოსდიოდათ, ან რომლებსაც ისინი ზურგს აქცევდნენ. ეს სავსებით შეესაბამება ორი დიდი ხალხის ეროვნულ ხასიათს.

ყოველ ზოგად საკითხს ინგლისელები ადგილობრივ, ეროვნულ საკითხად აქცევენ; ფრანგებთან ყოველი ადგილობრივი, კერძო საკითხი ზოგადკაცობრიული ხდება. რა ცვლილების მოხდენაც არ უნდა სურდეს ინგლისელს, მას სურს წარსულიც შეინახოს, მაშინ როცა ფრანგი პირდაპირ და აშკარად მოითხოვს ახალს, ინგლისელის სულის ნაწილი წარსულშია; იგი უპირატესად ისტორიული კაცია, იგი შეეჩვია ბავშვობიდანვე მოწიწებით ეპყრობოდეს თავისი სამშობლოს წარსულს, პატივს სცემდეს მის კანონებს, მის ჩვეულებებს, მის რწმენას, — და ეს ფრიად გასაგებიცაა: ინგლისის წარსული პატივის-

ცემის ღირსია; იგი ისე დიდებულად და მწყობრად ვითარდებოდა, იგი ისე ამაყად დგებოდა ადამიანის ღირსების გუშაგად ჯერ კიდევ შავბნელი უუფლებობის, დროს, რომ ბრიტანელს არ შეუძლია თავისი წმინდა მოგონებანი დავიწყებას მისცეს; ეს მოკრძალება წარსულის წინაშე აღვირს სდებს მას. ინგლისელს არათავაზიანად ეჩვენება გადალახოს ზოგიერთი საზღვარი, შეეხოს ზოგიერთ საკითხს, და იგი, პედანტიზმამდე პატივისმცემელი ზრდილობისა, ემორჩილება მის პირობითს კანონებს. ბეკონი, ლოკი, მორალისტები, ინგლისის პოლიტიკური ეკონომისტები, პარლამენტი, რომელმაც კარლოს I ეშაფოტზე გაგზავნა, სტაფორდი, რომელსაც სურდა პარლამენტის ძალაუფლება დაემხო, — ყველანი ისწრაფვოდნენ უწინარეს ყოვლისა კონსერვატორებად მოეჩვენებინათ თავი; ყველანი ზურგშექცევით მოძრაობენ წინ და არ უნდათ გამოტყდნენ, რომ ახალი, დაუმუშავებელი ნიადაგზე მიდიან. კუნძულელის აზრში ყოველთვის არის რაღაც შეზღუდული; იგი გარკვეულია, დადებითია, მტკიცეა, მაგრამ ამასთან ერთად მოჩანს ნაპირები, მოჩანს საზღვრები. ინგლისელი თავისი აზრის ძაფს წყვეტს იმ ადგილას, სადაც იგი არსებულ წესრიგს სცილდება, და გაწყვეტილი ძაფი სუსტდება მთელ მანძილზე*. წარსულისადმი პატივისცემა, რაც ინგლისელს ბოჰავდა, არ ჰქონდათ ფრანგებს: ლუდოვიკო XIV წარსულს ისევე ნაკლებად სცემდა პატივს,

---

* მხოლოდ შექსპირსა და ჰობსს არ მიუდგება ეს: ცხოვრების პოეტური ჰკრეტა, მისი გაგების სიღრმე, მართლაც, უსაზღვროა შექსპირთან; ჰობსი უაღრესად გაბედული და კონსეკვენტური იყო, მაგრამ მის შესახებ შეიძლება ითქვას ის, რაც მირაბომ თქვა ბარნავის შესახებ: «შენი თვალები ცივია, შენ მირონცხებული არა ხარ». ბაირონი, პოეზიის იუმი, უკვე ს ხ ვ ა ინგლისს ეკუთვნის, იმ ინგლისს, რომელიც დიდხანს სულმოუთქმელად, სწორედ ბაირონის დაბადების წლიდან (1788), მოუსვენარი ყურადღებით უყურებდა რევოლუციას და, როგორც გარიკი, პირისახის ერთი ნაწილით იღიმებოდა, ხოლო მეორე ნაწილით ტიროდა, — იმ ინგლისს, რომელმაც «ბელეროფონის» გაგზავნისას წამოიძახა: «მე გავიმარჯვე!» და თვითონაც გაწითლდა ასეთი გამარჯვებისაგან. — ა. გ. კონსეკვენტური — თანმიმდევარი (ლათ.). — რ ე დ.

როგორც მირაბო: მან აშკარად გაიწვია ხმალში გარდმოცემა. ფრანგებმა თავიანთი ,ისტორია ჩვენს საუკუნეში შეიტყვეს: წარსულში ისინი ქმნიდნენ თავიანთ ისტორიას, მაგრამ არ იცოდნენ, რომ ამ ისტორიას ისინი განაგრძობდნენ; მათ მხოლოდ რომისა და საბერძნეთის ისტორია იცოდნენ, ფრანგულ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით გადაკეთებული, შეფერადებული, ნაძალადევი. იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ფრანგებს უნდოდათ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გ ო ნ ე ბ ი დ ა ნ გ ა მ ო ე ყ ვ ა ნ ა თ: სამოქალაქო ყოფაც და ზნეობაც,—უნდოდათ მხოლოდ თეორიულ შეგნებას დაყრდნობოდნენ და უგულებელყოფდნენ წარსულის ანდერძს, იმიტომ რომ იგი არ ეთანხმებოდა მათს a priori-ს, იმიტომ რომ იგი რაღაც უშუალო, მზამზარეული ყოფით ხელს უშლიდა მათი გონებითი, შეგნებული კონსტრუქციის განყენებულ მუშაობას, და ფრანგები არათუ არ იცნობდნენ თავიანთ წარსულს, არამედ მისი მტრებიც კი იყვნენ. ყოველგვარი აღვირის ასეთი უქონლობის, მგზნებარე-ენერგიული ხასიათის, სწრაფი მოსაზრების, გონების განუწყვეტელი მუშაობის, ბრწყინვალე, წარმტაცი გადმოცემის ნიჭის პირობებში, თავისთავად იგულისხმება, რომ მათ ინგლისელები უკან უნდა ჩამოეტოვებინათ.

სპეკულატური მოძრაობა, დეკარტესი და მისი მიმდევრების მიერ ძლიერად აღძრული, ქრებოდა. დეკარტეს განმავითარებელნი ფრანგებს არ მოსწონდათ; ისინი უფრო ხალისით კითხულობდნენ და უკეთ იგებდნენ რაბლესა და მონტენს, ვიდრე მალბრანშს. თვითონ ვოლტერი უსაყვედურებდა ლაიბნიცს, რომ იგი მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ღრმააზროვანიაო. გონების ასეთი წყობისას არაფერი შეიძლებოდა იმაზე უფრო ბუნებრივი და თავისდროული ყოფილიყო, ვიდრე ინგლისური ფილოსოფიის გავრცელება საფრანგეთში XVIII საუკუნის დამდეგს. ბეკონისა და ლოკის განვითარება და გაუბრალოება, ინგლისელთა ყ ვ ე ლ ა ზ ე პოპულარული, ზნეობრივი ფილოსოფიის განვითარება და გაუბრალოება საფრანგეთში ოსტატურად განახორციელეს; საყოველთაო ცნობე-

ბის ასეთი ვეებერთელა გროვა არასოდეს არ ყოფილა უფრო საყოველთაოდ ხელმისაწვდომ ფორმად ჩამოყალიბებული; არავითარ ფილოსოფიურ მოძღვრებას არა ჰქონია გამოყენების ესოდენ ფართო წრე, ესოდენ მძლავრი პრაქტიკული გავლენა; ინგლისელთა ნაშრომები სრულიად დაჩრდილა ფრანგთა გადმოცემამ. საფრანგეთმა ისარგებლა ყოველივე იმით, რაც დათესილი იყო ინგლისში; ინგლისს ჰყავდა ბეკონი, ნიუტონი, – საფრანგეთმა მთელ მსოფლიოს მოუთხრო მათი აზრები; ინგლისმა შემოგვთავაზა ლოკის გაუბედავი მატერიალიზმი,—საფრანგეთში იგი ჰოლბახისა და მისი ამხანაგების კადნიერებად განვითარდა; ინგლისი საუკუნეობით ცხოვრობდა მაღალი იურიდიული ცხოვრებით,—ფრანგმა [160] დაწერა «De l'esprit des lois»; ინგლისი საუკუნეობით ცხოვრობდა იმ ამაყი შეგნებით, რომ არ არსებობს უფრო სრული სახელმწიფოებრივი ფორმა, ვიდრე მისი ფორმაა, ხოლო საფრანგეთისათვის საკმარისი იყო de la Constituante * ორი წელიწადი, რომ ამ ფორმის შეუსაბამობანი ემხილებინა.

როცა ჰელვეციუსმა [161] გამოსცა თავისი ცნობილი წიგნი «De l'esprit», ერთმა მანდილოსანმა შენიშნა: c'est un homme qui a dit le secret de tout le monde**. იქნებ, ქალმა, რომელმაც არაჩვეულებრივი სიმართლით განსაზღვრა არა მარტო ჰელვეციუსი, არამედ XVIII საუკუნის ყველა ფრანგი მოაზროვნეც, როცა ეს თქვა, არასაესებით შეაფასა, რომ იმის თქმა, რაზედაც სხვები სდუმან, შეუდარებლად უფრო ძნელია, ვიდრე იმის თქმა, რაც სხვებს აზრად არ მოსდიოდათ. ენციკლოპედისტებმა, მართლაც, საერთო საიდუმლოება გაახმაურეს, და ამისათვის მათ ბრალად დასდეს უზნეობა, ისინი კი, კაცმა რომ თქვას, მაშინდელი პარიზის საზოგადოებაზე უფრო უზნეონი არ ყოფილან, ისინი მასთან შედარებით მხოლოდ უფრო გაბედულნი იყვნენ. ადამიანებს

---

* დამფუძნებელი კრების. — რ ე დ.

** ეს არის კაცი, რომელმაც ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ც ნ ო ბ ი ლ ი ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა გამოთქვა (ფრანგ.). — რ ე დ.

საიდუმლოებანი მხოლოდ მაშინ უჩნდებათ, როცა მათი ზნეობრივი ყოფა ირღვევა; მათ ეშინიათ ამ რღვევისა და აკანკალებული ხელით ჩასჭიდებიან ფორმას, რაკი არსი დაუკარგავთ; გაცვეთილი ძონძით იფარავენ ისინი ჭრილობებს, თითქოს ჭრილობანი მოშუშდებიან,—თუ მათ ვერ დაინახავენ. ასეთ ეპოქებში ყველაზე გააფთრებით და თავგამოდებით ამხილებენ ზნეობრივი ყოფის საიდუმლოებებს, და საჭიროა დიდი მამაცობა, რომ ხმამაღლა გამოთქვა ისეთი რამეები, რაც ჩუმად ცნობილია ყველასათვის,—ამგვარი კადნიერებისათვის სოკრატე სიკვდილით დასაჯეს. საჯაროობა და განზოგადება უზნეობის უბოროტესი მტრებია; ბიწიერება სიბნელეში იმალება, გარყვნილებას სინათლისა ეშინია: მას სიბნელე სჭირდება არა მარტო მოკრძალებულობისათვის, არამედ აკრძალულ ხილს დახარბებული ბინძური დატკბობის გასაძლიერებლადაც. სინათლეზე გამოტანილი ბიწიერება იკარგება; იგი უხერხულობას გრძნობს ღია კარების წინ; და ის ან ქრება ან გაიწმინდება; იგივე საჯაროობა ამართლებს ბევრ რამეს, რაც ბიწიერად ითვლება დაბნეული წარმოდგენებით, დამახინჯებული გარდმოცემით და სიხარულით აფართოებს წრეს,—ვთქვათ თამამად,—თვით ენებებისას, როცა ისინი არ ეწინააღმდეგებიან ზნეობრივი არსების მოწოდებას. XVIII საუკუნის ფილოსოფოსებმა გადაგვიშალეს იმდროინდელი მსოფლიოს ფლიდობა, ორპირობა და თვალთმაქცობა, მათ აღნიშნეს სიყალბე ცხოვრებაში, ოფიციალური მორალის წინააღმდეგობა კერძო ყოფაქცევასთან. საზოგადოება მსჯელობდა სასტიკ ზნე-ჩვეულებებზე, თაკილობდა ყოველივე ხორციელს—და უაღრესად ბინძურ გარყვნილებას ეძლეოდა. ფილოსოფოსებმა საქვეყნოდ თქვეს, რომ გრძნობებს თავისი უფლებები აქვთ, მაგრამ მარტო ხორციელს არ შეუძლია დააკმაყოფილოს განვითარებული ადამიანი, რომ სიცოცხლის უმაღლეს ინტერესებსაც თავისი უფლებები აქვთ. ეგოიზმი უმსგავსოებამდე მიდიოდა საზოგადოებაში და თავდადების, სიმდიდრისადმი ზიზღის ნიღაბით იმალებოდა: ფილოსოფოსებმა დაამტკიცეს, რომ ეგოიზმი

ყოველივე ცოცხალის, ცნობიერის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია და, რათა გაემართლებინათ იგი, ცხადყვეს, რომ ადამიანური ეგოიზმი არა მარტო საკუთარი თავისადმი პირადი სიყვარულის გრძნობაა, არამედ, გარდა ამისა, გვარისადმი, კაცობრიობისადმი, მახლობელისადმი სიყვარულის გრძნობაცაა *.

უწინდელი მორალის საყოველთაო საიდუმლოების მხილება და უარყოფა სწრაფად მიდიოდა წინ. ლუდოვიკო XIV-ის დროს ფენელონის «ტელემაქე» საშინელ წიგნად ითვლებოდა. რეგენტმა იგი თავის ხარჯზე გამოსცა; თავისი მოღვაწეობის დასაწყისს ვოლტერი თავხედობით გვაოცებს; ოცი წლის შემდეგ გრიმი წეოს: «პატრიარქი ჩვენი ჩამორჩა და ჯიუტურად ებღაუჭება თავის ბავშვურ რწმენას». ვოლტერი და რუსო თითქმის თანამედროვენი არიან, მაგრამ რა მანძილი ჰყოფს მათ? ვოლტერი ჯერ კიდევ იბრძვის ცივილიზაციისათვის, — რუსო უკვე სამარცხვინო ბოძზე აკრავს სწორედ ამ ხელოვნურ ცივილიზაციას. ვოლტერი ძველი საუკუნის აზნაურია, რომელიც როკოკოს გასურნელეაული დარბაზიდან ახალი საუკუნის კარს აღებს; იგი მოსირმულია, კარისკაცია; იგი ერთხელ დიდ გამოსვლაზე იყო, და, როცა ლუდოვიკო XV ჩაიარა, ცერემონმასტერმა დაასახელა ფრანსუა-მარი-არუეტი [163]. კარის მეორე მხარეს დგას პლებეი რუსო, და მასში უკვე აღარაფერია du bon vieux temps **. ვოლტერის გესლიანი ხუმრობა ჰერცოგ სენ-სიმონს და ჰერცოგ რიშელიეს გვაგონებს; რუსოს გონებამახვილობა არაფერს არ გვაგონებს, მაგრამ წინასწარმეტყველებს საზოგადოებრივი კეთილდღეობის კომიტეტის სიმკვეთრეს 1720 წელს გამოვიდა მონტესკიეს «Lettres Persanes» ***,

---

* უნდა ნახოთ, თუ როგორ ცოცხლად ან წარმტაცად ახდენს სწორედ ამ გადასვლას ეგოიზმიდან სიყვარულისაკენ ყველა ენციკლოპედისტთა შორის ყველაზე ღრმააზროვანი დიდრო, თუ არ ვცდები თავის «Essai sur le mérite et la vertu»-ში. — ა. გ. [162].

** ნეტარხსენებული ძველი დროიდან (ფრანგ.). — რ ე დ.

*** «სპარსული წერილები» [164]. — რ ე დ.

და პარიზი იმდენად სკანდალიზებული იყო ამ წიგნით, რომ რეგენტი, რომელიც გულიანად იცინოდა რიკის, უზბეკის წერილების გამო, იძულებული იყო საზოგადოებრივი აზრისათვის დაეთმო და, ზრდილობის გულისათვის, ცოტათი შეევიწროებინა ავტორი; ორმოცდაათი წლის შემდეგ ლონდონში დაიბეჭდა «Système de la nature»* ჰოლბახისა et C-ie და ეს არათუ არავის არ გაკვირვებია, არამედ საზოგადოებრივი აზრი დასცინოდა ამგვარი წიგნების დევნას. თუმცაღა, უფრო შორს წასვლა არ შეიძლებოდა. ეს წიგნი ფრანგული მატერიალიზმის დანასკვია, ეს არის ლაპლასისეული «j'ai dit tout»!** ამ წიგნის შემდეგ შეიძლებოდა კერძო დამატებანი, შეიძლებოდა Système de la nature-ს კომენტირება par le Culte de la Raison***, მაგრამ უარყოფის კადნიერებაში უფრო შორს წასვლა შეუძლებელია. განსჯით მუშაობის შეზღუდული თვალსაზრისით, უშიშარი და თანმიმდევრული გონების დროს, საჭირო იყო მისვლა იუმამდე ან ჰოლბახამდე, გრიმამდე, დიდრომდე, ე. ი. სკეპტიციზმამდე, რომელიც ბნელ ღამეში უფსკრულის პირას გტოვებთ, ან მატერიალიზმამდე, რომელსაც არაფერი არ გაეგება, გარდა ნივთიერებისა და სხეულისა, და სწორედ ამიტომ არ გაეგება არც ნივთიერება და არც სხეული მათი ნამდვილი მნიშვნელობით[166]. ამ საზღვრებს რომ მიაღწია, ადამიანის აზროვნებამ სხვა გზების ძებნა იწყო, მაგრამ უკვე არა ინგლისელებმა, არა ფრანგებმა აღმოაჩინეს და გაკაფეს იგი, არამედ გერმანელებმა, რომლებიც მეცნიერების საგმირო საქმისათვის ორსაუკუნოვანი უმოქმედობის მარხვით მოემზადნენ, გერმანელებმა, რომლებიც ფიქრად იქცნენ, რომლებმაც ცხოვრება დატოვეს, იმიტომ რომ ცხოვრება მათთვის XVII და XVIII საუკუნეში აუტანელი იყო****, გერმანე-

---

* «ბუნების სისტემა» (ფრანგ.). — რ ე დ.

** მე ყველაფერი ვთქვი (ფრანგ.). — რ ე დ.

*** «ბუნების სისტემა» — გონების კულტით[165] (ფრანგ.). — რ ე დ.

**** გ ი რ ჩ ე ვ თ წაიკითხოთ, მაგალითად, შლოსერი — «XVIII საუკუნის ისტორია». — ა. გ.

ლებმა, რომლებმაც წმიდად შეინახეს სპინოზას წიგნები და ლაიბნიცის წიგნები და რომლებიც ვოლფიანიზმმა [167] საშინელ გონებრივ დაძაბვას შეაჩვია.

ენციკლოპედისტები უაზრობამდე ცალმხრივნი იყვენ, მაგრამ ისინი ისე უგვანოდ ზერელენი არ ყოფილან, როგორც მათზე გერმანელები ფიქრობდნენ, მათი საყოველთაოდ მისაწვდომი ენის მიხედვით. ზლაპრებში მოგვითხრობენ ვილაც შათირზე, რომელმაც, რათა ძალიან სწრაფად არ ერბინა, ფეხებზე ბირთვები მიიბა; ბირთვებით სიარულს რომ შეეჩვია, ვფიქრობ, იგი უიმათოდ ძალიან უხერხულად დადიოდა. გერმანელები შეეჩვივნენ ოფლში გაღვარულებმა იკითხონ მძიმე ფილოსოფიური ტრაქტატები. როცა მათ ხელში ჩაუვარდებათ წიგნი, რომლისაგანაც თავი არ უსკდებათ, ისინი ფიქრობენ (ან, უფრო სწორად, ფიქრობდნენ ოცი წლის წინათ), რომ ეს უხამსობაა.

თუ თქვენ რამდენადმე გაგონდებათ მეცნიერების განვითარება, ჩვენ მიერ წერილებში გადმოცემული, მაშინ თქვენთვის ცხადია დეკარტესი და ბეკონის ისტორიული აუცილებლობა; თქვენ ნახეთ, რომ შუა საუკუნეთა დუალიზმი, რომელიც ყოფაცხოვრებითი მოწყობილობიდან თეორიულ სფეროში გადადიოდა და რომელსაც იქ თავისი ორსაწყისიანობა გადაჰქონდა, ორი გზით წავიდა: იდეალიზმის გზით და რეალიზმის გზით. როგორც კი დეკარტეს და ბეკონის ან, უკეთ რომ ითქვას, მათ მოძღვრებათა აუცილებლობას დაუშვებთ, თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულება განვითარდება უკანასკნელ უკიდურესობამდე — უაზრობამდე, თუ გნებავთ. რეალიზმის უკიდურესობა ენციკლოპედისტებმა გამოხატეს; ისინი ისევე ნამდვილად, ისევე უტყუარად, ისევე სრულად წარმოადგენენ საკუთარ მხარეს ადამიანის სულისას, როგორც იდეალისტები — თავისას; და ისევე, როგორც ისინი, განპირობებულნი არიან დროით, რომლის შემდეგ ერთმაც და მეორემაც უნდა დაკარგოს თავისი განსაკუთრებული პრეტენზიები და ორივე ჟეშმარიტების ერთ მწყობრ გაგე-

ბად უნდა შეერთდეს. ამ შერიგებას, ვიმეორებთ, ესწრაფ-ვოდა შელინგი და ყველა მისი მიმდევარი; სწორედ მას შეუქმნა ფართო საძირკველი ჰეგელმა, დანარჩენს დრო მოა-თავებს. ორი მოპირდაპირე მოძღვრების ენა ჯერ კიდევ მე-ტად სხვადასხვანაირია: აკლიათ ურთიერთი პატივისცემა, აკლიათ მიუდგომლობა. რა თქმა უნდა, ძლიერი ადამიანები პირად შეხედულებაზე ან თავისი პარტიის შეხედულებაზე უფ-რო მაღლა დგებიან. ჰეგელმა, მაგალითად, თავის ისტორიაში ქედმაღლურად იწყო ლაპარაკი ბეკონის მოძღვრებაზე და მის სკოლაზე; მაგრამ, თანდათან, იმ დროის გამოჩენილ მოღვა-წეთა თხზულებებს რომ გადაფურცლავს, მათ რომ შეეგუება, იგი აღიგზნება, იმდენად გაიტაცებენ მას პრაქტიკული მო-აზროვნენი, რომ ხმა უკანკალებს მღელვარებისაგან, მეტ-ყველება აღტყინებული ხდება, თრთოლვა დაუვლის მის გულ-მკერდს, და შეზღუდული აზრის ეს ადამიანები მას კი-ნაღამ ჯვაროსან ადამიანებად მოეჩვენა, შთაგონებით რომ მიჰყვებიან გონების გაშლილ დროშას!.. და ჰეგელი შემდეგ მწარე ღიმილით მიმართავს მშობლიურ იდეალიზმს და ამბობს: «გერმანიაში კი ამ დროს ლაიბნიც-ვოლფის ფილოსოფიის, მის განსაზღვრათა, აქსიომათა და მტკიცებათა ირგვლივ ცოდვილობდნენ» *168.

ა. სოკოლოვი.
1845 წ. სექტემბერი.

* «Geschichte der Philosophie», T. III. P. 529. — ა. ს.

«დღიურიდან» [169]

1842 წ.

აპრილის თვე

12. — აი რას ნიშნავს სამსახურიდან გადადგომა; როგორ-ღაც თავისუფლად ამოვისუნთქე; მომეკლინენ ახალი ძალე-ბი და რამდენიმედ გაჯანტეს წყვდიადი [170]. ორ საშინელე-ბათგან, რომლებიც მუდამ კეტმოღერებული იდგნენ ჩემს ახლოს, ერთი გაქრა. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ თითქოს მოვალე ვარ ვიმუშაო, რადგან ჩემი თავისუფა-ლი დრო — ჩემი დროა. და კიდევაც ვიმუშავებ. ამავე დროს, ჯერ კიდევ არ ვიცი, რით დასრულდება, რა შედეგე-ბი მოჰყვება ამ ნაბიჯს.

მინდა დავწერო პროპედევტიკული [171] სიტყვა იმათთვის, რომელთაც სურთ ხელი მოჰკიდონ ფილოსოფიას, მაგრამ ვერ ერკვევიან მეცნიერების მიზანსა, უფლებასა და საშუალებებში. გზად აქ საჭიროა აღინიშნოს იმ კეთილ ადამიანთა მთელი მავნებლობა, რომელთაც უ ყ ვ ა რ თ წაფილოსოფოსება. მეც-ნიერების მტრები ისე საშიშნი არ არიან, როგორც ყველა ნახევარ-პიეტისტი, ნახევარ-რაციონალისტი. დავიწყე; რა იქნება, არ ვიცი [172].

13. — თავისუფალ დროს განვაგრძობ ვილმენის[173] ლექციების კითხვას. და ეს ჩემთვის ძლიერ სასარგებლოა: ჩვენ დავიწყეთ XVIII საუკუნე; აქ ეს საუკუნე ცოცხლდება, კვლავ გადავდივართ ვოლტერის, ბიუფონის ხანაში, — რაც არ უნდა თქვათ, დიდი სახელებია. შესანიშნავია თვალი ადევნოთ იმას, თუ როგორ აოცებს და ანცვიფრებს ადამიანს ვოლტერი თავისი კარიერის დასაწყისში თავისი რელიგიური შეხედულებების სითამამით, — და ორი ათეული წლის შემდეგ ჰოლბახი, დიდრო; იგი ჩამორჩა, მთელი ძალით გაიღო მატერიალიზმის კარები. «Le patriarche ne veut pas se dèpartir de son rémunérateur vengeur; il raisonne là dessus comme un enfant»*, — წერს გრიმი, — აგრეთვე გაბედულად და კადნიერად აჩენს თავის თავს და ფეხებით ქელავს ზნეობრიობას. აქ ხედავ 93 წლის das Werden **. დიდრო მიმართავს იმპროვიზაციას.

Et mes mains ourdiraient les entrailles du prêtre
A défaut d'un cordon pour étrangler les rois ***.

ყოველივე ამასთან ერთად, განვითარების ეს საფეხური ფრიად მნიშვნელოვანია და ამ საფეხურმა არსებითი სარგებლობა მოიტანა. მათი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ გაიგეს სულის გენეზისი დროებითში, ზღვრულში, მიიჩნიეს იგი მატერიის ნაწარმოებად, მატერიად. მათ გენეზისი ნაწილობრივ სწორი აქვთ; მათ რამდენიმე ნაბიჯიც რომ წაედგათ წინ, თვითონვე მიხვდებოდნენ, რომ სიტყვა «მატერიას» ისინი უკავშირებდნენ კიდევ რაღაც მფლობელს მატერიისას, მატერიის მომწოდებელს სიცოცხლისაკენ, რაღაც მარადიულს, უსასრულოს, რასაც მიზნად აქვს გამოვლენა და სხვა ისეთი ატრიბუტები, რომლებიც არ შეეფერებიან ენე-

* «პატრიარქს არ სურს უარი თქვას თავის შურისმაძიებელზე; იგი ამის შესახებ მსჯელობს ისე, როგორც ბავშვი» (ფრანგ.). — რ ე დ.

** მომავალი, «ქმნადობა» (გერმან.). რ ე დ.

*** თუ ზონარი არ მექნებოდა, ჩემი ხელები თოკს დაგრეხდნენ მღვდლის ნაწლავებისაგან, რათა მეფეები დამეხრჩო (ფრანგ.). — რ ე დ.



სახლი პოკროვსკოეში, რომელშიც ცხოვრობდა
ა. ი. გერცენი

ბითს მატერიას. ისე, როგორც სპინოზა იყო ჭეშმარიტი იმ წერტილზე, რომელზედაც იდგა, და ეს წერტილი აუცილებელი საფეხური იყო, ასევეა მათი წერტილიც. რაც შეეხება ათეიზმს, ის უფრო თანამიმდევარია, ვიდრე ვოლტერისა და რუსოს გაუბედავი დეიზმი. სხვათა შორის, რუსო შემთხვევით წააწყდა ღვთისშემეცნების ჭეშმარიტ გზას, ე. ი. თავისი სულის განვითარებას ღმერთის ჭვრეტამდე. ეს მათი შემოქმედი, des Jenseits * გეომეტრი, უმონაწილეო, უმოქმედო, რომელიც არ შეგვიძლია ვიცოდეთ და რომლის მიმართ მოკრძალებას განვიცდით, არ აკმაყოფილებს არც რელიგიურად განწყობილი გონების წუხილს, არც ლოგიკურ სიმკაცრეს. ღმერთის უარყოფა მისი ჭეშმარიტი გაგებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო; მისი უარყოფა, როგორც იეღოვასი, როგორც იუპიტერისა, როგორც მიწისათვის უცხოსი, როგორც სადღაც არსებული მსაჯულისა, — მას აცილებდა უკანასკნელ ზღვრულობას, რაც რელიგიურმა წარმოდგენებმა მიაკუთვნეს, და ფილოსოფიის უკანასკნელ აბსტრაქციას. მათთვის, ანალიზისა და raison naturelle ** თვალსაზრისით, ღმერთი მხოლოდ არსებობდა, როგორც ბუნება, როგორც მსოფლიო, როგორც მარადიული სამყარო, რომლის შესახებაც პლინიუსი ამბობს: Aeternus, immensus, totus in toto, immo vero ipse totum, შემოზღუდული idemque rerum naturae o p u s, et rerum ipsa n a t u r a*** ქმედითობის ტოტალობა. საჭიროა თავისთავად დადუღდეს შემოქმედისა და ქმნილების ეს მატერია ერთად, და იგი თვითვე გადამუშავდება ლუკრეციუსის ტენდენციიდან თანამედროვე სულიერი ფილოსოფიის მიმართულებად. ეს მოძრაობა გონებაზე უფრო ძლიერია, ეს მისი ფენომოლოგიაა. მაგრამ უკვე ჰოლბახების, დიდროსა et C-nie-ს შემდეგ შეუძლებელია

* იმქვეყნიური სამყარო (გერმ.). — რ ე დ.

** ბუნებრივი გონების (ფრანგ.).— რ ე დ.

*** მარადიული, უკვდავი, ყოველივე ყოველივეში არსებული და თვითაც ყოველივე..... და ნივთთა ბუნების ნაწარმოები, და თვით ნივთთა ბუნება (ლათინ.). — რ ე დ.

გრძნობად-კათოლიკური წარმოდგენა, რაც მაღალგონიერ ადამიანებს მატერიალიზმზე უფრო მეტად იტაცებდა, იმიტომ რომ მათ შეეძლოთ განშორებოდნენ (შეუგნებლად) ანაბანას და გადასულიყვნენ აბსოლუტური სპეკულაციის სფეროში, — მაგრამ ეს წარმოდგენა მასების კერპთაყვანისმცემლობას წარმოადგენდა. რა ვეებერთელა შენობა ააგო XVIII საუკუნის ფილოსოფიამ; ამ შენობის ერთ კარებთან დგას ბრწყინვალე, გესლიანი ვოლტერი, როგორც ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარიდან გონების სამეფოში გადასვლა, ხოლო მეორე კარებთან — პირქუში რუსო, ნახევრად შეშლილი, მაგრამ მუდამ აღსავსე სიყვარულით, რუსო, რომლის ნაკვესები არ გამოხატავდნენ არც მკვეთრ გონებამახვილობას, არც grand siècle*-თან ნათესაობას, არამედ წინასწარმეტყველებდნენ de la Montagne**, ს. ჟიუსტისა და რობესპიერის ნაკვესებს. ვოლტერმა ზიზღით წაიკითხა ემილში [176]: «და თუ მეფისწული ჰეშმარიტად შეიყვარებს ჯალათის ქალიშვილს, მამამ ხელი არ უნდა შეუშალოს მას». აი, წმინდა დემოკრატიული réhabilitation de l'homme***. მასა კითხულობდა არა ისე, როგორც ვოლტერი. ხუმრობანი, გადაკრული სიტყვები მოქმედებენ, მაგრამ ხელისუფლების პირისპირ ამეტყველებულ რუსოს ამაყ ენას უნდა განეგმირა იგი. ჩვენ შევეჩვიენით.

და იმ საუკუნის ყველა მოღვაწე ცხოვრების ადამიანები იყვნენ ინგლისსა და საფრანგეთში: მონტესკიე, ბიუფონი და სხვები. გერმანიამ შემდეგ წამოაყენა თავისი აზრი, თავისი ხელოვნება — ერცელი და დიადი, მაგრამ კაბინეტში აღზრდილი. გერმანელთა ბიოგრაფიების კითხვა არ შეიძლება. მათი პირველი კაცია შილერი, შესაძლოა, კიდევ ლესინგი. რაა გასაკვირი, რომ ფრიდრიხ II, პრაქტიკული კაცი, ვერ შეეგუა თავის მშობლიურ მიმართულებას. იმისათვის, რომ მისი სიმპათია ჰქონოდა, საჭირო იყო მისთვის მას ეჩვენებინა მთელი თავისი ძლიერება (გოეთე, ჰეგელი).

---

* დიად საუკუნესთან [174] (ფრანგ.). — რ ე დ.

** «მთა» [175] (ფრანგ.). — რ ე დ.

*** გამართლება, რეაბილიტაცია ადამიანისა (ფრანგ.). რ ე დ.

22. — . . . კონსეკვენტურობის [177] გმირობა, შედეგთა მიღების თავგანწირულება იმდენად ძნელია, რომ უდიდესი ადამიანები უკან იხევდნენ თავიანთი პრინციპების აშკარა შედეგებისაგან. ასეთია ჰეგელი, ნორჩი ჰეგელიანიზმის განვითარება, მისი საწყისების განვითარება; მაგრამ ჰეგელი ხელს აიღებდა მათზე, მას უყვარდა, იგი პატივს სცემდა das Bestehende*-ს, იგი ხედავდა, რომ ის ვერ გაუძლებდა დარტყმას, და არ სურდა დაერტყა; მას ეგონა, რომ იგი მივიდა თავის საწყისებამდე და პირველ ჯერზე ესეც საკმარისია. ნორჩმა თაობამ იმათგან დაიწყო. წინგადადგმული ნაბიჯი სწორედ ის დარტყმა იყო, რომელსაც ღრმად უნდა შეერყია das Bestehende. ჰეგელი ხელს აიღებდა მათზე, მაგრამ აი რაშია საქმე: ისინი უფრო ერთგული იქნებოდნენ მისი, ვიდრე თვითონ იყო, ე. ი. მისთვის, მოაზროვნისათვის, რომელიც განდგომილი იყო თავისი შემთხვევითი პიროვნებისაგან, ეპოქისაგან და სხვ. შელინგი იმის ცოცხალი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ჩამორჩეს თავის საკუთარ აზრს, როდესაც მოაზროვნე შეჩერდება ამ აზრის განვითარების შუა გზაზე, არ აქვს რა, სხვათა შორის, იმის ძალა, რომ შეაჩეროს მის მიერვე აღძრული მოძრაობა. შელინგის მდგომარეობა ჭეშმარიტად ტრაგიკულია, როგორც თქვა რუგემ [178]. ყოველგვარი შეჩერება, ნახევრულობა არ ვარგა, როდესაც განვითარება წინ მიდის. ჟირონდამ აშკარად დასდო თავი მოსაკვეთად, როდესაც იაკობინელთა და მონარქისტთა შუაში ჩადგა. რადგან მეფის პარტიას რომ გაემარჯვნა, მათ ყველას სიკვდილით დასჯიდნენ. ასეთია ახლა ჰეგელიანიზმის მემარჯვენე ფრთის მდგომარეობა. მარგეინეკე [179] ბრუნო ბაუერისათვის [180] კეთილი განზრახვით მეტად უცნაურად მოიქცა: მას სურდა მოხვედრილიყო juste milieu-ში* და.

---

* დადგენილი, არსებული (გერმ.). — რ ე დ.

** ოქროს შუაგული (ფრანგ.). — რ ე დ.

მოხვდა ორ სკამს შორის იატაკზე. მას პრუსიის მთავრობამაც და ახალგაზრდა ჰეგელიანთა სკოლამაც აგინა.

იყავ მგზნებარე ან ცივი! რაც მთავარია — იყავ თანამიმდევრული, შეგეძლოს subir* ჭეშმარიტებისა მთელი მოცულობით.

1843 წ.

ივლისის თვე

27. — გერმანიის ბედი უბადრუკი და უხამსია XVIII საუკუნეში. მისი არისტოკრატები მაინც მეშჩანები არიან, cela n'est pas du comme il faut **, არ არის სინატიფე, არ არის კეთილშობილება. და საზიზღარი კრეტინები, რომლებიც მეფობენ, არაფერს აკეთებენ, სულელურ ფუფუნებაში მყოფნი აწიოკებენ და სპობენ თავიანთ ხალხებს, — ჩვენ გვაკვირვებენ იმით, თუ საიდან მოვიდნენ ტახტზე და ტახტის ირგვლივ ამ სულელებისა და არამზადების მთელი თაობები, და კიდევ უფრო გვაკვირვებს გერმანელების ეს კატისებური გამძლეობა, გერმანელებისა, რომლებსაც აპარტახებენ, აპარტახებენ ომითაც, ჯარებითაც, ჯალათებითაც, ყალბი ფულებითაც, ნიხრითაც და ყველაფრით, რითაც კი შეიძლება, — და ისინი შიმშილით მაინც არ იხოცებიან. აი უდიდესი შედეგები კარტოფილის ეკონომიისა. უზნეობა გერმანიაში უკიდურეს საზღვრამდე აღწევდა, — ადამიანური ღირსების ნატამალიც კი არ ჩანდა. ციხეები სავსეა პატიმრებით, დევნა რელიგიისათვის, დევნა ლექსებისათვის, დევნა გაბედული სიტყვის თქმისათვის მინისტრზე, — ყოველივე ეს ხდება ჩუმად, უხმაუროდ, და ხალხი არაფერია, კრინტსაც არ იღებს. XVIII საუკუნის ნახევარში იყო საშინელებანი

---

* ატანა (ფრანგ.). — რ ე დ.

** ეს არ შეესაბამება ზრდილობიანობის მოთხოვნებს (ფრანგ.). — რ ე დ

სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ინგლისის პარლამენტმა სასტიკად დასაჯა შოტლანდიის აჯანყება, მაგრამ იქ ეს იყო არანორმალურობა, აქ კი ყოველივე ეს წესიერებად ითვლება. სწავლულები და სასულიერო პირები — ხელისუფლების პირველი დამქაშებია. ლუდოვიკო XV-ის დესპოტიზმით გაწამებული ფრანგები ზიზღით ეპყრობოდნენ გერმანულ სიბილწეს. საფრანგეთში ახალი სულისკვეთების გავლენა იგრძნობა ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში; იქ კი კითხულობ და გეღიმება, როდესაც ხედავ, თუ როგორ ცეკვავენ ეს ადამიანები უფსკრულის პირას, რომლის მეორე მხარეზე ხდება საფრანგეთის განახლება. გერმანიაში არ არის არცერთი სხივი სინათლისა, იქ ერთი ლიბერალია — ფრიდრიჰ II, პრუსიის თვითმპყრობელი.

აგვისტოს თვე

17. — ფრაუენშტედტის [181] ბროშურა შელინგზე. არ არის იმაზე უფრო უმადური საქმე, ვიდრე ის, რასაც აკეთებს შელინგი: ფილოსოფიური აზროვნების დამახინჯება, გადასხვაფერება და შეგუება მოცემულ უძრავ, განვლილ თვალსაზრისთან. ეს არის სქოლასტიკა და ამასთანავე სიცრუე. რამდენი პოეტური ნიჭი და გონებამახვილობაა დახარჯული მითების ახსნაზე, და ამავე დროს ეს ახსნა ტოვებს რაღაც უსიამოვნო გრძნობას; იგრძნობა, რომ ყველაფერი მოგონილია შემდეგ. შელინგის მდგომარეობა გასაგებია; გასაგებია, თუ როგორ მტკივნეულია მისი პლატონური სულისათვის, როცა ხედავს ნეგაციას და მხოლოდ ნეგაციას; მაგრამ როგორ გავიგოთ ის, რომ იგი დაკმაყოფილდა უბადრუკი მისტიკურ-ფილოსოფიური, ნაძალადევი და ცუდად შეკოწიწებული შეხედულებებით? იგი იწყებს პანთეიზმით და მიდის იუდაიზმამდე, და ამ იუდაიზმს უწოდებს დადებით ფილოსოფიას. რაც უფრო ანვითარებს თავის დადებით მეცნიერებას, იმდენად მძიმე და უხერხული ხდება; გრძნობ, რომ მისი გადაწყვეტილებანი არ არის საკითხთა გადაწყვეტა, ყველაფერი ბურუსით არის მოცული, არ არის თავი-

სუფალი. ნელ-ნელა იგი სრულიად ტოვებს მეცნიერების გზას და იკარგება მეტად ექსცენტრულ მისტიციზმში, განმარტავს სატანას, სასწაულებს, აღდგომას, სულის გადმოვლენას au pied de la lettre *. არ გჯერათ, რომ ეს დაწერილია XIX საუკუნეში; გგონიათ, რომ ეს XIV საუკუნის სქოლასტიკოსის ან რეფორმაციის პირველი წლების თეოლოგის სიტყვებია. ბეკონის ენა და შეხედულებები ჩვენთვის უფრო გასაგები და თანამედროვეა. ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ გერმანული გონება ყოველთვის მზად არის გადავარდეს ბუნდოვანი ფანტაზიების სფეროში და ხარჯოს ტალანტი და გენია უნაყოფო მუშაობაზე, ოღონდ ეს მუშაობა იყოს პრაქტიკულ სფეროებს გარეშე, იმ სფეროებს გარეშე, რომლებისთვისაც მოწოდებულია ადამიანი. ისე კი, კანტის შემდეგ შეეძლოთ ეკლოთ ფხიზელი გზით. თუმცა, შელინგმა საშინელი ლახვარი ჩასცა ქრისტიანობას: მისმა ფილოსოფიამ, ბოლოს და ბოლოს, გაამჟღავნა ქრისტიანული ფილოსოფიის მთელი სისულელე, — მან თავისი სახელით, თავისი წაჩხუბებით ჰეგელთან მთელი სწავლული გერმანია აიძულა მისკენ მოეხედნა და დაფიქრებულიყო თავის ბოდვაზე. არსებობს ისეთი რამეებიც, რომელთათვისაც გახმაურება, გამჟღავნება, გამოკვლევა — სიკვდილია.

შელინგი იქცა თავდაყირა დაყენებულ იაკობ ბიომედ. ბიომე ყოველი მიმართულებით სავსე მისტიკური ჭვრეტით, ადიოდა ღრმა ფილოსოფიურ თვალსაზრისამდე, ხოლო შელინგი ღრმა ფილოსოფიური თვალსაზრისიდან დაეშვა ბავშვურ მისტიციზმამდე. მისტიკურ ტერმინოლოგიაში მომწყვდეულმა ბიომემ, მცხოვრებმა XVII საუკუნის დამდეგს, იმდენი სიმტკიცე გამოიჩინა, რომ არ შეჩერებულა ანაბანაზე, მას იმდენი მამაცობა შესწევდა, რომ მიიღო იმ საუკუნის მშიშარა სინდისისათვის საშინელი კონსეკვენციები; ის მოქმედებდა გონებით, და მისტიციზმი ფრთებს ასხამდა მის გონებას. შელინგის ნააზრევში ყველგან გამოსჭვივის გონების მორჩილება და ყველა ძალის მისწრაფება

* სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ფრანგ.). — რ ე დ.

იქითკენ, რომ ჭეშმარიტი გულუბრყვილო რწმენის გარეშე დაემორჩილოს თეიზმსა და გადმოცემას. უბრალო რწმენა არ შეუდგება მისი Spitzfindigkeiten* -ის გამოყენებას.

სექტემბერი

18. — ბეკონსა და დეკარტეს ფილოსოფიის გენეზისი წარმოდგენილი აქვთ როგორც გენეზისი მეცნიერებისა: როგორც ერთის, ისე მეორის მეთოდის გარეშე ფილოსოფია არასოდეს არ განვითარდებოდა მეცნიერული ფორმით. იაკობ ბიომე, უფრო ღრმა და ძლიერი ძალით, გენიალური ინტუიციით, ამაღლდა დიად ჭეშმარიტებებამდე, მაგრამ ეს არის გენიის გზა, ინდივიდუალური ძლიერების გზა. მაგრამ გენეზისი ჯერ კიდევ არ არის თვით ფილოსოფია. ვერც ბეკონის ფაქტის აღიარებამ ვერ დაუპყრო მას სავსებით ბუნება, ვერც დეკარტეს იდეალიზმმა ვერ დაუპყრო მას სული. დეკარტეს მიერ ჩაგდებული თესლი აღმოცენდა სპინოზაში. სპინოზა — ჭეშმარიტი და ყოველმხრივი მამაა ახალი ფილოსოფიისა. «Ego,—ამბობს იგი, — non praesumo, me optimam invenisse Philos., sed verum me intelligere scio»**. ეს შეგნება მომდინარეობს ღრმა ჭვრეტისაგან, და იგი ჭეშმარიტია. სპინოზას სიდიადე განსაცვიფრებელია. და რა სიცოცხლით სავსე აზროვნებაა. მან მოგვცა საფუძველი რომლისაგანაც შეძლო განვითარება გერმანულმა ფილოსოფიამ; ერთი მხარე მან ამოწურა (სული, როგორც სუბსტანცია), და მან პირველმა არ მიიღო არაფერი გარეგნული, არ მიმართა რელიგიურ ან ტრადიციულ საშუალებებს. სპინოზა იყო ფორმალიზმის მტერი, მიუხედავად სქოლასტიკური ფორმებისა, რომელთა საშუალებით გადმოგვცემს თავის მოძღვრებას, — ეს არის საუკუნის ნაკლოვანება; მაგალითად, მას ეზიზღება მოთხოვნა ხელოვნურ დასაბუთებათა, რაც თავისთავად ნათელი არ არის. და გასაკვირიც არ არის:

* მზაკვრული მოხერხებულობა (გერმან.). — რ ე დ.

** «მე არ ვამბობ, რომ შევქმენი უკეთესი ფილოსოფია, მაგრამ ვიცი, რომ გამეგება ჭეშმარიტად (ლათინ.). — რ ე დ.

მას აზროვნება მიაჩნდა სიყვარულის უმაღლეს აქტად, სულის მიზნად, მის სიცოცხლედ. არას ვიტყვით მის მთელ მოძღვრებაზე, მხოლოდ შევნიშნავთ, თუ რა გენიის ელვა გამოკრთის მისგან განუწყვეტლივ, მაგალითად: «Homo, liber de nulla re minus quam de morte cogitat et ejus sapientia non mortis sed vitae meditatio est... Beatitudo non est virtutis praemium, sed ipsa virtus» *

მისი შეხედულება დროებით sub specie eternitatis **, მრავალფეროვნების სრული მთლიანობა მარად ცოცხლობს მის გონებაში, და შორს ჩამოიტოვებს მის წინამორბედებს. მისთვის აზროვნება იყო მაღალრელიგიური და წმინდა ზნეობრივი საქმე. და როგორ მიიღო იგი საუკუნემ? და განა უნდა გაგვიკვირდეს ეს ჩვენ, — იგი გარდაიცვალა 1677 წელს.

1844 წ.

ივნისის თვე

29. — ვიგანდის ჟურნალში [182] მოთავსებული სტატია იორდანისა [183] საყოველთაო მეცნიერებისა და ფილოსოფიის დამოკიდებულების შესახებ ფრიად მნიშვნელოვანია. კრიტიკა, რომელმაც, იდგა რა ფილოსოფიის ნიადაგზე, მოხსნა რელიგია, — უნდა წავიდეს უფრო შორს და შებრუნდეს თვით ფილოსოფიის წინააღმდეგ. ფილოსოფიური თვალსაზრისი არის უკანასკნელი თეოლოგიური თვალსაზრისი, რომელიც ყველაფერში ბუნებას ხდის სულის მორჩილად და აზროვნებას თვლის prius-ად ***, რაც არსებითად თავისი იგივეობით არ სპობს აზროვნებისა და ყოფიერების წინააღმდე-

---

* თავისუფალი ადამიანი ყველაზე ნაკლებ ფიქრობს სიკვდილზე, ხოლო მისი სიბრძნე დაფუძნებულია ფიქრებზე სიცოცხლის შესახებ და არა სიკვდილის შესახებ... «ბედნიერება მამაცობისათვის მიღებულ ჯილდოში კი არ არის, არამედ თვით მამაცობაში» (ლათინ.). რ ე დ.

** მარადიულობის თვალსაზრისით (ლათინ.). — რ ე დ.

*** პირველდაწყებითი (ლათინ.). — რ ე დ.

გობას. სული, აზრი — მატერიისა და ისტორიის შეერეგებია თვლის რა საწყისად წმინდა აზროვნებას, ფილოსოფია ვარდება აბსტრაქციებში, რომლებიც სავსეა მათში გაჩერების შეუძლებლობით; კონკრეტული წარმოდგენა განუწყვეტლივ თან გვდევს; აბსტრაქციების სფეროში ჩვენ ვიტანჯებით და მოწყენილი ვართ, — და განუწყვეტლივ ვვარდებით სხვა სფეროში. ფილოსოფიას სურს იყოს ცალკე მეცნიერება აზროვნებისა und darum zugleich Wissenschaft der Welt, weil die Gesetze des Denkens dieselben seien mit den Weltgesetzen; dies muss zunächst umgekehrt werden: das Denken ist nicht Anderes als die Welt selbst, wie sie von sich weiss, das Denken ist die Welt, die als Mensch sich selbst klar wird *. ამიტომ არ შეიძლება აზროვნების მეცნიერებით დავიწყოთ და მისგან გამოვიყვანოთ ბუნება. ფილოსოფია არ არის ცალკე მეცნიერება: მის ადგილას უნდა იყოს ყველა ამჟამად დაქსაქსული მეცნიერების შეერთება.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

4. — ᲕᲬᲔᲠᲓᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲕᲐᲠᲝᲕᲛᲐ ᲣᲬᲧᲘᲐᲜ) ᲜᲐᲢᲣᲠᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ [184]. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲐᲜᲣ, ᲣᲙᲔᲗ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲗᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲕᲚᲔ ᲨᲘᲚᲔᲠᲡ—ᲜᲐᲢᲣᲠᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲑᲔᲙᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲚᲐᲘᲑᲜᲘᲪᲐᲛᲓᲔ; ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲔᲢᲐᲚᲔᲑᲘᲪ. ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲐ ᲤᲔᲘᲔᲠᲑᲐᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲔᲚᲗ ᲛᲝᲛᲮᲕᲓᲐ ᲤᲘᲮᲢᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ; ᲘᲒᲘ ᲛᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ, 12 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲔᲢᲘᲮᲜᲘᲡ ᲬᲘ-

* და ამიტომ იმავე დროს — მეცნიერებაც სამყაროს შესახებ, რადგან აზროვნების კანონები და სამყაროს კანონები ერთი და იგივეა. კაცმა რომ თქვას, ეს უნდა გამოითქვას შებრუნებულად: აზროვნება სხვა არა არის რა, თუ არა თვით სამყარო, ისე როგორც სამყარო შეიცნობს თავის თავს, აზოოვნება არის სამყარო, რომელიც ადამიანში ნათელყოფს თავის თავს (გერმ.). — რ ე დ.

ნათ. არ მახსოვს, რომელ ეპოქაში წერდა ის, მაგრამ, უცნაურია დაკმაყოფილება ამ profession de foi-თი *, როგორც უკანასკნელი სიტყვით. განყენებული გონებითი ჭვრეტა ვერ იხსნის მას სკეპტიციზმისაგან, ცოდნა ვერ აკმაყოფილებს, მას სურს ქმედება და რწმენა (უშუალო და მჭვრეტელობითი საწყისი). მაგრამ რწმენას იგი მიჰყავს არა რეალურ, არამედ იდეალისტურ სამყაროსთან; მართალია, ეს სულიერი სამყარო მას აქაც აქვს და jenseits **, ე. ი. ჰეგელის სულის სფერო და ნაწილობრივ რელიგიური მომავალი ცხოვრება, მაგრამ მას საფუძვლად უდევს რაღაც უცნაური სურვილი იმისა, რომ იყოს არამიწიერი; ეს დროის ხარკია თუ სტოიკური, მეტად ზნეობრივი პიროვნების მოთხოვნილება იგი ნებისყოფას ქმედებაზე მაღლა აყენებს.

აგვისტო

9. — ვკითხულობდი ფეიერბახს ლაიბნიცის [185] შესახებ. მარტო განუწყვეტლივ მძინარე გერმანიას ახასიათებს ისეთი უდიდესი გამოღვიძებანი, როგორიცაა ლაიბნიცი, ლესინგი გოეთე. რა გიგანტური მოღვაწეობაა, რა მრავალმხრიობაა; ყველაფერს აკეთებს, ყველაფერთან კავშირი აქვს, ყველაფერზე საქმიანობს, ყველგან შეაქვს თავისი გენიის სინათლე, განუწყვეტლივ გახსნილია, მზად არის წეროს, განმარტოს, მოიფიქროს. მონადოლოგია აუცილებლად უნდა ჩამოეყალიბებინა მას. სპინოზა, რომელმაც ყველაფერი შესწირა ფილოსოფიას, ხედავდა მხოლოდ სუბსტანციას, რომლის ირგვლივ ბრუნავს აქციდენციების სამყარო; მისი სუბსტანცია უნდა იყოს ერთიანი. ლაიბნიცისათვის სუბსტანცია-მონადა — საწყისია მოქმედებისა, მოძრაობისა; ეს სუბსტანცია-მონადა თავის თავს განსაზღვრავს სხვებთან განსხვავებაში; იგი არ-

* რჯულის აღიარებით (ფრანგ.). — რ ე დ.
** იმქვეყნიურად (გერმ.). — რ ე დ.

სებობს, სწორედ დანაწევრებასა და დაპირისპირებაში. ეს არის გადასვლა ლოგიკაში ერთეულიდან მრავალსხვაობაში, ეს არის რეპულსია [186] თავის თავისაგან. კარტეზიანული განფენილობიდან მეცნიერება ღრმავდება სპინოზას სუბსტანციაში; მაგრამ ეს სუბსტანცია განისაზღვრება ლაიბნიცის ძ ა ლ ი თ, ცოცხალი ძალით, სუბსტანციონალური ძალით, მაგრამ არა ერთიანი ძალით, არამედ ატომის სულით, — მონადებით, რომლებიც უთვალავად მრავალია. მონადა არის იდეალური ატომი საგნისა, მატერიის ძალა, მისი ერთიანობა; «ჭეშმარიტი ერთიანობა არ შეიძლება მოიძებნოს მატერიაში, როგორც ვნებითში, ვინაიდან მასში ყველაფერი ნაწილების გროვაა, უსასრულობაში რომ იკარგებიან»; ხოლო რაკი მრავლობა რეალობას მხოლოდ ჭეშმარიტი ერთიანობებით ღებულობს, მე· «მივმართე ატომებს», გავიგე რა ისინი როგორც ძალა, etc. იგი ძალიან ახლოს არის ცნებასთან, — მონადა ერთგვარად უკვე არის ცნება. მატერიალურობისა და მატერიის ბუნდოვანი წარმოდგენა, როგორც მონადების აუცილებელი კავშირისა, როგორც მათი გარემოსი, ბოლოს, მთელი სამყაროს ცოცხალი კავშირი, სამყაროსი, რაც ირეკლება და რაც შეფარდებაში იმყოფება ყოველ მონადასთან და პირიქით, — ყოველივე ეს ლაიბნიცის შეხედულებას ბუნებაზე აყენებს დეკ-ტეზე, ბ-ზე [187] და სპინოზაზე გაცილებით მაღლა. ლაიბნიცს ყოველ ცვარში უკაშკაშებს ის მზე, რომელიც სპინოზას ცაზე ერთადერთია.

22. — მოქმედება შეზღუდული უნდა იყოს, რომ არ გაიფანტოს, — აი მატერიის მოწოდება ლაიბნიცის აზრით; მატერია ზღუდავს წმინდა მონადას, ის ყოფს მონადებს ერთმანეთს შორის, ის ვნებითი ზღვარია მოქმედებისა და მასთან ერთად მისი გარკვეულობა, განსაზღვრულობაა. მონადა განუწყვეტლივ ისწრაფვის განთავისუფლდეს მატერიისაგან, ე. ი. ისწრაფვის კერძოობიდან საყოველთაობისაკენ. მოქმედება, სიცოცხლე, სული და სხეული მისი — აუცილებელი პოლუსებია, ეს არის მსოფლიო იდეალიზმი და მსოფ-

ლიო ემპირია; საყოველთაობა, გვარი — ერთეულობა და კერძოობა. თეოდიციეია ვერ არის მარჯვე, ამოცანა შეუძლებელია, როგორც არ უნდა გადაწყვიტო ის. რელიგიურ შეხედულებებში თვითნებობის წილი ყოველთვის შესაძლებელი და დიდია, «მეცნიერება შეუძლებელია იქ, სადაც ყველაფერია შესაძლებელი, გონიერებისა და უგუნურების განსხვავება წაშლილია, სადღაა მეცნიერების საყრდენი? ადამიანთა შეხედულებები ლაიბნიცის დროს კიდევ უფრო ძლიერ იყო გაჟღენთილი ანთროპომორფიზმით, სუბიექტური ტელეოლოგიით; ლაიბნიცმა ვერ დააღწია თავი გარემოს გავლენას: იგი ამისათვის მეტად ცოცხალი და თანამედროვეობით გატაცებული ადამიანი იყო. იგი განაგრძობდა სპინოზას შრომას, მაგრამ მას არ ჰქონდა იმის ძალა, რომ განდგომილიყო სპინოზასავით და მაღლიდან მოეგონებინა ქრისტიანული ქვეყნისათვის «მის მიერ დავიწყებული კატეგორია საგნის დამოკიდებულებისა თავის თავისადმი» (და არა ადამიანისადმი); ბოლოს, მე ვფიქრობ, ლაიბნიცს არ სურდა თავისი საუკუნის წარმოდგენათა მეტისმეტი გერტირება[188]: მას აკლდა ის მ ო უ ს ყ ი დ ვ ე ლ ი პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა, რაც სპინოზას ჰქონდა. ენის უმაღლესი პატიოსნება არა მარტო სიცრუეს გაურბის, არამედ იმ გაურკვეველ და ნახევრად დაფარულ გამოთქმებსაც, რომლებიც თითქოს მალავენ სრულიადაც არა იმას, რასაც ისინი გამოხატავენ. პირიქით, ენის პატიოსნება ისწრაფვის წინასწარ გამოთქვას როგორც ესმის, რათა ყალბად არ განმარტონ. სხვათა შორის, იმ დროში იცოდნენ რელიგიისათვის მოკრძალებული კუნჭულის მიჩენა, — იგი იქ თავისთვის ცხოვრობდა, ხოლო მეცნიერებას ადამიანის სულში ეკავა მთელი დანარჩენი ადგილი, და ისინი არ ჩხუბობდნენ. დეკარტე ფეხით დადიოდა ლორეტის ღვთისმშობელთან, რათა მუხლმოდრეკით ეთხოვა დახმარებოდა მის სკეპტიციზმს და არასდროს არ დაემორჩილებინა რელიგიისათვის გონება, ესე იგი, არ სურდა ეფიქრა მასზე. თვით მატერიალისტებიც კი, როგორც, მაგალითად, ლოკი, თავისებურად რელიგიურნი იყვნენ, და ყოველივე ეს გამოიხატებოდა ხმა-

შეუწყობლობასა და წინააღმდეგობაში, ისე როგორც ეს ჩვენს ჰეგელიანელ-მართლმადიდებელ სლავოფილებს ემართებათ ხოლმე; ლაიბნიცი კი, პირიქით, ეძებდა ცოცხალ შერიგებას, მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა, გარდა დაბნეულობისა, რამაც მისი მშვენიერი მოძღვრება ბუნდოვანი გახადა მისი მოწაფეებისათვის.

30. «Hegel's Leben»* როზენკრანცისა. რ-ცი შეზღუდული გონების კაცი და ცუდი მოაზროვნეა; მაშასადამე, მისი მოთხრობა ცუდია, მისი შეხედულება ძლიერ შეზღუდული, მაგრამ წიგნი მნიშვნელოვანია ამონაწერებითა და დამატებებით. ჰეგელის ცხოვრება იყო მისი სისტემის ცხოვრება და განვითარება; ეს ცხოვრება მიმდინარეობდა სავსებით გერმანულ ყაიდაზე: სკოლებში, გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში. ყველაზე პოეტური დამოკიდებულება მას ჰქონდა ჰოლდერლინთან [189], ახლობლობას შელინგთან მე ვერ ვხედავ. თავის სისტემა ჰეგელმა პირველად მოხაზა 1800 წელს; ის იყო 30 წლისა (დაიბადა 1870 წელს). მშვენიერი საჩუქარი XIX საუკუნის დასაწყისს; მაშინ იგი უკვე დაშორდა შელინგს. მაშინდელი სისტემის მთავარი გეგმა და საფუძველი არ შეცვლილა, მხოლოდ განვითარდა. მოტანილ ნაწყვეტებში ალაგ-ალაგ ენა მოგვაგონებს მისტიკურ გავლენას; გამოთქმების პლასტიურობა და მოსწრებული სახეები ყველგან გვხვდება, როდესაც ეკამათება რედკინს, ვინც მოითხოვდა იმას, რომ მეცნიერული შინაარსის საგნები მოთხრობილი ყოფილიყო წმინდა აზროვნების ენით და სხვ. ბუნების ფილოსოფიის მაშინდელ ცდაში არის შესანიშნავი ადგილი დედამიწის სფეროს აგებულების შესახებ; იმის დანაწილებას (საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჰეგელმა გამოჰყო დედამიწის პლანეტა, როგორც საყოველთაო ინდივიდუმი მისი ელემენტარული პროცესებისა და როგორც დაშლა (auseinanderfallen) ქვისა და მიწის გარეგნული შერევისა) იგი მიიჩნევდა შედეგად უეჭველი წარსულისა, რომლის მუნჯ წარმომადგენლებად

* «ჰეგელის ცხოვრება» (გერმან.). — რ ე დ.

კიდევაც დარჩნენ ისინი; ისინი ახლა გულგრილად დგანან გვერდი-გვერდ, მათ დაუკარგავთ თავისი მიმართულება, თითქოს დამბლა დაცემიათო. ფრიად მნიშვნელოვანი აზრია; აქედან ხომ არ შეიძლება ვეღოდეთ ოდესმე იმის ამოცნობას, თუ რისთვის და როგორ მოგვევლინა პლანეტის ნივთიერება უბრალო სხეულებად; რამ გამოიწვია შეხამება გარკვეულ მთისა და ქვის ქანებად, ხომ არ იყო ეს ცდა ეცხოვრა მთელ პლანეტას ისე, როგორც მცენარეებს, — ცდა ცხოვრებისა მთელი ზედაპირით?... განყოფილება «Geist»-ში *, ჰეგელმა მაშინ ოჯახი განსაზღვრა მონობისა და თავისუფლების ინდიფერენტულობით. «ბუნებრივ მდგომარეობაში მამაკაცი ეუბნება ქალს: შენ ხარ ხორცი ხორცთაგანი ჩემი; ზნეობრივ მდგომარეობაში იგი ეუბნება მოყვასს: შენ ხარ სული სულთაგანი ჩემი», და ამრიგად ამყარებს დამოკიდებულებათა თანასწორობას. იმ დროის სამართლის ფილოსოფია განყენებულია და სქოლასტიზმით სავსეა, იგი არ აკმაყოფილებს ფართო საფუძვლებს და ისწრაფვის გაამართლოს არსებული. რელიგიის ფილოსოფია მას თითქმის სავსებით ისე გაეგებოდა, როგორც შემდგომ. აბსტრაქტულობასა და ფორმალიზმს იგი მიჰყავს საშინელ შედეგებამდე; მაგალითად, მას აუცილებლად მიაჩნია აზნაურობა, როგორც დაპირისპირებულთა ბრძოლა მორჩილების ფორმაში, აუცილებლად მიაჩნია ყველა წოდება, ვაჭრების მხდალობა და სხვ. მეომრებს, რომლებიც მოკლულ არ იქნენ, ნაცვლად ნუგეშისა იგი თავაზობს სპეკულაციას, რათა ეზღოს მათ ცოცხლად დარჩენის უბედურება და სხვ. რელიგიის ფილოსოფიაში იგი ნათლად ამბობს, რომ პროტესტანტიზმი დროებითი ფორმაა და რომ შესაძლებელია ახალი რელიგია, რომელშიც სული თავის საკუთარ ნიადაგზე, თავისი საკუთარი სახის სიდიადეში იქნება რელიგიაც და ფილოსოფიაც ერთად. შემდეგში იგი ამ შედეგს ასე უბრალოდ არ გამოთქვამდა. 1800 წლის 2 ნოემბერს სწერდა იგი შელინგს თავისი სისტემის შესახებ; ამ

* «სული, გონი» (გერმ.). — რ ე დ.

წერილში, სხვათა შორის, იგი ამბობს: «Ich frage nicht jetzt, welche Rückkehr zum Eingreifen in das Leben der Menschen zu finden ist?» *

სექტემბრის თვე

3. —... ჰეგელი იყო უდიდესი წარმომადგენელი გადატრიალებისა, რომელსაც α-დან ω-მდე უნდა გაეტარებინა კაცობრიობის ახალი შეგნება მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი; ცხოვრებაში იგი არარაობა იყო: ამას, თავისთავად იგულისხმება, დიდად უწყობდა ხელს დრო, რომელშიც იგი ცხოვრობდა, და მისი ქვეყანა. გარდა ამისა, ბერლინს ჰქონდა მასზე გავლენა; პრაქტიკულ ცხოვრებაში ჰეგელი იყო მეშჩანი. მან არ ითაკილა ეთხოვა პრუსიის სამინისტროს. მფარველობა იმ ბოროტი კრიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მოთავსებული იყო პრუსიულ ჟურნალში; ფრიზის [190] წინააღმდეგ არათავაზიანი და თითქმის საზიზღარი გამოხდომის შემდეგ იგი ურჩევდა ხელისუფლებას შეეზღუდა ჟურნალის ბეჭდვის თავისუფლება. ბოლოს, მისი სამართლის ფილოსოფიის სწავლებას, რამდენი მნიშვნელოვანი სარგებლობაც მოჰქონდა და რამდენადაც ამ სწავლებამ გაფანტა ფუჭი და საყოველთაო თეორიული დემაგოგია, იმდენივე მავნებლობა მოიტანა მან მით, რომ ენერგიულად იცავდა არსებულ ბოროტებას, ლანძღავდა ახალგაზრდულ მისწრაფებათა მ შ ვ ე ნ ი ე რ ს უ ლ ს და მას უდიდეს სისაძაგლედ სახავდა.

---

* «მე არ ვკითხულობ ახლა, როგორ ვიპოვოთ დაბრუნება ადამიანთა ცხოვრების გაგებისაკენ?» (გერმ.). — რ ე დ.

ბ-ნ გრანოვსკის [191] საჯარო ლექციების შესახებ

წერილი მეორე

გრანოვსკის საჯარო ლექციები დამთავრდა: ჩემს ყურებში ისევ გაისმის შინაგანი მღელვარებისაგან აკანკალებული, ძლიერი გრძნობისაგან მეტად ათრთოლებული ხმა, რომლითაც იგი მადლობას უხდიდა მსმენელებს, და ერთსულოვანი, ხმამაღალი და ხანგრძლივი პასუხი, რომელიც დააგუგუნა აუდიტორიამ მისდამი მადლობის ნიშნად. «მადლობას გიძღვნით კვლავ, მადლობას ვუძღვნი მათ, რომლებიც მითანაგრძნობდნენ და რომლებმაც გაიზიარეს ჩემი მეცნიერული შეხედულებების კეთილსინდისიერება, მადლობას ვუძღვნი იმათაც, რომლებიც არ იზიარებდნენ რა ჩემს შეხედულებებს, ღია შუბლით, პირდაპირ და კეთილშობილურად მეუბნებოდნენ თავის საწინააღმდეგო აზრებს». ამ მშვენიერი სიტყვებით დაამთავრა გრანოვსკიმ თავისი კურსი. თქვენ გახსოვთ, რომ პირველი ლექციების შემდეგ, მე გავბედე შესანიშნავ მოვლენად ჩამეთვალა ეს კურსი,— ახლა მე ერთგვარი უფლება მაქვს ვთქვა, რომ არ შევმცდარვარ. ბ-ნ გრანოვსკის ლექციების დამსწრეთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა; მისი კათედრა მუდამ გარემოცული იყო მანდილოსანთა სამმაგი გვირგვინით და,

შენიშნეთ, დოცენტი კითხულობდა თავის საგანს მეცნიერების მთელი სიდარბაისლით, იგი არ აფრქვევდა არა საჭირო ყვავილებს, სასიამოვნოსიმსუბუქისათვის მსხვერპლად არ სწირავდა სიღრმეს. მე მგონია, ამაზე მეტად არაფრით არ შეეძლო მას გამოეხატა თავისი პატივცემა და მადლიერება იმ მსძენელ ქალთადმი, რომლებიც მის ლექციებს ესწრობოდნენ,— და ისინიც მადლიერნი იყვნენ მისი. მადლობა ღმერთს, გადის ქალისადმი იმ შეურაცხმყოფელი ყურადღების დრო, როდესაც მისთვის მეცნიერების საქმიანი გადმოცემის გვერდით საგანს განზრახ დამახინჯებულად მოუთხრობდნენ, რადგან მხოლოდ მამაკაცის ჭკუას მიაწერდნენ ღრმა აზროვნების უნარს.

მოსკოვის საზოგადოებამ, როდესაც იგი უნივერსიტეტის მერხზე იჯდა, გაიგო ახალი წარმტაცი და ძლიერ მიმზიდველი სიტკბოება; მასწავლებლებს მიეცათ ახალი მოქმედების თვალსაჩინო შესაძლებლობა, და ნაჩვენებია გზა, რომლითაც მოიპოვება თანაგრძნობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ გრანოვსკის მადლიანი მოღვაწეობის შედეგად ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყება საჯარო ლექციები დიდი საერთო ინტერესის აღმძვრელი საგნების შესახებ, დაიწყება ახალი დაახლოება ქალაქისა უნივერსიტეტთან. ჩვენში არ შეიძლება არსებობდეს ცხოვრებისაგან გათიშული მეცნიერება: ეს ეწინააღმდეგება ჩვენს ხასიათს; ამიტომ უნივერსიტეტის ყოველგვარ დაახლოებას საზოგადოებასთან მნიშვნელობა აქვს და ორივესთვის ხელსაყრელია. ლექციების კითხვა თანაგრძნობის მოსაპოვებლად, უნდა გაიწმინდოს სკოლური ფორმალიზმისაგან; იგი მშრალ ცალმხრივობათა ცივი ჩაკეტილობიდან უნდა გამოვიდეს სინამდვილის ცხოვრებაში, უნდა აღელდეს ცხოვრების საკითხებით, უნდა გაეშუროს ცხოვრების მისწრაფებებისაკენ. საზოგადოებამ უნდა დაივიწყოს ყოველდღიურობის ამაოება და ამაღლდეს საერთო ინტერესების სფერომდე იმისათვის, რათა მოისმინოს ლექციები. საზოგადოება მზად არის გააკეთოს ეს. საზოგადოების ტაქტი სწორია: ყოველივე ცოცხალი და მისი თანამ-

გრძნობი მასში უცილობელ აღიარებას პოულობს,—გრანოვსკის კურსი ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია, ჩვენში საჯარო ლექციები ამ სახით—ახალი ამბავია. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ დამსწრე საზოგადოების ნაწილი პირველად ნახევრად სახუმაროდ, ახალი ამბავის გულისათვის გამოცხადდა; მაგრამ პირველი სამი-ოთხი ლექციის შემდეგ აუდიტორია სრულიად სიმპათიურად იყო განწყობილი; ყველას სახეზე მოჩანდა ცოცხალი, დაძაბული ყურადღება; ამ თანაგრძნობამ ძლიერი გავლენა იქონია ლექციების კითხვაზე. მსმენელებსა და მასწავლებელს შორის (თუ მართლაც ერთნი ისმენენ და მეორე გადასცემს) აუცილებლად მყარდება ანდამატური კავშირი, ორივე მხრიდან მოქმედი; პირველად ისინი თითქოს უცხონი არიან ერთმანეთისათვის, მაგრამ ნელ-ნელა მათ შორის მყარდება დონე, და როდესაც ეს დონე შედის ორთავეს შეგნებაში, მაშინ ურთიერთმოქმედება იზრდება სწრაფად, მსმენელებს იტაცებს სიტყვები, და ერთ ზნეობრივ სახედ შეზრდილი აუდიტორია იტაცებს მოლაპარაკეს. ვიტყვი პირდაპირ და ვიცი, რომ ეს გრანოვსკის არ ეწყინება: იგი, როგორც ჩანს, ვითარდებოდა; ლექციების კითხვის დროს იგი იზრდებოდა, ძალ-ღონეს იკრეფდა კათედრაზე. მსმენელები არ ჩამორჩნენ მას; აუდიტორია და დოცენტი მეგობრებივით დაშორდნენ ერთმანეთს; დიდად აღფრთოვანებულნი, ერთიმეორის ღრმა პატივისმცემელნი, ისინი თვალცრემლიანი დაშორდნენ ერთმანეთს.

გრანოვსკის ლექციების მთავარი ხასიათი: დიდად განვითარებული ადამიანურობა, თანაგრძნობა, გულგახსნილი ყოველივე ცოცხალისა, ძლიერისა და პოეტურისათვის,—თანაგრძნობა, რომელიც მზად არის ყველაფერს გამოეხმაუროს; ვრცელი მრავალისმომცველი სიყვარული, სიყვარული აღმოცენებადის მიმართ, რასაც იგი სიხარულით ეგებება და სიყვარული მომაკვდავისადმი, რომელსაც იგი ცრემლმორეული მარხავს. არსად არაფრის მიმართ არ წამოცდენია სიძულვილის სიტყვა თავის ლექციებში: მან კუბოებს ახლოს ჩაუარა, სახურავები ახადა მათ, მაგრამ არ შეურაცხყო განსვენებულნი.

კაცობრიობის ცხოვრების მეფური მდინარების შესწორების კადნიერი აზრი შორს იყო მისი მეცნიერული შეხედულებებისაგან; იგი ყველგან ემორჩილებოდა მოვლენათა ობიექტურ მნიშვნელობას და იქითკენ ისწრაფვოდა, რომ მხოლოდ მათი აზრი გაეხსნა. მე მგონია, რომ სწორედ გადაცემის ამ ხასიათმა აღუძრა საზოგადოებას ასეთი ძლიერი თანაგრძნობა გრანოვსკის ლექციებისადმი. შეგეძლოს ყველა საუკუნეში, ყველა ხალხში, ყველა გამოვლინებაში სიყვარულით იპოვო მშობლიური, ადამიანური, არ უარყო ძმები, რანაირ ძონძებშიც უნდა იყვნენ ისინი გახვეულნი, რანაირ უგნურ ასაკშიც უნდა შეხვდეთ მათ, დროებითის ნისლოვან ანაორთქლში დაინახოთ მარადიული საწყისის, ე. ი. მარადიული მიზნის, გამობრწყინება, — ყოველივე ეს დიდი საქმეა ისტორიკოსისათვის. ბევრჯერ, როდესაც ვუსმენდი გრანოვსკის, ცოცხლად მიდგებოდა თვალწინ ჰორაციო, რომელიც გულდამდეღრული ყვება ჰამლეტის ამბავს იმ საკაცის ახლოს, რომელზედაც ასვენია ჰამლეტის ცხედარი. ჰორაციოს აზრადაც არა აქვს მკვდრეთით აღადგინოს უფლისწული,—ჰამლეტის სიკვდილი მისთვის მოვლენაა, ცრემლმორეული თვითონ იგი მიუთითებს ფორტინბრასზე [192], ვისაც ნაანდერძევი აქვს სისხლიანი სამეფო ძოწეული, მაგრამ ჰორაციოს არ შეუძლია არ იმწუხაროს დაცემულზე. ასევე იმ თანაგრძნობაში, რასაც გრანოვსკი იჩენდა შუა საუკუნეებისადმი, არაფერი იყო უკან მიმდინარე, უკან შემაბრუნებელი. სიყვარული და თანაგრძნობა დამარცხებულისადმი—გამარჯვებაზე უფრო მეტი გამარჯვებაა. უძრავ აჩრდილებს, გარდასული ქვეყნით დავიწყებულთ ახალის ნიადაგზე, ყველაზე ნაკლებ შეუძლიათ გაუძლონ სიყვარულის თბილ სუნთქვას; ისინი ანკარა წყაროებად იღვრებიან და ახალ თაობებს ეძლევიან წყურვილის მოსაკლავად. მაგრამ ეს სიყვარული ადვილი მისაღწევი როდია.

რუსი ისტორიკოსი დგას ისეთ ნიადაგზე, რაც მას მეტისმეტად უადვილებს ობიექტურ, სიმპათიურ შეხედულებას დასავლეთის ისტორიაზე. გააშუქებს რა შუა საუკუნეების

მოვლენებს, ჩვენს მოუსყიდველ ბზრს შეუძლია შეინარჩუნოს უწყინარობისა და სათნოების მაღალი ხასიათი, გახდეს შემარიგებელი და ყოვლისმოყვარული: ჩვენთვის უცხო იყო ევროპის ფეოდალური ცხოვრება, ამ დროისაგან ჩვენ არც მემკვიდრეობანი მოგვიხვეჭია და არც გვაროვნული სნეულებანი. ჩვენ ვართ ხამარები, სხვა მხარიდან მოვლენილნი, რომელთაც არ შეიძლება გვყავდეს პიროვნებანი არც ვინმეს მოწინააღმდეგე, არც ვინმეს მომხრე. ასე არ არის გერმანელისათვის: იგი ბრძოლაშია თავის მოგონებებთან, იგი მისადმი განიცდის ნათესაურ სიყვარულსა და ნათესაურ სიძულვილს, იგი ან მდიდარი მემკვიდრეობის სიმძიმის ქვეშ ეცემა, ან მან უნდა უარყოს დედ-მამა. ევროპის წარსული მისთვის ჯერ კიდევ ცოცხალია: როდესაც იგი ასპარეზზე გამოდის, არ შეუძლია შეინარჩუნოს სიმშვიდე მსაჯულისა; კეთილისმყოფელი სითბოს ნაცვლად მის სულში თავს იჩენს მიკერძოება ან კრიტიკის ყოვლის შთამთქმელი ცეცხლი, ულმობელი და უდრეკი. შეცდომა არ უნდა დავუშვათ: ეს მრისხანებაც, ეს კრიტიკაც სიყვარულია, მაგრამ უკიდურესობამდე მიყვანილი სიყვარული, სიყვარული ექვიანი, დამსჯელი, შეურაცხყოფილი. დასავლეთის ისტორიაში მგზნებარე ცალმხრივობა ეპატიება დასავლეთელ კაცს, მაგრამ რუსი კაცის ასეთი ცალმხრივობა უცნაური იქნებოდა. სად უნდა მოიპოვოს მაყურებლის მშვიდი და ბრძნული მიუკერძოებლობა იმ ადამიანმა, რომელიც მოვლენათა მორევს ჩაუთრევია, მოვლენათა ორომტრიალშია ჩაფლული? განა არ იქნება ეს ადამიანური ღირსების დაკარგვა ან მისი მოპოვება, ხომ არ არის საჭირო ამისათვის ადამიანი ტალეირანი ან გოეთე გახდეს?[193]— Sine ira—et studio!*, ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ტაციტი წერდა sine ira? ვიმეორებ პირველ წერილში თქმულს: ევროპის წარსულის მიმართ არ არის იმაზე უფრო ობიექტური მდგომარეობა, ვიდრე რუსის მდგომარეობაა. ცხადია, იმისათვის რომ ისარგებლოთ ამ ობიექტურობით, საკმაო არ არის რუსი იყოთ,

---

* მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე (ლათინ.). — რ ე დ.

საჭიროა მიაღწიოთ საერთო-საკაცობრიო განვითარებას; საჭიროა სწორედ, რომ არ იყოთ მხოლოდ და მხოლოდ რუსი, ე. ი. ცნოთ თავი არა მოწინააღმდეგედ დასავლეთ ევროპისა, არამედ მის მოძმედ. ძმობის ცნება არ სპობს ძმათა თვითმყოფადობას, მაგრამ არც მათი თვითმყოფადობა, როგორც პიროვნებათა თვითმყოფადობა, მათ ერთიმეორის მტრებივით არ უპირდაპირებს, რაც ძმობას მოსპობდა. რაიმესადმი თავისი თავის მტრული დაპირისპირებით გაგებას ვერ მიაღწევთ; მტრობა თავის საფუძველში სუბიექტურია; იყოთ წინააღმდეგობაში — ეს იმას ნიშნავს, რომ უარი თქვათ საწინააღმდეგოს გაგებაზე, რადგან გაგება სწორედ წინააღმდეგობის მოხსნაა. სანამ აზრი თავგამოდებით უკუაგდებს საწინააღმდეგოს, მანამ იგი შეზღუდულია იმით, როგორც უცხოთი, და ეს უცხო იქცევა დაბრკოლებად აზრის ყველა გზაზე. კანონთა კრებულში ნათქვამია: «მსაჯული, რომელიც მაძიებლის მტერი და მოპასუხის მოკეთე იქნება, არ უნდა იქნას იმ მაძიებლისა და მოპასუხის მოსამართლე» [194]. ჩვენთვის ძალიან ადვილია მივაღწიოთ ამ იურიდიულ მდგომარეობას: ამისათვის საკმაოა მოვისურვოთ და შეგვეძლოს ვისარგებლოთ ჩვენი მდგომარეობით. ევროპის წარსული არ გვაწუხებს ჩვენ არც როგორც დანაკარგი, არც როგორც სინდისის ქენჯნა: ევროპის წარსულს ჩვენთვის აქვს სხვა დიდი ინტერესი.

Dich stört nicht im Innern
Zu lebendiger Zeit
Unnützes Erinnern
Und vergeblicher Streit *.

გრანოვსკი (მიუხედავად საყვედურისა, რასაც ეუბნებოდნენ მას კურსის დასაწყისში) შესანიშნავად მიხვდა, თუ როგორი უნდა იყოს რუსული ენა დასავლეთის საქმეზე. მას არც ერთხელ არ შეუტანია სხვათა მამა-პაპების კატაკომბებში არც ერთი სიტყვა, არც ერთი გადაკრული მინიშნება მათი მემკვიდრეების [195] დღევანდელი დავიდან. იმისათვის კი არ აუღია ხელში მას შუა საუკუნეების დამტვერიანებული

* «შენი ცხოვრების დროში შენს სულს არ აშფოთებს უსარგებლო მოგონება და ამაო განხეთქილებანი (გოეთე). — რ ე დ.

ქარტია, რომ მასში მოენახა თავისი და თავისი აზრების საყრდენი: მას არ ესაჭიროება შუა საუკუნეების ინვესტიტურა, იგი სხვა ნიადაგზე დგას. ამის გამო იყო, რომ მის ლექციებს მიეცა გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების ის ხასიათი, ის მრავალმხრივი სავსეობა და პლასტიურობა, რაც ასე იშვიათად გვხვდება ისტორიაში; მოვლენები, რომლებიც არავითარი პირადი თეორიებით არ იყვნენ შეზღუდული სრულიად ცოცხლდებოდნენ მის მოთხრობებში. მე ბევრჯერ მქონდა შემთხვევა გამეგონა უგუნური კითხვები: რატომ იგი უფრო ნათლად არ გამოთქვამს თავის აზრს? რის დამტკიცება სურს მას? რა მიზანი აქვს მას? მას კიდევაც უყვარს ფეოდალიზმი, ამავე დროს მისი დაცემაც უხარია და სხვ. ყველა ეს კითხვა, სხვათა შორის, უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე ფიქრობენ: ყოველივე ცოცხალი ძნელი დასაჭერია, სწორედ იმიტომ, რომ მასში ერთ მოძრავ პროცესად არის შედუღებული უამრავი ელემენტი და სხვადასხვა მხარეები; ცოცხალი შეგნებაში მოდის მხოლოდ სპეკულაციით ან მკვრეტელობით, ხოლო კეთილგონივრული განმსჯელობა მასში მხოლოდ უწესრიგობას ხედავს;—სიცოცხლე უსხლტება მას თავისი უხეში ხელებიდან. ცოცხალის მრავალმხრივობა შიშსა და მწუხარებას ჰგვრის ცალმხრივ ადამიანებს: ისინი მოითხოვენ du positif! * ასე, მაგალითად, პოლიპები, რომელთაც მოძრაობის საკუთარი უნარი არ აქვთ, მთელ თავიანთ სიცოცხლეში ეკვრიან ქვის ერთ მხარეს და ლოკავენ ხავსს, რომლითაც დაფარულია ეს ქვა. ამ უ ხ ე რ ხ ე მ ლ ო გონების მქონე ადამიანებს ათჯერ უფრო ადვილად შეეძლოთ გაეგოთ ისეთი ისტორია, რომელიც დამახინჯებული და განზრახ გადასხვაფერებული იქნებოდა რომელიმე თვალსაზრისით, მაგრამ გრანოვსკი ერთობ სულით ისტორიკოსია იმისათვის, რომ არ ისარგებლოს თავისი მშვენიერი მდგომარეობით და უსარგებლო ცალმხრივობაში არ გადავარდეს.

ისტორია ძალიან ადვილად ხდება პარტიის იარაღად.

---

* დადებითს (ფრანგ.). — რ ე დ.

მოვლენები მუნჯი და ბნელი იყო; ახლანდელი ადამიანები აშუქებენ მათ ისე, როგორც სურთ; იმისათვის, რომ გახმაურდეს, წარსული გაივლის ახლანდელი თაობის სალაპარაკო აპარატში, მაგრამ ახლანდელ თაობას ხშირად სურს იყოს არა უბრალო ორგანო სხვისი მეტყველებისა, არამედ სურს იყოს მოკარნახე; იგი თავისი ინტერესების სასარგებლოდ წარსულს აიძულებს გასწიოს ცრუმოწმეობა. წარსულის ასეთი გამოწვევა საფლავიდან დამამცირებელია, მაგრამ არის შესაძლებლობა მივუტევოთ ეს ჯადოსნური ცდები გარკვეულ ვითარებებში: ფეოდალიზმი, პაპის ძალაუფლება, არისტოკრატია, საშუალო მდგომარეობა და სხვა დასავლეთისათვის არა მარტო შესწავლისა და მეცნიერების საგნებია, არამედ პარტიათა დროშებიცაა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებიცაა. საქმეთა გარდასულ წესრიგს ევროპაში ჰყავს თავისი რწმუნებულები, რომლებიც განაგრძობენ დავას; მაგრამ ეს დავა ჩვენ ნაკლებ, გაცილებით ნაკლებ შეგვეხება, ვიდრე ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებს. ეს ჩვენი დავა ჩვენი მტრობა არ არის: ჩვენ ვუკავშირდებით ევროპას არა მისი კერძო და წარსული ინტერესების გულისათვის, არამედ დიდი, საერთო-საკაცობრიო გარემოსათვის, რომლისკენაც მიისწრაფვის ევროპაც და ჩვენც; ჩვენი თანაგრძნობა, საკუთრივ არის წინათგრძნობა მომავლისა, რომელშიც თანაბრად გაიფურჩქნება ყოველივე განსაკუთრებული,—რომანულ-გერმანულია იგი, თუ სლავური.

გრანოესკიმ გვერდი აუქცია მეორე წყალქვეშა ლოდს, უფრო საშიშს, ვიდრე ფეოდალური მოვლენების მიმართ მიკერძოების გამოჩენაა: იგი იცნობდა დიდ გერმანელ მოაზროვნეებს, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი დარჩა. მან შესანიშნავად განსაზღვრა ისტორიის ფილოსოფიის თანამედროვე მდგომარეობა მეორე ლექციაში, მაგრამ ცოცხალი განვითარება არ დაუმორჩილა არავითარ გამაშეშებელ ფორმულას; ცხოვრების თანამედროვე მდგომარეობას გრანოესკი უყურებს როგორც დიდ ისტორიულ მომენტს, რომლის არ ცოდნა და გვერდის ავლა დაუსჯელად შეუძლებელია, ისევე როგორც

შეუძლებელია მასში დარჩენა სამუდამოდ ისე, თუ არ გაიყინეთ. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი დოცენტის ღრმა ისტორიული აზრი, საკმაოა ვთქვათ, რომ, მიიჩნია რა ისტორია ისეთ ორგანიზმად, რომელიც სწორად ვითარდება,—მან არსად არ დაუმორჩილა მოვლენები აუცილებლობის ფორმალურ კანონს და ხელოვნურ მიჯნებს. აუცილებლობა მის მოთხრობაში ვლინდებოდა როგორც რაღაცნაირი დაფარული აზრი ეპოქისა; იგი იგრძნობოდა შორიდან, როგორც რომელიმე Deus implicitus *, რომელიც წარმოადგენს სრულ ნებისყოფასა და ცხოვრების სრულ ღელვას. გერმანიის უდიდესმა მოაზროვნეებმა გვერდი ვერ აუქციეს ისტორიის ნაძალადევი აგების ცთუნებას, რაც დაფუძნებულია არასაკმაო საბუთებსა და ცალმხრივ თეორიებზე,—ეს გასაგებია: სპეკულატური აზროვნება უფრო ახალი იყო მათ სულთან, ვიდრე ცოცხალი ისტორიული შეხედულებანი [196]. მათი თეორიული და სამძიმო აუცილებლობა სისულელემდე იქნა მიყვანილი ოდესღაც მეტად ცნობილი კუზენის თხზულებებში. კუზენში მე ვხედავ ნემეზიდას, რომელიც შურს იძიებს გერმანელებზე იმისათვის, რომ მათ უყვართ განყენებულობა და მშრალი ფორმალიზმი. გერმანელებს თვითვე უნდა ეხარხარნათ, როდესაც კითხულობდნენ კუზენს, თუ სანამდე მიიყვანეს მათ კეთილი და უმზაკვრო გალი, რომელიც მათ მიენდო. კუზენმა ისე გარეგნულად გაიგო აუცილებლობა, რომ კინაღამ კაცობრიობის განვითარების საერთო ფორმულიდან გამოიყვანა ალექსანდე მაკედონელის მოღრეცილი კისერი. ეს იყო რეაქცია ვოლტერის შეხედულებების წინააღმდეგ, რომელიც, პირიქით, მსოფლიოს ბედს კლეოპატრას [197] ცხვირის მოხაზულობას უკავშირებდა.

გრანოვსკი გვპირდება თავისი ლექციების დაბეჭდვას; მაშინ, გამოგიგზავნით რა წიგნს, შევეცდები განვიხილო თვით კურსი, ვილაპარაკო მის შესახებ დაწერილებით [198]. ახლა ნება მომეცით დავამთავრო,—იმედი მაქვს, რომ თქვენ არაფერი გაქვთ ამის საწინააღმდეგო.

---

* დამალული ღმერთი (ლათ.). რ ე დ.

ბ-ნ პროფესორ რულიეს საჯარო ლექციები [199]

ბუნების უცოდინარობა ფრიად დიდი უმადურობაა.
პ ლ ი ნ ი უ ს უ ფ რ[ო ს ი]

ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილებაა ბუნებისმეტყველების შესახებ ჭეშმარიტ და საქმიან ცნობათა განზოგადება. ასეთი ცნობები ბევრია მეცნიერებაში, მცირეა საზოგადოებაში; საჭიროა მათი ჩართვა საზოგადოებრივი შეგნების ნაკადში; საჭიროა გავხადოთ ისინი ხელმისაწვდომი, საჭიროა მიეცეს მათ ცოცხალი ფორმა, ისე ვით ბუნებაა ცოცხალი; საჭიროა ავამეტყველოთ ისინი ისეთივე გულწრფელი, სადა ენით, ვით ბუნების საკუთარი ენაა, რომლითაც იგი დიდებული და მწყობრი სისადავით გადაშლის ხოლმე თავისი არსის ულევ სიმდიდრეს. ბუნებისმეტყველების გარეშე ჩვენ თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია მართლაც ძლიერი გონებრივი განვითარების აღზრდა; ცოდნის არც ერთი დარგი არ აჩვევს ისე გონებას მტკიცე, დადებით ნაბიჯს, ქედისმოხრას ჭეშარიტების წინაშე, კეთილსინდისიერ შრომას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, შედეგთა კეთილსინდისიერად მიღებას ი მ ს ა ხ ი თ, რ ა ს ა ხ ი თ ა ც ი ს ი ნ ი გ ა მ ო ვ ლ ე ნ, როგორც ბუნების შესწავლა; ნეტამც

ბუნებით ვიწყებდეთ აღზრდას იმისათვის, რომ გავწმინდოთ ყრმათა გონება ცრუ რწმენათაგან, დავავალკაცოთ ის ამ ჯანსაღი საკვებით და შემდეგ. გამაგრებულსა და შეიარაღებულს, გავუხსნათ ადამიანთა სამყარო, ისტორიის სამყარო, რომელთა კარები პირდაპირ მოღვაწეობისაკენ, თანამედროვე საკითხებში საკუთარი მონაწილეობისაკენ იღებიან. ეს აზრი, რასაკვირველია, ახალი არ არის. რაბლემ, რომელსაც ერთობ ცხოველად ესმოდა სქოლასტიკის საშინელი მავნებლობა გონების განვითარებისათვის, გარგანტუას აღზრდას საფუძვლად დაუდო საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. ბეკონს სურდა ისინი მთელი კაცობრიობის აღზრდის საფუძვლად დაედო: Instauratio magna დაფუძნებულია გონების დაბრუნებაზე ბუნებისაკენ, დაკვირვებისაკენ; ბუნებისმეტყველებისათვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭებით ბეკონი მიისწრაფოდა აღედგინა აზროვნების ნორმალური მოქმედება, რაც დაწიხლული იყო შუა საუკუნეების მეტაფიზიკის მიერ; ბეკონი საუკუნეებით დალექილი ყალბი სახეებისა და ცრურწმენებისაგან თანამედროვე გონებათა გაწმენდის სხვა საშუალებას ვერ ხედავდა, გარდა იმისა, რომ ყურადღება მიქცეოდა ბუნებას და მის გარდუვალ კანონებს, მის ურჩობას სქოლასტიკური ხერხებისადმი, მის მზადყოფნას იმისათვის, რომ გაუმჭღავნდეს ლოგიკურ აზროვნებას. სწავლულებმა, განსაკუთრებით ინგლისსა და საფრანგეთში, გაიგეს ლორდ ვერულამელის გამოწვევა, და მისგან იწყება იმ დიდ მოღვაწეთა განუწყვეტელი მწკრივი, რომლებმაც ყოველი მიმართულებით დაამუშავეს ბუნებისმეტყველების ვრცელი არე.

მაგრამ ამ შესწავლის ნაყოფი, დიდ და ხანგრძლივ შრომათა შედეგები ვერ გასცდნენ აკადემიათა კედლებს, მცდარ გაგებას ვერ მოუტანეს ი ს ო რ თ ო პ ე დ ულ ი სარგებლობა, რაც მოსალოდნელი იყო*. განათლებულ წოდებათა აღზრდამ მთელს ევროპაში მცირე რამ შეითვისა საბუნებისმეტყველო

* თავისთავად იგულისხმება, რომ აქ სრულიადაც არ არის ლაპარაკი ტექნიკურ გამოყენებაზე. — ა. გ.

მეცნიერებათაგან; იგი კვლავინდებურად რაღაცნაირი რიტორულ-ფილოლოგიური (სიტყვის მეტად ვიწრო მნიშვნელობით) დასწავლის გავლენის ქვეშ დარჩა; იგი უფრო მეხსიერების აღზრდად დარჩა, ვიდრე გონებისა, აღზრდად სიტყვებისა და არა ცნებების, აღზრდად ენისა და არა აზრის, აღზრდად ავტორიტეტებით და არა თვითმოქმედებით; რიტორიკა და ფორმალიზმი კვლავინდებურად სდევნიან ბუნებას. ასეთი განვითარება თითქმის ყოველთვის იწვევს გონების ამპარტავნობას, ზიზღს ყოველივე ბუნებრივისადმი, ჯანსაღისადმი და უპირატესობის მინიჭებას ყოველივე აღგზნებულისა და ნაძალადევისადმი; აზრებს, შეხედულებებს კვლავინდებურად უნერგავენ სულიერი განუვითარებლობის დროს, თითქოს ყვავილს უცრიანო; როდესაც ადამიანი გონს მოდის, იგი ხედავს ჭრილობათა ნაკვალევს ხელზე, პოულობს მზა ჭეშმარიტებათა გროვას და, ადგება რა ამ ჭეშმარიტებებით შეიარაღებული გზას, ერთსაც და მეორესაც გულალალად მიიჩნევს მომხდარ ამბად, გათავებულ საქმედ. თავისი ცალმხრივობით ამ ცრუ და მავნე განათლების წინააღმდეგ არ არის ბუნებისმეტყველების საყოველთაო გავრცელებაზე უფრო ძლიერი საშუალება, იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისამდეც გამომუშავდა ახლა ბუნებისმეტყველება; მაგრამ, საუბედუროდ, დიადი ჭეშმარიტებანი, დიადი აღმოჩენანი, რომლებიც სწრაფად მოსდევენ ერთიმეორეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, არ ერთვიან წრემბრუნავ ჭეშმარიტებათა საერთო ნაკადს, ხოლო თუ მათი მცირე ნაწილი კიდევაც ვრცელდება ხალხში, ვრცელდება იმდენად ღარიბი და იმდენად არასწორი ფორმით, რომ ადამიანები ამ მათთვის გამომუშავებულ ჭეშმარიტებებსაც ითვისებენ მეხსიერებაში ჩახერგილ იმდაგვარივე ცნობებად; როგორც ყველა დანარჩენ სქოლასტიკურ ავლადიდებას. ფრანგებმა ყველაზე მეტი გააკეთეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პოპულარიზაციისათვის, მაგრამ მათი ცდები მუდამ იმსხვრეოდა ცრურწმენათა სქელ ქერქზე; სრული წარმატება არ იყო, სხვათა შორის, იმიტომ, რომ პოპულარულად გადმოცემის

ცდათა დიდი ნაწილი შესრულებულია რიტორიკის, ფრაზებისა და ცუდი ენის მოშველიებით.

ცრურწმენანი, რომელთა შორის ჩვენ აღვიზარდეთ, გამოთქმის წესი, გაგების წესი და თვით სიტყვები გვაწვდიან ჩვენ არამც თუ არაზუსტ, არამედ პირდაპირ საქმის საწინააღმდეგო წარმოდგენებს. ჩვენი წარმოსახვა ისე წარყვნილი და ისე გაჟღენთილია მეტაფიზიკით, რომ ჩვენ საშუალება წაგვერთვა ალალმართლად და უბრალოდ გამოვთქვათ ფიზიკური სამყაროს მოვლენები და არ შევიტანოთ თვით გამოთქმებით და სრულიად შეუგნებლად ცრუ წარმოდგენები, — არ მივიჩნიოთ მეტაფორები თვით საქმედ და სიტყვებით არ დავაშოროთ ერთმანეთს ის, რაც შეერთებულია სინამდვილით. ეს ცრუ ენა თვით მეცნიერებამ შეითვისა: ამიტომაც ასე ძნელი და აბნეულია ყოველივე ის, რასაც ის მოგვითხრობს. მაგრამ მეცნიერებისათვის ეს ენა არც თუ ისე საზიანოა—მთელი ზიანი საზოგადოებას მოსდის; სწავლული სიტყვათა კონას მიიჩნევს ნიშნად, რაშიაც იგი, როგორც მათემატიკოსი პირობითს ასოში, შემჭიდროვებულად ათავსებს მოვლენებისა და საკითხების მთელ წყებას. საზოგადოება ბრმად ენდობა სიტყვას—და ამაშია სიტყვისადმი მშვენიერი ნდობის საბუთი,—ისე, რომ ადამიანი სიტყვის ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც აღსავსეა რწმენით მისადმი და აღსავსეა რწმენით მეცნიერებისადმი; იგი მეცნიერების მიერ თქმულს ღებულობს არა ენაბრგვნილ მინიშნებად, არამედ ისეთ გამოთქმად, რაც სავსებით ამოსწურავს მოვლენას. მაგალითისათვის მოვიგონოთ, რომ ფიზიკურ მოვლენათა ყოველგვარ წესრიგს, რომელთა მიზეზები უცნობია, მეცნიერება მიიჩნევს განსაკუთრებული ძალის გამოვლინებად და, სქოლასტიკური დიალექტიკის მეშვეობით, განასახიერებს ამ ძალას იმდენად თვითარსებულად, რომ ეს ძალა სრულიად ეთიშება ნივთიერებას (ასეთია მოდური მეტაბოლური ძალა, კატალიტური ძალა). მათემატიკოსი აქ კეთილსინდისიერად დასვამდა x-ს და ყველას ეცოდინებოდა, რომ ეს — საძიებელია. ხალი ძალა კი გვაფიქრებინებს, რომ ის ნ ა პ ო ვ ნ ი ა,

და ცნებათა სრული აღრევისათვის ამ ცრუ გამოთქმებს ზედ ერთვის კიდევ ცრუ სენტენციები, რომლებსაც საუკუნიდან საუკუნემდე იმეორებენ უანალიზოდ, უკრიტიკოდ და რომლებიც ყველა საგანს სრულიად არასწორად აშუქებენ.

ნება გვიბოძეთ სიცხადისათვის მოვიყვანოთ მაგალითი. ლინეი [200] დიდი ადამიანია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მაგრამ ისე, როგორც ყოველი დიდი და არადიდი ადამიანი, იგი იმყოფებოდა თავისი საუკუნის გავლენის ქვეშ და მან, ორი სქოლასტიკური ცრურწმენით გატაცებულმა, ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის შეცდომა დაუშვა. მან ადამიანი განსაზღვრა როგორც მ ა ი მ უ ნ თ ა ჯ ი შ ის სახე, და მის ახლო დააყენა ღამურა; ეს უკანასკნელი—შეუწყნარებელი ზოოგნოსტიკური შეცდომაა, პირველი—კიდევ უფრო შეუწყნარებელი ლოგიკური შეცდომაა. ლინეის, როგორც ახლა დავინახავთ, აზრადაც არ მოსვლია დაემცირებინა ადამიანი მაიმუნთან ნათესაობით; სქოლასტიკის გავლენით იგი იმდენად აცალკევებდა ადამიანს მისი სხეულისაგან, რომ შესაძლებლად მიაჩნდა ულმობლად მოპყრობოდა ადამიანის ფორმასა და გარეგნობას; სხეულით ადამიანს აყენებს რა ერთ მარაქაში ღამურასთან, ლინეი ამბობს: «რა საზიზღარი იქნებოდა ადამიანი, ის რომ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ა დ ა მ ი ა ნ ურ ზ ე მაღლა... არ ასულიყო...» ეს უკვე არ არის ეპიკტეტეს თქმა: «მე ადამიანი ვარ, და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის» [201]. ლინეის ეს ფრაზა, როგორც საერთოდ ყველა ფრაზა, როდესაც ისინი მ ხ ო ლ ო დ ფრაზებია, შეგვეძლო გულდამშვიდებით დაგვეეიწყნა, როგორც გადარაზული რამ ლინეის უდიდესი დამსახურებებით, მაგრამ, საუბედუროდ, იგი სრულიად შეესაბამება სქოლასტიკურ-რომანტიკულ თვალსაზრისს: ის ბნელიც არის, გაუგებარიც, სპირიტუალურიც და სწორედ ამიტომაც იმეორებენ თაობიდან თაობამდე, და არც ისე დიდი ხანია, ჯერ კიდევ გასულ წელს, ერთ-ერთი ცნობილი ფრანგი პროფესორი—ფლურანი—აღტაცებული იყო ლინეის პათეტიური გამოსვლით და ამბობდა, მარტო ეს ფრაზაც საკმარისია იმისათვის, რომ ლინეი უდიდეს გენიოსად ვაღიაროთო.

ჩვენ გულახდილად ვაღიარებთ, რომ ამ ფრაზაში ვხედავდით მხოლოდ სინდისის ქენჯნას და იმის სურვილს, რომ უხეში მატერიალიზმის დანაშაული გამოესწორებინათ უხეში სპირიტუალიზმით; მაგრამ ორმა ერთმანეთის საწინააღმდეგო და შეურიგებელმა დაბნეულობამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჭეშმარიტება შეადგინოს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, ადამიანმა უჩდა დაჰგმოს ყოველივე ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი, თუ ადამიანური სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა homo d* წოდებული ორხელიანი. უკუდო მაიმუნის განმასხვავებელ თავისებურებას; მაგრამ ვინ მისცა ლინეის უფლება ადამიანი აქციოს ცხოველად მხოლოდ იმიტომ, რომ მას აქვს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ი ს, რ ა ც ც ხ ო ვ ე ლ ს ა ქ ვ ს? უწოდა რა ადამიანს sapiens**, რატომ არ გამოაცალკევა იგი ი მ ი ს გულისათვის, რ ა ც არა აქვს ცხოველს და აქვს ადამიანს? და რა ბავშვური ლოგიკაა! თუ ადამიანმა იმისათვის, რომ იყოს იმად, რადაც შეიძლება რომ იყოს, უნდა დატოვოს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი, მაშინ რაღაა ადამიანური ამ დარჩენილში? აქ ან შეცდომაა, ან შეუძლებელი რამ: ის, რაც უნდა დატოვოს, ალბათ, არა ადამიანური, არამედ ცხოველურია, და როგორ უნდა ამაღლდეს თავის თავზე ზევით? ეს რაღაც იმას ჰგავს, თუ როგორ უნდა ასწიო თავის თავი, რომ უფრო ტანმაღალი გახდე.

ლინეის სენტენცია აღებულია ჩვენს მიერ შემთხვევით ათას მსგავსთა და უარესთაგან; ასეთი სენტენციები შეიჭრნენ მეცნიერულ გადმოცემაში და მათ იმეორებენ თითქოს მოვალეობისა ან თავაზიანობის გამო; ისინი ისტორიული ფანტასმაგორიებით ხელს უშლიან საგანთა ნათელ და პირდაპირ გაგებას. მსგავს მსჯელობათა და ცრურწმენათა ერთობლიობა შეადგენს ბუნებისა და მისი მოვლენების სულელური გაგების მთელ თეორიას. იმის ნაცვლად, რომ ყოველ ნაბიჯზე ამხილონ ამ ცნებათა უაზრობა, პოპულარიზაციის ჩვეუ-

---

* ადამიანი (ლათ.). — რ ე დ.

** გონიერი (ლათ.). — რ ე დ.

ლებრივი ცდები ეგუებიან მათ ისე, როგორც გაუნათლებელი გამდელები ელაპარაკებიან ხოლმე ბავშვებს ჩიქორთული ენით. მაგრამ ყოველივე ეს დასასრულს უახლოვდება: ა. ჰუმბოლდტი, როგორც ოდესღაც პლინიუსი, ტყუილუბრალოდ კი არ გამოსცემს დასათაურებას დამთავრებული ტომისათვის სახელწოდებით კოსმოსი[102].

თუ ჩვენ, თუნდაც შორიდან, რამდენიმედ თვალს მოვავლებთ იმას, რაც ხდება ახლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, გაგვანცვიფრებს რაღაც ახალი, ნათელი, ღრმააზროვანი სულის ქროლვა, რაც ისევე შორს არის უაზრო მატერიალიზმისაგან, როგორც მეოცნებე სპირიტუალიზმისაგან. საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მოთხრობა ახალი თვალსაზრისისა სიცოცხლეზე და ბუნებაზე, მეტად მნიშვნელოვანია: აი რატომ დაგვებადა სურვილი ვისაუბროთ ბ-ნ რულიეს საჯარო ლექციებზე, რომლებსაც ახლა ვეხებით.

ბ-ნ რულიემ თავისი საჯარო ლექციების საგნად აირჩია ცხოველთა ცხოვრებისა და ზნეჩვეულებების წესი, ე. ი. როგორც თვითონ გამოთქვა, ცხოველთა ფსიქოლოგია. ზოოლოგია თავისი უმაღლესი განვითარებისას აუცილებლად უნდა გადავიდეს ფსიქოლოგიაში. ცხოველთა სამეფოს მთავარი განმასხვავებელი, არსებითი ხასიათი მდგომარეობს ფსიქიური უნარის, შეგნებისა და ნებისმიერობის განვითარებაში. ლაპარაკი მეტია იმაზე, თუ რა დიდად საინტერესოა მოთხრობა სიცოცხლის შინაგანი საწყისის თანმიმდევრული და მრავალნაირი გამოვლინებების შესახებ, დაწყებული უხეში, აუცილებელი ინსტინქტიდან, საჭმელის გამოძებნის ბნელი მიდრეკილებიდან, თავდაცვის უნებლიე გრძნობიდან, და გათავებული განსჯის დაბალი საფეხურით, მიზანთან საშუალებების შეფარდებამდე, ერთგვარ შეგნებამდე და თავისათვის სიამოვნებამდე; ასეთი მოთხრობის დროს ყოველი მხრიდან თავისთავად წამოგვეჭრებიან და მოგვეჯარებიან ფრიად საინტერესო საკითხები, დაკვირვებები, გამოკვლევები, ბუნებისმეტყველებისა და თვით ფილოსოფიის უღრმესი ჭეშმარიტებანიც კი. ასეთი საგნის არჩევანი მოწმობს მეცნიერე-

ბის ცხოველ გაგებასა და დიდ გაბედულებას: აქ საჭიროა ხშირი გაკაფვა ახალი გზებისა: ცხოველთა ფსიქოლოგიას გაცილებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სწავლული ბუნებისმეტყველნი, ვიდრე ცხოველთა ფორმას. ცხოველთა ფსიქოლოგიამ უნდა დაამთავროს და დააგვირგვინოს შედარებითი ანატომია და ფიზიოლოგია; მან უნდა წარმოადგინოს ადამიანამდელ განვითარების პროცესში მყოფი შეგნების ფენომენოლოგია; ცხოველთა ფსიქოლოგიის დასასრული ადამიანის ფსიქოლოგიის დასაწყისშია; ცხოველთა ფსიქოლოგია შეერთვის ადამიანის ფსიქოლოგიას ისე, როგორც ვენების სისხლი შედის ფილტვებში იმისათვის, რომ გასუფთავდეს და იქცეს ალისფერ სისხლად, რომელიც მდინარებს ისტორიის არტერიებში. ცხოველის პროგრესი—მისი სხეულის პროგრესია; მისი ისტორია ორგანოთა პლასტიკური განვითარებაა პოლიპიდან დაწყებული მაიმუნამდე; ადამიანის პროგრესი — აზრის შინაარსის პროგრესია, და არა სხეულისა: სხეულს მეტი შორს წასვლა აღარ შეუძლია. მაგრამ ბუნებისმეტყველების თანამედროვე მდგომარეობისას ვეჭვობთ შესაძლებელი იყოს ცხოველთა ფსიქოლოგიის მეცნიერული გადმოცემა; მით უმეტეს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ ყოველგვარ ცდას, განსაკუთრებით, თუ ის ისე კარგად არის შესრულებული, როგორც ბ-ნ რულიეს ლექციები.

ზოოლოგია უმთავრესად ეხებოდა ცხოველთა სისტემას, ფორმას, გარეგნობას, ნიშნებს და განაწილებას; კლასიფიკაცია მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ სრულიადაც არა უმთავრესი. ლინეის ბოტანიკური კლასიფიკაციის საშინელი წარმატების მაცდუნებელმა მაგალითმა გაიტაცა ზოოლოგია და, კიუვეს * ჩინებული შენიშვნით, მისი წარმატება შეაჩერა იმით, რომ მთელი ყურადღება მიექცა, მთელი შრომა მოუნდა ნიშნების აღწერასა და ხელოვნურ სისტემებს. ამ მკვდარი და წმინდა ფორმალური მიმართულების წინააღმდეგ გაილაშქრა ბიუფონმა. ბიუფონს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა

* G. Cuvier, «Hist. des Sc. Nat.», t. I. p. 301. — ა. ბ.

თავისი თანამედროვე ნატურალისტების დიდ ნაწილთან შედარებით — მან სრულიად არ იცოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. როდესაც Jardin des Plantes* უფროსი გახდა, პირველად მას საოცრად შეუყვარდა ბუნება, ხოლო შემდეგ შეუდგა მის შესწავლას თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ, შეჰქონდა რა ღრმა ნააზრევი ფაქტების გამოკვლევაში, ნააზრევი ცოცხალი და სრულიად დამოუკიდებელი სკოლურ ცრურწმენათაგან, აზრის დამაჩლუნგებელთაგან და რუტინით წარმატების ხელისშემშლელთაგან [203]. ბიუფონს მეტისმეტად ეშინოდა კლასიფიკაციისა და სისტემატიკისა; მისი შესწავლის საგანი იყო ცხოველები თავიანთ სასიცოცხლო გამოვლინებათა მთელი სავსეობით, მათი ანატომიითა და ცხოვრების ნირით, მათი გარეგნობითა და ვნებებით; ცხოველთა ასეთი შესწავლისათვის საკმაო არ იყო მუზეუმებში სიარული, მათი ფორმების შედარება, მხოლოდ სიცოცხლის ნაკვალევთა ცქერა, მათი განსხვავებისა და მსგავსების აღმოჩენა; საჭირო იყო სიარული სამხეცეში, თავლებში, საფრინველოებში, საჭირო იყო სიარული ტყეში, მინდვრად, საჭირო იყო მეთევზეობა—ერთი სიტყვით, საჭირო იყო იმის გაკეთება, რაც ამერიკული ორნიტოლოგიისათვის გააკეთა ოდიუბონმა. ბიუფონს არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა მეცნიერული სახე მიეცა ბუნების შესწავლისათვის: მასალა საკმაო არ იყო, თანაც მისი გენიის წყობა მეთოდოლოგიური ხასიათისა არ იყო; შესაძლოა, ამიტომაც იყო, რომ მის შემდეგ მეცნიერება არ გაჰყვა მის გზას, თუმცა მის მიერ მითითებული მიმართულებით წავიდა. ბიუფონმა ჩააგონა დობანტონს ცხოველთა ანატომია, და შედარებითმა ანატომიამ შთანთქა მთელი ყურადღება. ათი წელიც კი არ გასულა ბიუფონის სიკვდილიდან, რომ ზოოლოგია გამოეთხოვა მასაც და ლინეისაც. უცნობი ახალგაზრდა ბუნებისმეტყველი რესპუბლიკის III წლის 21 ფლორეალს თავს დაესხა ლინეის სისტემას ინსტიტუტის სხდომაზე; რაღაც ძალოვანი, მტკიცე, მოფიქრებული და მკვეთრი რამ

---

* ბოტანიკური ბაღი (პარიზში). — რ ე დ.

ისმოდა ახალგაზრდა კაცის სიტყვებში; აზრმა ცხოველთა სამეფოს ოთხი ტიპის * შესახებ და იმის შესახებ, რომ დანაწილება დაფუძნებულ უნდა იქნას არა მარტო ნიშანთა ერთ რიგზე, არამედ ყველა სისტემისა და ყველა ორგანოს ერთობლივ განხილვაზე,—განაცვიფრა მსმენელები. ეს კაცი მოწოდებული იყო დიდად წაეწია წინ ზოოლოგია. იგი მოითხოვდა ანატომიას, ნაწილების შედარებას, მათი შესაბამისობის გამორკვევას; მას მრავალი შრომები ჰქონდა, საოცარი შორსმჭვრეტელობა უწყობდა ხელს; მისი ყოველი შენიშვნა ახალი აზრი იყო; ორ პარალელურ ორგანოთა ყოველი შედარება «სწორი ანალიზის» საერთო თეორიის სულ უფრო მეტ შესაძლებლობას შლიდა; ამ თეორიის საშუალებით ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს მ ტ კ ი ც ე დ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი ს (ასე უწოდებ და კიუვე ძირითად მიზეზებს) გზით შეიძლებოდა მისვლა ფორმებამდე, მათ მოქმედებებამდე **. ამ საწყისთა პრაქტიკული განხორციელების პირველმა გენიალურმა ცდამ კიუვე მიიყვანა ერთი პაწია ძვლის მიხედვით მთელი ცხოვრების აღდგენის შესაძლებლობიდან ნამარხ ცხოველთა მთელი სამყაროს ნამდვილ აღდგენამდე; წარღვნის წინადროინდელ ცხოველთა აღდგენა შედარებითი ანატომიის მთელი ზეიმი იყო. ფრთებს ისხამდა კამპერის [204] ოცნებანი, შედარებითი ანატომია მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ იქცეოდა. კიუვე ამბობს თავის «პალეონტოგრაფიაში» (გვ. 90): «ორგანული არსება შეადგენს მთელს, თავის თავში შეკრულ სისტემას, რომლის ნაწილები აუცილებლად შეესაბამებიან ერთიმეორეს და ხელს უწყობენ ერთმანეთს საერთო მიზნის მიღწევაში; აქედან გასაგებია, რომ ყოველი ცალკე აღებული ნაწილი ყველა დანარჩენი ნაწილის წარმომადგენელია. თუ საქმლის მომნელებელი ორგანოები ისეა მოწყობილი, რომ მათ დანიშნულებას მხოლოდ უმი ხორცის გადამუშავება შეადგენს, მაშინ ყბებიც განსა-

---

* ხერხემლიანნი, სიპინები, სახსრებიანნი, ვარსკვლავისებრნი. — ა. გ.

**Régue animal, Introduction. — ა. გ. (ცხოველთა სამეფოს შესავალის). — რ ე დ.

კუთრებულად უნდა იყოს მოწყობილი, და გრძელი ბრჭყალებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მაგრად მოეჭიდოს და გაგლიჯოს თავისი მსხვერპლი, ბასრი კბილებიც, ფეხების კუნთების ძლიერი განვითარებაც სირბილისათვის, ყნოსვისა და მხედველობის გამახვილებაც; მტაცებელი მხეცის ტვინიც კი განსაკუთრებით უნდა იყოს განვითარებული, იმიტომ რომ მხეცს ეშმაკობის უნარი აქვს», და სხვ *. შეხედულების რა სიფართოვეა და ბეკონის ინდუქციის რა გამარჯვებაა მასში.

მიუხედავად ამისა, მარტოოდენ ანატომიურმა მიმართულებამ თავისი უხერხულობანი შექმნა: კიუვეს გენიალობა ამ უხერხულობებს ფარავდა, ანელებდა; ბევრ მის მიმდევარს კი ისინი აშკარად გამოაჩნდა. ანატომია გვაჩვენებს განვიხილოთ მიმდინარე ნაკადი, სწრაფი პროცესი, როგორც დამდგარი რამ, გვაჩვენებს ვუყურეთ არა ცოცხალ არსებას, არამედ მის სხეულს, როგორც რაღაც ვნებულს, როგორც დამთავრებულ შედეგს, ხოლო დამთავრებული შედეგი სიცოცხლის ენაზე მ კ ვ დ ა რ ს ნიშნავს; სიცოცხლე — მოქმედებაა, განუწყვეტელი მოქმედება, «გრიგალი, მიმოქცევა», როგორც კიუვემ უწოდა მას. კიდევ მეტი, ცხოველთა სხეულის ანატომიური, ე. ი. აღწერითი შესწავლა სხვა არ არის რა, თუ არა უფრო განვითარებული შესწავლა გარეგნული ნიშნებისა: ცხოველის შიგნეულობა — მ ი ს ი გ ა რ ე გ ნ ო ბ ი ს მ ე ო რ ე მ ხ ა რ ე ა, — ეს სიტყვების თამაში როდია. ცხოველის გარეგნობა, მისი სახიერი მხარე ** — გამჟღავნებული შინაგანი მხარეა; მაგრამ ყველა მისი

---

* შედარებითს ანატომიაზე ძალიან ბევრს მუშაობდა არისტოტელე, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მთლიანი რამ მისი შრომებიდან არ შექმნილა[20]. ანტიკურ მოაზროვნეებს, სხვათა შორის, ძალიან კარგად ესმოდათ ფორმის შესაბამისობა შინაარსთან ორგანიზმში. ქსენოფონტე თავის Απομνημονευματα-ში (წიგნ. 1, თავი IV) ამბობს: «რა ადამიანურის გაკეთება შეეძლებოდა ადამიანის სულს ხარის სხეულში, და რას გააკეთებდა ხარი, მას რომ ხელები ჰქონოდა». — ა. გ.

** ცხოველის გარეგნული ფიზიონომია (habitus) იმდენად მკვეთრია, რომ — ერთი შეხედვითაც შეიძლება გავიგოთ იმ გვარის ხასიათი და განვითარების დონე, რომელსაც ის ეკუთვნის; მოიგონეთ, მაგალითად, ვეფხვისა და აქლემის გამომეტყველება — ასე მკვეთრად გამოვლენილი

შინაგანი ნაწილებიც სწორედ ასევე რაღაც კიდევ უფრო შინაგანის გამომჟღავნებაა, ხოლო ეს შინაგანი საწყისი არის თვით სიცოცხლე, თვით მოქმედება, რომლისთვისაც შიგნით და გარეთ არსებული ნაწილები — ყველა თანაბრად ორგანოებია. საქმე იმაშია, რომ არც მარტო გარეგნობისა და არც მარტო ანატომიის შესწავლა არ იძლევა ცხოველის სრულ ცოდნას [206]. დიდმა გოეთემ პირველმა შეიტანა მოძრაობის ელემენტი შედარებითს ანატომიაში — მან გვიჩვენა ორგანიზმის არქიტექტონიკის გამორკვევის შესაძლებლობა მის წარმოშობასა და თანდათანობითს განვითარებაში: მის მიერ აღმოჩენილ კანონებს — მარცვლის ნაწილების გადაქცევა სათესლე ნაწილებად, ღეროდ, კვირტებად, ფოთლებად და შემდეგ ფოთლის სახეცვლა ყვავილის ყველა ნაწილად — პირდაპირ მივყავდით ცხოველის სხეულის ნაწილთა გენეტიკური განვითარების ცდისაკენ. გოეთე თითონ ბევრს მუშაობდა ოსტეოლოგიაზე; როდესაც იგი, ამ საგნით გატაცებული, იტალიაში გათხრილი საფლავების ახლოს სეირნობდა და წააწყდა თავის ქალას, რაც თავისავე ხერხემლის ახლოს იდვა, მას დაებადა აზრი, რომელმაც შემდეგში სრული მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა ოსტოლოგიაში, — აზრი, რომ თავი – სხვა არა არის რა, თუ არა რამდენიმე მალის განსაკუთრებული განვითარება. მაგრამ გოეთეს შეხედულებაც მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა დ რჩებოდა; მსჯელობდა რა, ასე ვთქვათ, ფორმათა გეომეტრიული განვითარების შესახებ, გოეთე არ ფიქრობდა შინაარსზე, მასალაზე, რომელიც ვითარდება და განუწყვეტლივ იცვლება ფორმის შეცვლასთან ერთად.

ამ წერილის ფარგლები რომ ნებას იძლეოდნენ, ჩვენ შევჩერდებოდით ორ უდიდეს ცდაზე, რომლებმაც გრძელი კვალი გაავლეს: ჩვენ ვლაპარაკობთ ეოფრუა სენტ-ილერსა და ოკენზე. პირველის მოძღვრებამ ერთიან ტიპზე [207], ემბრიო-

---

ხასიათი არა აქვთ შინაგან ნაწილებს სრულიად უბრალო მიზეზთა გამო: ცხოველის გარეგნობა — მისი აბრაა; ბუნება მიისწრაფვის რაც შეიძლება ცხადად გამოთქვას ყოველივე, რაც სულს იქით არის, და სწორედ იმ ნაწილებით, რომლებითაც საგანი მიქცეულია გარემყარისაკენ. — ა. ბ.

ლოგიისა და ტერატოლოგიაზე და მეორის ღრმა კლასიფიკაციის ცდამ — ზოოლოგია მიუახლოვა იმას, რისკენაც ის ისწრაფოდა — მორფოლოგიიდან გადასვლას ფიზიოლოგიაში, ამ ზღვაში, რომელიც თავისკენ მოუხმობს ორგანულ სხეულთა მეცნიერების ყველა ცალკე ტოტს იმისათვის, რომ დაიყვანოს ისინი ქიმიამდე, ფიზიკამდე და მექანიკამდე ანუ, უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, — უიარაღო ბუნების ფიზიოლოგიამდე. «პირველობის გვირგვინი ბუნებისმეტყველებაში მას ერგება, — ამბობს ბერი, — ვინც ცხოველის ორგანიზმის წარმოშობის ყველა მოვლენას დაიყვანს საყოველთაო მსოფლიო ძალებამდე. მაგრამ ის ხე, რომლისგანაც ამ ადამიანის აკვანს გააკეთებენ, ჯერ კიდევ არ აღმოცენებულა»*. ჩვენ კი, პირიქით, ვფიქრობთ, არამც თუ ხე აღმოცენდა, არამედ აკვანიც უკვე გაკეთებულია. ძლიერი საქმიანობა ჩქეფს ბუნებისმეტყველების ყველა სფეროში: ერთი მხრივ, დიუმამ[208], ლიბიხმა და რასპაილმა**, მეორე მხრივ ვალენტინმა, ვაგნერმა და მაჟანდიმ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ახალი ხასიათი მიანიჭეს — რაღაც ღრმა, რეალისტური, გარკვეული და საკითხების სწორად დამყენებელი. ყოველი ჟურნალი, ყოველი ბროშურა მოწმობს გაჩაღებულ მუშაობას; ყოველივე ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტია, კერძოა, მაგრამ უკვე თავისთავად იკვრის მიმართულების ერთიანობით, სულისკვეთების ერთიანობით, რაც ყველა საქმიან შრომაში იგრძნობა. მაგრამ თუ ფიზიოლოგიის ამოცანა ნამდვილად იმაში მდგომარეობს, რომ გაიგოს ქიმიზმის უმაღლესი განვითარება ორგანულ პრო-

---

* K. E. Bär, «Entwicklungsgeschichte der Thiere», p XXII. — ა. ბ.

** ამას წინათ პეტერბურგის ერთ გაზეთში ჩვენ განცვიფრებით წავიკითხეთ უხეში ლანძღვა რასპაილისა. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ მიზეზი პიროვნება იყოს, მაგრამ, არც ქ ი მ ი უ რ ი რამ იყო აზრთა სხვაობის მიზეზი: წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელია დამწერს ქიმიის ცოდნა დავწამოთ. რასპაილის დამსახურებანი ორგანიული ქიმიის, მიკროსკოპული გამოკვლევებისა და ფიზიოლოგიის დარგში ყველა განათლებულ ადამიანისათვის ცნობილია და მას პატივს სცემენ ისინიც კი, რომლებიც არ ეთანხმებიან მის ჰიპოთეზებსა და თეორიებს[209] — ა. ბ.

ცესში, ხოლო ქიმიზმში— სიცოცხლის დაბალი საფეხური, თუ ფიზიოლოგიას არ შეუძლია აცდეს ქიმიურ-ფიზიკურ ნიადაგს, მაშინ იგი თავისი ზედა ტოტებით სულ სხვა სამყაროში გადადის: ტვინს, როგორც უმაღლეს უნარიანობათა ორგანოს, თუ თავისი მოქმედების შესრულების ჟამს განვიხილავთ, პირდაპირ მივყევართ ზნეობრივი მხარის ფიზიკურ მხარესთან დამოკიდებულების შესწავლისაკენ და ამრიგად — ფსიქოლოგიისაკენ. აქ შეიძლება გაჩნდეს ისეთი საკითხები, რომლებსაც ვერ დაძლევს ვერც ფიზიკა, ვერც ქიმია და რომელთა გადაწყვეტა მ ხ ო ლ ო დ ფილოსოფიური აზროვნების საშუალებით შეიძლება.

ბ-ნ რულიემ, რომელსაც სავსებით ესმოდა, რომ ცხოველთა ფსიქოლოგიის მეცნიერული გადმოცემა ბუნებისმეტყველების თანამედროვე მდგომარეობის პირობებში შეუძლებელია, აირჩია ბიუფონის თხრობის მანერა; მისი თხრობა ინსტინქტისა და განჯის შესახებ, ცხოველთა მიხვედრილობისა და მათი ზნე-ჩვეულებების შესახებ ახალი და ცოცხალი იყო, ეფუძნებოდა მდიდარ ცნობებს ბ-ნ პროფესორისას, რომელიც ცნობილია თავისი მნიშვნელოვანი დამსახურებებით მოსკოვის პალეონტოლოგიის დარგში; ჩვენთვის სასიამოვნო იყო დაგვენახა მის სიტყვებში და იმაში, რომ იგი მუდამ იცავდა ცხოველებს, რაღაცნაირი აღდგენა იმ არსებათა ღირსებისა, რომლებიც შეურაცხყოფილი არიან ადამიანის სიამაყით თვით თეორიაშიაც კი. ერთ-ერთ შემდგომ წერილში [210] ჩვენ ნებას მოვითხოვთ გამოვთქვათ ჩვენი აზრი ბ-ნ რულიეს თეორიებისა და შეხედულების შესახებ, ახლა კი შემოვიფარგლებით ერთი სურვილის გადმოცემით, რაც ჩვენ რამდენჯერმე მოგვივიდა თავში, როდესაც მეცნიერის წარმტაც მოთხრობას ვუსმენდით. ყველა თქმულის მთლიანობა ხელიდან გვისხლტება; ჩვენ გვგონია, რომ ეს ხდება ბ-ნ პროფესორის მიერ არჩეული წესრიგის გამო. ცხოველთა ცხოვრების ერთი ფსიქიური მხარიდან მეორე მხარეზე თანმიმდევრად გადასვლის ნაცვლად ბ-ნ პროფესორი თვალწინ რომ გვიშლიდეს ცხოველთა სამეფოს ფსიქიურ მოქმედებას

გენეტიკური წესრიგით — იმ წესრიგით, რომლითაც ეს მოქმედება ვითარდება დაბალი კლასებიდან ძუძუმწოვრებამდე,— უფრო მეტი მთლიანობა იქნებოდა, და მსმენელთა გონებაში თავისთავად დალაგდებოდა ფსიქიური პროგრესის ისტორია მისი პირდაპირი თანაფარდობით ფორმასთან. ამასთანავე ეს შემთხვევას მისცემდა ბ-ნ პროფესორს გაეცნო თავისი მსმენელებისათვის ეს ფორმები, ფსიქიური ცხოვრების ეს იარაღები, რომლებიც, განუწყვეტლივ ვითარდებიან რა ყოველი მიმართულებით, ათასი გზებით მიისწრაფვიან ერთი მიზნისაკენ და ყოველთვის ინარჩუნებენ სწორ შესაბამისობას ფსიქიური მოქმედების განვითარების დონესა, ორგანოსა და გარემოს შორის.

წერილი ნ. პ. ოგარიოვისადმი [211]

1845 წ. 1/13 იანვარი, მოსკოვი.

დღეს ახალი წლისათვის მივიღე თქვენი უსტარი [212]. ამ უსტარმა მომისწრო ერთ-ერთ ისეთ წუთს, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ მის სულში ნათელი დღეა — ერთი წყება ღრუბლები გადაიყარა, მეორე წყება არ ამოგრაგნილა, ცა ნათელია, გამჭირვალე etc. გეთაყვა, არ შეცდეთ: ეს ნათელი დღე ხომ ჩემს შიგნით არის, გარეთ კი ნამდვილად არავითარი ღრუბლები არ გადაყრილან, არამედ გართხმულან ცაზე და ხელს უშლიან წესიერ გათენებას, მაბრაზებენ ბურუსით, სიცივით. თუმცა, არც ბერლინია მაინცდამაინც იტალია. ასე და ამრიგად, თქვენმა წერილმა ამ ჯერად კარგ ამინდში მომისწრო...

ამ დღეებში მე შემეძინა ქალიშვილი [213]. ყველაფერი კარგად დამთავრდა; დიდი ხანია, და შესაძლოა, არასდროსაც არ განმიცდია ნშვიდი და წყნარი გრძნობა იმისა, რომ მაქვს აწმყო, კარგი აწმყო, სიცოცხლით აღსავსე აწმყო. ჩვენ საშინლად დამნაშავენი ვართ აწმყოს წინაშე, — სულ მოგონებანი და იმედები, sui generis * აბსტრაქციები, სიცოცხლე კი გვიქრება ხელიდან, შეუმჩნეველი, დაუფასებელი. არა, შესდექ, ძვირფასო წუთო, მომეც საშუალება შევსვა შენგან ნეტარება წვეთ-წვეთად!

* თავისებური (ლათ.). — რ ე დ.

ჭეშმარიტი აღტაცების წუთი გულმავიწყი და უიმედოა, რადგან იგი აღსავსეა თვით თავისი თავით. მართლაც, აწმყო არასდროს ერთი არ არის; მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება მასში აისახება, ინახება, და მხოლოდ მან — აწმყომ უნდა დათრგუნოს. ამას ვლაპარაკობ არა იმდენად თქვენთვის, რამდენადაც ჩემთვის; მე არ შემიძლია ამ რეალურ-პრაქტიკულ სიმაღლეზე შევჩერდე; თუ ჩემი მიდრეკილება რომანტიულ-სენტიმენტალური გრიუბელეობა [211] არ არის, მაშინ ჩემი მიდრეკილება სიმხდალეა მომავლის წინაშე, — ჩემი სიამე ხშირად იჩრდილება ცივი აზრით: შეიძლება, ხვალ სრულიადაც დავკარგო იგი? ვინ იცის რამდენი რამ მოხდება? ასე თუ იფიქრე — უნდა დაჯდე, მოირთხა ფეხები და გულზე ხელები დაიკრიფო, — მაგრამ ჭკუაში მაინც მოგვდის. ადამიანს ყველაზე ნაკლებად შეუძლია შეეგუოს იმის მეტისმეტ მერყეობას, უმტკიცობას, რაც საუკეთესო რამ გააჩნია მას. საქმე კი, ვგონებ, უბრალოა: რამდენადაც მტკიცეა საგანი, იმდენად იგი გაქვავებულია, იმდენად შორს არის ჩვენგან. სწორედ ამ des Schwebenden* ციმციმში, ამ ნატიფსა და მერყეევშია — უკანასკნელი სიტყვა, სიცოცხლის უკანასკნელი კეთილსურნელება, იმიტომ, რომ მტკიცე უმოძრაოა, აპათიურია, ხოლო ნაზი, ნატიფი — პროცესია, მოძრაობაა, ენერგიაა, das Werden-ია**. სიცოცხლის უმაღლესი გამოვლინება სუსტია, იმიტომ, რომ მთელი მატერიალური ძალა დახარჯულია ამ სიმაღლის მისაღწევად; ყვავილი მოკვდება ცივი ქარისაგან, ღერო კი გამაგრდება. კუნთებს ხელით ვერ დაგლეჯ, ხოლო ტვინს?

იცი თუ არა შენ, რომ როდესაც ანატომიას ვისმენდი, ერთ ხელაც გულგრილად ვერ შევხედე ტვინს, ამ მოცახცახე, რბილ მასას; სულში რაღაცნაირი მოკრძალება სუფევს — გეშინია შეეხო ტვინს იმ კადნიერი ხელებით, რომლებითაც ეხები გვამს: გგონია, რომ ის კიდევ ცოცხალია და ტკივილს იგრძნობს.

---

* მოლიერი (გერმ.). — რ ე დ.

** ქმნადობა (გერმ.). — რ ე დ.

მაგრამ ვუბრუნდები ეკვიანობას. იგულისხმება, ვისაც არ სურს ძრწოლა მომაველის წინაშე — ხან კი ტანჯვაც აწმყოში, — ვინც ჩამოიშორა ნახევარი სიცოცხლე და მყუდროება დაიმკვიდრა მეორე ნახევარში, იგი ან ეგოისტია, ან აბსტრაქტული ადამიანი, ე. ი. ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია იცხოვროს მარტო საყოველთაო სფეროში; მაგრამ ასეთი ცხოვრება არაბუნებრივია. გულისა და სულის ნაწილი უნდა ეკუთვნოდეს ახლობელ ადამიანებს. ავგუსტინე ამბობს, ადამიანი არ უნდა იყოს ადამიანის მიზანიო. ეს ასეა: ადამიანი არ უნდა იყოს ერთადერთი მიზანი, მაგრამ რა ბედენაა ნირწაშლილი პირი, რომელსაც მხოლოდ უპიროვნო უყვარს? ასეთები ზნეობრივი საჭურისები და ცვედნებია. საჭიროა განვახორციელოთ ყველა შესაძლებლობა, ვიცხოვროთ ყოველი მიმართულებით, ეს არის სიცოცხლის ენციკლოპედია, ხოლო რა განოვა აქედან და როგორ იქნება, ამაზე მე არ შემიძლია ამომწურავად ვუპასუხო, რადგან გარეშე პიროობებისა და შეჯახებების მთელი უფსკრული სუფევს. ვაი მას, ვინც ტალანტი დამარხა, ხოლო ვინც თავის თავში განავითარა ყოველივე, — რამდენადაც შეეძლო, ის მართალია!

აი, თქვენ პატარა და გრძელი დისერტაცია პრაქტიკული ფილოსოფიიდან.

ახლა მივმართავ შენს სპეკულატურ ფილოსოფიას [215]. ყოველივე, რასაც შენ უკანასკნელ წერილში წერ, ჩემი აზრით, ფრიად საქმიანია და წინანდელ ნაწერებზე უფრო საქმიანი [216]; მხოლოდ შენ ბარბაროსული გამოთქმები გაქვს: ადამიანისათვის, რომელიც ბერლინში არ ცხოვრობს. ასეთი ენა საშინლად ძნელია (ჩემს წერილებს კი თავს ესხმოდი) [217]. Au reste, ამაზე ხვალ. გათენდება და ვნახოთ.

ხოლო დაძინების წინ გეტყვი, რომ გრანოვსკის [218] ჟურნალი არ იქნება, და ამიტომ ალ. ალ.-ს [219] 10-ის ნაცვლად გამოვართმევ 5... იგი აქ არის. საუცხოო ადამიანია.

ნევროდოვების [220] შესახებ იქნება ისე, როგორც სწერია. ალ. ალ.-მა ისინი მაგრად დატუქსა; მგონია, მათ ეს არ მოეწონათ. საქმე იმაშია, მასაც არ აქვს კარგად შეგნებული

ის, რომ ისინი არ არიან ასულნი განათლების იმ წერტილზე, საიდანაც შეიძლება გაიგონ ის, რასაც იგი ლაპარაკობდა.

2 იანვარი. გადავიკითხე შენი წერილი. ყოველივე, რასაც შენ წერ ნეგაციის[221] შესახებ, ჩემთვის ისე გასაგები და ახლობელია, საუბრებში ისე ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გამოვთქვამდით ამა თუ იმ სიტყვებით, რომ მე ახალს კი არა, არამედ ახლობელსა და მშობლიურს შევხვდი იმაში, რასაც შენ წერ. მაგრამ, la justice avant tout *, ეს არა იმდენად დიპლომია ჩვენი ფილოსოფიური აზრისა და პარალელური განვითარების სასარგებლოდ, რამდენად იმის დადასტურება, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ერთ და იმავე ინტელექტუალურ ატმოსფეროში და მის გავლენას განვიცდით. მე სრულიადაც არა მაქვს აზროვნების თვითმყოფობა და არც ინიციატივაც კი, მაგრამ მე მაქვს სწრაფი მოსაზრება და კონსეკვენტურობა[222]. Stimulus** მე ყოველთვის გარეგანი მაქვს. მე მეჯავრება აბსტრაქციები და არ შემიძლია დიდხანს სუნთქვა მათ შორის (ამიტომ ბევრი მონდომების მიუხედავად, ყოველთვის ცუდი მათემატიკოსი ვიყავი, სულით და გულით ვერასდროს ვერ მოვკიდე ხელი ვერც ასტრონომიას, ვერც მექანიკას და ვერც თვით ფიზიკას), ამიტომ კიდევ ერთი ნაკლი მაქვს, რომლის გამოსყიდვა, შესაძლოა, კიდევაც ხდება ცოცხალი მიხვედრილობით, მაგრამ მაინც მაქვს წმინდა აზროვნების სპეკულატური უნარის თეორიული ნაკლი.

მე გამუდმებით მიზიდავს სიცოცხლე: ფიზიოლოგია და ისტორია — მეცნიერების ერთადერთი კონკრეტული ავლადიდება. მაგრამ მხოლოდ, მათი სრული სიცხოველისათვის, ფიზიოლოგია უნდა დაიწყოს ქიმიაში, ისტორია კი—ფიზიოლოგიაში. შენ გაკვრით წერ: «ლოგიკა მაინც აბსტრაქტულიაო»; დიახ, ეს თავისთავად იგულისხმება; სწორედ ამ სიცოცხლის ზემოთ აზიდული სიმაღლის გამო ლოგიკა სიცოცხლეზე დაბლა დგას. წაიკითხე ამის შესახებ ჩემს IV სტა-

* სამართლიანობა უწინარეს ყოვლისა (ფრანგ.). — რ ე დ.

** სტიმული, წაქეზება, იძულება. — რ ე დ.

ტიაში [223]. მე ეს პირდაპირ ვთქვი. და შენ სრულიად მართალი ხარ, ბუნებისმეტყველება იმიტომ ჯიუტობს, რომ ლოგიკას სურს თავისი საყოველთაო ელემენტით ჩაახშოს კერძო—თავისუფალი ბუნება. შეგნებულ აზრს ტყუილუბრალოდ სურს დადგეს ბუნების წინ, როგორც prius*. ეს ლოგიკური გადასმაა, შედეგის ლოგიკაა. «ლოგიკა თავს იქებს იმით, რომ a priori გამოჰყავს ბუნება და ისტორია. მაგრამ ბუნება და ისტორია იმით არიან დიადი, რომ ისინი ამას არ საჭიროებენ: კიდევ მეტი — თვითონ მათ გამოჰყავთ ლოგიკა a posteriori», — ვთქვი მე ახალ სტატიაში.

შენ წერ: «ლოგიკის აგების შემდეგ მე ვერ ვხედავ იმის საჭიროებას, რომ იდეა ბუნებად გამოვლინდეს». უეჭველად, ეს ისევე სასაცილოა, როგორც ის, რომ ადამიანი, რომელმაც დაწერა ემბრიოლოგია, დაამთავრა იგი, — ისევ იქცეს სათესლე სითხედ — და, მოდი, კვლავ დაიბადოს. ამის მიზეზი მაინც იდეალიზმის სიამაყეა და უდღეური დუალიზმი, რომელიც ჰეგელმა დაამარცხა თ ე ო რ ი უ ლ ა დ, მაგრამ დარჩა სინამდვილეში. ფიზიოლოგიამ უნდა მიგვიყვანოს იმის აუცილებლობამდე, რომ იდეა გაიშალოს გონიერ ორგანიზმად და არა პირიქით. რაც შეეხება შენს შენიშვნებს «ენციკლოპედიის» II ნაწილზე — ამის შესახებ წერას ვერ შევუდგები: ამისათვის საჭიროა თვით გადავიკითხო წიგნი და თან დაველექტროვდე აბსტრაქტული დენით. ერთ რამეს ვჰვრეტ და ვგრძნობ — ჯერჯერობით არ შემიძლია ნათლად გამოვთქვა და გავიგო: ნივთიერება ისეთივე აბსტრაქციაა ქვემოთ, როგორც ლოგიკაა— აბსტრაქცია ზემოთ; არც ერთი და არც მეორე არ არის საკუთრივ კონკრეტულ სინამდვილეში, არამედ არის პროცესი, არის ურთიერთმოქმედება, ბრძოლა ყოფიერებისა და არაყოფიერებისა, არის Werden [ქმნადობა]. ნივთიერება-სუბსტრატი, ქმედითი ფორმა (არისტოტელესებური განსაზღვრა). იგი ციმციმებს ერთმაგ მოვლენებში, განუწყვეტლივ ილტვის შეიჭრას მსოფლიო მორფოლოგიაში

* პირველდაწყებითი (ლათ.). — რ ე დ.

(ამ მიქცევას რომ არ ელტვოდეს, ის არც იქნებოდა); ამ წუთს ის არის, როგორც კერძოობა, როგორც ინდივიდუალობა, როგორც შეჯახება და შედეგი, მაგრამ ის უკვე არც არის, იმიტომ რომ ამ მიმოქცევაში შეჩერება არაფერს შეუძლია. ლაიბნიცი ამბობს: «ნივთიერი სამყარო განუწყვეტლივ იცვლება, როგორც წყალი თქვენი ნავის ქვეშ; ინარჩუნებს რა თავის სახეს, იგი ჰგავს თეზეოსის ხომალდს, რომლის შეკეთებას ათენელები გამუდმებით ეწეოდნენ». საუცხოო შედარებაა. შენ კი, ჩემო გაბერლინელებულო, დაიწყე წარმოდგენათა დაცვა; აკი მხოლოდ მანდ, თქვენთან, მიშლეტშჩინისა და ვერდეროვშჩინის [224] სარბიელზე ეშინიათ სენსუალიზმის სახეებისა და აზრებისა.

მართლაც, რა არის წმინდა აზრი? ეს მოჩვენებაა, ეს ის უსხეულო სულებია, რომლებიც ნახა დანტემ და რომლებიც, თუმცა უსხეულონი იყვნენ, მაგრამ მაინც ხმამაღლა უყვებოდნენ მას ფლორენციულ ანეკდოტებს. შენ შეეხე ქიმიის უდიდეს მნიშვნელობას. აქ მე მყავს ერთი ნაცნობი, რომელიც მხოლოდ ქიმიაში ეძებს ფიზიოლოგიისა და ლოგიკის გასაღებს. მე ნაკლებად ვიცი ქიმია, ოდესღაც რაც ვიცოდი, დამავიწყდა, — მაგრამ ის, რაც ლიბიხის წიგნში წავიკითხე, ზუსტად ადასტურებს, რომ უმალ ქიმია ახსნის რაღაცას, ვიდრე ჰეგელის «ენციკლოპედიის» პირველი თავები, ე. ი. II ნაწილის. სხვათა შორის, მე სრულიად არ გეთანხმები ორგანული და არაორგანული ბუნების გამიჯვნაში. ესეც აგრეთვე ძველი სილოგიზმია, დაფუძნებული მიჯნების დადგენის მიდრეკილებაზე.

ბუნებას არ უყვარს ინდოეთის კასტები. ქიმიისა და ფიზიოლოგიის საგანი ერთი პროცესია: ფიზიოლოგია არის მრავალსაწყისიან ნაერთთა ქიმია, მაშინ, როდესაც ქიმია, პირიქით, ორსაწყისიან ნაერთთა ფიზიოლოგიაა. ორსაწყისიანი ნაერთები მაშინვე შედეგისაკენ მიისწრაფვიან, მაგრამ მრავალსაწყისიანი ნაერთები თითქოს * იმისათვის ილე-

* «თითქოს». ეს manière de dire. საქმე იმაშია, რომ როგორც კი ინასკვებიან რთული რადიკალები, ასე აუცილებლად ყოვნდება საბოლოო

ბენ მესამე ქმედითს (რთულსა და მარტივს, სულ ერთია), რომ შეაკავონ პროცესი, რომ რთული ბრძოლით საქმე მეტად გაახანგრძლივონ, და ამ წონასწორობაში, ამ რყევაში წარმოიშვებიან ეს მრავალსაწყისიანი ქსოვილები, რომლებიც განუწყვეტლივ იწვიან, აღსდგებიან და აღსავსენი არიან მოქმედებიანობით. ორსაწყისიანობის გამარჯვების პროცესის მატერიალური შედეგია ლპობა ან აბსტრაქტული მრავალსაწყისიანობის გამარჯვება: თმები, ფრჩხილები, ძვლები, ნახევრად ცოცხალი ნაწილები. (ეს ჩემი აზრი არ არის, არ მინდა plagiat*; ჩაუკვირდი ამ აზრს, იგი შესანიშნავია). მრავალსაწყისიანობის გვირგვინი—ტვინი და ნერვული სისტემაა. ლიბიხი ერთ ადგილას ამბობს: არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც ერთი ძლიერი გრძნობა, არც ერთი ძლიერი მოქმედება იმ ცვლილების გარეშე, რომელიც ხდება ამასთან დაკავშირებით ტვინის ქვალიტატურ შემადგენლობაში. ეს სრულიადაც არ არის ის, რასაც ფრანგები ამბობდნენ XVII საუკუნეში: «აზრი ტვინის სეკრეცი

ეს სიტყვა, როგორშიც გრანოვსკიმ მიიღო. საქმე იმაშია რომ მან იპოვა ერთთავად მშთანთქველი, ერთიანი, სულისა და გულის შესაფერი, ფრიად ნათელი საქმე და მშვენივრად მიდის ამ გზით. რაც შეეხება რომანტიზმის ბრალდებას — primo*, ეს ბრალდება არაა, ხოლო secundo**, გაიმეორე თვითონ, რასაც შენ წერ ფროლოვის შესახებ. რა საქმეა, როგორ და რატომ შეერთო სიცოცხლეს ესა თუ ის ელემენტი: ლაპარაკია იმაზე, როგორია ადამიანი, და დაძლეულია თუ არა მის მიერ გარეგანი.

---

* ჯერ ერთი (ლათ.). — რ ე დ.
** მეორეც (ლათ.). — რ ე დ.

მოსკოვური პანსლავიზმი
და რუსული ევროპიზმი [227]

პეტრე პირველის რეფორმების წინააღმდეგ რეაქციის ხანა დადგა არა მარტო მთავრობისათვის, რომელიც გადაუდგა თავის საკუთარ პრინციპს და უარყო დასავლეთის ცივილიზაცია, რის გულისთვისაც პეტრე პირველი ფეხქვეშ თელავდა ეროვნულობას, არამედ იმ ადამიანებისათვისაც, რომლებიც მთავრობამ ცივილიზაციის საბაბით მოწყვიტა ხალხს და რომელთა ჩამოხრჩობა დაიწყო მაშინ, როდესაც ისინი ცივილიზებულნი გახდნენ.

მათი დაბრუნება ეროვნული იდეებისაკენ ბუნებრივად ბადებდა საკითხს, რომლის თვით დაყენებაც კი უკვე წარმოადგენდა რეაქციას პეტერბურგის პერიოდის წინააღმდეგ. საჭირო ხომ არ არის, რომ იმ სამწუხარო მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, გამოსავალი ვეძიოთ იმაში, რომ მივუახლოვდეთ ხალხს, რომელსაც არ ვიცნობთ, მაგრამ მაინც გვეჯავრება? საჭირო ხომ არ არის, დავუბრუნდეთ იმ საზოგადოებრივ წყობას, რომელიც უფრო შეეფერება სლავურ ხასიათს? გადავუხვიოთ უცხო ქვეყნის გზიდან, ძალად თავზემოხვეული ცივილიზაციიდან? საკითხი, მართლაც, სერიოზული და თანამედროვეა. როგორც კი დაისვა ეს საკით-

ა. ი. ბერცენი

1848 წ.

გრავიურა ხეზე პარიზის
ლითოგრაფიიდან

ზი, გამოჩნდა ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც მყისვე გადაწვყიტა იგი დადებითი თვალსაზრისით, გამოიმუშავა განსაკუთრებული სისტემა; აღნიშნულმა ჯგუფმა ამ სისტემისაგან შექმნა არა მარტო დადებითი მოძღვრება, არამედ რელიგიაც. რეაქციის ლოგიკა ისევე სწრაფია, როგორც რევოლუციის ლოგიკა.

სლავოფილების ყველაზე დიდი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ თვით კითხვაში დაინახეს პასუხი და ერთმანეთში აურიეს შესაძლებლობა და სინამდვილე. ისინი წინასწარ გრძნობდნენ, რომ დამდგარი იყვნენ დიადი ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე, რომელმაც უნდა შეცვალოს ჩვენი თვალსაზრისი თანამედროვე ამბებზე. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ წინ წასულიყვნენ და ემუშავნათ, ისინი შეჩერდნენ ამ წინათგრძნობაზე. ამრიგად, მათ დაამახინჯეს ფაქტები და მით დაამახინჯეს საკუთარი გაგებაც. მათი მსჯელობა უკვე აღარ იყო თავისუფალი: ისინი მეტად ვეღარ ხედავდნენ სიძნელეებს, ყველაფერი საბოლოოდ გადაწყვეტილი და გარკვეული ეგონათ. ისინი მეტად აღარ ეძებდნენ ჭეშმარიტებას, ეძებდნენ მხოლოდ იმას, თუ როგორ ეპასუხნათ მოწინააღმდეგეთათვის.

პოლემიკას მოჰყვა ვნებათა ღელვა. ეკზალტირებულმა სლავოფილებმა გააფთრებით შეუტიეს მთელ პეტერბურგის პერიოდს, ყოველივეს, რაც კი პეტრე დიდმა გააკეთა და, ბოლოს, ყოველივე იმას, რაც ევროპიზირებული და ცივილიზებული იყო. შეიძლება გავიგოთ და გავამართლოთ ეს გატაცება, როგორც ოპოზიციის გამოვლენა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ოპოზიცია ძალიან შორს წავიდა და მაშინ, მან დაინახა, რომ იგი უცნაურად ედგა გვერდში მთავრობას თავისუფლებისადმი საკუთარ მისწრაფებათა წინააღმდეგ.

სლავოფილებმა a priori გადაწყვიტეს, რომ ყოველივე, რაც გერმანელებიდან მოვიდა, არაფერად არა ღირს, ყოველივე, რაც პეტრე პირველმა შემოიღო, საძაგელია. ისინი იქამდე მივიდნენ, რომ აღტაცებაში მოდიოდნენ მოსკოვის

სახელმწიფოს ვიწრო ფორმებით; მათ ზურგი შეაქციეს საკუთარ გონიერებასა და შემეცნებას და გულმხურვალედ მიიქცნენ ბერძნული ტაძრის ჯვრისაკენ. ჩვენ, სხვა ბანაკის ადამიანებს, არ შეგვეძლო დაგვეშვა ასეთი მისწრაფებანი, მით უმეტეს, რომ სლავოფილები საოცრად ცდებოდნენ მოსკოვის სახელმწიფოს ორგანიზაციის მიმართ და ბერძნულ მართლმადიდებლობას ისეთ მნიშვნელობას მიაწერდნენ, რაც მას არასდროს არ ჰქონია. დესპოტიზმის წინააღმდეგ გულისწყრომით აღსავსენი, ისინი პოლიტიკურ და მორალურ მონობამდე მიდიოდნენ; სლავური ეროვნულობისადმი მთელი სიმპათიის მიუხედავად, ისინი მაინც აღმოჩნდნენ ამ ეროვნულობის საწინააღმდეგო კარებში. ბერძნული მართლმადიდებლობა მიაქანებდა მათ ბიზანტიურობისაკენ, და, მართლაც, ისინი სწრაფად დაეშვნენ უმოძრაობის უფსკრულისაკენ, რომელშიც წაშლილი იყო ანტიკური მსოფლიოს კვალი. თუ დასავლეთის ფორმები და სული არ შეეფერებოდა რუსეთს, რაღა იყო საერთო რუსეთსა და რომის აღმოსავლეთ იმპერიის ორგანიზაციას შორის? სად გამოჩნდა ორგანული კავშირი სლავებსა, ამ ახალგაზრდობის გამო ბარბაროსებსა და ბერძნებს შორის, ბერძნებსა, რომლებიც ბარბაროსები იყვნენ მიხრწნილების გამო? დაბოლოს, რა არის ბიზანტია, თუ არა რომი,—რომი დაცემის ხანისა, რომი სახელოვან მოგონებათა გარეშე, სინდისის ქეჯნის გარეშე? რა ახალი პრინციპები მოუტანა ბიზანტიამ ისტორიას? ბერძნული მართლმადიდებლობა ხომ არა? მაგრამ იგი სხვა არ არის რა, თუ არა აპატიური კათოლიციზმი; მათი პრინციპები კი იმდენად ერთგვარია, რომ საჭირო იყო დავა და ჩხუბი შვიდი საუკუნის განმავლობაში, რათა მოძღვრებათა განსხვავებაში იძულებით დაეჯერებინათ. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ხომ არა? მაგრამ იგი აღმოსავლეთ იმპერიაში ეფუძნებოდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას, პასიურ მორჩილებას, სახელმწიფოს მიერ პიროვნების სრულ ჩაყლაპვას და იმპერატორის მიერ სახელმწიფოს სრულ შთანთქმას. განა ასეთ სახელმწიფოს შეეძლო ახალი ცხოვრება მიენიჭებინა ახალ-

გაზრდა ხალხისათვის? სამხრეთის ოლქების დასავლეთელ სლავებს ძალიან დიდხანს ჰქონდათ ახლო ურთიერთობა რომის აღმოსავლეთ იმპერიის ბერძნებთან, — რა მოიგეს ამით სლავებმა?

უკვე დავიწყებას მიეცა, თუ რანი იყვნენ ადამიანთა ეს ჯოგები, განცალკევებულნი ბაკებში ბერძენი იმპერატორების მიერ — კონსტანტინოპოლის პატრიარქების ლოცვა-კურთხევით. საკმაოა თვალი გადავავლოთ კანონებს უდიდებულესობის შეურაცხყოფის შესახებ, რომლებიც ასე კარგად გადმოიღეს ამას წინათ იმპერატორ ნიკოლოზმა და მისმა იურისკონსულტმა გუბემ[228], რომ შეაფასოთ ამ ყურმოჭრილი მონობის კაზუისტიკა, ეს მონური ფილოსოფია.

და ეს კანონები ეკუთვნოდა მხოლოდ საერო ძალაუფლებას; შემდეგ ამას თან მოსდევდა საეკლესიო კანონები, რომლებიც განსაზღვრულ წესებს უქმნიდნენ მოძრაობას, ტანისამოსის მორთულობას, კვებას და სიცილს. შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რად უნდა ქცეულიყო ამ ორმაგ ბადეში — სახელმწიფოსა და ეკლესიის ბადეში — გახლართული ადამიანი, რომელიც გამუდმებით ცახცახებდა, რომელსაც ემუქრებოდა ხან მოსამართლე, უაპელაციოდ რომ წყვეტდა საკითხს, ხან მორჩილი ჯალათი, ხან მღვდელი, ღვთის სახელით რომ მოქმედებდა, და ეპიტიმიები, რაც ხელფეხს უკრავდა როგორც სააქაოს, ისე საიქიოს.

სად მოჩანს აღმოსავლეთის ეკლესიის კეთილნაყოფიერი გავლენა? ყველა იმ ხალხთაგან, რომლებმაც მიიღეს ამ ეკლესიის დოგმატები IV საუკუნიდან მოკიდებული დღემდე, სად არის ის ხალხი, რომელიც მან ცივილიზებულჰყო და გაათავისუფლა? სომხეთი, საქართველო, მცირე აზიის ტომები თუ ტრაპიზონის უბედური მცხოვრებნი? ან, დაბოლოს, მორეია ხომ არა? ჩვენ, შესაძლოა გვითხრან, ეკლესია ვერაფერს გახდა ამ წამხდარ, გარყვნილ და უმომავლო ხალხების მიმართო. მაგრამ სლავები ხომ ჯანსაღი რასა არის სულითაც და ხორცითაც, — მათ რა მოიგეს? აღმოსავლეთის ეკლესია რუსეთში შემოიჭრა კიევის აყვავებულ, ნათელ ეპოქაში, დი-

დი მთავრის ვლადიმერის დროს. მან რუსეთი მიიყვანა სამწუხარო და საძაგელ ხანამდე, რომელიც აღწერილი აქვს კოშიხინს[229]; ამ ეკლესიამ კურთხეულყო და ნება დართო ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ მიღებულ ყველა ზომას. მან შეასწავლა მეფეებს ბიზანტიური დესპოტიზმი; მან დაუწესა ხალხს ბრმა მორჩილება, მორჩილება მაშინაც კი, როდესაც მას მიწაზე ამაგრებდნენ და მონობის უღელს ადგამდნენ ქედზე. პეტრე დიდმა პარალიზებულყო სამღვდელოების გავლენა; ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლი იყო, და მერე რა, — ახლა სურთ ეს გავლენა აღადგინონ?

სლავოფილობა, რომელიც რუსეთის ხსნას მხოლოდ ბიზანტიურ-მოსკოვური წყობილების აღდგენით ელოდა, კი არ ათავისუფლებდა, არამედ ბორკავდა რუსეთს; წინ კი არა, უკან მიდიოდა. ზ ა პ ა დ ნ ი კ ე ბ ს, როგორც მათ სლავოფილები უწოდებდნენ, არ სურდათ გერმანული ყელსაბამი ჯაჭვი მართლმადიდებლურ-სლავური ჯაჭვით შეეცვალათ: მათ სურდათ განთავისუფლებულიყვნენ ყოველგვარი ჯაჭვისაგან. ისინი არ ცდილობდნენ ამოეშალათ ისტორიიდან ყველა პერიოდი, განვლილი პეტრე I დროიდან, ამოეშალათ მთელი საუკუნის შრომა და გარჯა, საუკუნისა, რომელიც ესოდენ მძიმე და ესოდენ აღსავსე იყო მომქანცველი საქმიანობით. ისინი არ თანხმდებოდნენ იმის უარყოფას, რაც მოპოვებული იყო ასეთი მრავალი ტანჯვა-წამებითა და სისხლის ღვრით, უარყოფას იმისათვის რომ დაბრუნებოდნენ მოძველებულსა და ვიწრო საზოგადოებრივ წყობას, განსაკუთრებულ ეროვნულობასა და უძრავ ეკლესიას. სლავოფილებს, მსგავსად ლეგიტიმისტებისა, შეეძლოთ რამდენიც სურდათ ემტკიცებინათ, ძველიდან შეიძლება ავიღოთ მხოლოდ კარგი და არ ავიღოთ ცუდიო. ეს მეტისმეტად სერიოზული შეცდომა იყო, და ამავე დროს ისინი უშვებდნენ კიდევ მეორე შეცდომას, რაც საერთოა ყველა რეაქციონერისათვის. ისინი თაყვანს სცემდნენ ისტორიულ პრინციპს, მაგრამ ამასთანავე სულ ავიწყდებოდათ, რომ ყოველივე, რაც

პეტრე I შემდეგ მოხდა,—აგრეთვე ისტორიაა, და არავითარ ცოცხალ ძალას, რომ არაფერი ვთქვათ საიქიოს მოციქულებზე, არ ძალუძს არც მომხდარი ფაქტების წარხოცვა და არც მათი შედეგების მოსპობა.

ასეთია თვალსაზრისი, რომლითაც ცხოველი პოლემიკა გაჩაღდა სლავოფილებთან. სხვა საკითხები, რომლებსაც გაზეთები იხილავდა, მეორე რიგზე გადავიდნენ. საკითხი მართლაც აღსავსე იყო ცხოველმყოფელი ინტერესით.

სენკოვსკიმ მეტისმეტად მარჯვედ გადასტყორცნა მრავალი მეტად შხამიანი ისარი სლავოფილების ბანაკში. იგი დაკმაყოფილდა იმ სიცილ-ხარხარით, რაც მან გამოიწვია თავის მსხვერპლთა წინააღმდეგ, და ამაყად გადგა განზე. სენკოვსკი არ იყო გაჩენილი სერიოზული პოლემიკისათვის. მაგრამ მეორე ჟურნალისტმა აიღო სლავთა ხელჯაგი*, გადმოსროლილი მოსკოვში, და მამაცურად გაშალა ევროპული ცივილიზაციის დროშა იმ მძიმე ბაირაღის წინააღმდეგ, რაზედაც გამოხატული იყო ბიზანტური ღვთისმშობელი და რასაც სლავოფილები ატარებდნენ.

ეს მებრძოლი, რომელიც სათაეში ჩაუდგა «ოტეჩესტვენნიე ზაპისკის», დიდ წარმატებას არ უქადდა სლავოფილებს. ის იყო ნიჭიერი, ენერგიული კაცი, რომელსაც ჰქონდა აგრეთვე ფანატიკური მრწამსი, — კაცი გაბედული, შეუწყნარებელი, ფიცხი, ნერვიული: ბელინსკი.

მისი განვითარება ფრიად დამახასიათებელია იმ წრისათვის, რომელშიც ის ცხოვრობდა. ბელინსკი დაიბადა პროვინციული ქალაქის ღარიბი მოხელის ოჯახში. ამ ოჯახიდან მას არც ერთი ნათელი მოგონება არ გამოუტანია. მისი მშობლები მკაცრნი და გაუნათლებელნი იყვნენ, როგორც ყველა ადამიანი ამ გათახსირებული კლასისა. ბელინსკი ათისა თუ თერთმეტი წლის იყო, როდესაც ერთხელ მამა მისი მოვიდა სახლში და ლანძღვა-გინება დაუწყო. ბავშვს სურდა თავი ემართლებინა. გამხეცებულმა მამამ დაარტყა და იატაკზე დასცა. ყმაწვილი სრულიად გარდაქმნილი წამოდგა: შეუ-

* ცალსათითიანი ხელთათმანი, რასაც გლეხები ატარებენ. — ა. ბ.

რაცხყოფამ და უსამართლობამ ერთბაშად გაწყვიტა მასში ყველა ნათესაური კავშირი. მას დიდხანს ჰქონდა აზრად შურისძიება, მაგრამ საკუთარი სისუსტის შეგნებამ ეს აზრი უქცია ზიზღად ყოველგვარი ოჯახური ძალაუფლების წინააღმდეგ; ეს ზიზღი მას სიკვდილამდე შერჩა.

ასე დაიწყო ბელინსკის აღზრდა. ოჯახმა ცუდი მოპყრობით და საზოგადოებამ — სიღატაკით გაათავისუფლა იგი. ნერვიული, ავადმყოფი ახალგაზრდა კაცი ნაკლებად იყო მომზადებული აკადემიური მეცადინეობისათვის. ის მოსკოვის უნივერსიტეტში არაფერს აკეთებდა, ხოლო რაკი იქ სახაზინო ხარჯზე იზრდებოდა, გამორიცხულ იქნა ატესტაციით, რომელშიც ეწერა: «სუსტი ნიჭისა და არამუყაითი»[230]. ამ დამამცირებელი ნიშნით შევიდა ცხოვრებაში ღარიბი ჭაბუკი, ე. ი. გამოდევნილი იქნა უნივერსიტეტიდან დიდი ქალაქის ქუჩებში, ულუკმაპუროდ და უსახსრებოდ. მაშინ ის შეხვდა სტანკევიჩსა და მის მეგობრებს, რომლებმაც იხსნეს იგი,.

სტანკევიჩს, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გარდაიცვალა ათი წლის წინათ იტალიაში, არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც ისტორიაში იწერება; მაგრამ, რაკი სიტყვა რუსეთის გონებრივი განვითარების შესახებ ჩამოვარდა, უმადურობა იქნებოდა დუმილით გვერდი აგვევლო სტანკევიჩისათვის.

სტანკევიჩი ეკუთვნოდა იმ ფართო და სიმპათიური ბუნების ადამიანებს, რომელთა არსებობაც კი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ყოველივეზე, რაც მათ ირგვლივაა. მოსკოვის ახალგაზრდობაში მან გაავრცელა სიყვარული გერმანული ფილოსოფიისადმი, რაც ამ ქალაქის უნივერსიტეტში შემოიღო გამოჩენილმა პროფესორმა პავლოვმა. სტანკევიჩმა წარმართა მეგობართა წრის მეცნიერული მეცადინეობა; პირველად მან შეამჩნია ჩვენს მეგობარს ბაკუნინს გონებრივი მჭვრეტელობის ნიჭი და შთააგონა მას ჰეგელის შესწავლა; ის შეხვდა აგრეთვე კოლცოვს ვორონეჟის გუბერნიაში, მოსკოვში მოიყვანა და გაამხნევა.

სტანკევიჩმა ღირსეულად შეაფასა ბელინსკის მკვირცხლი, მახვილი და ორიგინალური გონება. მალე მთელმა რუსეთმა ჯეროვნად შეაფასა გაბედული ტალანტი პუბლიცისტისა, რომელმაც მოსკოვის უნივერსიტეტის კურატორისაგან [231] «უნიჭოს» ატესტაცია მიიღო.

ბელინსკი გულმოდგინედ შეუდგა ჰეგელის შესწავლას. გერმანული ენის უცოდინარობამ არამც თუ ხელი არ შეუშალა, არამედ ერთგვარად კიდევაც გაუადვილა მეცადინეობა: ბაკუნინი და სტანკევიჩი ბელინსკის უზიარებდნენ იმ ცოდნას, რაც მათ გააჩნდათ ამ დარგში; ეს მათ შეასრულეს ახალგაზრდული გატაცებით და რუსული გონების მთელი სიცხადით. სხვათა შორის, ბელინსკისათვის საკმაო იყო საერთო მითითებანი, თავის მეგობრებს რომ დასწეოდა. დაეუფლა რა ჰეგელის სისტემას, მან ჰეგელის მოსკოველ ადეპტთა შორის პირველმა გაილაშქრა, თუ თვით ჰეგელის წინააღმდეგ არა, ყოველ შემთხვევაში, ჰეგელის ჩვეულებრივი გაგების წინააღმდეგ.

ბელინსკი სრულიად თავისუფალი იყო იმ გავლენებისაგან, რომლებსაც ჩვენ ვემორჩილებით, როდესაც არ ვიცით როგორ დავიცვათ თავი მათგან. სიახლით ცდუნებულნი, ჩვენ ჭაბუკობაში ბევრ რამეს ვითვისებთ მეხსიერებით და გონებით არ ვამოწმებთ. ეს მოგონებანი, რომლებსაც ჩვენ შეძენილ ჭეშმარიტებებად ვთვლით, ბორკავენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ბელინსკიმ მეცადინეობა ფილოსოფიით დაიწყო, და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მას 25 წელი შეუსრულდა. მან ხელი მოჰკიდა მეცნიერებას სერიოზული საკითხებითა და მგზნებარე დიალექტიკით. მისთვის ჭეშმარიტებანი, დასკვნები არც განყენებულობანი და არც გონების თამაში არ ყოფილა, არამედ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები იყო; ყოველგვარი გარეშე გავლენებისაგან თავისუფალმა დიდი გულწრფელობით მოჰკიდა ხელი მეცნიერებას; ის არც ცდილობდა რაიმე გადაერჩინა ანალიზისა და უარყოფის ცეცხლისაგან, ამიტომ სრულიად ბუნებრივად აღსდგა ორეოფულ გადაწყვეტილებათა, მხდალ დასკვნათა და სულმოკლე დათმობათა წინააღმდეგ.

ახლა, ფეიერბახის წიგნისა და არნოლდ რუგეს [232] გაზეთის პროპაგანდის შემდეგ, ყოველივე ეს ახალი არ არის, მაგრამ ფიქრით უნდა გადავიდეთ იმ ეპოქაში, რომელიც წინ უსწრებდა 1840 წელს. მაშინ ჰეგელის ფილოსოფია იმ დიალექტიკური ფოკუსების მომხიბლველ გავლენას განიცდიდა, რომლებიც «რელიგიის ფილოსოფიაში» კვლავ აღადგენდნენ რელიგიას, განიავებულსა და დანგრეულს «ფენომენოლოგიითაც» და «ლოგიკითაც». ეს ის დრო იყო, როდესაც ჯერ კიდევ აღტაცებული იყვნენ იმით, რომ ფილოსოფიის ენამ ასეთ სრულყოფას მიაღწია, რომ საქმეში გარკვეულები ათეიზმს ხედავდნენ იქ, სადაც პროფანები სარწმუნოებას ნახულობდნენ.

ასეთ განზრახ მოგონილ ბუნდოვანებას, ასეთ სიფრთხილეს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია გააფთრებული ოპოზიცია გულწრფელი ადამიანის მხრივ. ბელინსკისათვის უცხო იყო სქოლასტიკა, იგი თავისუფალი იყო მოჩვენებითი, პროტესტანტული მორცხვობისა და პრუსიული პირობითობისაგან. ბელინსკის აღშფოთებდა ეს მანჭია მეცნიერება, რომელიც თავის ჭეშმარიტებებს ლეღვის ფოთლით ფარავდა.

ერთხელ, რამდენიმე საათის განმავლობაში აცამტვერებდა ბელინსკი ბერლინელთა ღვთისმოშიშ პანთეიზმს, შემდეგ იგი წამოდგა და თავისი მთრთოლვარე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმით განაცხადა: «თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ადამიანის მიზანია აბსოლუტური სული მიიყვანოს მის თვითშემეცნებამდე, და ამ როლით კმაყოფილდებით; მე კი, არა ვარ საკმაოდ სულელი, რომ უნებლიე იარაღი ვიყო ვისიც არ უნდა იყოს. თუ მე ვფიქრობ, თუ მე ვიტანჯები — ეს მხოლოდ ისევ თვით ჩემთვის ხდება. თქვენი აბსოლუტური სული, თუ ის არსებობს, ჩემთვის უცხოა. მე არ მესაჭიროება მისი ცნობა, რადგან მასთან არაფერი მაქვს საერთო».

ჩვენ ეს სიტყვები მხოლოდ იმიტომ მოგვყავს, რომ ერთხელ კიდევ ვაჩვენოთ რუსული გონების მიმართულება. როგორც კი დაიწყეს ქადაგება დუალიზმის უგუნურების შესახებ, პირველმავე ნიჭიერმა რუსმა ადამიანმა, რომელმაც ხე-

ლი მოჰკიდა გერმანულ ფილოსოფიას, მიუთითა, რომ ეს ფილოსოფია რეალისტური იყო მხოლოდ სიტყვით, თავის საფუძველში კი რჩებოდა მიწიერ რელიგიად, უზეცო რელიგიად, ლოგიკურ მონასტრად, რომელსაც თავს აფარებენ იმისათვის, რომ განყენებულობათა სამყაროში ჩაიძირონ.

ბელინსკის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მხოლოდ 1841 წლიდან იწყება. მან მაშინ ხელთ იგდო მეთაურობა «ოტეჩესტვენიე ზაპისკის» რედაქციისა—პეტერბურგში და რუსეთის პრესაში ექვსი წლის განმავლობაში ბატონობდა. ის დაეცა, როგორც მეომარი, რუსულ ჟურნალისტიკასთან ერთად,— იგი გარდაიცვალა 1848 წელს, მოქანცული, გულგატეხილი და უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი.

ბელინსკიმ ბევრი რამ გააკეთა პროპაგანდისათვის. მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა საზრდოობდა მისი სტატიებით: მან შექმნა ხალხის ესთეტიკური გემოვნება, რუსულ აზრს მისცა ძალა. მისი კრიტიკა უფრო ღრმად ჩაწვდა მოვლენებს, ვიდრე პოლევოის ნაწერები; ბელინსკის კრიტიკამ სხვა საკითხები და იქვები აღძრა. თანამედროვე ადამიანებმა ვერ დააფასეს იგი, როგორც საჭირო იყო; სიცოცხლეში ის ბევრის თავმოყვარეობას შეეხო, მრავალი პატიმოყვარე ადამიანი შეურაცხყო; მისი სიკვდილის შემდეგ მთავრობამ აკრძალა მის შესახებ წერა; სწორედ ამან მაიძულა მელაპარაკნა ბელინსკზე უფრო მეტი, ვიდრე სხვა ვინმეზე.

მისი ენა ხშირად დაუხვეწავი, მაგრამ მუდამ ენერგიით სავსე იყო. ის გადმოცემდა თავის აზრს ისე, როგორც ებადებოდა იგი, გადმოცემდა მგზნებარედ. ყოველ სიტყვაში გრძნობთ, რომ ის წერდა თავისი სისხლით, თავისი ნერვებით,— გრძნობთ, თუ როგორ ფლანგავდა იგი თავის სისხლსა და ნერვებს, როგორ წვავდა თავის თავს; სუსტმა, გულფიცხმა, მან არ იცოდა არც სიყვარულისა და არც სიძულვილის საზღვარი. ხშირად ეძლეოდა გატაცებას, ზოგჯერ ერთობ უსამართლოც იყო, მაგრამ ყოველთვის უღრმესსა და უწმინდეს გულწრფელობას იჩენდა. ბელინსკის შეტაკება სლავოფილებთან გარდუვალი იყო.

როგორც უკვე ვთქვით, იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავისუფალი ადამიანი იყო, რომელიც შებოჭილი არ იყო არც სარწმუნოებით, არც ტრადიციებით. ის არ იყო დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე და არავითარ ავტორიტეტებს არ ცნობდა; მას არც მეგობართა წყრომა აშინებდა და არც ნატიფ სულთა შეშფოთება. ის ყოველთვის კრიტიკის სადარაჯოზე იდგა, ყოველთვის მზად იყო ემხილებინა და დაეგმო ყოველივე ის, რასაც რეაქციულად თვლიდა. როგორღა შეეძლო მას მოსვენება მიეცა ორტოდოქსალური და ულტრაპატრიოტი სლავოფილებისათვის, — მას, ვინც მძიმე ბორკილებს ხედავდა ყოველივე იმაში, რაც სლავოფილებს უწმინდეს კავშირად მიაჩნდათ?

სლავოფილთა შორის იყვნენ ნიჭიერი ადამიანები, სწავლულები, მაგრამ არ იყო არც ერთი პუბლიცისტი; მათ ჟურნალს («მოსკვიტიანინ») ძალიან მცირე წარმატება ჰქონდა. ამ პარტიის ნიჭიერი ადამიანები არასდროს არ წერდნენ, ხოლო უნიჭოები გამუდმებით წერდნენ.

სლავოფილები ზაპადნიკებთან შედარებით დიდი უპირატესობით სარგებლობდნენ, მაგრამ ასეთი უპირატესობა დამღუპველია: ისინი იცავდნენ მართლმადიდებლობასა და ეროვნულობას, ზაპადნიკები კი თავს ესხმოდნენ ერთსაც და მეორესაც; ამრიგად სლავოფილებს საშუალება ჰქონდათ გამოეთქვათ თითქმის ყველაფერი ისე, რომ არ დაეკარგათ ორდენების, პენსიების, კარის დამრიგებლის ან კამერ-იუნკერის ადგილის მიღების შესაძლებლობა; ბელინსკის კი, პირიქით, არ შეეძლო მთლიანად გამოეთქვა თავისი აზრი რაიმეზე; ერთობ გამჭვირვალე სიტყვას, გაუფრთხილებელ ფრაზას შეეძლო იგი სატუსაღომდე მიეყვანა, სახელი გაეტეხა ჟურნალისათვის, რედაქტორისათვის და ცენზორისათვის. მაგრამ, სწორედ ამის გამო, მთელი სიმპათია აღმოჩნდა გაბედული მწერლის მხარეზე, იმ მწერლისა, რომელიც პეტრეპავლეს ციხის თვალმისაწვდენზე იცავდა დამოუკიდებლობას, და მთელი ანტიპათია კი მიმართული იყო მისი მოწინააღმდეგეებისაკენ, რომლებიც, კრემლსა და უსპენსკის

ტაძარს მოფარებულნი, მუშტებით იმუქრებოდნენ და პეტერბურგელ გერმანელთა დიდი მფარველობით სარგებლობდნენ. მკითხველები ხვდებოდნენ და თვით ავსებდნენ ყოველივე იმას, რის გამოთქმის საშუალებასაც მოკლებულნი იყვნენ ბელინსკი და მისი მეგობრები. ყოველივე, რასაც სლავოფილები ამბობდნენ, მკითხველებს ნაკლებ ტაქტიკურად ან ნაკლებ სულგრძელ საქციელად მიაჩნდათ.

ვიჩქარით დავსძინოთ, რომ სლავოფილები არასდროს მაინც არ ყოფილან მთავრობის მომხრენი. არიან, რასაკვირველია, პეტერბურგში იმპერატორის პანსლავისტები, მოსკოვში — მ ი ́ მ ხ რ ო ბ ი ლ ი სლავოფილები, როგორც არიან რუსი პატრიოტები ბალტიის გერმანელთა და კავკასიის დამორჩილებულ ჩერქეზთა შორის, მაგრამ ასეთ ადამიანებზე არას ამბობენ. ესენი არიან მონობის მოყვარულნი, რომლებიც აბსოლუტიზმს მთავრობის ერთადერთ განათლებულ ფორმად თვლიან, ეწევიან დონის ღვინოების უპირატესობის პროპაგანდას ფრანგულ კოტ-დორასთან შედარებით, დასავლეთელ სლავებს რ უ ს ი ფ ი კ ა ც ი ა ს უქადაგებენ და მათ სულს გერმანელებისა და მადიარებისადმი იმ კეთილშობილი ზიზღით ავსებენ, რამაც ასეთი კარგი სამსახური გაუწია სხვადასხვა ჰაინაუებსა და ვინდიშგრეცებს[233]. მთავრობა ოფიციალურად არ ცნობს მათ მოძღვრებას, მაგრამ იგი ფარავს მათ საგზაო ხარჯებს და მათს ჩეხელ და კროატელ მეგობრებს უგზავნის ჰოლშტინიის წმ. ანას ჯვრებს, ამზადებს რა მათთვის ისეთსავე ძმურ ხელგადახვევას, როგორითაც მან პოლონეთი მოახრჩო.

რაც შეეხება ჟეშმარიტ სლავოფილებს, მათი კეთილი შეხმატკბილება მთავრობასთან უმალ უბედურება იყო, ვიდრე სასურველი მიზანი. მაგრამ ასეთია შედეგები ყოველგვარი მოძღვრებისა, რომელიც ხელისუფლებას ეყრდნობა. ერთგვარად ასეთი მოძღვრება შეიძლება რევოლუციური იყოს, მაგრამ მეორეს მხრივ — იგი აუცილებლად კონსერვატულია და, მაშასადამე, დგება სამწუხარო ალტერნატივის წინაშე: ან შეუერთდეს თავის მტერს, ან უღალატოს თავის პრინციპებს. მტრის წაქეზება—შეგნების გამოღვიძების საკმაო მიზეზია.

ბელინსკისა და მის მეგობრებს სლავებისათვის არ დაუპირისპირებიათ რაიმე დამთავრებული მოძღვრება, რაიმე განსაკუთრებული სისტემა, არამედ ცოცხალი სიმპათია ყოველივე იმისადმი, რაც თანამედროვე ადამიანს აღელვებს, — უსაზღვრო სიყვარული აზრის თავისუფლებისადმი და ასეთივე ძლიერი ზიზღი ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლიდა თავისუფალ აზრს: ზიზღი ხელისუფლებისა, ძალადობისა და სარწმუნოებისადმი. რუსეთის საკითხსა და ევროპის საკითხს ისინი სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისით იხილავდნენ, ვიდრე სლოვოფილები.

ბელინსკი და მისი მეგობრები ფიქრობდნენ, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს მონობისა, რომლისაგანაც რუსეთის დამყაყება ხდებოდა, ის იყო, რომ არ არსებობდა პირადი დამოუკიდებლობა; აქედან წარმოდგებოდა პიროვნებისადმი სრული უპატივცემულობა მთავრობისა და ოპოზიციის მხრივ, ცალკეული პირების მხრივ; აქედანვე წარმოდგებოდა ხელისუფლების ცინიზმიც და ხალხის ხანგრძლივი მოთმინება და ქედწახრილობაც.

რუსეთის მომავალი ძლიერ საშიშია ევროპისათვის და იგი უამრავ უბედურებას უქადის თვითონ მას — რუსეთს, თუ პიროვნების უფლებებში არ შეიჭრებიან გამანთავისუფლებელი ფერმენტები. კიდევ ერთი საუკუნე ასეთი დესპოტიზმისა, როგორც ახლაა, — და რუსი ხალხის ყველა კარგი თვისება გაქრება.

საბედნიეროდ, რუსეთი ინდივიდუალობის ამ მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დასავლეთის ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უბედურება, რაც ხელს უწყობს მონობას, ხალხთა მასების პაუპერიზმსა და რევოლუციათა უძლურებას, მორალური ჩაგვრაა; მათ არ აკლიათ პირადი ღირსების გრძნობა, მაგრამ აკლიათ სიცხადე ამ გრძნობაში, რაც დამახინჯებულია იმ ისტორიული მაგალითებით წარსულში, რომლებიც ზღუდავენ ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას. ევროპის ხალხებმა წარსულ რევო-

ლუციებში იმდენი სული და იმდენი სისხლი გაიღეს, რომ ეს სული და სისხლი მუდამ თვალწინ უდგათ, და ადამიანს ნაბიჯიც კი არ შეუძლია გადადგას ისე, რომ არ აღეძრას მოგონებანი, fueros-ები*, მეტად თუ ნაკლებად სავალდებულონი და მათ მიერ აღიარებულნი; ყველა საკითხი სანახევროდ გადაწყვეტილი იყო; გამომწვევი მიზეზები, ადამიანთა ურთიერთობანი, მოვალეობანი, ზნეობრივი ცნებანი და დანაშაულებანი,—ყოველივე განსაზღვრულია, და არა რომელიმე განუყოფელი ძალით, არამედ ნაწილობრივ ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მოქმედების დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნაცვლად, ადამიანს უხდება ან დამორჩილება ან ამბოხება. ეს უაპელაციო ნორმებია, სრულიად მზა ცნებებია, რომლებიც გადმოდიან ოკეანეს გადაღმიდან და შედიან სრულიად ახალი რესპუბლიკის ძირითად ხელშეკრულებაში; ისინი გილიოტინაზე თავმოკვეთილი მეფის მომსწრენი არიან და შემდეგ მშვიდად მოთავსდნენ იაკობინელებისა და კონვენტის სკამებზე. დიდხანს ეს მრავალთამრავალი ნახევარშეშმარიტებანი და ნახევარცრურწმენანი მიჩნეული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მტკიცე, აბსოლუტურ საფუძვლებად, გარდუვალ და უეჭველ დასკვნებად. და, მართლაც, თითოეული მათგანი ჭეშმარიტი პროგრესი და გამარჯვება იყო თავისი დროისათვის, მაგრამ მათი ერთობლიობისაგან ნელ-ნელა შენდებოდა ახალი საპყრობილეს კედლები. ჩვენი საუკუნის დამდეგს ეს შენიშნეს მოაზროვნე ადამიანებმა, მაგრამ ამავე დროს მათ დაინახეს ამ კედლების მთელი სისქეც და მიხვდნენ, თუ რაოდენი ძალა იყო საჭირო მათ გასანგრევად.

რუსეთი სულ სხვა მდგომარეობაშია. მისი საპყრობილეს კედლები ხისაა. ეს კედლები აგებულია უხეში ძალის მიერ და დაინგრევიან პირველ დარტყმისთანავე. ხალხის იმ ნაწილმა, რომელმაც პეტრე პირველთან ერთად უარყო მთელი თავისი წარსული, გვიჩვენა — თუ უარყოფის რა ძალა გააჩნია მას; ხალხის მეორე ნაწილი კი, რომლისათვისაც არსე-

* ძველებური პრივილეგიები (ესპ.). — რ ე დ.

ბული წესწყობილება უცხო დარჩა, დაემორჩილა, მაგრამ არ მიიღო ახალი რეჟიმი, რომელიც დროებით ბანაკად მიაჩნია: ხალხი ემორჩილება, რადგან ეშინია, მაგრამ არ სწამს.

ცხადი იყო, რომ ვერც დასავლეთ ევროპა და ვერც თანამედროვე რუსეთი წინ ვეღარ წავიდოდნენ, თუ მთლიანად არ უარყოფდნენ თავიანთ პოლიტიკურ და მორალურ ორგანიზაციას. მაგრამ ევროპა, როგორც ნიკოდიმი [23], ერთობ მდიდარი იყო და ამიტომ არ შეეძლო მსხვერპლად შეეწირა თავისი დიდი ქონება რაღაც იმედის გულისათვის; სახარების მებადურთ არაფერი ჰქონდათ დასანანებელი: მათთვის ადვილი იყო ბადის გაცვლა აბგაზე; მათ რაც ჰქონდათ — ეს იყო ცოცხალი სული, რომელსაც უნარი შესწევდა სიტყვა გაეგო.

ეს დამოკიდებულება თავის წარსულთან და ევროპის წარსულთან სრულიად ახალი იყო და მეტად ხელსაყრელი ჩანდა პირადი დამოუკიდებლობის განვითარებისათვის. იმის ნაცვლად, რომ ამით ესარგებლნათ, გაჩნდა მოძღვრება, რომელიც ცდილობდა რუსეთისათვის მოესპო ერთადერთი უპირატესობა, რაც ისტორიამ მემკვიდრეობად დაუტოვა მას. ისე, როგორც ჩვენ, სლავოფილებსაც ეჯავრებოდათ რუსეთის აწმყო, მაგრამ მათ სურდათ წარსულისაგან გადმოეღოთ იმის მსგავსი ბორკილები, რომლებიც აფერხებენ ევროპელის განვითარებას. სლავოფილებმა თავისუფალი ინდივიდუალობის იდეა აურიეს ვიწრო ეგოიზმის იდეაში: თავისუფალი ინდივიდუალობის იდეა მათ მიიჩნიეს ევროპულ, დასავლეთურ იდეად, და იშისათვის, რომ ჩვენ დასავლეთის განმანათლებლობის ბრმა თაყვანისმცემელთა რიცხვში გავერიეთ, ისინი ჩვენ მუდამ გვიჩვენებდნენ ევროპული რღვევის, ხალხთა უღრმესი აპატიურობის, რევოლუციათა უძლურებისა და შავბნელი, საბედისწერო კრიზისის მოახლოების საზარელ სურათებს. ყოველივე ეს მართალი იყო, მხოლოდ მათ დაავიწყდათ დაესახელებინათ ისინი, ვისგანაც ეს ჭეშმარიტებანი გაიგეს.

არც ხომიაკოვის ლექსებსა და არც «მოსკვიტიანინის» თანამშრომელთა პროზას არ ელოდებოდა ევროპა იმის

შესაგნებად, რომ იგი კატაკლიზმის წინდღეს განიცდის, განიცდის სრული აღორძინებისა ან სრული რღვევის წინადღეს. თანამედროვე საზოგადოების განწირულების შეგნება — ეს სოციალიზმია, და ცხადია, არც სენ-სიმონს, არც ფურიეს და არც ამ უახლესს სამსონს, რომელიც თავის საპყრობილედან* ევროპის შენობას აზანზარებს, თავიანთი მრისხანე განაჩენი ევროპის წინააღმდეგ არ ამოუკრიფავთ შაფარიკის, კოლარის [235] ან მიცკევიჩის ნაწერებიდან. სენ-სიმონიზმი რუსეთში ცნობილი იყო ათეული წლებით ადრე სლავოფილების გამოჩენამდე.

ევროპისათვის ადვილი არაა, — ვეუბნებოდით ჩვენ სლავოფილებს, — გაეყაროს თავის წარსულს: ევროპა თავისსავე ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩაჭიდებია თავის წარსულს, იმიტომ რომ იცის, თუ რა ჯდება რევოლუცია, ხოლო ახლანდელ მის მდგომარეობაში მრავალი რამ არის ისეთი, რის შეცვლაც მისთვის ძვირი და ძნელი იქნება. ადვილია რეფორმაციისა და რევოლუციის გაკრიტიკება, როდესაც მათს ისტორიას კითხულობთ, მაგრამ ევროპა მათ კარნახობდა და ისინი მან საკუთარი სისხლით დაწერა. ამ დიდი შეჯახებების დროს, ევროპა თავის პროტესტებით აზრის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების გულისათვის ავიდა დასაბუთებათა ისეთ სიმაღლეზე, რომლის განხორციელება, შესაძლოა, მას არც კი ძალუძს. ჩვენ კი უფრო თავისუფალნი ვართ წარსულისაგან, და ეს დიდი უპირატესობაა, მაგრამ იგი დიდ თავმდაბლობასაც გვავალებს. ეს ერთობ უარყოფითი სიკეთეა იმისათვის, რომ ჭარბი ქება ირგუნოს; მხოლოდ ულტრარომანტიზმს ეხერხება კარგი საქციელების თანრიგს მიაკუთვნოს მანკირებათა არარსებობა. ჩვენ თავისუფალნი ვართ წარსულისაგან, იმიტომ რომ ჩვენი წარსული ცარიელია, ღარიბია, ვიწროა. არ შეიძლება გიყვარდეს ისეთი რამ, როგორიცაა მოსკოვური ცარიზმი ან პეტერბურგული იმპერატორობა. შეიძლება მათი ახსნა, შეიძლება მათში სხვანაირი მომავლის ჩანასახის აღმოჩენა, მაგრამ მათგან

* პრუდონი იმყოფებოდა მაშინ ციხეში S-te Pélagie — ა. ბ.

აუცილებლად უნდა გავთავისუფლდეთ, როგორც ძველი არ-ტახებისაგან. სლავოფილები ევროპას იმას უსაყვედურებ-დნენ, რომ მანვე შეძლო გაესწრო თავის დაწესებულებები-სათვის, მაგრამ თვით სლავოფილები არამც თუ არ ლაპა-რაკობდნენ იმის შესახებ, თუ თვითონ როგორ ფიქრობენ თავისუფალი პიროვნებისა და სახელმწიფოს შორის არსებუ-ლი დიდი წინააღმდეგობის გადაწყვეტას, არამედ კიდევაც გაურბოდნენ იმ სლავური პოლიტიკური ორგანიზაციის დაწვ-რილებითი განხილვას, რომლის შესახებაც გამუდმებით ჩაგვჩიჩინებდნენ. ამ მხრივ ისინი მარტო კიევის პერიოდით იფარგლებოდნენ და სასოფლო თემს უპერდნენ მხარს. მაგ-რამ კიევის პერიოდს ხელი არ შეუშლია მოსკოვის პერიო-დის წარმოშობისათვის და ყველა თავისუფლების მოსპობი-სათვის. თემმა ვერ იხსნა გლეხი ყმობისაგან; ჩვენ ოდნავა-დაც არ უარვყოფთ თემის მნიშვნელობას, მაგრამ ვშიშობთ მის გამო, რადგან, სწორედ რომ ვთქვათ, პიროვნების თა-ვისუფლების გარეშე მტკიცე არაფერია. ევროპამ, რომელმაც არ იცოდა ეს თემი ანდა დაკარგა ის გასული საუკუნეების უკულმართობათა დროს, ახლა გაიგო ის, რუსეთს კი, რო-მელსაც თემი უკვე ათასი წელი აქვს, არ ესმოდა ის, სანამ ევროპამ არ უთხრა მას, თუ როგორ საუნჯეს ფარავს იგი თავის წიაღში. სლავური თემის დაფასება მხოლოდ მაშინ დაიწყეს, როდესაც სოციალიზმის გავრცელება დაიწყო. დაე, სლავოფილებმა საწინააღმდეგო დაგვიმტკიცონ.

ევროპამ ვერ გადაწყვიტა წინააღმდეგობა პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მან დააყენა ეს საკითხი. რუსეთი ამოცანას სხვა მხრიდან უდგე-ბა, მაგრამ ვერც რუსეთმა გადაწყვიტა იგი. ამ საკითხის არსებობით იწყება სწორედ ჩვენი თანასწორობა. ჩვენ მეტი იმედი გვაქვს, რადგან ჩვენ ეს-ეს არის ვიწყებთ. მაგრამ იმედი მხოლოდ იმიტომ არის იმედი, რომ შესაძლოა არ განხორციელდეს.

მეტისმეტადაც არ უნდა ვენდოთ მომავალს — არც ისტო-რიას, არც ბუნებას: ყოველი ჩანასახი როდი აღწევს მოწი-

ფულობას, ყველაფერი როდი ხორციელდება, რაც სულში გაიფაჩუნებს, თუმცა სხვაგვარ ვითარებაში ყველაფერი შეიძლება განვითარდეს. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მონობის, პასიური მორჩილებისა და პეტერბურგული დესპოტიზმის პირობებში განვითარდეს რუსი ხალხის ნიჭი? ხანგრძლივი მონობა შემთხვევითი რამ არ არის: ის, რასაკვირველია, შეესაბამება ნაციონალური ხასიათის რომელიმე ელემენტს. ეს ელემენტი შეიძლება შთანთქმულ იქნას, დამარცხებულ იქნას სხვა ელემენტების მიერ, მაგრამ მას იმის უნარიც შესწევს, რომ კიდევაც გაიმარჯვოს. თუ რუსეთს შეუძლია შეურიგდეს არსებულ წესრიგს, მას არ ექნება მომავალი, რაზედაც ჩვენ იმედს ვამყარებთ. თუ იგი კვლავ განაგრძობს სვლას პეტერბურგის გზით ან თუ დაუბრუნდება მოსკოვის ტრადიციებს, მაშინ მას არ ექნება სხვა მოწოდება გარდა იმისა, რომ ევროპას შეესიოს როგორც ნახევრად ბარბაროსული, ნახევრად გახრწნილი ურდო, გააჩანაგოს ცივილიზებული ქვეყნები და, ბოლოს, დაიღუპოს საყოველთაო ნგრევის ვითარებაში.

განა საჭირო არ არის, რომ ყველა საშუალებით ვეცადოთ შევაგნებინოთ რუს ხალხს თავისი დამღუპველი მდგომარეობა, თუნდაც ცდის სახით, რომ დავრწმუნდეთ ასეთი შეგნების შეუძლებლობაში? და ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა იმ ადამიანებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციას შეადგენენ, ხალხის იმ ორგანოებმა, რომელთა საშუალებით ხალხი ცდილობდა შეეგნო თავის საკუთარი მდგომარეობა. ისინი, შესაძლოა, მრავალნი ან ცოტანი არიან, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის. პეტრე I ერთი იყო, დეკაბრისტები — მცირე ჯგუფი. პიროვნებათა გავლენა არც ისე უმნიშვნელოა, როგორც ზოგიერთს ჰგონია; პიროვნება არის ცოცხალი ძალა, ძლიერი დვრიტა, რომლის მოქმედებას ყოველთვის ვერც სიკვდილი სპობს. განა არ ვიცით, განა ცოტა იყო იმის მაგალითები, რომ დროზე და ადგილზე თქმული სიტყვა ხრიდა ხალხის სასწორს, იწყებდა ან აჩერებდა რევოლუციას?

ნაცვლად ამისა, რა ქნეს სლავოფილებმა? ისინი ქადაგებდნენ მორჩილებას — ბერძნული ეკლესიის ამ პირველ სათ-

ნოებას, მოსკოვის ცარიზმის ამ საფუძველს. ისინი ქადაგებდნენ ზიზღს დასავლეთისადმი, რომელსაც ერთადერთს შეუძლია კიდევ გაანათოს რუსეთის ცხოვრების მორევი; ისინი, დაბოლოს, ხოტბას ასხამდნენ წარსულს, რომელსაც პირიქით, საჭიროა თავი დავაღწიოთ მომავლის გულისათვის, მომავალისა, რომელიც საერთოა აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის.

ცხადია, საჭირო იყო გონებათა ასეთი მიმართულების წინააღმდეგ მოქმედება და, მართლაც, პოლემიკა სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. იგი 1848 წლამდე გრძელდებოდა და კულმინაციურ წერტილს დაახლოებით 1847 წელს მიაღწია: თითქოს წინასწარ გრძნობდნენ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთში აღარ შეიძლებოდა მსჯელობა რაიმეზე, და ეს პოლემიკა უნდა დაეჩრდილა მნიშვნელოვან ამბებს.

ორმა წერილმა განსაკუთრებული სიცხადით გამოხატა ორი საწინააღმდეგო შეხედულება. ერთი — სათაურით «შეხედულება ძველი რუსეთის იურიდიულ ყოფაცხოვრებაზე» — დაიბეჭდა პეტერბურგში, «სოვრემენიკში». მეორე — სლავოფილის გრძელი პასუხი—დაიბეჭდა «მოსკვიტიანინში» [236]. პირველი წერილი იყო რუსული სამართლის ნათელი და ძლიერი გადმოცემა, დაფუძნებული ამ სამართლის გულდასმით შესწავლაზე; ეს წერილი იმ აზრს ანვითარებდა, რომ პირად უფლებას რუსეთში არასდროს არ მიუღწევია იურიდიულ განსაზღვრამდე, რომ პიროვნება ყოველთვის შთანთქმული იყო ოჯახის, თემის და უფრო გვიან — სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ. პიროვნების მდგომარეობის გაურკვევლობა, ავტორის აზრით, იწვევდა ასეთსავე გაურკვევლობას პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებშიც. სახელმწიფო სარგებლობდა ამ გაურკვევლობით, რომ შეებოჭა თავისუფლებანი; ამრიგად, რუსეთის ისტორია იქცა თვითმპყრობელობისა და ძალაუფლების ისტორიად იმ დროს, როდესაც დასავლეთის ისტორია წარმოადგენდა თავისუფლებისა და სამართლის განვითარების ისტორიას.

სლავოფილობის საშიშროება ცხადი გახდა «მოსკვიტიანინის» მიერ გამოქვეყნებულ საპასუხო წერილში, რომლის და-

საბუთებანი აღებულია სლავური მატიანეებიდან, ბერძნული კატეხიზისიდან და ჰეგელიანური ფორმალიზმიდან. სლავოფილი ავტორი ფიქრობს, რომ პირადი პრინციპი კარგად იყო განვითარებული ძველ რუსეთში, მაგრამ ბერძნული ეკლესიის მიერ განათლებული პიროვნება ფლობდა უდრტვინველობის ზეგარდმო მადლს და თავისი თავისუფლება ნებაყოფლობით გადაჰქონდა ხელმწიფის პიროვნებაზე. თავადი გამოხატავდა გულშემატკივრობას, კეთილგანწყობილებას და თავისუფალ ინდივიდუალობას. დანარჩენები უარს ამბობდნენ თავიანთ პირად დამოუკიდებლობაზე და ამავე დროს კიდევაც ახორციელებდნენ ამ დამოუკიდებლობას ინდივიდუალური პრინციპების წარმომადგენელში — ხელმწიფეში.

თავგანწირულების ამ მადლმა და კიდეე უფრო დიდმა მადლმა იმისამ, რომ ბოროტად არ ესარგებლნათ მით, — წარმოშვეს, ავტორის აზრით, ჰარმონიული თანხმობა თავადსა, თემსა და პიროვნებას შორის. გასაოცარი თანხმობაა, რომლისათვისაც ავტორს სხვა ახსნა ვერ მოუნახავს, გარდა სულიწმინდის არაჩვეულებრივი სუფევისა ბიზანტიურ ეკლესიაში!

თუ სლავოფილებს სურთ წარმოადგენდნენ სერიოზულ შეხედულებას, საზოგადოებრივი შეგნების რეალურ მხარეს და, ბოლოს, იმ ძალას, რომელიც ისწრაფვის განხორციელდეს რუსეთის ცხოვრებაში, თუ მათ სურთ მეტი, ვიდრე მარტო არქეოლოგიური დავა და თეოლოგიური სიტყვა-პაექრობა, მაშინ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მათ უარი თქვან ცარიელი სიტყვების უზნეო ბოროტად სარგებლობისაგან, ამ წარყვნილი დიალექტიკისაგან. ჩვენ ვამბობთ «უზნეო» ბოროტად სარგებლობაზე, რადგან ის ხდება სრულიად შეგნებულად.

რას ნიშნავს საკითხის მეტაფორული გადაწყვეტა, რაც სხვა არ არის რა, თუ არა თვით საკითხის შებრუნებული მხარე? რისთვისაა საჭირო სახეები და სიმბოლოები რეალობის ნაცვლად? ნუთუ სლავოფილები სწავლობდნენ აღმოსავლეთის რომის იმპერიის მატიანებს, რომ შეეთვისებინათ ეს ბიზანტიური ოინი? ჩვენ პალეოლოგების ხანის ბერძნები

არა ვართ, რომ ვიდავოთ opus operans-ზე და opus operatum-ზე* იმ დროს, როდესაც კარებს გვიკაკუნებს უცნობი, განუსაზღვრელი მომავალი.

მათი ფილოსოფიური მეთოდი არ არის ახალი: ჰეგელიანელთა მემარჯვენე მხარე სწორედ ასევე ლაპარაკობდა თხუთმეტი წლის წინათ; არ არის ისეთი სისულელე, რომლის შეჩრა არ შეიძლებოდეს ცარიელი დიალექტიკის ფორმაში, თუ მას ღრმააზროვან მეტაფიზიკურ სახეს მისცემენ. საჭიროა მხოლოდ არ იცოდეთ ან დაივიწყოთ, რომ შინაარსსა და მეთოდს სრულიად სხვა დამოკიდებულება აქვს, ვიდრე ტყვიასა და თოფის ტყვიის ფორმას, რომ მხოლოდ დუალიზმს არ ესმის მათი დამაკავშირებელი სოლიდარობა. როდესაც თავადის შესახებ ლაპარაკობს ავტორი მხოლოდ თავისი სიტყვებით გადმოცემს ფრიად ცნობილ განსაზღვრას, რასაც ჰეგელი აძლევს მონობას «ფენომენოლოგიაში» (Herr und Knecht)**. მაგრამ მან განზრახ დაივიწყა, თუ როგორ გამოდიოდა ჰეგელი ადამიანის შეგნების ამ დაბალი დონიდან. საჭიროა კიდევ შევნიშნოთ, რომ ეს ფილოსოფიური ჟარგონი, რომელიც ფორმით მეცნიერებას ეკუთვნის, ხოლო შინაარსით — სქოლასტიკას, მოეპოვებათ აგრეთვე იეზუიტებს. მონტალამბერმა, პასუხი გასცა რა შეკითხვას იმ სიმკაცრეთა შესახებ, რაც პაპის მთავრობამ გამოიჩინა რომის საპყრობილეებში, თქვა: «თქვენ ლაპარაკობთ პაპის სიმკაცრეზე, მაგრამ იგი არ შეიძლება მკაცრი იყოს: მისი მდგომარეობა მას უკრძალავს ამას; მას, იესო ქრისტეს მოადგილეს, შეუძლია მხოლოდ მიუტევოს, გამოიჩინოს გულმოწყალება და, მართლაც, პაპები ყოველთვის მიუტევებენ. წმინდა მამა შეიძლება მკვნეარებამ მოიცვას, მას შეუძლია ილოცოს ცოდვილისათვის, მაგრამ მას არ შეუძლია იყოს ულმობელი და ა. შ.» შეკითხვაზე, აწამებენ თუ არა იეზვიტანილებს რომში, პასუხობენ,

---

* მოქმედება შემქმნელი და მოქმედება შექმნილი (ლათ). — რ ე დ.

** ბატონი და მსახური (გერმ.) — რ ე დ.

პაპი მოწყალეაო; ხოლო მსჯელობას, რომ ჩვენ ყველანი მონები ვართ, რომ პიროვნების უფლება რუსეთში განვითარებული არ არის, პასუხობენ: ჩვენ ვიხსენით პიროვნების უფლება იმით, რომ იგი ხელმწიფეს დავაკისრეთო. ეს მასხრად აგდებაა, რაც ზიზღს იწვევს ადამიანის სიტყვისადმი! ვეტვობ, რომ საკადრისი იყოს რელიგიის დამოწმება, ხოლო სავალდებულო რელიგიის დამოწმება კიდევ უფრო ნაკლებ საკადრისია. ყველა ავტორს უდავო უფლება აქვს იწამოს, რაც მას ნებავს, მაგრამ თეოლოგიური საბუთების მოშველიება მეცნიერულ მსჯელობაში იმ კაცთან, რომელიც თავის რელიგიაზე სდუმს, ნიშნავს ზრდილობის დარღვევას. რისთვის უნდა ამოეფაროთ ისეთ სიმაგრეს, რომლის წინააღმდეგ კრინტის დაძვრაც კი დილეგით ემუქრება კაცს?

მეორეს მხრივ, გაუგებარია, თუ სლავოფილებისათვის რელიგია მართლაც ძვირფასია, როგორ არ გრძნობენ ისინი ზიზღს «რელიგიის ფილოსოფიის» თვალთმაქცური მეთოდის მიმართ, ამ სუსტი და რწმენასმოკლებული რეაბლიტაციის, ამ უფერული და ცივი დასაცავი სიტყვის მიმართ, რომელშიც ამაყი მეცნიერება გულშემატკივარი ღიმილით აჯილდოებს თავის დას, როდესაც იგი საფლავში ჩააწვინა. როგორ ყოფნით გამბედაობა სლავოფილებს, რომ თვით თავისთვის წმიდათა წმიდა წამოაყენონ იმ დავაში, სადაც ამ წმიდათა წმიდას არად აგდებენ და მხოლოდ პოლიციისადმი პატივისცემის გამო ითმენენ!

ეს კიდევ ყველაფერი არაა: წერილის ავტორი უცნაურად აცივდება თავის მოწინააღმდეგეებს და ამტყუნებს იმაში, რომ თითქოს მათ აკლიათ პატრიოტიზმი და არ უყვართ ხალხი. ვინაიდან ეს სლავოფილების საერთო თვისებაა, საჭიროა ამის შესახებ ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. სლავოფილები თავიანთ თავს თვლიან ისეთ ადამიანებად, რომელთაც პატრიოტიზმის განსაკუთრებული უფლება აქვთ და რომლებიც ყველაზე მეტად არიან რუსები; ისინი შუდამ გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენ აღშფოთებული ვართ რუსეთის არსებული წყობილებით, რომ თითქოს ჩვენ ხალხი არ გვიყ-

ვარს, გვისაყვედურებენ ჩვენს მწარესა და მრისხანე სიტყვებს, ჩვენს გულახდილობას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვამზეურებთ რუსეთის ცხოვრების ბნელ მხარეებს.

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იმ პარტიას, რომლის თითოეული წევრი თავის თავს უქმნის ჩამოხრჩობის, კატორღაში გადასახლების, ქონების დაკარგვისა ან საზღვარგარეთ ემიგრაციაში გაქცევის საშიშროებას, — არ აკლია არც პატრიოტიზმი და არც რწმენა. რამდენადაც ვიცით 14 დეკემბერი სლავოფილების საქმე არ ყოფილა; მთელი დევნა და შევიწროება ჩვენ გვხვდა წილად, ხოლო სლავოფილებს აქამდე ბედი წყალობდა.

დიახ, არის სიძულვილი ჩვენს სიყვარულში: ჩვენ აღშფოთებული ვართ; ჩვენ იმდენადვე ეუსაყვედურებთ ხალხს, რამდენადაც ვუსაყვედურებთ მთავრობას, იმ მდგომარეობისათვის, რომელშიც ვიმყოფებით; ჩვენ არ გვეშინია გამოვთქვათ უმკაცრესი სიმართლე, მაგრამ ამას იმისათვის ვაკეთებთ, რომ გვიყვარს. ჩვენ აწმყოდან წარსულში არ გავრბივართ, რადგან ვიცით, რომ ისტორიის უკანასკნელი ფურცელი ჩვენი თანამედროვე სინამდვილეა. ჩვენ ყურებს არ ვიცობთ იმისათვის, რომ ხალხის გოდება არ გავიგონოთ, და ჩვენ გვყოფნის გამბედაობა ვაღიაროთ გულისტკივილით, თუ რაოდენ ათახსირებს ხალხს მონობა; ამ სამწუხარო დასკვნების დაფარვა სიყვარული კი არა, პატივმოყვარეობაა. თვალწინ გვაქვს ბატონყმური მდგომარეობა, ხოლო ჩვენ ბრალს გვდებენ ცილისწამებაში; სურთ, რომ დღე და ღამ აჩრდილივით თან არ გვდევდეს, როგორც სინდისის ქენჯნა, როგორც ბრალდება, სამწუხარო სურათი გლეხისა, რომელსაც სძარცვავს თავად-აზნაურობა და მთავრობა, რომელსაც თითქმის წონით ყიდიან, მათრახებით ზურგს უჭრელებენ და კანონს გარეშე ჰყავთ დაყენებული. სლავოფილები ამჯობინებენ იკითხონ ვლადიმირის დროის ლეგენდები; სურთ, რომ მათ წარუდგინონ არა წყლულებით დაფარული, არამედ აბრეშუმის მატერიებით შემოსილი ლაზარე. მათთვის, ისე როგორც ეკატერინესათვის, უნდა აშენდეს მუყაოს

სოფლები და დეკორატიული ბაღები გზის გასწვრივ, პეტერ-ბურგიდან ყირიმამდე[237].

დიადი საბრალდებულო აქტი, რასაც რუსული ლიტერა-ტურა შეადგენს რუსეთის ცხოვრების წინააღმდეგ, ეს არის სრული და მხურვალე დაგმობა საკუთარი შეცდომებისა, ეს არის აღსარება, რასაც თავზარს სცემს თავისი წარსული, ეს არის მწარე ირონია, რაც სირცხვილის ალმურს გვიკიდებს აწმყოს წინაშე, ყოველივე ეს — ჩვენი იმედია, ეს — ჩვენი ხსნაა, რუსული ბუნების პროგრესული ელემენტია.

როგორია მნიშვნელობა გოგოლის ნაწერებისა, რის გამო სლავები მეტისმეტად აღტაცებული არიან? განა სამარცხვი-ნო ბოძი, რომელზედაც გოგოლმა გააკრა რუსეთის ცხოვ-რება, ვინმემ ასწია იმაზე უფრო მაღლა, ვიდრე მან?

«მოსკვიტიანინში» მოთავსებული წერილის ავტორი აცბობს, რომ გოგოლი «ჩამოეშვა, როგორც მაღაროს მუშა, ამ ყრუ ქვეყანაში, სადაც არ ისმის არც ჰექა-ქუხილი, არც ზანზა-რი, უძრავსა და ერთფეროვანში, უძირო ჭაობში, რომელიც ნელა, მაგრამ დაუბრუნებლად იძირავს ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს, რაც ა ხ ა ლ ი ა (ამას ამბობს სლავოფილი); იგი ჩამოეშვა, როგორც მაღაროს მუშა, რომელმაც მიწის ქვეშ იპოვა მადნის ძარღ-ვი, ჯერ კიდევ ხელუხლებელი». დიახ, გოგოლმა იგრძნო ეს ძალა, ეს ხელუხლებელი მადანი დაუმუშავებელი მიწის ქვეშ. შესაძლოა, მას კიდევაც დაეწყო მისი დამუშავება, მაგრამ, სა-უბედუროდ, ნაადრევად წარმოიდგინა, რომ მიაღწია ფსკერს და, იმის ნაცვლად, რომ გათხრა გაეგრძელებინა, ოქროს ძებნა დაიწყო. მერე რა გამოვიდა ამ საქმიდან? მან დაიწყო იმის დაცვა, რასაც უწინ ანგრევდა, დაიწყო ბატონყმობის გამართლება და გაათავა იმით, რომ ფეხქვეშ ჩაუვარდა «მწყალობლობისა და სიყვარულის» წარმომადგენელთ.

დაე სლავოფილები დაფიქრდნენ გოგოლის დაცემაზე. ამ დაცემაში მათ, შესაძლოა, მეტი ლოგიკა ნახონ, ვიდრე სი-სუსტე. მართლმადიდებლური თვინიერებიდან, თვითგანდ-გომიდან, საკუთარი ინდივიდუალობის ხელმწიფის ინდივი-

დუალობაზე გადატანიდან, თვითმპყრობელის გაღმერთებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

და რა შეიძლება გააკეთო რუსეთისათვის, როდესაც იმპერატორის მხარეზე ხარ? დიდი მეფის — პეტრეს დრონი წარვიდნენ; დიდი კაცი — პეტრე კი უკვე აღარ არის ზამთრის სასახლეში, ი ბ გ ი ჩ ვ ე ნ შ ი ა.

დროა ეს შევიგნოთ, ხელი ავიღოთ, ბოლოს და ბოლოს, აწ უნაყოფო ბრძოლაზე, შევერთდეთ რუსეთის გულისათვის, მაგრამ აგრეთვე დამოუკიდებლობისათვის.

ყოველ დღეს შეუძლია ააყირაოს ევროპის ძველი სოციალური შენობა და რუსეთი გაიტაცოს დიდი რევოლუციის მქუხარე ზვირთებში. განა ახლა დრო არის გავაგრძელოთ ოჯახური ჩხუბი და ველოდოთ, რომ მოვლენებმა წინ გაგვისწრონ, რადგან ჩვენ ვერ მოვამზადეთ ვერც რჩევა-დარიგებანი, ვერც წინადადებანი, რომელთაც შესაძლოა, ჩვენგან მოელიან?

განა ჩვენ არა გვაქვს შერიგებისათვის გახსნილი ასპარეზი? განა სოციალიზმს, რომელიც ასე გაბედულად, ასე ღრმად ყოფს ევროპას ორ მტრულ ბანაკად, ჩვენსავით არ აღიარებენ სლავოფილები? ეს ის ხიდია, რომელზედაც ჩვენ შეგვიძლია ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

[1] ნარკვევები «დ ი ლ ე ტ ა ნ ტ ი ზ მ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი» დაბეჭდილია ჟურნალ «ოტეჩესტვენიე ზაპისკის» 1843 წლის № 1, 3, 5 და 12-ში. ნარკვევების ხელნაწერი არ შენახულა. ამ გამოცემაში იბეჭდება ა. ი. გერცენის რჩეული ფილოსოფიური თხზულებების (Соцэкгиз, 1940) ტექსტის მიხედვით.

[2] მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ე ბ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი — გერცენი ასე უწოდებს იმ ადამიანებს, რომელთაც ბრმად სჯერათ მეცნიერული ნაწარმოების ანბანისა და რომელნიც კრიტიკულად არ ეპყრობიან მის შინაარსს.—ყ უ რ ა ნ ი — მუსულმანთა საღვთო წიგნი.

[3] ჰ ა ი ნ რ ი ხ IV (1553—1610) — საფრანგეთის მეფე.

[4] პ ი ე ტ ი ზ მ ი — რელიგიური მიმართულება, რომელიც წარმოიშვა გერმანიაში XVII საუკუნეში.

[5] დავიდ ი უ მ ი (1711—1776) — ინგლისელი ფილოსოფოსი — იდეალისტი, აგნოსტიკოსი.

[6] ჟორჟ ბ ი უ ფ ო ნ ი (1707—1788) — ფრანგი ბუნებისმეტყველი, რომელმაც ცხოველთა სამეფოს ცვალებადობის იდეა წამოაყენა.

[7] ჟორჟ კ ი უ ვ ე (1769—1832) — ფრანგი ნატურალისტი, შედარებითი ანატომიისა და პალეონტოლოგიის ფუძემდებელი, სახეთა მუდმივობის თეორიის მომხრე. — პიერ სიმონ ლ ა პ ლ ა ს ი (1749—1827) — ფრანგი ასტრონომი და ფიზიკოსი, რომელმაც ნისლისაგან პლანეტათა სისტემის წარმოშობისა და განვითარების ჰიპოთეზა შეიმუშავა.

[8] კ ა უ დ ი ნ ი ს ფ უ რ კ უ ლ ე ბ ი — კავდიუმის ხეობა — იტალიის ორი მაღალმთიანი უღელტეხილის სახელწოდება; აქ რომის ჯარები, დიდი დამარცხების შემდეგ (4 საუკუნეში ჩვენს ერამდე), იძულებულნი იყვნენ დაედოთ საჯარცხვინო ზავი გამარჯვებულ სამნიტელებთან.

[9] წარწერა ჯოჯოხეთის კარებზე დანტეს «ღვთაებრივ კომედიაში».

[10] ეს გამოთქმა გერცენს აქვს ნახმარი აქვს არა ჩვეულებრივი იდეალისტური გაგებით; ეს ნიშნავს სინამდვილეს, როგორც მეცნიერული შემეცნების ობიექტს.

[11] ინვესტიტურა — მფლობელობის უფლება.

[12] ფხიზელს არისტოტელე უწოდებს სამყაროს გონიერულ შემეცნებას, რომელიც მოკლებულია ფანტასტიურობას.

[13] იზიდა — ძველი ეგვიპტის მითოლოგიაში ღმერთქალია, რომელიც ანსახიერებს ბუნების მწარმოებელ ძალებს.

[14] ენციკლოპედია — ფრანგული «დიდი ენციკლოპედია» (35 ტომი), რომელიც გამოდიოდა დიდროსა და დალამბერის რედაქციით 1751—1780 წლებში და რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ვოლტერი, ბიუფონი, ჰოლბახი და სხვა სწავლულები და მწერლები; ამ ენციკლოპედიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთის იმ ბურჟუაზიული რევოლუციის იდეურ მომზადებაში, რომელიც მოხდა XVIII საუკუნის დამლევს.

[15] კაბალისტიკა — ებრაელთა მისტიკური მოძღვრება; აქ ეს სიტყვა გერცენის მიერ ნახმარია საერთოდ მისტიზმის მნიშვნელობით.

[16] ოცდაათწლიანი ომი (1618—1648) იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც შეადგენდნენ გერმანიის იმპერიას; ეს ომი წარმოებდა როგორც რელიგიური ბრძოლა პროტესტანტიზმისა კათოლიციზმთან; თანდათან ომში ჩაებნენ სხვა სახელმწიფოებიც; ომი დამთავრდა ვესტფალის ზავის შემდეგ გერმანიის სრული დაუძლურებითა და გაღატაკებით.

[17] ფრიდრიხ II (1712—1786) — პრუსიის მეფე, პრუსიული მილიტარიზმის პირწავარდნილი წარმომადგენელი, რომელიც მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ ატარებდა დაპყრობით პოლიტიკას; ამ პოლიტიკამ გამოიწვია ეგრეთწოდებული შვიდწლიანი ომი, რომლის დროსაც რუსეთის არმიამ დაამარცხა ფრიდრიხ II-ის ჯარი.

[18] ფრიდრიხ შლეგელი (1772 — 1829) — გერმანელი მწერალი, რომანტიზმის თეორეტიკოსი, რომელიც ეწოდა შუა საუკუნეებისა და კათოლიციზმის იდეალიზაციას.

[19] ვატერლო — სოფელი ბელგიაში, სადაც 1815 წელს ინგლისის ჯარებმა, რომლებსაც ველინგტონი (1769—1852) სარდლობდა, გადამწყვეტი დამარცხება მიაყენეს ნაპოლეონ I-ს.

[20] იერემია ბენტამი (1748—1832) — ინგლისელი იურისტი და ფილოსოფოსი. — დავიდ ლივინგსტონი (1813—1873) — ინგლისელი მოგზაური აფრიკაში. — ლუი ჟაკ ტენარი (1777—1857) — ფრანგი ქიმიკოსი, რომელმაც აღმოაჩინა წყალბადის მჟავა. — ოგიუსტ პირამ დე კანდოლი (1778—1841) — ფრანგი ბოტანიკოსი. — იოჰან იაკობ ბერცელი (ბერცელიუსი) (1779—1848) — შვედი ქიმიკოსი, ატომური თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი. — ჟან ბაპტისტ სეი (სე) (1767—1832) — ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი.

[21] პიერ ბერანჟე (1780—1857) — ფრანგი პოეტი, პოპულარული პოლიტიკური სიმღერების ავტორი.

[22] ფსიქეა — ადამიანის სულის განსახიერება ძველ ბერძნულ მითოლოგიაში.

[23] ლას-კაზი (1800—1854) — ნაპოლეონ I-ის მდივანი იმ დროს, როცა ნაპოლეონი განდევნილი იყო წმ. ელენეს კუნძულზე; ლას-კაზმა დატოვა მოგონებები ნაპოლეონზე.

[24] ნერონი — რომის იმპერატორი ჩვენი წელთაღრიცხვის 54—68 წლებში; ნერონი ცნობილია თავისი არაჩვეულებრივი სიმკაცრით. — კლავდიუსი — რომის იმპერატორი ჩ. წ. აღ. 41—54 წლებში; დესპოტის განსახიერება.

[25] აპოთეოზი — გაღმერთება.

[26] დონალიუ ბრამანტე (1444—1514) — გამოჩენილი იტალიელი არქიტექტორი.

[27] მიქელანჯელო ბუონაროტი (1475—1564) — ცნობილი იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი.

[28] ოჟივი — ისრისებური თაღი.

[29] პერიპტერი — ირგვლივ სვეტებიანი შენობა.

[30] როტონდა — მრგვალი ან ნახევრადმრგვალი შენობა.

[31] პილასტრი — ოთხკუთხოვანი ბოძი ან სვეტი.

[32] ლეონ X — (1475—1521) — რომის პაპი.

[33] ლოდოვიკო არიოსტო (1474—1533) იტალიელი პოეტი. პოემა «ბობოქარი ორლანდის» ავტორი.

[34] ჰუმანიორა — ჰუმანიტარული მეცნიერებანი.

[35] ერაზმ როტერდამელი (1466—1536) — აღორძინების ეპოქის გამოჩენილი ჰუმანისტი, ავტორი ცნობილი სატირისა «ქება სისულელისა», რომელიც მიმართული იყო საზოგადოების ფეოდალურ-კათოლიკური წყობის წინააღმდეგ.

[36] ჟან რასინი (1639—1699) — კლასიკური სკოლის ფრანგი დრამატურგი. — სოფოკლე (495—405 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის ცნობილი დრამატურგი. — მარონ პუბლი ვირგილიუსი (70—19 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომაელი პოეტი, პოემა «ენეიდას» ავტორი.

[37] იენა — ქალაქი საქსენ-ვაიმარში, სადაც 1806 წელს გაიმართა ბრძოლა პრუსიელებსა და ფრანგებს შორის, რომელიც გერმანელების დამარცხებით დამთავრდა. — ვაგრამი — სოფელი ვენის მახლობლად; აქ 1809 წელს წარმოებდა ბრძოლა ფრანგებსა და ავსტრიელებს შორის, რომელიც ავსტრიელების დამარცხებით დამთავრდა.

[38] ვერნერი (1768—1823) რომანტიკული სკოლის გერმანელი მწერალი.

[39] ბ რ ო კ ე ნ ი — მთა ჰარცში (გერმანიაში).

[40] ნ ო ვ ა ლ ი ს ი (1772—1801), ლიუდვიგ ტ ი კ ი (1773—1853) და ლუდვიგ უ ლ ა ნ დ ი (1787—1862) რომანტიკული სკოლის გერმანელი მწერლებია.

[41] ტ რ უ ბ ა დ უ რ ე ბ ი — მოხეტიალე ფრანგი მომღერლები XI—XII საუკუნეებში, რომლებიც უმღეროდნენ რაინდობას.

[42] ლ ე ო ნ ი დ I — სპარტანელი მეფე (V საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელიც დამარცხდა და დაიღუპა თერმოპილში ღალატის გამო, რამაც სპარსელებს საშუალება მისცა ზურგში მოქცეოდნენ მის ჯარს.

[43] მ ე ტ ა ფ ს ი ქ ო ზ ი — მეტემფსიქოზი — სულთა გადასახლება; ძველი ეგვიპტური მითოლოგიის თანახმად, ცოცხალი არსების სული ამ ცოცხალი არსების სიკვდილის შემდეგ გადასახლდება მეორე არსებაში.

[44] ს ა წ მ ი ს ი — ოქროს საწმისი — საუცხოო ოქროს ვერძის მატყლი; ეს ვერძი, ძველბერძნული თქმულების თანახმად, იმყოფებოდა კოლხეთში. იმავე თქმულებით, საწმისს იცავდა დრაკონი, მაგრამ გმირმა-არგონავტებმა მოიტაცეს ეს საუნჯე.

[45] პ ა ლ ა დ ა (ათინა პალადა) — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში მთელი სულიერი და გონებრივი საქმიანობის ღმერთქალი, სიბრძნის განსახიერება.

[46] გერცენს მხედველობაში აქვს ამ ციკლში შემავალი პირველი სტატია.

[47] ნერონი შეპყრობილი იყო განდიდების მანიით და თავისთავი წარმოდგენილი ჰყავდა განთქმულ მომღერლად და მუსიკოსად.

[48] ჰ ე ნ რ ი ს VIII (1491—1547) — ინგლისის მეფე, რომელმაც ინგლისში მოსპო რომის პაპის ძალაუფლება და დააარსა ინგლისის დამოუკიდებელი ეკლესია.

[49] ემანუელ შ ვ ე დ ე ნ ბ ო რ გ ი (სვედენბორგი) (1688—1772) — შვედი მწერალი-მისტიკოსი.

[50] ლევიტებს ძველ იუდეაში უწოდებდნენ ეკლესიის მსახურთა კასტის წევრებს.

[51] ჯ ო რ დ ა ნ ო ბ რ უ ნ ო (1548—1600) — იტალიელი მოაზროვნე მატერიალისტი, რომელიც ინკვიზიციამ დასწვა კოცონზე როგორც «ერეტიკოსი» — კათოლიკური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, აზრის თავისუფლების ქადაგებისათვის და იმისათვის, რომ მხარს უჭერდა კოპერნიკის მოძღვრებას მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვის შესახებ.

[52] გ ა ლ ი ლ ე ო გ ა ლ ი ლ ე ი (1564—1642) — დიდი იტალიელი ბუნებისმეტყველი, რომელსაც სდევნიდა ინკვიზიცია მოძღვრებისათვის დედამიწის მოძრაობის შესახებ.

[53] მ ე ლ ე დ ა — ისეთი საქმიანობა, რომლისაგანაც ხეირიანი არაფერი გამოდის.

[54] ს ც ი ე ნ ტ ი უ რ ი — მეცნიერული.

[56] ჟან-პოლი (რიხტერი) (1763—1825) — გერმანელი მწერალი-იუმორისტი.

[57] აუტოპსია — განკვეთა.

[57] გერცენს მხედველობაში ჰყავს მემარჯვენე ჰეგელიანელები.

[58] ესქილე (525 — 456 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — შესანიშნავი ბერძენი დრამატურგი. — ქსენოფონტე — (434—359 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ბერძენი ისტორიკოსი და მორალისტი.

[59] აუერშტეტი — სოფელი პრუსიაში, რომლის ახლოს ნაპოლეონ პირველმა 1806 წ. სასტიკი დამარცხება მიაყენა გერმანიის ჯარებს.

[60] 1807—1808 წ. ზამთარში ფიხტემ მიმართა «სიტყვებით გერმანელ ერს». ეს სიტყვები მკვეთრად ნაციონალისტური იყო.

[61] ლუკაზორის ობელისკი — ძველი ეგვიპტის თვალსაჩინო არქიტექტურული ძეგლი.

[62] ნემეზიდა — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში შურისძიების ღმერთქალი, რომელიც სჯიდა ჩადენილი დანაშაულისათვის.

[63] სუბსუმაცია — ერთი ცნების დაქვემდებარება მეორე, უფრო ზოგადი ცნებისადმი.

[64] არიადნა — კრიტოსის ლეგენდარული მეფის ასული, რომელმაც ძველი ბერძნული მითის გმირს თეზეოსს მისცა ჯადოსნური ძაფის გორგალი, რომლის საშუალებით თეზეოსი გამოვიდა ლაბირინტიდან.

[65] ფრანსუა ჟოზეფ ვიქტორ ბრუსე (1772—1838) — ფრანგი მკურნალი, რომელიც ამტკიცებდა, რომ არსებობს თითქოს რაღაც «სასიცოცხლო ძალა», რაც წარმართავს ორგანიზმის მთელ სიცოცხლეს და იმ პროცესებს, რომლებიც ორგანიზმში ხდება. — ლუი ჟოზეფ გეი-ლიუსაკი (1778—1850) — ფრანგი ქიმიკოსი, რომელმაც აღმოაჩინა გაზების მოცულობითი შეფარდების კანონი. — ტენარი — იხ. შენიშვნა 20. — ფრანსუა ვენსან რასპაილი (1794—1878) — რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, 1848 წლის რევოლუციის მონაწილე, პროფესიით ექიმი და ქიმიკოსი, რამდენიმე მეცნიერული ნაშრომის ავტორი.

[66] ნიკოლა ბუალო (1636—1711) — ფრანგი პოეტი, ავტორი პოემისა «პოეტური ხელოვნება», რომელიც ლიტერატურაში წარმოადგენს ფრანგული კლასიციზმის ესთეტიური წესების კოდექსს.

[67] მაკედონური ფალანგა — ძველი ბერძნების ჯარებში მჭიდროდ შეკრული საბრძოლო წყობილება, რომელიც იქმნება რიგების ისეთი განლაგებით, რომ თავდამსხმელებმა ვერ შესძლონ მისი გარღვევა.

[68] ხალიფატი — სამფლობელოები არაბთა ხალიფისა, მუსულმანური სახელმწიფოს მეთაურისა. ამ სახელმწიფოში შედიოდა არაბეთი, ჩრდილოეთ აფრიკა და ესპანეთი. — ალგამბრა — ხალიფთა სასახლე გრენადაში (ესპანეთში); ეს სასახლე არის აღმოსავლური ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი.

[69] მარტინ-ჰაინრიხ კლაპროტი (1743—1817) — გერმანელი ქიმიკოსი და მინერალოგი.

[70] ლოგომახია — უშინაარსო, ცარიელი კამათი.

[71] ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში სულის ფენომენოლოგია წარმოადგენს «ინდივიდუალური შეგნების განვითარებას მის სხვადასხვა საფეხურზე, რომლებიც მიჩნეულია როგორც შემოკლებული წარმოქმნა კაცობრიობის შეგნების მიერ ისტორიულად განვლილი საფეხურებისა» (მარქსი და ენგელსი, თხზ. ტ. XIV, გვ. 639; რუსული გამოც.).

[72] ოლიმპო — მთა საბერძნეთში, რომელიც ძველ დროში მიჩნეული იყო ღმერთების ადგილსამყოფელად. — აიდი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში — ჯოჯოხეთი.

[73] ლიუსტიხები — მხიარული ადამიანები.

[74] ჯიროლამო სავონაროლა (1452—1498) — იტალიელი მოქადაგე ფლორენციაში, რომელიც ამხილებდა ხალხისა და სამღვდელოების უზნეობას და ცდილობდა რეფორმის გატარებას კათოლიკურ ეკლესიაში.

[75] გერცენს ციტატა მოაქვს ჰეგელის «ისტორიის ფილოსოფიიდან».

[76] ფრიდრიხ-ვილჰელმ შელინგი (1775—1854) — გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი.

[77] გერცენს მხედველობაში აქვს გოეთეს «ფაუსტის» მეორე ნაწილის პირველი მოქმედების მე-5 გამოსვლა, სადაც მეფისტოფელი ეუბნება ფაუსტს, რომ პარისისა და ელენე სპარტანელის სულების გამოსახმობად იგი უნდა წავიდეს იდუმალ ღმერთქალების — «დედათა» ქვეყანაში, იმ ღმერთქალებისა, რომლებიც ცხოვრობენ დროისა და ადგილის გარეშე, და გამოართვას მათ ჯადოსნური სამფეხა (იხ. გოეთე, ფაუსტი, 1922 წ. ტ. II, გვ. 265).

[78] კვიეტიზმი — უმოქმედობა, რომელიც განპირობებულია «უზენაესი განგების» წინაშე ქედისმოხრით.

[79] ატლანტიდა — ძველი გადმოცემით, კუნძული ატლანტიკის ოკეანეში, რომელიც დაიღუპა წყალდიდობის შედეგად.

[80] ვაგნერი — გოეთეს «ფაუსტის» პერსონაჟი, ვიწრო სპეციალისტ-ემპირიკოსის განსახიერება.

[81] ყურანი — მუსულმანთა საღვთო წიგნი.

[82] პლინიუსი უფროსი (ჩვენი წელთაღრიცხვის 23—79) — რომაელი ბუნებისმეტყველი.

[83] «წერილები ბუნების შესწავლის შესახებ» პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი»-ში 1845 და 1846 წლებში. წინამდებარე ტექსტი გადმოღებულია 1944 წლის გამოცემიდან (გოსპოლიტიზდატი).

[84] ცერერა (დემეტრა) — ნაყოფიერების ღმერთქალი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. — პომონა — ხეხილის ბაღების ღმერთქალი. ორთავე სოფლის მეურნეობისა და სოფლის ყოფა-ცხოვრების განსახიერებაა.

[85] გერცენს მხედველობაში ჰყავს ჟან-ჟაკ რუსო.

[86] ე. ჟოფრუა სენტ-ილერი (იხ. შენიშვნა 208).

[87] ლ. აგასისი (1807—1873) — ავტორი რამდენიმე შრომისა გეოლოგიასა და ზოოლოგიაში; გერცენს მხედველობაში აქვს მისი შრომა «Recherches sur les poisons fossiles» («გამოკვლევები ნამარხი თევზების შესახებ»), 5 ტომი, 1833—1842; შემდგომ აგასისი გამოვიდა როგორც თავგამოდებული მოწინააღმდეგე დარვინის თეორიისა.

[88] ა. ორბინი (1802—1857) — ფრანგი პალეონტოლოგი.

[89] ბანკოს აჩრდილი — ვერაგულად მოკლული მხედართმთავრის აჩრდილი შექსპირის ტრაგედია «მაკბეტიდან».

[90] ტონხურა — წრე, რომელიც ამოპარსული ჰქონდათ თავის კორტოხზე კათოლიკურ სასულიერო პირებს.

[91] აგრიპა მენენიუსი — რომაელი პოლიტიკური მოღვაწე VI—V საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

[92] XIX საუკუნის დამდეგს პრუმ, დალტონმა, ავოგადრომ და ბერცელიუსმა ექსპერიმენტალურად ჩაუყარეს საფუძველი მოძღვრებას ნივთიერების ატომისტური აღნაგობის შესახებ, მაგრამ შემდეგ, იდეალისტური ფილოსოფიის გავლენით, ზოგიერთმა ბუნებისმეტყველმა იგნორაცია უყო და დაამცირა ატომური თეორიის მნიშვნელობა.

[93] გემიუტლიხკაიტ — სენტიმენტალურობა.

[94] Scharlemagne — კარლოს დიდი (742—814), 768 წლიდან — ფრანკთა მეფე; ეწეოდა ხანგრძლივ დაპყრობით ომებს; 800 წლიდან—რომის იმპერატორია. გერცენს მხედველობაში აქვს ნაპოლეონ პირველის განზრახვა, რომ კარლოს დიდის მაგალითისამებრ დაეპყრო მთელი მსოფლიო.

[95] «იზიდა»—გაზეთი ძირითადად საბუნებისმეტყველო-ისტორიული შინაარსისა; მისი გამომცემელი იყო ოკენი 1816—1818 წლებში. — «მონიტერი» («მაჩვენებელი») — ოფიციალური ფრანგული გაზეთი.

[96] პატარა ელბა — შედარება შელინგის მდგომარეობისა უნივერსიტეტში, იმ მდგომარეობასთან, რომელშიაც იყო დატყვევებული ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე.

[97] ტერმინს «მეტაფიზიკას» თვით არისტოტელე არ ხმარობდა. «მეტაფიზიკა» («ის, რაც ფიზიკის შემდეგ არის») პირველად იყო აღწერითი გამოთქმა, რომელიც იხმარა I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ანდრონიკ როდოსელმა არისტოტელეს იმ თხზულებათა აღსანიშნავად, რომლებიც მოთავსებული იყო არისტოტელეს შრომების სიაში თხზულება «ფიზიკას» შემდეგ. შემდეგში სიტყვა «მეტაფიზიკამ» მოიპოვა ფილოსოფიური ტერმინის მნიშვნელობა.

[98] გესნერის აბელი — გერმანელი პოეტის ს. გესნერის (1730—1788) პოემის «აბელის სიკვდილის» გმირი.

[99] გესლერი — გერმანიის იმპერატორის ნაცვალი შვეიცარიაში, რომელიც სასტიკად ავიწროებდა ხალხს და რომელიც, ლეგენდის მიხედვით, მოჰკლა ცნობილმა მეისრემ ვილჰელმ ტელმა; მთელ ამ ამბავს ლეგენდა მიაკუთვნებს XIV საუკუნის დამდეგს.

[100] მ ა ჰ ა დ ო ჰ ი — დიდი ღმერთქალი ინდუსების მითოლოგიაში.

[101] «მ ა ჰ ა ბ ჰ ა რ ა ტ ა» და «ს ა კ უ ნ ტ ა ლ ა» ანუ «შ ა კ უ ნ ტ ა ლ ა» — ინდუსების ძველი ეპოსი: პირველი არის პოემა, რომელიც შედგება 220 ათას ლექსისაგან; მეორეა დრამა უდიდესი ინდუსი დრამატურგის — კალიდასის.

[102] მ ე მ ნ ო ნ ი — სახელწოდება უზარმაზარი ქანდაკებისა (ფუძე უდრის 14 მ × 4 მ), რომელიც არის თებეში ძველი ეგვიპტის მეფის — ამენოფის III ტაძართან.

[103] ის, რასაც გერცენი რ ე ა ლ ი ზ მ ს უწოდებს, არსებითად, მატერიალიზმია; მოძღვრება ყოფა-ცხოვრების, ბუნების რეალურობისა, დამოუკიდებლობისა და პირველადობის შესახებ.

[104] «გ ლ ო ს ო ლ ო გ ი ა» — ბერძნული სიტყვიდან «გლოსა», რაც გაუგებარი სიტყვების განმარტებას ნიშნავს.

[105] ანაქსაგორამ განიცადა დევნა ანტიური რელიგიის დამცველებისაგან ციური მოვლენების მატერიალისტური, საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ახსნის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამტკიცებდა, მზე ღმერთი აპოლონი კი არ არის, არამედ გავარვარებული მასაა. ის ჯერ ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ათინიდან განდევნეს. სოკრატეს ბრალად ედებოდა სახელმწიფო რელიგიის ღმერთების აუღიარებლობა და ახალგაზრდობის გახრწნა. მას სიკვდილი მიუსაჯეს; სოკრატემ საწამლავი დალია და მოკვდა. სოკრატეს გასამართლების ნამდვილი მიზეზი იყო, ის, რომ იგი პელოპონესის ომის დროს გამოვიდა ათენის დემოკრატიის წინააღმდეგ.

[106] ე ლ ე ვ ზ ი ნ ი ს ს ა ი დ უ მ ლ ო ე ბ ა ნ ი — ძველი ბერძნული დღესასწაული, რომელზედაც ესწრებოდნენ მხოლოდ კურთხეულნი (განდობილნი).

[107] ვ ი შ ნ უ — ინდუსების ღმერთი, რომელიც ანსახიერებს მზესა და სიკეთეს.

[108] შელინგის იდეალისტური ნატურფილოსოფია ბუნებაში პირველდაწყებით, დადებით ძალად აღიარებდა გაფართოების, განზიდულობის ძალას, უსაზღვრო გავრცელებისაკენ მისწრაფებას. ამ ძალას უპირისპირდება «უარყოფითი ძალა» ანუ «მიზიდულობის ძალა», რომელიც პირველი ძალის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. შელინგის აზრით, ორივე ეს ძალა წინ უსწრებს მატერიას და საფუძვლად უდევს «მატერიის კონსტრუქციას».

[109] თ ე ზ ე ო ს ი — ძველბერძნული ლეგენდარული გმირი, რომელიც ებრძოდა ბოროტ ძალებს; მან მოჰკლა საშინელი ურჩხული — მინოტავრი, რომელიც ნთქავდა ათენელ ახალგაზრდებს. როდესაც თეზეოსი ატიკის მეფე გახდა, ათენი მან სახელმწიფოს დედაქალაქად აქცია.

[110] «გონება», «ნუსი» ანაქსაგორას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მატერიალური საწყისი, როგორც უფაქიზესი მატერია, რომელიც არის მიზეზი მოძრაობისა.

[111] ფრანგი მწერალი ქალის ჟანლისის თხზულებები გამოირჩეოდნენ უხამსობით, თვალთმაქცობითა და ყალბი მორალით.

[112] რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა — გააზრება, მოფიქრება.

[113] მ ე გ ა რ ი ს ს კ ო ლ ა — ფილოსოფიური მიმართულება, შექმნილი სოკრატეს მოწაფის—ევკლიდეს მიერ (მე-4 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე); ევკლიდე და მისი მიმდევრები აერთიანებდნენ სოკრატეს მოძღვრებას უმაღლესი სიკეთის შესახებ ელეატთა მოძღვრებასთან ერთიანი და უძრავი ყოფიერების შესახებ; ისინი ელეატთა «ყოფიერების» მსგავსად «სიკეთის» ცნებას აქცევდნენ დამოუკიდებელ არსებად.

[114] კ ი რ ე ნ ე ლ ე ბ ი ან კ ი რ ე ნ ა ი კ ე ბ ი — სოკრატეს მოწაფის — არისტიპის (მე-5—4 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრები; კირენაიკებისათვის დამახასიათებელია სენსუალიზმი შემეცნების თეორიაში და მოძღვრება იმისა, რომ გრძნობითი სიამოვნება მორალის საფუძველია.

[115] D e u s e x m a c h i n a — ღვთაებრივი ან სხვა რაიმე გარეშე ძალა, რომელიც ძველ ტრაგედიაში მოულოდნელად გამოცხადდებოდა თეატრალურ მანქანაში და თავის ჩარევით გახსნიდა დახლართულსა და ძნელ მდგომარეობას სცენაზე.

[116] თვით გონების გარდჯ (ლათ.) ამ ფორმულით ლაიბნიცი შემოფარგლავს სენსუალისტურ დებულებას; «ისეთი არაფერია გონებაში, რაც წინათ არ იყო გრძნობებში».

[117] ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს კ ო ლ ე ბ ი — პლატონის მიმდევართა სკოლები. — პ ე რ ი პ ა თ ე თ ი კ უ ლ ი ს კ ო ლ ე ბ ი — არისტოტელეს ფილოსოფიის მიმდევართა სკოლები.

[118] ა ვ ე რ ო ე ს ი — მე-12 საუკუნის ცნობილი არაბი ფილოსოფოსი, რომელმაც დიდი გაელენა მოახდინა აღორძინების ეპოქის ევროპულ ფილოსოფიაზე.

[119] ს ტ ა გ ი რ ე ლ ი — არისტოტელეს ზედმეტი სახელი მისი დაბადების ადგილის — საბერძნეთის კოლონიის სტაგირის მიხედვით.

[120] მ ა კ ე დ ო ნ ი ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი მ ე ფ ე — პერსეი (212—146 ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელიც მეფობდა 179 წლიდან 168 წლამდე; იგი დაატყვევა რომაელმა მხედართმთავარმა ლ. ემილი პავლემ; რომში შევიდა ბორკილგაყრილი გამარჯვებულის ეტლის უკან.

[121] ნამდვილად ეპიკურეს არ ჰქონდა მოძღვრება არამატერიალურ «უზენაეს საწყისზე», რომელიც «ბატონობს ფიზიკურ», მატერიალურ სამყაროზე; მისი «ღმერთები» ცხოვრობენ პლანეტთაშორისო სივრცეში და სრულიად არ მონაწილეობენ ბუნების განვითარებაში და ადამიანთა საქმეებში.

[122] თ ო რ მ ე ტ ი (ცხრილი) ნ უ ს ხ ა — რომის კანონთა კრებული მე-5 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

123 ლ უ ტ ე ც ი ა — ძველი სახელი პარიზისა, სადაც ცხოვრობდა ივლიანე, როდესაც განაგებდა გალთა ქვეყანას როგორც იმპერატორის ნაცვალი.

124 ს ე ნ-ჟ ე რ მ ე ნ ი ს გარეუბანი—მდიდარი არისტოკრატიული უბანი პარიზში.

125 პ უ ნ ი კ უ რ ი ო მ ე ბ ი — ომები რომაელებსა და კართაგენელებს შორის მე-3—2 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

126 ხ ო ს რ ო — საერთო სახელი სპარსეთის ძველი მეფეებისა; აქ იგულისხმება ,ხოსრო I ანუშირვანი, რომელიც მეფობდა 531—579 წლებში.

127 529 წელს ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ლიკვიდაცია უყო ათენის ყველა ფილოსოფიურ სკოლას როგორც მტრულს ქრისტიანობის მიმართ. ნეოპლატონიზმის მქადაგებელმა შვიდმა ფილოსოფოსმა არისტოტელეს ცნობილი კომენტატორის — სიმპლიციუსის მეთაურობით იპოვა მფარველი სპარსეთის მეფის ხოსრო I სახით. 533 წელს მათ სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს, მაგრამ სწავლების უფლება არ ჰქონდათ.

128 მ უ რ ე ნ ა — თევზი გველთევზების ოჯახიდან, რომლის სიგრძე 1,5 მეტრს აღწევს; ეს თევზი განსაკუთრებით უყვარდათ ძველ რომაელებს და სპეციალურად ამრავლებდნენ თევზსაშენებში; ზოგიერთი რომაელი დამნაშავე მონას აგდებდა წყალში, რომ იგი ამ თევზებს შეეპამათ.

129 რ ო დ ო ს ე ლ ი კ ო ლ ო ს ი — ძველბერძნული ღმერთის ჰელიოსის (აპოლონის) სპილენძის ვეებერთელა ქანდაკება, დადგმული 280 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე კუნძულ როდოსის ნავსაყუდელის შესავალში (ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში); ქანდაკებას ფეხები დადგმული ჰქონდა ორ მოპირდაპირე ნაპირზე და იმდენად მაღალი იყო, რომ მის ქვეშ თავისუფლად გადიოდნენ ხომალდები.

130 «ლ უ კ რ ე ც ი ა» — იტალიელი კომპოზიტორის გ. დონიცეტის (1797—1848) ოპერა.

131 ა ქ ი ლ ე ს ი — ტროას ომის უმამაცესი გმირი ჰომეროსის ‹ილიადაში›. უ ლ ი ს ი — ოდისეი (იქვე). ორივე ერთმანეთს ხვდება დანტეს ‹ღვთაებრივ კომედიაში›.

132 ტ ე ვ ტ ო ნ ი ზ მ ი — წარმოსდგება ძველგერმანული ტომის — ტევტონების სახელწოდებიდან. ტევტონები პირველად ცხოვრობდნენ ქვემო ელბის აღმოსავლეთ მხარეს და დანიის კუნძულებზე; ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნის დამლევს ტევტონები ახალი მიწების დაპყრობის მიზნით ცდილობდნენ შეჭრილიყვნენ იტალიაში, მაგრამ ისინი დაამარცხა რომაელმა სარდალმა მარიუსმა.

133 გ ვ ე ლ ფ ე ბ ი დ ა გ ი ბ ე ლ ი ნ ე ბ ი — პოლიტიკური პარტიები შუა საუკუნეების იტალიაში; ზოგიერთ რესპუბლიკაში გველფები ეწოდებოდა სახალხო პარტიას წინააღმდეგ არისტოკრატიული პარტიისა — გიბელინებისა.

[134] ცნობილი იტალიელი პოეტი პეტრარკა (1304 — 1374) ლექსებს წერდა ხალხურ იტალიურ ენაზე.

[135] მე-13 საუკუნიდან არისტოტელეს მოძღვრებას ფართოდ იყენებდა სქოლასტიკა საეკლესიო დოგმების დასასაბუთებლად; იყენებდა რა არისტოტელეს ფილოსოფიის იდეალისტურ მხარეს, სქოლასტიკამ, ლენინის გამოთქმით «არისტოტელეში მოჰკლა ცოცხალი და გაამარადისა მკვდარი».

[136] ლ ე გ ი ს ტ ე ბ ი — სამართლის მცოდნენი, იურისტები.

[137] ე ტ რ უ რ ი ე ლ ი კ უ რ უ მ ე ბ ი. ეტრურია—ძველი იტალიის ჩრდილო-დასავლეთი ოლქი, რომლის ხალხი ხანგრძლივი ომების შემდეგ საბოლოოდ დაიპყრო რომმა მე-3 საუკუნის დამლევს ჩვენს წელთაღრიცხვამდე; ეტრურელების რელიგია მეტად ბნელი და მკაცრი ხასიათისა იყო.

[138] ს ვ ე დ ე ნ ბ ო რ გ ე ლ ე ბ ი — სვედენბორგის (იხ. შენიშვნა 49) მიმდევრები.

[139] «წმინდა ოჯახში» მარქსი აღნიშნავს, რომ ი. ბიომე აღიარებს «მატერიის ტანჯვას», ე. ი. მის შინაგან თვითმოძრაობას.

[140] რაფაელისათვის დამახასიათებელია ბუნებისა და ადამიანების სისხლსავსედ და ცოცხლად გადმოცემა. კორეჯიოს ხაზგასმული აქვს სამყაროს გრძნობადი აღქმა. ტიციანმა უდიდეს ძალას მიაღწია ქალის სილამაზის გამოსახვაში.

[141] გერცენი ამ სტატიის შესახებ 1845 წლის 12 ივნისს სწერდა კრაევსკის:

«წერილი შუა საუკუნეების ფილოსოფიის შესახებ მზად არის; ახლა მთელი ძალით ვცდილობ, რომ ახალი ფილოსოფია გადმოვცე რაც შეიძლება პოპულარულად; ყველა ბრალს მდებს ჩემი სტატიების სიბნელეში. მით უფრო შევეცდები, რომ მე განსაკუთრებული შეხედულება შემიმუშავდა: კარგია თუ ცუდი, მკითხველმა განსაჯოს» (თხზ., ტ. 4, გვ. 186). რამდენიმე დღის შემდეგ გერცენი აღნიშნავს დღიურში: «განვაგრძობდი სტატიის წერას ფილოსოფიის ისტორიაზე «От. Зап.-სათვის» და ამის გამო ახლოს გავეცანი ბეკონს. სისტემატიკოსები შეიძლება არ ეიკითხოთ, მაგ., დეკარტე; სულ მოკლე გადმოცემით შეიძლება იცოდეთ იგი წერტილიდან წერტილამდე (ე. ი. ერთბაშად); ‚ბეკონი აუცილებლად მოითხოვს შესწავლას; მისი შრომების თითქმის ყოველ გვერდზე სრულიად მოულოდნელად ხვდებით რაღაც გასაოცრად ახალსა და მკვეთრს» (იქვე, გვ. 187). 23 ივნისს გერცენი კვლავ ატყობინებს კრაევსკის: «მზადაა წერილი ბეკონსა და დეკარტეზე; მე მგონია, ეს წერილი სხვებზე უკეთესია, და ვიცი ერთი რამ, რომ ის შეხედულება, რომელიც აქ არის განვითარებული, ამგვარად ფილოსოფიის არც ერთ თანამედროვე ისტორიაში არ ყოფილა განვითარებული. სამწუხაროა, რომ, ბევრიც ვეცადე, მაგრამ შეუძლებელია ენის კიდევ უფრო გაუბრალოება» (იქვე). ბ. გ. ბელინსკი უკმაყოფილო იყო გერცენის წერილების «ბნელი» ენით. იგი ამბობდა: «რა განყენებული, თითქმის მოჩმახული ენით არის დაწერილი ეს სტატიები, თითქოს გერცენმა შეადგინა ისინი მხოლოდ თა-

ვისი სიამოვნებისათვის» (პ. ვ. ა ნ ე ნ კ ო ვ ი, ლიტერატურული მოგონებები, ლ. 1928, გვ. 436). როდესაც ამ შეფასებამ გერცენის ყურამდე მიაღწია, მან ასე ახსნა თავისი სტატიების ენა: «ამ ახირებულ კაცს ჰგონია, რომ ძნელია აზრისა და საქმიანი შეხედულების გამოხატვა ამაზე უფრო ბნელი გამოთქმებით, მაგრამ მას ავიწყდება, რომ სხვანაირად არავითარი აზრისა და შეხედულების გამოხატვა რუსულ ენაზე არ შეიძლება» (იქვე, გვ. 442). გერცენს აქ მხედველობაში აქვს ნიკოლოზ I ჟანდარმთა ცენზურა.

[142] ვ ა ნ ი ნ ი (1585 — 1619) — იტალიელი ფილოსოფოს-მატერიალისტი და ათეისტი, მებრძოლი სქოლასტიკის წინააღმდეგ; ვანინი საშინლად აწამეს: მას ამოგლიჯეს ენა, შემდეგ ჩამოახრჩვეს და გვამი კოცონზე დასწვეს.

[143] დეკარტემ, როცა თავისი მეცნიერული მეთოდი შეიმუშავა, აღთქმა დასდო ლორეტოში წასულიყო სალოცავად.

[144] კოპერნიკის იმ ტრაქტატის წინასიტყვაობაში, რომელშიაც ჩამოყალიბებული იყო სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემა, ერთ-ერთმა გამომცემელმა, ღვთისმეტყველმა ოსიანდერმა, გააკეთა შენიშვნა, ტრაქტატში გადმოცემულია მხოლოდ მათემატიკური ჰიპოტეზა ასტრონომიულ გამოანგარიშებათა გაადვილებისათვის და არა სამყაროს ახალი სისტემაო.

[145] გერცენს მხედველობაში აქვს მე-16 საუკუნის იმ ფრანგ ჰუმანისტთა მსოფლმხედველობა, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენდა განათლების ახალი სისტემის შექმნა.

[146] მონტენისათვის როგორც წარმოშობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიის წარმომადგენლისათვის სკეპტიციზმი არის ბასრი იარაღი თეოლოგიისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თეოლოგიასა და სქოლასტიკას უპირისპირებს მოძღვრებას ძალოვან, უსაზღვრო ბუნებაზე, რომლის ნაწილია ადამიანიც.

[147] თ ე ო რ ი უ ლ ი ე მ ა ნ ს ი პ ა ც ი ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ე ბ შ ი გერცენი გულისხმობს აღორძინების ეპოქის ფილოსოფოსებს.

[148] კ ა რ დ ა ნ ი (1501 —1576) — იტალიელი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი და მკურნალი.

[149] «ვ უ დ ს ტ ო კ ი», «შ ო ტ ლ ა ნ დ ი ე ლ ი პ უ რ ი ტ ა ნ ე ბ ი» — ვალტერ სკოტის რომანები.

[150] «I n s t a u r a t i o m a g n a s c i e n t i a r u m» («დიადი აღდგენა მეცნიერებათა»)—ბეკონის დაუმთავრებელი ფუნდამენტალური ნაწარმოების სახელწოდება, რომლის პირველ ორ ნაწილს შეადგენდა ტრაქტატები «მეცნიერებათა ღირსებასა და გაუმჯობესებაზე» და «ახალი ორგანონი».

[151] სქოლასტიური ტერმინები, წარმოშობილნი ლათინური სიტყვებიდან: hoc — ეს და quid — რა.

[152] მატერიის მოუსპობლობის პრინციპი მიმდინარეობს ანტიკური მატერიალიზმიდან, კერძოდ დემოკრიტესა და ეპიკურეს ატომიზმიდან, რომელიც შეადგენდა გასენდის ფილოსოფიის უშუალო წყაროს.

153 გასენდიმ განაახლა ანტიკური მატერიალიზმი და ამით დიდი როლი შეასრულა ბუნებისმეტყველებასა და ფილოსოფიაში.

154 გერცენი იძლევა ბეკონის წიგნის «De dignitate et augnientis scientiarum» — «მეცნიერებათა ღირსებისა და გაუმჯობესების» შემოკლებულ სახელწოდებას.

155 ს ა ც ე რ დ ო ს უ ლ ი — ქურუმული.

156 პიერ ბ ე ი ლ ი ბ ე ლ ი (1647 — 1706) — ფრანგი ფილოსოფოსი-სკეპტიკოსი.

157 იგულისხმება რუსო.

158 გერცენს ციტატა მოაქვს ჰენლეს «საყოველთაო ანატომიის სახელმძღვანელოდან», რომელიც გამოვიდა 1841 წელს ზემერინგის იმ შრომის მე-6 ტომის სახით, რომელსაც ეწოდებოდა «ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ».

159 თ ა ვ ი ს ქ ა ლ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ნ შ ი გერცენი გულისხმობს იმ ფრენოლოგების სკოლას, რომლებიც იყვნენ მიმდევარნი ექიმისა და ანატომის — ფრანც გალის (1758—1828) მოძღვრებისა. გალი ამბობდა, თავის ქალის ღრმულებისა და ბორცვების მიხედვით შეიძლება ადამიანის ფსიქიკურ ნიჭიერებათა გარკვევაო.

160 ფ რ ა ნ გ ი — მონტესკიე (1689 — 1755). გერცენი ახსენებს მის შრომას (31 წიგნს), რომელსაც ეწოდებოდა «კანონთა სული» (1748) და რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ბურჟუაზიული კონსტიტუციური აზრის განვითარებაზე.

161 ე ლ ვ ე ც ი — კლოდ-ადრიენ ჰელვეციუსი (1715 — 1771). გერცენი ლაპარაკობს მის წიგნზე «De l'esprit» — «გონების შესახებ» (1758), რომელიც დასწვეს რადიკალური პოლიტიკური და ათეისტური იდეების გამო. ეს წიგნი გადათარგმნილი იყო სხვა ევროპულ ენებზე.

162 გერცენი ასახელებს დიდროს წიგნს — «ცდა ადამიანის ღირსებასა და სიკეთეზე», რომელიც გამოვიდა 1741 წელს.

163 ფ რ ა ნ ს უ ა - მ ა რ ი - ა რ უ ე ტ ი — ვოლტერის გვაროვნული სახელი.

164 მონტესკიეს «სპარსული წერილები» — მისი პირველი პოლიტიკური ნაწარმოები, რომელიც საცენზურო მოსაზრებებით გამოვიდა ამსტერდამში 1721 წელს; ეს ნაწარმოები იყო მწვავე სატირა, მიმართული საფრანგეთის საზოგადოების თავადაზნაურული წრეების წინააღმდეგ.

165 გონების კულტი აღმოცენდა XVIII საუკუნეში საფრანგეთის რევოლუციის დროს პარიზსა და რამდენიმე სხვა კომუნაში, როგორც ანტითეზა ქრისტიანული რელიგიური კულტისა. რობესპიერმა შესცვალა იგი უზენაესი არსების კულტით.

166 გერცენი არ არის კმაყოფილი XVIII საუკუნის მექანისტური მატერიალიზმით.

[167] ლაიბნიცის მიმდევარი ქრისტიან ვოლფი სქემატიურად ალაგებდა ლაიბნიცის ფილოსოფიას.

[168] გერცენის «წერილებმა ბუნების შესწავლის შესახებ» დიდი როლი შეასრულეს მოწინავე ფილოსოფიური აზრის განვითარებისათვის რუსეთში. ნ. გ. ჩერნიშევსკის მხედველობაში ჰყავდა გერცენი და ბელინსკი, როცა თავისი «რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევებში» წერდა: «აქ პირველად ჩვენი სამშობლოს გონებრივმა ცხოვრებამ წარმოშვა ადამიანები, რომლებიც მიდიოდნენ ევროპის მოაზროვნეთა მხარდამხარ და არა მათი მოწაფეების ამალაში» (Полн. собр. соч., ტ. II, 1906, გვ. 201—202).

პროფესორი ვ. ა. ვაგნერი 1914 წელს თავის სტატიაში «გერცენი როგორც ნატურალისტი» წერდა, რომ «წერილებში» ნაჩვენებია «ბიოლოგიურ მეცნიერებათა შესწავლის ახალი გზების ჭეშმარიტი მნიშვნელობა», ავტორის თქმით, გერცენის იდეები ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაში იყო «მეტად მოწინავე იდეები თვით დასავლეთ ევროპის სწავლულთათვის» («Вестник Европы» 1914, № 9, გვ. 191).

[169] 1842—1845 წლებში გერცენი ასე თუ ისე რეგულარულად აკეთებდა ჩანაწერებს დღიურში. პირველად ეს დღიურები გამოქვეყნდა გერცენის სიკვდილის შემდეგ მისი თხზულებების I ტომში, რომელიც გამოსცა მისმა შვილებმა 1870 წელს ჟენევაში. წინამდებარე გამოცემაში ეს დღიურები იბეჭდება იმ ტექსტით, რომელიც გამოქვეყნებული იყო მ. კ. ლემკეს რედაქციით გამოცემულ ა. ი. გერცენის თხზულებებისა და წერილების სრული კრებულის III ტომში, გვერდები: 22—24, 43—44, 129—130, 132—133, 134—135, 334, 335, 344, 345—346, 348—349, 350.

[170] 1841—1842 წლებში გერცენი გადასახლებული იყო ნოვგოროდში და იქ მსახურობდა საგუბერნიო სამმართველოში. გერცენი ვერ ურიგდებოდა მოხელეთა წრეს; აგრეთვე მას აარ სურდა მონაწილეობა მიეღო იმ საქმეებში, რომლებიც დაკავშირებული იყო გლეხობის ჩაგვრასთან. ამიტომ 1842 წლის აპრილში იგი სამსახურიდან გადადგა.

[171] პ რ ო პ ე დ ე ვ ტ ი კ უ ლ ი — მოსამზადებელი.

[172] გერცენს მხედველობაში აქვს თავისი შრომა «დილეტანტიზმი მეცნიერებაში».

[173] აბელ-ფრანსუა ვ ი ლ მ ე ნ ი (1790—1870) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და კრიტიკოსი. გერცენი კითხულობდა მის «ფრანგული ლიტერატურის კურსს».

[174] ფრანგულ ისტორიულ ლიტერატურაში ამ ტერმინში გულისხმობდნენ ლუდოვიკ XIV მეფობას.

[175] «მთა» — მემარცხენე პარტია საფრანგეთის რევოლუციურ კონვენტში. ამ პარტიას ხელმძღვანელობდნენ რობესპიერი და სენ-ჟიუსტი.

[176] «ე მ ი ლ ი» — ჟან-ჟაკ რუსოს ტრაქტატი აღზრდის შესახებ.

[177] კ ო ნ ს ე კ ვ ე ნ ტ უ რ ო ბ ა — თანამიმდევრობა.

178 ა რ ნ ო ლ დ რ უ გ ე (1802—1880) — გერმანელი მწერალი, მემარცხენე ჰეგელიანელი, 1848—1849 წლების რევოლუციის მონაწილე; უფრო გვიან გახდა ბისმარკის მომხრე.

179 ფილიპ - კონრად მ ა რ გ ე ი ნ ე კ ე (1780—1846) — გერმანელი ღვთისმეტყველი, მემარჯვენე ჰეგელიანელი.

180 ბრუნო ბ ა უ ე რ ი (1809—1882) — გერმანელი ფილოსოფოსი, მემარცხენე ჰეგელიანელი. მარქსმა და ენგელსმა ბაუერის შეხედულებები გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს თავიანთ შრომაში — «წმინდა ოჯახი».

181 იულიუს ფ რ ა უ ე ნ შ ტ ე დ ტ ი (1813—1878)—გერმანელი ფილოსოფოსი, ჰეგელიანელი, უფრო გვიან გახდა შოპენჰაუერის მიმდევარი.

182 ოტო ვ ი გ ა ნ დ ი (1795—1870) — საგამომცემლო ფირმის დამაარსებელი; სცემდა ჟურნალ «გალიის ყოველწლიურ მოამბეს». გერცენს სწორედ ეს ჟურნალი აქვს მხედველობაში.

183 სილვესტრ ი ო რ დ ა ნ ი (1792—1861) — გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც დაკავშირებული იყო 40-იანი წლების რევოლუციურ წრეებთან; 1848 წლის რევოლუციის მონაწილე.

184 იგულისხმება ჟურნალი, რომლის გამოცემისათვის იღწვოდა ზაპადნიკების წრე გრანოვსკის მეთაურობით, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო. გერცენს განზრახული ჰქონდა ჟურნალში დაებეჭდა თავისი «წერილები ბუნების შესწავლის შესახებ».

185 გერცენს მხედველობაში აქვს ფეიერბახის წიგნი «ლაიბნიცის ფილოსოფიის გადმოცემა, განვითარება და კრიტიკა» (1837).

186 რ ე პ უ ლ ს ი ა — უკუბიძგება, უკუგდება.

187 დეკარტე, ბეკონი.

188 გ ე რ ტ ი რ ე ბ ა — ბიძგება, სირცხვილში ჩაგდება, შერცხვენა.

189 იოგან ქრისტიან ჰ ო ლ დ ე რ ლ ი ნ ი (1770—1843) — გერმანელი პოეტი.

190 იაკობ - ფრიდრიხ ფ რ ი ზ ი (1773—1843) — გერმანელი ფილოსოფოსი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი. ფრიზი თავისუფლებისმოყვარული კაცი იყო; თავისი შეხედულებებისათვის მას სდევნიდნენ და 1817 წელს ჩამოართვეს კათედრა. ჰეგელი მკაცრად ესხმოდა თავს ფრიზს, ბრალს სდებდა ზნეობრივობის დარღვევასა და საზოგადოებრივი წესრიგის შერყევისაკენ მისწრაფებაში. პოლიტიკურ საკითხებში ჰეგელის რეაქციული პოზიცია სავსებით ნათელი იყო გერცენისათვის, და იგი ხშირად აკრიტიკებდა ჰეგელის მსოფლმხედველობის ამ მხარეს.

191 1843—1844 წლებში გრანოვსკიმ მოსკოვში წაიკითხა საჯარო ლექციები შუა საუკუნეების ისტორიაზე. ამ ლექციებს უდიდესი წარმატება ჰქონდათ. გერცენი გამოეხმაურა ლექციებს ორი წერილით; ერთი დაიბეჭდა 1843 წ. გაზეთ «მოსკოვსკიე ვედომოსტის» № 142-ში, ხოლო მეორე, რომელიც შედის ამ გამოცემაში, — 1844 წ. «მოსკვიტიანინეს» № 7-ში. იბეჭ-

დება იმ ტექსტის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია მ. კ. ლომკეს რედაქციით გამოცემულ ა. ი. გერცენის თხზულებებისა და წერილების სრულ კრებულში (ტ. III, პეტროგრადი, 1915).

[192] ჰორაციო და ფორტინბრასი — შექსპირის ტრაგედიის «ჰამლეტის» პერსონაჟები.

[193] გერცენს მხედველობაში აქვს უპრინციპობა ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის და დიპლომატის — შ. მ. ტალეირანისა (1754—1838), რომელიც მზად იყო კარიერისტული მოსაზრებით ჩამდგარიყო ყოველი მთავრობის სამსახურში, და ის მოჩვენებითი «ინდიფერენტიზმი», რომლითაც გოეთე ეკიდებოდა თავისი დროის პოლიტიკურ ამბებსა და, კერძოდ, საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციას.

[194] გერცენს მოაქვს ციტატა მეფე ალექსი მიხეილის ძის 1649 წლის «დებულებიდან».

[195] გერცენს მხედველობაში აქვს ზაპადნიკების დავა სლავოფილებთან.

[196] გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის აბსტრაქტულობა, გერცენის აზრით იყო მისი ერთ-ერთი მთავარი ნაკლი.

[197] კლეოპატრა (69—30 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ეგვიპტის დედოფალი, განთქმული თავისი სილამაზით.

[198] დაპირებული გამოცემა გრანოვსკიმ ვერ გამოუშვა, ამიტომ გერცენმაც ვერ შეძლო თავისი დაპირების შესრულება.

[199] წერილი «ბ-ნ პროფესორ რულიეს საჯარო ლექციები» პირველად დაიბეჭდა გაზეთ «მოსკოვსკიე ვედომოსტის» 1845 წლის 8 დეკემბრის № 147-ში და 11 დეკემბრის № 148-ში. სტატიის ხელნაწერი არ შენახულა; აქ იბეჭდება ა. ი. გერცენის რჩეული ფილოსოფიური თხზულებების (Соцэкгиз, 1940) ტექსტის მიხედვით.

კ. ფ. რულიე (1814—1858) — ზოოლოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი.

[200] კარლ ლინეი (1707—1778) — შვედი ნატურალისტი; ლინეიმ დაამუშავა და დაასაბუთა მცენარეთა და ცხოველთა სისტემატირების პრინციპები და მეთოდები.

[201] ეპიქტეტე (დაახლ. 50—138) — ბერძენი ფილოსოფოს-სტოიკოსი; მისი მოძღვრების მიხედვით, ადამიანები უნდა მიისწრაფვოდნენ ზნეობრივი გაუმჯობესებისაკენ.

[202] «კოსმოსი» — გერმანელი გეოგრაფისა და მოგზაურის — ალექსანდრე ჰუმბოლდტის (1769—1859) თხზულება. ეს თხზულება არის იმის ცდა, რომ სინთეზირებულ მთლიან სურათად წარმოგვიდგინოს თავისი დროის მეცნიერული მონაცემები სამყაროს, დედამიწისა და ბუნების შესახებ.

[203] ბიუფონმა 1739 წელს თავისი მეცნიერული შრომებისათვის მიიღო «მეფის ბაღის ინტენდანტის» თანამდებობა. ეს ბაღი მან გადააქცია ბიოლოგიურ გამოკვლევათა ცენტრად საფრანგეთში.

204 პ. კამპერი (1722—1789)—ჰოლანდიელი ანატომი.

205 არისტოტელეს შრომები ადამიანის ანატომიის შესახებ დაკარგულია. შრომებში ცხოველთა ანატომიის შესახებ იგი მოითხოვდა შედარებითს ანატომიურ გამოკვლევას, რომლის საფუძველი უნდა იყოს ადამიანის ანატომია.

206 კიუვეს ანატომიური კლასიფიკაციის ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ იგი ეფუძნებოდა სახეთა უცვლელობის აღიარებას, მსოფლიო კატასტროფებისა და ერთი მატერიკიდან სხვა მატერიკზე ცხოველთა გადასახლების ხელოვნურ თეორიას. გერცენი აკრიტიკებს კიუვეს კლასიფიკაციის სწორედ ამ ნაკლოვანებებს.

207 ფრანგი ზოოლოგის სენტ-ილერ ჟოფრუას (1772—1844) მოძღვრება ერთიან ტიპზე ეფუძნებოდა ყველა ცხოველის აგებულების ერთიანი გეგმის იდეას, ყველა ცხოველისა, რომლებიც გარემოს გავლენით მუდამ იცვლიან სახეს.

208 ქიმიკოსმა დიუმამ 1840 წელს წამოაყენა იდეა, რომ ქიმიურ შენაერთთა, მათ შორის ორგანულ შენაერთთა, თვისება უნდა აიხსნას იმ ატომების განლაგებით, რომლებიც ამ შენაერთებს ქმნიანო.

209 გერცენს მხედველობაში აქვს ის თავდასხმა რასპაილზე, რომელსაც შეიცავდა ცნობილი რეაქციონერი ჟურნალისტის ფ. ვ. ბულგარინის სტატია «საჟურნალო აბდაუბდა» (1845 წლის 27 ოქტომბრის გაზეთი «სევერნაია პჩელა» № 243) გერცენი გადაკვრით მიუთითებს იმას, რომ ბულგარინის მბრივ თავდასხმის მიზეზი იყო პოლიტიკური უთანხმოებანი, რომლებიც არსებობდა რეაქციონერ ბულგარინსა და რევოლუციონერ-დემოკრატ რასპაილს შორის.

210 გერცენმა ვერ შეასრულა თავისი განზრახვა დაეწერა შრომა რულიეს თეორიის შესახებ.

211 წერილი ნ. პ. ოგარიოვისადმი იბეჭდება ა. ი. გერცენის რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა (Соцэкгиз, 1940) ტექსტის მიხედვით. ორიგინალი ინახება ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში; პირველად შემოკლებით დაიბეჭდა 1891 წ. ჟურნალ «რუსსკაია მისლის» № 7-ში, გვ. 21—26, ცნობაში სათაურით: «ახლო წარსულის მოღვაწეთა მიმოწერიდან» (მასალები რუსეთის საზოგადოების ისტორიისათვის). გერცენის მიერ ეს წერილი გაგზავნილი იყო ბერლინში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ოგარიოვი.

212 ოგარიოვის ბარათი — მისი წერილი გერცენისადმი ბერლინიდან 1844 წ. 17 (29) დეკემბერს.

213 ნატალია ალექსანდრეს ასული გერცენი (1844—1936).

214 გრიუბელობა—მეოცნებობა, ფუჭი აზრი.

215 იმ პერიოდში, რომელსაც ეკუთვნის გერცენის წერილი, ოგარიოვი იდეალისტი იყო. შემდეგში გერცენის გავლენით ოგარიოვი იდეალიზმიდან გადიხარა მატერიალიზმისაკენ.

216 ოგულისხმება ნ. პ. ოგარიოვის წერილი გერცენისადმი 1844 წ. 6 ნოემბრისა — ბერლინიდან.

217 ოგარიოვის თავდასხმა გერცენის სტატიაზე — მის წერილში, რომელიც გამოგზავნილი იყო ბერლინიდან 1844 წლის 13 (25) სექტემბერს.

218 40-იანი წლების დამდეგს გერცენის მეგობართა წრემ გრანოვსკის მეთაურობით გადასწყვიტა გამოეცა ჟურნალი «მოსკოვსკოე ობოზრენიე», მაგრამ მთავრობამ ამ ჟურნალის გამოცემის ნება არ დართო.

219 ა ლ. ა ლ. — ტ უ ჩ კ ო ვ ი (1800 — 1879) — დეკაბრისტების ფარული საზოგადოების მონაწილე, ოგარიოვის მეორე ცოლის მამა.

220 გრიგორი და პეტრე ნემვროდოვები — ოგარიოვის ძმები მამით.

221 გერცენს მხედველობაში აქვს ოგარიოვის ფორმულა: «შექმნა არის წვა. Vive la négation!» (გაუმარჯოს ნეგაციას!) ნ ე გ ა ც ი ა — უარყოფა.

222 თანამიმდევრობა.

223 იგულისხმება მეოთხე სტატია სერიისა «დილეტანტიზმი მეცნიერებაში».

224 მ ი შ ლ ე ტ შ ჩ ი ნ ა — ჰეგელიანელი მიშლეს ანუ მიხელეტის (1801—1893) ნაწერები, რომლებიც წარმოადგენდა ჰეგელის ფილოსოფიის არაკრიტიკულ გადმოცემას მთელი მისი კონსერვატული მხარეებით — ვ ე რ დ ე რ ი (1806—1893)—ბერლინელი პროფესორი ფილოსოფიისა, ჰეგელიანელი.

225 გამოყოფა, ჯირკვლების მოქმედება.

226 გერცენის წერილის შემდეგი ტექსტი — გრანოვსკის მინაწერის შემდეგ.

227 სტატია «მ ო ს კ ო ვ ი ს ა ნ ს ლ ა ვ ი ზ მ ი და რ უ ს ულ ი ე ვ რ ო პ ი ზ მ ი» წარმოადგენს გერცენის შრომის «რუსეთში რევოლუციურ იდეათა განვითარების» მეექვსე თავს. პირველად ეს ნაწარმოები დაბეჭდილი იყო გერმანულ ენაზე ჟურნალ «Deutsche Monatsschrift für Politik Wissenschaft, Kunst und Leben», 1851 (წიგნები 1, 2, 3, 5). რედაქცია თავის შენიშვნაში იტყობინებოდა, რომ ეს სტატია უნდა გამოქვეყნებულიყო ნიკოლოზ I მეფობის ოცდახუთ წლისთავზე (1850), მაგრამ შემთხვევითმა გარემოებამ შეაფერხა მისი დაბეჭდვა.

წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ა. ი. გერცენის რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა (Сочинения, 1940) ტექსტის მიხედვით.

228 რ. მ. გ უ ბ ე (1803 — 1890) — პოლონელი იურისტი, სლავური სამართლის ისტორიკოსი, პროფესორად იყო ჯერ ვარშავაში და შემდეგ პეტერბურგში.

229 კოშიხინი (უფრო სწორად: კოტოშიხინი)—მოსკოვის საკონსულო სამმართველოს მდივანი, რომელიც შემდეგ შვეიცარიაში გაიქცა. მის ნაწარმოებში გაკრიტიკებულია ალექსი მიხეილის ძე რომანოვის მეფობის დროის რუსეთის წესრიგი. კოტოშიხინის ნაწარმოები რუსეთში ცნობილი გახდა XIX საუკუნის 30-იან წლებში.

230 მოსკოვის უნივერსიტეტიდან ბელინსკის გამორიცხვის ნამდვილი მიზეზი იყო მის მიერ 1831 წელს დაწერილი დრამა «დიმიტრი კალინინი», რომელმაც გამოიწვია უნივერსიტეტის უფროსების აღშფოთება იმით, რომ მკაცრად იყო დაგმობილი ბატონყმობა.

231 კ ო ნ ტ ო რ ი—მზრუნველი.

232 ლაპარაკია ფეიერბახის «ქრისტიანობის არსზე» და «გერმანულ-ფრანგულ მატიანეზე», რომელსაც 1844 რუგე ს̌ცემდა მარქსთან ერთად. მალე მარქსისათვის ნათელი გახდა რუგეს რადიკალიზმის შეზღუდულობა და წვრილბურჟუაზიული არსი, რისთვისაც მარქსმა გასწყვიტა კავშირი მასთან.

233 იულიუს-იაკობ ჰ ა ი ნ ა უ (1786—1853) — ავსტრიელი ფელდმარშალი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის ჩახშობაში.—ალფრედ-ფერდინანდ ვ ი ნ დ ი შ გ რ ე ც ი (1787—1862)—ავსტრიელი ფელდმარშალი, რომელმაც 1848 წელს ჩაახშო აჯანყება ვენაში.

234 ნ ი კ ო დ ი მ ი — სახარების ლეგენდით, ქრისტიანობის ფარული მომხრე, რომელსაც ეშინოდა აშკარად ეღიარებინა ეს.

235 პავლე-იოსებ შ ა ფ ა რ ი კ ი (1795 — 1861)—ჩეხი სწავლული—სლავისტი და ნაციონალური მოძრაობის მოღვაწე. იან კ ო ლ ა რ ი (1793—1852)—ჩეხი პოეტი და სწავლული, ეროვნული აღორძინების ერთ-ერთი ბელადი.

236 აქ გერცენი ასახელებს ზაპადნიკ კ. დ. კაველინის სტატიას, რომელიც დაბეჭდილი იყო 1847 წ. «სოვრემენიკში» (№ 1), და სლავოფილ ი. ფ. სამარინის საპასუხო სტატიას—«სოვრემენიკის» ისტორიული და ლიტერატურული შეხედულებების შესახებ», რომელიც დაბეჭდილი იყო 1847 წ. «მოსკვიტიანინში» (№ 2).

237 პეტერბურგიდან ყირიმში ეკატერინე II მოგზაურობის დროს ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორმა — გ. ა. პოტიომკინმა იმპერატორი ქალის მთელი გზის გასწვრივ გაამწკრივა დეკორაციული ნაგებობანი, რათა დაემალა ეკატერინესა და მის მხლებელ უცხოელ სტუმრებისათვის რუსეთის სოფლების სიღატაკე და ამავე დროს შეექმნა მათთვის ცრუ წარმოდგენა ხალხის კეთილდღეობაზე.

სახელთა საძიებელი

ა

აგასისი ლუი—133.
ავგუსტინე—126, 247, 293, 298, 300, 446.
ავრელიუსი—280.
ალექსანდრე მაკედონელი — 154, 223, 256, 290, 428.
ალკებიადე—261.
ანაქსაგორა—205, 216, 219—221, 223, 229, 236.
ანაქსიმანდრე—204.
არიოსტო ლოდოვიკო—53.
არისტოტელე—34, 139, 143, 154, 172, 200, 206, 207, 219, 221, 229, 231, 235, 238, 242, 252, 255—260, 270, 276, 289, 290, 296, 306, 308, 309, 342, 343, 363, 383, 439.
არნოლდ ბრეშიანელი—328.
არუე—იხ. ვოლტერი.

ბ

ბაიერგოფერი –117.
ბაირონი ჯორჯ-გორდონ—39, 43, 60, 61, 67, 79, 395.
ბაკუნინი მიხეილ ალექსანდრეს ძე—458, 459.
ბარნავი იოსებ—395.
ბაუერი ბრუნო—407.
ბეკონი როჯერ—306.
ბეკონი ვერულამელი ფრენსის—54, 191, 260, 311, 329, 333, 341—347, 349—357, 362, 366, 368—370, 372, 373, 381, 387, 388, 393—397, 401, 402, 410, 411, 430, 439.
ბელი (ბეილი) პიერ—371.
ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის ძე—457—464.
ბენტამი იერემია—42.
ბერანჟე პიერ-ჟან—17, 42, 73.
ბერი კარლ მაქსიმეს ძე—441.
ბერცელი იოჰან-იაკობ—42.
ბიო ჟან-ბატისტ—147.
ბიომ (ბიომე) იაკობ—162, 165, 315, 321, 323—327, 340, 380, 410, 411.
ბიუფონი ჟორჟ-ლუი—25, 26, 349, 404, 406, 436, 437, 442.
ბლიუხერი ჰებჰარდ-ლებრეხტი — 42.
ბოკაჩიო ჯიოვანი—53.
ბოლინბროკი ჯონ—320.
ბონაპარტე—იხ. ნაპოლეონი.
ბრამანტე—51.
ბრუნო ჯორდანო—69, 306, 310—315, 328, 332, 333, 356—358.
ბრუსე ფრანსუა-ჟოზეფ—88.

ბრუტოსი იულიოს—305.
ბუალო ნიკოლა—90.
ბულე იოჰან-თეოფილ — 290, 313.
ბუონაროტი მიქელანჯელო—51.
ბურდახი კარლ-ფრიდრიხ—172.

გ

გალენი კლავდიუს—294, 295.
გალილეი გალილეო—69, 312, 336, 366.
გარიკი დავიდ—395.
გასენდი პიერ—151, 364, 365.
გეი-ლუსაკი — 88, 147.
გერცენი ნატალია ალექსანდროვნა — 444.
გესლერი—184.
გესნერი სოლომონ—182.
გიბონი ედვარდ—275.
გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე—475.
გოეთე იოჰან-ვოლფგანგ—21, 29, 34, 39, 41, 43, 56, 57, 59—61, 77, 102, 108, 110, 129, 158, 161—163, 170, 191, 193, 195, 201, 293, 316, 388, 406, 414, 424, 440.
გრანოვსკი ტიმოთე ნიკოლოზის ძე-420—428, 446, 451.
გრიგოლ VII — 51.
გრიგოლ XIV—309.
გრიგოლ ნაზიანზინი—299.
გრიმი ფრიდრიხ-მელქიორ—400.
გუბე რომუალდ მიხეილის ძე—455.

დ

დანტე ალიგიერი—48, 100, 162, 304, 449.
დე კანდოლ ოგიუსტიენ-პირამუსი—42.
დეკარტე რენე—54, 106, 122, 152, 167, 191, 260, 329, 333—342, 344, 345, 353, 355, 356—358, 366, 367, 393, 396, 401, 411, 416.
დემოკრიტე—151, 217, 265.
დეპრე—147.
დერჟავინი—276.
დიდრო დენი—399, 404, 405.
დიოკლიტიანე—303.
დიუმა ჟან-ბატისტ—441.
დიუსი ჟან-ფრანსუა—238.
დობანტონი ლუი-მარი—437.

ე

ეკარტსჰაუზენი კარლ—324.
ელვეციი—იხ. ჰელვეციუსი.
ემპედოკლე—229.
ეპიკტეტე—433.
ეპიკურე—265, 267, 268, 290, 293.
ერაზმ როტერდამელი—36, 55.
ერდმანი გუგო—335.
ესქილე—76.

ვ

ვაგნერი—441.
ვალენტინი—441.
ვანინი—306, 310, 333.
ვასილი დიდი—299.
ველინგტონი არტურ-კოლეი—42.
ვერნერი ზაქარია—60.
ვიგანდი—412,
ვილმენი აბელ-ფრანსუა—404.
ვინდიშგრეიცი ალფრედ-ფერდინანდ—463.
ვირგილიუსი—56, 162, 309, 319.
ვლადიმირი, კიევის მთავარი—456.
ვოლტერი ფრანსუა-მარი-არუე — 36, 40, 116, 300, 320, 341, 388, 396, 399, 404—406, 428.

ზ

ზომერინგი სამუელ—386, 450.

თ

თალესი—202—204.

ი

იაკობი ფრიდრიხ-ჰაინრიხ — 161.
ივლიანე განდგომილი—282, 283.
იორდანი ვილჰელმ—412.
იულიოს კეისარი—32, 233, 291.
იუმი დავიდ—25, 271—273, 387, 389, 392, 393, 395.
იუსტინიანე—286.

კ

კალიგულა—268.
კამპანელა თომას—310.
კამპერი პეტრე—158, 438.
კანტი იმანუილ—41, 58, 152, 161, 164, 200, 273, 373, 388, 393, 410.
კარდანი ჯერომ—310, 344.
კარლოს I—395.
კარლოს დიდი—165.
კარუსი კარლ-გუსავ—164.
კატონი—282.
კინე ედგარ—164, 165.
კიუვე ჟორჟ—26, 144, 146, 349, 436, 439.
კლავდიუსი—47, 268, 297.
კლაპროტი მარტინ—94.
კლეოპატრა—428.
კლოდ ფროლო—307.
კოლარი იან—467.
კოლბრუკი ჰანრი-თომას—129, 194.
კოლუმბი ქრისტეფორე—362.
კოლცოვი ალექსეი ვასილის ძე—458.
კოზლოვი ივანე ივანეს ძე—157.
კონდილიაკი ეტიენ—373, 381, 382, 389.
კონსტანტინე—283.
კოპერნიკი ნიკოლოზ—25, 79, 288, 307, 312, 338, 369.
კორეჯიო—327.
კოშიხინი (კოტოშიხინი) გრიგოლ—456.
კრომველი ოლივერ—321.
კუზენი ვიქტორ—166, 428.

ლ

ლავუაზიე ანტუან-ლორან — 210.
ლაიბნიცი გოტფრიდ-ვილჰელმ — 31, 40, 76, 151, 152, 168, 182, 211, 253, 328, 369, 370, 382, 388, 401, 413—417, 449.
ლამარკი ჟან-ბატისტ—154.
ლამე—147.
ლაპლასი პიერ-სიმონ—26, 42, 400.
ლას-კაზი იმანუილ—44.
ლევკიპე—151, 210, 217, 219.
ლეონ X—52, 303.
ლეონ ისავრი—287.
ლეონიდი—61.
ლესინგი ეფრაჰიმ—41, 123, 414.
ლიბიხი იუსტიუს—172, 441, 449, 450.
ლინგვისტონი დავიდ—42.
ლინეი კარლ—349, 433, 434, 436, 437.
ლოკი ჯონ—364, 372—382, 385—389, 394—397, 416.
ლუკანი მარკ-ანეი—285.
ლუკაზორი—77.
ლუკიანი—298.
ლუდოვიკო XIV — 40, 371, 395, 399, 406.
ლუდოვიკო XV—399, 409.
ლუკრეციუსი ტიტ—268, 289, 291—294, 364, 405.
ლული რაიმუნდ—306
ლუთერი მარტინ—55, 267, 300.

მ

მაკიაველი ნიკოლო—312.
მალბრანში ნიკოლა—382, 396.
მაჟანდი—441.
მარგეინიკე ფილიპ-კონრად — 407.
მედიჩი კოზმა—307.
მენენიუსი აგრიპა—140.
მესტრი ჟოზეფ დე—349.
მირაბო ჰონორე-გაბრიელ — 164, 395, 396.
მიცკევიჩი ადამ—467.
მონჟი გასპარ—133.
მონტალამბერი შარლ—472.
მონტენი მიშელ—341.
მონტესკიე შარლ—399, 406.
მორუსი ჰაინრიხ—339.

ნ

ნაპოლეონ I — 41, 42, 44, 57—59, 77, 88, 105, 133, 135, 164.
ნემეროროდოვები—446.
ნერონი—47, 67, 287, 297.
ნიკოლოზ I—455.
ნიუტონი ისაკ—31, 336, 338, 349, 365, 366, 368, 369, 382, 397.
ნოვალისი—60.

ო

ოგარიოვი ნიკოლოზ პლატონის ძე — 444—451.
ოდიუბონი ჯონ-ჯემს—437.
ოკენი ლორენც—164, 166.
ორბინი არსიდ—133.

პ

პავლოვი მიხეილ გრიგორის ძე—458.
პალადიუსი—54.
პარაცელზი ბომბასტ—310.
პალეოლოგები—471.
პარმენიდე—210, 236.
პერიკლე—224, 229, 261.
პეტრარკა ფრანჩესკო—307.
პეტრე ლომბარდიელი —307.
პეტრე I—228, 318, 371, 452, 453, 456, 457, 465, 469, 476.
პითაგორა—152, 203, 205, 207, 229, 236, 276, 323.
პლატონი—76, 162, 183, 200, 222, 229, 231, 232—245, 256, 259, 264, 276, 290, 300, 308, 383.
პლინიუს უმცროსი—291, 435.
პლინიუს უფროსი—124, 279, 285, 288, 289, 294, 295, 296, 298, 405, 429.
პლოტინი—279, 285, 308.
პლუტარქი—261.
პოლევოი ნიკოლოზ ალექსის ძე—461.
პომპონაციუსი—309.
პორფირე—279.
პოტიომკინ-თავრიზელი გრიგოლ ალექსანდრეს ძე—79.
პრაქსიტელე—196, 299.
პროკლე—276, 277, 285, 308 323.
პროტაგორა—193, 227.
პრუდონი პიერ-ჟოზეფ—467.
პტოლმეი—288.
პულე კლოდ—147, 151, 152.

ჟ

ჟან-პოლი — იხ. რიხტერი.
ჟერნოვიკი—66, 67.
ჟოფრუა სენტ-ილერი—133, 159, 191, 440.

რ

რაბლე ფრანსუა—53.
რამუსი (რამიუსი) პიერ — 306, 309.

რასინი ჟან — 56.
რასპაილი ფრანსუა-ვანსენ — 88, 172, 441.
რაფაელ სანციო — 53, 327.
რედკინი პეტრე გრიგოლისძე — 417.
რიენზი (რიენცი) კოლა — 307.
რიხტერი ჟან-პოლ — 75, 84, 362.
რიშელიე ლუი-ფრანსუა — 399.
რობესპიერი მაქსიმილიან — 164, 406.
როზენკრანცი იოჰან-კარლ — 329, 417.
რუგე არნოლდ — 407, 460.
რულიე კარლ ფრანცის ძე — 429, 435, 436, 442.
რუსო ჟან-ჟაკ — 79, 130, 373, 389, 399, 405.

ს

საონაროლა ჯიროლამო — 104, 328.
სვედენბორგი ემანუელ — 67, 324.
სეი ჟან-ბატისტ — 42.
სენეკა ლუციი-ანეი — 285, 300.
სენკოვსკი ოსიპ ივანეს ძე — 457.
სენ-ჟუსტი ლუი — 406.
სენ-სიმონი კლოდ-ანრი — 399.
სენ-სიმონი ლუი — 467.
სერვანტესი საავედრა მიგუელ — 53.
სექსტ-ემპირიკოსი 271, 273, 298.
სკოტი ვალტერ — 39, 43, 61, 79.
სოკრატე — 76, 205, 222, 225 — 231, 236, 242, 297, 300, 398.
სოფოკლე — 56, 224.
სპინოზა ბარუხ — 54, 151, 167, 235, 260, 328, 334, 370, 382, 386, 388, 401, 405, 411, 414—416.
სტაგირიტი — იხ. არისტოტელე.
სტანკევიჩი ნიკოლოზ ვლადიმირის ძე — 458, 459.
სტრატონი — 290.
სტრაფორდი თომას ბენტვორტი — 395.

ტ

ტალეირანი შარლ-მორის — 291, 424.
ტაციტი — 279.
ტელეზიო ბერნარდინო — 310, 365.
ტენარი ლუი-ჟაკ — 42, 88.
ტერტულიანე — 279.
ტიკი ლუდვიგ — 60.
ტიციანი — 327.
ტუჩკოვი ალექსეი ალექსის ძე — 446.

უ

უვაროვი სერგეი სიმონის ძე — 113.
ულანდი იოჰან-ლუდვიგ — 60.

ფ

ფეიერბახი ლუდვიგ — 413, 414, 460.
ფენელონი ფრანსუა — 399.
ფილიპე მაკედონელი — 229.
ფიხტე იოჰან-გოტლიბ — 58, 160. 164, 328, 385, 413.
ფიციინი მარზილიუს — 308.
ფლურანი მარი-ჟან-პიერ — 433.
ფრანსია ხოზე-გასპარ — 84.
ფრანცისკ I — 309.
ფრაუენშტედ იულიუსი — 409.
ფრიდრიხ II — 41, 405, 409.
ფროლოვი ნიკოლოზ გრიგოლის ძე — 451.
ფურიე შარლ — 467.

ქ

ქსენოფანი — 237.
ქსენოფონტე — 76, 439.

შ

შარლემანი—იხ. კარლოს დიდი.
შატობრიანი ფრანსუა-რენე — 39.
შაფარიკი პავლე-იოსებ—467.
შვედენბორგი—იხ. სვედენბორგი.
შექსპირი უილიამ—53, 54, 375.
შელინგი ფრიდრიხ ვილჰელმ—61, 108, 162, 163, 164, 165, 166, 167, 169, 170, 232, 385, 402, 407, 408, 410, 417, 418.
შილერი ფრიდრიხ—41, 43, 56, 57, 59, 162, 266, 406, 413.
შლეგელი ფრიდრიხ—41, 197.
შლოსერი ფრიდრიხ—400.
შტილინგი იოჰან-ფრიდრიხ-იუნგ—324.

ც

ციხალპინი—295.
ციცერონი მარკუს ტულიუს—238, 270, 309.

ძ

ძენონი—229.

ხ

ხოსრო—287.
ხომიაკოვი ალექსი სტეფანეს ძე — 466.

ჰ

ჰაინაუ იულიუს-იაკობ—463.
ჰაინრიხ IV—15.
ჰაინრიხ VIII—67.
ჰეგელი გეორგ-ვილჰელმ-ფრიდრიხ—59, 61, 62, 76, 79, 91, 92, 102, 107, 108, 113, 118—120, 167—170, 172, 199, 235, 242, 257, 314, 315, 328, 329, 334, 362, 402, 406, 407, 410, 414, 417, 419, 448—450, 458—460, 472.
ჰელვეციუსი კლოდ-ადრიენ—397.
ჰენლე ფრიდრიხ გუსტავ — 385, 386.
ჰერაკლიტე—211, 212, 214—217, 221, 229, 236, 265.
ჰერდერი იოჰან-გოტფრიდ — 41, 161.
ჰიპარქე—288.
ჰიპოკრატე—450.
ჰიუგო ვიქტორ—51, 60.
ჰობსი—364, 394, 495.
ჰოლდერლინი იოჰან-ქრისტიან — 417.
ჰოჰენლოე ალექსანდრე-ლეოპოლდ —324.
ჰოლბახი პოლ-ანრი — 36, 397, 400, 404, 405.
ჰომეროსი—77.
ჰორაციუსი—316.
ჰუმპოლდტი—435.
ჰუსი იოჰან—309.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. გ ე რ ც ე ნ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს . 5

დ ი ლ ე ტ ა ნ ტ ი ზ მ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი . 14

წ ე რ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი 14
წ ე რ ი ლ ი მ ე ო რ ე. რ ო მ ა ნ ტ ი კ ო ს ი-დ ი ლ ე ტ ა ნ ტ ე ბ ი . . 37
წ ე რ ი ლ ი მ ე ს ა მ ე. დ ი ლ ე ტ ა ნ ტ ე ბ ი დ ა ს წ ა ვ ლ უ ლ თ ა ა მ ქ ა რ ი 62
წ ე რ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე. ბ უ დ ი ზ მ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი 93

წ ე რ ი ლ ე ბ ი ბ უ ნ ე ბ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს შ ე ს ა ხ ებ 129

წ ე რ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ე მ პ ი რ ი ა დ ა ი დ ე ა ლ ი ზ მ ი 129
წ ე რ ი ლ ი მ ე ო რ ე. მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ ა ბ უ ნ ე ბ ა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს ფ ე ნ ო მ ე ნ ო ლ ო გ ი ა ა 172
წ ე რ ი ლ ი მ ე ს ა მ ე. ბ ერ ძ ნ ი ლ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა 193
წ ე რ ი ლ ი მ ე ო თ ხ ე. ა ნ ტ ი კ ი ს ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ე პ ო ქ ა . . . 256
წ ე რ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე. ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ ა . . . 297
წ ე რ ი ლ ი მ ე ე ქ ვ ს ე. დ ე კ ა რ ტ ე დ ა ბ ე კ ო ნ ი . . 329
წ ე რ ი ლ ი მ ე შ ვ ი დ ე. ბ ე კ ო ნ ი დ ა მ ი ს ი ს კ ო ლ ა ი ნ გ ლ ი ს ი ს ი 346
წ ე რ ი ლ ი მ ე რ ვ ე. რ ე ა ლ ი ზ მ ი 371

«დ ლ ი უ რ ი დ ა ნ» 403

ბ-ნ ბ რ ა ნ ო ვ ს კ ი ს ს ა ჯ ა რ ო ლ ე ქ ც ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. წ ე რ ი ლ ი მ ე ო რ ე 420

ბ-ნ პ რ ო ფ ე ს ო რ რ უ ლ ი ე ს ს ა ჯ ა რ ო ლ ე ქ ც ი ე ბ ი 429
წ ე რ ი ლ ი ნ. პ. ო გ ა რ ი ო ვ ი ს ა დ მ ი 444
მ ო ს კ ო ვ უ რ ი პ ა ნ ს ლ ა ვ ი ზ მ ი დ ა რ უ ს უ ლ ი ე ვ რ ო პ ე ი ზ მ ი . 452

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . 477
ს ა ხ ე ლ თ ა ს ა ძ ი ებ ე ლ ი 496

А. И. ГЕРЦЕН

ИЗБРАННЫЕ ФИЛОСОФСКИЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ

Том I

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Сектор политической литературы
Тбилиси 1953

რედაქტორი ი. ჩხიკვიშვილი
გამომც.-ბის რედაქტორი გ. შახსევანიძე

მთარგმნელები { ლ. კალანდაძე
{ გ. კვარაცხელია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-1953.
უე 04299. ნაბეჭდ ფორმ. რაოდ. 31,5.
შეკვეთის № 1071. ტირაჟი 4000.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი
სტამბა. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.

შეჩნეული შეცდომების გასწორება

გვ.	სტრიქონი ზევიდ.	სტრიქონი ქვევიდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
144		11	კუვე	უკვე
156		6	შეცნობილი	ყოფიერების შეცნობილი
161		3	არეს	არის
200		6	გამოცემაშიეე	გადმოცემაშიეე
242	5		განზოგებისას	განზოგადებისას
273		1	აძლა	ძალა
375	10		დამოუკიდებლობას	დამოკიდებულებას
405		2	ფენომოლოგიაა	ფენომენოლოგიაა
414	12		მოთხოვნილება	მოთხოვნილება?
417		16	1870	1770
478	5		1	11
483	1		208	207